



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The International Scientific  
Conference

**ILIA CHAVCHAVADZE AND HIS EPOCH**  
**(Proceedings)**

Tbilisi 2008

საერთაშორისო სამეცნიერო  
კონფერენცია

„ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“

(მასალები)

თბილისი 2008

**რედაქტორი**

ირმა რაჭიანი

**სარედაქციო კოლეგია:**

მაკა ელბაქიძე  
მირანდა ტყეშელაშვილი  
მაია ცისკაძე

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დაიბეჭდა გამომცემლობა „.....“

ISBN

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### RUDOLF KREUTNET

Friedrich ruckert (1788-1866) and the East.....

#### ირმა რატიანი

ილია და მისი მკითხველი.....

#### ნანა გონჯილაშვილი

„ბაზალეთის ტბის“ განმსაზღვრელი სამი სახუ-იდეა  
(ოქროს აკვანში მყოფი ყრმა, „ვაშპავი სახელოვანი“  
და „დედა სახელდგბული“).....

#### გახაბერ ლორია

პოემის მომხიბვლელი იდუმალება – ილიას „განდეგილის  
გააზრებისათვის.....

#### მიხეილ ქურდიანი

ილია ჭავჭავაძის „მასტერ ქლასი“ –  
„ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“:  
კომპოზიცია და ფუნქციონალური კადრირება.....

#### ლია წერეთელი

ტრადიციული განსახოვნება  
ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.....

#### თამარ შარაბიძე

„კვალი განათლებულის“ მოტივი  
ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.....

#### იუზა ევგენიძე

„ეკროპეიზმის“, როგორც  
გულტურულ-ისტორიული მოვლენის  
ილია ჭავჭავაძისეული ინტერპრეტაცია.....

#### დალილა ბედიანიძე

ილია ჭავჭავაძე და იანოშ არანი.....

#### ელენე გოგიაშვილი

ქართული ფოლკლორი  
ეროვნულ-განმათავისუფლებელი  
მოძრაობის იდეოლოგიურ სამსახურში.....

#### თემურაზ ქურდოვანიძე

გაუა-ფშაველას „ხმით ნატირალი“  
ილია ჭავჭავაძეზე.....

#### გიორგი მაისურაძე

ილია ჭავჭავაძე და  
სამცხე-ჯავახეთის მოღვაწეები.....

#### ქეთევან ელაშვილი

„დროულობა“, როგორც ზნეობრივი კატეგორია,  
ანუ „ლიტერატურული ნაცნობობა“  
ილიასეულ სივრცეში.....

**ინგა მილორავა**  
მსატვრული სივრცის გამოსახვის პრინციპი,  
სივრცული მოდელები და  
ორიენტირები „მგზავრის წერილებში“.....

**მაია ჯალიაშვილი**  
მარგინალობის ფენომენის ასპექტები  
ილიას „ოთარაანთ ქერივში“.....

**გიორგი ალიბეგაშვილი**  
დემეტრე II თავდადებული.....

**მაია ნინიძე**  
იგავური მეტყველების ბიბლიური პრინციპი  
ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.....

**გაუა თვალავაძე**  
ილია ჭავჭავაძე საზღვარგარეთის ქვეყნების  
ახალი ისტორიის საკითხების შესახებ.....

**გოჩა საითიძე**  
ილიას „ივერია“ და  
„ოსმალოს საქართველო“.....

**მანანა შილაკაძე**  
ილია ჭავჭავაზე ქართული მუსიკის შესახებ.....

**ნანა ფრუიძე**  
რატომ არ დაიბეჭდა აკაკის „უკლიკო“?.....

**მერაბ ლალანიძე**  
ეროვნული ერთიანობის საკითხი  
ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილში  
„ოსმალოს საქართველო“.....

**მლეველ-მონაზონი იოანე (კალანდია)**  
გიორგი შიხაშვილი  
მამუკა შიხაშვილი  
„წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის)  
გორგომიკური მოძღვრება –  
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური  
განვითარების ეროვნული  
კონცეფციის საფუძველი.....

**ეგა ჩიქვაიძე**  
დაუჯდომელი საგალობელი  
წმინდ ილია მართლისა.....

**რუსულან ნიშნიანიძე**  
ილია ჭავჭავაძე და ქართული ემიგრაცია.....

**ირინა მოდებაძე**  
თამარ ციციშვილი  
ქართული მწერლობის  
ილიასეული შეფასების ტიპოლოგიისათვის.....

**თამარ პაიჭაძე**  
ილიას ფაქტორი სიმბოლისტური

მითმთხველობის ხანაში.....

### **IRINA PERIANOVA**

Political Correctness as the Mouth Wide Shut Phenomenon.....

#### **ნაირა ბეპიევი**

გაზეთი „ივერია“ და ოსთა საკითხი

#### **ნათელა ჩიტაური**

პიროვნების და საზოგადოების  
ურთიერთობის საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში  
(ფსიქოლოგიურ-თეოლოგიური ასკექტი).....

#### **რამაზ ჭილაძია**

„Homo somatis“ ილიასეული გააზრებით.....

#### **დარეჯან მენაბდე**

გაბრიელ რატიშვილის „მცირედი მოთხოვობიდან“  
ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებამდე“.....

#### **ნესტან კუტივაძე**

XIX საუბუნის 60-70-იანი წლების  
ქართული სალიტერატურო კრიტიკა  
და ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება.....

#### **ჯულიეტა გაბოძე**

ილიას უცნობი წერილები  
თბილისეულ სომებთა შესახებ.....

#### **თეიმურაზ დოიაშვილი**

„ბედნიერი ერი“:  
სტრუქტურა და საზრისი.....

#### **თამარ ბარბაქაძე**

ილიას დრამატული პოემების  
(„ქართვლის დედა“ და „ირაკლი“) პოეტიკა  
და „ქართვლის დედის“ მეტაფორა.....

#### **ლევან ბრეგაძე**

ილიას ბედისწერა.....

#### **გენერა კავთიაშვილი**

ილია ჭავჭავაძისა და  
გოთ ოლდ ეფრაიმ ლესინგის  
ესთეტიკური ნააზრევის ტიპოლოგიისათვის.....

#### **სოფიერ ლობჟანიძე**

ილია ჭავჭავაძე – გერმანოფილური  
საგანმანათლებლო პოლიტიკის  
იდეოლოგი საქართველოში.....

#### **ნინო პოპიაშვილი**

ილია ჭავჭავაზე და მისი თანადროული  
გერმანული პოეზიის თარგმანები.....

#### **დალი ქანდელაკი**

ებატერინე რაისნერი  
ილია და მისი გერმანელი მეგობრები.....

## FRIEDRICH RÜCKERT (1788-1866) AND THE EAST

Structure:

1. Rückert's interest in Oriental languages
2. Rückert's imagination of the East
3. Rückert the „scholarly poet“
4. Rückert the „poetical scholar“.
5. Conclusion

### 1. Rückert's interest in Oriental languages

Rückert himself told us how he was inspired to the world of the Orient. In his poetical cycle „Childhood of a Bailiff's son“ (Rückert 1837: 317 seq.) he describes how the interest in oriental culture and literature was founded by a catholic clergyman in the rural environment of his birthplace Schweinfurt in Franconia.

The lasting effect of these early experiences with the exotic world of the Orient proves Rückert's first dramatic attempt „The Apparent Death“ in 1812. This three-act comedy in tetrameter trochees, which is based on the legend of the „dreaming peasant“ of „One Thousand and One Nights“ (already dramatized by William Shakespeare in the „The Taming of the Shrew“), deals with the romanticized world of Haroon al Rasheed (Erdmann 1988: 339 and Kötting 1993: 49-72). At about the same time oriental world is again picked out as a central theme in the dramatic fragment „The Turkish Maiden“, which describes the adventures of Archilde, a princess of an oriental town, conquered by crusaders.

In philosophical manner, Friedrich Rückert expressed his close relationship to foreign – and in particular to oriental – languages most articulately in his 1811 submitted – and in the same year – published dissertation „De idea philologiae“, in which he enunciates the idea, that true philology needs true philosophers, who also have to be veritable poets, because only these dispose of capacity to reunify universal unisonous poetry to the postulated common proto-language (Confer Wiener 1994): In a few words: Philologists have to be poets to be able to accomplish their philosophical mission, the reconstruction of universal proto-language. – And also in his dissertation – almost casually – Rückert relativizes self-reliance of classic culture by referring explicitly to the oriental roots of Greek language and literature (Prang 1963: 25) – At that time, as Greek culture was considered as one of the few absolute terms in human history, Rückert's assertion meant nothing less than a veritable scandal, all the more Rückert's statement includes the clear primacy of oriental culture and literature.

In his 1828 for the first time published „Introduction into Hamâsa, or the Oldest Arabian Folk Songs“ he repeats his philosophic-philological idea of a common proto-language, which therefore once has to be reconstructed:

„Die Poesie in allen ihren Zungen  
Ist dem Geweihten *Eine Sprache* nur,  
Die Sprache, die im Paradies erklingen,  
Eh sie verwildert auf der wilden Flur.

[...]“ (Wendt 1830: 284 seq.)

All poetry in all its tongues  
Is to adepts *One language* just,  
From paradise this idiom comes,  
Now fallen into earthly dust.

[...]

A few years later, in late winter 1818/1819 in Vienna, Rückert was taught the elements of Persian, Arabic and Turkish language within about six weeks by the at that time famous teacher of oriental languages, Joseph von Hammer-Purgstall (1774-1856). From there on Rückert should become master of more than forty languages, amongst others Aramaic, Armenian, Assyrian, Avestan, Azeri, Coptic, Ethiopian, Hawaiian, Kannada (one of the Dravidian languages), Kurdish, Malayalam, Pali, Prakrit, Urdu, Sanskrit, Tamil (another Dravidian language), Telugu and Turanian (Erdmann 1988: 92) – but unfortunately not Georgian!

### 2. Rückert's imagination of the East

It is in fact very astonishing, that we cannot find any paper on Rückert's pattern of Orient among these more than 2000 titles which Rückert-Bibliography actually comprises. But – at least partially – solution seems to be rather simple: Rückert, who was strongly affected by German romanticism of that time, which again adored middle-ages, met

in middle-east literatures the same literary subjects as in contemporary German literature: knightly heroism and religious mysticism (on the other hand Indian literature may have appeared to Rückert as a pendant to classic Greek literature). This assumption seems to be confirmed by two facts in Rückert's literary producing: E. g. it is very striking, that Rückert firstly had chosen the Nibelung-Verse for his translation of the Persian „Rostam and Sohrab-Episode“ from Abū l-Qasem-e Ferdousī's (940/1-1020) „Shahnameh“, before he finally decided in favour of Alexandrines. Perhaps I should add by way of explanation, that the above-named episode as regards content is very similar to the Middle-High-German „Lay of Hildebrand“, wherein Hildebrand is also unwittingly killing his son Hadubrand in a duel like Rostam is doing with his son Sohrab.

And is it really to trace back to pure coincidence when Rückert translates „Rostam and Sohrab“ at the same time as the 20<sup>th</sup> Aventiure of the Middle-High-German „Song of the Nibelungs“? In respect of form and content there seem to be existent certain similarities between Middle-High-German and Middle-Eastern literary subjects, which may at least have lead to persistence in Rückert's oriental studies.

### 3. Rückert the „scholarly poet“

Soon after having returned back to Germany Rückert's phase as the „scholarly poet“ began. Yet in 1819 he started with the translation of the „Ghazals of Jalal ad-Din Rumi [(1207-1273)]“. Shortly after, in 1821, followed the „Eastern Roses“ in the spirit of the other great Persian poet Hafiz (1325/26-1390). – Consciously the emphasis is placed here on the term „in the spirit“ and instead of translation we should better speak of literary interpretation, because in the beginning of this period Rückert's main-intention was, to make accessible oriental poetry to German readers by imitating eastern verse-art (Ghazals e. g.), communicating oriental spirit (Eastern Roses e. g.) and – at last – by unifying form and spirit in his masterpiece, the paraphrase of „Hariri's Maqamat“ in 1826. Firstly Rückert had to confine himself to imitating pure form by lack of fluency, later he subordinated consciously philological interests to the purpose of spreading knowledge of the oriental literatures. Here for „Hariri's Maqamat“ are the best example: Although Rückert had studied this chef-d'œuvre of Arabian literature most intensely and even in spite of the fact that he comprehended very well this as much mannered as sophisticated refinement in style and expression of the Arabic original, he decided to come up with a „mere“ paraphrase of the Maqamat – and caused a furor among simple readership – and colleagues – because of his own high poetical capacity he had brought in. In terms of „translations“ – here as well in quotes – of Indian classic literature he took the same line, e. g. in 1828 with the poetical paraphrase of „Nal and Damajanti“, a touching love-story taken from the Indian national epic „Mahâbhârata“. This „popular“ paraphrase was much more appreciated by readership than the academic translation by the leading German indologist Franz Bopp (1791-1867).

By the way Rückert acquired oriental poetical forms so intensely, that he adopted them as his own in his current lyrical producing. E. g. in the poetical cycle „Love Spring“, composed in 1821 and dedicated to his future wife Luise Wiethaus-Fischer (1797-1857), there are – believe it or not – 16 poems in form of Persian Quatrains (Rückert 1844: 272-276), 20 Ghazals in Hafizian (Rückert 1844: 250, 276-296 and 406) and one in Rumian style (Rückert 1844: 213). Even in his „Lyrical diary“ of the years 1846 to 1866, which contains more than 10.000 unpublished poems, we find the form of the Ghazal as a matter of course.

### 4. Rückert the „poetical scholar“.

Meanwhile – in 1826 – Rückert has been appointed to the professorship for oriental languages at the university of Erlangen in Bavaria (from 1841 to 1848 at Berlin-University), and more and more he put stress on philological accurate translations; this time we call the phase of the „poetical scholar“. In particular the translations of the „Quran“ (completed in 1839), „Amrilkais“ in 1841, the already mentioned „Hamasa, or the Oldest Arabian Folk Songs“ (completed in 1846), „Saadi's Bostan“ in 1851 and the Indian „Atharvaveda“ in 1858 result from his philological studies combined with his unique feeling in languages. This creeping change of approach and procedural method was evidently caused by Rückert's experience of academic life, and his translation of the „Quran“ may exemplify this change most obvious. Already in 1823 Rückert had begun to translate the Holy Book of Islam. In the very beginning his attempt was marked by a lot of concessions to the future reader: In fact he retained the vowel assonances (in German e. g. Kummer/Hunger, Haupt/Kraut; in English e. g. hunger/slumber, plough/mouth; Bobzin 2000: XVII), which are very characteristic for the language of the Quran, but otherwise he took the liberty to set the entire text into continuous rimes which is in no case adequate to the literary style of Quran, that we should better describe as a mix between rime and prose called „Sag“ (Erdmann 1988: 256). Later Rückert became aware of his inadequate approach to the holy text and from now on he translated the Quran respecting the Arabic original in form and subject matter. But it seems that Rückert anticipated the failure of this edition regarding a broad audience and did not publish it in his lifetime. – And now, against the background of the feared „clash of cultures“ Rückert's Quran is a bestseller in Germany, – among traditionally educated middle-class intellectuals!

By the way the high quality of this translation is confirmed by the professional judgement of the late orientalist Annemarie Schimmel (1922-2003): „this is the only German translation, which allows to breathe the style and the spirit of the original“ (Schimmel 1987, 86).

It is evident, the more Rückert gave priority to philological accurate translation the more he lost contemporary readers. In contrast to the unpublished Quran the repeatedly mentioned „Hamâsa, or the Oldest Arabian Folk Songs“

and the ditto old-Arabian epic „Amrilkais“ (1841/1843) were published in Rückert’s lifetime, but they did not find a ready market. And almost all the rest of Rückert’s translations produced during this second period – the „Quran“ included – e. g. „Djami’s Love Songs (1831/1844-1848)“, „Saadi’s Divan“ (1845/ published 1893), „Saadi’s political Poems“ (1845/ published 1894), „Saadi’s Bostan“ (1851/ published 1882), the Indian epic „Sakuntala“ (1855/ published 1867) or Hafis Quatrains (1846-1862/1877) remained a long time unpublished.

## 5. Conclusion

It seems, that Rückert could play his self chosen role as a mediator between different cultures as long as he gave priority to his poetical capacities, because this talent seems to have been the link between offered foreign literature and accustomed lyric food. As long as the known poet Rückert shone through the literary texture of exotic oriental poems, foreign form and content did not become too strange for readership.

In his second phase as „poetical scholar“ Rückert translated in fact more adequate to the oriental originals, but by following this path of academic life and work he began to „alienate“ his auditory increasingly. But these changes, corresponded with his own increasing doubts in the chosen role as mediator, as we can read in his poems of the 1830ies, where he is very well aware of the difficulties of intercultural exchange between Orient and Occident. Nevertheless Rückert should continue in his oriental studies obviously until the end of his life.

### Literature:

- Bobzin 2000:** Bobzin Hartmut [editor]: Der Koran in der Übersetzung von Friedrich Rückert [...], Mit erklärenden Anmerkungen von Wolfdietrich Fischer. Würzburg: Ergon<sup>3</sup> 2000.
- Erdmann 1988:** Erdmann Jürgen [editor]: 200 Jahre Friedrich Rückert 1788-1866 Dichter und Gelehrter. Coburg: Landesbibliothek, 1988.
- Kötting Dagmar:** „Dahinter schließt vom Orient mein Strahl“. „Der Scheintod“ eine erste poetische Beschäftigung Friedrich Rückerts mit dem Orient. Rückert-Studien VII. Würzburg: Ergon, 1993.
- Prang 1963:** Prang Helmut: Friedrich Rückert. Geist und Form der Sprache. Schweinfurt: Stadt, 1963
- Rückert 1837:** Rückert Friedrich: Gesammelte Gedichte. Erlangen: Heyder, 1837.
- Rückert 1844:** Rückert Friedrich: Liebesfrühling. Frankfurt/Main: Sauerländer, 1844.
- Schimmel 1987:** Schimmel Annemarie: Friedrich Rückert. Lebensbild und Einführung in sein Werk. Freiburg/Brsg: Herder, 1987.
- Wendt 1830:** Wendt, Amadeus [editor]: Musenalmanach für das Jahr 1831. Zweiter Jahrgang, Mit Tiecks Bildniss. Leipzig: Weidmann, [1830].
- Wiener 1994:** Wiener Claudia: Friedrich Rückerts „De idea philologiae“ als dichtungstheoretische Schrift und Lebensprogramm. Schweinfurt: Stadtarchiv, 1994.

## ილია და მისი მექითხველი

მხატვრული ტექსტი ხანგრძლივობის სამ ტიპს ითვალისწინებს: შექმნის პროცესს, რომელიც მიმდინარეობს რეალური დრო-სივრცული პარამეტრების ფარგლებში და ტექსტის მეკავშირედ ავტორს მოიაზრებს, მხატვრულ კონტინუუმს, რაც გულისხმობს კონკრეტული ტექსტისათვის ნიშანდობლივი ინდივიდუალური მხატვრული ქრონოტოპული მოდელის ფორმირებას, და აღქმის პროცესს, რომელიც, აგრეთვე, ხორციელდება რეალური დრო-სივრცის კონტექსტში, მხოლოდ ტექსტის მეკავშირედ ამჯერად გვევლინება მყითხველი. შესაბამისად, ლიტერატურული ნაწარმოები სამი ტემპორალური - მოდელის ფარგლებში ფუნქციონირებს — ავტორისეული, მხატვრული და მყითხველისეული მოდელებისა, სადაც ავტორისეული და მყითხველისეული ტემპორალური მოდელები ესადაგება ლიტერატურული ტექსტის გარეგან ფორმას და მხატვრული ტემპორალური მოდელის გააზრებისა და აღქმის სხვადასხვა პოზიციებად გვევლინება. ამ პოზიციათა სტრუქტურული ურთიერთმიმართების დარეგულირების მიზნით, სპეციალურ ლიტერატურაში შემუშავებულია ფიზიკური და მხატვრული მეტრიკის (ცნებები. ფიზიკური მეტრიკა, თუმცალა, თავისთავად, ალნიშნავს თხრობისა და აღქმის ხანგრძლივობებს, მაგრამ მუდმივად განიხილავს მათ მოთხრობილის ხანგრძლივობასთან, ანუ „მხატვრულ მეტრიკასთან“ მიმართებაში: ავტორი მოგვითხრობს კონკრეტულ ამბავს გარკვეული დროის განმავლობაში და, ასევე გარკვეული დროის განმავლობაში, მის მონათხრობს აღიქვამს მყითხველი, ანუ ნაწარმოებში ფიქსირებული მხატვრულ-სიუჟეტური მოვლენა ნარმოადგენს როგორც ავტორის, ისე მყითხველის ინტენციის საგანს, მაგრამ განსხვავებული პერსპექტივიდან. იბადება კითხვა: რამდენად შესაძლებელია ავტორისა და მყითხველის კონტაქტის დადგენა ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთთან მიმართებაში და ამ კონტაქტის რა თეორიული და კომპოზიციური ფორმები არსებობს?

მიუხედავად იმისა, რომ თხრობის ხანგრძლივობა ავტორის პრეროგატივაა, ხოლო აღქმისა — მყითხველის, ურთიერთობა მათ შორის იმთავითვე განსაზღვრულია: აღქმის დროის ხანგრძლივობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია თხრობის დროის ხანგრძლივობასთან.

აღქმის დროის ხანგრძლივობა, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ორ პოზიციას განასხვავებს: კითხვის ხანგრძლივობასა და ნაკითხულის ცნობიერებაში ფიქსაციის ხანგრძლივობას. აქედან, თუ კითხვის ხანგრძლივობა სუბიექტისაგან დამოუკიდებელი, გარეშე მიზეზებით განისაზღვრება — შესაძლებელია კითხვის შენელება ან აჩქარება, ნაკითხულისაკენ მიბრუნება, შესვენება კითხვის პროცესში და სხვა, — ნაკითხულის ცნობიერებაში ფიქსაცია, პირიქით, სრულად ერთგვაროვანი ხანგრძლივობით ხასიათდება: იგი შეესაბამება თხრობის ხანგრძლივობას და ნაკითხული მასალა ურლევე მთლიანობას აღიქმება. აღქმის მთლიანობა განპირობებულია არა მარტო ნაკითხულის ცალეული დეტალების თანმიმდევრული, მწყობრი განლაგებით, არამედ მათი ორგანული გამთლიანებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის მუდმივი შერწყმის პროცესი, როდესაც ავტორი ტექსტის ფარგლებში ინვესტ მკითხველის ნარმოსახვას, ხოლო მკითხველი, ასევე ტექსტის ფარგლებში, პასუხობს ავტორის გამოწვევას. შესაბამისად, მკითხველისა და ავტორის კონტაქტი ინდივიდუალური თეორიული მოდელის სახეს იძენს კონკრეტული ლიტერატურული ეპოქის, სტილის, პრობლემატიკისა და მეთოდოლოგიის ფარგლებში: ლიტერატურის განვითარების ნებისმიერი ეტაპის, როგორც ტიპოლოგიურად და სტრუქტურულად მონესრიგებული მოვლენის, კონტაქტის ავტორისა და მყითხველის ურთიერთმიმართება კონკრეტული ლიტერატურული სისტემისათვის ნიშანდობლივი სტილისტურ და მეთოდოლოგიურ კანონებს ემორჩილება. გამონაკლისა ამ თვალსაზრისით არც მე-19 საუკუნის რეალისტური ლიტერატურა ნარმოადგენს.

რეალიზმის ლიტერატურული სკოლა ხაზგასმული ყურადღებით მოეკიდა ავტორისა და მყითხველის ურთიერთმიმართების საკითხს. მართალია, მოგვიანებით, მე-20 საუკუნის ლიტერატურულმა კრიტიკამ არაერთხელ გადასინჯვა „ავტორის“ პრობლემა ლიტერატურაში და, რბილად რომ ვთქვათ, მინიმალურად შეაფასა მისი როლი ტექსტში (ტ. ელიოტი, რ. ბარტი, უ. ჟენეტი და სხვ.), მე-19 საუკუნის ლიტერატურული ტრადიცია ვერ თავსდება ამ ინოვაციური გააზრების ფარგლებში: რეალისტური ლიტერატურის ნიაღში ავტორი და ავტორისეული ქრონოტოპი გვევლინება თხრობის კომპოზიციური და დრო-სივრცული როინტაციის ლერძად. ცხადია, აქტუალურია მყითხველისა და მყითხველისეული ქრონოტოპის — ინდივიდუალური რეცეფციის პროცესის — ფუნქციაც, მაგრამ, უმეტესწილად, ის რეგულირებულია ავტორის მიერ: ავტორი მიმართავს მკითხველს, უხსნის, განუმარტავს, ეკითხება, პასუხობს, უმტკიცებს, ანუ, საკმაოდ მნიშვნელოვანია იზერის ტერმინი რომ მოვიშველით, „ბუნდოვან ადგილებს“ თუ „ტექსტურულ გაურკვევლობებს“, რომლებიც უნდა შეავსოს ან თავსატეხებივით ამოხსნას მკითხველმა. ცნობილია, რომ კითხვის აქტი მუდმივად გახსნილი პერსპექტივა, რომელიც, ერთი მხრივ, ითვალისწინებს კონტექსტურ მოდიფიკაციებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს მკითხველის მაქსიმალური ფლექსიურობისა და ტრანსფორმაციის უნარის რეალიზებას. ანუ სხვადასხვა ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტის მკითხველი სხვადასხვაგვარად ერთვება ტექსტში და აღქმის პროცესი ინდივიდუალური აქტის სახეს იძენს. მე-19 საუკუნის რეალისტური ლიტერატურა, რომელიც ოსტატურად იყენებს ტექსტს სოციალ-ეროვნული, ეთიკური და ფილოსოფიური ხასიათის პრობლემების გახმიანების ტრიბუნად, თითქოს ხელოვნურად არღვევს რეცეფციის ამ ლოგიკას. რეალისტი მწერალი ცდილობს მკითხველის „დაყოლებას“, მისი

რეცეფციის პროცესის გარკვეულ კალაპოტში ჩაყენებას და ამ მიზნის მისაღწევად, აქტიურად მიმართავს ორატორული პრაგმატიკის თუმცა წაცად, მაგრამ სტილისტურად მოდიფიცირებულ ხერხს.

\* \* \*

ორატორული პრაგმატიკის საფუძვლები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩამოაყალიბა არისტოტელემ, როდესაც მაღალი რიტორიკის მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციათა შორის, საგანგებოდ გამოჰყო მისი სტილისტური ფუნქცია: მსმენელზე ზემოქმედების ორატორული ბერკეტების, სიტყვათა ლოგიკური განლაგებისა და საუბრისათვის შესაფერისი გამომეტყველების შერჩევა. სტილისტური ფუნქციის სამივე ზ.ჩ. კომპონენტი თანაბრად საჭიროა ორატორისათვის, თუმცა, მათი ხვედრითი წილი ბევრადაა დამოკიდებული ორატორის კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებზე. ასეთ შემთხვევაში, რომელი სტილისტური კომპონენტის გააქტიურებას უნდა ელოდეს მსმენელი მაშინ, როდესაც ორატორად მხატვრული ტექსტის ავტორი გვევლინება? ლიტერატურული ტექსტის ავტორი მხოლოდ მაშინ ირგებს ირატორის წილაბს, თუ მკითხველის რეცეფციისათვის მისთვის სასურველი გეზის მიცემას ცდილობს და მთავარ იარაღად, ცხადია, სიტყვას აქცევს, სიტყვათა განლაგებას — კავშირსა და ინტონაციას. სიტყვის ეს რიტორიკული ფუნქცია განსაკუთრებული ეფექტურობით გამოიყენეს შეა საუკუნეების მოღვაწეებმა. არისტოტელესული შეგონება — „სიტყვა შედეგება ორი წანილისაგან, რადგან აუცილებელია დაადგინო ის საგანი, რაზედაც მსჯელობ და დამატებიც კიდეც“ (არისტოტელე 1981: 195), ამასთან, „საპუთები დამაჯერებელი უნდა იყოს“ (არისტოტელე 1981: 206) — ადრეული შეა საუკუნეების მოაზროვნებმა ოსტატურად გადმოანაცვლეს მხატვრული ტექსტის სიბრტყეზე და ალეგორიული ეგზეგეტიკის უმთავრეს არნამენტად გარდაქმნეს. ალეგორიული ეგზეგეტიკის მეთოდის შესაბამისად, ავტორის პოზიცია (ძირითადად, ბიბლიურ ტექსტებთან მიმართებაში), როგორც უტყუარი ჭეშმარიტება, მოხერხებულად განთავსდა „სხვაგვარად თქმის“ სტილისტური ხერხის ყალიბში. ალმოჩნდა, რომ ნებისმიერი ტექსტი შეიძლება დაემორჩილოს ალეგორიული რეინტერპრეტაციის პროცესს, რომლის წიაღშიც განხორციელდება მოვლენის დამაჯერებელი გადააზრება, ხოლო წარმმართველ როლს შეასრულებს ავტორის კონცეპტუალური სტრატეგია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს პორფირიუსმა, პროკლემ, ნეტარმა ავგუსტინემ, მოგვიანებით — დანტემ, რომლებმაც, „სხვაგვარად თქმის“ მეთოდოლოგიის დანერგვით შეძლეს არამარტო ქრისტიანული თეოლოგიის ტრადიციის, არამედ ტექსტების ინერპრეტაციული მრავალფეროვნების კულტურის ჩამოყალიბება. ორატორული პრაგმატიკა წარმატებით მოდელირდა პოეტიკურ სისტემაში.

ქრისტიანული აზროვნების წიაღში ფესტივალი ტრადიცია მეტ-ნაკლები უპირატესობით გაგრძელდა შემდგომი ეპოქების ლიტერატურულ აზროვნებაში: თუ წერელასიკური ესთეტიკური კონცეპტი რიტორიკული სტილის გადაჭარბებულ დოზას ითვალისწინებდა, რითაც აზარალებდა ტექსტის მხატვრულ პრატის და მეტად მოსაწყენს, მკაცრად დიდაქტიკურსა და ლოგიკურს ხდიდა თხრობას, მას თითქმის არ აქცევდნენ ყურადღებას რომანტიკოსები, რაც მეორე უკიდურესობას წარმოადგენდა. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან გაძლიერებულმა რეალისტურმა ტენდენციამ აღადგინა დარღვეული ბალანსი და ორატორული პრაგმატიკა კვლავაც ნორმირებული რეჟიმის პირობებში ჩაყენა. პროცესის მოწესრიგებაში გადამწყვეტი როლი მიენიჭა ავტორისა და მკითხველის ურთიერთმიმართების სტრუქტურულ დარეგულირებას: ავტორი გამოიკვეთა როგორც კონცეპტუალური ლიდერი, ტექსტის წარმმართველი კოორდინატა, ორატორი, ხოლო მკითხველი წარმოჩინდა როგორც ავტორთან აქტიურ დაილოგი ჩაბმული მოსაზრე, ინტელექტუალური პარტიორი, რომელიც უსმენს ავტორს და რომლის მხარდაჭერასაც მუდმივად საჭიროებს ავტორი. გამომდინარე აქედან, რეალისტური ლიტერატურა და, ცხადია, ქართული რეალისტური ლიტერატურაც, დაეფუძნა ორატორული პრაგმატიკის მოდიფიცირებულ, დიალოგურ მეთოდს და მაქსიმალურად გაააქტიურა ავტორისა და მკითხველის ურთიერთობა ტექსტში კომპოზიციური კვეთის მეშვეობით. კომპოზიციური კვეთის საუკეთესო ფორმად მკითხველთან ავტორის ლია დიალოგი იქცა, საუბარი ე.წ. „გახსნილი ტექსტით“, როდესაც ავტორი ტექსტშივე აფიქსირებს თავისი ურთიერთობას მკითხველთან და გულწრფელი საუბრისაკენ მოუწოდებს მას. ურთიერთობის ფიქსაცია, არა მარტო თვალსაჩინოებას სძენს ავტორისა და მკითხველის კონტაქტს ტექსტში, არამედ გამოკვეთს სტრუქტურული მიმართების — ავტორისეული ქრონოტოპი — მხატვრული ქრონოტოპი — მკითხველისეული ქრონოტოპი — შინაარსობრივ და კომპოზიციურ მნიშვნელობას.

მკითხველთან დიალოგის მოსურნე რეალისტი ავტორი, ერთი მხრივ, სიტყვის მესაჭის, ტექსტის გზამკვდევის, ერთგვარი მიმართულების მიმცემის ფუნქციითაა აღჭურვილი, ხოლო, მეორე მხრივ, იგი მუდმივად საჭიროებს და მოელოდება მკითხველის მაქსიმალურ მხარდაჭერას. ცხადია, მკითხველი, შეიძლება არც დაეთანხმოს მას, მაგრამ, ვალდებულია, გაითვალისწინოს იგი, როგორც მოსაზრე და პარტიორი. მსგავსი ურთიერთობის რეალიზმის საუკეთესო ფორმას რეალისტურ ლიტერატურულ ტრადიციაში წარმოადგენს ავტორის მიმართვა მკითხველისადმი, ხერხი, რომელსაც წარმატებით ითვისებს ზოგადად რეალისტური ლიტერატურა, ხოლო „ქართული საკითხავით“ მხრებდამძიმებული ქართული რეალიზმი მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება.

\* \* \*

„ქართული საკითხავი“ იმ საჭირბოროტო პრობლემათა ერთობლიობაა, რომლებიც მუდმივად თან სდევდა (და სდევს) ქართველი ერისა და მისი ლიტერატურის ისტორიას, თუმცა XIX საუკუნეში,

ქართული რეალიზმის ლიდერის, ილია ჭავჭავაძის ნააზრევში, იგი მკვეთრად გამოხატულ სისტემად ჩამოყალიბდა და სამოქმედო ლოზუნგის — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — სახე შიიღო.

ილია ჭავჭავაძე გაცილებით მეტს მოითხოვდა საკუთარი თხზულებებისგან, ვიდრე ეს ერთი მწერლის შემოქმედება იყო: იგი არა მარტივად „წამკითხველთ“, არამედ თანამოაზრებსა და გულშემატკივრებს, შესაბამისად, საიმედო დასაყრდენს ეძიებდა ქართულ საზოგადოებაში. მას არ სჭირდებოდა სეირის მაცეკერალი მკითხველი, რომელიც რამდენიმე საათით შეიქცევდა თავს კითხვით და დასცილდებოდა. დასუსტებული, მოდუნებული, „გულგრილობის მორევში“ ჩაძირული საქართველოს ჭირისუფალს კარგად ჰქონდა შეგნებული თანამებრძოლთა გამოჭედვის აუცილებლობა. ასეთ დროს სწორედ რომ საუკეთესო მოკავშირედ მოჩანდა ორატორული პრაგმატიკის ლიტერატურული მოდიფიკაცია ავტორის როლის აქცენტირებითა და მკითხველთან გაძლიერებული კონტაქტით. ილიაც სიამოვნებით დაეყრდნო მას და ჯიუტად შეუდგა მკითხველის „მოთვინიერებას“.

ილია ლიად იწვევს დიალოგში თავის მკითხველს: უყვება, უსაბუთებს, უხსნის, განუმარტავს, ეკითხება, პასუხობს, ანუ მოუღლელად და თავდაუზოგავად ესაუბრება თავის ერს. ილიას ორატორული პრაგმატიკის მთავარი ბერკეტი ზნეობრიობაა, ვინაიდან მშვენივრად უწყის: „მოლაპარაკის ზნეობას უდიდესი ზემოქმედებითი ძალა აქვს მსმენელებზე, რომელთაც სიტყვით აღტაცება შეუძლიათ“ (არისტოტელე 1981: 36). მას გაცნობიერებული აქვს, რომ: „სიტყვა, მიმართული მსმენელებისადმი, გამიზნულია ან იმისათვის, რომ ორატორმა მსმენელთა კეთილგანწყობილება მოიპოვოს, ან იმისთვის, რომ მათში ბრაზი გამოიწვიოს, ან მათი ყურადღება მიიპყორს, ანდა პირიქით. რადგან მსმენელის ყურადღების მიყყორბა ყოველთვის არაა სასურველი, ამიტომ ბევრი ორატორი ცდილობს მსმენელი გააცინოს. ყოველივე ეს კი იწვევს იმის უკეთ გაგებას, რასაც ურჩევენ და აგრეთვე იმას, რომ ორატორი ზნეობრივად წმინდა პიროვნებად მოჩანდეს. რადგან უფრო მეტად ასეთ ორატორებს უსმენენ ხოლმე. მსმენელები თანაუგრძნობენ დიდს, თავისებურს, საკვირველს, სასიამოვნოს“ (არისტოტელე 1981: 198). ილიაც ყველა საშუალებით ცდილობს მკითხველის ყურადღების მიყყორბას და ნდობის მოპოვებას. საეტაპო მნიშვნელობის მქონე თხზულებებში — „მგზავრის ნერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „კაცია-ადამიანი?“ — სადაც იგი მთელის ძალითა და ენერგით უტევს „ქართულ საკითხებს“ და არა მარტო მას, ილია მაქსიმალურად აქტიურებს კონტაქტს მკითხველთან. ავტორისა და მკითხველის ურთიერთობის ფიქსაცია ტექსტში ავტორის მკითხველისადმი რეგულარულ მიმართვებში ხორციელდება.

თხზულებაში „მგზავრის ნერილები“ იგი მთავარი პერსონაჟის პირით გადმოიცემა:

„ოთხი წელინადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელინადი! .. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელინადი რა ოთხი წელინადია!..“ (ჭავჭავაძე 1950: 10).

ალნიშნული მიმართვა „მგზავრის ნერილების“ კონცეპტუალურ ლაიტმოტივს წარმოადგენს: მას ეფუძნება თხზულების შინაარსობრივი და კომპოზიციური პირამიდა. სახეზეა მკაცრად მოტივირებული რიტორიკული დიალოგი მკითხველთან, რომელიც ადგენს ავტორისა და მკითხველის ურთიერთობის ჩარჩოს და განსაზღვრავს ამ ურთიერთობის ხასიათს ნააციის პროცესში. შემდგომი თხრობისას მსგავსი ტიპის მკვეთრი მიმართვა მკითხველისადმი თუმცა არ ფიქსირდება, მაგრამ მძაფრად შეიგრძნობა ემოციური ქვეტექსტების მეშვეობით. გამონაკლისს წარმოადგენს ნანარმოების დასკვნითი, მერვე თავი, სადაც ავტორისა და მკითხველის კონტაქტი ტექსტის დონეზე კვლავაც აქტიურ ფორმას იძენს — ავტორი ამთავრებს საუბარს თავის დაკვირვებულ მკითხველთან და აჯამებს ნარაციის შედეგებს:

„მე, გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსნებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმსივე ფერი შემერჩია და იმის სიტყვისათვის იმსივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრავაც შემისრულება“ (ჭავჭავაძე 1950: 30).

თხზულებაში „ოთარაანთ ქვრივი“ ავტორის ერთადერთი პირდაპირი მიმართვა მკითხველისადმი გიორგის პერსონაჟს უკავშირდება, რაც წარმოაჩენს მკითხველის მიერ გიორგის პერსონაჟის გააზრების მნიშვნელობას ავტორისათვის:

„გიორგი კი როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისე იმათვის გამოცანა იყო“ (ჭავჭავაძე 1950: 295).

მწერალი თითქოს თავაზიანად ეპატიუება მკითხველს თავისუფალი ინტერპრეტაციის სამყაროში, მაგრამ ეს „თავისუფლება“ მაქსიმალურადა მართული: ილია ნაბიჯ-ნაბიჯ ხსნის „დედა-შვილობისა“ და „ხიდჩატებილობის“ პრობლემათა ეპიცენტრში მოქცეული პერსონაჟის გამოცანას ტექსტში და მკითხველსაც თან იახლებს.

ჩევნთვის საინტერესო მესამე თხზულება „კაცია-ადამიანი?“, გამორჩეულად უხვადაა დატვირთული მკითხველისადმი მიმართვებით. როგორც ჩანს, თხზულების პრობლემატიკის მაქსიმალური ექსპონირებით ფრთაშესმულმა ილიამ ზედმინევნით კარგად მოირგო ორატორის ტრიბუნა. მკითხველისათვის განკუთვნილი რიტორიკული მიმართვები, შეკითხვები თუ შეძახილები კლასიკური რიტორიკის სტილშია შესრულებული და ლიტერატურული რიტორიკის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს:

„არ გეგონოთ, მკითხველო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბსა და მის-გამო იყოს ეგრე გულშეუტკივრად თავმინებებული“ (ჭავჭავაძე 1950: 127); „ეს ქონება, ყმებიდან დაწყებული ცხენამდინა და მინამდინა, იმის ხელში, — ვინც გამოყენება იცის, — კი ლუქმა არის. მაშ რაღად სდგას ეგრე ცუდად? მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ რომ ქართველია, — მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით“ (ჭავჭავაძე 1950: 128); „მკითხველო ხომ არ მოგეწყიბა? .. მაგრამ ეს უნდა იცოდე, შენ, მკითხველო, რომ მე ამისა ქვემოვნება ხელის მოწერელი მკითხველის გასართველად არ ვწერ ამ უხეირო მოთხოვნასა. მე მინდა ამ მოთხოვნაბა ჩააფიქროს მკითხველი და, თუ მოიწყენს, ამის გამო მოიწყინოს, იმიტომ რომ ფიქრი და მოწყენა გაუყრელნი და-ძმანი არიან. მე მინდა,

რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს, რომ გასართველი არ არი, არამედ იმიტომ რომ ჩამაფიქრებელია. თუ ამოდენა იხერხა და შესძლო ამ უხეირო წერილმა, მე ამის მეტი არა მინდა რა და არც მდომებია, ჩემო მოწყენილო მკითხველო!“ (ჭავჭავაძე 1950: 131); „ნეტავი იმათ, მკითხველო! . . .“ (ჭავჭავაძე 1950: 137); „ლუარსაბი დაგვიღონდა, მკითხველო!“ (ჭავჭავაძე 1950: 164); „ბოლოს ხომ, — შენც იცი, მკითხველო, — რომ ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ“ (ჭავჭავაძე 1950: 192); „აღარ გაათავებ?“ — მკითხავს მოწყენილი, და იქნება გაჯავრებულიც, მკითხველი. — როგორ არა! გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმითი, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისთანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, მაშ რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზედ? — დაიძახებს ჩემთან ერთად დაღონებული მკითხველი. მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი“ (ჭავჭავაძე 1950: 220); „მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია, მაგრამ არ გითარგმნი კი, მკითხველო!“ (ჭავჭავაძე 1950: 221); „მე გავათავე და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო“ (ჭავჭავაძე 1950: 221); „სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა“... (ჭავჭავაძე 1950: 223).

მკითხველისადმი ავტორის ესოდენ ხშირი მიმართვები, რომლებიც გაჯერებულია არა მარტო ცალკეული ფრაზებით, არამედ სერიოზული მსჯელობებითა და დასკვნებით (განსაკუთრებით ბოლო თავში), არამარტო სრულიად აშკარად და დაუფარავად აფიქსირებს კონტაქტს ავტორი — მკითხველი, არამედ ნარმოაჩენს ავტორისეული და მკითხველისეული ქრონოტოპული მოდელების მყარ პოზიციურ კავშირს, გამოკვეთილს მხატვრულ ქრონოტოპულ მოდელთან მიმართებაში. დაცულია ფიზიკური მეტრიკის ნორმა: ავტორის ყურადღება, დროის გარკვეულ მონაკვეთში, კონცენტრირებულია კონკრეტულ საკითხზე და, ასევე დროის გარკვეულ მონაკვეთში, ალიქვამს მას მკითხველი. ავტორისა და მკითხველის კონტაქტი ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთთან მიმართებაში დადგენილია ორატორული პრაგმატიკის მეთოდის ფარგლებში და გამოხატულია კომპოზიციური კვეთის ფორმით. ავტორისა და მკითხველის ურთიერთობა ფიქსირდება ლიად, ე.წ. „გახსნილი ტექსტით“, სადაც ავტორი გვევლინება დიალოგის მესაჭედ, მკითხველი კი — მის აქტიურ მსმენელად. ილია, როგორც ჭეშმარიტად რეალისტი მწერალი, არასოდეს იგინწყებს „თავის მკითხველს“, მას, ვისთვისაც ქმნის, შრომობს, იღვნის და იბრძვის.

\* \* \*

...ავტორისა და მკითხველის ურთიერთობა ტრადიციული ლიტერატურათმცოდნებითი სამკუთხედის — ავტორი, ტექსტი, მკითხველი — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი მახასიათებელია. ტექსტი ისევე არ მოიაზრება აღმქმელი სუბიექტის ანუ მკითხველის გარეშე, როგორც არ შეიძლება მოაზრებულ იქნას ავტორის გარეშე. ავტორისა და მკითხველის კონტაქტის სპეციფიკას განსაზღვრავს და ადგენს ლიტერატურული ეპოქა მისი ესთეტიკური პრინციპებითა და მეთოდოლოგიური კანონებით.

რეალიზმის ეპოქაში განსაკუთრებულად ფასობს ავტორისა და მკითხველის ურთიერთობა ტექსტში. რეალისტი მწერალი არც წეოკლასიკური ეპოქას დიქტატორია, მაგრამ არც რომანტიზმის ეპოქის ლიბერალი — რეალისტი მწერლები ძალიან ჰქვანან პულტან მდგომ დირიჟორებს, რომლებიც, თუმცადა აკონტროლებენ ორკესტრის (ტექსტის) ყოველ ბერებს (სტრუქტურულ რეოლს), ნარმატებისათვის მუდმივად საჭიროებენ მხარდამჭერთა აპლიდისმენტებს. ორატორული პრაგმატიკის მოდიფიცირებული პოეტიკური სისტემის პრინციპებით შეიარაღებული რეალისტი მწერლები მკითხველის გულისა და გონების „დაპყრიობას“ ესწრაფვიან, ცდილობენ, თანამოაზრებად აქციონ ისინი, გულშემატკივრებად, რომლებთანაც ყოველთვის შეიძლება კონსტრუქციული დიალოგის ნარმოება.

#### დამოწმებანი:

**არისტოტელე 1981:** არისტოტელე. რიტორიკა. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981.

**ჭავჭავაძე 1950:** ჭავჭავაძე ი. თბზულებათა სრული კრებული ათ ტომად. პ. ინგოროვას რედაქციით. ტ. II. თბ.: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1950.

## ნანა გონჯილაშვილი

### „ბაზალეთის ტბის“ განმსაზღვრელი სამი სახე-იდეა (ოქროს აკვანში მყოფი ყრმა, „ვაჟა-პატარა სახელოვანი“ და „დედა სახელდებული“)

ლვთიური მადლით ცხებული, ქვეყნად ცით მოვლენილი და ერის წიაღში — “მიწიერში” გაზრდილი „ზეციერი“ პოეტი, ქვეყნის წინამძღვროლი, გზის დამსახავი უნდა იყოს. ილიას აზრით, ამ უდიდესი მისის ტვირთვა მხოლოდ ერის სულიერ შვილს ძალუძს, რაც უდიდესი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა ზეცისა და ქვეყნის მიმართ. სულიერ შვილად — „ერის მოძმედ“ მყოფობა მის ბედსა და უბედობაში, „ჭმუნვასა და სიხარულში“ თანაზიარობას ნიშავს. თავად ღმერთითან „მოლაპარაკე“ ილია, ერის წყლულით დაწყლულებული, მისი ტანჯვით ნანამები სსულითა და შეუდრეველი, „მტკიცე გულით“ ოცნებობს და ისწრაფვის ერისათვის „ტანჯვის ცრემლის“ მოწმენდას. გულში ცეცხლად გაღვივებული ეს ლვთაებრივი მისია, მთელი სისრულით უნდა „აღფეთქდეს“ და გამოვლინდეს კაცი-ადამიანის არსებაში. მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი ჭეშმარიტი, არა მარტო ტკბილი ჰანგებით აღვსილი, „მღერა“ — მამული შვილობა. ილიას ეს მრნამსი მისი სიტყვისა და საქმის მთლიანობის განსხვაულებაა. წარსულის, აჩმყოსა და მომავლის ერთ უწყვეტ მდინარებად, უამად ჭვრეტა მხოლოდ ილიას მსგავს პიროვნებებს ძალუძთ. ამ გზით არის შესაძლებელი სულისათვის აღთქმული უკვდავების მოპოვება და სიცოცხლის ფილოსოფიის წვდომა.

“ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, - ეს მომავლისკენ მიზანსწრაფული, აწმყოს ტკივილიანი სევდაა წარსულზე. ილიას ამ სიტყვები ცხადდება ლეიბნიცისეული აზრი — „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, რაც ოდენ ბუნების ლვთაებრივ კანონზომიერებას როდი გულისხმობს; თავისუფლებადაკარგული, ტყვედპყრობილი მამულის ხსნა მხოლოდ თავისუფლებაშია. დარჩეილი, თავმოდრეკილი, დაცემული და დაკინიბული აწმყო ყველაზე მეტად გრძნობს და აფასებს წარსულის მთავარ მონაპოვარს. ამის შეგრძნება და გათავისება კი მომავლის გზათა ძიებისა და ხსნის პირობაა. წარსულ დიდებაზე უნდა აშენდეს მომავალი. ამ მრნამსით აღდესილი ილია დროის უწყალოებით დანორქმულ, გამქრალ ძლევამოსილებაზე დარდისა და ნაღველის „ჩაკვლას“ ქადაგებს, რაც ფუჭი ოცნებაა და დროის კარგვაა მხოლოდ. ეროვნული ლირსებებისა და ნაკლოვანებების შეგნება, „ახალ ვარსკვლავს“ მიდევნებული ჯვანსალი „მყობადის“ შობა და მომავლის მიცემაა ჭეშმარიტ მამულიშვილთა მთავარი დანიშნულება და „საღმრთო ვალი“. ილიას საფიქრალი, „ზრუნვის საგანი“, დასმული კითხვები, წამოჭრილი პრობლემები და გამხელილი სატკივარი შესაზღლებელია სამი სახე-ხატით წარმოჩნდეს: მძინარე მამული, მხსელი გმირი, მძინარება — „გაზაფხული“.

თავისუფლებადაკარგული სამშობლო ანუ ნებელობის არმქონე ერი, „სულდაგუბული“, „გულგალეული“, „ხორცდამდნარი“ ქართველობა — ამგვარია ილიასდროონდელი საქართველო. წინაპართაგან დარჩენილი სამი საუნჯე — მამული, ენა, სარწმუნოება — შეიბლალა, გავერანდა, შეირყა.

„ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავულელეთ მეერდი და ამ მეერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი“ (ჭავჭავაძე 1984: 679), — ამბობს ილია და ეროვნული ლირსების გახსენებით რწმენის განმტკიცებას ცდილობს.

ამქეყნიურ ჯოჯოხეთსა და განსაცდელში ჩავარდნილ ერს აწმყოს უარსაყოფად და მომავლის შესაქმნელად სულიერი წინამძღვროლი სტილება, „ცნობიერთა დასტაქარი“ და „სევდის მუფარახი“ რაინდი, რომელიც სამშობლოს ღვიძლ სიტყვას ეტყვის და გულისტკივილს მოურჩენს, დავრდომილს ალადგენს და უნუგემოს ანუგეშებს, ცრემლს მოსწმენდს უიმედოდ მყოფ ქვეყანას. მომავლის შინაგანი რწმენითა და იმედით აღვსილი ილია, ლვთაებრივი ნების ალსარულებლად და დაკარგული ჰარმონის, „მშვენიერი ქვეყნისა“ და „მშვენიერი ერის“ ალსადგენად დაეძებს გმირს „უამად“ რომ მოევლინება ხოლმე მამულს მხსნელად.

„მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომლისთვისც ვტირით?“ — სვამს კითხვას ილია და პასუხი ამოიკითხება მისსავე ლექსში — „პაზალეთის ტბა“. მასში პოეტის ნატვრა — იდეალი მხატვრულადაა ხორცშესმული და თავისუფლების მიმტანი გმირის მოვლინებაზე ოცნებაა გამჟღავნებული.

მეცნიერ-კრიტიკოსთა უმრავლესობა (პ.რატიანი, ალ.აბაშიძე, გ. ქიქოძე, ლ. მინაშვილი) ამ რაინდად მიიჩნევს ბაზალეთის ტბის ძირას მდგარ აკვანში მყოფ ყრმას. მაგალითისათვის მოვიყვანთ გ. ჯიბლაძის სიტყვებს: „...ერის ცრემლი თუ არ ედინება გმირის სახელს, თუ მან ერის ტანჯვა ვერ გაიგო, ამავე დროს, ერმა თავისი მფარველი კალთა არ გადააფარა, ისე კაცი გმირად ვერ გაიზრდება, ხოლო გმირი თავის აღმზრდელ ერს გმირობას ვერ გაუწევს... ლექსის უკანასენელ სტროფებში ილიამ მთლიანად გაამჟღავნა ეს იდეალი და ლეგენდარულ ყრმასაც მომავალი გზა დაულოცა ერის საბედნიეროდ“ (ჯიბლაძე 1983: 276); ან კიდევ, „პაზალეთის ტბა“, რომელიც მიძღვნილია იმ გმირი ყრმისადმი, „ვისაც დღე-და-ღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“ (რატიანი 1949: 254).

ასეთი მოსაზრება ტრადიციულ შეხედულებად იქცა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოშიც ლექსი ამგვარი დატვირთვითაა მოწოდებული. თავისთავად, „პაზალეთის ტბის“ იდეა და პრობლემატიკა საკამათო არაა, მაგრამ ტრადიციულ შეხედულებაში ეროვნული გმირის პერსონა დაკარგულია. ლექსის დეტალური ანალიზი, ჩვენი აზრით,

სხვაგვარ წაკითხვას წარმოაჩენს. „ბაზალეთის ტბაში“ სამი სახე-სიმბოლო შეიძლება გამოიყოს: „დედა სახელდებული“, „ვაჟაცი სახელოვანი“ და ოქროს აკვანში მყოფი ყრმა.

ლექსი ლეგენდის საფუძველზეა შექმნილი, რაც პოეტური წარმოსახვის უსაზღვრო შესაძლებლობას ქმნის. მასში მრავლადაა მითოლოგიურ-ალეგორიული პლასი, რომელსაც პოეტი ქრისტიანული სიმბოლიკით ტვირთავს.

ლ.მინაშვილი აღნიშნავს, რომ „ბაზალეთის ტბა“ ინტელექტუალიზირების გამოვლენის თავისებური სახეა: „ინტელექტუალიზირებას აქ უკვე ის ფაქტი განაპირობებს, რომ პატრიოტული განცდა ლექსში ლეგენდურ ფორმაშია გახვეული, წარსულში და შორეულშია გადატანილი... ლექსის ლეგენდური შინაარსი, განცდის წარსულიდან მომდინარეობა ამ იდეალს ამაღლებულს, საოცნების და პოეტურს ხდის“ (მინაშვილი 1995: 179-180).

ლექსი იწყება ბაზალეთის ტბის ძირას, წყლის ქვეშ არსებული წალკოტის აღწერით. იგი „უცხოა“, რაც მის განსაკუთრებულობასა და იდუმალებას მოასწავებს, მისკენ სწრაფვისა და მისი შეცნობის სურვილს აძლიერებს. ეს „უცხოობა“ მის არაჩვეულებრიობაშია: მარადმწვანეა წალკოტი და „ქვეყნისა დროთა ტრიალსა იგი არ ემორჩილება“, სიცხე და ზამთარი მის სიმწვანეს ვერ ხელყოფს.

ზოგადად, გაზაფხული და „მწვანე“ (სიმწვანე) განახლების, ცხოველმყოფელობის სიმბოლოა და სულიერი შინაარსით აღდგომას უკავშირდება. წალკოტის სიმწვანის დრო-უამს დაუმორჩილებლობა, მარადფერობა ღვთაებრიობაზე მიანიშნებს: „რომელი-იგი უფლებს ძალითა თვისითა საუკუნეთა“ (ფსალმ. 65,7).

ილია სწორედ ამ თვალსაზრისით მსჭვალავს და აერთიანებს „მწვანისა“ და „გაზაფხულის“ ცნებებს:

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს  
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,  
და იმის მზიან ჩრდილებში  
მუდამ გაზაფხული არი.  
(„ბაზალეთის ტბა“)

აქვე შემოდის „მზიანი ჩრდილის“ მეტად ტევადი მხატვრული სახე, რაც ანტინომიას, ნათლისა და ბნელის ერთადმყოფობას გულისხმობს. იგი ერთგვარად „მზიან ლამეს“ მიემართება და მოასწავებს, „რამეთუ ბნელი შენ მიერ არა დაბნელდეს, და ლამე, ვითარცა დლე განათლდეს; ვითარცა ბნელი მისი, ეგრეცა ნათელი მისი“ (ფსალმ. 138,12). სწორედ სიბნელეში ხდება ნათლის ჭვრეტა და ღვთაებრივი ჭემმარიტების შეცნობა: „ხოლო ლამე განმანათლებელ იყოს ფუფუნებისა ჩემისა“ (ფსალმ. 138,11). მირიან მეფის სულშიც ხომ სიბნელის გზით (მზის დაბნელებით) იშვა და გამობრწყინდა დიდი ნათელი – ქრისტე: „შუა ლამესა მიჩურნა მზე იგი სიმართლისა ბრწყინვალედ“ („ნინოს ცხოვრება“ 1963: 158). „მზიანი ჩრდილი“ და „მზიანი ლამე“ ერთი და იმავე შინაარსის შემცველი სახე-ხატება. ზემოაღნიშნულის მიხედვით, ლექსში თანდათანობით იკვეთება სხვადასხვა სახე-სიმბოლოები, რომელთა განმსაზღვრელია ღვთაებრიობა; წალკოტი-ბალი-სამოთხე; სიმწვანე, ყვავილობა, გაზაფხული – მარადიულობა, განახლება – აღდგომა და „მზიანი ჩრდილი“.

„ბაზალეთის ტბის“ აყვავებულ წალკოტთან, მის მარადიულ სიმწვანესთან და გაზაფხულთან მიმართებით საგულისხმოა „ნინოს ცხოვრებაში“ მცხეთის პატიოსანი ჯვრის შესამქმნელი საჯვრე ხის აღწერილობა: „ხოლო უამსა მას გაზაფხულისა პირისასა სხუად ხე ყოველივე ჭმელი იყო და ესე ფურცელ-დაუცუივნებელ და სულ-ჰამო, და ხილვათა შეუნიერ იყო ხე იგი“ („ნინოს ცხოვრება“ 1963: 148). ქართლის ერი განცვიფრებინა „მწვანის ფერობასა მას“ („ნინოს ცხოვრება“ 1963: 148). „ნინოს ცხოვრების“ ჭელიშური რეაქციის ავტორი აქვე განმარტავს ხის სახისმეტყველებას: „...და შუნიერი ფრიად, ვითარცა მადლითა ქრისტე შემოსილი“ („ნინოს ცხოვრება“ 1963: 86). იგი ეხმანება ფსალმუნის სიტყვებს: „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“ (ფსალმ. 92, I). სადაც უფალია, იქ მშვენიერება მადლით იმოსება. ქრისტიან ავტორთა თვალთახედვით, საჯვრე ხეც ამიტომა მშვენიერი. წყაროს თავზე მდგარი ეს ხე (გადმოცემით ალვა), არ იცვლიდა სიმწვანეს და ფურცლოვანებას. მის შესახებ მთავარ-დიაკონს უთქვამს დავთინის ერთი მუხლი: „ეს ხე არს დანერგული თანა წარსავალსა კლდისასა ზეგარდმომთა ცუარითა მორწყული და ფურცელი მისნი არა დასცვენ უკუნისამდე“ („ნინოს ცხოვრება“ 1963: 86). ხე საკვირველია თავისი ხილვით, რადგან „ზეგარდმო ცვარითა“ მორწყულ-ნასაზრდოები. ამდენად იგი ღვთაებრივია და უკუნისამდე მისი სიმწვანე-ცხოველმყოფელობა. შემდგომში ეს ხე მცხეთის პატიოსან ჯვარში აგრძელებს სულიერ სიცოცხლეს.

„ბაზალეთის ტბის“ სახისმეტყველებითი სახე-სიმბოლოები მეტად მსგავსობს „ნინოს ცხოვრების“ სახეებს. მათ ერთიანად მსჭვალავს ღვთაებორივი შინაარსი, მითოსურის დესაკრალიზებითა და ქრისტიანული სულიერებით ამეტყველებული.

ლექსი გვამცნობს, რომ ტბის ძირას, წალკოტში ოქროს აკვანი „არისო“. ეს უკანასკნელი სიტყვა იმთავითვე მიგვანიშნებს მასში გადმოცემის, თქმულების არსებობაზე („ამბობენ“ არისო). ილია წალკოტის უცვლელობასა და გარინდებულ სიმშვიდეს მხოლოდ გრძნეული სირინოზებით ახმიანებს, რომლებიც გალობა-სიმღერით თავს ეხვევიან ყრმას. ლექსში მითურ არსებათა – სირინოზთა შემოყვანა არამინიერ, ზღაპრულ წალკოტში მყოფობის განცდას აძლიერებს. ამასთანავე მიგვანიშნებს, რომ წყლის ქვეშ რაღაც იდუმალი, კაცთაგან ხელუხლებელი, წმინდა სიცოცხლეა არა მარტო მარადი ყვავილობა – გაზაფხულით, არამედ ჯადოსნური, დამატყველებელი გალობით შესხმული და ტრფობით აღვისილი. ლექსის ეს ეპიზოდი ეხმანება მცხეთის სამოთხეში წმ.ნინოს ხილვას უშვილო ანასტოსთან დაკავშირებით: „მოვიდიან მფრინველი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან

სამოთხესა მას, და ბაბილოსა მას მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და მოწლედ ჩემდამო ლალადებდ, რეცა ჩემი არს სამოთხეს იგი. გარე მომადგიან შუღლავილით და ჭმობედ ჩემდა მომართ მრავალფერად. და შეუნიერად იყო ხილვად მათი“ (“ნინოს ცხოვრება” 1963: 123). ბალი-სამოთხე, „მფრინველნი ცისანი“, მათი მდინარეში განბანვა, წმ. ნინოსადმი დაღადება-უღავილით „გარს მოდგომა“ და სამოთხის ხის კუთვნილებად ხმობის მთელი ეს სურათი „ბაზალეთის ტბის“ სილრმეში იხილვება: წყლის ქვეშა ნალექმში ოქროს აკვნის ყრმაზე მითურ სირინოზთა თავს მოვლება და გალობა-ტრფობით შემკობა სამოთხის ყრმისაგან ფლობის მაჩვენებელია.

საინტერესოა „ბაზალეთის ტბის“ ოქროს აკვნის ისტორია. ილიამ ხალხური თქმულება ლიტერატურულ ნანარმოებად გარდასახა, საერთო მოყელის შენარჩუნებითა და იმავდროულად სხვაგვარი სახისმეტყველებითი სემანტიკით. ლეგნდა გვამცნობს, რომ ერთ პატარძალს კოშკში ოქროს აკვანში ჩანვენილი, ოქროსქოჩირიანი ვაჟი ჰყოლია. ჭიდან წყლის ამოღების შემდეგ, მას პირახდილი დარჩენია ჭა, საიდანც ძლიერი წყალი ამოვარდნილა და მთელი სოფელი კოშკიანად ჩაძირულა. ლექსის მიხედვით კი ოქროს აკვანი თურმე თამარ მეფეს ჩაუდგამს, ქართველ ერს კი დადენილი, ტბადქცეული ცრემლი კარვად გადაუხურავს ოქროს აკვანში მყოფი ყრმისათვის:

ამბობენ, — თამარ დედოფალს  
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,  
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით  
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამ აქტით ლექსში მთავრდება ლეგნდა, რომლის იდუმალი არსი გამოუთქმელი რჩება და პოეტს წარმოსახვის უსაზღვრო შესაძლებლობას უტყვეს. „ბაზალეთის ტბაში“ ლეგნდა არ გვიმხელს, თუ ვინ წევს აკვანში, ან ერი რატომ დვრის ცრემლს ამ ყრმისათვის. აქ ილია ხმამაღლა ფიქრობს და კითხვის ფორმა აქვს მის სათქმელს, რომელიც ერთდროულად პასუხსაც მოიცავს:

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,  
ვისიც არ ითქმის სახელი,  
ვისაც დღე-და-ღამ ჰატრულობს  
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

თავის მხრივაც პოეტი ტაბუს ადებს აკვანში მწოლარე „ყრმის“ ვინაობას, რითაც ხაზს უსვამს მასში დვთავებრივის, „უცნაურისა და უთქმელის“ არსებობას. იგი ქართველთა მუდმივი, მხოლოდ ფარული, ჩუმი ნატვრაა, რომლის ხმამაღლა წარმოთქმის არც მოთხოვნილება, არც ძალისხმევა-უწარი არსებობს ილიას თანამედროვე ეპოქაში. ამიტომ, რეალობაში გამოუთქმელი ნატვრა პოეტური წარმოსახვით ლეგნდის სფეროში გადადის და სასურველი „სამოთხის“ მხატვრულ მოდელს ქმნის.

„ბაზალეთის ტბის“ წალკოტის მთავარი გამჭოლი ხატი ისტორის აკვანში ჩასვენებული ყრმა და იგი სძენს სულიერებას გარემომცველ სივრცეს. ის ერის სულიერი საუნჯეა, თავისუფლების ძირია, ხსნის გზაა; უმაღლეს ფასეულობათა, ზნეობრივი იდეალების, ერის ისტორიული მეხსიერების გამართიანებელია; ყოვლისმომცველი რწმენის, დვთავებრივ სულიერებაში განვითარებათა განძია, რადგან: „უჭქველი სარწმუნოება საუნჯე დიდ არს მორწმუნებათათვს. ქრისტიანეთა სარწმუნოებად დიდ მოძღვრება არს“ (იოანე საბანისძე 1963: 48). ამ სამოთხის დაბრუნებითაა შესაძლებელი თავისუფლებადაკარგული, „დარღვეული ქართველობის“ კვლავ განახლება, თამარის ეპოქის საქართველოს მოპოვება, მასთან მიახლება – ზიარება. ილია ჭავჭავაძე ამ მხატვრული სახის გამამთლიანებელ, ნამყვან ფუნქციას „წალკოტის შუაგულში“ მისი მოთავსებით აღნიშნავს. ამ მხატვრულ ფენომენში სამსახოვანი სიმბოლიკა: ოქრო, აკვანი, ყრმა, რომელთაც გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ.

უძველესი დროიდან ოქრო მზიურობის შემცველი სახეა. იგი სიმბოლური თვალსაზრისით ხშირად გამოიყენება სულის ნიჭის ძალთა აღსანიშნად (იობ. 28,15); ამასთანავე, გამოცდილ, ჭეშმარიტ რწმენასა (I პეტრ. 1,7) და ცოდვათაგან ხსნას, გამოსყიდვას გამოხატავს; აკვანი კი სიცოცხლის სიმბოლოდ აღიმება. მათი გამჭოლი სახე – ხატი, ყრმა – ჩვილი იმთავითვე მიემართება „ყრმა“ იესოს და უკვე შობილს, მყიფს ნიშნავს. მთლიანად კი ოქროს აკვანში დასვენებული ყრმა – მზიურებით, სულიერი ძალმოსილება-მადლით შემოსილი „ტყვიას“ და „ტყვეთა მხსნელის“ სუფევის შემცველი სახე-იდეაა. სირინოზთა მომაჯაღადოებელი სიმღერა და ყრმისადმი ტრფიალი კი მაჩვენებელია იმისა, რომ განახლება-აღდგომის ჟამი ჯერ კიდევ არაა დამდგარი.

„მითოლოგიის თანახმად, წყალი განახლება-აღორძინებას ნიშნავს. წყალში მწოლარე ყრმა, ცხადია, განმამახლებელია. ამასთანავე ვაშინერისა დაევს და ხსნება არ შეიძლება მხსნელის, მესის“, — აღნიშნავს აკ. ბაქრაძე (ბაქრაძე 1983: 74).

ამიტომ ჰყვავის წყლის ქვეშ წალკოტი, უცვლელია სივრცე, გაყინულია დრო და „მზიან ჩრდილებში“ მარადიული გაზაფხულია – სულის „სიმზვანე“.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლებელი ხდება აიხსნას ლეგნდის პერსონაჟის – პატარძლის სახეში ქრისტეს „სძლის“ — თამარის ხატით ჩანაცვლების მიზანი. ეს ერთგვარი გაფრთხილებაა და შესენებაც იმისა, რომ „ანმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“; წრსულის თვალსაწირითა და ბაძვით ანმყოში უნდა შეფასდეს ერის სულიერი ყოფა, დაისახოს და გამოიკვეთოს უკეთესი მერმისის გზა, მომზადდეს საფუძველი მომავალი ხსნისა. აქვე, ილიას მიერ თამარის ხატის მოხმობით მინიშნებულია საქართველოს ისტორიული ნარსული — „ოქროვანი

საუკუნის“ ძლევამოსილებისა და უმაღლეს იდეალთა ზეობის ხანა. იმავდროულად თვით მეფეთა-მეფის მიერ ოქროს აკვანში ყრმის ჩაწერნა და ერის გულიდან მოწურვილი ცრემლით შისი დაფარვა არა გაქრობასა და დასამარებას, არამედ ეპოქალური მეხსიერების, ჭეშმარიტი რწმენისა და ფასეულობის „დამარხვა“ — შენახვას უნდა გულისხმობდეს. ტბადქეული ერის ცრემლი, მითოსურთან ერთად (წყალი — განახლება), ქრისტიანული შინაარსობრივი დატვირთვის შემცველია, ახალ აღთქმაში ნათლობა (წყლით) ცოდვათაგან განხმენდის საიდუმლო და ახალ ცხოვრებაში სულიერი აღორძინების სიმბოლოა. ოქროს აკვნის „ყრმაზე“ დადენილი ერის ცრემლი სინანულის ცრემლია, რომელიც სულის სინედლის გამოხატულებაა. სინანულში კი ხსნაა: „იქმნეს ცრემლი პურად ჩემდა დღე და ლამე“ (ფსალმ. 41,4). ცრემლი და ლოცვა უსისხლო მსხვერპლია და ერის ცრემლის „სუდარაში“, „მსხვერპლის“ — ჭეშმარიტი რწმენის გახვევა, აღდგომა — განახლების რწმენა — იმედითა ნასულდგმულები.

ბაზალეთის ტბის „წყლის ქვეშ“ აყვავებულ წალკოტშია სიცოცხლის წყლის წყარო, რომელსაც უსასყიდლოდ მიიღებს მწყურვალი: „მე წყურვილსა მივსცე წყარივისა მისგან წყლისა ცხოველისა უსასყიდლოდ“ (გამოცხ. 21,6). ეს „უკვდავების წყაროს წყალია“ სულის საზრდო, აღვესება. უკუნისამდე წყურვილის დაოკება-ცხონებაა მასთან ზიარება: „ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივჰსცე მას, არღარა სწყუროდეს უკუნისამდე, არამედ წყალი იგი, რომელი მე მივსცე მას, ექმნეს მას შინა წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ“ (გამოცხ. 4,14).

ბიბლიის მიხედვით, კარავი უფლის სახლია: „მზესა აღდგა კარავი თვესი, და თავადი, ვითარცა სიძე რაძეგამოვალნ ეზოთ თვისით, იხარებდეს ვითარცა გმირი სრბად გზასა“ (ფსალმ. 18,6). უფლის წიაღი, სამკვიდრებელი — „კარავი“ არის „ადგილი მწუანვილოანი“, „განსასუენებელი“, „დაფარული“ და „დამფარველი“: „რამეთუ დამფარა მე კარავსა შინა მისსა დღესა შინა ბოროტთა ჩემთასა, დამიფარა მე დაფარულსა, კარვისა მისისა“ (ფსალმ. 26,5).

ერის სინანულის, რწმენის ცრემლით წარმოქმნილი ბაზალეთის ტბა — „კარავი“, ბიბლიური სიმბოლიკის კვალობაზე, უფლის სახლის განსახოვნებაა. ეს კი თვალნათლივ ისახება მისი წალკოტის — „სამოთხის“ აღწერილობასა და ოქროს აკვანში „ყრმის“ — მაცხოვრის, ჭეშმარიტი სარწმუნოების მყოფობაში. ამდენად, მხატვრულ სახეთა წყვილი: ტბა-კარავი („ტბა კარვად ზედ გადუხურავს“) კრავს, ასრულებს მშვენიერი წალკოტის სურათს.

„ბაზალეთის ტბის“ პრობლემატიკა და განსახოვნება ეხმიანება „აჩრდილის“ სახისმეტყველებას. ეს უკანასკნელი სისრულითაა წარმოჩენილი რ.სირაძის ნაშრომში „სული, საქმით მეტყველი“ („აჩრდილის სახისმეტყველებისათვის“, „ლიტ. საქართველო“, 1997, 21.XI) და მასზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

„ბაზალეთის ტბის“ წალკოტის სულისმიერი „სამოთხის“ კონტურები იხილვება ილიას ლექსებში — „კითხვა-პასუხი“ და „დაკარგული ედემი“. ერთმანეთს უპირისპირდება აყვავებული ქვეყანა — მიწიერი სამოთხე („მე სამოთხე ვარ“) და ღვთის ხატი-ადამინი (ჯოჯოხეთადქეული „სამოთხე“ — „იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთა“). ადამის ძეთა სული სავსეა ძმის სისხლით, მტრობითა და შურით; ღვთაებრივი მადლი ცოდვითა წაბილნული და ამდენადა სული — „სამოთხე“ ჯოჯოხეთის სამკვიდრებელი:

სად დაუკარგავს მშვენიერ ხალხსა  
იმ თვით ედემში თვისი ედემი?  
(„დაკარგული ედემი“)

„თვისი ედემ“ სულის „სამოთხეს“ აღნიშნავს, რომლის დაკარგვა უსახოვნებას ბადებს და ორი „ედემის“ სრული შეუსაბამობა მყარდება. ირლვევა ღვთაებრივი კავშირი — მიწიერი (ქვეყანა) და ზეციური (სული); ერთი ჰყავის, მეორე — „ურნყული“ ჭკნება:

იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელო  
უდაბნო-ღაა ურგებ-ურნყული,  
სადაც არ აბნევს თვის ნიმნდა ნამსა  
სული მართალი და წრფელი გული.  
(„კითხვა-პასუხი“)

ილიას მიერ ქვეყნისა და ადამიანის ამ დაპირისპირება-მხილებაში სასურველი ჰარმონიის აღდგენის სურათი იხილვება. ღვთის მიერ შექმნილი ქვეყანა თავის წიაღში — „მზიანი ჩრდილში“ ზენარის დანერგულ და დანესებულ სიყვარულს ითხოვს:

საყვარელი ვარ... ჩემს მზიანი ჩრდილში  
სიყვარულს უნდა თვის ტახტი ედგას.  
(„კითხვა-პასუხი“)

ლექსში ქვეყანა-სამოთხე, „მზიანი ჩრდილი“, „გახარებული სიცოცხლე“, მადლი და სიუხვე გამოძახილს ჰპოვებს ბაზალეთის ტბის წიაღში, „უცხო“ წალკოტის „მზიანი ჩრდილების“ მარადიულ გაზაფხულში:

და იმის მზიან ჩრდილებში  
მუდამ გაზაფხული არი.  
(„ბაზალეთის ტბა“)

ქვეყნად არარსებული, საოცნებო „სიყვარულის ტახტის“ შინაარსს კი ნათელს ჰფენს ბაზალეთის ტბის ოქროს აკვანი და მასში მყოფი ყრმა: „ღმერთი სიყვარულ არს“ (I იოან. 4,8).

ქართული მიწის გაზაფხული – შეფოთლილი ტყე, მერცხლის „ჭყივილი“ და ბაღში ობლად, „მეტის ლხენით“ მტირალი ვაზი, აყვავებული მდელო და მთები საყვარელი მამულის „აყვავების“ – „გაზაფხულის“ ოცნებასა და მხვახე მოლოდინის განცდას აღძრავს პოეტში. „მამულო საყვარელო, შენ როსდა აყვავდები?“ – კითხულობს ილია და პასუხი ბაზალეთის ტბის „მარადიულ გაზაფხულში“, აყვავებულ წალკოტში იპოვება. იქ არის ძირი თავისუფლების, თვით უკვდავება, მშვენიერება, სიყვარული.

ადამ და ევას დაკარგულ სამოთხეს სიმბოლურად მსგავსობს ილიას „დაკარგული ედემი“ – ლვთაებრივი სული. სამოთხის მხატვრული მოდელია „ბაზალეთის ტბის“ წალკოტი. ამქვეყნიურ სამოთხეში „მშვენიერი ხალხის“ მიერ „დაკარგული ედემის“ დაბრუნება და სულის ყვავილობა ბაზალეთის ტბის წალკოტში, უფლის სავანებია შესაძლებელი. ქრისტიანული მოძღვებაა ეროვნული ხსნის, სულიერი ალდგომა-განახლების უპირობო პირობა. ქართველთა „ჩუმი ნატვრის“ აღსრულებას სულიერი მზადყოფნა სჭირდება. „ადამიანი მონოდებულია თვითალზრდისაკენ და მას არა აქვს ამაზე მაღალი მიზანი. თვითსრულყოფა, თავისი თავის გაკეთიშობილება, არის ყველაზე დიდი შემოქმედება...“ (სირაძე 1987: 84). ადამიანის უპირველესი და უმთავრესი საოცნებო კი პირველხატს მიმსგავსებაა, სრულყოფილებისკენ სწრაფვაა. „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამათ თქუენი ზეცათად არს“ (მათ. 548). აქ არის ხსნის გზა და ეს გზა უფლის გზაა: „გზა ენოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ გზად და ჭეშმარიტებააქედა ცხოვრებაა“ (იოანე საბანისძე 1963: 52). თითოეულმა კაცმა თავის თავში უნდა აღმოაჩინოს „გზა“, საკუთარ სულში და დაიმკვიდროს უფალი, რასაც მთელი ერის გათავისუფლება მოჰყვება. ერის დაკარგული ნებელობის აღდგენა, თავისუფლების მოპოვება, დარღვეული ჰარმონიის გამთლიანება უფლის წიაღში დაბრუნებითა შესაძლებელი. ილიას მრნამსით, უდაბნო წალკოტად იქცევა მაშინ, როდესაც ღმერთმისგავსებული, ზნესრული ადამიანები — „სული მართალი და წრფელი გული“ დაბრების „წმინდა ნამს“, მადლს მოშფენს ქვეყანას. „უფალო, ვინ დაემშენოს კარგვას შენსა, ანუ ვინ დაემკვიდროს მთასა წმიდასა შენსა? — რომელი ვიდოდის უბინოდ და იქმოდის სიმართლესა“ (ფსალმ. 146, 1-2).

ბაზალეთის ტბის „ყრმა“ არ არის ის ეროვნული, „ფიზიკური“ გმირი, რომელიც ქვეყნის წინამძღოლობას გასწევს. სწორედ ამ მოსაზრების დასადასტურებლად საჭიროდ ჩავთვალეთ, გამოგვეყო იქროს აკვნის სახე-იდეა და შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა მისი სიმბოლური დატვირთვა. ის უწინარესი, „უკვდავი სულია“, თამარის ეპოქის „ძლევად საკვირველი“ და ამდენად არავითარ „დავაჟეაცებას და ნამდვილ გმირად ქცევას“ (მმობლიური ლიტერატურა 1999: 199-200) იგი არ საჭიროებს. არ ჩანს მართებული ფიქრი იმისა, რომ თამარი მამულიშვილის იდეალს, გმირის საოცნებო სახეს „ტბის ძირას“ ინახავდეს. ასეთი გმირი ერის წიაღში უნდა იმვას, ქვეყნის ტეივილითა და ცრუმლით იკვებოს და არ საოცნებო წალკოტში ესვენოს. მაშინ სად არის ერის გმირი? ამ კითხვაზე პასუხს თავად ლექსი იძლევა.

ბაზალეთის ტბის წალკოტი ლვთაებრივია. ამიტომაა იგი ხელუხლებელი და შეუვალი:

და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა  
არავის გაუბედნია.

მითოსის კვალობაზე, მისი შეხება და სიახლოვე მხოლოდ სათანადო უფლებით აღჭურვილსა და სიწმინდით გამორჩეულს ძალუძს. ილია სწორედ ასეთ „ვაჟუაცსა და სახელოვანსა“ წატრობს და დაეძებს:

ვისიცა ხელი პირველად  
დასწოდება იმა აკვანსა!

სწორედ ბაზალეთის ტბიდან აკვნის ამომტანი გმირი გასწევს ერის წინამძღოლის დიდ მისიას. ამაღლებული გონებითა და ფაქტიზი სულის რჩეული, ყველაზე უნინ გრძნობს და მძაფრად განიცდის ერის ტკივილს; სულიერი მდვიძარებით თვალახელილი ჭვრეტს და გულისყურით ისმენს მძინარე მამულის კვენესას. მას პირველს ეუფლება ჭეშმარიტება, არღავინებება „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვისა“ და უფლის წიაღში კვლავმიბრუნების აუცილებლობა, რამეთუ „კეთილ არს ბაძგად კეთილისათვეს მარადის“ (იოანე საბანისძე 1963: 60). მან პირველმა უნდა აღიმაღლოს ხმა უკეთურებაზე, ამხილოს ცოდვაში ჩავთვალი ერის ზნედაცემულობა, ეროვნული ფიზიონომიის დაკარგვის საფრთხე შეაგრძნობინოს ხალხს. წმ.გიორგის სახის მიბაძვით, რომელმაც „მრავლით უამთაგან უძველოთაგან, ზარგანხდილთა ქრისტიანეთა ასწავა სიმხნე ძლიერი“ (გიორგი მერჩულე 1963: 261). მან სიცოცხლის სამსხვერპლოდ მიტანით, უნდა გააღვიძოს „ზარგანხდილ ქრისტიანეთა“ ეროვნული ღირსებები, გამოაფხიზლოს მიძინებულნი, „მრნამსი — მართალი სარწმუნოება“ განუმტკიცოს, ერთ დუღაბად შეკრას ერი და უფლის წიაღში დაბრუნების წყურვილი სასიცოცხლო მოთხოვნილებად, „დაჭრილი ირმის“ წყურვილად აქციოს: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ (ფსალმ. 41,2).

„საქმით მეტყველი სულია“ ცხოვრების გამცისკროვნებელი და ისეთივე „უბოლო“ — მარადიული, ვითარცა „სულის შთამბერველი“ — ღმერთი. ილიასათვის „საქმით მეტყველი სული“ ზნესრული

ადამიანია, „ვაჟკაცი სახელოვანია“, რომელიც ამ ქვეყნადვე ენაფება უკვდავების წყაროს. ზნესრული ადამიანის, „მართალი სულისა და წრფელი გულის“ შემცველ მრნაშს კი სიყვარული ცხოველპყოფს. მხოლოდ ასეთ სახელოვან ვაჟკაცს აქვს ბაზალეთის ტბაში ჩასვლის ღვთიური უფლება და ძალმოსილება; მხოლოდ მას შეუძლია მიეახლოს და ხელი შეახოს უდიდეს სინმინდეს, „დიდ საუნჯეს“. თამარ მეფის ეპოქის შემდეგ ოქროს აკვინის „ყრმა“ საუკუნეთა მანძილზე ელის ამ მისით აღჭურვილ გმირს, რათა კვლავ აღდგეს და გამობრნებიდეს. „ვაჟკაცი სახელოვანი“ ერისტეს სიყვარულსა და სარწმუნოებას განუახლებს საუკუნო ცხოვრების დამვიწყებულ ერს.

გ.ქიქოძე აღნიშნავს, რომ „მისი (ილიას – ნ. გ.) პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა იყო. სამშობლოს სამსახური მას ისე ჰქონდა ნარმოდგენილი როგორც მსხვერპლო შენირვა“ (ქიქოძე 1985: 339). ასეთივე უნდა იყოს ილიას „ვაჟკაცი სახელოვანი“, „ოქროს აკვინის“ პირველი მიმაახლებელი და „დამწვდომი“:

რომ წინ წარუძლვეს ჭეშმარიტება  
უკან რჩეს კვალი განათებული.  
(„ქართლის დედას“)

ამრიგად, „ბაზალეთის ტბის“ გულდასმით წაკითხვა გვიჩვენებს იმ ეროვნული გმირის სახესა და ღვთაებრივ მისიას, რომელსაც, ილიას თქმით, მთელი ერი შეპნატრის. იგი „ვაჟკაცი სახელოვანია“, ოქროს აკვინის პირველი მიმაახლებელი და „დამწვდომი“, ბაზალეთის ტბის ძირიდან „ყმის“ ამომყვანი. ტრადიციული მოსაზრება კი ლექსში უგულებელყოფს ეროვნული გმირის სახეს და მას ოქროს აკვინის „ყრმას“ უთავსებს, მასში მოიაზრებს. ლექსში კი ილია გარკვევით გამოპყოფს და განასხვავებს ამ ორ სახე-ხატს, „ვაჟკაცსა სახელოვანსა“ და „ყრმას“, მათ ადგილა (ერის წიაღს და ბაზალეთის ტბის წალკოტს) და დანიშნულებას. ამდენად, მათი გაიგივება, ურთიერთჩანაცვლება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

ლექსში გმირის სახესთან ერთად შემოდის სასურველი დედის ხატი:

თუ ესე არის, ნეტა მას,  
დედასა სახელდებულსა  
ვიზც იმ ყრმას პირველ მიაწვდის  
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა.

ეს დედა „სახელდებულია“ და ამდენად ის არ შეიძლება იყოს კონკრეტული პიროვნება, რეალური ადამიანი, ისე ვით „ყრმა“. ამის თქმის საფუძველს ქმნის ის, რომ კაცობრიობა ბიბლიურ ევას საყოველთაო დედად სახელსდება. „დაბადებაში“ პირველადამიანთა სახელდებასთან დაკავშირებით იკითხება: „და უნდა ადამ სახელი ცოლსა თვისა: ცხოვრება. რამეთუ იგი არს დედა ყოველთა მაცხოვრებელთა“ (დაბ. 3,20).

პირველდედის – ევას სახეს ახალ აღთქმაში ღვთისმშობლის ხატი ითავსებს: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“ („ლოცვა ღვთისმშობლისა“).

„იკონოგრაფიული ტრადიციის თანახმად, „დედა-ღვთისმშობელი“ მრავალსახოვანია: „დედა-ალმზრდელი“ („ალმა მატერ“, „დედა-გზისმკვლევი“ („ოდგიტრია“), „დედა-მოალერსი“ („ელეუსა“) და ა.შ.“ – აღნიშნავს რ. სირაძე (სირაძე 1987: 102).

ბაზალეთის წალკოტით აღმდგარ „ყრმას“ „მადლით ცხებული“ მასაზრდოებელი დედა სჭირდება. აქ გვახსენდება „ნინოს ცხოვრებაში“ დაბა „ბოდიდან“ მცხეთის „სიონს“ მიმავალი, მდინარე არაგვთან მყოფი სოჯი დედოფლის მიმართ თქმული: „ხოლო დედოფლალი ტირილით იარებოდა კიდესა მდინარისასა, ვითარცა ყრმაი ძუძუსთვის დედისა თვისისა, ეგრეთ სურვიელ იყო ხილვისათვის სასურველისა თვისისა“ („ნინოს ცხოვრება“ 1963: 99). ეს ეპიზოდი თავად იძლევა სიმბოლურ წაკითხვას: ახლადმოქცეული დედოფლალი სოჯი – ქრისტეს, „ყრმის“ სავანე ისწრაფვის დედა-მასაზრდოებელთან – „სიონთან“ შეხვედრას და „სახლში“ მისვლას, როგორც ყრმა – დედის ძუძუსეკნ.

„ბაზალეთის ტბის“ „სახელდებული დედა“ ღვთისმშობლის – „დედა-ალმზრდელის“ ანალოგიდან მომდინარე „დედა-მასაზრდოებლის“ მხატვრული სახეა. იმავდროულად იგი შესაძლოა სამბოლური დატვირთვით წარმოჩნდეს, „დედა ღვთისა!“ ეს ქვეყანა შენი ხვედრია“ (ჭავჭავაძე 1983: 121), – ამბობს ილია და საქართველოს „ჯვარცმული ღვთისთვის თვით ჯვარცმულ და წამებულ“ (ჭავჭავაძე 1983: 117) მინად სახავს. ამდენად, მხატვრულ სახეში – „დედა სახელდებული“ შესაძლებელია საქართველო – ქვეყანა და ერი მოვიაზროთ. მამულის ხსნას ერთი პიროვნების, წიაღმდლოლი გმირის ზნესრულობა ვერ განაპირობებს. მთელმა ქვეყანამ უნდა შეისისხლხორცოს, ეროვნული ღირსებები რჩმენად აქციოს, „საცნობელი ეგე ყურნი გულისა და გონებისა“ „განკმარტის“ (იოანე საბანისძე 1963: 49) და „სახელოვანი ვაჟკაცის“ სიტყვა საკუთარ სულის ძახილად ესმას: „განიღვძე დიდებაო ჩემო, განიღვძე ფსალმუნითა და ებნითა“ (ფსალმ. 50,9). იმავდროულად, თითოეულმა ადამიანმა საკუთარი თავი ქრისტეს „მონად და მეგობრად“ უნდა შეიცნოს, „მონად ამის გამო რამეთუ „პატიოსანთა სისლითა მისითა სყიდულ ხართ“ თქუენ, ხოლო მეგობრად ამისთვის, რამეთუ მისნი შექმნული ვართ და დაბადებული და სიყვარულითა მისითა ნათელ გაღებიეს“ (ჭავჭავაძე 1983: 49).

საქართველომ, უძველესი დროიდან „დედად წმიდათა“ სახელდებულმა ქვეყანამ, ღვთის მიმართ ერთხელ უკვე დადებული აღთქმა უნდა განაახლდეს, რათა თავად განაახლდეს. „შეიწყბარეთ კარავსა

გუამისა თქუენისასა და სავანტ განუმზადეთ, რამეთუ უფალსა ჰნებავს დამკუდრებად ასოთა შინა თქუენთა (იოანე საპანისძე 1963: 49), — ამბობს იოვანე საპანისძე და ეს სიტყვები ილიას საქართველოს სწოდება. თავის მხრივ, საქართველო „დედა-მასაზრდოებლად“ უნდა იქცეს, „მადლით ცხებული ძუძუ მისცეს“ და მამული „თავის მისადრეკელ“ ნავსაყუდელად განუმზადოს მხსნელს: „უფალმან ძალი ერსა თვისა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვის მშედობით“ (ფსალმ. 28,II). თამარის ერის ტბადქცეული, სინანულითა და მწუხარებით მოწურვილი ცრემლი, ბაზალეთის ტბის სიღრმიდან ამომსკდარი უკვდავების წყაროს წყლის ძალით, სიხარულის ცრემლად იქცევა:

და ახალ ნერგზედ ახლად შობილი  
ეს ქვეყანა კვლავ აყვავდების („აჩრდილი“)

— ამბობს ილია და ამ რწმენაში „ფსალმუნის“ გამოძახილი ისმის: „დანერგულნი სახლსა შინა უფლისასა ეზოთა სახლისა ღმრთისა ჩუუნისათა ყუაოდიან“ (ფსალმ. 91,14).

„ბაზალეთის ტბის“ სახისმეტყველება სიმბოლური თვალსაზრისით მსგავსობს „ნინოს ცხოვრების“ კიდევ ერთ ეპიზოდს. მცხეთაში მოსულმა წმ. ნინომ ბინა დაიდო მეფის სამოთხის – წალკოტის კართან, მცველისა და უშვილო ანასტოს სახლში. აქ წმ. ნინომ იხილა ჩვენება, რომელიც აბიათარის ასულმა სიდონიამ ასე განუმზარტა: „...რამეთუ ადგილი ესე სამოთხისაძეშენ მიერ იქმნეს სამოთხს სადიდებლად ღმრთისა“ („ნინოს ცხოვრება“ 1963: 124). ჭელიშური რედაქციით კი იაკობის ჩვენების მსგავსია იგი. ორთავე წაკითხვით გამოკვეთილია აზრი, რომ ნინოს ძალისხმევით მეფის წალკოტი საუკუნო „სამოთხედ“ — ჭეშმარიტი რწმენის შეუძრავ ადგილად გადაიქცევა. მირიან მეფე ღვთის სახლს — „სვეტიცხოველს“ ნინოს მაყვლოვანში, სამეფო ბალში აშენებს. მის მთავარ ბურჯად სამოთხეში დაწერგულ, „ლიბანით მოსრულ“ ნაძვს სვეტად აღმართავს, რომელიც ქრისტეს დამართული კვართის ადგილის სიახლოესაა.

ორთავე წანარმოებიდან მოყვანილი ეპიზოდები ეროვნული იდეალებითაა აღბეჭდილი, წარმართობასთან დაკავშირებული წარმოდგენებითა და ქრისტიანული სიმბოლიკით დატვირთული. გამოყოფა საერთო, გამჭოლ სახე-იდეებს:

1. ბუნების ძალთა აღდგომის სიმბოლიკა: „ცხოვრების ხე“ — მარადიული სიმწვანე, გაზაფხული;
2. წმ. ნინო ზეციური სულების განმასახოვნებელი ფრინველების ღალადებითა და „ულავილით“ გარემოცული.

„ყრმა“ — გრძენეული სირინოზების გალობა-ტრფიალებით გარშემორტყმული;

3. წყალი: მდინარე — განმბანველი, განმწმენდელი.

ცრემლის ტბა — სინმინდის შემნახავი;

4. სივრცული გარემო:

სამეფო ბალი — წმ. ნინო — „სამოთხე“.

ბაზალეთის ტბის წალკოტი — „ყრმა“ — „სამოთხე“ — სავანტ.

5. „სამოთხე“ — სულიერი ქორნინება:

ზეციური სასიძო — წმ. ნინოს „სასძლო“.

„ყრმა“ — საქართველო „სასძლო“.

სამცნიერო ლიტერატურაში აღნიშულია, რომ „ბაზალეთის ტბის“ სქემა მსგავსია ბიბლიის ზოგიერთ ეპიზოდთა (ედემის ბალი, მხსნელის მოსვლა) სქემისა. ამ მიმართულებით ლექსთან რემინისცირდება ბიბლიური წარღვნის ეპიზოდი, სადაც წოეს კიდობანი, ვითარცა აკვანი ახალი სიცოცხლისა, ღვთის ნებით გარკვეული დროით ინახება წყალში.

„ბაზალეთის ტბის“ სქემა უფრო მეტად უახლოვდება ბიბლიის თხრობას მოსეს შობასთან დაკავშირებით: ლევის ტომის ქალის მიერ მშვენიერი ყრმის დამალვა, მისი კიდობანში ჩაწვენა და მდინარის პირას დადგმა (წყალში შენახვა); ფარაონის ასულისაგან მისი პოვნა, „მზარდულ“ (ძუძუსმანოვებელ) დედაკაცად ჭეშმარიტი დედის აყვანა, ყრმის გაზრდა — „აღორძინება“, ფარაონის ასულის მიერ მისი შვილობა და სახელდება „მოსედ“; მისი სიტყვები: „წყლისაგან გამოვიდე ეგე“ (გამ. 2,10); შემდგომში კი მოსე — წინამდლოლი ერისა და რწმენის განმაახლებელი.

ბიბლიისათან ლექსის შემხვედრი პასაუები მეტად საინტერესო და საგულისხმოა, მაგრამ არა იდენტური. „ბაზალეთის ტბის“ სახისმეტყველება, გარკვეულნილად, ზოგად შტრიხებში მიჰყება ბიბლიურ სქემას, ისევე როგორც ლეგენდას, მაგრამ ორიგინალურ განსახოვნებას შეიცავს. აქ მულავნდება მისი პარადიგმული ხასიათი და ილიას დიდი სიბრძნე, „ენა, გული და ხელოვნება“ „ბაზალეთის ტბის“ სახე-იდეის გარდასახვა-განახლებაში.

#### დამოწმებანი:

**ბაქრაძე 1983:** ბაქრაძე ა. ილია ჭავჭავაძე. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1970.

**გიორგი მერჩულე 1963:** გიორგი მერჩულე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიძე, ც. ქურციეიძემ, ც. ჭინკიევმა და ც. ჯლამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი : საქ. სსრ კულ. გამომცემლობა, 1963.

**იოანე საპანისძე 1963:** იოანე საპანისძე, „მარტვილობა ჰაბო ტფილელისა“. ძეგლები. I. თბილისი : საქ. სსრ აკად. გამომცემლობა, 1963.

**მინაშვილი 1995:** მინაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძე. თბილისი: გამომცემლობა „თსუ“, 1995.

**მშობლიური ლიტერატურა 1999:** მშობლიური ლიტერატურა (VII კლასის სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსათვის, რედაქტორი ვ.როდონაია). თბილის: გამომცემლობა „განათლება“, 1999.

**„ნინოს ცხოვრება“ შატბერდულ-ჭელიშვილი რედაქცია 1963:** „ნინოს ცხოვრება“ შატბერდულ-ჭელიშვილი რედაქცია. ქეგლები, I, თბილისი: საქ. სსრ აკად. გამომცემლობა, 1963.

**რატიანი 1949:** რატიანი პ. ილია ჭავჭავაძე. ფილოფოსიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1949.

**სირაძე 1987:** სირაძე რ. ქართული აგიოგრაფია. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.

**ქიქოძე 1985:** ქიქოძე გ. წერილები, ესსეები, ნარკვევები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1985.

**ჭავჭავაძე 1984:** ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.

**ჯიბლაძე 1983:** ჯიბლაძე გ. ილია ჭავჭავაძე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

## კახაბერ ლორია

### პოემის მომხიბლველი იდუმალება – ილიას „განდეგილის“ გაზრებისათვის

პოემა „განდეგილი“ არამარტო ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის მწვერვალია, არამედ ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია მრავალსაუკუნვნოვან ქართულ ლიტერატურაში. ამ თხზულებაში სრული მასშტაბით გამომჟღავნდა დიდი მწერლის აზროვნების უკიდეგანო თვალსაწირი და გამორჩეული მხატვრული შესაძლებლობები.

„განდეგილის“ იდეურ-თემატიკური თუ მხატვრულ-ესთეტიკური ანალიზისას გარკვეული ყურადღება უნდა მიეცეს მსოფლიო მნიშვნელობის ოსტატთა ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, როგორიცაა: გ. ფლობერის „მნინდა ანტონის ცდუნებანი“, ე. ზოლას „ბე მურეს შეცოდება“, მ. ლერმონტოვის „მწირი“, ლ. ტოლსტიოს „მამა სერგი“, ან. ფრანსის „თაისი“ და სხვა. „განდეგილის“ ავტორი თავისი შესანიშნავი პოემით ღირსეულ ადგილს იკავებს უკვდავ კლასიკოსთა ამ თანავარსკვლავედში.

„განდეგილის“ გმირები იმდენად რელიეფური და სისხლსავსე პერსონაჟები არიან, რომ, ფაქტობრივად, გამორიცხულიც კი მათი განცდების, ფიქრებისა თუ ქმედებების რომელიმე სააზროვნო მოდელზე დაყვანა. ვინაიდან პოემაში ბოლომდევა დაძლეული ლიტერატურული სქემატურობა, რომელიც ილიას მეტნაკლებად ახასიათებდა შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე, „განდეგილი“, როგორც არაერთი ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება, უამრავი სხვადასხვა და არაერთგვაროვანი წაკითხვის საშუალებას იძლევა.

ამ მრავალპლანიანი ნაწარმოების ტექსტის ამომწურავად ინტერპრეტირება, პრინციპის თვალსაზრისით, შეუძლებელია: სხვადასხვა ეპოქის, მსოფლმხედველობისა თუ ტემპერამეტრის მკითხველი მსაში სულ ახალ-ახალ „სათქმელს“ ამოიკითხავს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ გენიალურ თხზულებას ავტორმა ლეგენდა უწოდა, რითაც თითქოს ნინასწარვე შემოსა ტექსტი იდუმალების მომხიბლველი საბურველით.

და მაინც, უნდა ყოველგვარი მორიდების გარეშე ალინიშნოს, რომ „განდეგილის“ პრობლემატიკის დაყვანა „მეზავრის წერილების“ ცნობილ ბიბოლარულ კონსტრუქციაზე საკითხის უაღრეს გამარტივებად გვერვენება. რა თქმა უნდა, მთელი თავისი შემოქმედებითა და ღრმაშინაარსიანი ცხოვრებით დიდი ილია მოქმედების კაცი იყო და, ფაქტობრივად, ყველგან და ყველაფერში შესაბამის ფილოსოფიასაც ქადაგებდა, მაგრამ ზემოხსენებული, მეტნაკლებად გაცვეთილი სქემით ვერაფრით აიხსნება ის საოცარი ხიბლი, რაც პოემას გააჩინა და ვერც ის თითქმის შეუძარებელი ინტერესი მკვლევართა და ლიტერატურის კრიტიკოსთა მხრიდან, რომელსაც ეს ნაწარმოები ინვეს და გამოქვეყნების დღიდანვე იწვევდა.

ამ სტრიქონების ავტორი ძალიან შორსაა იმ აზრისაგან, რომ თითქოს რაც ლიტერატურული ნაწარმოების ფურცლებზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ იკითხება, ყველაფერი მწერლის მიერ გაცნობიერებული შემოქმედებითი აქტის შედეგია და შესაბამისად, ამა თუ იმ ნაწარმოების გააზრებისათვის გასაძების პოვნა აუცილებლად მწერლისავე ცხოვრებისეულ თუ თეორიულ შეხედულებებში უნდა ვეცადოთ. და მაინც, ამ კონტექსტში არ იქნებოდა ურიგო, გაგვეხსენებინა, და ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაშიც არის აღნიშვნული(არახამია 2005: 123), რომ ილია ბერ-მონაზვნობასა და ქრისტიანულ ასკეტიზმს უმოქმედობისა და პასიურობის გამოხატულებად ნამდვილად არ თვლიდა. აქედან გამომდინარე, საკმაოდ ძნელი ნაწარმოსადგენია, საერო ცხოვრებისა და განდეგილობის მოქმედება-უმოქმედობის ნიშნით დაპირისპირება პოემის გააზრებისათვის ამოსავალ წერტილად გამოდგეს.

უფრო მეტიც, პოემაში ილია პირველივე სტრიქონებიდან, შეიძლება ითქვას, გამორჩეული სითბოთი და მონინებით იხსენიებს იმ ადამიანების სულიერ მოღვაწეობას, რომელთაც ლამის ყინულებში გამოუკვეთავთ დვთის ტაძარი და მათი ლვანლით ამ ადგილზე ლვთის განსაკუთრებული მადლიც კი გადმოსულა(ჭავჭავაძე 1987: 256). აქ, ალბათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ საუბარია „ძმათა კრებულზე“, ანუ ასკეტური ცხოვრების თავისთავად უაღრესად რთულ, საგულისხმო და მნიშვნელოვან ფორმაზე, მაგრამ მაინც არა მის უკადურეს და უმკაცრეს გამოვლინებაზე, რაზეც პოემაში შემდგომ იქნება საუბარი.

სწორედ ამ გაუქმებულ ტაძარს მოგვიანებით შეჰქედლებია პოემის მთავარი გმირი, რომელიც „გამორებია ამ წუთისოფელს, სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა, სად თვით სიტურთე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა“. ეს შეფასება, ალბათ, უკვე თავად განდეგილის პოზიციიდან უნდა იყოს გაკეთებული. ეს უკანასკნელიც „განდეგილა და ამ ყინულებში სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა და გვამი მისი ცოდვილ ფიქრთაგან იმ დღიდგან ალარ შეძრნუნებულა“. იმის მიუხედავად, რომ მზირის ბიოგრაფიაზე არაფერი ვიცით, ვფიქრობ, ამ სტრიქონებს შორის ამკარად იკითხება, რომ განდეგილი არა მარტო, „ცოდვის სადგურს“, საზოგადოდ, ამქვეყნიურ დრტვინვა—შფოთვას გამოჰქცევია, არამედ გამოჰქცევია უშუალოდ საკუთარ თავსაც, საკუთარ ცოდვილ ფიქრებსაც, საკუთარ წადილსა თუ გულისთქმასაც. „განყენებული წუთისოფლისგან აქ სული მისი აღყვავებულა, და ხორციელი გულისთქმა ყველა დამარხულა და განსვენებულა“, - ესეც შეიძლება თავად განდეგილის პოზიციიდან დანახული რეალობა იყოს, თორემ რამდენად სრულფასოვანი ანდა სრულებითაც შესაძლებელია ეს

გაქცევა, კონკრეტულად (ამ სიტყვას განსაკუთრებით გავუსვამ ხაზს) ამ ინდივიდისათვის, პოემის განვითარება გვიჩვენებს.

ილია ამ პოემაში არა მარტო უალრესად ორიგინალურ მოაზროვნედ, არამედ მართლაც რომ სწორუპოვარ მხატვრად გვევლინება. განდეგილის პორტრეტი ამ მოსაზრების ცნობილი დადასტურებაა და ამიტომაც საგანგებო ყურადღებას მასზე აღარ შევაჩერებ. თუმცა მისი შემოქმედი, ალბათ, სრულებითაც არ იწყებს შემთხვევით განდეგილის გარევნობის აღწერას მის ხელვანებაზე აქცენტირებით: „არ იყო ხნიერ”, — აცხადებს პოეტი და მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრაზა თითქოს სასხვათაშორისოთაა ნათქვამი, ქვეცნობიერად მკითხველს იგი ახალი პერიპეტიებისათვის ამზადებს. ძალიან მალე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ის ფაქტი, თუ მართლაც რამდენად „დამარხულა და განსვენებულა” ყველა ხორციელი გულისთქმა ამ არცთუ ხნიერ კაცში. თუმცა ჯერ-ჯერობით, როგორც პოეტი ამბობს, „ნამება მისი ღმერთს შეუწირავს, ვედრება მისი ღმერთს უსმენია” და განდეგილიც თავისი მოღაცეობის და სინმინდის შესამოწმებლად ყოველდღე დააყრდნობს თავის „ლოცვანს” სენაკში სარკმლით შემომავალ მზის სხივს.

ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმული მოსაზრება, რომ სინათლის სხივი ილიას მიერ პოემაში ჩაფიქრებულია, როგორც მწირის გრანდიოზული ეჭვის გამაქარწყლებელი ილუზია(არახამია 2005: 77). ხოლო ეს ილუზია, თუ ნიშანი ღვთის წყალობისა, განდეგილს მაშინვე ემსხვრევა, როდესაც მწყემსი ქალი უბრალო ენით შეახსენებს მას ქრისტიანობისთვის დამახასიათებელ ღრმებულებებს ან იქნებ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც კი ცხოვრება მწყემსი ქალის სახით რეალურად შეახსენებს მას თავის თავს. არადა სწორედ ამ ილუზიაზე, თუ გნებავთ, სასხაულზე, ფანატიკური ორიენტირება ხდება საბოლოოდ მწირის ფიზიკური დაღუპვის მიზეზი. ეს ილუზია, გნებავთ სასხაული, ხდება განდეგილისთვის არა მარტო და არა იმდენად სულიერი სინმინდის ერთგვარი საზომი, არამედ საკმაოდ აშკარად გამოხატული ფანატიკური თვითმიზანი, რომლის მიღწევა-შენარჩუნება, არაა გამორიცხული, ქვეცნობიერად მაინც, განდეგილის სიამაყისა და ერთგვარი ამპარტავნების ობიექტსაც კი წარმოადგენდეს. ჩვენ ძალზედ კარგად გვესმის ყოველგვარი ლიტერატურული ანალოგისა და პარალელის გარკვეული პირობითობა და ისუც, რომ, შესაბამისად, მათ გამორჩეულად სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესა თუ ის ლიტერატურული პასაჟი თუ წიალს აშკარად იძლევა მრავალმხრივი წაკითხვის საშუალებას. მაგრამ ხსენებულ კონტექსტში მაინც უნდა გავიხსენოთ უმნიშვნელოვანები ფრაგმენტი ემილ ზოლას შესანიშნავი რომანიდან „აპე მურეს შეცოდება” (ზოლა 1964: 351-354), როდესაც ამ გახმაურებული რომანის მთავარი გმირი, გამოქანცული თავისი ბრძოლით ხორციელ ვნებებთან, თავდავიწყებით ეძლევა თვითტებობასა და თვითგამაყოფილებას: „ერთი ფართო სხივი, როგორც ოქროს მტვერი, შემოიჭრა საყდარში და გაანათა მისი შუაგული, კედლის საათი, კათედრა, მთავარი საკურთხეველი. შეიძლება ეს იყო მადლი უფლისა, ციდან ნათლის ბილიკით რომ უბრუნდებოდა?... და აპე მურე ალიტაცა უსაზღვრო სიამაყებ. ის კერძი გახდა. მზის სხივი თანდათან ზემოთ ინევდა; მთავარი საკურთხეველი გიზგიზებდა. მღვდელი თავს არმშუნებდა, რომ ეს იყო მადლი, რომელიც მას უბრუნდებოდა... მის ზურგს უკან მხეცური ბრდღვინვა ალერსად გადაიქცა. კეფაზე გრძნობდა მხოლოდ ხავერდოვანი თათის ცაცუნს, თითქოს რომელილაც ვეებერთელა კატა ეალერსებოდა”. თუ ვისი თათის ცაცუნია ახალგაზრდა მღვდლის გახურებულ კეფაზე, სულ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ხდება ცხადი: „არაფერია, არაფერია— წარმოთქვა მანა, — ღმერთი არ არსებობს. საყდარს თითქოს ძლიერმა თრთოლამ გაუარა. შეშინებულ მღვდელს მკაფიოდ დაედო. დააყურა. ვინ ლაპარაკობდა? ვინ გმობდა ღმერთს?... მთელი ზეცა აღგილიყო, ღვთიური წესები აღიზიახებდა, საიდუმლების მიმილს ჰევრიდნენ”.

სხვათამორის „ბერულ პატივმოყვარეობაზე” საკმაოდ ღიადაა საუბარი და საკმაოდ უარყოფით კონტექსტშიც ლევ ტოლსტოის ცნობილ ვრცელ მოთხოვნები „მამა სერგი“. ასე, მაგალითად, მამა სერგი უკვე ისეთ წმინდანად რაცხდა თავს, რომლის ლოცვა (განკურნებისათვის) უთუოდ უნდა ახდენილიყო (ტოლსტოი 1966 : 298).

არაა, ალბათ, შემთხვევითი, რომ სწორედ „ბერული პატივმოყვარეობით” თავდაჯერებულია მამა სერგი იმ პერიოდში, როდესაც უკვე საკმაოდ ხანშიშესული უძმიმეს ცოდვას ჩადის მასთან განსაკურნებლად მიყვანილ, ოცდაორი წლის გონებამოსუსტო ქალიშვილთან. და ეს მაშინ, როდესაც მანამდე, გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდამ უარი თქვა მაკოვკინას ალვირასნილ და უაღრესად მომხიბვლელი ქალის მხრიდან ცდუნებაზე; როცა ამისთვის საკუთარი საჩვენებელი თითოეული კი გაიმეტა მოსაჭრელად. ქალი კი ამ ზენობრივი გმირობის მაგალითით მონასტრისკენ მოაქცია.

მაგრამ მამა სერგიც და აპე მურეც აცნობიერებენ არა მარტო თავიანთ ხორციელ ცოდვებს, არამედ აცნობიერებენ, ებრძოვან და თრგუნავენ ამპარტავნებასაც. მათ თავიანთ თავში ჰყოფნით ძალა, კელავ აღმოაჩინონ ფიზიკური არსებობისა და სულიერი მოლვანებობის აზრი და საწყისა. ისინი არა მარტო ღრმა სინაულში ვარდებიან, არამედ აგრძელებენ გზების ძიებას ღვთისა და ხალხის სამსახურისაკენ. აკი იპოვის კიდევ სრულიად მოულოდნებლად თავის იდეალს მამა სერგი შორეული ნათესავის, პაშენკას დაუმადლებელ საქციელში (ტოლსტოი 1966: 309). „...ღმერთისთვის ცხოვრობს და ჰერონია, რომ ხალხს ემსახურება. დიახ, კეთილი სამსახური, დაუმადლებლად გამოწვდილი ერთი ჭიქა წყალი უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემს მიერ კეთილყოფილი საქმენი”, — ასე ფიქრობს გარდაქმნილი, “სტრანნიკ (Странник)” -ის სამოსში გადაცმული მამა სერგი, რომელიც ახლა უკვე მადლობის თქმასაც აღარ აცდის ხოლმე ხალხს, ისე გაშორდება, როცა რამე კეთილ საქმეს ჩაიდენს.

კი მაგრამ, მაშინ რაღა დაემართა „ქართველ განდეგილს”, რომლის შეცდება, ყველაფრისდა მიუხედავად, მაინც მხოლოდ ცელქობაა იმასთან შედარებით, რაც მამა სერგისა და აპე მურეს გადახდათ. ილიას პოემის გმირი უფალმა დაინდო მრუმობის მომაკვდინებელი ცოდვისაგან, უფრო

მეტიც, იმის მტკუიცებაც კი არ არის ადვილი, რომ განდეგილმა თუნდაც გულში იმრუშა. აკი განმარტავს კიდეც ილია მწირის სულიერ განცდას: „თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?” იქნებ ეს მხოლოდ მწყემსი ქალისადმი ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი სიყვარულია; უფრო მისი სილამაზისადმი ყოველმხრივ ბუნებრივი ლტოლვაა, ვიდრე ავხორცობის თავისთავად სამარცხვინო განცდა. თქმა იმისა, რომ განდეგილი მხოლოდ ან უპირველეს ყოვლისა, ხორციელმა ვნებამ გაიტაცა, ძალზედ გადაჭარბებულად მეჩვენება. თუმცა თუნდაც საქმე აქხორცობის ჩანაფიქრთან ან განხორციელებულ მრუშობასთან გვქონდეს, არის თუ არა ეს საქმარისი, რომ განდეგილი უკვე საბოლოოდ დამარცხებულად გამოცხადებულიყო? ნუთუ მას აღარ ჰქონდა შანსი ღრმა სინანულითა და სულიერი მოღანეობით უზენაესთან თავიდან მიახლებისა? ვფიქრობ, ამ კონტექსტში მსგავს თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოების გახსენება სრულიად გამართლებული და უპრიანია. გავიხსენოთ, თუ რა უმძაფრეს სულიერ განცდებში ვარდებიან იგივე აბე მურე და მამა სერგი, ან ანატოლ ფრანსის თებაიდები მეუდაბრიე, სასწაულმოქმედი პაფუტი, რომელმაც თავის დროზე „აღექსანდრიის ცის ცქრიალა მთვარე” (ფრანსი 1914:119) — უმშვერიერესი, მაგრამ ზნედაცემული თაისი მოაქცია სამონასტრო ცხოვრების გზაზე; ანდა წმიდა ანტონი, რომელიც არამარტო ხორციელ ლტოლვას (ამონარიას მიმართ), არამედ უმძაფრეს ინტელექტუალურ ცდუნებებსაც განიცდის ფლობერის ცნობილ ფილოსოფიურ დრამაში (ფლობერი 1983). ასე რომ, მსგავსი განსაცდელის წინაშე ილიას განდეგილი მარტო არ არის.

ჩემი აზრით, საინტერესოა ისიც, რომ ილიას განდეგილი არ ჩადის არც უყელაზე უმძიმეს ცოდვას, რომელიც საერთოა ჩვენს მიერ დასახელებული სხვა გმირებისათვის. მამა სერგისგან, აბე მურესგან, პაფუტისაგან განსხვავებით, რომლებიც გარკვეულ ეტაზზე (როგორც წესი, უშუალოდ ცოდვის ჩადენის შემდეგ) ლიად ვარდებიან ლვთის გმობასა და უზენაესის უარყოფაში, ილიას განდეგილის მაქსიმალური „შეცოდება”, ამ მხრივ, იმით შემოიფარგლება, რომ ლვთის მიმართ სრულიად გაუცნობიერებელი საყვედური დასცდება: „ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსაო”.

ვფიქრობ, ყოველივე ზემოხსენებულთან დაკავშირებით უნდა გადაფასდეს შეხედულება, რომლითაც თითქოსდა განსაზღვრულია პოემა „განდეგილის”, როგორც ერთგვარი დიდაქტიკურ-ალეგორიული ნაწარმოების ხასიათი. არ არის აუცილებელი ამ შესანიშნავი ნაწარმოების რაიმე ხელოვნურ თეორიულ სქემაზე დაყვანა და თვითმიზნური მტკუცება იმისა, რომ განდეგილი და მწყემსი ქალი, გინდა თუ არა, მაინცდამაინც (ან უპირველეს ყოვლისა) ერთგვარ სახე-სიმბოლოებსა და სახე-იდეებს ნარმოადგენე; არამედ უმჯობესია, ყურადღება გამახვილდეს მთავარი გმირების გამორჩეულ ინდივიდუალობასა და განუმეორებლობაზე, რომელიც განსაკუთრებულ ხიბლს სძინს პოემას.

ამ კონტექსტში საგულისხმოა ისიც, რომ პოემაში მწყემსი ქალი უალრესად დაშორებულია იმ სქემას, რომელიც, საერთოდ, ხშირად მოქმედებს მსგავსი ხასიათის ნაწარმოებებში. მართალია, მას განდეგილთან, ერთის მხრივ, უდავოდ მოაქვს სიცოცხლისა და სინორჩის სურნელი, მაგრამ, ამავე დროს, ის უმანკოებისა და უბინოების განსახიერებაცაა. მას, ფაქტობრივად, არაფერი აქვს საერთო არც ვნებიან აღექსანდრიელ მოცეკვავესა და ადვილად სეღმისანვდომ ქალთან — თაისთან, არც მართლაც ეშმაშეჩინილ, ცინიკოს მაკოვკინასთან, მამა სერგის შეცდენა რომ სურდა; არც იმ ვაჭრის ახალგაზრდა გონებამოსუსტი ასულთან, მამა სერგის ვნებიანად რომ შემოხვია წელზე ხელი და სამარცხევინო ცოდვისაკენ უბინოება და, რაც უნდა უცნაური იყოს, არც სიცოცხლითა და საოცარი ხალისით აღსავს, თუმცა მაინც ვულგარულ და გაველურებულ ალბინისათან, რომელმაც თავის ინიციატივით არა მხოლოდ „პარადუს” ბალის მშვენიერებას აზიარა ცელიბატში მცხოვრები ახალგაზრდა კათოლიკე მოძღვარი. მოკლედ, „განდეგილის” მწყემს ქალს ყველაფერი შეიძლება ეწოდოს მაცდუნებლის გარდა (უფრო მეტიც, როცა განდეგილის „ცდუნება” ხდება, მას უბრალოდ სძინავს). მისი მართლაც რომ ბავშვური უბრალოება და უშუალობა, თავმდაბლობა და პირდაპირობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ნატიფ, მაგრამ სრულებითაც არავულგარულ გარეგნობაზე, ცალსახად გვაფიქრებინებს, რომ მასში არის არა რაიმე საეჭვო და ბნელი, არამედ ჭეშმარიტად ლვთაებრივი სანყისი, ლვთაებრივი სანყისი თუნდაც რენესანსული გაგებით მაინც და, ამდენად, ამ სანყისისკენ ასკეტის უნებლივ გადახრა (გადატანითი თუ პირდაპირი მნიშვნელობით) სულაც არ უნდა დასრულებულიყო უმძაფრესი დრამითა და მითუმეტეს, ტრაგედიით. მაგრამ არც ილიას განდეგილი ჰგავს სხვას ბევრს. ის უკიდურესად მგრძნობიარე ფსიქიკისა და გამორჩეული სულიერების ინდივიდუმია, რომელიც უთანასწორო ბრძოლაში კიდევ ერთხელ შეერკინება და კიდევ ერთხელ დაამარცხებს (!!!) ცხოვრებისეულ სინამდვილეს. მაგრამ მწირი ვერ ერევა მის ცნობიერებაში დალექილ ფანატიკურ მიდრეკილებებს, შესაბამისად, გამოუსწორებელ დაცემად აღიქვამს სულიერი წრთობის გზაზე ნახევარი ნაბიჯით უკან დახევასაც კი, რითაც მისდაუნებურად დაუძლეველი და უაღრესად მკრეხელური ეჭვი შეაქვს უზენაესის ყოვლისმომცველ სათნოებასა და მიმტევებლობაში. ყოველივე ეს კი მისი, როგორც მორნმუნისა და ადამიანის პიროვნული ტრაგედიის უმთავრესი მიზეზი ხდება.

როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ილიას „განდეგილი” უაღრესად ღრმა აზრობრივი დატვირთვის ნაწარმოებია. მაგრამ ის, უპირველეს ყოვლისა, უზადო ოსტატობით შესრულებული მხატვრული თხზულებაა და არ შეიძლება განიხილოდეს, როგორც ერთგვარი თეორიული ტრაქტატი, რომელმაც ამა თუ იმ უმნიშვნელოვანეს და უმნვავეს კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი. პირიქით, „განდეგილი” არანაკლებ შეკითხებას წამოჭრის, ვიდრე ამომწურავ პასუხის იძლევა და, მნიშვნელოვანი მიღება. ამაშია ამ უკვდავი პოემის იდუმალი მომხიბლველობა, სწორედ ამაშია ის მუხტი, რითაც დიდი ილია სულ ახალი და ახალი თაობის მკითხველს უნევს ჯანსაღ პროვოცირებას უმძაფრეს ფილოსოფიურ საკითხებზე ფიქრისა თუ განსჯისათვის.

#### **დამოწმებანი:**

**არახამია 2005:** არახამია, ნანა - ილია ჭავჭავაძის “განდეგილი” ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, თბ. 2005.

**ზოლა 1964:** ზოლა, ემილ- “აბე მურეს შეცოდება”, თბ. “ლიტერატურა და ხელოვნება”, 1964.

**ტოლსატონი 1966:** ტოლსატონი, ლევ - “მაბა სერგი”, თხზ. 10 ტომად, ტ. 10, თბ. “საბჭოთა საქართველო”, 1966.

**ფლობერი 1983:** ფლობერი, გუსტავ- “წმინდა ანტონის ცდუზებანი” (რუსულ ენაზე), თხზ. 3 ტომად, ტ. 2, მოსკოვი, 1983.

**ფრანსი 1914:** ფრანსი, ანატოლ- “თაისი”, თბ. 1914.

**ჭავჭავაძე 1987:** ჭავჭავაძე, ილია - “განდეგილი”, თხზ. სრ. კრ. 20 ტომად, ტ. 1, თბ. “მეცნიერება” - “საბჭოთა საქართველო”, 1987.

მიხეილ ქურდიანი

ილია ჭავჭავაძის „მასტერ კლასი“ – „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“:  
კომპოზიცია და ფუნქციონალური კადრირება

“ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი” (საახალწლო მოთხრობა) 1890 წელს გამოქვეყნდა გაზეთში “ივერია” (1: 2-3), რომლის საცერტზურო ნებართვა 1889 წლის 31 დეკემბერს არის გაცემული. დაწერის თარიღად მას 1880 წელი უზის.

მოთხოვთ არი ნაწილისაგან (resp. თავისაგან) შედგება — პირველი აცტობიოგრაფიული ხასიათისაა, მეორე ისტორიული. ორივე პირობითად.

მაგალითად მეორე თავში ისტორიულობის ეფექტის გამოსაწვევად მოხმობილია ქართლის მეფის გიორგი მეთერთმეტისა და ირანის სეფიანი მეფის ("ყიზილბაშთა ყეინის") შაჰ-სულთან უსეინის სახელები, რომელთა მეშვეობით "უნდა მოხდეს" მოთხრობაში აღნერილი ომის "სინქრონიზაცია": "ერთ დროს ჩვენა გვყოლია ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. იმის დროს ყიზილბაშების ყეინად დაჯდა შაჰ-სულთან-უსეინ. ამ ყეინმა გამოვარდნენ მარჯვენა დიდის ჯარით თავისი სარდალი, რომ საქართველო აიკლოს და თავისად დაიტიროს. დაიძახეს ჩვენშიაც ჯარიანობა და თავი მოიყარეს ქართველებმა მტრის დასახურდად." (ჭავჭავაძე 1985 : 222-223)

სწორედ გიორგი XI-ისა და პუსეინ I-ის ზეობის თარიღების შედარება ავლენს მოთხოვთ კაზიისტორიულ ფონს.

გიორგი XI მეფობდა ორჯერ (1676-1688 და 1703-1709), ჰუსეინ I მეფობდა 1694-1722 წლებში. ე.ი. გიორგი XI-ის პირველი მეფობა (1676-1688) უსწრებდა ჰუსეინის ზეობის წლებს (ამ დროს ირანის შაჰი სულეიმან I, იგივე სეფი II იყო: 1666-1694). ხელახლა გიორგი XI სწორედ ჰუსეინმა გაამეფა, მაგრამ ირანიდან საქართველოში აღარ დაუბრუნებია, ყანდარის (ავლანეთი) ბეგლარ-ბეგად და ირანის სპასალარად დანიშნადა და აჯანყებულ ავლანელთა დააჯა დაავალა.

ესაბამისად გიორგი XI-სა და ჰუსეინ I-ს შორის საქართველოში ომი არ მომხდარა (ჰუსეინს არ უომია აგრეთვე არც ერეკლე პირველთან, რომელიც სულეიმან I-მა გაამეფა გიორგი XI-ს ნაცვლად და არც ვახტანგ VI-სთან, რომელიც განაგებდა ქართლს გიორგი XI-თვის ქართლის მეფობის აღდგენის შემდეგ).

მოთხოვთ პირველ თავში თხრობა პირველ პირში წარმოებს თვითმმარცვლისა და პეტანტის მიერ. თხრობის მანერა ლირიკულია (ნოსტრალიური ნოტებით), რაც მკითხველში ინტიმურობის განცდისა და ნდობის ფაქტორის გამოწვევას ემსახურება.

მეორე თავში თხრობა უკვე მესამე პირში წარმოებს, რედუბლიკატორის მიერ და თხრობის მანერაც ხაზგასმით ნარატიულია (ჰეროიკის ელემენტებით), რასაც ასევე ფუნქციონალური დატვირთვა აქვს: ზემოქმედება გონებაზე და არა გულზე.

მოთხობის პირველ თავში აღნერილია ოჯახური იდილია — ბედნიერი, წევრულები ოჯახის საახალწლო სამზადისი, რომლის პროცესში დედა ხუთი პატარა ხელისშემშლელი “დამხმარისაგან” თავის დასახსნელად ავალებს მამას ბავშვები რაიმე ამბით შეიქციოს.

— მამა შვილებს “კარგად დასახსომებლად” უყვება ერთი “ქვეყნისათვის თავდაცებული ვაჟუაცის” — ნიკოლოზ გოსტამაბიშვილის ამბავს.

ამბეს თხრობისას გამოყენებულია ფუნქციონალური კათრირების პრინციპი:

**შორი პლანი** — ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი “გაცხარებულ ომში”, სადაც ის დაუნანებლად ხოცავდა მთერს (ომიდან გამოხმობილი “ჩოხის კალთით გასისხლის გულ ხმალსა სწმენდავდა”);

**საშუალო პლანი — ნიკოლოზ გოსტაშვილის ბრძოლა ერთი-ერთზე ყიზილბაშთან:**

"გოსტაშაბირველმა ახსენა ღმერთი, აუკრძალა სადაც ცხენს და პერა ქუსალი. ცხენმა ერთი ორიოდე

კამარა შეჰქორა, ისკუპა და თვალის დახამხამების უმაღლ ვაჟკაცი ვაჟკაცის წინ დაუდგა. ყიზილბაშმა ნამოუღერა თავისი შუბი. გოსტაშაბიშვილმა ხელი აუკრა და აიცდინა. ეს ისე მაჯვედ მოუგიდა, რომ ქების კიფინა დასცეს. მინამ ყიზილბაში მეორედ შეუტევდა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენ-და-ცხენ ეცა, ნასწვდა, ერთი-ორი ლონივრად შეპბლერტა და ცხენიდამ ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუქნელდა.” (ჭავჭავაძე 1985 : 224)

“ჩამოხტა კენიდამ გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

— ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრო. შენი თავი შენის ვაჟვაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფლუქება. წალი და ლმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.” (ჭავჭავაძე 1985: 224)

პლანთა კვალიტადობას შემდეგი დატვირთვა აძლევს:

ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი რაინდია — ის შეუპოვრად იბრძვის ხელჩართულ ომშიც (შორი პლანი) და დუელშიც (საშუალო პლანი), მაგრამ დაცემული და უიარაღოდ დარჩენილი შეტოქს მოკვლა მას არ ძალუდს, რადგან ის რაინდია და არა ჯალათი (მსხვილი პლანი) — მტერი იქცევა მსხვერპლად როგორც კი კარგავს იარაღს და/ან აღმოჩნდება უმწეო მდგომარეობაში.

ვაჟაპეტი (გმირი, რაინდი) არ შეიძლება იყოს ჯალათი — აი მამის მთავარი (“კარგად დასახსომებელი”) სათქმელი შვილებისათვის შობა-ახალწლის კვირეულში — ეს ლირსების საქმეა.

ქართული ლიტერატურა ე.წ. “ლირსების ლიტერატურა” — “ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი” მის შედევრთა რიცხვს ეკუთვნის (ისევე როგორც შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსანი”, აკაკი წერეთლის “გამზრდელი”, ვაჟა-ფშაველას “ალუდა ქეთელაური”, “სტუმარ-მასპინძელი”, “ბაკური”, “გველის მჭამელი” და სხვა).

აქვე ისიც უნდა ითქვას რომ ქართულ ლიტერატურაშივე არის პოვნიერი ილია ჭავჭავაძის მოთხოვნის გმირის საქციელის ალტერნატიული შეფასება სხვა მწერლის (ჯემალ ქარჩხაძე) ასევე მხატვრული ნანარმოების (დადებითი) პერსონაჟის (მონაფე მირიანის), მიერ:

“(ნამდვილი ვაჟაპატობა რა არის) ამას მანამ ვერ მივხვდებით, სანამ რომანტიკული ბურუსიდან არ გამოვძრებით და ყალბ გმირობასა და პრაქტიკულ სიკეთეს ერთმანეთისგან არ გავარჩევთ. აბა ის საქციელია კარგი, რაც ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილმა ჩაიდინა?

რატომძაც არა! რაინდული, კეთილშობილური საქციელია!

კეთილშობილური! (ოდხავ აგდებული კილო და ოდნავ ირონიული ლიმილი) ის არის კეთილშობილება, რომ გახურებულ ომში სიცოცხლე აჩუქრ მოსისხლე მტერს, რომელმაც საუკეთესო თანამებრძოლები დაგიხოცა! რა მშვენიერი ვაჟაპეტი ყოფილხარ, ყიზილბაშო! აფსუსია შენი მოკვლა. მიდი და ხოცე ქართველები, სანამ შევიძლია! თურმე ნუ იტყვით, ეს არის კეთილშობილება...” (ქარჩხაძე 1995 : 77)

ილია ჭავჭავაძის “მასტერ კლასი” — მოთხოვნის “კინემატოგრაფიულ” გადაწყვეტაში მდგომარეობს.

**ცნობისათვის:** პირველი კინომატოგრაფიული პრემიერა ძმები ლუმიერებისა შედგა პარიზში 1895 წელს, ხოლო ფუნქციონალური კადრირების (პლანთა ცვალებადობის), როგორც მხატვრული ხერხის გამოყენება დაიწყეს უკვე ხს საუკუნის ოციან წლებში.

#### დამოწმებანი:

**ქარჩხაძე 1995:** ქარჩხაძე ჯ. ქარავანი (რომანი), თბ. : “მერანი”, 1995.

**ჭავჭავაძე 1985:** ჭავჭავაძე ი. რჩეული ნანარმოებები ხუთ ტომად, ტომი II, მოთხოვნებები, თბ.: “საბჭოთა საქართველო”.

## ლია წერეთელი

### ტრადიციული განსახოვნება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ტრადიციული განსახოვნება უძველეს მოტივთა და სიუჟეტთა გაცოცხლებაა შემოქმედის მიერ. სახე-სიმბოლოები და მზა-ფორმულები, მხატვრულ ქსოვილში იმავე ფუნქციით ერთვებიან, რაც მათ ტრადიციულ აზროვნებაში აქვთ.

ფოლკლორში გადაგანილია სულიერი საუნჯე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ერის ცნობიერებაში „შემოქმედებით ქურაში“ გამოაწროთ. ეს პროცესი ჰგავს ალბასის ქმნადობას, ოქროს „გამოხურებას“ და ისეთი სრულქმნილების მიღწევას, რომელიც დროის ცვალებადობის მიღმა დგას.

სახისმეტყველება თავისთავად მარად უცვლელი, უკვდავი სახეებით აზროვნებაა. შემოქმედი ეზიარება საკრალურს და განიმსტვალება მისი „ზე-ცნობიერი“ ძალით. „სახე“ თავისთავად არსებობს ყველასათვის, მაგრამ „მეტყველებს“ არა ყველასათვის ერთნაირად, როდესაც შემოქმედი ფოლკლორიდან იღებს ამ თუ იმ მოტივს, თქმულებას, საგმირო ამბავს თუ ზღაპრულ სიუჟეტს, მისთვის „სახემეტყველობს“ უძველესი მითოსური ცხობიერება და ქრისტიანული რჩმენა-წარმოდგენები.

ტრადიციული განსახოვნების თვალსაწიროთ შემოქმედი იმდენად ახლის შემოქმედი როდია, იგი შემმეცნებელი, ამთვისებელი და „კარგად დავიწყებული ძველის“ გამაცოცხლებელია. სახისმეტყველება ის „თესლია“, რასაც შემოქმედის თვალი მისწვდა და მადლით განაახლა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ტრადიციულ აზროვნებასთან ზიარება და „შემოქმედებით ქურაში“ გარდაქმნილი ხატმეტყველებაა. სახიერად, ცხოველმყოფად განსახოვნდება ფოლკლორული მოტივები და ხატოვანი მზა-ფორმულები ილიას შემოქმედებაში.

ხალხურ გადმოცემებს, ლეგენდებსა და პოეტურ ქმნილებებს ილია თავად აგროვებდა. დუშეთის მაზრაში მსახურობის დროს განსაკუთრებით დაუახლოვდა ხალხურ შემოქმედებას. მრავალსაუკუნოვანი ხალხური სიტყვიერება დიდი მთლიანობის — ქართული სულიერების, სარწმუნოებრივი ერთიანობისა და სიმტკიცის, სახელმწიფოებრიობის დიადი განცდის ნამსხვრევებად ესახებოდა. ულრმავდებოდა ხალხურ სადიდებლებს, გამონათქვამებს, პოეტურ შედევრებს, „ურმულის“ ჰანგი, „ერთ გაბმულ გოდებად“ ჩაესმოდა, ფოლკლორულ ქმნილებებში ხალხის გულისთქმის სჭვრეტდა.

ტრადიციული განსახოვნება ილიას შემოქმედებაში საკრალურობის განცდას, ერის „ზე-ცნობიერი“ მადლის ზიარებას გულისხმობს.

### მზის სხივზე დაყრდნობილი განდევილის „ლოცვანი“.

#### ა) მზის სხივს დაყრდნობილი „ლოცვანი“

განდევილი ბერი „ლოცვანს“ მზის სხივზე აყრდნობს და ამ სასწაულით ამონებს მადლობისლებას.

რა წყაროს ეყრდნობა ი. ჭავჭავაძე ამ სასწაულის ამეტყველებისას? სასწაულს ჰაგიოგრაფიაში თავისი განსახოვნების სისტემა აქვს. კონკრეტულ ისტორიულ რეალობაში იჭრება ირაციონალური, ზედროული არსი. ღვთიურის შემეცნება სწორედ სასწაულის ძალით სრულდება. სასწაული კავშირია მიზიერსა და ღვთიურს, რეალურსა და ირეალურს შორის. ამსოფლიური დრო-სივრცის დასაზღვრული რეალობა იშლება თხრობის ჰორიზონტად, ხოლო სასწაული ვერტიკალით აღიმართება და ჯვარსახოვნება წარმოდგება. სასწაული სრულქმნის ადამიანის ნებისა და ღვთიური ნების თანხვედრას. ამრიგად, სასწაული ღვთიურის აღქმის ფუნქციით იჭრება თხრობაში.

სხივი, მითოპოეტური ტრადიციით, მზესთან კავშირის, მზის „ნილის“ ალმნიშვნელია. „ნაწილიანი“ გმირები მზის ნიშნით აღბეჭდილნი წარმოდგებიან და დაუმარცხებელნი არიან, ვიდრე წილხვდომილობას ფლობენ. შარავანდედი მზის ღისკონ განსახიერებაა, ღვთიური ნათლის თანხლება, ნიმიდანობის ატრიბუტი... მზის სხივის „ჩამოშვება“, „ჩამოსვეტება“, მზის შუქის „დაფენა“ ღვთივეურთხეულობა, მადლობისილებაა ფოლკლორში.

იყონოგრაფიაში მზის სხივი სვეტად ეშვება, შუქი ვერტიკალით იფინება და „ნათლის სვეტად“ ცხადდება.

შედიევალური აზროვნება მზეს „ღვთის ხატად“ სრულქმნის. მეფე „ღვთის ხატია“ და ღვთის ნების მომფენი.

„ვეფხისტყაოსანში“ მეფები მზე-მეფებად იხატებიან და „ნათლის სვეტი“ ახლავთ:

„იგი ჭაბუკი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა,

მათ სამთა შვიდი მნათობი ჰეთარავენ ნათლისა სვეტითა“ (1417).

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი ნილი“.

მზის სხივზე დაყრდნობილი „ლოცვანი“ პოემაში ი. ჭავჭავაძემ სარწმუნოებრივი მრწამსით, ხალხური ტრადიციის გათვალისწინებით სრულქმნა.

კონკრეტულად ორი ეპიზოდი ცხადყოფს ფოლკლორულ წყაროს:

ა) თამარ მეფის ტანსაცმელს, ხალხური ლეგენდის თანახმად, მზის სხივი იჭერდა.

ბ) „ერეკლე მეფე ლოცვაზე“ რომ დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაპკიდებდა ხოლმე და როცა ლოცვას გაათავებდა, სხივითგან ისევ აიღებდა ხმალსაო“.

ი. ჭავჭავაძემ სასწაული პოემაში „განდეგილი“ ამ ხალხური ტრადიციის გათვალისწინებით სრულქმდა.

\* \* \*

„ბაზალეთისა ტბის ძირას“ — ბაზალეთის ტბა ი. ჭავჭავაძის ლექსში ორი ხალხური ტრადიციის შერწყმა. „ბაზალეთში დალუპვა“ ფორმულადცეული ხატოვანი გამოთქმა — სრულ დალუპვას, საბოლოო იმედგაცრუებას, ვეღარ გადარჩენას აღნიშნავს. ბაზალეთის ტბა ძალიან ღრმაა, ბევრის ტრაგიკული სიკედილის მიზეზი გახდა. წყევლის ფორმადაც ქცეულა გამოთქმა, „ბაზალეთში დალუპვა“.

იმავდროულად ბაზალეთს უკავშირდება შობა გმირისა, რაინდისა, რომლის დაბადებასაც მოელის ერი. ამ გმირმა უნდა იხსნას ქვეყანა.

მაგრამ განა ბაზალეთის ტბის ძირას დარწეულ აკვანში ჩვეულებრივი ყრმა წევს?

ხალხური ტრადიციით, ოქროს აკვანში, ბატონიშვილი წევს, ბაგრატიონი ყრმა უფლისწული:

„ამ ბატონების დედასა იავნანინაო,

უდგიათ ოქროს აკვანი ვარდო ნანინაო

შეი უწევთ ბატონიშვილი იავ ნანინაო...“

ტახტდაკარგული საქართველო, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს რუსეთში გადასახლება და მიმოფანტვა... ბაზალეთმა თითქოს ეს ტრაგიკულობა შეირჩეა.

ი. ჭავჭავაძე ყრმა უფლისწულის დაბადებას, სამეფო ხელისუფლების აღდგენას ერის მოლოდინს უნდა გულისხმობდეს.

ვფიქრობთ, ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ არჩევს ხალხურ ტრადიციაში დამკვიდრებულ, ხატოვან ფორმულებად ქცეულ, ღრმადსულიერი შინაარისა მოტივებს. უნარჩუნებს მათ განსახოვნების ტრადიციას და ახლებურად აცოცხლებს მხატვრულ ნააზრევში.

ხალხური ლეგენდა, რომელსაც იმონებს ვახუშტი ბაგრატიონი „ალწერაში“, ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმაზე მოგვითხრობს. იგი უხილავს ბერს, რომელიც ბეთლემის გამოქვაბულში შესულა: ყინულის ბრწყინვალე ტაძარს ჭერი ვარსკვლავებით ჰქონდა მოჭედილი, იატაკი თვალმარგალიტით, შუამ იქროს აკვანი იდგა, რომელსაც მტრედი არწევდა... ბეთლემიდან წამოსულ ბერს თან წამოულია აბრაპამის კარვისა და ქრისტეს ბაგის ხის ნაჭრები და მეფე ერეკლესთვის მოურთმევია... ანუ მეფე ერეკლე, როგორც ბაგრატიონი მეფე, ბიბლიურ-სახარებისეული სიწმიდის, ყრმა-მაცხოვრის „საუნჯეს“ წილდებულია. ის დავით წინასწარმეტყველის შთამიმაგალია და მემკვიდრეა იმ „ძირ-შტოსი“, რომელსაც მიეკუთვნება ღვთისმშობელი და მაცხოვარი. ეს მრნამსი ტრადიციულ აზროვნებაში ისევე ცხოველმყოფელია, როგორც საისტორიო მწერლობაში, აგიოგრაფიაში, იკონოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში.

ამ საიდუმლოებრივი, სიწმიდით მოსილი ადგილიდან — ბეთლემიდან იღებენ დასაბამს ხევსურთა ღვთისშვილი.

როგორც მცხეთა არის იერუსალიმის ანალოგი (კ. კეკელიძე) ისე ხევის ბეთლემი ანალოგია პალესტინის ბეთლემისა ტრადიციულ აზროვნებაში. ბეთლემის „კარი“ ზღურბლია საკრალურისა:

„ბეთლემის კარზე ჰკიდია ვოჟა ჯურხას ფარია,

მოუვლის ომის წადილი, ხანდახან შესძრავს ქარია“.

ბეთლემის კართან, როგორც ზღურბლთან, ჰკიდია ეს ფარი და იგი დიდი წინაპრის მხედრული სულისკვეთებით არის ალვისილი, ომი სწყურია. ქარი „აცოცხლებს“ ამ წადილს. ბეთლემის კართან დაკიდული ფარი „სამ სკნელში“ მოიაზრება. იგი როგორც ჯაჭვი ბეთლემის ქვაბში, ორ სამყაროს აერთებს. მას საკრალურის მცველის ფუნქცია აკისრია.

ერთი ხევსურული ანდრეზი ოქროს აკვანში ღვთისმეტყველი და მაცხოვარი. ეს მრნამსი ტრადიციულ აზროვნებაში ისევე ცხოველმყოფელია, როგორც საისტორიო მწერლობაში, აგიოგრაფიაში, იკონოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში.

„ოქროს აკვანი დგაოდ, შიგავ ყმაწვილ იწვივ, ტრედ დაღბრუნევდესავ თავზედაო, იფქლის მარცვლებს აჭმევდეს“ (ზ. კიკნაძე).

ამისდაკვალად, ტრადიციულ აზროვნებაში „ოქროს აკვანში“ ბატონიშვილი, ყრმა უფლისწული მოიაზრება. „იავნანები“ და სადიდებლები მოიხსენიებენ. ბაგრატიონი ყრმა უფლისწული ბეთლემის ყრმის დარად არის ოქროს აკვანში მოაზრებული, რადგან იგი ბიბლიური ჩამომავლობით „დავითის სახლიდან“ არის და მაცხოვრის „ძირ-შტოს“ მემკვიდრე.

ოქრო და ოქროქსოვილი ღვთივეუროთხეულობას განასახიერებს. ოქროცურვილია მეფის შარავანდი, ანუ გვირგვინი, ოქროსფრად იხილვება მეფის სამოსზე გადმოსული „მადლი“, ნუ დიადიმა, სარტყელა, რომელიც ჯვარშემოსილად სახავს მეფეს, ოქროსფერი ფოჩით არის გარსმოვლებული ღვთისმშობლის მენამულისფერი შესამოსელი ნიშნად „ზეციური დედოფლობისა“.

ოქროს მიწიერ სამყაროში სისპეტაკის, სიწმინდის, უხრწნელობის სიმბოლოა. ოქროს დარად მეფე „ღვთის ხატად“, ადამიანთა შორის „ღვთის ნების“ განმცხადებლად მოიაზრება.

ტრადიციული აზროვნება განასახოვნებს ბაგრატიონთა სამეფო იდეოლოგიას, რომელიც განვენილია საისტორიო მწერლობაში, აგიოგრაფიაში, ჰიმნოგრაფიასა და შუასაუკუნეობრივ კედლის მხატვრობაში. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი ლაშა-გიორგის დაბადების ადგილს — ტაბახმელას ადარებს ბეთლემს და ეს არის პარალელური თხრობის, ორი დრო-სივრცული განზომილების წიაღი, პლუტარქის „პარალელური ბიოგრაფიების“ დარად. ღვთისმშობლის სახე-სიმბოლიკით, მისი ამქვეყნიური ცხოვრების ეპიზოდებით „ინერება“ თამარ მეფის „ცხოვრება“, რათა დაიხატოს გვირგვინოსანი ბაგრატიონი მეფე-თამარის ღვთისმშობელთან მიმსგავსებულობა, საქართველო წარმოადგენს ღვთისმშობლის წიაღი, მისგან კალთაგადაფარებული, ღვთისმშობლის

წილხვდომილი“ ქვეყანა თამარის მადლით, მისი მეფობითა და ლვანლით „სამოთხედ“ იხილვება. ეს მრწამსი „ვეფხისტყაოსანშიც“ განვითარებულია. თამარის „ქებით“ მემატიანე, რუსთველის დარად ლვთისმშობლის საგალობელს წარმოთქვამს.

თუ ბეთლემი გადაგანძული საკრალური განძთსაცავია, კლდე-ყინულებში, „ბაზალეთის ტბა“ წყლის წიაღში ჩანთქმულ საიდუმლოს იფარავს. ილიასეული ხედვით (რაც ხალურ ლეგენდებში არ დასტურდება), თამარ მეფეს ჩაუდგამს თავისი ხელით ტბის ძირში „ის ოქროს აკვანი“. ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძე ამ ტრადიციული განსახოვნების „გასაძებს“ ვეთავაზობს: „ოქროს ხანის“ ლვთივურთხეული მეფე-გვირგვინოსანი „ოქროს აკვანს“ — ასაიდუმლოებს, საკრალურ ადგილად ამგვიდრებს, გადაგანძავს საუჩვეს. თუ თამარ მეფის საქართველოს რუქას დავაკვირდებით, ბაზალეთის ტბა „შუაგულს“, შუაცენტრს ქმნის.

ილია ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრების“ დარად, ქართველ მეფეს მოიაზრებს ერის საზღვართა „მცველად“, ერის წინამძლოლად, ლვთივრჩეულ გვირგვინოსნად. ილიამ სამი ლვთაებრივი საუნჯის „მამული, ენა, სარწმუნოების“ ???? ქართველი სახელმწიფოებრივ საძირკვლად გამოაცხადა სამი სახე-ხატი: „გვირგვინი, გუთანი და ხმალი“. გვირგვინი — მეფის ინსიგნია, სიმბოლო მზიურობისა და მარადიულობისა მითოსური ცნობიერებიდან... გუთანი — გლეხის უმთავრესი სამეურნეო იარაღი, სიმბოლო მინათმოქმედი ერის არსებობისა და ხმალი — სიმბოლო თავდაცვის, მტერთან თრთაბრძოლის, მხედრული სულისკვეთებისა.

ვფიქრობთ, ლექსში „ბაზალეთის ტბა“ ილია ჭავჭავაძე განსახოვნებს ბაგრატიონის ყრმა უფლისნულის დაბადებას, სამეფო ხელისუფლების აღდგენას საქართველოში. ილიას, ტახტდაკარგულ საქართველოში რეალურად დაეკისრა მეფობის, ერის წინამძლოლობის მისია, მან განვლო გოლგოთა, უფალთან მიმსგავსებით ქართველი მეფე-მოწამენი რომ ვლიდნენ. ლრმად ჰქონდა განცდილი ქართველ ბაგრატიონთა ხევდრი „ერთმორწმუნე“ დამპყრობის მახვილქვეშ რუსეთში გადასახლებული და მიმოფანტული ერეკლე მეფის შთამომავალნი თუ ირანში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილის „განნირული სულისკვეთება“. ამრიგად, ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ არჩევს ხალურ ტრადიციაში დამკვიდრებულ ხატოვან ფორმულად ქცეულ, ლრმადსულიერი შინაარსით გამორჩეულ მოტივებს. უნარჩუნებს მათ განსახოვნების ტრადიციას და ახლებურად აცოცხლებს მხატვრულ ნააზრევში.

ერის მოლოდინი საფარველდადებული, გადაგანძული საიდუმლოს გაცხადების უამის მოლოდინია. „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველების დარად, რაინდებს ლვთიურ ძალას „აბჯარი საკვირველი“ ანიჭებთ:

„ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი მგვანი“,

„ჯაჭვ-მუზარადი ალმასი, ხრმალი ბასრისა მჭრელიონ“. ზღაპრულ ეპიზოდს პოემაში ქართველ მეფეთა ისტორიული სურათები მხატვრული ძალმოსილებით უსწორებს თვალს.

საინტერესოა, ტრადიციულ აზროვნებაში გერგეტის სამების ფუნქცია:

„გერგეტი ძეველთაგანვე სიწმიდით ყოფილა მოსილი ქართველთა თვალში. იმ ადგილზე, სადაც დღეს სამების ტაძარი დგას, ტრადიცია ანდრია პირველწოდებულის კვალს ხედავს, მოციქულს აქ ჯვარი ალუმართავს, რითაც დასაბამი მიუცია ამ არემარის საკრალური ისტორიისათვის... ძნელბედობის უამს სამების წმიდა ტაძარში ინახებოდა სვეტიცხოვლის განძი, მათ წმიდა წინოს ჯვარი ვაზისა, გერგეტი მცხეთის სვეტიცხოვლის საუფლოში შედიოდა. ისინი თავიანთ ისტორიას ვახტანგ გორგასლიდან იწყებენ, ტაძრის აშენებას თაბარის ანდრეზულ ხანას მიაწერენ“. (ზ. კიუნაძე)

ეს ანდრეზები და გადმოცემები ჰქონიან საყმოს ცნობიერებას. საყმოს ცნობიერება კი გამჭვირვალედ ინახავს მეფის ცხოველმყოფელ ხატს, ერის დამოუკიდებლობის იდეალს, პირვენების ლირებისა და თავისუფლების მრჩამს. ვლადიკავკასიდან მომავალი ილიასა და მოხევის საუბარში სამების ტაძართან ერთად თვალნათლივ ცოცხლდება „სამყოს“ ტრადიციული აზროვნება. ლელთ-ლუნია ფაქტობრივად „საკრალურის მცველის“ ფუნქციას გულისხმობს.

\* \* \*

**თელეთობა** — ხატოვან თქმად ქცეული სიტყვა-ფორმულაა, „არეულობა, ლრეობა, ხმაურობა, უნესობა. (თ. სახოკა). თელეთობით ალინიშნება ქაოსი „ერთი სიტყვით თელეთობაა“ (გ. ორბელიანი).

„თელეთის გორაკზე წარმომდგარია ქვითკირის ეკლესია წმიდა გიორგის სახელმბაზე აშენებული. დღეობაზე აუარებელი მლოცველი იყრიდა თავს, იკვლებოდა ხატისთვის შესანირი საკლავი. ათევდონენ ღამეს, იმართებოდა ქეიფი, დროსტარება, ჩხუბი... ამ უნესრიგობას, ხმაურობას სურათხატოვნად დაერქვა თელეთობა“. თელეთობა, როგორც ხატოვანი თქმა, აურზაურისა და ლრეობის აღმნიშვნელი, გულისხმობს წმიდა გიორგის დღესასწაულის დესაკრალიზებას ილიას ეპოქაში: უმთავრესი ფუნქცია დღესასწაულს დაკარგული აქვს და თავშეყრის, ქეიფობა-დროსტარების ალაგად ქცეულა. XIX ს-ის სასულიერო პირთა ქადაგებებში ხშირად ჩნდება მონოდებები იმის თაობაზე, რომ დიდ დღესასწაულებზე ხალხი სალოცავად და წმიდანთა პატივსაცემად როდი იკრიბება, უმეტესად ტაძრის ეზოში საკლავით მოდის და საერო დღესასწაულად აქცევს საეკლესიო ტრადიციას. ამ ეპოქაში თვალშისაცემია სულიერ ფასეულობათა გადაფასება და სასულიერო წოდებისადმი უნდობლობა, რაც განაპირობა საქართველოში რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ — სამეფო ტაძრის გაუქმებამ და ავტოკეფალის დაკარგვამ, რუს ეგზარხოსთა მიერ ქართველ სასულიერო პირთა შევიწროვებას, სასულიერო განათლების მოწყვეტას შუასაუნებრივ ტრადიციასთან და რუსულად წირვა-ლოცვის, ზოგადად რუსიფიკაციის პოლიტიკით.

ხალხი ინარჩუნებს დღესასწაულის ხსოვნას, მაგრამ თანდათან ეს დღესასწაული ემსგავსება წარმართულ, ქრისტიანობამდელ წეს-ჩვეულებებს.

როდესაც ო. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში“ თელეთს გამგზავრება იხატება, სწორედ დღესაკრალიზებული, ფუნქციადაკარგული დღესასწაულის ხსოვნა წარმოჩნდება. უძველესი დროიდან შვილიერებისა და სენთაგან განკურნების ძალით განთქმული წმიდა გიორგის სალოცავი ლუარსაბი და დარეჯანი რწმენით აღვსილი სასოებით მოძღვრის რჩევით როდი მიემურებიან, მათ იქ მკითხავი აგზავნის.

თელეთობა მცირედმორწმუნე ცოლ-ქმრისთვის წმიდა გიორგის სასწაულთა მოსმენის, მრავალსაუკუნოვანი ტაძრის თაყვანისცემის სურვილით როდია აღვსილი, არამედ ისინი იმ მრევლის ღვიძლი შვილნი არიან, რომელსაც თელეთობა თავშეყრისა და ღრეობის, ადვილად დესაკრალიზებულ დღესასწაულად მიაჩნიათ.

როგორც ო. ჭავჭავაძის თვალსაწიერში ლუარსაბი არ არის წმინდა მეფე ლუარსაბის ღირსეული მემკვიდრე სარწმუნოებრივი მრნამსით, არც დარეჯანია განსახიერება რუსთველისა, პიროვნებისა, როგორც სახელი ლუარსაბი, ილიას შემდგომ დესაკრალიზებულია, ისე თელეთობა და თელეთს გამგზავრება ნაწარმოებში კომიკურია.

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში?!” ეს დესაკრალიზებული დღესასწაული იგულისხმება, გაშარებულია „ლუარსაბისა და დარეჯანის თელეთს გამგზავრება“.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე ტრადიციული აზროვნების წიაღს სიღრმისეულად სცდება, საკრალურის „ზე-ცნობიერ“ ძალას შეიგრძნობს, აცნობიერებს და თავის შემოქმედებაში ახლებურად აცოცხლებს. ტრადიციული განსახოვნების ძალით საკრალურობის, იდუმალების, საიდუმლოებრივის მაღლი შემოქმედებითად შენარჩუნებულია.

## თამარ შარაბიძე

### „ქველი განათლებულის“ მოტივი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ყველა დღიდა პოეტის შემოქმედებაში დგება ჭეშმარიტების ძიების საკითხი, რომელსაც თითოეული შემოქმედი სხვადასხვაგვარად გაიაზრებს. შესაძლებელია ზოგადი პრინციპები დაემთხვეს ერთმანეთს, მაგრამ ნიჭიერ მნერალს მაინც თავისი განსხვავებული ხედვა აქვს; ამ ხედვას კი ის ისეთ სიტყუაში აყალიბებს, რომელიც მხოლოდ მისეულად აღიქმება.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მთელი სიმძაფრით დგება ჭეშმარიტების ძიების საკითხი, რომელსაც ქრისტიანული მსოფლებელვა უდევს საფუძვლად. ილიას ცნობილი ლექსების მიხედვით პოეტის ნააზრევი ასე წარმოჩნდება: ყმანვილი ახლოს დგას უფალთან, მაგრამ დროთა განმავლობაში, სიჭბუკის ჟამის გასვლასთან ერთად, იგი შორდება ღმერთს და ობლება, რადგან წყდება ის კავშირი, რომელსაც ყრმა თავისი უცოდველობით, გულწრფელობით, ფიქრით, ოცნებით ამყარებდა უფალთან („ყვარლის მთებს“). ჭაბუკის თვალით დანახული ყვარლის მთები შეგვიძლია გავიაზროთ როგორც ზეცასთან დამაკავშირებელი მედიუმი, ქვეყნისა და ცის შემაერთებელი. ამგვარი ფუნქცია ქრისტიანულ ტაძარს ენიჭება ხოლმე; მაშინ კიდევ უფრო სიღრმისულად შეიძლება გავაანალიზოთ ილიას მიერ გამოყენებული ლექსია: ზეცასთან სიმბოლური ქორწინება — „შეუღლებული, ღმერთითან მისვლის ჟამი — სიყრმე; სხვაგარი შიში, რომელიც არ აიხსნება სიმხდალით და მხოლოდ უფლის წინაშე მყოფობის შიშად უნდა აღვიქვათ. ამ აზრს კიდევ უფრო აძლიერებს ცისა და მთების სიმაღლლის ერთად მოაზრება, მთათა „ზემო მხარის „ლაუგარდოვანი — ხილული — ცის ფონზე ჭვრეტა და პოეტის ნატერა „აღმაფრენისა“, რომელიც მხოლოდ „ყრმობის სიმარტივითა“ მისაწვდომი. დროთა განმავლობაში იცვლება მიმართება მთებთან. რატომ? პასუხი ერთია. ყმანვილობის ჟამი გადის, რის გამოც სხვაფერდება დამოკიდებულება თვით ზეცასთან. ყრმა თუ „ყმანვილ ყრმობის სიმარტივით“ ახერხებდა უფალთან აღსვლას (თუნდაც ოცნებით), ჟამმა ყმანვილობასთან ერთად „სიმარტივეც“ დააკარგვინა; გონებას კი სულ სხვა მიზნები დაუსახა — საჭიროა წუთისოფლის ვალის მოხდა, რადგან ყრმობით ვედარ მიხეალ უფალთან: ზრდასრულ ადამიანს, რომლის გონება უკვე წუთისოფელზე ფიქრს მოუცავს, ალარ შესწევს ძალა ღვთაებრივის აღქმისა და ეძიებს სხვა გზებს.

ილიას შემოქმედებაში იკვეთება რამდენიმე გზა: 1) სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, რასაც ადამიანი უფლის ბაქვით ახორციელებს („როდემდის“); 2) ვალის მოხდისა და კვალის დამჩნევის გზა („ყვარლის მთებს“, „ქართვლის დედას“, „დაე, თუნდ მოკვედე“); 3)პოეტური პრიკესი („ჩიტი“, „ციურნი ხმები“, „პოეტი“; 4)მნუხარება („მნუხარება“); 5)ობლობა („გაზაფხული“); 6)ლოცვა („გ. აბე/აზს“, „მამაო ჩვენო“, „ოდეს დემონი“); 7)სიყვარული („გიყვარდეს“, „რისთვის მიყვარხარ“, „მეცა მქონია კარგი მარტი“).

ჭეშმარიტების ძიების ამ გზებიდან ილიას სახე და ხასიათი ყველაზე მეტად ვალის მოხდისა და კვალის დამჩნევის გზაში ვლინდება; თუმცა ყველა გზა საბოლოოდ ერთიანდება და ერთ მიზანს ისახავს — წუთისოფლის ვალის მოხდას. რას ითხოვს წუთისოფელი ადამიანისაგან? რაში შდგომარეობს მისადმი ვალი? ილია მთელი თავისი შემოქმედებით ცდილობს პასუხი გასცეს ამ უმნიშვნელოვანეს კითხვას; რაც დაახლოებით ამგვარად აღიქმება — წუთისოფელი ამგვენიური რეალობაა, ამიტომაც ადამიანის ვალია ამ ქვეყანას დაამჩნიოს კვალი, რომელიც „განათლებული“ უნდა იყოს, ე.ი. რწმენით განათებული. სწორედ ამ კვალის დამჩნევისათვისაა საჭირო ყრმობასთან და მთებთან განშორებაც და შემდეგ ხელმეორედ (უკვე ზრდასრულ ადამიანის) დაბრუნება მათთან.

უფლისგან მოშორება სიმბოლურად თვალის ნათლის დაბნელებადაც აღიქმება. პოეტის თვალიც „მნუხარი“ ხდება, როცა კამარას ალარ ამკობენ მთის მნერვერვალი. ლექსის ბოლო სტროფები — „მშვიდობით, ჩემნო...“ — რეალურ ყვარლის მთებთან გამოსამშვიდობებლად ნათქვამი სიტყვებია, რომელშიაც წარმოჩნდება სულის სწრაფვა „შორ ქვეყნიდამ“ (რესეტიდან) სამშობლომდე, ან სულაც — ამ ქვეყნიდან იმ ქვეყნამდე (სამშობლო და მამული ქრისტიანულ ლიტერატურაში /სასულიეროსა და საეროშიც/ ხშირად მოიაზრება ღვთიურ კუთხედ ანუ ადგილად, სადაც ღმერთია).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ადამიანის ვალის საკითხი მრავალმხრივ არის მოაზრებული. ზოგადად კი პრობლემა კითხვის სახით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ — რაში მდგომარეობს ადამიანის დანიშნულება და ვალი ღვთის წინაშე, რომელშიაც გაერთიანდება საკითხები — ადამიანის (ყრმის, დედის თუ წინამორბედის) ვალი სამშობლოს წინაშე, ასევე — პოეტის დანიშნულება და ვალი?

ილიასათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა თავისი „განათლებული“ კვალი“ დატოვოს ამ ქვეყნად, რომ მისმა სიცოცხლემ ფუჭად არ ჩაიაროს, რომ სხვებსაც მაგალითი მისცეს „ნათელი საქმისა“. ამიტომაც პოეტის ვედრებაა დედისადმი:

„დედავ, ისმინდ ქართვლის ვედრება;  
ისე აღზარდე შენ შვილის სული,  
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,  
უკან ჩეჩს კვალი განათლებული“ (ჭავჭავაძე 1987: 67).

პოეტი ქრისტიანული მსოფლხედვის თანახმად წუთისოფელს მდინარედ სახავს, თავის სხეულს — ნავად, რომელსაც წუთისოფლის ზეირთები არხევს, ხოლო ზღვას — სამყაროდ, რომელშიაც მის ნავს „ჩალუპვა“ ელის, კვალს კი წაშლა. კვალის წაშლა ილიასათვის დიდი ტრაგედია:

„თუ ეს მაქვს გარდუვალი,  
ვსწყევლი ჩემ შობის წამსა.  
რად მინდოდა სვლა ქვეყნად,  
თუ ეგ ბოლო მხვდა მხვედრად?“ (ჭავჭავაძე 1987: 48)

პოეტი მზადაა ტანჯვისათვის, ცრემლის ლვრისათვის; ბედის მუხთლობასა და სიყვარულში ლალატისაც კი აიტანს. ერთადერთი, რისი ატანაც არ შეუძლია, ეს საკუთარი თავის „არაფრობაა“:

„ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,  
ბედთანა ბრძოლა ვით შემონება?!  
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა  
არ ძალმიძს, ძმანო, ვერსით გაძლება!“ (ჭავჭავაძე 1987: 69).

არა მხოლოდ ტანჯვის, ილიას სიკვდილისაც არ ეშინია. ტანჯვითა და სიკვდილისათვის მზადყოფნით იგი თითქოს თავიდანვე ემზადება წმინდანობისთვის:

„დაე, თუნდ მოკვედე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი“ (ჭავჭავაძე 1987: 66).

ლექსში ილია კონკრეტულად თავის მოვალეობაზე საუბრობს, რასაც სამშობლოს სამსახურსა და პოეტურ მოღვაწეობას უკავშირებს — ქართველი საფლავში ჩასძახებს თავის პოეტს:

„... შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში —  
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა“ (ჭავჭავაძე 1987: 66).

პოეტის მიზანია ხალხზე ზრუნვა პოეზის საშუალებით; მისი გამოფხიზლება, გამოცოცხლება. ლექსში „როდემდის“ ილია მტკივნეულად განიცდის, რომ არ ვცნობთ სიცოცხლის ფასს, არ ვცემთ თავებას ამ ღვთიურ ნიჭს, მის ყოველ წუთს სიფრთხილით არ ვხარჯავთ და აქ ყოფნა ამაოებად გვეჩვენება. ასეთ ადამიანის ილია სულელს უზრდებს. მას დავიწყებული აქვს ქრისტეს სიტყვები და თავის თავს, მტკრით შექმნილს, ისევ მტკრად სახავს; სიცოცხლეს — ამ უკვდავ ნიჭს — კი მტკრის თანამგზავრად. ილია ადამიანს მაცხოვრის სიტყვებს შეახსენებს:

„წუთუ არ იცი, რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,  
როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავ შენც სრული“ (ჭავჭავაძე 1987: 61).

სრულყოფილებისაკენ ანუ ღმერთისაკენ სწრაფვა არის ადამიანის ცხოვრების დედააზრი, მისი გზის ნათელი; ის, რაც ტოვებს ამ ქვეყნად კვალს; ამიტომ ადამიანის მიზანია, მიემსგავსოს ღმერთს. მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ამისკენ მიიღოვის ილიაც. ის ამჟღავნებს ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და ქრისტიანული სახისმეტყველების უდიდეს ცოდნას და განმარტავს „ცის ნიჭს“:

„უსულდგმულო ცხოვრება  
იგი მიწის ყოფილა,  
რასაც ბოლო ჰქონია!  
ცხოვრებას აცისკროვნებს  
სული, საქმით მეტყველი,  
და ის უბოლო არის,  
ვით სულის შთამბერველი“ (ჭავჭავაძე 1987: 116).

უსულო ცხოვრება მინისაა, მას ბოლო აქვს; ცის ნიჭი კი სულია, „სული, საქმით მეტყველი“. პოეტი კარგი საქმით თავის დროს აჩენს კვალს და ამასთანავე „აქავ“ (ამ სოფელში) ეწაფება უკვდავების წყალს, რომელიც, სახარების ტექსტის წმინდა მამათა განმარტებით, ქრისტეს რწმენით მოპოვებული საუკუნო ცხოვრებაა. „საქმით მეტყველი სულობა“ პიროვნების მიერ საქმეში ასახული სულიერებაა, ამ ქვეყანაზე „განათლებული კვალის“ დამჩნევაა, თავისუფლებისაკენ სწრაფვაა, მოქმედება და მოძრაობაა (შდრ. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებთან“ — მყინვარისა და ოერგის, დღისა და ღამის დაპირისპირება).

საინტერესოა სულის ეპითეტად „უბოლოს“ გამოყენება, რაც არანივთიერსა და დაუსრულებელს უნდა ნიშნავდეს (რომელსაც ბოლო არა აქვს); უფლის მხატვრული სახე კი „სულის შთამბერველია“ (ბარება 1984: 63-64). კვალის დატოვება ამ ქვეყნად ანუ სრულყოფილებისაკენ და ღვთისაკენ სწრაფვა „საქმით მეტყველ სულობაში“ მუდავნდება. მიხეილ კვესელავას თქმით, „ეს ფაუსტური პარადიგმების

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია“, რადგან ჯერ იყო სიტყვა, რომელიც ითარგმნა გონებად, გონება შეიცვალა ძალით და ბოლოს საქმით. ჭეშმარიტების კრიტერიუმად საქმე წარმოჩნდა (კვესელავა 1961 : 401). საქმით მეტყველი სულია ის პოეტიც, რომლის ქნარიც „ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა“ („დაე, თუნდ მოვკვდე“). პოეტს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში წმინდანის ფუნქცია აკისრია. ის „ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზია“. მას ცა გზავნის, ცა ნიშნავს და განსაკუთრებულ მისიასაც აკისრებს. ეს მისია ერის ნინამძღვლობაა; სწორედ ამიტომაც ლაპარაკობს პოეტი ღმერთთან, სწორედ ამიტომაც ღვივის მის გულში ღმერთის სიყვარული, რომ ერის ტანჯვა და სიხარული მხოლოდ კი არ გაიზიაროს, არამედ მისი „ბედით და უბედობით დაედაგოს კიდეც მტეიცე გული“ ... და, აი, მხოლოდ მამინ, როდესაც ნაპერნკალიც — სულინმინდის მადლი — გადმოვა პოეტზე, შეძლებს ის პოეტური პროცესის ალსრულებას; მისი ნამოღვანარი კი ის წმინდა კვალი იქნება, რომელიც ერს ტანჯვის ცრემლს მოსწმენდს (ჭავჭავაძე 1987 : 103).

ილიამ იცის, რომ პოეტობა საპასუხისმგებლი მოვალეობაა — პოეტი წმინდა სიტყვას ავრცელებს ხალხში, რომელიც „ბოროტ საკლავად“ არის მიმართული. წმინდა სიტყვა ღვთის სიტყვაა, უფლის მცენებია, რომელთა მიზანი სწორედ ეშმაკთან ბრძოლაა. ილია მართლის დიდი რწმენა კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა ფარისევლობის დაგმობასა და სიკეთის ფარულ ქმნაში;

„თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა.  
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი“ (ჭავჭავაძე 1987 : 120).

ეს „წმინდა“ თუ „ღვიძლი“ (ამ სიტყვებს ილიასათვის ერთი მნიშვნელობა აქვს. ორივე ღვთიურს აღნიშნავს) სიტყვა ქვეყანას გულისტკვილს მოურჩენს, დავრდომილს აღადგენს, უნუგეშოს ნუგეშს მოცვენს, მტირალს ცრემლს მოსწმენდს, მუშას შრომას გაუადვილებს და, რაც მთავარია, იმედს ჩაუწერგავს ივერიის ძეთ. სიტყვას საქმე მოჰყვება, საქმე, რომელიც „განათლებულ კვალს“ ტოვებს — ერთ დიდ ცეცხლად შეგროვდება „ის თითოეული ნაპერნკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არ ჟოლავდეს“; ცეცხლი ანუ სიყვარული კი სამშობლოს გულს გაუთბობს („მგზავრის წერილები“). პოეტის მისია ილიას მრავალ ლექსისა თუ მოთხოვნაში სხვადასხვა მხატვრული და სიმბოლური სახეებითაა წარმოჩენილი, თუმცა აზრი მისი დანიშნულების შესახებ ყველგან ერთია — პოეტი „საქმით მეტყველი სულია“, მან თავისი კვალი უნდა დაამჩნიოს ამ ქვეყნად, ამიტომაც მიეცა ნიჭი და ამიტომაც „ლაპარაკობს ღმერთთან“.

ილიას შემოქმედების მიხედვით, პოეტური პროცესი ამგვარად შეიძლება აღვიძვათ: დაბინდული ცნობიერება, რომელსაც მოჰყვება მნუხარება და განწმენდა (ღმერთთან მიახლება და ლაპარაკი), შემდეგ — ციდან ნაპერნკალი (სულინმინდის გადმოსვლა) და ლალი სიმღერა ანუ „წმინდა სიტყვა“; სიტყვა, რომელიც ტოვებს კვალს. ეს არის პოეზიით ღმერთთან მისცვის გზა და ღმერთის სიტყვის ხალხთან მიტანა. ილიას არა ერთი, არამედ მრავალი ლექსი ნიმუშია სწორედ ხალხისათვის ღვთის სიტყვის შთაგონების. ეს ლექსებია: „პოეტი“, „ჩემო კალამო“, „ციურნი ხმები“, „მწუხარება“, „გიყვარდეს“, „როდემდის“, „ქართვლის დედას“ და ა.შ., ხოლო პოეტის სიტყვას ღვთისადმი წარმოადგენს ლოცვა.

პოეტი მხოლოდ ერთი თხოვნით მიმართავს უფალს — შეიმეცნოს უფლის მიერ „ნამცნები სიყვარული“. ესეც უფალთან მიახლების გზაა, ყველაზე ნაცადი და უტყუარი. ილიამ კარგად უწყის, რას ნიშნავს სიყვარული, რომ უფლისადმი ტრფობა მას მხოლოდ მოყვასის სიყვარულს არ ავალდებულებს; რომ მოყვრული სიყვარული მოიცავს მოყვრისა და მტრის — ორივეს — სიყვარულს. სიყვარული სულიერი ნათლის მოპოვების გზაა, ნათელი კი გადაარჩენს პიროვნებასაც და ერსაც. ამიტომ დედის მისიას, რომელსაც „საღმრთო ვალად“ მიიჩნევს, მკვეთრად და ზუსტად აყალიბებს ილია:

„აღზარდე შეიღლი, მიეც ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,  
შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,—  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —“ (ჭავჭავაძე 1987 : 67).

საღვთო სიყვარულის ჩანერგვით უნდა აღიზარდოს შვილი; თუ მის გზას წინ ჭეშმარიტება გაუძღვება, მას ნამდგილად დარჩება „განათლებული კვალი“, რაზედაც ოცნებობდა და რისთვისაც მთელი ცხოვრება იღვწოდა ილია ჭავჭავაძე. მთელი მისი შემოქმედება გამოხატულებაა იმისა, თუ როგორ უნდა შეძლოს ადამიანმა თავისი ვალის იმგვარად აღსრულება, რომ უკან რჩეს „კვალი განათლებული“.

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნემ, განსაკუთრებით 60-იანმა წლებმა, ცნობიერების დიფერენცირება და ინტეგრირება მოიტანა — რამაც ხელი შეუწყო აზროვნების განვითარებას, თამამ აზრსა და სიტყვას — ქართველ კლასიკოსთა შემოქმედება რელიგიური თვალსაზრისით არა თუ დაშორდა ქრისტიანულ დოგმატებს, პირიქით, მთელი სიღრმით გამოხატა „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვის“ უცვალებლობა. რაც შეეხება მხატვრულ აზროვნებას, თითოეულმა შემოქმედმა თავისებურად, ინდივიდუალურად გამოხატა სათქმელი. მათი ინდივიდუალიზმი საკითხის დასმაშიც ადვილად შეიმჩნევა. ილია ჭავჭავაძის შემოქმედება პიროვნული სიძლიერის, სიმტკიცისა და რწმენის ნათელ გამოვლინებად მიგვაჩნია, რომლის ერთ-ერთი მაგალითიცაა „კვალი განათლებულის“ მოტივი.

დამოწმებანი:

**ბაქრაძე 1984 :** ბაქრაძე ა. „ილია ჭავჭავაძე“ . თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1984.

**კვესელავა 1961:** კვესელავა მ. „ფაუსტური პარადიგმები“. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961.

**ჭავჭავაძე 1987:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, 1987.

## „ევროპეიზმის“ როგორც კულტურულ – ისტორიული მოვლენის ილია ჭავჭავაძისეული ინტერპრეტაცია

ილია ჭავჭავაძე ქართულ სინამდვილეში ის მოაზროვნე გახლდათ, რომელმაც პირველმა დასვა „ევროპეიზმის“, როგორც კულტურულ — ისტორიული მოვლენის ახნის აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ადრეც გრძნობდნენ აღნიშნული პროპლემის აქტუალობას (ს. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი), ზოგიერთი ავტორი იყენებს კიდევ ევროპეიზმის „ცნებას (მ. თუმანიშვილი, ნ. ბერძნიშვილი), ამჟამად კი გარკვეული ასპექტით შესწავლილია (ს. ჩიქოვანი, ჯ. ჭუმბურიძე, ი. ევგენიძე) და მონოგრაფიულადაა დამუშავებული — „ევროპეიზმი ქართულ ლიტერატურაში“ (დ. ლაშქარაძე), თავის არსებით ნანილში, როცა საკითხი კულტურულ — ფილოსოფიური თვალსაზრისით საზოგადოდ, „ევროპეიზმის“ ინტერპრეტაციას ეხება, საჭიროა ფართო სპექტრში იქნას გააზრებული, როგორ ესმის „ევროპეიზმი“ ილია ჭავჭავაძეს.

დადიო მწერლისა და მოაზროვნის თანამედროვე უცხოელ და ქართველ ავტორთა (არტურ ლაისტი, დავით კასრაძე) გადმოცემით — „მას სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაეთავისუფლებინა“ და საერთოდ „იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ ცხოვრების ევროპეიზაციის მომხრე იყო“ (არტურ ლაისტი). ამიტომაც აზროვნებისა და მხატვრული გემოვნების მეტრად სახავდა არა მხოლოდ „გოეთეს, შილერს, ბაირონს, პუშკინს და გოგოლს“ (ჭავჭავაძე 1998: 337), არამედ „დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნიცშესა და შოთაპაუერსაც“ (ა. ლაისტი). ილია ჭავჭავაძეს, იმთავითვე გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მისია ამქევენად და ამიტომაც განუცხადებია კიდეც: „ჩემს აზრებში ბევრი რამ ინდოევროპულია“ (ჭავჭავაძე 1998: 337-346).

ამ ნინამძღვრებიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ილია ჭავჭავაძე მიზანმიმართულად ცდილობს, ნარმატებითაც ახერხებს საკუთარი შემოქმედებითი ინტერესების ევროპულ-ფილოსოფიური და ლიტერატურული პრობლემატიკის ნიაღში ჩართვას. ამიტომაცაა, რომ ის არა მხოლოდ თავისი მთარგმნელობითი პრაქტიკით (შექსპირი, გოეთე, ი. პოლონსკი, ვ. სკოტი, ფ. შილერი, ჯ. ბაირონი, ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ჰ. ჰაინრი, რიუსერტი, ტ. მური, ა. შენიე, ნ. ნეკრასოვი, ა. დოდე, ჯ. იაკშიჩი, ა. ბუგიე, გ. ებერსი, კლარეტი, ი. ტურგენევი და სხვ.), არამედ ორიგინალური შემოქმედების პრობლემატიკით ეხმიანება ახალ დროში ევროსივრცეში აქტუალურ ისეთ ლიტერატურულ თემებს, როგორიცაა: გოგოლისებური მიდგომა ქართული სინამდვილისადმი (კიკნაძე 1957:) განდეგილობის თემა (მინაშვილი 1995; ბაქრაძე 1990; კალანდარიშვილი 2006:) ფაუსტური იდეათა გამოვლენის ფორმები (კვესელავა 1961:), დანაშაულისა და სასჯელის სოციალური მექანიზმი („სახერჩიბელაზე“), თუ ახალი დროის ეგზომ სპეციფიკური ე. ნ. ადამიანის „გაუცხოების“ პრობლემა (ბაქრაძე 1990:).

ილია ჭავჭავაძე „ევროპეიზმს“ არ აღიქვამს როგორც მანადე უცნობ კულტურულ რეალობას. ის XIX საუკუნის ქართულ გარემოში ერთადერთი მოაზროვნეა, ვინც ობიექტურად და მიუკერძოებლად სცადა ჩასწორი მოდისათვის ორგანულ, მისი დაკვირვებით, გენეტიკურად მახლობელ ევროპულ სამყაროს და პრაქტიკულად ეტვირთა კულტურათაშორისი მედიატორის ფუნქციაც. ამის გამოა, რომ ი. ჭავჭავაძე, ერთი მხრივ, ენერგიულად თარგმნის ევროპელ და რუს მწერლებს; მეორე მხრივ, ლიტერატურულ შეგზურობას უწევს ქართულ სინამდვილეში მისივე ძალისხმევით შემოწინეულ ევროპელ სწავლულებს (არტურ ლაისტი, უორდროპები და სხვ), რათა მათ დიდ მწერლის კონსულტაციების წყალობით ევროსამყაროს ჯეროვნად გააცნონ ქართული კულტურა. რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძე ადრევე კარგად გრძნობს შემდგომში ჩვენში ფილოსოფიური განსჯის დონეზე ქართველის ეთნომენატლური იერ-სახის შესახებ გაულერებული შეხედულებების არსა, რომლის მიხედვით: „ქართველი ქართველია და სხვა არავინ. ის არაა აღმოსავლეთელი ადამიანი. მაგრამ არც ფრანგია და არც ინგლისელი. მას საკუთარი სახე აქვს, რომლის გამომჟღავნების საშუალებას ისტორია არ აძლევდა“ (კოდუა 1978: 14-15).

ილია ჭავჭავაძემ ამ კონტექსტში ასევე პირველმა დასვა „ახალი ქართული ლიტერატურის“, როგორც საულიად გარკვეული ისტორიულ-კულტურული მოვლენის, ახსნის აუცილებლობა. მართალია, ის პირდაპირ არ იმარჯვებს „ახლის“ ცნებას, მაგრამ, სავსებით მართებულად, „ახალი ლიტერატურის“ პრობლემას კანონზომიერად უკავშირებს „ევროპეიზმის“ გაგებას, ანუ „ახლის“, როგორც ასეთის, კულტურულ-ისტორიული შინაარსი მისთვის „ევროპეიზმის“ ეკვივალენტია. ე. ი. ილიას წარმოდგენაში, რაც ამ მოვლენას „სიახლის“ თვისებას სძენს, სწორედ მისი „ევროპეიზმია“. ფრიდრიხ ნიცშე, მაგალითად, „ევროპულს“ და „თანამედროვეს“ იყენებს როგორც სინონიმებს და ფიქრობს, რომ „თვით ევროპაშიც კი ჩვენს კულტურულ ტერმინში („ევროპეიზმი“ — ი.ე.) იგულისხმება არა შორეული და ყველა ხალხი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც აქვთ ერთიანი წარსული — ბერძნული და რომაული სამყაროს, ბიბლიისა და ქრისტიანობის სახით“ (ნიცშე 1909: 299). ამასთან, ეს ავტორი შეუდარებლად აფართოებს „ევროპულს“ კულტურულ-ისტორიულ და გეოგრაფიულ საზღვრებს, როცა მასში აქცევს ამერიკასაც, რამდენადაც ეს ქვეყანა, მისი თქმით, „ევროპული კულტურის ქალიშვილია“ (ნიცშე 1909: 229). ამ კონტექსტში თავის ახსნას მოითხოვს „ევროპეიზმის“

ნიშნის მატარებელი „ახალი ლიტერატურისა და კულტურის“, თანამედროვე, ანუ საკუთრივ „ახალი ადამიანის“ გაგება.<sup>1</sup>

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ რანაირი რელატიურიც არ უნდა იყოს „ახალი დროისა“ და, მის კვალობაზე „ახალი ადამიანის“, როგორც ასეთის, გაჩენის კონკრეტულ-ისტორიული, ქრონოლოგიური ჩარჩოს შესახებ მსჯელობა, ის მაინც რენესანსის, ანუ ჰუმანიზმის ეპოქას უკავშირდება: მის არსებით თავისებურებად მიიჩნევენ, „ზოგადად რომ ვთქვათ, ინდივიდუალიზმს და პროტესტს პიროვნების დამონების ნინააღმდევ“ (ჯიველეგოვი 1908: 23-25).

გრძნობათა ინდივიდუალიზაცია, პიროვნების უაღრესად ინტიმურ განცდათა სოციალური ლირებულების აღიარება არის ადამიანის, როგორც სოციალური ფენომენის, ავტონომიურობის პირობა. ეს მომენტი იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას ახალი დროის ხელოვნებისთვის, რომელსაც ქალაქურ ყოფას უკავშირებენ (ა. ჯიველეგოვი, ა. ლოსევი) და თვლიან, რომ ესაა „ადრეული ქალაქური კულტურის პროდუქტი“ (ლოსევი 1978:).

ცალკეული ინდივიდუმის გრძნობათა საციალური შინაარსი მაინც მოგვიანო ხანაში იქნა აღიარებული, როცა „Невольно бросается в глаза субъективистически-индивидуалистическая жажда жизненных ощущений независимо от их религиозных или моральных ценностей, хотя эти последние здесь формально не только не отрицаются, но часто и выдвигаются на первый план“ (ლოსევი 1978: 57).

„ახალი ადამიანი, გასეტის აზრით, რევოლუციურია სიახლის თვალსაზრისით. ის არა ჰგავს ნინა საუკუნის ადამიანებს, ახალი ადამიანი ნარმოშვა ლიბერალურმა დემოკრატიამ, ცდისეულმა ბუნებისმეტყველებამ და ინდუსტრიალიზაციამ“ (კოდუა 1976: 165). ახალი დროის ნიშანი ადამიანში, სუბიექტური საწყისის გამოღვიძებასა და მგრძნობიარობის გაღრმავებასთან ერთად, თვითანალიზისენ მისწრაფებაც არის. როგორც მიუთითებენ: „მგრძნობიარება, სინაზე ჭეშმარიტად ახალი ეპოქის ნიშანია“ და ამიტომაც გარკვევით აღნიშნავენ: „ახალმა ხელოვნებამ არსებითად აღმოაჩინა ახალი ადამიანი“ (გოგუაძე 1980: 177). ესაა ევროპის ეროვნებათა კულტურული თვითგამორკვევისა და ადამიანის ბუნებრივ უფლებათა გარკვევის ხანა, რაც „ახალ დროს“ ერთგვარად მიჯნავს ადრეული ჰუმანიზმის ეპოქისაგან. ახალი დროის ხელოვნებისა და ლიტერატურის სპეციფიკურ თვისებად ჩვენი საუკუნის ზოგიერთი მოაზროვნე, სწორედ ყოფითი მასალისა და მეცნიერული, ანალიზული ინტერესების მოქარების გამო, შემდეგ მომენტს სახავს: „XIX საუკუნის მანძილზე მხატვრული პროცესები სინმინდით არ გამოირჩევოდა, ხელოვანთ მინიმუმადე დაჰყავდათ მხატვრული ელემენტები“ (გასეტი 1957: 450). როგორც გადმოგვცემენ (გასეტი, „გოა“), „ახალი ხელოვნება, ფილოსიფიის მსგავსად, „განმცხადებელი მისის სულით იქმნება და „ინტელექტის შუადლეს“ ნარმოადგენს. მისი ფუნქცია სიცოცხლისა და ყოფიერების სადუმლოს ახსაში, „ყოფიერების იეროგლიფთა გაშიფრაში“ მდგომარეობს: „ხელოვნების ხანარმოები სიცოცხლისა და ყოფიერების საიდუმლოს გვიმუდავნებს“ (ჭავჭავაძე 1973: 144-145). „ახალი ხელოვნება – ესა ხელოვნება ხელოვანთათვის“ (გასეტი 1957: 450) იმიტომაც, რომ ახალი დროის ხელოვანი, მწერალი, არსებითად ხედვის სხვადასხვა, ხშირად განსხვავებული ნერტილებიდან ცდილობს დაინახოს ადამიანი და სამყარო. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხსენებენ ფაქტს, თუ როგორ უყურებს და ასახავს, მაგალითად, მომაკვდავს ცოლი, ექიმი, რეპორტიორი და ხელოვანი.

ამ ავტორის დაკვირვებით, „ადამიანის აგონია თითოეულ მათგანს განსაკუთრებულ ასპექტში ესახება და ეს ასპექტები იმდენად განსხვავდება, რომ მათი საერთო საფუძვლის დაძებნა ჭირს“ (გასეტი 1957: 451). აქედან იღებს სათავეს სტილიზებისაკენ განსაკუთრებული მისწრაფება, რაც ჰქმის აუცილებლობას ასახვის თავისებურებათა მსგავსებით ერთმანეთთან დაახლოებული მწერლები, ხელოვანები გარკვეულ დაჯგუფებებად ჩამოყალიბდნენ და ბოლოს, ისევ მკვლევარ-მეცნიერთათვის მოსახერხებლად, ეფექტურად ჩაითვალოს მათი გაერთიანება მხატვრულ მიმდინარეობათა ნიშნით.

ასე რომ, ახალი დროის და, მის კვალობაზე, ახალი ხელოვნების, ახალი ლიტერატურის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ მწერალმა და ხელოვანმა სხვადასხვა რაკურსით დაინახოს და დაგვანახოს ადამიანი, სინამდვილე, რაც ერთგვარ ბიძგს აძლევს მკვლევრებს გამოყონ და ილაპარაკონ (ცალკეულ მხატვრულ-ლიტერატურულ „იზმ“-ზე: იქნება ეს სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, ნატურალიზმი და სხვ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გახსენება მხოლოდ იმისთვის დაგვირდა, რომ მის ფონზე უფრო გამოიკვეთოს, თუ ქართული სინამდვილის მაგალითზე, როგორ ესმის ილიას „ახალი ლიტერატურის“ შინაარსი და ფარგლები.

ქართველ მკვლევართა ნაშრომებში (ჯუმბერ ჭუმბურიძე, დავით ლაშქარაძე, რევაზ სირაძე...) სხვადასხვა ასპექტით გაშუქებულია „ევროპეიზმის“ გამოვლენის ფორმები და ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ასე მაგალითად, ჯუმბერ ჭუმბურიძე წერს: „საყურადღებოა, რომ ი. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობის დასაწყისს „ევროპეიზმის“ შემოტანას უკავშირებს და ასეთ ტენდენციას უკვე დ. გურამიშვილის შემოქმედებაში ხედავს. ცნება „ევროპეიზმისა“ ილიას ფართოდ ესმის. მწერლის გაგებით, ესა არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ-მხატვრულ თავისებურებებს, არამედ ევროპული ლიტერატურის ტენდენციებთან, საერთოდ კი ევროპულ-რუსულ კულტურასთან კავშირს გამოხატავს. ეს იყო ქართულ ნიადაგზე, ევროპულ ასპექტში ნარმოდგენილი ახალი აზროვნება, განწყობილებები, მხატვრული ხედვა, თემატიკა, წერის მანერა“ (ჯუმბურიძე 1974: 184). ეს დასკვნა გამოტანილია ი. ჭავჭავაძის დაუმთავრებელი სტატიის — „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“ —

<sup>1</sup> ამ საკითხის დახასიათებისას ძირითადად ვეყრდნობით შემდეგ შრომას, ფილოსოფский энциклопедический словарь, 2-е издание, М., 1989, გვ. 139.

განხილვის საფუძველზე. ილიას აღნიშნული წერილი მიჩნეულია ერთგვარ მონახაზად იმ გამოკვლევისა, რომელიც მნერალს ჩათიქერებული ჰქონია ახალი ქართული მნერლობის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ამ მხრივ დავით გურამიშვილმა „სცადა თითქმის პირველად ზოგიერთაგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართული ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ. ევროპეიზმის განვრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქეს ფიგურალური ლექსი; გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრნიცივალე ნარმომადგენელი ევროპეიზმისა; ეხლანდელი მნერლები, რომელიც ბაძავენ მაგ. ევროპიულ გამოთქმასა, მაგრამ თავიანთი აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან“ (ჭავჭავაძე 1953: 457; შრდ.: ჭუმბურიძე 1974: 183). ზემოთ მოტანილ შეხედულებებთან დაკავშირებით, სავსებით მართებულად არის მითითებული ისიც, რომ აქ საქმე გვაქს „ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი პროცესის გააზრებასთან“, რომ „ილია პირველი შეეცადა ალედგინა ეროვნული ლიტერატურის თანდათანობითი განვითარებისა და მომწიფების პროცესი“ (ჭუმბურიძე 1974: 182), მაგრამ ეს თავისთავად საგულისხმო დასკვნები, იქ სადაც „ახალი ლიტერატურის“, მისი გაგების და საკუთრივ „ევროპეიზმის“ ილიასეული ინტერპრეტაციას ეხება ავტორი, თავის არსებით ნაწილში მანც საჭიროებს გარკვეულ ახსნას, რადგან ყველასათვის სავსებით ნათელი შეიძლება არ იყოს გამოთქმა ილიას მხრივ „ევროპეიზმის“ ცნების „ფართოდ გაგების“ შესახებ, თუკი მას არ დაერთო განმარტება, რა იგულისხმება „ფართოდ გაგებულ“ „ევროპეიზმის“ (ცნებაში).

„ევროპეიზმის“ პრობლემას ქართულ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა დავით ლაშეარაძემ (ლაშეარაძე 1977:); მასში დეტალურადაა გადმოცემული და დასისტემებული ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნააზრევში „ევროპეიზმის“ ხსენების ყველა შემთხვევა თუ ნაგულისხმევი შინაარსი.

მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქეს იმის გარკვევას, ილიამდე ვინ მოიმარჯვა ეს ცნება ქართულ მნერლობაში.<sup>1</sup> მთავარი ისაა, თუ რა შინაარსით იტვირთება ის თვით ილიასაგან და რამდენად უახლოვდება დიდი მნერალი ამ ცნების გაგების თანამედროვე მოდიფიკაციებს. ამასთან, სავსებით ცხადი არაა, თუ რა იგულისხმება „ეროვნული ლიტერატურის“ „ეროვნულ საფუძველზე განვითარებაში“, „ეროვნული სულის“ გამოხატვის უკმარისობასა და იმაში, თუ რატომ ითვლება „ხალხის სულიერი ცხოვრების სიღრმეში ჩახედვა“ მაინცდამაინც „ევროპეიზმის“ ნიშნად. აქედან გამომდინარე, არც ისაა მთლად ნათელი მხოლოდ ეროვნული თემატიკის გაძლიერების გამო, რატომ შეიძლება ჩაითვალის დავით გურამიშვილი „ევროპეიზმის“ პირველ შემომტანად. ამასთან დაკავშირებით, ქართული ლიტერატურის მკვლევარნი (მენაბდე 1973; ცაიშვილი 1986; სირაძე 1980) ხშირად იხსენებენ დავით გურამიშვილის შესახებ ილია ჭავჭავაძის მოსაზრებას მისი ცნობილი წერილიდან: „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქს“: „დავით გურამიშვილის... დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეციის, ვირგილის და პორაციოს დიდაქტიკურ პოეზიას დაუყენეთ პირის-პირ, და რომლის საწრმუნოებრივი დალადება დავით ნინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდევა ასული“ (ჭავჭავაძე 1953: 153).

ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე ეტაპზე, ახლა, როცა საგულდაგულო დაკვირვების საგნადაა ქცეული „დავითიანის“ ფილოსოფიურ წყაროები, პოეტის მიმართება ანტიკურ სამყაროსთან, კერძოდ „ფილოსოფობა ეპიურის“ მემკვიდრეობასთან (მოსია 1986: 83-90) და შემოქმედებით ნათესაობა ქრისტიანულ კულტურასთან, საგანგებოდ კი „დავით-ფსალმუნის ავტორთან“ (მოსია 1986: 97-101), შეიძლება ერთგვარად განზოგადდეს ადრე ჩატარებულ შტუდიათა შედეგები და გადაუჭარბებლად ითქვას: ილია ჭავჭავაძე ქართულ სინამდვილეში პირველი მოაზროვნეა, რომელსაც სავსებით გაცონბიერებული აქეს „ახალი დროის“, „ახალი ადამიანის“ და მასთან მიმართებაში „ევროპეიზმის“, როგორც კულტურულ-ისტორიული მოვლენის, პრობლემა. რასაკვირველია, ჩვენში ილიამდეც გრძნობდნენ ამ საკითხის აქტუალობას, როგორც ჩანს, იყენებდნენ კიდეც „ახალი დროის“ გამომხატველ საყრდენ ცნებას — „ევროპეიზმს“, მაგრამ ნათლად არ ჰქონდათ ნარმოდებენილი მისი რაობა.

„ახალი დროის“ და, მის კვალობაზედ, „ევროპეიზმის“ ობიექტის — „ახალი ადამიანის“ ძირითად მახასიათებლად კი ითვლება პირვენების ბუნებრივ უფლებათა და ეროვნების კულტურული თვითგამორკვევისეკენ სწრაფვა. ეს კი ბუნებრივად უკავშირდება „თანამედროვე ადამიანის“ გაგებას. ხოლო იუნგის მიხედვით, „თანამედროვეობა ქრონოლოგიური მოვლენა კი არ არის, არამედ კულტურულ-ფსიქოლოგიური. იყო თანამედროვე ადამიანი — უპირველეს ყოვლისა ნიშნავს გესმოდეს ანტყო, რაც შეიძლება ნაკლებად იმყოფებოდე არაცნობიერის ტყვეობაში, შეგეძლოს მომავლის თვალით შეხედო და შეაფასო შენი დრო“ (იხ.: ყიასაშვილი 1988: 24).

აქედან გამომდინარე, „როდესაც ლაპარაკია თანამედროვე ადამიანზე, მის მრნამსზე, ამ მრნამსში იგულისხმება მეცნიერება არა მისი შინაარსის, არამედ მეცნიერებისადმი ნდობის, მისდამი იმედის თვალსაზრისით“ (კოდუა 1978: 160); რამდენადაც ესაა აზროვნებისა და სინამდვილისადმი იმგვარი დამოკიდებულება, რომელიც გულისხმობს ბერძნულ-რომაულ და ბიბლიის კულტურულ სამყაროს მემკვიდრეობას, რომელსაც ახალი დროის გადასხვაფერებულ გარემოში ერთგის ადამიანის, როგორც სოციალური უჯრედისადმი, გამახვილებული ინტერესი, რაც ღრმა ფსიქოლოგიზმისა და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაშია გამჟღავნებული, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე თავისი ღრმა ინტელექტით და არაჩვეულებრივი ინტუიციით უნისონშია „ევროპეიზმის“ გაგების თანამედროვე ინტერპრეტაციებთან. ის აღიარებს მეცნიერებისა და ხელოვნების ყოვლისშემძლე ძალას (იხ. მისი

<sup>1</sup> ავტორის აზრით, 1852 წელს „ევროპეიზმი“ პირველად გამოიყენა მ. თუმანიშვილმა, იხ. ლაშეარაძე 1977: 27.

„მეცნიერება და ხელოვნება“), „ცხოვრების მოთხოვნილებათა ახსნაში“, მათ გადამწყვეტ როლს პიროვნული და „ეროვნული ცნობიერების“ „გამოფხიზლების“ საქმეში („შინაური მიმოხილვა“, XXIV, 1883), „საქმის ხალხის“ მნიშვნელობას და იმის აღიარებას, რომ ის „ცნობაში მოიყვანს, „ახალსა“ და მათი შემწეობით ეს „ახალი გადადის ისევ ცხოვრებაში“ („გისკარი“, 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“).

ილია ჭავჭავაძის აზრით, რაკი დავით გურამიშვილის კულტურული ორიენტაცია გამოკვეთილად ემყარება ანტიკურ, ბერძნულ-რომაულ სამყაროს (ეპიკურე, ლუკრეციუსი, პორაციუსი) და ბიბლიას (დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები), რამდენადაც აღნიშნული სულიერი წინაპირობები უკვე ილია ჭავჭავაძის შემდეგ ევროსივრცეში „ევროპული კულტურის“ განმსაზღვრელ კომპონენტებად იქცევიან, ამდენად, ქართველი მოაზროვნე „ევროპეიზმის“ შინაარსის მისეული ინტერპრეტაციით ერთგვარად წინ უსწრებს „ევროპული კულტურის“ თანამედროვე დეფინიციებს (ფრ. ნიცშე, კ. იუნგი).

ასე რომ, ილია ჭავჭავაძე „ევროპეიზმს“ საყრდენებს ქართულ მენტალობაში უძებნის (ანტიკურობა და ბიბლიასთან თანაზიარობის პირველადობა), რითაც მიგვანიშნებს ამ კულტურულ-ისტორიული მოვლენის სათავეებთან სულიერი გენეტიკით დაკავშირებული ქართული გონის, როგორც უძველესი ტრადიცის ფენომენის, იმთავითვე მოაზრების აუცილებლობაზე.

#### დამოწმებანი:

**ჭავჭავაძე 1998:** ჭავჭავაძე ი. ი. ჭავჭავაძე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, ტ. II, თბ., 1998; კოდუა 1978: კოდუა ე. სერგი დანელია, 1978.

**კოდუა 1976:** კოდუა ე. ისტორიის საზრისის გაებისთვის, 1976.

**ნიცშე 1909:** ნიცშე, ანთიბილა, სიც. თ. 5, 1909.

**ჭუმბურიძე 1974:** ჭუმბურიძე ჯ. ქართული კრიტიკის ისტორია, თბ., 1974.

**ლაშქარაძე 1977:** ლაშქარაძე დ. მ. „ევროპეიზმის“ პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977.

**ჭავჭავაძე 1973:** ჭავჭავაძე ლ. ხელოვნების დეპუმნიზაციის ერთი არსებითი თავისებურების შესახებ; კრ. ესტეტიკისა და ხელოვნებობრივი საკითხები, I, 1973.

**გოგუაძე 1980:** გოგუაძე ვ. ადამიანი როგორც ესთეტიკური ფენომენი, თბ., 1980.

**ლოსევი 1978:** ლოსევ ა. ფ. ესტეტიკა ვიზუალური სახელმწიფო მუზეუმის მუზეუმის მუზეუმი, თბ., 1978.

**გასეტი 1957:** ხოც Օრtega ი გასეტ, დეგумანია ისკუსტა, სб.: სოვერენი კულტურის მეცნიერება, თბ., 1957.

**ჯიველებოვა 1978:** ჯიველების ა. კ., ჩანაწერი ისტორიის მეცნიერება, თბ., 1908.

**მენაბდე 1973:** მენაბდე ლ. XIX საუკუნის ქართველი კლასიკობები და ძველი ქართული მნერლობა, თბ., 1973.

**ცამბელი 1986:** ცამბელი ს., დავით გურამიშვილი, თბ., 1986.

**სირაძე 1980:** სირაძე რ., დავით გურამიშვილის მეორე პოეტური „მე“, ნერილები, თბ., 1980.

**მოსახ 1986:** მოსახ ტ., დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ., 1986.

**ყიასაშვილ 1988:** ყიასაშვილი ნ., თანამედროვებობა და მოდერნიზმი. წიგნში: დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), თბ., 1988.

## დალილა ბედიანიძე

### ილია ჭავჭავაძე და იანიშ არანი

XIX საუკუნის უნგრელი კლასიკოსი — მსოფლიო მნიშვნელობის უნგრელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე იანოშ არანი (1817-1882) უფროსი თანამედროვეა ჩვენი ილია ჭავჭავაძისა (1837-1907). თუმცა არ არსებობს ცნობა, რომ ისინი ერთმანეთს იცნობდნენ, მაგრამ მათ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი ტიპოლოგიურად ჰგვანან ერთმანეთს, რაც განპირობებული უნდა იყოს საქართველოსა და უნგრეთში არსებული საერთო ეპოქალური მოვლენებით, უპირატესად — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა ეპოქალური გარდატეხა ქართველი და უნგრელი ხალხის ისტორიაში. დასრულდა მწერლობის განვითარების ერთი ციკლი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ ორ ქვეყანაში თანდათან გზას იყვალავს და ისახება ახალი ეპოქის შესატყვისა მწერლობა — გვიანი რომანტიზმით და ადრეული რეალიზმით დახასიათებული. ამ ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლები იყვნენ საქართველოში ილია ჭავჭავაძე და უნგრეთში იანოშ არანი, რომელსაც გზა დიდმა რომანტიკოსმა პირველი მიხაი ვერეშმარტიმ დაულოცა.

იანოშ არანისა და ილიას მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებული იყო ისტორიული ვითარება ორივეს სამშობლოში და განსაკუთრებული შეიქმნა ის მისიაც, რომელიც ასეთ დროს უნდა ეტვირთა მწერალს და საზოგადო მოღვაწეს. ეროვნული აღირდინება უნდა შეხებოდა თითქმის ყველა სფეროს — მატერიალურსა თუ სულიერს. ყოველივე ამან განაპირობა მათი მოღვაწეობის უნივერსალური ხასიათიც. ილია ჭავჭავაძე და იანოშ არანი თავისი ღვაწლით და თავისი ადგილით ლიტერატურის ისტორიაში მეტად ახლოს დგანან ერთმანეთთან და სიმბოლურად განასახიერებენ თავისი ხალხის, თავისი სულიერ მისიას.

იანოშ არანი, ისევე, როგორც ილია, თავადიშვილი იყო. იგი დაიბადა გალატაკებული თავადის ოჯახში უნგრეთის პატარა ქალაქ ნოძასალონგტში. თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მან ძირითადად ამ ქალაქს დაუკავშირა, თუმცა სხვადასხვა დროს მუშაობდა პედაგოგად ნოძკიორშში, თუ სხვა ქალაქებში, იყო ასევე ნოტარიუსი ნოძასალონგტში. 1870-1877 წლებში იყო უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის პასუხისმგებელი მდივანი და ოჯახითურთ ცხოვრობდა პეშტში. იგი იყო უნეგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, ებრძოდა პაპსურგთა ავსტრიელი დინასტიის მეფობას უნგრეთში და 1848 წლის უნგრეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ იმალებოდა, რათა არ დაეპატიმრებინათ, როგორც რევოლუციის მომხრე. ასევე მაღავდა რევოლუციის მომხრე მეგობარ მწერლებს ვერეშმარტისა და ბაიზას.

ახალგაზრდობის წლებში, როცა დებრეცენში სწავლობდა, თეატრითაც იყო გატაცებული და ერთხანს მსახიობობდა კიდევაც — ისევე, როგორც ჩვენი ილია ჭავჭავაძე იყო თეატრით გატაცებული: ახალგაზრდობაში მას მეცე ლირის როლიც კი შეუსრულებია. არანის კალამს ეკუთვნის მრავალი ლირიკული ლექსი, ბალადები, პოემები, რომელთაგანაც გამოირჩევა ტრილოგია მიეკლოშ ტოლდის — უნგრეთის სახალხო გმირის შესახებ. იანოშ არანს, ისევე, როგორც ილიას, ახასიათებს სოციალური პრობლემებით დაინტერესება, ფოლკლორთან სიახლოვე, რიგითი ადამიანების სიყვარული, პეიზაჟური ლირიკა, რევოლუციური იდეებით გატაცება. იგი ისევე, როგორც ილია, გატაცებული იყო საზღვარგარეთის მწერლობით. განიცდიდა პომერისის, ოსიანის, ბაირონის, ბერნისის, შოტლანდიელი პოეტების გავლენას. თარგმნილი აქვს არისტოფანეს, შექსაბირის, გოგოლის ნაწარმოებები. ილიაც ხომ თარგმნიდა და ბრწყინვალედაც — ვალტერ სკოტი იქნებოდა ეს, ბაირონი, პაინე, ტომას მური თუ სხვები.

როდესაც ნოტარიუსად მუშაობდა, არანს ეხებოდა სხვადასხვა სასამართლო საქმიანობას ილია ჭავჭავაძეც ენერგიდა — იგი იყო მომრიგებელი მოსამართლე დუშეთში.

თვალში საცემი ფაქტია, რომ როგორც ი. ჭავჭავაძეს, ასევე ი. არანს ახასიათებდა იუმორისტული თვალთახედა, სატირომდე და გროტესკამდე მიყენებილი ნაწარმოებები — თუმცა არანს მხატვრული პროზა არ დაუწერია, ილიას პროზის სატირის ძალა კი ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. არანის სატირულმა ეპოსმა „დაკარგული კონსტიტუცია“ 1845 წელს კიშვალუდის საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსზე სატირული პოემებისა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. იგი დაწერილია უნგრელ ლიტერალთა და კონსერვატორთა გააფთორებული ურთიერთბრძოლის შესახებ და წარმოადგენს საგმირო ეპოსის პაროდიას. არანი იუმორით გვიხატავს ამ ორ პარტიას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ როლს, კრებებსა და არჩევნებში მათ მოანილეობას. ნაწარმოების ენა დაახლოებულია ყოველდღიურ სალაპარაკო ენასთან და ხასიათდება ხალხური მეტყველებიდან აღებული ფრაზებით. იგი თავისი სტილითა და მხიშენელობით უფოლდება ილიას ლექსებს, დაწერილს „მამათა და შვილთა“ ბრძოლასთან დაკავშირებით — ოღონდ ილიას ლექსები დაიწერა უფრო გვიან, ვიდრე არანის პოემა — ეს იყო უკვე 60-70-იანი წლების პერიოდი. არის სხვაობაც — ილია თავისი და თანამოაზრების პოზიციას იცავს, არანი კი დასცინის და აკრიტიკებს როგორც ლიბერალებს, ასევე კონსტიტუციებს. ორივეგან თვალში საცემია მძაფრი პოლემიკური ტონი. ილიას „გამოცანები“ (1871), „კიდევ გამოცანები“ (1871) და „პასუხის პასუხი“ (1872) თავისი მნიშვნელობით იგივეა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რაც უნგრული ლიტერატურის ისტორიაში, არანის სატირული პოემა „დაკარგული კონსტიტუცია“. მათი მიზანი ერთიდაგიგივეა — გამოაფხიზოს ერი, მოძველებული შეხედულებები შეცვალოს ახალმა, პროგრესულმა აზროვნებამ, დემოკრატიულმა იდეებმა. სტილური თვალსაზრისით ეს ნაწარმოებები

წარმოადგენენ ფოლკლორის, იმდროინდელი შურნალისტიკის და პოლიტიკური ფრაზების ნარევს, ოლონდ თუ ილიას „მამათა და შეილთა ბრძოლაში“ თანამოაზრები ჰყავდა, არანი მარტო იბრძოდა თავისი კალმით. რაც შეეხება ენის საკითხს, რომელიც ილიამ და მისმა თანამოაზრებმა წამოქრეს, არანი და სხვა უნგრელი პატრიოტებიც ეხებოდნენ მას, მოიხსოვდნენ რა ავსტრიელი პაბჭურგებისაგან, რომ უნგრეთის სახელმწიფო ენა არა გერმანული, არამედ უნგრული ყოფილიყო. ეს საკითხი უნგრეთში უფრო მწვავედ იდგა.

ილიას ბევრი თანამოაზრე და მეგობარი ჰყავდა, რომელთა შორისაც გამოირჩეოდა მისი თანატოლი აკაკი წერეთელი. ილიას და აკაკის სახელები ისე გადაენა ერთმანეთს, როგორც შანდორ პეტეფისა და იანოშ არანისა, თუმცა პეტეფის აკაკისთან ცოტა რამ აქვს საერთო. პეტეფიმ უდიდესი გავლენა მოახდინა არანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. სწორედ მისი გავლენით შექმნა არანმა თავისი პირველი კლასიკური ნანარმოები პოემა „ტოლდი“ (1845), რომელიც ლიტერატურის ისტორიაში საგანგებო მოვლენად შევიდა. ისევე, როგორც „დაკარგული კონსტიტუცია“, პოემა „ტოლდი“ არანმა კიმურალუდის საზოგადოების მიერ გამოცხადებულ მეორე კონკურსზე გაგზავნა და ისევ მოიპოვა უპრეცედენტო გამარჯვება. მიკლოშ ტოლდი იყო უნგრელი სახალხო გმირი. მის შესახებ XVI საუკუნის უნგრეთში შექმნა ხალხური გადმოცემები. ტოლდის სახეში არანმა თავი მოყუარა და ააღმორდინა უნგრელი მშრომელი ხალხის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ამსახველი ტრადიციები. პოეტის მიზანი იყო უნგრელი ხალხის უკვდავი სული, მისი სულიერი ფასეულობები ეჩვენებინა. იგი რეალისტური შტრიხებით გვიხატავს, თუ როგორ მოხვდა და რას აკეთებდა ტოლდი მეფე ლაიოშ XIV-ის კარზე. პოემაში ასევე აღნერილია ლაიოშ XIV-ის კარის ბრწყინვალება, მეფის დემოკრატიული ხასიათი და სამეფო კარის არისტოკრატიული ახალგაზრდობის თავაძებულობა, რომელიც შეურცხყოფას აყენებენ გმირ მიკლოშ ტოლდის, თუმცა მეფე ესარჩლება მას. ხალხური თქმულებების საფუძველზე იანოშ არანამდე 1574 წელს პეტერ შეიმეშ ილოშვამიაც დაწერა პოემა ტოლდის შესახებ, რომელიც არანმა შემოქმედებითად აითვისა, მაგრამ ილოშვამისან განსხვავებით ფსიქოლოგიური სიღრმე მიანიჭა გმირის ჭეშმარიტად ხალხურ ხასიათს. მიკლოშ ტოლდი რეალურად არსებული პიროვნება იყო, სოფელ ხოდფალუდან და სამასი წლის განმავლობაში მისი პოპულარობა ხალხში არ შეწყვეტილა. პოემაში „ტოლდი“ ცოტაა მოქმედი პირი – ეს არის თვითონ მიკლოში, მისი ვერაგი ძმა ძმრძი, მათი დედა – უკეთილშობილესი ქალბატონი, მიკლოშის ერთგული მსახური ბენცე და ბრძენი, სამართლიანი მეფე ლაიოში. მიკლოშ ტოლდი თუმცა წარმოშობით თავადია, მაგრამ უფროსი ძმისგან დაჩაგრული გლეხურად ცხოვრობს და მის სახეში ავტორმა თავი მოყუარა უნგრელი გლეხის საუკეთესო თვისებებს. აქ აქცენტი გაკეთებულია სოციალურ უსამართლობაზე და ჩვენ ვხედავთ მერთალ მსგავსებას სოციალური უსამართლობით დაჩაგრულ არსენას, კაკო ყაჩალისა და ზაქროს სახეებთან ილია, „კაკო ყაჩალიდან“. ხოლო როდესაც არანი ლაიოშ XIV-ის საქმიანობას აღნერს, გვაგონდება თამარ მეფის სახე ილიას „აჩრდილის“ პირველი ვარიანტიდან და „ბაზალეთის ტბიდან“. ისევე, როგორც ილია ესება საქართველოს ექროს ხანას თამარ მეფის სახით, არანი უნგრეთის ექროს ხანას იხსენიებს ლაიოშ XIV-ის სახით. მსგავსება აქაც მკრთალია, მაგრამ მაინც არსებობს, თუმცა ილიას „აჩრდილი“ არანის პოემაზე გვიან დაინერა. მსგავსია ფოლკლორული მასალებისადმი ამ ორი ავტორის მიღეომაც. მათი გმირები ფოლკლორული სახეებიდან ზოგადსაკაცობრიო, იდეალურ გმირებად იქცევიან და სამართლის მაძიებელი დაუმარცხებელი პერსონაჟები არიან, ამასთან – მათ ამკობს კოლორიტი, ერთს ქართული, მეორეს კი – უნგრული.

იანოშ არანი იმდენად იყო მოხიბლული და შთაგონებული ტოლდის სახით, რომ მას კიდევ ორი პოემა უძღვნა: „ტოლდის საღამო“ (ტოლდის ტრილოგიის ბოლო პოემა) და „ტოლდის სიყვარული“ (ტრილოგიის შუა პოემა). „ტოლდის საღამოში“ იგრძნობა პოეტის შემოქმედებითი ზრდა, აქ აღნერილია ტოლდის ბოლო გმირობა და მისი აღსასრული – თუ როგორ აუსრულდა მას ოცნება და მეფე ლაიოში მის წინაშე წარსდგა არა როგორც მეფე, არამედ – როგორც მეგობარი. თუ როგორ მოიყვანა გონს ტოლდის სასახლის კარის თავგასული ახალგაზრდობა – ხოლო „ტოლდის სიყვარული“ შედარებით სუსტია და მას არავითარი კავშირი აღარა აქვს ილიას პოეტურ სამყაროსთან.

ისევე, როგორც ილიას პოეტური ენა, იანოშ არანის პოეტური ენა ხასიათდება უნგრული ხალხური მეტყველების საგანძურიდან ამოღებული ბრწყინვალე მარგალიტებით. ამ საკითხს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა და ჩვენ მას აღარ გამოვეკიდებით. ჯერ მარტო არსენას მოხსენიება რად ლირს ილიასთან, ანდა – ურმულისა!

ისევე, როგორც ილიასთვის, არანისთვისაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამშობლოს ბედი იყო, მისი სამშობლოს თავისუფლებას კი ორი ძლიერი მტერი უშლიდა ხელს – მეფის რუსეთი და პაბჭურგების ავსტრია. ამ საკითხშიც ჰყავს ეს ორი დიდებული ფიგურა ერთმანეთს. ილიაც ხომ სწორედ მეფის რუსეთის დამცყრობლურ პოლიტიკას ებრძოდა! არანზე დიდი გავლენა მოახდინა უნგრეთის 1848 წლის რევოლუციამ. იგი იარაღით ხელშიც კი იბრძოდა სამშობლოს თავისუფლები სათვის. ეს მის შემოქმედებაშიც აისახა, განსაკუთრებით ლექსში „14 აპრილი“ (14 აპრილს, 1848 წელს უნგრეთის რევოლუციურმა მთავრობამ კოშუტის მეთაურობით უნგრეთის ავსტრიისგან გათავისუფლების და პაბჭურგთათვის უგრეთის ტახტის მემკვიდრეობის აკრძალვა იზეიმა). არანის რევოლუციურ ლექსებს მიეკუთვნება: „შევედი“, „ჰაი, არა ზურგიდან, ჰაი, წინიდან“, „პატიმარი“ (რომელშიც არანი გლოვობს რევოლუციის დამარცხებას და ლექსის ლირიკულ გმირში გულისხმობს უდროოდ დაღუპულ გმირ მეგობარ პოეტს შანდორ პეტეფის). არანი საყოველთაოდ ცნობილი გახადა რევოლუციის დღეებში დაწერილმა ლექსში „ეროვნული გვარდიის წევრის სიმღერა“, რომელიც სასიმღეროდ იქცა და მთელმა უნგრეთმა აიტაცა. ამ ლექსის სულისკვეთებას ეხმაურება ილიას ლექსი, დანერილი პეტერბურგში 1858 წელს „ქართვლის დედას“. ასევე, არანის ლექსი „14 აპრილი“ ახლოს დგას

ილიას შემოქმედებასთან. რევოლუციის დამარცხებამ არანს საბოლოოდ გაუტეხა გული და იგი დიდი ხნით დადუმდა.

იანოშ არანი, როგორც ილია ჭავჭავაძე, მოღვაწეობდა გვიანი რომანტიზმის, რეალიზმის ფორმირებისა და განმტკიცების პერიოდში. XIX ს-ის უნგრული ლიტერატურის და პოლიტიკური აზროვნების მწვერვალად ითვლება შანდორ პეტეფი მისი ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად. პეტეფის უახლოესი მეგობარი იანოშ არანი თავისი ლირიკული, თუ ეპიკური ნანარმოებებით და პროზაიკოსი იოჟეფ ეტვიოში პეტეფთან ერთად უნგრულ ლიტერატურაში რეალიზმის ფუძემდებლებად ითვლებიან. მათი პირველი ნაბიჯები წინ უსწრებს 1848-1849 წლების ბურუუაზიულ რევოლუციას, რომელიც ეროვნული თავისუფლების ნიშნით მოხდა და რომელსაც დიდი რეპრესიები მოჰყვა თან. ეს რევოლუცია თავისი დანიშნულებით მოჰყვას საქართველოში 1832 წლის შეთქმულებას, რომელიც სასტიკად ჩაახშო მეფის რუსეთის თვითმყრობელობამ და რომელსაც ასევე მასობრივი რეპრესიები მოჰყვა. როგორც ცნობილია, პეტეფი რევოლუციის დროს ბრძოლის ველზე დაიღუპა გმირული სიკვდილით, ხოლო სხვა რევოლუციონერები ზოგი მასავით დაიღუპა, ზოგი ემიგრაციაში წავიდა, ზოგიც საერთოდ დადამდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ XIX ს-ში უნგრეთშიც და საქართველოშიც კრიზისი განიცადა, თუმცა მის ბრძოლას მოჰყვა ორივეგან ბატონ-ყმობის გაუქმება, რაც თავისთავად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და რაც აისახა როგორც უნგრელი, ასევე – ქართველი მწერლების ნანარმოებებში – არანისა და ილიას შემოქმედებაშიც.

იანოშ არანის პერიოდის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე იყო ლაიოშ კოშუტი (1802-1894) — „მამა კოშუტად“ წოდებული, თავისი გაზეთით „პეშტი პირლოპ“ (პეშტის გაზეთი), რომელიც ორმოციანი წლების უნგრეთში გამოდიოდა და რომელიც მალე მიატოვა კოშუტმა. ამ გაზეთან თანამშრომლობდნენ იოჟეფ ეტვიოში, ლასლო სალაი, ანტალ ჩენგერი, მორიც ლუკაჩი, ახალგაზრდა იმრე მადაჩი და სხვები. მალე გამოსვლა დაინწყო უურნალმა „ილეტკიპეკმა“ (ცხოვრების სურათები), რომლის რედაქტორიც იყო დემოკრატიული აზროვნებით გამორჩეული ადოლფ ფრანკებურგი. ამ უურნალთან თანამშრომლობდნენ პეტეფი, მორ იოკაი, ტომბა, ალბერტ პალფი და სხვები. დემოკრატიზმის განვითარებას უწყობდნენ ხელს მიჰპაი ტანჩიჩი, იანოშ პირარიკი და პალ ვაშვარი. ტანჩიჩის რედაქტორობით გამოდიოდა „მუშათა გაზეთი“, რომელსაც პროგრესული იდეების გამო ებრძოდა თავად-აზნაურთა ლიბერალური ბანაკი. ხალხური სიმღერების სტილში წერდნენ ტრანსილვანიელი პოეტები იანოშ კრიზა და მიჰპაი სენტივანი. იმ პერიოდის გამოჩენილი ლირიკოსი იყო მიჰპაი ტომბა, რომელიც აგრეთვე წარმატებით იყენებდა უნგრულ ფოლკლორს და იყო პეტეფისა და არანის ახლო მეგობარი და თანამოაზრე. იყვნენ ასევე რომანისტები და დრამატურგები იგნაც ნოძი, ლაიოშ კუტი, ედე სიგლიგეტი, შიგმონდ კემენი, მორ იოკაი, პალ დიულაი, იმრე მადაჩი, რომლის დრამამაც „ადამიანის ტრაგედია“ იანოშ არანის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ზემოთ ჩამოთვლილი მწერლების საქმიანობა მეტად ახლოს არის ილიას პერიოდის „თერგდალეულთა“ მოძრაობასთან, რომელიც იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული სულის გაღვივებისა და სასიკეთო ძვრებისათვის. ასევე – ზემოხსენებული უნგრელი მწერლების მოღვაწეობა მოგვაგონებს „მამათა და შვილთა ბრძოლას“ „ცისკრისა“ და „საქართველოს მომბის“ ფურცლებზე საქართველოს განახლებისათვის, დემოკრატიული იდეების დამკვიდრებისათვის, რეალიზმის განვითარებისათვის ლიტერატურაში. აქვე უნდა ვთქვათ, რომ იანოშ არანი არ ჩარეულა მეგვარ ლიტერატურულ პაექრობებში, ხოლო ილია ჭავჭავაძე მეთაური იყო „შვილთა“ და „თერგდალეულთა“ ბანაკისა. ილიასგან განსხვავებით, არანის შემოქმედება ორ პერიოდად იყოფა: XIX ს-ის 40-იან წლებამდე და XIX ს-ის 50-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე. თუ პირველ პერიოდში არანი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეუდრეველ მებრძოლად გვევლინება, მეორე პერიოდში მისი პოეზიის ლირიკული გმირი უკვე დამარცხებადატანილი, გულგატებილი, ფილოსოფიური აზრებით და ცხოვრების ავ-კარგიანობის შესახებ მსჯელობით არის ალბერტილი, თუმცა სწორედ მეორე პერიოდში დანერა მან თავისი ერთ-ერთი უძლიერესი პოემა, ტრილოგიის მუა ნანილი „ტოლდის სიყვარული“ და არაერთი ლირიკული ლექს-შედევრი, გაერთიანებული ციკლად „შემოღვიძები“. არანის მებრძოლი სულისკვეთება შეცვალა აგრეთვე ყოფითი თემებით გატაცებამ და ის უკვე ალარ ქმნიდა ისეთ ლექსებს, რომელსაც ავსტრიელი ცენზორები არ უბეჭდავდნენ, ან ადრე ჟერნდა დაბჭდილი („ლარიბი გლეხი“, „პატიმარი“, „ტყვე ყარყატი“, „ქერა პანი“ და სხვა). თავისი ნატურით არანი არ იყო რევოლუციონერი და თავისი ოჯახის კეთილდღეობისათვის არაერთხელ წასულა მთავრობასთან კომპრომისზე. იგი მარტოსული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე, განსაკუთრებით – პეტეფის შემდეგ. ბოლო უამს იგი უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროშიც კი მუშაობდა, რომელიც აგსტრიას ექვემდებარებოდა – თუმცა მისი სახელი უნგრელმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა რევოლუციას.

გარდა პერიოდისა, არანის კალამს ეკუთვნის პუბლიცისტურ-კრიტიკული ხასიათის წერილები, რომელიც ჩვენთვის ჯერ-ჯერობით მიუწვდომელი აღმოჩნდა და რომელთა შედარებაც ილიას პუბლიცისტიკისათვის საინტერესო სურათს მოგვცმდა. თუმცა, ეს უკვე მომავლის საქმეა.

## ელენე გოგიაშვილი

### ქართული ფოლკლორი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიურ სამსახურში

ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა იმპერიებში შემავალი პატარა ქეყნებისთვის მათ განმათავისუფლებელ მოძრაობებში.

საკუთარი ტრადიციების დაცვა ძლიერი იარაღია იდენტობის შესანარჩუნებლად. ტრადიციისკენ მიბრუნების ფენომენი შეიძლება პოლიტიკურ ელფერსაც ატარებდეს. ისტორია მდიდარი წყაროა საიმისოდ, რომ შესაბამისი ფაქტები პოლიტიკურ პროგრამად იქნას შემოთავაზებული. ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად ერის სიძველის სურათის შესაქმნელად ნარმატებით გამოიყენება ფოლკლორული წყაროები: ხალხური გადმოცემები, საგმირო თქმულებები და ბალადები, ლეგენდები, მემორატები, რომლებიც ნაციონალურ ისტორიულ გმირებს უკავშირდებიან.

ფოლკლორი ეროვნული თვითმყოფადობის გამოვლენის თვალსაჩინო საშუალებაა, მაგრამ ამასთან ერთად დიდია მისი გაქრობის საიმპროებაც, თუ ის დროულად არ იქნა დაფიქსირებული.

ფოლკლორისადმი ინტერესის გაძლიერებას ყველა ქვეყანაში თავისი მიზანი ჰქონდა. დასაცლეთ ეკონომიკური ზეპირსიტყვიერება რომანტიზმის შთაგონების წყაროდ იქცა. ცენტრალურ ევროპაში ზღაპრების შეკრებას ძმები გრიმების მოღვაწეობამ მისცა ბიძგი. ბერძნების, ბულგარელების, სერბებისა და ბალკანეთის სხვა ხალხებში, რომლებიც თურქების მიერ იყვნენ დაპყრობილი, ფოლკლორისადმი ინტერესის გადავიძებას განმათავისუფლებელმ მოძრაობამ შეუწყო ხელი (შტეგპერი 2005: 2-11). რუსული ფოლკლორული მასალის შეკრება სამეცნიერო მიზნით დაიწყო.

აღმოსავლეთ ევროპის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ინსპირირებული იყო იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744-1803), „იდეებით კაცობრიობის ისტორიის ფილისოფიისათვის“, რამაც სლავი ხალხების ე. წ. ეროვნულ ხელახლა დაბადებას შესახა ფრთები. ჰერდერი ხალხურ პოეზიაში ხალხის სულის ჭეშმარიტ გამოხატულებას ხედავდა. იგი მიიჩნევდა, რომ ერის ტრადიციებში არყელილია ერის თვისებები, რომლებიც ბუნებრივი ცვლილებებისა და სულიერი იდეალების შედეგად ჩამოყალიბდნენ (პროფანოვა 1999: 219). ვოლკსგეისტ ნიშნავდა ხალხის სულს [გერმანელი მეცნიერი ჰ. ბაუზინგერი მიიჩნევს, რომ ეს სხვა ენებზე ეს სიტყვა „ნაციონალურ სულად“ უნდა ითარგმნებოდეს — ე. გ.] და მიზნად ისახავდა ახალი პოლიტიკური რეჟიმის ხედვას, რომელშიც სხვადასხვა ხალხები ერთადერთობას მიაღწევდნენ და სხვა ხალხებს გამოეყოფოდნენ (ბაუზინგერი 1992: 74).

„ფოლკსგასისტის“ იდეა ფოლკლორისტებისთვის გამოწვევად და სტიმულად იქცა. მათ ყველაფრის შეგროვება დაიწყეს, რასაც ხალხურ სიძველედ მიიჩნევდნენ, რომ ახალი ეროვნული კონცეფციისთვის შეეწყოთ ხელი.

#### მე-19 საუკუნე: ფოლკლორი და ეროვნული იდეოლოგია

საქართველოში ფოლკლორისადმი ინტერესი გაჩნდა არა რომანტიზმის ეპოქაში, როგორც ეს ევროპაში მოხდა, არამედ მოგვიანებით, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. ზეპირი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა, ფოლკლორის მხატვრული, შემეცნებითი და ისტორიული ღირებულება სათანადო დონეზე მანამდე ვერ გააცნობიერა ქართულმა საზოგადოებრიობამ, სანამ სამოღვაწო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძე არ გამოჩნდა.

კავკასია, როგორც რუსეთის იმპერიის ურთულესი რეგიონი, მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდანვე იყო ეთნოგრაფიული შესწავლის ობიექტი. მის კვლევას რუსი მეცნიერების მიერ მკვეთრად გამოხატული იმპერიალისტური მიმართულება ჰქონდა (ჯაგოდნიშვილი 2004: 136).

მაშინ, როცა ცარიზმის პოლიტიკა ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ აღნერებს ადმინისტრაციული დაზვერვის საშუალებად იყენებდა, ქართული ფოლკლორი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი იარაღი გახდა. ხალხური შემოქმედების – როგორც ზეპირსიტყვიერების, ისე მუსიკალური ფოლკლორის – ნიმუშების შეკრებას ამ ეპოქის უდიდესი მოღვაწეები მოთავეობდნენ: ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი, პ. უმიკაშვილი, თ. რაზიკაშვილი და სხვები (ჩიგოვანი 1960: 138-179). ილია ჭავჭავაძემ კი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის შეკრების გარდა მათი მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობის საკითხი დასვა. წერილში „ხალხის ზნე-ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“ ვკითხულობთ:

„ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და პარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ [...]. ერთის რომელისამე საგნის ამოჩემება, იმისი ,მოდად‘ დანესება და სხვა საგნების დავიწყება — კარგი არასდორს არ ყოფილა და არც ჩვენთვის იქნება. სახალხო პოეზია კარგია, მაგრამ როცა მარტო იმისი შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება ,მოდად‘ ხდება, მაშინ საჭიროა, რომ სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ. საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებაშ ერთად თავი შოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შესწავლისათვის. თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენთვის კი დრო არ არის?“ (ჭავჭავაძე 1987: 164). ფაქტობრივად, ამ წერილში ილია ჭავჭავაძემ ახალგაზრდა მეცნიერების — ფოლკლორისტიკის პროგრამა ნარმალდებინა, რომლითაც ქართველ მეცნიერებს მომავალში უნდა ეხელმძღვანელათ.

## მე-20 საუკუნე: ფოლკლორი და საბჭოთა იდეოლოგია

მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე, ფოლკლორული მასალის ფიქსაციის გარდა, აქტუალური გახდა მისი მეცნიერული შესწავლა და სისტემური კვლევა. 1901 წელს საქართველოში ჩატარდა პირველი სამუსიკო ფოლკლორული ექსპედიცია კომპოზიტორისა და მუსიკისმცოდნე-ეთნოგრაფის დიმიტრი არაყიშვილის (1873-1953) ხელმძღვანელობით, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორისტიკას. ცნობილია, რომ ამ და მომდევნო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 1908 წლამდე მეცნიატი დავით სარაჯიშვილი აფინანსებდა (ხუჭუა 1980: 92).

1921 წლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად მუშაობდა, რომ ფოლკლორი თავისი იდეოლოგიის სამსახურში ჩაეყენებინა. ფოლკლორი — სიტყვიერი და მუსიკალური — სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ იქნა როგორც მუშათა და გლეხთა კლასის ხელოვნება, როგორც „მშრომელი ხალხის შექმნილი“ და ამდენად, მთელ საბჭოთა საზოგადოებაში პოპულარული უნდა გამხდარიყო.

მეცნიერებმა ყურადღება გადაიტანეს ფოლკლორის პოლიტიკურ მხარეზე, კვლევები მთლიანად ორიენტირებული იყო ტრადიციის შინაგან სტრუქტურაზე, რომელიც ხელშეუხებელი იყო პოლიტიკასგან. 1926 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო ქართული ზეპირსიტყვიერების ლექციების კურსის კითხვა. 1932 წელს საქართველოს მუზეუმში ფოლკლორის განყოფილება დაარსდა. ორივე ამ წამოწყების მოთავე ქართველი ფოლკლორისტი, ლიტერატორი, ხელოვნებათმცოდნე და მოქანდაკე ვახტანგ კოტეტიშვილი (1893-1937) იყო. მისი „საცდელი ლექციების ბრწყინვალედ ჩატარების შემდეგ, რომლებსაც დასწრებან ცნობილი მეცნიერები ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე და სხვ., მიანდეს ფოლკლორის კურსის წაკითხვა. [...] 1929 წლიდან კი, მისივე ინიციატივით, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოღებულ იქნა პოეტიკის კურსი“ (გამეზარდაშვილი 1969: 4-5).

ვახტანგ კოტეტიშვილი უნივერსიტეტშიც მოღვაწეობდა და იმავდროულად საქართველოს მუზეუმში თავისივე დარსებულ ფოლკლორის განყოფილებასა და ფოლკლორულ არქივს ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით, 1936 წელს, ამ განყოფილების ბაზაზე ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის (ამჟამად შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი) ფოლკლორის განყოფილება და არქივი შეიქმნა. ვახტანგ კოტეტიშვილმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ფოლკლორულ სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წინასწარ შემუშავებული მარშრუტით (კოტეტიშვილი 1961: 14).

1936 წელს თბილისში ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან (მაშინ ჯერ არ არსებობდა კულტურის სამინისტრო) ხალხური შემოქმედების კაბინეტი გაიხსნა. დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნა მიხეილ მგალობლიმვილი, კონსულტანტად — ვახტანგ კოტეტიშვილი. 1937 წლიდან დაწესებულებას ხალხური შემოქმედების სახლი ენოდა (მისი პირველი დირექტორი იყო კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, ლოტბარი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ კოელაძე).

ხალხური შემოქმედების სახლი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით შეიქმნა, ცენტრი მოსკოვში იყო, სადაც მოკავშირე რესპუბლიკებიდან ყოველწლიურად იგზავნებოდა ჩატარებული მუშაობის შესახებ აზგარიშები. საქართველოში ხალხური შემოქმედების სახლს ფილიალები ჰქონდა სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში.

ხალხური შემოქმედების სახლის კონსულტანტი ვახტანგ კოტეტიშვილი იყო. მან კომპოზიტორ გრიგოლ კოელაძესთან, მუსიკოს-ფოლკლორისტებთან — გრიგოლ ჩხილავაძესა და თამარ მამალაძესთან ერთად შექმნა ფონდი, რომელიც დაცულია ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების უნიკალური მასალები (ამჟამად, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი).

ხალხური შემოქმედების სახლში გაიხსნა ლოტბართა, ქორეოგრაფთა და ხალხური რეწვის ოსტატთა კურსები. პირველად საქართველოში შეიქმნა სახვითი ხელოვნების სასწავლო კომბინაცი, რომლის დამაარსებლები ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი გრიგოლ კოელაძე და ხალხური რეწვის ოსტატი არტემ გაბუნია იყვნენ.

ხალხური შემოქმედების სახლში გაიხსნა გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, რომელიც შემდეგ ქართული ხალხური სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმად ჩამოყალიბდა.

ხალხური შემოქმედების სახლი სხვადასხვა სახის ლონისძიების ორგანიზატორი იყო — სახალხო მთემელთა კონკურსების, ქართული ფოლკლორის რესპუბლიკური დათვალიერებების, მოყვარულთა თეატრების (დრამატული, თოჯინების და საბავშვო) ფესტივალებისა და სხვა.

1937 წლიდან ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადები ხალხური შემოქმედების სახლის თაოსნობით და აქტიური მონაბილეობით ენცობოდა (1937, 1938, 1949, 1951, 1954, 1960-1961, 1979, 1981, 1997, 2001 წლებში).

ოლიმპიადების მომზადება ევალებოდა საორგანიზაციო კომიტეტსა და სარეპერტუარო კომისიას. პირველად კოლექტივებს კულტურის რაიონული განყოფილებები თბილისში ჩამოსვლამდე ადგილზე ამონტებდნენ, შემდეგ კი მათ მიერ შერჩეული ჯგუფები ხალხური შემოქმედების სახლიდან წარგზავნილ კომისიას უნდა შეემონაბებინა. ჯერ სარეპერტუარო კომისია აფასებდა ყველა შემოქმედებით კოლექტივს, მერე — უიური.

1959 წლიდან მოყვარულთა თეატრებისა და ფოლკლორული ანსამბლებისათვის „სახალხო წოდების“ მინიჭება ხალხური შემოქმედების სახლის წარდგინებით ხდებოდა.

ხალხური შემოქმედების სახლს ცოცხალი კონტაქტი ჰქონდა ხალხური შემოქმედების კოლექტივებთან. მათი რეპერტუარის დახვეწა-გამდიდრებისთვის შნიშვნელოვან როლს ასრულებდა ცენტრის საარქივო ფონდი, რომელშიც ინახებოდა ხალხური სიმღერები, ქორეოგრაფების ჩანაწერები, პიესები და სხვა. საკონსულტაციოდ და არქივის გასაცნობად მოდიოდნენ გუნდის ხელმძღვანელები, დრამატურგები, კომპოზიტორები.

საჭიროა იდეოლოგიური მანქანა თვალს ადევნებდა, თუ როგორ ხდებოდა ფართო მასებისთვის ხალხური შემოქმედების ნიმუშების მიწოდება და რას ასწავლიდნენ ლოტბარები რაიონებში თვითმოქმედ კოლექტივებს. ამ მიზნით ხშირად ამონტებდნენ არქივს. ცენტრალური კომიტეტიდან გამოგზავნილ კომისიას ევალებოდა ხალხური შემოქმედების სახლის კონტროლი. არქივში, რა თქმა უნდა, იყო ძველი საგალობლების კრებულები, რომლებიც ათეისტურ სახელმწიფოში იკრძალებოდა. აქვე ინახებოდა ვახტანგ კოტეტიშვილის ნაწერებიც. 1947-2004 წლებში არქივის მთავარი მცველი თინათინ ლობჟანიძე იყო. პირადად მისი დამსახურებაა ის, რომ 30-იანი წლების რეპრესიების შემდეგ ფონდში მაინც გადარჩა ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალა და მისი რამდენიმე ხელნაწერი. თინათინ ლობჟანიძემ გადაარჩინა აგრეთვე ძველი ქართული კანონიკური საეკლესიო საგალობლების ხელნაწერები, რომელთა ნაწილობრივი გამოცემა მხოლოდ 1999 წლიდან დაიწყო. თინათინ ლობჟანიძე ყველანაირ ხერხს მიმართავდა ძვირფასი მასალის გადასარჩენად. მისგან პირად საუბარში მოსმენილი მაქვს:

„რაც კი რამ ნოტები იყო, ყველას ერთად დავუწყობდი ნინ კომისიის წევრებს და, რომ დაიღლებოდნენ, მერე გამომქონდა დანარჩენი — საგალობლები, რომლებსაც ან აღარ გადახედავდნენ, ანდა, თუ შემთხვევით ვინმე იკითხავდა, საგალობელს აქ რა უნდაო, უკასუხებდი: ეს იგივე სიმღერებია, ადრე სიმღერას გალობას ეძახდნენ-მეთქი. კომისიაში არ იყო დიდად განათლებული ხალხი და ეს ხერხი ჭრიდა. გაცილებით რთული მდგომარეობა იყო ზეპირსიტყვიერებაში. ვახტანგ კოტეტიშვილის სახელის ხსენებაც არ შეიძლებოდა, არათუ მისი ნაწერების შენახვა და მოვლა. მის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული მასალა რომ გადარჩინილიყო, მის სახელს და გვარს ვმშლიდი. შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველაფერი აღვადგინე, მის კალიგრაფიას რა დამავიწყებდა?!“ (ინტერვიუ ჩაწერილია 2006 წლის 9 თებერვალს, ინახება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში).

ხალხური შემოქმედების სახლში მუშაობდა ფოლკლორისა და თვითმოქმედ კომპოზიტორთა სექციები. ფოლკლორის სექცია მეცნიერულ საფუძველს უქმნიდა დაწესებულების საქმიანობას.

ცნობილია, 1938 წელს გამოცემული ივანე ჯავახიშვილის „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, რომელიც სამაგიდო წიგნია ქართული მუსიკის ისტორიისა და მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარისათვის, „დაწერილია საქართველოს ს.ს.რ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების კაბინეტის თაოსნობით“, როგორც ეს წერია წიგნის თავფურცელზე (ჯავახიშვილი 1938).

ამჟამად, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცულია მუსიკალური ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების მასალები, რომელიც შეკრებილია ქართული კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს მოღვაწეების მიერ.

იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა ხელისუფლება მუდმივად ცენზურას ახორციელებდა ხალხურ შემოქმედებაზე და თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება სურდა, ქართული კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები საბჭოთა მთავრობის დავალებების პარალელურად ეროვნული მნიშვნელობის საქმეს ემსახურებოდნენ და ფაქტიურად, აგრძელებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციას.

ფოლკლორისტებისა და ეთნოლოგებისთვის სახელმწიფო არ არის მთავარი საკვლევი თემა, მაგრამ ის ყოველთვის გარკვეულწილად ფიგურირებს ფოლკლორთან მიმართებაში. დღეს მეცნიერებაში სადაო აღარ არის, რომ ფოლკლორისადმი ინტერესი სწორედ სახელმწიფოდან მომდინარეობდა (ბაუზინგერი 1992: 73).

ფოლკლორისტების მეცნიერული ორიენტაციის დასაწყისში, ფოლკლორს ხელისუფლების წარმომადგენლები იმისთვის იყენებდნენ, რომ ეჯექტურად განეხორციელებინათ თავისი იდეები და პოლიტიკა, როგორც ამას აკეთებდა ცარისტული რეჟიმი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ფოლკლორი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩადგა.

მე-20 საუკუნეში საბჭოთა იდეოლოგიამ ფოლკლორი თავის მხარდამჭერად გადააქცია.

მიუხედავად პოლიტიკური მანიპულაციებისა, ფოლკლორი თავისი ბუნებით სრულიად აპოლიტიკური ფენომენია, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს მისი კვლევისას. ის, რომ ილია ჭავჭავაძემ ფოლკლორის მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობის საკითხი დასვა, სწორედ ამაზე მიანიშნებს — პოლოვკაციული მიზნებით ფოლკლორის გამოყენების თავიდან აცილება მხოლოდ მისი მეცნიერული კვლევით არის შესაძლებელი.

#### დამოწმებანი:

**ბაუზინგერი 1992:** Bausinger, Hermann: Change of Paradigms? Comments on the Crisis of Ethnicity. In: *Studia Fennica Folkloristica I. Folklore Processed, in Honour of Lauri Honko on his 60<sup>th</sup> Birthday*. Helsinki: Suomalais-Ugrilaisen Seura, 1992.

**გამეზარდაშვილი 1969:** გამეზარდაშვილი, დავით. ვახტანგ კოტეტიშვილი. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1969.

- კოტეტიშვილი 1961:** კოტეტიშვილი, ვახტანგ. ხალხური პოეზია. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1961.
- პროფანოვა 1999:** Profanová, Zuzana. Historische Genres im Prozess der Mythenbildung in der Slowakei. In: Europaeische Ethnologie und Folklore im internationalen Kontext. Festschrift fuer Leander Petzoldt zum 65 Geburtstag. Herausgegeben von Ingo Schneider. Frankfurt: Peter Lang Verlag, 1999.
- შტეგშერი 2005:** Stegherr, Marc. „Es ist viel Speise in den Furchen der Armen“. Die Erforschung der Maerchenkultur des europaeischen Ostens. In: Märchenspiegel. Zeitschrift fuer internationale Märchenforschung und Märchenpflege. Heft 1 (Februar) 2005.
- ჩიქოვანი 1960:** ჩიქოვანი, მიხეილ (რედაქტორი). ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.
- ჭავჭავაძე 1987:** ჭავჭავაძე, ილია. რჩეული ნანარმოებები ხუთ ტომად. ტომი IV. პუბლიცისტური წერილები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987.
- ხუჭუა 1980:** ხუჭუა, პავლე. დიმიტრი არაყიშვილი. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1980.
- ჯაგოდნიშვილი 2004:** ჯაგოდნიშვილი, თემურ. ქართული ფოლკლორისტის ისტორია, I. თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2004.
- ჯავახიშვილი 1938:** ჯავახიშვილი, ივანე. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „ფედერაცია“, 1938.

## თეიმურაზ ქურდოვანიძე

### ილია ჭავჭავაძის პოეტურ თემათა ვაჟა ფშაველასეული რემინისცენცია

ილიას მკვლელობას ვაჟა ფშაველა რამდენჯერმე გამოეხმაურა. პირველი ემოციურად დატვირთული წერილი „ვერ მოჰკლეს!“ (გაზ. „ისარი“, 1907, 195) დაწერილია მღელგარების მდგომარეობაში და, მართალია, ვაჟას ტკივილისა და ძმათა დანაშაულის მიუტევლებლობის განცდა ასაზრ-დოებს, ხაზგასმულად იგრძნობა, რომ ქართველ ხალხს ელაპარაკება დიდი ილიას ღვაწლის ჭეშმარიტი შემფასებელი და თავად საქართველოს ბედზე დაფიქრებული შვილი. წერილი კითხვითი წინადადებებით განყობილი ხმა-მაღალი ფიქრებია. პოეტი ანტითეზისის მხატვრული ხერხის გამოყენებით მღელვარედ ნარმოაჩენს ულირს ქართველთა ქმედების შემზარაობას. ვაჟასთვის ილიას მკვლელობა სცილდება ფიზიკური მკვლელობის სტა-ტუსს, იგი იდეის მკვლელობის ცდადაა მოაზრებული. პოეტი თვლის, რომ ილიაზე ხელის ამნევებს თავად საქართველოს მკვლელობის სურვილიც ამოძრავებთ და სწორედ ამაში ხედავს პოეტი განგაშის მიზეზს.

ამ წერილში ძალიან მნიშვნელოვანი ის არის, რომ პოეტი ცდილობს სწორ გზაზე დააყენოს საზოგადოება, დამოძღვროს იგი. ერთი მხრივ, ვაჟა გახაზავს ილიას მოღვაწეობის მნიშვნელობას ქართველი ერისთვის, განამტკიცებს თვალსაზრისს, რომ ილიამ მამულის წინაშე სრულად და უმნიერებლოდ მოიხადა ვალი. მეორე მხრივ, ვაჟა დარწმუნ-ნებულია, რომ ილია ისევ საქართველოსა და ქართველებზე ფიქრით მამა-პაპათა წინაშე დამალავს თავისი სამარცხვინო ძმების „სასიქადულო ძღვენს“ — ტყვიებსაც და ნელულებსაც — რათა წინაპრებს ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს და არც აფიქრებინოს, არ გააჯავროს ჩვენს საქციელზე. იმ მძიმე უამს ზემოხსენებული კონტექსტების შექმნას ვაჟა ფშაველა, ჩანს, საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა.

საინტერესოა კიდევ ერთი ასპექტი: ილიას მკვლელობის პირველივე დღეებში ვაჟა უარს ამბობს, შური იძიონ მკვლელებზე. პოეტის მოტივაციის თანახმად, მკვლელები პირუტყვები არაან, რომლებსაც ადამიანებივით ვერ დასჯი. ამ მხატვრული შედარების პარალელურად ვაჟას ფიქრის წარმმარ-თველია ქრისტიანული შენდობის ლოგიკა: „სისხლი სისხლისთვის? ცოდვა მიუმატოთ ცოდვას? სირცხვილს — სირცხვილი?“ — კითხულობს პოეტი და ასკვნის, რომ მათი დასჯა „ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა“.

დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში („სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“, „ისარი“, 1907, 198) პოეტი ახასიათებს ილიას, როგორც მწერლისა და საზოგადოების წინამძღოლის, ღვაწლს: „მთელი 50 წელი, -წერს ვაჟა,- განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთ ჩვიდს შეიღლა, ისე... დაპკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, არ მომიშვიდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა“.

ილიას მკვლელებს ვაჟა ფშაველა საქართველოს მკვლელების, ენის, ეროვნებისა და ტერიტორიის უარმყოფლების კვალიფიკაციას აძლევს, უპირისპირებს მათ ილიას ანდერძის მიმდევრებს, რითაც ნიადაგს ამზადებს მომავალშიც ილიას საქმისადმი ერთგულების ფიცის წარმოსათქმელად.

მესამე, ავტოგრაფის სახით შემორჩენილი წერილი „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“ (თბ8. ტ. IX, 1964, გვ. 274), თავისი შინაარსით, წამოქრილი საკითხების ხასათითა და შეფასებით, გვიან, 1908-1909 წლებშია დაწერილი. მასში ილიას მკვლელობისა და საქართველოს ბედისადმი ვაჟას მიმართება უცვლელია.

და ბოლოს, ლექსს „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“, რომელიც პოეტის მკვლელობისადმია მიძღვნილი, ვაჟა ფშაველა აგებს საქართველოს მთაში დიდი ტრადიციების მქონე „ხმით ტირილის“, კერძოდ, „დათვლით“ ტირილის კომპოზიციური კანონის გათვალისწინებით. საზოგადოდ, ტრადიციული „დათვლით“ ტირილის ესთეტიკა მოტირალს ავალდებულებს „კაი ყმის“ ყველასათვის ცნობილი „საგმირო საქმეების“ გახსენება-ჩამოთვლას, ანუ დათვლას. ეს გარდაცვლილის სიცოცხლეში წამოღვაწის შეხსენების გარდა, მიზნად ისახავდა ვაჟაციის სახელის უკვდავყოფაზე ზრუნვას.

ვაჟა ილიას „საგმირო საქმედ“ საქართველოსა და ქართველებზე ზრუნვას მიიჩნევს და იხსენებს პოეტის მხატვრული შემოქმედების ძირითად თემებს. რაკი ილიასა და ვაჟასდროინდელი საქართველოს უმთავრესი სატკივარი ეროვნული და სოციალური თავისუფლების საკითხები იყო, ამიტომ ვაჟა ილია ნააზრევიდან მკითხველის ყურადღებას აჩერებს იმ პრიბლემებზე, რომლებსაც მგოსანი მთელი შემოქმედებითი ცხოვრება უტრიალებდა და სხვადასხვა კუთხით წარმოსახავდა.

ლექსში ამ თემებზე საუბრის დაწყებამდე ვაჟა საერთო გლოვის სურათს ხატავს. ავტორი ახლო წარსულის ისტორიას მიმართავს და ამბობს, რომ ილიას ნათელ სახეს დაუკოცნიან არაგვის სახელოვანი გმირები, თანამედროვეობას კი შეიღზე მგლოვიარებად დამსხდარი ალაზნის ნაპირებით წარმოადგენს. ამის შემდეგ ვაჟა უკვე ანინაურებს სოციალურ თემას. პოეტი ქმის კონტექსტს, რომლის თანახმად, ილია უსამართლოდ ჩაგრულთა ქომაგადა გამოყვანილი. ამიტომ წარმოიდგენს პოეტი, რომ ილიას დასტირიან პოემა „რამდენიმე სურათი...“ -ს გმირი კაკო ყაჩალი და მის ბედში მყოფი გლეხვაცები.

ილიას მკვლელობამ უფრო გაამძაფრა ძველი პრობლემები. ვაჟა წუხს, რომ ილიას ძალისხმევა მოაკლდება ტკივილიან ეროვნულ საკითხს, კონკრეტულად, თავისუფლების მოპოვების იმედს. ვაჟა იხსენებს ილიას მიერ გაცოცხლებულ ხალხურ ლეგენდას ერის ცრემლით წარმოქმნილი ბაზალთის ტბის ძირას ჩადგმული ოქროს აკვნის შესახებ. ვაჟა თავის წუხილიან საუბარს ოქროს აკვანზე

კითხვებით აშინაარსებს, როგორც ეს ხალხური ხმით ნატირალისტვის არის დამახასიათებელი. პოეტის ლექსი სტილურადაც ამიტომ წააგავს ნატირალს:

ვაი, რომ რჩება აკვანი  
ბაზალეთის ტბის ძირასა,  
და დიდხანს კითხვადვე გვრჩება:  
ვინ ამოილებს იმასა?  
ან იმ ბალლს ვინ უპატრონებს,  
უსუსურს, მტირალს ბედისა,  
აკვანში რომ წევს საწყალი  
და ძუძუ სწყურის დედისა?  
ან იმ ცრემლის ტბას დიადსა,  
ერისგან დანადინარსა,  
ვინ დაპშრეტს, ვინ ამოიყვანს  
იმ უსუსურსა, მტირალსა?!

ვაჟას, როგორც სასონარკვეთილ მოტირალს, პასუხი არ აქვს დასმულ კითხვაზე — ამ რეალობაში მისოვის მომავლის სურათი არ იხატება.

ილიას გზიდან ჩამოშორებით, - ამბობს ვაჟა ლექსში, - კიდევ უფრო დამძიმდება ცოცხლად დარჩენილ ქართველთა ყოფა, რადგან ჩვენს ქვეყანას მტრები ახვევიან გარს და ჩვენ კი, როგორც გეჩვევია, მტრის წისქვილზე ვასხამთ წყალს:

გაღმა გასვლისა მსურველთა  
უკუღმა მიგვყავს ბორანი.

მთავარი კი ის არის, რომ საქართველოში

გაგვიბატონდა სირეგვნე შეუწონარი.

ვაჟა ფშაველას მიერ საუკუნის წინ დაწერილი ეს ლექსი მხოლოდ წარსული ისტორიის ფარგლებში ძნელად ეტევა. დიდი კლასიკოსის განცდა დღევანდელობაშიც ხვდება მკითხველის გულს.

ილიას ვაჟასეული დატირება, როგორც ნახეთ, ხალხური ხმით ნატირლების მსგავსად, მძაფრი ემოციითაა დატვირთული.

## ილია ჭავჭავაძე და სამცხე-ჯავახეთის მოღვაწეები

1860-იანი წლებიდან საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ხანა დაიწყო — ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საზოგადო ჩათავეში ჩაუდგა თერგდალეულთა თაობა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. 1870-იანი წლებიდან ეს მოძრაობა გააქტიურდა და მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო გავრცელება. მას თანამგრძნობლები და მიმდევრები უჩნდებოდნენ და უმრავლებოდნენ ქვეყნის პროვინციებში. მათთან მჭიდრო კავშირს, თანამშრომლობასა და მათვის დახმარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აღნიშნული მოძრაობის ლიდერები, მათ შორის ილია ჭავჭავაძეც. ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს იმ რეგიონებს, სადაც განსაკუთრებით მძიმე იყო ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა და სადაც მეტად განიცდიდა ის ეროვნულ ჩაგვრასა და გადაგვარებას.

ამ მხრივ გამორჩეულ მდგომარეობაში იმყოფებოდა სამცხე-ჯავახეთი, რომლის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებით არ დამთავრებულა მხარის მკვიდრი მოსახლეობის ეროვნული ჩაგვრა-შევიწროება. ილიასა და სხვა დიდი ქართველი მოღვაწეების ყურადღება ამ პრობლემამაც მიიპყო, რომლის გადაწყვეტისა და, საერთოდ, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ისინი ძალისხმევას არ იშურებდნენ. ამისათვის მყარდებოდა და ხშირდებოდა ურთიერთობა და თანამშრომლობამათსა და ადგილობრივ ინტელიგენციას შორის. ილია ჭავჭავაძესა და სამცხე-ჯავახეთის მოღვაწეებს შორის ურთიერთობას თავის ნამრომებში შეეხენ მკვლევარები: ი. მაისურაძე<sup>1</sup>, შ. ლომსაძე<sup>2</sup>, დ. კოჟორიძე<sup>3</sup>, ე. ბუბულაშვილი<sup>4</sup>, ნ. ყრუაშვილი<sup>5</sup> და სხვ. თუმცა ამ საკითხისათვის ყურადღების საგანგებოდ დათმობა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია როგორც მისი ისტორიული მნიშვნელობის, ასევე საკითხის უფრო თანმიმდევრულად გაშუქების საჭიროების გამოც.

სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობა XIX საუკუნის II ნახევარშიც საჭიროებდა მონინავე ქართველი საზოგადოების მხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას მრავალ სფეროში, რამეთუ საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით აქ ბევრად უარესი იყო მკვიდრთა ყოფა: კვლავ მძიმე იყო მხარეში ოსმალთა ბატონობის შედეგები, კვლავ გრძელდებოდა მათი მრავალმხრივ შეჭირვებული მდგომარეობა; რუსეთის მთავრობის მხრივ კი ისევ საგრძნობი იყო გულგრილი დამოკიდებულება მათ მიმართ.

მხარის ქართველი მოსახლეობის ამგვარი მდგომარეობა კი გამოიწვია ან ხელი შეუწყო ასევე 1828-1829 წლების შემდეგ სამცხე-ჯავახეთში განვითარებულმა პროცესებმა. როგორც ცნობილია, საქართველოს ამ ძირძებით მხარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების სიხარული გააფერმერთალა ადგილობრივი ქართველებისათვის ომიანობის შედეგად თავს დამტყდარმა უბედურებამ და ცარიზმის იმპერიულმა პოლიტიკამ. ომმა ააოხრა და ძალზე შეამცირა მკვიდრი მოსახლეობა. ამასთან ერთად მეფის რუსეთმა ხელი შეუწყო მკვიდრთა აყრასა და გადასახლებას ოსმალეთის იმპერიაში, მათ სანაცვლოდ კი შემოასახლა დიდი რაოდენობით კოლონისტები (ოსმალეთიდან სომხები, მცირედ — ბერძნები, რუსეთიდან კი რუსი დუხობორები და ა. შ.). ამით მხარეში მკვიდრი ქართული ელემენტი ძალზე შემცირდა. ამას გარდა, კოლონისტებზე საგანგებოდ ზრუნვის ფონზე ის აშკარად ყურადღებას არ აქცევდა მძიმე მდგომარეობაში შეიფარებული ქართველებს, მათი გაქრისტიანებისა და დანარჩენ ქართველებთან კვლავ დაახლოების სურვილსა და მცდელობებსაც.

მხარეში ამგვარად განვითარებულ მოვლენებს ემატებოდა ქართველი მოსახლეობის წინაშე მდგარი სხვა სირთულეებიც: ადგილობრივი ქართველების 3 რელიგიურ ჯგუფად დაყოფა (მაპმადიანებად, კათოლიკებად და მცირერიცხვობან მართლმადიდებლებად). მაპმადიანი და კათოლიკე ქართველების სარწმუნოებრივი განსხვავება, ასევე რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკა ქმნიდა მათი ეროვნული გადაგვარების საფრთხეს, რომელიც საგრძნობლად იზრდებოდა XIX საუკუნის II ნახევარში; ქართველი მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენა გრძელდებოდა XIX საუკუნის შუა ხაზებშიც, რადგან მთავრობა ხაკლებად ზრუნავდა მათობის და, საერთოდ, მხარეში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაარსებლად ან არსებულის გასაუმჯობესებლად; სოციალურ-ეკონომიურ სფეროშიც გრძელდებოდა მკვიდრი მოსახლეობის გაჭირვება, რადგან მხარის ეკონომიური მდგომარეობა ნელი ტემპით უმჯობესდებოდა; ხოლო ქართველი მაპმადიანი ბეგების თავადაზნაურულ წოდებაში აღიარების ნაცვლად რეგიონში დიდი გავლენით სარგებლობდნენ ისმალეთიდან გადმოსახლებული ვაჭარ-მეგაბერები და რუსი მოხელეები, ქართველ მოსახლეობას კი არ ჰყავდა ნარჩინებული წოდება მხარეში...

ამ ფაქტორების შედეგად XIX საუკუნის შუა ხანებში სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, XIX საუკუნის II ნახევრიდან ქართველ საზოგადოებას გამოუჩინდა გარკვეული შესაძლებლობები მკვიდრი მოსახლეობის ამგვარი ვითარების გასაუმჯობესებლად, მათში

<sup>1</sup> სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ილია მაისურაძის ფონდი, 360, გვ. 46-49.

<sup>2</sup> შოთა ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენ, თბ., 1984.

<sup>3</sup> დ. კოჟორიძე, განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1986.

<sup>4</sup> ელდარ ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ., 2003, გვ. 24-25, 55-59;

<sup>5</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილელი, შრომების კრებული, 1, 1998, ნატო ყრუაშვილი, ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 166-171.

ეროვნული ცნობიერების ასამაღლებლად. ყოველივე ეს საზოგადოების დიდ ძალსხმევას, ფართო და ხაყოფიერ მოღვაწეობას მოითხოვდა.

მართლაც, 1870-იანი წლებიდან სამცხე-ჯავახეთში აშკარად შეიმჩნეოდა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი მოძრაობებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლება და გააქტიურება. მხარეში იმრავლა ინტელიგენციის რიცხვმა. მათში მტკიცდებოდა ეროვნული ცნობიერება; მრავალი მათგანი თერგდალეულების იდეების მომხრენი და მიმდევრები ხდებოდა. ისინი უფრო და უფრო ენერგიულად და ნაყოფიერად ინყებდნენ მოღვაწეობას სხვადასხვა სფეროში: ხსნიდნენ საზოგადო თუ საეკლესიო სასწავლო დაწესებულებებს და ზორუნავდნენ არსებული სასწავლებლების მუშაობის გასაუმჯობესებლად, უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მათში მშობლიურ ენაზე სწავლებას ან ქართული ენის შესწავლას (მაგ., ახალციხეში ქალთა უფასო სკოლის გახსნა ანა ღოღობების მუშავლიშვილისას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, საზოგადოების მიერ კი მისი შენახვა, კათოლიკე მღვდლების (ი. გვარამაძე, ს. ასლანიშვილი,...) მიერ და მოღვაწეების (მაგ., ალ. მეფისაშვილი) დახმარებით მხარეში სამრევლო სკოლების გახსნა); მხარეში მოღვაწე და აქედან სხვაგან წასული კათოლიკე მნიგნობრების მიერ სასწავლო-სასულიერო ლიტერატურის გამოცემა კონსტანტინეპოლისა და მონიობანში, 1880-იანი წლებიდან ქართული წიგნებისა და უურნალ-გაზეთების გავრცელება მხარეში, 1890-იანი წლების შუა ხანებიდან სახალხო ბიბლიოთეკების გახსნა; ქართული თეატრალური წარმოდგენების გამართვა 1870-იანი წლებიდან, რასაც 1900-იან წლების შუა ხანებში მოჰყვა ქართული თეატრალური დასის ჩამოყალიბება; ადგილობრივი ინტელიგენტები დაინტერესებულნი იყვნენ კულტურით და თვითონაც ცდილობდნენ ლიტერატურასა და კულტურის ზოგიერთ დარგში მუშაობას; ადგილობრივი მოღვაწეები თერგდალეულთა ორგანოში, გაზეთ „დროებაში“, შემდეგ კი „ივერიაში“ ინყებდნენ ხანგრძლივად თანამშრომლობას და პუბლიცისტურ საქმიანობას (განსაკუთრებით ი. გვარამაძე, ი. ალხაზიშვილი), სადაც აყენებდნენ მოსახლეობის განათლების, მათ მიერ საკუთარი კულტურისა და ისტორიის გაცნობის, კულტურის განვითარებისა და მეცნიერების საფუძვლის ჩაყრის საჭიროებას, ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობას, მათში ეროვნული ცნობიერების ამაღლების საკითხს და ა. შ. ამ ამოცანების გადაწყვეტილისათვის აღნიშნულმა მოღვაწეებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს. თავის ნაყოფიერ საქმიანობასთან ერთად ადგილობრივი ქართველი ინტელიგენტები ხმას იმაღლებდნენ და ინყებდნენ ზრუნვას ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად, როდესაც მთავრობა ან რომელიმე მხარე აძლიერებდა ადგილობრივ ქართველთა ეროვნულ შეეგინროებასა და ჩაგვრას (მაგ., „მართლადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ თუ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ სკოლებსა და სასწავლებლებში, ებრძოდნენ ქართულ ენას ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში, ზღუდავდნენ ქართველი მრევლისათვის მშობლიურ ენაზე დევოისმახურებას მართლმადიდებელ ეკლესიებში და ა. შ.). დროთა განმავლობაში ეს პიროვნებები (საუკუნის დაასასრულისათვის მათი რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა) ყალიბდებოდნენ ადგილობრივ ეროვნულ მოღვაწებად და საზოგადოებრივ საქმეებში ორგანიზებულად მოქმედ ინტელიგენციად.

სამცხე-ჯავახეთში მოქმედი მრავალი ქართველი მოღვაწისთვისაც ილია ჭავჭავაძე ავტორიტეტული და დიდი პიროვნება იყო, რომლის იდეებსა და მიმართულებებს თავიდანვე დიდ პატივს სცემდნენ და მისი მიმდევრები ხდებოდნენ. ხოლო ზოგიერთ მათგანსა და ერის მამას შორის პირადი კავშირებიც მყარდებოდა, ჰქონდათ მასთან მიმოწერა და შეხვედრებიც.

ილიასთან როგორც თანამოაზრობა, ასევე მასთან პიროვნული კავშირის დამყარების სურვილი XIX საუკუნის II ხახევარის სამცხე-ჯავახეთის მოღვაწეებს შორის ადრევე გააჩნდა ივანე გვარამაძეს. როგორც ი. გვარამაძის მიერ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული ნაშრომიდან ირკვევა<sup>1</sup>, 1860-იანი წლების დასასწისში თბილისში ივანეს ილიასთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონია. აქ გვარამაძე ხალისით მონაწილეობდა საზოგადოებრივ შეკრებებში, სადაც უკვე გამორჩევით ჩანდა ახალგაზრდა ილია. ივანეც დიდ პატივს სცემდა მას და მოსწონდა მისი შემოქმედება. ხოლო ილია შთაგონებით ივანე გვარამაძეს სამიჯნურო ლექსიც დაუწერია. ამის შესახებ თავად ივანე ასე იხსენებს: „სიტყვარომ მოვიდოდა ჩვენს შეყრილობაში მე ყოველთვის ვაქებდი ხოლმე (ილია — გ. მ.), ერთხელ მითხრა ჩიქანმანა აგრე, რომ მოგწონს აბა ერთი შეაქე ვინმე მისი მოსიყვარულე ყმაწილ ქალისაგან, ვნახოთ მართალია თქვენი მისი ქება გულით არის თუ პირადია. მეც დავსწერე ორი-სამი მუხლი მის გულისად ასე, როგორც თუ მის მოსიყვარულეს ენახოს ერთხელ და არ დასცალებოდეს თავის სიყვარულის გამოცხადება მისთვის ამ რიგად:

ახ! რად დამაგდე ლამაზის სახე ბადრის წამნამო.  
გიშრის ქოჩირ ულვაშთა საროს ზრდილო ტანო ლერნამო  
ტყვე ვემნილ ვარ შენის სურვილის, რა მეთქმის ან რა ვიწამო?  
მომხედე წყალობის თვალითა, სატრფოვო გულის სანამო!  
მფრინველად გახდი ან ჯეირანად, გამომიქროლე მიდამოდ,  
დღე ღამ გული მაქვს დარაჯად, სულ ჩარსული ვკრთო მის გამოდ  
შუქი შენი თვალთა წინა, ჯერაც მიდგია საამოდ  
თვალთ მიბნელდება, ნათელი, უშენოდ მითქვამს მიდამოდ.  
ვერა ვძლებ ჭირის დათმობას, ნეტა რა მექმენ ეს არე,

<sup>1</sup> გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, 10589-ს, ივანე გვარამაძე, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე;

შავთვალთ წამნამებთ ისრებითა გული გლახ მწვე მწვე განმიბასრე, კვლავ ფიცხელის სურვილითა შემიპყარ მით განმიბასრე, ან მომხედე შენსა მზესა მის დროით ცრემლნი შემაშრე. კიდევ მაჩვენე ეგ სახე ჩემის გონების მიმღები, ახლოს თუ არ მაინც შეორით, შვები კარი განმედები, არ ვინ მინდა შენის მეტი, რას დამსარიან ვიცლები, მერმე თუმც მოვკვდე მზათა ვარ, შენგნით მკვდარი წარვილები!“<sup>1</sup>

გვარამაძისვე სიტყვებით, „ძლიერ კარგათ შეიძლება თქმულ იყოს მისი მოსიყვარულისაგან, ამ ლექსის მიმდგომი სიტყვები მის დროს ჩვენ ეს ხუმრობით ჩავაგდეთ. ჩიქვანმან სთქვა: სჩანს ახალციხეს შოთა რუსთაველის ლექსების კილო კიდევ ყოფილა დარჩენილიო. ვახტანგ ტულაშვილმა არ დაიწუნა!“<sup>2</sup>

როგორც ირკვევა, თავიდანვე ივანე გვარამაძეს კეთილგანწყობა ჰქონდა ახალგაზრდა ილიას მიმართ. მას თავისი ადრეული ლექსები შესაფასებლად მიუტანა ილიასთან. თვითონ ასე გადმოგვცემს ამის შესახებ: „ეს მიკვირდა დიდათ, რამ შემიყვარდა ისრე ყმანვილი კაცი ილია. არ ვიცნობდი არც მჭიროდა და არცა რამე ინთერესი მქონდა მე იმასთან. უმფროს-უმცროსისა თუ ვთქვათ, პირ იქით მე. 6. წლით უმფროსი ვიყავა სინთა მას ზედა... იმ სანებში ვსწერდა რაღაც უბრალო თხზულებას კავკასიის მთების გმირებზედა, რომელთაგანი ერთიც იყო, „რა არის კავკაზის მთები, რა ფერხული ჩაგიბან.“ მერმე დროებაში დაიბეჭდა. ყველანი რომ აქებდნენ მის სწავლა მაღლა აზროვნებასა, საცდელად ჩემის ავკარგიან ჯდაბნის გასაგებად, ავდეგი და მე ჩემის ხელით წავულე ილიას გადასათვალიერებლად ის ჩემი რვეული. ვთქვი ვნახოთ რა შენიშვნას მისცემს მეთქი. მასთან უფრო მისი გაცნობა მინდოდა. მაშინ ობერიანების უბანში იყო სტუმრად თავის სიძესთან, სამწეულაროდ არ დამხვდა სახლში. მივეცი მსახურს ის რვეული და ვთხოვე მიერთმია ილიასათვის გარდასათვალიერებლად. ერთი კვირის შემდგომ უკანვე დამიბრუნა მე ის რვეული. ვნახე რომ არსად არ შეხებოდა ჩემს ნაწერებს. თქმა იყო არ მოსწონებოდა არც აზრი და არც ახალციხული ძველი ენა. რაც დავრჩი თბილისში 61-62 წელს ჩემს სასულიერო წოდების საქმეზედ, სხვა და სხვა მიზეზების გამო სულ ვერ შევიძელ ილიას ნახვა<sup>3</sup>. ამის შემდეგ ივანე სხვადასხვა ადგილებში ენერდა სასულიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

დიდ ქართველ მოღვაწეებსა და სამცხე-ჯავახეთის ინტელიგენციას შორის ურთიერთობა მყარდებოდა 1880-იანი წლების დასაწყისიდან, რაც კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა იშლებოდა მთელს საქართველოში. მისთვის დახმარებისა და კოორდინაციის განევას ცდილობდნენ საქართველოს ცენტრში მოღვაწე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები. 1881 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ცდილობდა სამცხე-ჯავახეთში თავისი სკოლების გახსნას. 1881 წლის 9 ოქტომბერს ივანე გვარამაძემ შეთავაზება მიიღო მის მიერ ხიზაპავრობი გახსნილი სამრევლო სკოლის ამავე „საზოგადოების“ დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ<sup>4</sup>. ოფიციალურ წერილს წელს აწერდა აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ილია ჭავჭავაძე. „საზოგადოება“ სკოლის მფარველობასა და მისთვის დახმარებას განევის ვალდებულებას კასრულობდა. ივანესაც სურდა, თავისი სკოლა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას“ დაქვემდებარებოდა. მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელდა ამ სოფელში განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სკოლის გახსნის გამო. ამის შესახებ ივანე გვარამაძემ 1881 წლის 23 ოქტომბერს აცნობა აღნიშნულ „საზოგადოებას“ წერილით. იმავე წერილზე „საზოგადოების“ რეზოლუციაში აღინიშნა, რომ ხიზაპავრის სკოლას დაეპატრონა სახაობო სკოლების დირექციაო.

1880-იან წლების დამდეგს დაწყებული ურთიერთობა თბილისში მყოფ მოღვაწეებსა და სამცხე-ჯავახეთის ინტელიგენტებს შორის რამდენიმე წლით შეფერხდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაში“ შექმნილი მძიმე ვითარების გამო, ასევე, მხარის ქართველი ინტელიგენციის მხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში შესამჩნევი ბასიურობის გამო. თუმცა ცალკეული კავშირები მაინც მყარდებოდა ხოლმე მათ შორის. 1889 წლის 21 ივლისს ახალქალაში მოღვაწე პროვიზორმა ილია ალხაზიშვილმა თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს<sup>5</sup>, რომ დახმარებოდა და მისი სამედიცინო სფეროში დაწერილი წიგნის განხილვის საკითხი დროულად გადაწყვეტილიყო, რადგან ის მოსკოვის უნივერსიტეტში სასწავლად უნდა გამგზავრებულიყო მალე. წერილში ი. ალხაზიშვილმა ილიას სამშობლოს ბედის გამძლოლი უნდოდა და იქვე აღიარა მისი და მისი მიმართულების ერთგულება: „მომიტევეთ ჩემო ლმობიერო ხელმწიფოვე რო ასე გიკადნიერდებით და ბევრს განუხებთ, მაგრამ რავქნათ თქვენს მეტს ვის მივმართოთ? ნახა გიტვირთიათ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ბედის გაძლოლა შემწუხებელიც ბევრი გეყოლებდა..“ იგი ბოლოს კი უცხადებდა ი. ჭავჭავაძეს: „დავშთები თქვენი და თქვენი მიმართულების გულითადი პატივისმცემელი ილ. ალხაზიშვილი“. ჩვენთვის, სამწეულაროდ უცნობია, რამდენად დახმარა ილია ი. ალხაზიშვილს აღნიშნული ნაშრომის პროფესიულ დონეზე განხილვაში, მაგრამ, ჩანს, მას ამ საქმისათვის ოფიციალური მსვლელობა მიუცია — წერილს აქეს დასმული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბეჭედი. ხოლო ილია ალხაზიშვილი თავისი მრავალმხრივი

<sup>1</sup> გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, 10589-б, ივანე გვარამაძე, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, გვ. 28.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 28-29.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 33-34.

<sup>4</sup> სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნანერთა ფონდი 3977.

<sup>5</sup> საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური სასატორიო არქივი, ფონდი 481, აღნ. I, საქ. 10, ფ. 31.

<sup>6</sup> აკ. კ. კეკელიძის სახ. ხელნანერთა ინსიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი 443.

ენერგიული მოღვაწეობით ამტკიცებდა თავის ერთგულებას ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით წარმართული მოძრაობისადმი. იგი აქტიურად იყო ჩაბმული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში (სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობისას განსაკუთრებით დიდი კვალი დაამჩნია მან განათლების საქმეს), პუბლიცისტიკაში, ფარმაცევტულ სფეროში, ასევე, მოგვიანებით ეკონომიკურ საქმიანობაშიც... ის მნუხარებას გამოთქვამდა თანამედროვე საქართველოს (მომეტებულად სამცხე-ჯავახეთის) დაცემის გამო და ქართველ ხალხს მოუწოდებდა აქტიური შრომისკენ, განათლებისკენ, კულტურის ძეგლების, საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვისკენ და ა. შ'. ამის პრაქტიკულ მაგალითს კი თვითონაც იძლეოდა.

ილია ჭავჭავაძისა და მის დიდ თანამოღვაწეთა იდეები 1880-1890-იან წლებში წარმატებით ვრცელდებოდა სამცხე-ჯავახეთის ინტელიგენციაში, თუმცა ცნობები ილიასა და ადგილობრივ მოღვაწეებს შორის პირადი კავშირების შესახებ იშვიათად შეგვევდა იმდროინდელ დოკუმენტებში, ასევე, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამგვარი ურთიერთობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანე გვარამაძის ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესთან 1890-იანი წლების შუა ხანებში. ილია, როგორც ჩანს, იცნობდა ივანეს, როგორც „პატრიოტ მოღვაწეს“, მის შემოქმედებით და პედაგოგიურ საქმიანობას, როგორც „ივერიის“ პუბლიცისტს, სადაც ი. გვარამაძე ხშირად აქვეყნებდა თავის სტატიებსა და წერილებს. როგორც ი. გვარამაძე გადმოგვცემს, 1895 წელს ის პირადად შეხვედრია ილიას, მიულოცავს მისთვის მის მონინააღმდეგ დასზე გამარჯვება და თავისი გულასტკივილი გაუზიარებია ქართული ენის შევიწროების გამო. ილიამ კი დაამშვიდა ივანე გვარამაძე. ივანეს ხელანერში კვითხულობთ: „1895 წ. როგორმე შევიძელ ნახვა ილიასი დაღამებისა, მიულოცე გამარჯვება თავის მონინააღმდეგ მნერლებზედ, გულიან გადამკოცნა, იყვნენ მასთან ორნი ჩემი უცნობნი პირნი, ჰქონდათ სჯა მნერლებზედა, სამდურავი ვთქვი ქართული ენის შესახებ, რომ სწუნობდნენ ზოგი ერთნი და უცხო ენებს ეტრფიან. გამიერთა გული და მანუგეშა, ქართულსაც ეშველება ამას იქით ჩაიგონებენო<sup>2</sup>.“

ილიას თანაგრძნობით გამხნევებულმა ივანე გვარამაძემ 1896 წლის 20 მარტს შეპბედა მას წერილი, როგორც „ივერიის“ რედაქტორს<sup>3</sup>. აქ მან შეწუხება გამოთქვა იმაზე, რომ არ დაიბეჭდა გაზეთში ახალციხის ქართულ ბიბლიოთეკაში წარმოებული სამგლოვიარო სიტყვა გაპრიელ ეპისკოპოსის შესახებ. ამასთანავე აქვე მან მნუხარებით აღნიშნა სამცხე-ჯავახეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობა, წამყვანი ეროვნული მოღვაწის არყოლა; ასევე მან ილიას აუწყა თავისი დიდი სურვილი აქაური ქართველების ეროვნული გამოფხზლებისა და სინაზულიც გამოხატა, რომ არ გააჩნდა საამისოდ ნაყოფიერი მოღვაწეობის საშუალება. „დღემდის ველოდი მის დაბეჭდას (გაპრიელ ეპისკოპოსის შესახებ წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვის — გ. მ.) და არ დაიბეჭდა, მით რომ ჩემისკენ სხვა არა ვინ არის საზოგადო საქართველოს ჭირ-ლხინის გულშემატკივარი, რომ მუდამ თანაზიარ იყოს ყოველს შემთხვევებში მომავალ თავიბის სამაგალითოდ. მე ხომ მოხუცებულ ვარ და ვერა მირგია რა სამშობლოსათვის და ახლა რაღას ვარგებ? თითო ოროლა თუ კრინტს ვპსძრამ, იმასაც იმისთვის, რომ ეგებ გაიღვიძონ ჩვენი მხარის ღრმად მიძინებულთა და თავს უშველონ რამე, კეთილი მწყემსი ჰსჭირიათ და სად არის?

მანდედრ საქართველოს ყოველ მხრითგან წარდგნენ არჩეულნი პირნი თავიანთ საზოგადოებისაგან და ახალციხითგან და ჯავახეთიდგან არა ვინ გააჩნდა პატივ საცემლად. დიდი ხანია მე ეს მაწუხებს და მკლავს საშინალად გულს, რომ სამესხეთო ასე დიდად დაცემულია და ხელის მხლებელი და ალმადგინებელი კი არა ვინ არა ჟყავთ. განა დასავინწყია განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსისთანა კაცი ვისგანმე, მერმე ჩვენებურის ქრისტიანებისგან, რომ რამდენი ღვანლი მიუძღვიან წინ დღესაც მისგან დაწყობილი!“

მართალია, ილიას XIX საუკუნის ბოლოს ხშირი ურთიერთობა არ ჰქონდა სამცხე-ჯავახეთის ქართველ მოღვაწეებთან, მაგრამ იგი ერკვეოდა მხარეში მიმდინარე მოვლენებში, მკვიდრი ქართველობის მძიმე მდგომარეობაში და მცდელობას არ აქლებდა აქაური ქართველობის განათლების, მათში ეროვნული ინტერესების დაცვისა და მათში ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეს. მისი ხელმძღვანელობით მოქმედი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აქტიურად მოღვაწეობდა მოსახლეობაში ქართული წიგნების გასავრცელებლად<sup>4</sup>, სახალხო ბიბლიოთეკების შესაქმნელად სამცხე-ჯავახეთშიც. „საზოგადოებამ“ 1895 და 1897 წლებში გახსნა სახალხო ბიბლიოთეკა ახალციხესა და უდეში ადგილობრივი ინტელიგენციის თანამონანილეობით, 1903 წელს კი ხიზაბავრაშიც ცდილობდა იგივე<sup>5</sup>. „საზოგადოება“ და ადგილობრივი მოღვაწეები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მათი ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

ადგილობრივი ინტელიგენციაც კარგად იცნობდა ილიას შემოქმედება-მოღვაწეობას და თავის მხრივ პოპულარიზებას უწევდნენ მას. ახალციხის ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული ილიას ფოტო<sup>6</sup>, ბიბლიოთეკაზე მზრუნველი კი ხელს უწყობდნენ ილიას წიგნების ხალხში.

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 1893, 227, 230, 233; 1894, 259, 260 265, 266; 1897, 46; ილია ალხაზიშვილი, ბუნება და ცხოვრება (მგზავრის დღიურიდნ), თბ., 1897; ილია ალხაზიშვილი, ჯავახური ლეგენდები, თბ., 1978.

<sup>2</sup> გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, 10589-ს, ივანე გვარამაძე, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, გვ. 35.

<sup>3</sup> ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველოს ისტორიის კათედრა), საისტორიო მაცნე, 8, 2000, ბათუმი, გიორგი მაისურაძე, ივანე გვარამაძის ნერილი ილიასადმი, გვ. 75-78; აკ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი 479.

<sup>4</sup> გაზ. „დროება“, 1882, 87; სსცა, ფ. 481, აღნ. 2, საქ. 64; სსცა, ფ. 481, აღნ. 1, საქ. 537, ფ. 15-17.

<sup>5</sup> სსცა, ფ. 481, აღნ. 1, საქ. 4491; ივერია, 1904, 210.

<sup>6</sup> ივერია, 1901, 47.

გავრცელებას. ხალხიც იზრდებოდა ინტერესი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართ, დიდ მოთხოვნილება იყო მის წიგნებზე<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძე არ დარჩენილა გულგრილი სამცხე-ჯავახეთის ქართველი კათოლიკების პატრიოტული მოძრაობის მიმართაც. ეს გამოიწვია მეფის რუსეთის პოლიტიკამ, სომხებად გამოეცხადებინათ მხარის ქართველი კათოლიკები (სომხურ-კათოლიკურ ტიპიკონზე მყოფი) და მათთვის ქართულ ენაზე აეკრძალათ ღვთისმსახურების ჩატარება და სასულიერო სასწავლებლებში სწავლება, სანაცვლოდ კი სომხური ენის შემოეღოთ. ამას ნინ აღუდგნენ მესხი კათოლიკე მოღვაწეები (პ. ხარისჭირაშვილი, ი. გვარამაძე, მ. თამარაშვილი და სხვ.), დაინეს მრევლთან ქადაგება მათ ქართული ნარმომავლობის შესახებ და პრესით თუ სიტყვიერად ყველასთან ამის მტკიცება. ამაზე პოლემიკა გაიშალა ქართულ-რუსულ-სომხურ გაზეთებში. აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „ივერია“ ამ თემაზე ქართველი (ძირითადად მესხი) მოღვაწეების სტატიებს დიდ ადგილს უთმობდა და სარედაქციო წერილებითაც მხარს უჭრდა მათ. ხოლო როდესაც სომხური ტიპიკონის მქონე ქართველი კათოლიკეების ლათინურ ტიპიკონზე გადასვლის იმედი გამოჩნდა (ეს დაიცავდა მათ ეროვნული გადაგვარებისაგან) ტირასპოლის კათოლიკე ეპისკოპოს ედუარდ როპაის საქართველოში მოგზაურობისას, მას ხვდებოდნენ კათოლიკე და, ასევე, მართლმადიდებელი ქართველები და ამ საქმეში დახმარებას სთხოვდნენ. თბილისში მყოფი ეპისკოპოსი ბარონი როპაი მიიწვია ილია ჭავჭავაძემ და მას გადასცა თავისი რუსულად თარგმნილი „ქვათა ღალადი“<sup>2</sup>. ილია ჭავჭავაძე სხვა მხრივაც ცდილობდა კათოლიკე ქართველების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერას. თავისი გაზეთის ფურცლებზე ის ადგილს უთმობდა მათ (ი. გვარამაძის, მ. თამარაშვილის) სამეცნიერო ხასიათის სტატიებს, სადაც მოყვანილი იყო ისტორიული ფაქტები ქართველი კათოლიკე მრევლის ქართველობის დასამტკიცებლად და თითქოსდა მათი სომხური წარმოშობის უარსაყოფად. ხოლო ილია აპირებდა კიდეც რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილისათვის მატერიალური დახმარების განევას<sup>3</sup>.

მესხი კათოლიკე მოღვაწეებიც დიდი პატივისცემით იყვნენ განწყობილნი ილიას მიმართ და მოსწონდათ მისი შემოქმედება. მ. თამარაშვილი აღტაცებული იყო მისი პოლემიკური ნაშრომით „ქვათა ღალადი“ (ასევე ი. გვარამაძეც) და სურდა მისი პირადად გაცნობა<sup>4</sup>.

ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესა და სამცხე-ჯავახეთის ინტელიგენტებს შორის უფრო გახშირდა მას შემდეგ, რაც ახალციხეში დაიწყო მოღვაწეობა ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა და ისტორიკოსმა ალექსანდრე ფრონჟელმა (ყიფშიძე). ის თავიდანვე იყო შთაგონებული ილიას იდეებით და მისი აქტიური მიმდევარი იყო<sup>5</sup>. ეს კარგად ჩანდა როგორც მის შემოქმედებაში (პუბლიცისტიკაში), ისე მის აქტიურ კულტურულ-საგანმამათლებლო მოღვაწეობაში (1902 წლიდან იყო ახალციხის ქალთა უფასო სკოლის გამგებელი, დიდად ზრუნავდა ახალციხის ქართული ბიბლიოთეკის მუშაობის გასაუმჯობესებლად და ხელს უწყობდა ახალციხეში ქართული თეატრალური წარმოდგენების გამართვას)<sup>6</sup>. ამასთანავე, მისმა ახალციხეში ჩასვლამ ახალი ბიძგი მისცა ადგილობრივი ინტელიგენციის მოღვაწეობის გააქტიურებას. თვით ალექსანდრე ახლოს იყო ილიასთან, აქტიურად მოღვაწეობდა „ივერიაში“. ახალციხიდან ის მიმოწერას არ წყვეტდა მასთან. ხოლო ახალციხეში გადასვლის წინ, 1900 წელს ის ესტუმრა ი. ჭავჭავაძეს, ესაუბრა, გამომშვიდობებისას კი შვილივით ეამბორა. იგი თავის დმას ზაქარიას სწერდა პეტერბურგში: „შეაბათს საღამოს ილიასთან წავედი აღდგომის მისაგებებლად ძველის ჩვეულებისამებრ, კარგა ხანი ეს ბედნიერი დღე მასთან არ გამიტარებია, მინდოდა უკანასკნელად დავმტკბარიყავი დიდებული მოხუცის ცეკრით. მართლაც დავტკბი, გულით ვიმზარულე და ბოლოს გამოთხოვების დროს შვილივით ვეამბორე. ასეთი სიამოვნება ჩემთვის დაუვიწყარი იქნება“<sup>7</sup>.

ილიაც დიდად აფასებდა ალექსანდრე ფრონჟელს პირველულად და მის მოღვაწეობას. ის ხომ „ივერიის“ აქტიური თანამშრომელიც იყო. თვით ალექსანდრე სწერდა თავის ძმას: „ლევან ჯანდიგირის ჩემთვის გამართულ ვახშამზე, ილიამ სთქა, კვირაში ერთხელ შევიკრიბნოთ ხოლმეო, ჩვენს გაჭირვებაზე ვილაპარაკოთ ხოლმეო და ამ საღამოებს საშას სახელი უწოდოთო. ეს ამბავი გინდა დაიჯერე, გინდა არა, ნამდვილი კია...“<sup>8</sup>

ალექსანდრე მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობა უფრო აქცევინებდა უურადღებას მოწინავე ქართველ საზოგადოებას სამცხე-ჯავახეთის ქართველთა მძიმე მდგომარეობაზე. მათთან ალექსანდრე შუამდგომლობდა ხოლმე მხარის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დახმარების გასანევად, რასაც დადგებითად ეხმაურებოდნენ ისინი. ა. ყიფშიძემ ახალციხის ქალთა სკოლის დასახმარებლად თბილისის სათავადაზნაურო ბანეს ერთჯერადი დახმარება სთხოვა. ამის შესახებ ის თავის ძმას, ზაქარიას სწერდა: „წელს საქალებო სკოლისათვის 300 მ. ვთხოვე თავადაზნაურობას. ორატორებმა: ილია ჭავჭავაძემ, მიშო მახაბელმა... სთქვეს, რომ 10000 მ. ცოტააო. თუ მხოლოდ ს (საშა — გ. მ.) თხოულობს — ეს ამტკიცებს „ცკრონის გამოცხადების განა ეს ცოტაა? ეროვნული გრძნობა იზრდება... ეს დიდი პლიუსია...“<sup>9</sup> 1902 წლის შემოდგომაზე თბილისის

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ელდარ ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ. 2003, გვ. 58.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 57-58.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ილია მაისურაძის ფონდი, 360, გვ. 57.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 50-61.

<sup>7</sup> ლიტერატურის მატიანე, ნიგნი 1-2, თბ. 1940, გვ. 188.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> ლიტერატურის მატიანე, ნიგნი 1-2, თბ. 1940, გვ. 188.

გუბერნიის სათავადაზნაურო კრებაზე დადგენილება მიიღეს, რომ აღნიშნული სკოლისათვის 500 ბანეთი გაეგზავნათ<sup>1</sup>.

ალექსანდრე ფრონელის მსგავსად, ილიას ქ. ახალციხის ქართველი საზოგადოებაც მიიჩნევდა ქართველი ერის წინამძღვრლად და ეროვნული ინტერესების უპირველეს დამცველად. როდესაც ახალციხის წმინდა მარინეს ეკლესიაში ქართული ენის უცოდინარი ბერძენი მღვდელი დანიშნეს, აქაურ ქართველებისთვის ეს მიმე აღმოჩნდა, რადგან მრევლის უმეტესი ნაწილი რუსულის უცოდინარობის გამო დიდმარცვაში უაღსარებოდ დარჩა. ადგილობრივმა საზოგადოებამ დაიწყო შუამდგომლობა საქართველოს ეგზარქოსთან, რომ მას კვლავ ქართველი მღვდელი დაენიშნა აქაური მართლმადიდებელი ქართველებისათვის. მაგრამ პასუხი იგირანებდა საეგზარქოსოდან. ეგზარქოს 1904 წლის 23 მარტს, ვნების კვირაში კვლავ შეახსენეს ქართველი მრევლის მდგომარეობის სიმწვავე და ამ საქმის დროულად გადაწყვეტის საჭიროება, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. მაშინ ადგილობრივმა ინტელიგენციამ დაიწყო შუამდგომლობა ამ საქმეზე მონინავე ქართველ საზოგადოებასთან. მათ ჯერ მიმართეს ახალციხის მაზრის ყოფილ უფროსს, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილს<sup>2</sup>. მისი საშუალებით ასეთივე თხოვნები გაუზავნეს წარჩინებულ ქართველ თავადიშვილებს და მათ შორის ილია ჭავჭავაძეს<sup>3</sup>. 21 აპრილს ილიას მიუვიდა წერილი ახალციხელი მრევლის სახელით ვასილ გამრეკელის, იაკობ ორბელიანისა და ნიკოლოზ ასათიანისაგან, სადაც აცნობდნენ მას წმიდა მარინეს ეკლესის მნიშვნელობას წარსულში და მისი ქართველი მრევლის თანამედროვე პრობლემებს. წერილში აღნიშნული იყო: ოსმალთა ულლის დროს გამამადიანებას გადარჩენილი „მცირე გუნდი ქართველთა მიეკედლა ერთათ ერთს ეკვლესიას, სადაც ყოველივე ქრისტიანობრივი წესი სრულდებოდა ქართულს ენაზე... ამ ეკვლესის სიყვარულმა მოსცა ძალა ქართველთა რომ აეტანათ ყოველივე შენუხება და ტანჯვა და არ ეღალატებინათ არც სარნმუნობისათვის და არც სამშობლო ენისათვის<sup>4</sup>. ახლა აქაური ქართველების მომეტებულმა ნაწილმა რუსული ენა არ იცის, „ჩვენ ვთხოულობთ, რომ ახალციხის წმიდა მარინეს ეკვლესიაში დაინიშნოს იმისთანა სამღვდელო პირი, რომელმანც იცოდეს ქართული ენა და ამ ენაზე შეეძლოს საღმრთო წესების შესრულება<sup>5</sup>. როგორც ჩანს, საქართველოს საეგზარქოსოში ანგარიში გაუწიეს აღიარებული ქართველი მოღვაწეების მოთხოვნას და იმავე წლის 30 ივნისს საქართველოს ეგზარქოსი დეკანოზ ვოსტორგოვთან ერთად ახალციხეში ჩავიდა, ადგილზე გაეცნო ვითარებას, და ცოტა ხანში წმინდა მარინეს ეკლესიაში დაინიშნა მღვდელი კანდიდაკი<sup>6</sup>.

ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით საქართველოში მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები 1900-იან წლებშიც დახმარებას უწევდნენ სამცხე-ჯავახეთის ქართველთა შორის განათლების გავრცელებისა და მათში ეროვნული თვითმყოფადობის ამაღლების საქმეს („განსაკუთრებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“).

ილია ჭავჭავაძის ტრაგიული სიკეთილი მძიმედ განიცადეს სამცხე-ჯავახეთის ქართველმა ინტელიგენციამაც. ისინიც შეუერთდნენ მთელი საქართველოდან წამოსულ სამიმრებეს. ხოლო ვასილ გამრეკელმა ივანე გვარამაძეს სთხოვა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის დაწერა<sup>7</sup>. ივანეს მაშინ ხელი არ მიუწვდი ილიას ბიოგრაფიის შესახებ მრავალ კონკრეტულ ცნობაზე. ამის მოთხოვნის პასუხად ვ. გამრეკელი სწერდა ი. გვარამაძეს, რომ ი. ჭავჭავაძის „ბიოგრაფია არც მე მაქვს, და რამდენათაც ვიცი, არავის ვრცლათ შედგენილი მისი ბიოგრაფია არა აქვსთ. მის ცხოვრების, ესე იგი ბიოგრაფიის ცნობები გაკვრით იყო მოხსენებული ქართულ მწერლობაში<sup>8</sup>. აღნიშნული მასალის შესაკრებად ივანეს დროც არასაკმარისი ჰქონდა. ყოველივე ამის გამო ბიოგრაფიული ნაშრომი „ილია გრიგორლის ძე ჭავჭავაძე“<sup>9</sup> ძირითადად ზოგადი და იმ დროსთვისაც არასრული გამოდგა. ამის გამო ი. გვარამაძემ თხზულება მოიხსენია ლუარსაბ ბოცვაძისადმი გასაგზავნ წერილში, როგორც ილიას შორიდას მოკვლეული ცხოვრება მოკლედ<sup>10</sup>, როდესაც სთხოვდა მას უურნალ „განათლებაში“ მის დაბეჭდვას. ავტორმა მასში ი. ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობის სურათებთან ერთად გადმოსცა თავისი თბილი დამოკიდებულება მისადმი და მისი იდეებისადმი თავისი ერთგულება. როგორც ბიოგრაფიის ხელნაწერშია აღნიშნული, ივანეს თავისი თხზულება ნაუკითხავს 1907 წლის 28 ოქტომბერს ახალციხის ქალთა სკოლაში<sup>11</sup>. 1908 წლის 23 მაისს იგი უურნალ „განათლების“ რედაქტორს კვლავ სწერდა: „მგონი მეც არ მეზრახება ჩემის ნაერებით პატივის ცემა ჩვენი მარად სახსოვარი მგოსნის თ. ილია გრიგორლის ძის ჭავჭავაძისა, მით გთხოვთ თუ შეიძლებოდეს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს განათლების უურნალში სახსოვრად“<sup>12</sup>.

<sup>1</sup> ივერია, 1902, 247.

<sup>2</sup> ვასილ გამრეკელი, თუ როგორ ვიპატივეთ ქართული ენა სრულის გაუქმებისაგან ახალციხის წმინდა მარინეს ეკლესიაში, 1905, ახალციხე, გვ. 5-13.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 13-17.

<sup>4</sup> ა. ა. ეკეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი 476.

<sup>5</sup> ვასილ გამრეკელი, თუ როგორ ვიპატივეთ ქართული ენა სრულის გაუქმებისაგან ახალციხის წმინდა მარინეს ეკლესიაში, 1905, ახალციხე, გვ. 25-31.

<sup>6</sup> სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 1831.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, 10859-б.

<sup>9</sup> სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 2283.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 1.

<sup>11</sup> იქვე.

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ქართველმა საზოგადოებამ მის გახსენებასთან ერთად დაიწყო ილიას და სხვა თერგდალეულთა მოღვაწეობის შეფასებაც. ივანე გვარამაძემაც აღტაცებით შეაფასა თერგდალეულთა როლი საქართველოს ისტორიაში. იგი 1908 წლის 7 დეკემბერს წერილში აკაეის ულოცავდა შემოქმედების 50 წლის იუბილეს და აღნიშნავდა, რომ ბოლო პერიოდებში ბევრი რამ დაკარგა საქართველომ, „ერთად ერთი ენა დაგვერჩენოდა პირში სატირელ სავაგლახო, ისიც ჩვენს მოსწრებაში 60-70. წლის წინად მიხავსებულ-მიხრნილი იყო, ის იყო სული უნდა დაელია, რომ ღმერთმან სხვათა შორის ამ 60. წლის წინად მცველ მფარველად გაგვიჩინა, აქეთ ძლიერი მგოსანი თ. ილია ჭავჭავაძე და იქით თ. აკაეი წერეთელი დვთის მაღალ ნიჭმადლებით დალოცვილნი და კურთხვილნი, ამათ და ამათ მონაფებმან გამომრთელ გამოკეთებით გამოგვიცოცხლეს ენა ჩვენი სიცოცხლე და სულ გული; მაგრამ რა, ვინ დააფასა ამათ უკვდავი კეთილშობილული ღვანლი? სულ არა ვინ. პირიქით შარშან დღისით მზისით თბილისითაგან ფაიტონით კახეთში მიმავალს თავის მეუღლით შიც გზაში თავს დაესხნენ და მოჰკულეს უწყალოდ ქვეყნის ფასი მგოსანი თ. ილია ჭავჭავაძე და მეუღლე მისი მინტვრეულ მილენილი დააგდეს და მსახურიც ზედ წააკლეს, ისევ ჩვენგანთ ქართველებმან. ჩვენ დიდ სავალალოდ და სავაგლახოთ, რომლის მწარე მწუხარება დღესაც წელს სწყვეტს მთელ საქართველოს ერობასა და ვინ იცის სიდამდის გასტანს ჩვენი უნუგებობა?... ასრე გავლილ წლის თ. ილია ჭავჭავაძის სამწუხარო წამებაზედ თვალ ახელილმან თვით მცნობიერობის საგანმანა ერთი ორად უფრო მოამზადა ქართველობა იუბილარის დიდის გულმხურვალეობით წინ მისაგებებლად<sup>1</sup>!“

როგორც ილია ჭავჭავაძისა და სამცხე-ჯავახეთის ქართველი საზოგადოების ურთიერთობისა და თანამშრომლობის ამსახველი ფაქტებიდან ჩანს, დიდ ქართველი ხალხის სულიერი მამა ერკვეოდა სამცხე-ჯავახეთის ქართველობის მძიმე მდგომარეობაში და და ზრუნველი ამის გამოსასწორებლად და მათი უფლებების დასაცავად. მას ჰქონდა გარკვეული კავშირები მხარის ქართველ ინტელიგენციასთან და მორალურად და საქმით ეხმარებოდა მათ მოღვაწეობას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, მათ ზრუნვასა და ბრძოლას ქართველთა ინტერესების დასაცავად, ხალხის ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად, რითაც დიდ დახმარებას უწევდა მხარეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებასა და მკვიდრი ქართველების მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესებას, მათ ჩაბმას საერთოქართულ მოძრაობებში.

ამრიგად, XIX საუკუნის II ნახევრიდან სამცხე-ჯავახეთში ასპარეზზე გამოდის ადგილობრივი ინტელიგენცია, რომელიც თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების გამზიარებელი და მისი პრაქტიკული განმახორციელებელი ხდებოდა მხარეში (და არა მხოლოდ იქ). ისინი უფრო და უფრო აქტიურად მოღვაწეობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, ზრუნველები აქაურ ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის, მათი ეროვნული ჩაგვრა-გადაგვარებისგან დასაცავად და მათი საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ საქმეში მათ დიდ მხარდაჭერასა დახმარებას უწევდნენ საქართველოს ცენტრში მოღვაწე ეროვნული მოღვაწეები, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე. მასა და სამცხე-ჯავახეთის მოღვაწეებს შორის ბუნებრივად მყარდებოდა ურთიერთობა აღნიშნულ სფეროებში საქმიანობისას, რაც უფრო და უფრო ნაყოფიერს ხდიდა მათ მოღვაწეობას.

<sup>1</sup> აკ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსიტუტი, აკაკის ფონდი 434.

## ქეთევან ელაშვილი

### „დროულობა“, როგორც ზნეობრივი კატეგორია ანუ „ლიტერატურული ნაცნობობა“ ილიასეულ სივრცეში

დროის ფენომენი ერთ-ერთი უპირველესია, რომელიც ადამიანში ქაოტურ სამყაროსთან მიმართებისას თანმიმდევრობის განცდას ბადებს. თუმცა ეს „აღქმა“ იმდენად ფარდობითა და არამყარი, რომ დრო-უამის აბსოლუტური კრიტერიუმი არ არსებობს – არც ფილოსოფიურ-ეზოთერიული და არც ბიბლიური ინტერპრეტაციებით. ოლონდ ერთია, რომ ჩვენი – ამქვეყნიური დროის განცდის „ემოციური ამპლიტუდა“ ადამიანური ცნობიერებისათვის საფეხურებრივია, ანდა სულაც ფრაგმენტული.

ნებისმიერი ავტორი დროის ფენომენის გათავისებისას, ერთგვარი დილემის წინაშე დგება, რადგანაც ლიტერატურული სივრცე ცხოვრებისეული ავანსცენებისაგან რადიკალურად განსხვავებულია. აյ ავტორის „თავისუფალი ნება“ განუზომელია და სწორედ მას, და არა სხვას, ემორჩილებიან ლიტერატურული პერსონაჟები. ამოსავალი წერტილი კი, მხოლოდ და მხოლოდ, ავტორის ხელნერაა და მისი ცნობიერების დიაპაზონი.

ილიას მსგავსი მასტებური ხედვის შემოქმედნი კი ამ მიმართულებითაც საკუთარ კანონზომიერებას ამკვიდრებენ (საზოგადო – ლიტერატურულ სივრცეში), სადაც დროისა თუ ასაკის ზედმინევნითი მინიშნება პერსონაჟის ნარდგინების უცილობელი პირობაა და „ლიტერატურული ნაცნობის“ გარანტი.

ილიასეულ მხატვრულ სივრცეში „ლიტერატურული საწოდებლის“ ფუნქციას შემთხვევით როდი ითავსებს ავტორის მიერ გამხელილი პერსონაჟთა ასაკი, ანდა სულაც – უასაკობა. ამ შემთხვევაში ლიტერატურული გმირის წლოვანება ავტორის მსოფლმხედველობითი პოზიციის გამოხატულებას ნარმოადგენს, რისი მეშვეობითაც ილია ახდენს თავისი სათქმელის ერთგვარ განზოგადებასა თუ სიტუაციურ გამძაფრებას. ფიქსირებული, მყარი ასაკი, ერთი შეხედვით, თითქოსდა არ უნდა ნარმოადგენდეს თავსატეხსა თუ მით უფრო მრავლისმთქმელ მინიშნებას. არადა, ილია სწორედ გაცხადებული წლოვანებითაც აკისრებს ზნეობრივ პასუხისმგებლობას საკუთარ პერსონაჟებს.

„ოცდაოთხი წლის ძლიერ იქნებოდა (გულისხმება ოთარაანთ ქვრივი), როცა დაქვრივდა და ერთი წლის შევილი დარჩა“ (ჭავჭავაძე 1988: 250). „ოთარაანთ ქვრივის შევილი გიორგი კი ოცდაერთის წლის ბიჭი იყო“ (ჭავჭავაძე 1988: 250). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავდაპირველ ავტოგრაფში თევდორეს გარდაცვალების უამს, გიორგი 5 წლის იყო, ხოლო ოთარაანთ ქვრივი კი – 25 წლის. ამ მონაცემების მიხედვით 25 წლის გიორგის გაცილებით სხვაგვარი პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა და „სურვილით თმობაც“ მისი მამაცაცური ზნის უცილობელ გამოხატულებად უნდა ქცეულიყო. ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა მშვენიერი ქვრივი ქალი („თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას, მაგრამ, – თქვენც არ მომიკვდეთ, – არ გათხოვდა და არა... აი ეს ოცი წელინადია მხიარული ფერი არ მიუკარება ტანზედ...“ (ჭავჭავაძე 1988: 250). ძლიერ, უტეხ დედაცაცად გარდაისახა და ილიამაც მისი ეს სულიერი მეტამორფოზა, ერთი შეხედვით, ასაკის ჩვეულებრივი, მარტივი მინიშნებით მოვაწოდა ამ ნაწარმოებში. თუმცა სწორედ ამ ასაკით ხდება მკითხველის აღქმაში ოთარაანთ ქვრივის არამარტო ვიზუალური პორტრეტის გამოძერნვა, არამედ მისი სულიერი სამყაროს გაცხადებაც, რომელიც თითქოსდა ზნეობრივი პათოსის ფონზე ქალური სინაზისაგან დაცლილია. ილიას, როგორც ვირტუოზი ავტორის, ხელნერაა წლოვანების დეფინაციის წყალობითაც მოახდინოს „ლიტერატურული ნარდგინება“ ოთარაანთ ქვრივისა. ქმრის მამაცაცურ სიძლიერესა და ღირსებას შეფარებული 24 წლის ჩვეულებრივი უსახელო ქალი, ერთ საბედისწერო დღეს – თევდორეს გარდაცვალების შემდეგ მარტოოდენ „ქალური საწყისით“ დარჩენას და საკუთარ თავში ძლიერი პიროვნების არ გადვიძებას ზნეობრივ უპასუხისმგებლობად მიჩნევს (ბუნებრივია, გულისხმება უმაროდ დარჩენილი ერთი წლის გიორგი).

ილია გიორგის მკითხველის წინაშე 21 წლის ასაკში წარადგენს და სწორედ ეს წლოვანებაა ამ პერსონაჟისთვის მისი პიროვნული სრულყოფისა და განსაცდელის უამი, რომელიც თანმიმდევრულადაა შეესხული მთელი რიგი წინარე ჩანართი ეპიზოდებისგან და, რაც მთავარია, ავტორი გიორგის, ისევ და ისევ, ამ ასაკობრივ სივრცეში აპრუნებს. „ოცდაერთი“ ყველაზე სრულყოფილად ითვლებოდა კენტრიცხვთა შორის. პითაგორელებიც, კაბალისტებიც მას განსაკუთრებულ მიშვნელობას ანიჭებენ“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 18). თუ 24 წლის ოთარაანთ ქვრივს ილიამ მიზანმიმართულად ჩაუკეტა ქალური გზა და დაუტოვა მარტოოდენ გზა დედაშვილობისა (თუმცალა ერთი შენაკადი ოთარაანთ ქვრივის მშვენიერებისა სოსია მენისეკილეა), სამაგიეროდ გრძნობის საბედისწერო გზაგასაყარზე გაიყვანა 21 წლის ჭაბუკი გიორგი. ამ ლიტერატურულ სივრცეში ყმაწვილქალობაც თუ სიჭაბუკეც, ანდა სულაც პირქუშ ხანდაზმულობაში ჩაგმანული ცხოვრებისეული სიბრძნე ზნეობრივ კატეგორიათა რანგშია ავტორის მიერ მოწოდებული, როგორც პიროვნების უმთავრესი მახასიათებელი.

დაახლოებით იგივე ასაკი (ოთარაანთ ქვრივის 44 წელი, ხოლო ლუარსაბ თათქარიძის შემთხვევაში კი – 40 წელი) უკვე ინვესიული შინაარსითა ილიას მიერ გამოყენებული მოთხოვნები „კაცია-ადამიანი?!“. მცონარეობისა და აბსოლუტურად არაფრის კეთების, არაფრის შექმნის – ანუ სრული სტატიკური მდგომარეობის გამოხატულებაა ლუარსაბის დარბასისლური, კეთილშობილური ასაკი – 40 წელი, „ორმოცი რიტუალური რიცხვია, როგორც იუდეური და ქრისტიანული ტრადიციების მიხედვით, ასევე ისლამშიც და ნარმოადგენს დროის იმ მოხაკეთს, რა პერიოდშიც ხდებოდა განდგომა,

მართვა, გამოცდა, უფლის შეცნობა“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 18), რაც მისი აპსოლუტური უპასუხისმგებლობის გროტესკული ფორმაა, რისი ერთგვარი დაგვირგვინებაა ილას უშედავათო განაჩენი ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრებისეული ავანსცენიდან გასვლის უამს — „ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვათ და სამ-სამი ადლი მიწა?“... (ჭავჭავაძე 1988: 128). ამ ტრაგიკული ამოთქმის წინაპირობა ლუარსაბის სიჭაბუკიდან მოდის – 20 წლის თათქარიძეს თავი ხომ ტარიელად წარმოუდგენია, ოლონდ ეს შეგრძება ყოველგვარ რეალობას მოკლებულია (აზნაურშვილის მსგავსი ოთარაანთ ქვრივის გიორგი და ბუტაფორიული იერის მქონე თავადიშვილი – ლუარსაბი) და მხოლოდ მისი ფანტაზიისა და წარმოსახვის ნაყოფია, სადაც ჭაბუკური იმპულსი და ენერგია ანუ „მხურვალე გული“ (გავიხსენოთ 21 წლის გიორგის ვენებანი) ამ ნანარმოებში მხოლოდ ერთხელა გაუდერებული და ისიც მაჭანკლის მეშვეობით სიყვარულის ძიების უამს, რომელიც მცირედი ექცევსებისა და უხერხულობის მიუხედავად, მშვიდობიანად გვირგვინდება – რისი მაგალითიცაა ლუარსაბისა და დარეჯანის „ტებილი და აუმღვრეველი“ ცხოვრება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლიტერატურულ პერსონაჟთა ასაკი დაცლილია ყოველგვარი ზენობრივი საწყისისაგან, რაც მათი სრული უპასუხისმგელობის სანინდარი ხდება ანუ საბაბი „ხორცის დღეობისა და სულის დაჭლეებისა“.

იმავ „ცხრამეტი თუ ოცი წელი“ დათიკოსათვის („გლახის ნაამბობი“) სრული თავაშვებულობისა, უხამსობის, დაუნდობლობის და, რაც მთავარია, არაკაცობის ანუ აპსოლუტური უზნეობის ასაკია, მამის სიკვდილის შემდეგ ცუდად გაგებული თავადიშვილობა ანუ აპსოლუტური უზნეობა – ცოდვით დაცემა და საკუთარი სიკვდილით განხმენდა.

ილიასათვის უცხო არ არის თითქმის ერთი და იგივე ასაკის სხვადასხვა ზენობრივი თუ მორალური ასპექტით ჩვენება — ლიტერატურული სივრცის დაპაზონის გათვალისწინებით. ამიტომაც ლიტერატურულ პერსონაჟთა წარდგინება ზოგჯერ ძლიერ დრამატული და ტრაგიკულია; ზოგჯერ სრული უპასუხისმგებლობისა და აპსოლუტური უმოქმედობის გამომსახველი, ხოლო ზოგჯერ კი საბედისწეროდ დამანგრეველი. ამ ფონზე, ილიასეულ სივრცეში იკვეთება დროის ფენომენის რამდენადმე სახეცვლილი კატეგორიებიც. იქნება ეს პეტრეს „დროულობა“ („სარჩობელაზე“), განდეგილის „სულის სიმაღლის“ ზედროულობა თუ „ხატებს რომ ჰეთავენ“ („გლახის ნაამბობი“, გვ. 154) იმის მსგავსი ღვთის კაცის ჭაბუკური სიდარბაისლე „სხვათა ზრუნვითა და გულშემატკივრობით“, ცხოვრებისეული ნაღველით განსპეციალისტი. „დროულობა“ თუ „უასაკობა“ ზემოხსენებულ ლიტერატურულ პერსონაჟებს განსაკუთრებულ მისია ანიჭებს, რაც გამოიხატება სხვათა „სულის აღზრდასა“ თუ ფორმირებაში.

ერთ შემთხვევაში პეტრეს დროულობის გათვალისწინებით მისმა გულკეთილობამ კინაღამ „მადლის შუქი არ ჩააწევდინა (უმცროსი ძმის) ბენეს გულამდე“, მაგრამ „საქრისტიან საქართველო“ სახეცვლილია და ცხოვრებისეული განსაცდელის სწორი ალექსა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების ძალა არ შესხვევს პეტრეს – დროულ კაცს, ამიტომაც ის რეალობას წარმოდგენად მიიჩნევს, „გონების თვალით“ ბრმავდება და ეგებ, უმცროსი ძმაც იმიტომ ადანაშაულებს ჩვენს დროულ პეტრეს, ხოლო თავად ილია, როგორც ავტორი, განზიენ გადგება და მკითხველს ერთგვარი დილემის წინაშე აყენებს...

სულიერი საწყისის ზეობისას, რელიგიური ცნობიერების აპსოლუტური გათავისებისას ლიტერატურული გმირი ტოვებს საკუთარ ასაკს, ერთი შეხედვით, განუდება მას და იქმნება ზედროულობის განცდა ანუ იკვეთება წმინდანის ხატი, რომელიც განდეგილის შემთხვევაში, „სულის სიმაღლის“ მიუხედავად შიგნიდან იბზარება; რადგან მისი ეს „სულის ხსნის გზა“ ერთგვარად იბინდება – სასულიერო პირის მისია კი მეყსეულად შეჩერებულია და დროის („ზესრული დროის“ უკანმიმართული სვლა) უმძაფრეს განცდას ბადებს მწყემსი ქალის „მონოლოგისას“...

ილიას მკვეთრად გამოკვეთილი პოზიცია აქვს სასულიერო პირთა საერო პასუხისმგებლობაზე – რომ გზაბენეულ ყმანვილებს სწორედ ღვთის კაცმა უნდა შეუქმნას იმგვარად უღრუბლო დღეები, როგორიც გაბრიელის ცხოვრება იყო 17-18 წლის ასაკში („გლახის ნაამბობი“). (16-17 წლისა იყო ბეჟუანი მოთხოვნებით „სარჩობელაზე“, ასევე 14-15 წლისა იყო მისი უმცროსი ძმა); ზოგიერთ შემთხვევაში ილია იყენებს ერთგვარად „ნლოვანების მერყეობას“ სწორედ იმ პერსონაჟთა მიმართ, რომლებიც, თუ შეიძლება ასევე ვუზნოდოთ, „ზენობრივ გზაჯვარედიზე“ იმყოფებიან, რის გამოც განიცდიან სულის დანაწევრებასა და დაბინდვას.

საღი პიროვნებისთვის აუცილებელია შინაგანი წონასწორობა, რაც სულიერი სიმშვიდის უცილობელი პირობაა. ეს განცდა კი ჭეშმარიტი რწმენის ანარეკლია, რომელიც ისევე შეიძლება გაიძიზაროს, დაზიანდეს, როგორც ადამიანის სული. ამ ჭიდილში ერთიანი – მარადიული დროის უწყვეტ ნაკადად შემოქრა ადამიანისათვის, თუნდაც სასულიერო პირისათვის, ხშირ შემთხვევაში, ტრაგიკული მიზანსცენებით მთავრდება; სულიერი რესურსის სრული ამონურვით, ანდა სულაც – ქაოტური განბნევით. ამიტომაც ილიასათვის მხატვრულ სივრცეში „ლიტერატურული ნაცნობობის“ ამგვარი ასპექტი „თავისუფალი ნების“ შემოქმედებითი ინტერპრეტაციაა.

#### დამოწმებანი:

**აბზიანიძე, ელაშვილი 2007:** აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. II, თბ.: გამომცემლობა „ბაქმი“, 2007.

**ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. მოთხოვნები, პიესები. ტ. II, თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.

ინგა მილორავა

მხატვრული სიგრცის გამოსახვის პრინციპი, სივრცული მოდელები და ორიენტირები „მგზავრის წერილებში“

“შეზავრის წერილები” სათქმელის სიღრმით და მისი ნათლად და შეუფარავად გადმოცემის თვალსაზრისით მართლაც განსაკუთრებული ნაწარმოებია. თითოეული სახე-წერტილი (სივრცეში), სახე-წამი (დროში), მოქმედება, მთლიანი პასაუი თუ სტრუქტურულად მარტივი (“თერგი”, “მყინვარი”) ან უფრო რთული მოდელი (“გზა”, “სტანცია”) ერთი შეხედვით თითქოს ქვეტექსტითა მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს ქვეტექსტი იმდენად “ამონეულია” ზედაპირისაკენ, იმდენად გამჭვირვალეა ზედა შრე (მაგ.: საუბარი რუსის ოფიცერთან, საუბარი ლელით ლუნიასთან), რომ არსებითად ის, რაც ქვეტექსტად უნდა აღქმულიყო, ნარმოსდებება როგორც “ლია ტექსტით” კომუნიკაცია მკითხველთან, რომელმაც უნდა გაიგოს და გაიაზროს იდეის ჩამოყალიბების მხატვრული გზა, შეიგრძნოს მთხოობელის სულის მოძრაობა, ეზიაროს მის დასულობათა სისტემას, ჩასწოდეს მოქმედების ჭიშმარიტ არსა.

"მგზავრის წერილები" ნამდვილად არის სრულად განსაზღვრული შინაარსის მქონე, კარად ჩამოყალიბებული მოქმედების პროგრამა, რომელიც ერთი მთავარი იდეის გარშემო იკვრება და იკვეთება, მაგრამ მის ზემოქმედების მექანიზმი დამოკიდებულია ტექსტის ესთეტიკურ ღირებულებაზე. მნერალმა თავისი სათქმელის გადმოსაცემად შექმნა გარკვეული მხატვრული მოდელი, რომელიც დროისიგრცული პარამეტრებითაა მონიშნული, მითითებულია ზუსტი ორიენტირები, მაგრამ გამუდმებით იგრძნობა, რომ არა "გარე", არამედ "შიდასივრცე", რომელშიც თავისუფლად იშლება აზრი, იბადებიან სახეები, ფიქრები, შეგრძნებები. ზღვარი რეალურ და ნარმოსახვით შიდასამყაროს შერის იშლება და ტექსტში იხსნება სულის სივრცე, რომელმაც დაიტია ის ქვეყანა, რომელიც არის ქვეყნის კულტურული და ინტელიგენციური მუდმივი საჯარი.

ცალკეულ მოდელებად დანარჩერებულ სივრცეში თანდათანობით ცოცხლდება იდეა. იგი საფეხურებრივად ვითარდება და სხვადასხვა ეტაპზე იძენს განსხვავებულ ნიშნებს. საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე იგი იძენს განშტოებებს (“საით მიდის და როგორ რუსეთი”, “როგორ განსაზღვრავს რუსი ცივილიზაციას”, „რა არის ღამე“, „რა არის დღე“, „მოძრაობა“, „უძრაობა“, „ანინა“, „ადრიდა“ და ა.შ.), რომელიც როგორც ცალკეული უჯრედები აგებენ მთლიან ცოცხალ ქსოვილს. ეს ცალკეულ მოდელებზე განაწილებული, სივრცული ორიენტირებით ზუსტად მონიშნული და მკვეთრი “სახე-ნერტილებით” და “სახე წამებით” გამოკვეთილი მხატვრული პროცესი განაპირობებს ნაწარმოების ზემოქმედების ძალას. მხატვრული ქსოვილი იგება ფერწერული ტილოს პრინციპით, როცა აზრი სივრცეში იძენს შესაბამის ხატს, მაგრამ ეს სიტყვიერი ქსოვილია, რომელსაც აქვს დინამიკა, მუდმივად იცვლება, ახასიათებს ილიასათვის ასე მნიშვნელოვანი უწყვეტი მოძრაობა-სივრცეში განფენილი სულის მუსიკა. ამიტომ იკვეთება არა მხოლოდ სახე-ნერტილები; არამედ დინამიურობის გათვალისწინებით, ისინი სახე-წამებიცაა, რადგან მოცემულ “ნერტილში” და მოცემულ “წამში” ზუსტი აზრობრივი დატვირთვა და მხატვრული ფუნქცია გააჩნიათ, რომლითაც გადადიან შემდგომ “ნერტილში” და შემდგომ “წამში”, სადაც ახალი მნიშვნელობა ენიჭდება.

“მგზავრის წერილებში” მწერალი ქმნის “დამრეც” სიბრტყეს (მთიდან ბარისკენ), რომელზეც ... მისრიალებს” იდეა და როცა სიტყვიერ ქსოვილში საბოლოოდ გაიშლება მიღის დევიზამდე ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს”. სხვადასხვა შენაკადი განშტოების, ხაზის, ხევულის (ფიქრის, ქმედების) შერწყმით აგებული “სხეულის” დამაგვირგვინებელი ეს დევიზი განმარტავს ამ საპროგრამო ნაწარმოების “დამრეც” სიბრტყეზე განლაგებული ცალკეული სივრცული მოდელების, მოვლენების, სახე-წერტილების შინაარსს და ამავე დროს არის მათი ფუნქციონირების შედეგიც-საბოლოო წერტილი-საწყისი ეტაპის დასასრულო, მიჯნა, რომლის იქთაც იწყება მომავალი (ქვეყნის, მნერლის), იშლება შემდგომი მოქმედების ასპარეზი, “ახალი სივრცე” (ქვეყნის მნერლის). ამ მიჯნამდე მისაღწევად შემოაჭავს მნერლის უმთავრეს სივრცული მოტელი “გზა”.

კაცობრიობის სულიერ ბიოგრაფიაში ძნელად მოიძებნება ისეთი ქმედითი მხატვრული სივრცული მოდელი, როგორიცაა „გზა“ (ერთადერთია „მთა“ თუ მიუახლოვდება). „გზის“ მოდელი საოცრად ტევადი და მოქნილია მას აქტიურად იყენებს სხვადასხვა კულტური და ხელოვნების სხვადასხვა დარგი უძველესი დროიდან დღემდე და მუდმივად ხდება მასში რაღაც ახლის, განუმეორებლის აღმოჩენა „მგზვრის წერილებში“ „გზაზე“ დამაგრებულია ანმყო, ხოლო სიღრმეში „ჩატვირთულია“ წარსული „გზა“ ართებს ორ ძირითად მოდელს „მთას“ და „ბარს“ ერთმანეთთან, ასევე აკავშირებს (ჯალკეული

სივრცული ორიენტირების ("მყინვარი", "თერგი", "სამება", "სტანცია") და ანესრიგებს ერთი შეხედვით ქაოტურად გაბნეულ სახე-წერტილებს ("პოვოსკა", "იაშჩიკი", "აფიცერი", "ფრანსიელი" ლელთ ღუნია).

თითოეული სივრცული ორიენტირისა და სახე-წერტილის ირგვლივ იზრდება პატარა დამოუკიდებელი ცოცხალი ქსოვილი – პატარა მოდელი, სურათი, რომელიც ერთი მხრივ სრულად დამოუკიდებელი შინაარსის მქონეა, მეორე მხრივ კი – იდეის საბოლოოდ ხორცებს ხმისაკენ მიმართული პროცესის ერთი საფეხური, მათში ზუსტად სახელდებული ორიენტირი ემსახურება ამ განვითარების ხელშესახებად ნარმოდგენას. ნათელია, რომ მთელი ეს პროცესი მიმდინარეობს სულში, შიდასივრცეში, მაგრამ მიზანი არ არის მისი დაფარვა ან აბსტრაგირება, არამედ პირიქით, ბოლომდე გახსნა, დაკონკრეტება, სხვისთვისაც იოლად მისაღწევად გადაქცევა. ამიტომ აზრი, ფიქრი ისხამს ხორცს, იღებს ნივთიერ სახეს, ხდება სივრცეში ზუსტი ორიენტირით მონიშნული. სულის მოძრაობა ერწყმის მიზიერ პროცესს, ხდება მისი მყარ სიბრტყეზე განვენა, მიმაგრება (სწორედ იმ მინაზე, იმ ადგილებზე, იმ სახეებზე, რომელთაც ალძრეს ეს სულიერი აქტივობა). "გზა" უზრუნველყოფს ნანარმოების სივრცის პროპორციულობის განცდას, სადაც ყოველი ორიენტირი, სახე-წერტილი, სახე-ნამი თავის ადგილს იჭერს, რადგან მთავარი სათქმელისაკენ მიმავალ ერთ კონკრეტულ შენაკადს შეესაბამება.

მთიდან ბარისკენ მიმავალ "გზაზე" შემდგარ მნერალს ემპირიულ ანმყოში შემოაქვს უკიდურესად დაკუმშული ინდივიდუალური დრო – "ოთხი წელიწადი", რომელიც შეიძლება აღვიქვათ როგორც კრისტალი. მასში კრისტალიზებულია "ოთხი წლის" გამოცდილება, ცოდნა, სხვა კულტურასთან ზარების შედეგი. მნერალმა თავისი ქვეყნის "ანმყოში" უნდა "გახსნას" და ბუნებრივად განაზავოს ეს კრისტალი. იგი ზუსტად გამოხატავს სათქმელს: "ოთხი წელიწადი" უნდა გაიხსნას არა მარტო "ხილულ" ანმყოში, არამედ ნარსულშიც, რომელიც ამ "გზის" სიღრმეშია განვენილი და რომლის გარეშეც მომავლისკენ, "ახალი სივრცისკენ" სხვა ფერხდება. აუცილებელი დროთა კავშირის შეგრძნება ღელთ ღუნიასთან დიალოგითაა გამოსახული.

"ოთხი წელიწადის" სახე-წერტილი (სახე-ნამი) ადასტურებს ამ ტექსტის მხატვრულ ამოცანას – სულიერ პროცესს მიანიჭოს მყარი, ხელშესახები ფორმა. "ოთხი წელიწადი", რომელიც არის სულიერი ბარგი-კრისტალი, რომელიც უნდა გაიშალოს და განზავდეს "გზაზე" განვენილი დროის ყველა პლასტში, იმავდროულად არის ერთი შენაკადი, ერთი ნანილი იმ ცოცხალი ქსოვილისა, რომელიც თანდათან იზრდება სახიყისი იდეური ხერხემლის ირგვლივ.

"ოთხი წელიწადის" განზავების პროცესს თან სდევს მსჯელობა, ფიქრის ნაკადი და წერტილოვანი სახეების გამოსახვა. აგრეთვე, ე.წ. რეალობის დისკრედიტაცია, რაც ნანარმოებმი "იამშიგის", "პოვოსკის" და, რაც მთავარია რუსი ოფიცრის სახეების შემოტანით ხორციელდება. ღელთ ღუმიას სიტყვებში დისკრედიტირებულია აწყობო. საზოგადოდ, დისკრეტიდაცია დეკონსტრუქციის წინა საფეხურია. მნერალს სჭირდება დისკრედიტაცია, რომ შემდეგ მოახდინოს იმ რეალობის დეკონსტრუქცია, რომელიც მისთვის მიუღებელია. მნერალი, რომელიც უდავოდ კარგად იცნობს რუსულ კულტურას თავისი ნანარმოების "დამრეც" სიბრტყეზე განლაგებული მოდელების ფარგლებში და მათი შესაძლებლობებითან გამომდინარე თითქმის მთლიანად ახდენს სახე-წერტილების გაუფასურებას. "დამრეც" სიბრტყეზე იგი გვიჩვენებს "რუსულ სამყაროს" მხოლოდ მახინჯ პროექტებს – კროტესკულ სახეებს. აშკარაა, რომ ისინი უნდა გაქრნენ, აღმოიფხვრან. მაგრამ ამ შემთხვევაში დისკრედიტაცია და მისი შემდგომი დეკონსტრუქცია არის აუცილებელი საფეხური უფრო მნიშვნელოვანი, კეთილშობილური ეტაპისკენ მიმავალ გზაზე. პროცესი არ არის შეუქცევადი. პირიქით, ყველაფერი მისი შემობრუნებისაკენ გაკეთდა და შემდეგ ეტაპზე გამოიკვეთება რეკონსტრუქციის პერსპექტივა და საყრდენი ორიენტირი – "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ეს სიტყვები ინვესტიციის ტკივილის. ტკივილიანი მიჯნის იქით იშლება "ახალი სივრცე". იდეა ინყებს სრულფასოვან არსებობას, მოქმედებას. აქვე იკვეთება ქვეცნობიერი ცოდნა, მიხევდრაც იმ საფასურისა, რომლის გადახდაც მოუწევს ამ იდეის სამსახურში ჩამდგარ ადამიანს. ილიას "გზის" მოდელი ერთგვარად პროფესიული შინაარსის შემცველიცა. სივრცული ორიენტირები "მთა" – მყინვარი, "მდინარე" – თერგი მნერალს ნარმოდგენილი აქვს როგორც პპოზიცია დინამიკა-სტატიკა და მათ საფუძველზე გამოკვეთს თავისი მოღვაწეობის იდეურ საფუძველს. მისი მხატვრული ნააზრევიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, თუ როგორ სრულად შეიგრძნობას იგი "მთის" მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში კი იგი არსებითად უარს ამბობს "მთაზე", ფიქრითაც და ქმედებითაც. "მთაზე" – სულიერი სრულყოფის, განწმენდის, სიმშვიდის, საკუთარი "მეს" გამთლიანების ადგილზე უარის თქმა და სხრაფვა ცოდვიანი ბარისკენ, სადაც "ანინა" მხოლოდ დაცემა და სულიერი ტკივილებია, ზევიდან ქვევით დაშვება თანაც ისე, რომ ადამიანს თან მოაქვს დაკუმშული დრო და ინფორმაცია ("ოთხი წელიწადი"), აქვს მოქმედების გეგმა და სურვილი და უმთავრესი დევიზი ("ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნე") აღიქმება როგორც საკუთარი "მეს" განირვა, თვითშეწირვა.

"გზაზრის წერილები" სახიერი მაგალითია იმ არაჩვეულებრივი, ელვარე, იდუმალი, ამოუცნობი შემოქმედებითი პროცესისა, რომელიც სრულიად ნათელი სამოქმედო პროგრამის, გეგმის ნარმოჩენას უდიდესი ესთეტიკური ღირებულების ტექსტად გარდაქმნად აქცევს.

## მაია ჯალიაშვილი

### მარგინალობის ფენომენი ილიას „ოთარაანთ ქვრივში“

„ჩვენ იმანირები ვართ, რანაირებადაც გვაქცევს სამყარო. თუ ჩვენს სულს დეტალს შევადარებთ, მაშინ სამყარო ყალიბი იქნება, რომელშიაც სული ჩამოისხმება და რომლის ფორმასაც იგი ინახავს. ეჭვს გარეშეა, რომ არსებობის პროცესი სამყაროსთან ურთიერთობის პროცესია“ (გასეტი 1993: 56), — წერს ესპანელი მოაზრონე ხოსე ორტეგა ი გასეტი. ეს ურთიერთობა კი მრავალფეროვანია. ზოგი ცხოვრების მდინარეს აღმა მიჰყვება, ზოგი კი დაღმა, დინების საწინააღმდეგოდ. ეს მდინარება ზოგს ნაპირზე გამოიყავს, ზოგს კი ცხოვრების მორევში დანთქავს. ასე იქცევა ზოგი მარგინალად და ზოგი „ადამიან—მასად“.

ილიას პროზაში კარგად არის წარმოჩენილი მარგინალობის სოციალურ—ფსიქოლოგიური ასპექტები. მარგინალობას იწვევს, ერთი მხრივ, გარკვეულ სოციალურ ფენათა შორის დაპირისპირება, მეროვ მხრივ, ერთსა და იმავე სოციალურ ჯგუფში განსხვავებულ ზნეობრივ ღირებულებათა არსებობა.

ილიას პერსონაჟების მარგინალობა ხასიათდება იმით, რომ ისინი არ წარმოადგენენ მხოლოდ იმ სოციალური ჯგუფის ზნეობრივ ღირებულებებს, რომელშიც ცხოვრობენ. მათ გააჩინათ ინდივიდუალური წარმოდგენები ყოფიერების უმთავრეს საკითხებზე, ამიტომაც მათი ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებთან არის გაუცხოებული, ხშირად დაპირისპირებული და კონფლიქტური. ამ თვალსაზრისით, „ოთარაანთ ქვრივში“ პირობითად გამოიყოფიან ორი ტიპის მარგინალები: **აქტიური და პასიური**. აქტიური მარგინალები არიან ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, რომლებიც აღიქვამენ და გაიაზრებენ რა მარგინალობას, არ ცდილობენ საზოგადოებასთან დაახლოებას საკუთარ ღირებულებათა დათმობის ხარჯზე, არამედ, პირიქით, მიისწრაფებიან საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისა და საკუთარი შეხედულებების გატანისკენ. სწორედაც რომ, საკუთარი იდეალების ალიარებისკენ. მათი ძალა ემყარება მხოლოდ რწმენასა და სინდისს, ერთგვარ იდეალურ იმპერატივებს, მაშინ, როდესაც საზოგადოება პიროვნებათა მხრიდან განხორციელებული „შეტევის“ მოსაგერიელებლად და თავდასაცავად ეყრდნობა და იყენებს პრაგმატულ საშუალებებს. მოთხოვთ წარმოჩენილი ეგზისტენციალური პრობლემები სწორედ ამ მარგინალობაში და საზოგადოების დაპირისპირებიში გამოიკვეთება.

„მარგინალის (The margin) ტერმინით მოიხსენიება სოციუმის პერიფერიაზე მყოფი, ადამიანი, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, ვერ ეწერება საზოგადოების კონტექსტში. მარგინალი ხშირად ხდება ხალხის კრიტიკის, აღშეფოთების საგანი და ასეთად რჩება მანამ, სახამ მის პრობლემას არ აღიარებს და განიხილავს საზოგადოება. როგორც კი მარგინალის თავისებურებებს გაიგებს და აღიარებს ხალხი, იგი ხდება საზოგადოების ნაწილი; ასე რომ, მარგინალობა განისაზღვრება გარეშე სოციუმით. როგორ უნდა განისაზღვროს: ადამიანი მარგინალია თუ არა? მარგინალობა არის დინამიკური მოვლენა, ის დამოკიდებულია სოციუმთან ურთიერთობის ფორმებზე. მარგინალობა არის ის, რაც ვერ შეეგუა და შეერწყა სოციუმს“ (აცმონი 2007: 16)

ოთარაანთ ქვრივი შეგნებულად არის განვითარებული იმ საზოგადოებისგან, რომელიც მისთვის მისადაბებ ზნეობრივ ღირებულებებს ვერ ან არ აღიარებს. ამიტომაც მათ შორის არის ან შიში, ან კიდევ გაუგებრობა. ერთი მხრივ, არავინ იცოდა, სოფელში სტულდათ თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი. ქვის გული აქვსო, ამბობდნენ, მეორე მხრივ, ოთარაანთ ქვრივი იყვირვებდა, ჩემი რატომ უნდა ეშინოდეთ, ქალაჩუნები არიანო, ამავე დროს, ამ ქალის საოცარი, მაგრამ ბევრისთვის გაუგებარი იყო ზრუნვა არა მხოლოდ საკუთარი ლირსების, არამედ სხვათა თავმოყვარების დასაცავად. სოფლის ფასადურ სიკეთეს უპირისისპირდება ქვრივის დაფარული, არა თვალშისაცემი, ხშირად დაუნახავა, მნარე სიტყვებს ამიფარებული სიკეთე. გიორგისაც ვერ უგებს სოფელი, ან გიშა, ან ლვითისგან მოგზავნილი. თავად არჩილს კი მისი სინდისნამუსიანი ქცევის ფენომენი აუხსნელად მიაჩნია და დასტურად შექსპირის სიტყვებს მოიხმობს, ბევრი რამ არის ამქვეყნად, ფილოსოფოლებს რომ არც კი დასიზმრებიათო.

სულ სხვაგვარად ახსნება სოსია მეწისევილის მარგინალობა. იგი არის პასიური მარგინალი, მას სოფელი აბურად იგდებს და იშორებს, როგორც მიუღებელს. ამ თვალსაზრისით, სოფელი თავის აგრესიას ახორციელებს პიროვნების მიმართ, რომელსაც თავდაცვის უნარი არ გააჩნია, მაგრამ იგი მაიც წებაყოფლობითი მარგინალია და სოფლის გაცივებულ გულში თანაგრძნობის გაღვიძებას ცდილობს სიტყვებით: „ცოდო ვარ, ცოდო“.

ამ მოთხოვთ მარგინალიზაციის გზა თრი მიმართულებით წარიმართება, ერთი მხრივ, მარგინალი საზოგადოების ზედაპირზე, წინა რიგში, ყველას დასახავად, პატივსაცემ, თუმცა მოსარიდებელ და გაუგებარ პიროვნებად წარმოჩნდება (ოთარაანთ ქვრივი და გიორგი), მეორე მხრივ, მარგინალი საზოგადოების ფსკერზე ეშვება და გაირიყება (ცხოვრებიდან (სოსია მეწისევილე).

ამერიკელი მეცნიერის, რობერტ პარკის აზრით, მარგინალურნი ის ადამიანები არიან, რომლებიც ზლვარზე იმყოფებიან ორ ან მეტ სოციალურ სამყაროთა შორის, მაგრამ არ მიიღებიან არც ერთის მიერ, როგორც მათი სრულუფლებიანი წევრები (კანკავა 1981: 76).

ქართული ლიტერატურიდან ცნობილ მარგინალებად შეიძლება დაგასახელოთ: თარაშ ემხვარი (კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, დათა თუთაშხია (ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“), თეიმურაზ ხევისთავი (მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“), ალუდა ქეთელაური და ჯოყოლა (ვაჟა ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ—მასპინძელი“... მსოფლიო

ლიტერატურიდან: დონ კიხოტი (სერვანტესის „დონ კიხოტი“), თავადი მიშკინი (დოსტოევსკის „იდიოტი“, ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი“) და სხვა.

მარგინალობს პარადიგმად შეიძლება მივიჩნიოთ იესო ქრისტე, რომელიც საზოგადოებამ გაინაპირა და მისი ახალი იდეალები საეჭვოდ და მიუღებლად მიიჩნია. მაცხოვარი თვითონვე გამოარჩევდა რჩეულებს. ასე რომ, სხვადასხვა ტიპის ქრისტიანი მარგინალები რომელიმე კუთხით იმეორებენ იმ გზას, რომელიც მაცხოვარმა გაიარა.

რა თვისება აქცევს ოთარაანთ ქვრივსა და გიორგის მარგინალებად? „ოთარაანთ ქვრივში“ ზედმინევნითაა გამოკვეთილი და ფისქოლოგიურად დამაჯერებელი დეტალებით ახსნილ—განმარტებული პიროვნებისა და საზოგადოების რთული ურთიერთობის ფალკეული ასპექტი.

ოთარაანთ ქვრივის ზნეობა ქრისტიანულ რწმენით ნასაზღოვებ და სინდისით ნაკარნახევ პრინციპებს ემყარება. მას სისხლსა და ხორცში აქცევს გამჯდარი სიკეთისა და სამართლიანობის რწმენა. ის ცხოვრობს მხოლოდ საკუთარი გულისა და გონების კარნახით და არავითარ ანგარიშს არ უწევს სოფელს, საზოგადოებას, რომლის მრავალი ნაბიჯი განპირობებულია ფარისევლობით, უსამართლობითა თუ შენილბული ბოროტებით. გადამეტებული რომ არ არის ასეთი კატეგორიული შეფასება: „არავითარ ანგარიშს არ უწევს სოფელს“, ამას მოთხოვნის რამდენიმე ეპიზოდი თვალნათლივ ადასტურებს.

1. ის ტკბილ სიტყვას თვალთმაქცობად მიიჩნევს და ამისი ახსნა—განმარტება ფილოსოფიის რანგში აპყავს. ტკბილი სიტყვა ადამიანს „აძინებს“, არადა: „თუ წუთისოფელს ერთი ბენო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

2. მადლობის გადახდას არაფრად მიიჩნევს: „კარგია, მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს“. სიტყვას საქმეს ამჯობინებს.

3. სოფლელთა შეცხადებას, ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, არად დაგიდევდათ, თუ არ გაუგონიათ, ახლა გაიგონ.

4. მამაკაცობისა და დედაკაცობის გასარჩევად საკმარისად მხოლოდ ძალ—ღონის მიჩნევას არ იზიარებდა: „ის მამაკაცია და მე—დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქცევს და მეცაო“.

5. სოფლის სასამართლო გიორგის რომ გაამართლებს, გაიკვირვებს: „დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართლი სცოდნიათო“.

ამ შეფასებით, ის თავისი თავს სოფელზე (მოსამართლებზე) მაღლა აყენებს.

5. გიორგი სახლიდან წასვლისას ბარგის წალებაზე უარს ამბობს, დამცინებენო, დედა ეტყვის: „თავს—სიცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ლრეჭას აპყვეს, სად წავა?“. იგი ანგარიშს არ უწევს, რას იტყვის სოფელი.

მას აქცევს საკუთარი, ყველასგან განსხვავებული შეხედულებები:

1. არჩილსა და კესოს მკვახედ ეტყვის: „მე ჩემთვის არ ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო—მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი“.

2. მიიჩნევს, რომ ადამიანმა ნებისმიერ დროსა და ვითარებაში სიმართლე უნდა თქვას: „ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერუმარილი რა საჭიროა“.

3. „ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლენის რა ლაპარაკი უნდა? ძალლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე“.

4. „ადამიანს მინამ ხელ—ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ—ამხანაგი მარტოხელისა, წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის?“

5. გიორგის სიკვდილისას სოსიას თანაგრძნობაზე, ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისოფელშიო, უბასუხებს: „რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლენა თუ არ გვონია!“

„როდესაც ვლაპარაკობთ „მარგინალურ პიროვნებაზე“, რეალურად ვგულისხმობთ „მარგინალურ იდენტიფიკაციას“. პიროვნულობა იგივე თვითიდენტიფიკაციაა, რაც გულისხმობს საკუთარი თავის იდენტიფიკირებას, გაიგივებას, გარკვეულ იდენტიან, შეხედულებებთან, თვალსაზრისებთან. პიროვნულობის ცნება, რომელიც ასე მნიშვნელოვანია პოსტმოდერნისტებისა და მარგინალური თეორეტიკოსებისთვის, მითია“ (აცმონი 2007: 17)

ვფიქრობთ, ხელოვნურია ერთმანეთს დააცილო მარგინალური პიროვნულობა და მარგინალური იდენტიფიკაცია. აქ უფრო მეტად ტერმინებით თამაშია და არა არსობრივი განსხვავება.

მოთხოვნის პირველივე სტრიქონებიდან მწერალი გვაცნობს ოთარაანთ ქვრივს, როგორც გამორჩეულ პიროვნებას—მას ყველა იცნობს, ე.ი. მისი ცხოვრება ყველას თვალწინაა, წინა რიგშია. მისი რიდი და პატივისცემა აქვთ. ალიარებენ მის ძალას, რომელიც მხოლოდ სულიერ „ძალაუფლებას“ ემყარება. „ოთარაანთ ქვრივის კარ—მიდამოში“ მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლოვ გავლა ქვრივის უნებურად“. მწერალი ამგვარი პატერბოლით ხაზს უსვამს, თუ რა რანგშია აყვანილი ქვრივის ნება. მისი წინააღმდეგობა მხოლოდ დაუმორჩილებელ, ადამიანზე აღმატებულ ბუნების სტიქიურ ძალებს შეუძლიათ, ან კიდევ დათაებრივ ინსტანციას („მზე“). ასე რომ, ქვრივის „ძალაუფლება“ ერთგვარად ზღუდავს თანასოფლელებს, რადგან ისინი მის ნებას ემორჩილებიან, ვერ არღვევენ მისი პიროვნების ნებით შემოსაზღვრულ ჩარჩოებს. იგულისხმება, რომ სხვა შემთხვევაში, სხვებთან, თანასოფლელებთან ურთიერთობაში მათთვის ამგვარი შეზღუდვა არ არსებობს. საგულისხმოა, რომ ამ დაუწერელ წესს ემორჩილებიან სოფლის ოფიციალური ხელისუფალნიც (წაცვალი თუ იასაული). ისინი ვერ არღვევენ ქვრივის მიერ შემოსაზღვრულ მიჯნებს და თუ „გაიჩანენებდნენ, და თუ როგორმე

გაპპედავდნებ“, ქვრივი თავ—ბედს აწყევლინებდა. სიტყვა „განაწანება“ ხაზს უსვამს მათ შინაგან თუ გარეგან კნინბითობას ქვრივს ზნემაღალ ბუნებასთან შედარებით. ოთარაანთ ქვრივს ყველას დასახად წამოუმართავს თავისი დაურღვეველი და ხელშეუხებელი ციხე—კოშკი, არა ქვითკირით, არამედ ნებისყოფითა და სულიერი ძალებით ნაშენი, რაც მოზმობს მასზე, როგორც ძლიერ პიროვნებაზე. „დე, ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო“—ეს არის გამოწვევა სოფლის მიმართ. ქვრივი დარწმუნებულია საკუთარ ძალებში და არ უფრთხის, რომ მარტოა და უპირისპირდება მთელ სოფელს. საკითხავია, რისი იმედით, უპირველესად, ღმერთის (რომელსაც ის წარამარა არასოდეს ახსენებს) და პატიოსნების, სამართლიანობის, სიყვარულის, სიკეთის იმედით. ამ შემთხვევაში, იგი ერთგვარ იდეალისტადაც შეიძლება მოგვეჩეონს, რომელსაც იდეის (სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვების) უფრო სჯერა, ვიდრე რეალობისა. თანაც იგი ქალია, ეს კი მისგან მეტ ძალასა და ენერგიას საჭიროებს ტრადიციულ ქართულ პატრიარქალურ შეხედულებათა საზოგადოებაში, სადაც ძალაუფლების მატარებელი ძირითადად კაცია.

სოფელი, საზოგადოება იცნობს ოთარაანთ ქვრივს (ამ გაცნობაზე თვითონ ქვრივმა იზრუნა, ის გამუდმებით აჯერებს სოფელს თავის არსებობაში გამოკვეთილ შეხედულებათა განუხერელი მტკიცებით).

სოფელმა იცის:

1. „ოთარაანთ ქვრივს ტყუილუბრალოდ ბაქიაობა და მუქარა არ უყვარდა“.
2. „იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო“,
3. „ბარაქალა დედაკაცაა“.
4. „არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა“.
5. „იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგება“.
6. „ვისაც უქმად მოასწობდა, ძირიანად ამოილებდა, ძირიანად მოსთხრიდა“.
7. „ძნელად იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე“.
8. „გულის მაგიერ ქვა უდევს“.
9. „კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში. შიშით კი ყველას ეშინოდა“.

10. „გადარეული“ და „დამთხვეულია“: „მაგათში ან დიდი ცოდო ტრიალებს, ან დიდი მადლი, აქ სხვა ნიშანწყალია“.

ჩამოთვლილ შეხედულებათა მიხედვით, ოთარაანთ ქვრივი სოფელთა თვალში, მართლაც, სხვანაირია, მაგრამ რა იწვევს შიში? ალბათ, ის, რაც ღვთის შიში იწვევს—ცოდვის მხილების, ბოროტების ვერდაფარვის შიში. ოთარაანთ ქვრივის თვალი ხომ შეუმჩნეველს არ დატოვებს არაფერს გამრუდებულს—თავისი იქნება თუ სხვისი. სწორედ ეს სხვისთვის გულშემატკიციობა აფრთხობს და აშინებს სოფელს.

თანაც, სოფელმა იცის, რომ ოთარაანთ ქვრივი თავისას ყოველთვის გაიტანს, არავის დაეჩაგვრინება, რკინის ქალამანს ჩაიცვამს, რკინის ჯოხს აიღებს ხელში და ხელმწიფემდე მივა. ეს იდიომი, რა თქმა უნდა, იმაზე მეტყველებს, რომ ქვრივი არაფერს შეუშინდება და სამართალს იპოვის. ამავე დროს, რკინის ქალამნები ქვრივს სიმტკიცესა, დაუდლელობასა და შეურყევლობაზე მიანიშნებს, რკინის ჯოხი კი ღვთის სჯულზე, როგორც ეს მეორე ფსალმუნის მეცხრე მუხლშია ნათქვამი: „პმწყსნე იგინი კუერთხითა, რკინისაითა“. ნმიდა მამათა განმარტებით, „კუერთხ რკინისა ეწოდების მცნებათა სჯულისათა, რამეთუ ყოველივე ბრძანება ღვთისა ძლიერ არს, ვითარცა რკინა, და შემმუსერელ წინააღმდეგომთა მისთა“ (ფსალმუნთა განმარტება 1996: 8). ასე რომ, ქვრივის ქადილი საღვთო სჯულის კანონს ეყრდნობა, მას სჩამს სამართლიანობის აღსრულებისა, უზენაესი მოსამართლის სიმბოლოდ კი ხელმწიფე ესახება.

იმისთვის, რომ გამოკვეთოს, თუ რა მოჰყვება ქვრივის ნების დარღვევას, მწერალი ხატავს ეპიზოდს, ქვრივმა როგორ იარა გუბერნატორამდე ფეხით და თავგასულსა და მოურიდებელ გზირს, ერთი წართმეული ქათამი შვიდეულად დაუსვა. იგულისხმება, რომ გზირმა სხვა სოფლელებსაც წაართვა ქათამი დიამბეგისთვის შეგროვების საბაბით, მაგრამ მხოლოდ ქვრივმა ამოილო ხმა და თავისი ღირსება დაიცვა.

რას ერიდებიან სოფლელები, რატომ მათაც არ იარეს გუბერნატორამდე?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს არის შიში ხელისუფლების მიმართ (გზირი, დიამბეგი, იასაული—სახელმწიფოს ძალადობას ახორციელებენ და მის ნებას განასახიერებენ. რასაკვირველია, აქ არის თვითნებობაც, მაგრამ ხალხის თვალში ხშირად არ ხდება ამის გარჩევა. ოთარაანთ ქვრივის ნაირები კი ამას არჩევენ და საკუთარი უფლებების დასაცავად აქტიურად გამოდიან). ე. ი. ეს არის შიში დასჯისა.

მეორე, ეს არის შიში მასზე აღმატებულის (ძალაუფლებრივი თუ ქონებრივი თვალსაზრისით) მიმართ. ამ შემთხვევაში, საინტერესოა, აქვს თუ არა შიში ქვრივს მასზე სოციალურად მაღლა მდგომი—თავადებისა—არჩილისა და კესონი.

მესამე, ეს არის ლაბრობა, სიმხდალე ადამიანებისა, რომელიც ღირსების შელახვას იოლად ეგუებიან და არ ცდილობენ წინააღმდეგობის განევას.

ოთარაანთ ქვრივი ამ სამიერ შიშს გადალახავს და, ამასთან ერთად, ამსხვრევს საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას ფულის ყოვლისმედლებაზე. როგორც ცნობილია, ფული გაჩენის დღიდან იქცა კერპად და კეთილდღეობის, ძალაუფლების, ღირსების საწინდრად. ოთარაანთ ქვრივი უპირისპირდება ამ შეხედულებასაც. „ფული რა არის? ხელის ჭუჭყია“. ამგვარად, ფულის ჭუჭყიან გაიგოვებით ის მთლიანად აუფასურებს მის საზოგადოებრივ ღირებულებას. ჭუჭყი აბინძურებს და

ამცირებს ადამიანს და ამიტომაც მოსაშორებელია, ჩამოსარეცხია. სამაგიეროდ, ყველაფერზე აღმატებულია ლირსება: „ტყუილ—უბრალიდ რომ არ დავეჩავრინე, ცოტაა?!“ და ეს რიტორიკული კითხვა გულისხმობს პასუხს, რომ სწორედ ესაა მთავარი—არავის მისცე უფლება დაჩაგვრისა. ოთარაანთ ქვრივი რაინდს ემსგავსება, ამიტომაც თუ შეადარეს იგი „კაბაგადაცმულ ილიას“.

რატომ მაინცდამაინც ქალს ატვირთვინა მწერალმა ამგვარი ფუნქცია? ცნობილია ილიას დამოკიდებულება ქართველი ქალის, დედაკაცის მიმართ. გავიხსენოთ ლექსი „ქართვლის დედას“, დრომა „ქართვლის დედა“, ნერილი „პატარა საუბარი“ და სხვა. მისთვის დედაკაცი იყო არა მხოლოდ სიცოცხლის წყარო, არამედ ცხოვრების წყაროც, დარღვეულ დროთა შემაკავშირებელი და ერის გადამრჩენი.

„მარგინალური აღქმა“ მარგინალურ თვალსაზრისად რომ გადაიქცეს, მარგინალმა უნდა ირწმუნოს, რომ „მარგინალობა“ რეალურ და ჭეშმარიტ პიროვნულობას გამოხატავს.

ოთარაანთ ქვრივი პიროვნებაა, დარწმუნებული საკუთარ თვალსაზრისთა ჭეშმარიტებაში, სხვაგვარად, არ იქნებოდა იგი ასეთი უცანდაუსეველი. ამავე დროს, იგი სხვათა ლირსებასაც იცავს, როცა ეს სხვანი არაფრად აგდებენ ამავე ლირსებას. ამ შემთხვევაში, ქვრივი თვითონ ლირსებას იცავს, მისი გადარჩენისთვის იბრძვის, რადგან ლირსების გარეშე ადამიანი არარაობად იქცევა. ამის დასტურია ეპიზოდები, რომლებშიც მოთხოვობილია, თუ როგორ გაიკითხავს ქვრივი გლახა—მათხოვრებს. ჯერ ერთი, ცდილობს სიკეთის სხვათა დაუნახავად გაკეთებას: ბაზარში მედუქნესთან შოთებს საქალამნე ლორის ტყავზე გადაცვლის და მათხოვარს მისცემს, ამოისხიო, ხოლო მედუქნის კითხვაზე, მაგისი გემართაო, უპასუხებას: „მაშარა—და, მაგის თავის მზემ. ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი“. იტყუება ქვრივი. სანამ ამ ტყუილის მიზეზს გამოვკვეთთ, მისი სხვა „ტყუილებიც“ გავიხსენოთ. კარზე მიმდგარ შესაბრალის და ლონებიძილ გლახას ეუბრება: „წამოეთრიე ერთი მარანში, ლვინოს ჩაგაცეცხლებ, ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვრებოდე რასმე“... აი, ქვევრში რაღაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადასაღვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლე“.

აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ: 1. ქვრივს არ უნდა, ეს გაკითხვა გლახას მადლი ეგონოს; 2. წუმპეს გაძლევა; 3. „ჩაგაცეცხლებ“, ე.ი. ქვრივი ცდილობს მაქსიმალურად დაამციროს ადამიანი. რატომ იქცევა ასე? რატომ აყრის ჰილპილს მადლს?

პირველ რიგში, ის სიკეთეს ღვთის და არა ადამიანთა დასანახავად აკეთებს. პირიქით, არიდებს კაცთა თვალს. ამ შემთხვევაში, ის პირდაპირ იცავს სახარებისეულ მცნებებს. რაც შეეხება „წუმპეს“ და „ჩაგაცეცხლებ“— ამ დამამცირებელმა სიტყვებმა უნდა შეძრან გლახას გული, დაობებული და მიძინებული, და გამოაღვიძონ მასში ლირსების გრძნობა. ქვრივი ხედავს, რომ გლახა წუთისოფლისგან დიდოელი ლეკის ნაბადივითაა გათელილი, ბედს შეგუებულია და არც არავინ ზრუნავს სოფელში მისი შელახული თავმოყვარების აღდგენაზე. ოთარაანთ ქვრივი კი მასში ღვთის შეილს, დაცემულსა და განადგურებულს ხედავს, გული შესტევია და ცდილობს ფეხზე წამოყენებას, ოლონდ ამისთვის თავისებური გზა მოუქენია, უფრო მეტი დამცირებისა და შეურაცხყოფისა. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ის, რომ გლახას ის მართლა წუმპეს კი არა, „ერთი ორიოდ ჩარექა კაი ღვინოს გადაახუხებდა და გამოისტუმრებდა თავისებური ქება—დიდებით“.

ოთარაანთ ქვრივს სჯეროდა სიტყვის ძალისა, იცოდა მისი ფასი, ამიტომ ყოველ ნათქვამ სიტყვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, ის სიტყვით ამამიანებდა ადამიანს, რათა მასში დათრგუნული სული დამცირების ტკივილს გაეღვიძებინა და ადამიანობის მინავლული ნაკვერჩხალი გაეღვივებინა. დაახლოებით, მსგავს „მეთოდს“ მინართავს შარლ ბოდლერის მინიატურის ერთი გმირი („მივასიკედილო უპოვარნი“): კაბარეში შესვლისას მათხოვარს, ჩვეულებისამებრ, კი არ ჩაუგდებს გამოწვდილ ქუდში ფულს, არამედ კარგად მიძეგვავს. მოტივაცია კი ასეთია: „თანასწორად მხოლოდ იგი უნდა ჩათვალო, ვინც დაგიმტკიცებს ამას, და თავისუფლების ლირისიც მხოლოდ ის არის, ვინც ბრძოლით მიიპოვებს ამას“. კბილებჩამსხვრეული, თვალებჩალურჯებული მათხოვარი დიდხანს ითმენს უცხოსგან ცემა—ტყებას, მერე უცებ „გამოიღვიძებს“. „მე დავინახე, რომ ეს ნანგრევი გაცოცხლდა“, შემდეგ სიძულვილით სავსე მზერა ესროლა დამჩაგვრელს და ლაზათიანად მიბეგვა საპასუხოდ. „ამრიგად,—ამბობს პერსონაჟი,— ჩემი ენერგიული წამლობით მე სიამაყე გავუღვიძე მას და დავუბრუნე იგი სიცოცხლეს“. ამის შემდეგ ფულსაც მისცემს მათხოვარს, ოლონდ როგორც თანასწორს.

ვფიქრობთ, თარაანთ ქვრივსაც რაღაც მსგავსი „წამლობის მეთოდი“ აქვს. იგი მწარე, სალანდლავი სიტყვებით ამცირებს ადამიანს, რათა მასში ჩაელული სიამაყე და თავმოყვარეობა გააღვიძოს, თუმცა ეს დიდი მსხვერპლის ფასად უჯდება, მისი არ ესმით და პირიქით, სამადლოდ კი არა, პილპილმოყრილად უთვლიან სიკეთეს, მაგრამ ქვრივი ამას არად დაგიდევთ, რადგან მისთვის მთავარი ღვთის თვალში გამართლებაა. მისთვის ყველა ადამიანი მოყვარეა, რომელიც თავისი თავივით უყვარს, ამიტომაც ამ უცნაური გზით ცდილობს დაცემულის ფეხზე წამოყენებას.

მარგინალს უნდა სჯეროდეს, რომ მისი შეხედულებებია ჭეშმარიტი. ამისთვის აუცილებელია რწმენა საკუთარი პიროვნულობისა. შესაძლებელია თუ არა ამგვარი რამ? დეკარტი თავისი ცნობილი გამოთქმით ამას ადასტურებს: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“. შესაბამისად, თვითშემეცნება არის გზა პიროვნულობისკენ.

რა ქმნის გიორგის მარგინალობას?

ოთარაანთ ქვრივის შვილობა მისთვის უკვე ერთგვარი დამღა გამორჩეულობის ნიშანია, მით უმეტეს, რომ იგი თავისი ქცევითა და სიტყვა—პასუხით ძალიან წააგავს დედას, ამავე დროს, „დედის ყურმოქრილი ყმა“, რაც იმას ნიშნავს, რომ მის რჩევას ითვალისწინებს და ყოველ სიტყვას უჯერებს. გავიხსენოთ, არჩილსა და კესოსთან მოვამაგირედ მიმავალ გიორგის ბალება რომ არ უნდა,

მაგრამ დედის დაუინებულ თხოვნას, უფრო სწორედ, პარგის წალეპის აუცილებლობას დაეთანხმება, თუმცა შინაგანად წიხააღმდეგია. „მართალია და იმიტომო“—ხშირად ამბობს გიორგი დედაზე. შვილს სჯერა დედის ყოველი სიტყვის მიზანშეწონილობისა და სამართლიანობისა.

რა გამოარჩევს გიორგის სხვათაგან? რატომ მივიჩნევთ მას მარგინალად? ინდივიდუალური მარგინალობა ხასიათება ინდივიდის არასრული შესვლით ჯგუფში, რომელიც მას გაიუცხოებს, დამნაშავესავით უკუაგდებს. რ. პარკის აზრით, ინდივიდი არის „კულტურული ჰიბრიდი“, რომელიც იზიარებს ორი განსხვავებული ჯგუფის ცხოვრებასა და ტრადიციებს. ამ შემთხვევაში, გიორგი ითარაანთ ქვრივის საზოგადოებისა (ოჯახური გარემო) და სოფლის საზოგადოების კონფლიქტური გადაკვეთის წერტილების მოწმეა. ის მთლიანად იზიარებს დედის შეხედულებებს და არ ცდილობს რაიმეს დათმობის ხარჯზე სოფელთან ჰარმონიულ, უკონფლიქტურ ურთიერთობას.

გიორგი ცუდსა და ავს გვერდით გულგრილად ვერ ჩაუვლიდა, მისთვის, ამ თვალსაზრისით, სხვისი საქმე არ არსებობდა. ომარაანთ მოჯამაგირესთან უთანხმოება იმის გამო მოუვა, რომ დაინახავს მძინარე მოჯამაგირეს, კამერებს კი წნელით მიძმულს. გიორგის უკვირს მისი საქციელი, მას მიაჩნია, რომ თუნდაც პატრონი არსად იყოს ახლომახლო, ღმერთი ყველაფერს ხედავს. იგი ცოდვად მიიჩნევს საქმის მიმართ უპასუხისმგებლობას, პატრონის მოტყუცებას, პირუტყვთა ტანჯვას. გიორგის მარად მღვიძარე სინდისი აქვს, რომელიც ყველას მიმართ თანაბრად მამხილებელია: თავისი იქნება თუ სხვისი. ყველაზე დიდ დანაშაულად გიორგის „ნამუსის ქუდის ახდა და ტალაბში გადაგდება“ მიაჩნია. ნამუსმა არ უნდა მისცეს ადამიანს საშუალება უკეთურის ჩადებისა.

თითოეული კაცის უნამუსობას იგი ქვეყნის დაღუპვასთან აკავშირებს, ამ თვალსაზრისითაც, მისი ხედავ ქრისტიანულ ზნეობას ეფუძნება. სოდომ—გომორს სასჯელი რომ აეცილებინა, ათიოდე მართალი კაციც კი არ მოიძებნა. სოფელი ფიქრობს, რომ „გიორგი ან ღვთისაგნ მოგზავნილია“, ან „გიუია“. მასში „სხვა ნიშანწყალია“.

გიორგი აქტიური მარგინალია, რადგან ცდილობს თავისი პრინციპების ცხოვრებაში გატანას, არ აშინებს მარცხი, იმდენად თავდაჯერებულია. „შიში ვერ იხსინის სიკვდილსა“—მისი ზნეობის საყრდენია. იგი რაინდული ბუნებისაა, რადგან დაჩაგრულს ესარჩება და სამართლიანობისთვის იბრძვის, ამიტომაც მისი სახის არქეტიპად სახელდება როგორც მაცხოვარი, ასევე წმინდა გიორგი.

გიორგის ღვთისგან ყველაფერი აქვს მიმადლებული იმისათვის, რომ სოფელში სხვათაგან გამოირჩეოდეს და პატივისცემას იმსახურებდეს. იგი მოხდენილი გარეგნობისაა, კოხტად და ფაქტიზად ჩაცმა—დახურვა უყვარს („იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად განცყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურთე და სილამაზე აქვს“), შრომისმოყვარეა („მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა თითქმის“; „საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო“), არჩილმა შეაფასა მისი „ეპიკაცია“ და „ლირსების ცოცხალ ხატს“ შეადარა. მანვე წარმოიდგინა გიორგი, როგორც წაუკითხავი წიგნი, მრავალი საიდუმლოების მომცველი. მისი ზნეობის გასაღები რწმენის სიღრმეებში იყო საძიებელი და არა—ზედაპირზე. მისი სულის გაგებას მისივე სწორი და თანატოლი სული სჭირდებოდა, რაც არავის გააჩნდა, რადგან ასეთი მუდამ ერთეულები არიან.

კესოსა და არჩილისთვის გიორგი გლეხია და ამიტომაც მათგან განაპირებული. გიორგი არც ესწრაფვის მათგან გამყოფი კედლის დანგრევას, ამ ბარიერს იღებს, როგორც ერთგვარ მოცემულობას, რომლის შეცვლა არ შეიძლება, ან მხოლოდ პასიური მოლოდინია გამართლებული. მისი ნება, ამ შემთხვევაში, ღვთისას ემორჩილება და არ მიიჩნევს, რომ ეს მისი გადასაწყვეტი საქმეა. ვთქვათ, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრება, თუმცა ზნეობრივ უსამართლობას უშედავათოდ ებრძვის.

კესო და არჩილიც იმ საზოგადოების კონტექსტში ერთგვარი მარგინალები არიან. არჩილი ალიარებს გიორგის ზნეობრივ, სულიერ უპირატესობას. იგი ამ ახალგაზრდა გლეხში ხედავს ღვთის ნიჭისა და მადლს. მისთვის გიორგი „ღვთისაგნ მოგზავნილია“, მისი წინაშე არ დგას საკითხი: ან—ან. არ აეჭვებს მისი გონიერება: „ჩვენ რანი ვართ მაგასთან!.. დე, გვასწავლის და გვწურთნოს“.

არჩილი ხედება, რომ გიორგის სხვანაირი გული და გონება აქვს, სინდისით ახელილი და ნასაზრდოები. იგი კესოსთან ერთად ინანიებს თავის ადრინდელ სიბრძმავეს და ერის გაჯანსაღებას, უფრო, მეტიც, მომავალს გლეხებსა და თავადებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთელებაში ხედავს.

სოსია მეწისქვილის მარგინალობა ილიასთვის პასუხებულებელ, „წყვევლა—კრულვიან“ საითხვად იქცა. სიმბოლურად, სოსია მეწისქვილე გამოხატავს საზოგადოდ ამ სამყაროში ადამიანის მარგინალობას, მის გაუცხოებას სამყაროსთან, მარტოსულობასა და მიუსაფრობას. სოსია ამიტომაც არის ერთგვარად სქემატური, ხელოვნური სახე მოთხოვნისა, რადგან იგი უფრო იდეაა, რომელიც სამყაროში ადამიანის დაკარგულობას, უცხოობას წარმოაჩნის: „ვინ იცის, საიდამ სად იყო გადმოგდებული“, „არავინ იცოდა, ვინ არის და საიდამ არის... ამისი ვარსკვლავი მარტო ამოსულიყო“.

„მართლა რომ ცოდოა, —ამბობს ილია მასზე, მაგრამ იქვე მიაყოლებს: „მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო“. აქ შეხმიანება ჩანს პასკალთან: „რა უბადრუკნი ვართ, როცა ჩვენსავე მსგავსთა შორის დავეძებთ საშველს: ჩვენებრ უბედურნი, ჩვენებრ უმწეონი, ისინი ვერას გვიშველიან. ადამიანი მარტო კვდება, მაშასადამე სიცოცხლეშიც მარტოსულად უნდა იცხოვროს“ და ეკლესიასტეს მარადიული საკითხავთან. ასე რომ, სოსია მეწისქვილე გამოხატავს იდეას „მიაობა ამაოთა და ყოველივე ამაო“.

ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, სოსია მეწისქვილე, არჩილი და კესო საზოგადოების უმცირესობაა. ისინი გამოეყოფიან ადამიან—მასას, რომლის არსი ხოსე ორტეგა ი გასეტიმ წარმოაჩნია წიგნში „მასების ამბობი“. ეს პერსონაჟები არ არიან ისეთნი, როგორებიც ყველანი. მათ შეუძლიათ საკუთარი

თავის შეფასება. ისინი შეგნებულად ირთულებენ ცხოვრებას, რადგან უამრავ მოთხოვნას უყენებენ საკუთარ თავს, რათა ღვთისა და ხალხის წინაშე მოიხადონ ვალი. ამგვარია მარგინალობის ფენომენის რამდენიმე ასპექტის მოხაზვისა და გაანალიზების ცდა.

#### დამოწმებანი:

**აცმონი 2007:** acmoni g. sionizmi da sxva marginaluri mimdinareobebi, [www.serendipity.li](http://www.serendipity.li). 2007.

**გასეტი 1993:** გასეტი ბ. „მასების ამბოხი“. თბილისი: გამომცემლობა „ხომლი“, 1993.

**კანკავა 1981:** კანკავა გ. „მარგინალური ადამიანი“. ჟ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. თბილისი: 1981.

**ფსალტუნთა განჩარტება 1996:** ფსალტუნთა განჩარტება, წიგნი I, თბილისი: გამომცემლობა „მართლმადიდებელი ქრისტიანის ბიბლიოთეკა“, 1996.

**ჭავჭავაძე 1985:** ჭავჭავაძე ი. „ოთარაანთ ქვრივი“. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1985.

## გიორგი ალიბეგაშვილი

### დემეტრე II თავდადებული

შეფე დემეტრე II პაგრატიონი განსაკუთრებული დვანლითაა მოსილი საქართველოს ისტორიაში. ცნობილია, რომ საკუთარი სიცოცხლის ფასად სამშობლო იხსნა მტრის შემოსევისა და აოხრებისაგან, ამიტომ “თავდადებულად” წოდებული შევიდა ჩვენი ერის ისტორიაში.

დემეტრე II-ის სახე ნინ წამონია ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც გმირ მეფესა და მის საქციელზე საგანგებოდ შექმნა პოემა. როგორც ილიას მკვლევრები მიუთითებენ, მწერალზე ბავშვობაშივე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მეფე დემეტრეს ტრაგიკულ ისტორიას. პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში დიდი სიყვარულით იხსენიებს პირველ მასწავლებელს, სოფლის მთავარს, რომელსაც საშინაო სკოლა პქონდა გახსნილი და ადგილობრივ ბავშვებს ასწავლიდა. იგი თურმე დიდი გატაცებით უყვებოდა მონაცემებს საქართველოს ისტორიულ წარსულზე. “ბევრი ამ ამბავთაგანი ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის, დიმიტრი თავდადებული, თემად გამოვიყენ მრავალი წლის შემდეგო”, - აღნიშნავს ილია (ჭავჭავაძე 1957:308).

ყურადღებას აღარ გავამახვილებთ ამ პოემის შექმნის ისტორიაზე, მხოლოდ იმ ფაქტს გავიხსენებთ, რომ “მეფე დემეტრე თავდადებული” ილიამ მიუძღვნა თავის უახლოეს მეგობარს პეტრე ნაკაშიძეს, რომელსაც პირად საუბრებში გაუღრმავებია პოეტის ინტერესი დემეტრე მეფის პირვენებისადმი და შთაუგონებია პოემის დაწერის იდეა. ამას მონმობს ავტოგრაფის პირველ გვერდზე ილიას მინანერი: “დმაო პეტრე! შენგან შთაგონებულს შენვე გიძლვინ!”. საყურადღებოა, რომ პეტრე ნაკაშიძესვე მიუძღვნა ილიამ პოემა “ქართვლის დედა”.

ცნობილია, რომ გარდასულ ისტორიათა და გმირთა ამბები განსაკუთრებით გააქტუალურდა რომანტიკოსთა შემოქმედებაში, რასაც სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. მაგრამ ერთი რამ კი უნდა შეინიშნოს: საქართველოს წარსული რომანტიკოსთა მიერ ხშირად ისეა აღწერილი და გაიდეალებული, თითქოს ჩვენს ქვეყანას არ ჰყოლია არც მოღალატენი, არც სულმოკლე ლარწები და არც ჩვეულებრივი ადამიანური ცოდვებით დამძიმებული ადამიანები. თითქოს ესაა ერთი გაბმული საგმირო ეპოპეა ყოველგვარი ხინჯის გარეშე. ასეთია გრიგორ ორბელიანის “სადლეგრძელო”, სადაც ისტორიულ გმირთა სახეები მხოლოდ დადებითი კუთხითაა წარმოდგენილი, რაც შეეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემას “ბედი ქართლისა”, მასში მხოლოდ გაკვრითა ნახსენები მოღალატეთა როლი კრწანისის ტრაგედიაში, რადგან ძირითადი აქცენტი “ერთხელ სულს” დაჩინეულ საგმირო საქმეებსა და ქართლის ბედზეა გადატანილი.

ილიას პოემა მიჰყება საქართველოს წარსულის რომანტიკულ ხედვას და, თანადროულად, ძირითად ისტორიულ ფაქტებს ითვალისწინებს. უნდა ითქვას, რომ ილია გვერდს უვლის მეფე დემეტრეს ადამიანურ ნაკლოვანებებს და მის სახეს იდეალიზებურად, რომანტიკულად აღწერს, რასაც, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, გამართლება აქვს. მეფე დემეტრეს ნაკლოვანებები კი “ქართლის ცხოვრებაში” ჟამთააღმნერელს (XIV ს.) აქვს წარმოდგენილი.

“ჟამთააღმნერლება ჭეშმარიტის მეტყულებება არს და არა თუალაბმა ვისთვისმე”, - წერდა იგი და იქვე განაგრძობდა, რომ ჟამთააღმნერლის მოგალეობაა, წარმოაჩინოს როგორც კეთილისმოქმედნი, ისე ბოროტისმოქმედნი. მართალია, არ არის საკადრისი, მეფეთა შესახებ ცუდი რამ თქვა, მაგრამ იძულებული ვარ, ზოგიერთი “განსაკუთრომელი მოთხოვნა” მოვათვესომ.

საქართველოს ისტორიის ძნელებედობის ჟამს ლიტერატურულ თუ ისტორიულ თხზულებებში განსაკუთრებული სიმძაფრით დაისმოდა ხოლმე კითხვა: რა მიზეზით მოხდა ჩვენს ქვეყანაში მტრის აგრერიგი მომძლავრება? უმეტეს შემთხვევაში ამას ესქატოლოგიური მოტივი ექვენებოდა. გავიხსენოთ თურდაც იოანე საბანისძე და დავით გუარმიშვილი, რომლებიც მაღალმხატვრული ისტატოპით გადმოსცემდნენ ამ პრობლემას, დაურიდებლად, ულმობელი, პირუთენელი მხილებით და, ამავე დროს, დიდი გულისტყივილით.

იოანე საბანისძე არაბთა მომძლავრებას ასე ხსნის: “მრავალი სცდებოდნენ და მრავალთა აცდუნებდნენ”. ახლა კი დამდგარა ესქატოლოგიური ჟამი, არც აღსასრულის გარდაუვალობას ქადაგებდა. ესქატოლოგია კოსმიურ პესიმიზმს ამვიდრებდა, ოღონდ აღსასრულის გარდაუვალობის შეგნებით ტრაგიკულ განცდას ანელებდა. თუმცა იოანე საბანისძის (და არა მარტო მის) სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ქართველ ავტორებს არასოდეს ავინცდებოდათ ხსნის გზის ძიება. “წმ. აბოს წამებაშიც” ყველაფერი ისტორიული ხსნის იმდითა გამსტყვალული და აქეთკენ მიმართული. ამიტომ ესქატოლოგიური მოტივების მოხმობას ფისიკოლოგიური ფუნქცია ენიჭება. იგი ერის გაფრთხილებასა და გამოფეხზლებას ითვალისწინებს.

ყოველ დროს თავისი ესქატოლოგია აქვს. თავისთავად ძალზე საყურადღებო იყო მსოფლიო აღსასრულის ახსნა ადამიანთა მორალური დაცემით. მორალი კოსმიურ ძალად ცხადდებოდა. კონკრეტული ფუნქციების მიღმა იგულისხმება ადამიანთა საყოველთა მორალური პოზიცია (სირაძე 1987:59).

იოანე საბანისძის მსგავსად, დემეტრე თავდადებულის ცხოვრების ჟამთააღმნერელი ესქატოლოგიის გასააზრებლად იყენებს “დროის” ცნებას – “ჟამი”. “ჟამი” არაა მოვლენათა მხოლოდ თანმხლები ფაქტორი. იგი მოვლენათა რაობის განმსაზღვრელია. “ჟამი” აღვსილია ყოვლისმომასწავებელი ძალის მინარასით. ამგვარი “ჟამი” ზოგადად იგივეა, რაც ანტიკური ბედისნერა – “მოირა”, თუმცა იგი “ხრონისაც” უკავშირდება (სირაძე 1987:60).

მეფე დემეტრეს დროს “მათ უამთა შინა” ბატონობდნენ თათარ-მონგოლები, რის წყალობითაც იყვნენ “სოფლისა მშპრობელნი”. ესქატოლოგიური “უამის ფლობა” კი, როგორც ცნობილია, რომანტიკოსებამდე აღნევს. “უამი ჩემია და უამისა მე ვარ იმედი”, - წერს ნიკოლოზ ბარათაშვილი (რ. სირაძე).

რა ადგილი უკავია ამ უამში მეფე დემეტრეს და როდის დგება მისი “უამი”? ესაა ნაჩვენები, ერთი მხრივ, უამთაალმწერლის თხზულებაში და, მეორე მხრივ, ილიას პოემაში.

“იყო ეს დიმიტრი ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წუერითა მწყაზარ და შეუნიერ. თუალითა გრემან, ბეჭ-ბრტყელ და შენყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დაცერდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხუათა კაცთა. რამეთუ აქუნდა ჩვეულება, ალილის საფასე და ალდგის ლამე. და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკი და დაცერდომილნი და ობოლნი, და თვისითა ხელითა მისცემდის, და ყოველთა უწყოდიან მოწყალება მეფისა, და ამისთვის გლახაკი ლამით ფოლოცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხვევიან მეფესა; ამას თანა მოეგო მარხულობა, ლამით ლოცვა და მუხლთა – ყრა ფრიადი, რამეთუ ათას ხუთასი მუხლი მოაგდის მდაბლად მინასა ზედა. ესრეთ ყოვლითურთ გაშუენებული და განათებული იყო” (ქართლის ცხოვრება – 1959:271-272), – ასე ახასიათებს მეფე დემეტრეს უამთაალმწერლი იქვე კი უმატებს, რომ “დღეთა მისთა არა იქმნებოდა თათართაგან ძალი და უსამართლობა, არცა დიდთა ნოინთაგან, არცა ელჩთაგან. და ესრეთ აშენდა საქართველო და მოირჭუნა”.

შევნიშნავთ, რომ არა მხოლოდ აზრობრივად მიჰყვება ამ თხრობას ილია ჭავჭავაძე, რაც ადასტურებს მის მიერ უამთაალმწერლის თხზულების გამოყენებას:

დიმიტრი ერქვა სახელად,  
მხარბეჭპრტყელი, ტანმაღლალი,  
ჯირითში თუ შვილდ-ისარში  
არავინ ჰყავდა ბადალი.  
კაცი იყო, მეფე-კაცი,  
თვალად, ტანად შვენიერი,  
გარედ – რისხვით მტრისა მსრველი,  
შინ – მოწყალე, ლვთისნიერი.  
ლამით თურმე ჩაიცვამდა  
უბრალო კაბა-ჯუბასა,  
წავა და ინახულებდა  
საწყალის ხალხის უბანსა.  
მოივლიდა ქვრივს და ოხერს,  
დავრდომილსა და ობოლსა,  
თავის ხელით ურიგებდა  
მოწყალებას და საზრდოსა.  
ვის რაც გულმი დარდი ჰქონდა,  
წავა – იმას შესჩივლებდა,  
გლახის, ობლის, ჩაგრულისას  
სარჩელსა არ ითაკილებდა.  
ყველგან იმის სამეფოში  
თხა და მგელი ერთად სძოვდა,  
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი –  
სულ იმის დღეს ჰლოცულობდა.

იქვე ილიაც უმატებს:

მის დროს იყო ყეინობა,  
მეფე ყეინს ჰმორჩილებდა,  
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს  
თვის ნებაზედ განაგებდა. (ჭავჭავაძე 1987: 231).

უამთაალმწერლისათვის განსაკუთრებულია ის ფაქტი, თუ როგორი იყო მეფე დემეტრე და შემდეგ როგორი გახდა. “მეფემა .... ალაშენნა ქუეყანანა მოოხრებულნი. ამანვე ალაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელთა მეტებთა ღმრთისმშობელსა, და შეამკო განვებითა დიდითა, და შესწირნა სოფელნი და ზუარნი, და განუჩინა მონაზონთა საზრდელი და სამოსელი, და განაგო განგებითა კეთილითა”. ამ და სხვა სათროებებში “მეფე დიმიტრი წარემატებოდა ღმრთისმსახურებითა და კაცთ-მოყუარებითა”. ამას მოჰყვა ის, რომ “დამშვიდნა ქუეყანა და ყოვლით კერძო იწყო მშვიდობა. მოჰკედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა მისთა, და იყო უხუება პურისა და ლვინისა, და მეფე დიმიტრი განაგებდა სამეფოთა საქმეთა”.

სწორედ ხორციელ ფუფუნებასა და სიამეში იმაღლებოდა ის უდიდესი საფრთხე, რომელმაც გამოიწვია მომაკვდინებელი ცდუნება: ქართველებმა “ვითარ მოიცალეს მცირედ ჭირთაგან და განისუენებდეს, და მიდრეკეს გზისაგან საღმრთოსა, იწყეს განდგომად, რამეთუ მეფემან მოიყვანნა სამნი ცოლნი.... და კუალად სხუანიცა აღმოსცენდებოდეს ბოროტი, რამეთუ იწყეს ურთიერთას მძლავრებად და მიხუეჭად, და არავინ იპოვებოდა სამართლის მყოფელი”...

ეს ვითარება ილიას პოემაში არაა აღნიერილი. ასევე სიტყვაც არაა თქმული მეფის შესახებ. აქცენტი სხვა მოვლენებზეა გაკეთებული და ეს შემთხვევითი არაა. ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით.

უამთააღმწერელი კი, მსგავსად მოგვიანებით მოღვაწე დავით გურამიშვილისა, თავსდატეხილ უბედურებას ქართველთაგან სწორედ ღვთის გზიდან განდგომას მიიჩნევს და რამდენჯერმე შენიშნავს: “მაშინ მოინია სამართალი სასჯელი ცოდვათა ჩუენთათვის”; “დიდსა ოთხშაბათსა შეიძრა მძაფრად ქუეყანა, სამხილებლად უსჯულოებათა ჩუენთათვის”; “რისხვით მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა, სიმრავლისათვის უსამართლობათა ჩუენთასა”.

ვერანაირი ზემოქმედება ვერ იქონია ქართველებზე სულიერი მამების – ნიკოლოზ კათოლიკოსისა და ნიკოლოზ მანუქერელის შეგონებებმა და მხილებამ, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ: “საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა და შეძრნუნდა ესოდენ, რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი, ნაშენები მოოხრდეს, მთანი და ბორცუნი მაღალნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტუერისა დაგალნეს, და მინა განიპო, და შავი წყალი მსგავსი კუპრისა აღმოიჭრა, ხენი მაღალნი დაეცნიან და ირყეოდიან ძრვასა ქუეყანისასა. რომლისათვის საყდარი აწყუერისა დაიქცა, რამეთუ ყოვლად-წმინდა აწყუერისა ღმრთისმშობელი, ლიტანიობით შესუენებული, საშუალ საყდრისა ესუენა; გუმბათი ჩამოიჭრა, და ვითარ ქუდი კაცისა ესრეთ თავსა დაერქუა, და დარჩა უვნებლად, ძლიერებითავე მისითა.... მცხეთის საყდარიცა დაიქცა, სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა, და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო”.

ასე მაღალმხატვრულად აღნიერს უამთააღმწერელი იმ აპოკალიპტურ სურათს, რაც ქართველთა უფლისგან განდგომამ გამოიწვია და ესეატოლოგიური უამის განცდა დაბადა.

ნიკოლოზ კათოლიკოსი სხვა მიზეზთა გამოც იყო გულძვირად შეფეხზე – იგი “ფრიად აბრალებდა, და ღმრთისა სასჯელთა თუალუხობასა აქადებდა” მას. უამთააღმწერელი ხაზგასმით შენიშნავს, რომ “აქამომდე მეფე დიმიტრი, კეთილად მმართებელი, სკიპტრათა სამეფოთა შემკვიდრი, და მოწყალებისა და მოსამართლეობისა, მონაზონთა და ეკლესიათა, ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედამიწევნით მმართებელი, სისრულისაგან მცირედ მიღრეა, და აღერია წარმართოა. და ისნავნა საქმენი მათნი, უძღებებისა და სიძვისა” და იქვე ბიბლიურ პარალელსაც იხმობს: “დედათა შეაცთუნეს სოლომონისებრო”.

ამაოდ დამაშვრალმა ნიკოლოზმა “დაუტევა კათალიკოსობა, და ხელითა თვისითა აკურთხა ჯუარისმტკირთელი მეფისა აბრაჟამ კათალიკოსად და თვით წარვიდა მამულად და თვისად”.

როგორც ირკვევა, მეფის სულიერ გამოლევიდებაში უდიდესი როლი შესარულა მთანმინდიდან მოსულმა ბასილი მონაზონმა, რომელიც “გამოცხადებითა ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობელისათა, და ვითარცა მოციქული ძლიერად ამხილებდა და წინააღმდეგებოდა მეფესა უწესოსა მისთვის ქორწინებისა, და ასწავებდა სიწმიდესა, და მოახსენებდა ტაძარ-ღმრთისა ყოფასა ჩუენსა”.

დემეტრე მეფეს ტრაპიზონელთა ასულისაგან ჰყავდა პირმშო დავითი, ვახტანგი, ლაშა და მანოველი, ასული რუსუდანი; თათრის ასულისაგან ორი ძე – ბადური და იადგარი, ასული ჯიგდა; ხოლო ძექას ქალიშვილისაგან – “ძე მხოლო გიორგი” (ბრწყინვალე).

ამ ინფორმაციის შემდეგ იწყება დემეტრე მეფის ცოდვათაგან გამოხსნა და უფლისაგან მოვლენილი უდიდესი გამოცდა, რომელსაც ბაგრატოვანი ხელმიწიერ ლირსეულად შეხვდა და მონამერივად გაუძლო. აქ ისევ ახლოვდება უამთააღმწერელის თბზულება და ილიას პოემა, რაშიც იგულისხმება გადაწყვეტილების მისაღებად სასულიერო პირთა და საერო დიდებულთა თავშეყრა, ურდოში გამგზავრება, დაგვიანების გამო მონგოლთა ლაშქრის საქართველოსკენ დაძრა და ა.შ. არ შეიძლება იმ შშვენიერი მოხოლოგის გვერდის ავლა, რომელსაც, ერთი მხრივ, გვაწვდის უამთააღმწერელი და, მეორე მხრივ, ილია წარმოათექმევინებს დემეტრე თავდადებულს.

უამთააღმწერელი: “მრავალმტლელვარე არს სანუთო ესე, დაუდგრომელი და წარმავალი, დღენი ჩუენი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა-გუაც წარსვლა სოფლისა ამისგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უერთუ ჩემთვის მრავალ სული მოკუდეს და მე ტვირთ-მძიმე ცოდვათა განვიდე სოფლისა ამისგან, ან მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მომკლან, ვგონებ, რომე ქუეყანა უვნებლად დარჩეს” (ქართლის ცხოვრება – 1959:272-288).

ილია:

ბოლოს ბრძანა: “ეს ქუეყანა  
ღვთისაგან მაქეს მონაბარი!  
მე დავრჩე და იგი ნარხდეს,  
მითხარით, რა მადლი არი!  
ქვეყნის ამოდენა ცოდვა  
ჩემს თავზედ დატრიალებდა,  
წაწყმდება აქაც და იქაც  
დომიტრი მეფის სენება!....  
არა! ხავალ, არ დავდგები,  
დე, ასრულდეს ნება ღვთისა,  
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს  
მეფის თქვენის დომიტრისა”.

კათოლიკოსის რჩევაც (იგულისხმებიან სხვა სასულიერო პირებიც) ანალოგიურია:

ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით,  
ხორცი დასთმო სულისათვის,  
უკვდავება არ დაჰკარგო

წუთის-სოფლის გულისათვის.

და კიდევ ილიას მსოფლმხედველობის არსებითი ასპექტის გამომხატველი სტროფი, რომლის შინაარსიც უამთააღმნერლის თხზულებაში ქვეტექსტურად იკითხება:

განა თვითონ ქრისტე-ღმერთსა  
გადარჩენა არ ძალ-ედვა,  
არ ინება და ქვეყნისთვის –  
ღმერთი იყო და – ჯვარს ეცვა (ჭავჭავაძე – 1987 :235-238,245).

ამ რჩმენას ილია ამ და სხვა მხატვრულ ქმნილებებშიც ყოველთვის წინ სწევს. გავიხსენოთ თუნდაც “აჩრდილის” სტრიქონები:

ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,  
ეკლანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?....

და დავრწმუნდებით, თუ რატომ უვლის მწერალი გვერდს მეფე დემეტრე თავდადებულის ადამიანურ ნაკლოვანებებს. იმ დროს, როდესაც საქართველოში ესოდენ მომძლავრებული იყო ქვეყნის ლალატიც და მხოლოდ პირადი ინტერესების წინ წამონევა, გაურკვეველი და ბუნდოვანი ხედვა სამშობლოს მომავლისა, გაუტანლობა, ორპირობა, მუხთლობა, ბუნებრივია, ილიას სჭირდებოდა გმირი, ის იდეალური პიროვნება, რომელიც ერს გამოაფხიზლებდა, სიამაყისა და ღირსების გრძნობას გაუღვიძებდა და აუმაღლებდა. ნაკლოვანება რეალობაშიც საკმაოზე მეტი იყო. აქდან იკვეთება ჰეროიზმის ესთეტიზაცია და ზნეობრივი იდეალის ძიება, რაც ილიას შემოქმედებას ყოველთვის ახლავს.

#### დამოწმებანი:

**სირაძე 1987:** სირაძე რ. ქართული აგიოგრაფია. თბილისი: 1987.

**ქართლის ცხოვრება 1959:** ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბილისი: 1959.

**ჭავჭავაძე 1957:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. IX. თბილისი: 1957.

**ჭავჭავაძე 1987:** ზავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. I. თბილისი: 1987.

**იგავური მეტყველების ბიბლიური პრინციპი  
ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში**

სხვადასხვა რელიგიურ-კულტურულ არეალში ესთეტიკაც სხვადასხვაგვარი ყალიბდება. ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას საფუძვლად ქრისტიანული ტრადიციები და ლირებულებები უდევს. ეს ეხება როგორც ძველი, ისე ახალ ლიტერატურას. საბჭოთა პერიოდში ამ ფაქტის უგულვებელყოფა ხდებოდა, „რეალიზმი“ ლამის „მატერიალიზმთან“ იგივდებოდა, XIX საუკუნის მწერლების, მათ შორის ილია ჭავჭავაძის შემოქმედება კი ათეისტური პოზიციიდან განიხილებოდა. ეს მნიშვნელოვნად აკნინებდა იმდორინდელი ლიტერატურათმკოდნების მეცნიერულ ღირებულებას. დღესდღეობით სარწმუნოებრივ საკითხთა კვლევას ტაბუ აეხსნა მავრამ ძველი კლიშეები მაინც მოქმედებს. ამის გამო მამულიშვილური სიყვარულის ილასეულ კონცეფციაში, მის მიერ გატარებულ ორთოგრაფიულ რეფორმასა და ქრისტიანული სულისკვეთით გაჯერებულ მსატვრულ სიმბოლიკაში ზოგჯერ კვლავ სარწმუნოების დესაკრალიზაციასა და სეკულარიზაციას ვხედავთ.

ღმერთის ჩანაცვლება ამჯეყნიური, მიწიერი ფაქტორებით (სეკულარიზაცია) — არ ესადაგება ილია ჭავჭავაძის მრავამსს. მიუხედავად აშკარა საკრალიზაციისა, მამულს მის გულსა და გონებაში ღმერთის ადგილი არასოდეს დაუკავებია. პირიქით, ილიას ნაწერებში ყველგან იგრძნობა, რომ ქვეყნის სიყვარული ღვთისგან ნასწავლები, მისთვის მისალები, და არა მასთან დაპირისპირებული, გრძნობაა. „ეპა, მამულო, შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა, რა დაუდგება?“ (ჭავჭავაძე 1987: 206); „მამულს მიგცა ზეცამა“ (ჭავჭავაძე 1987: 86); „საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას“ (ჭავჭავაძე 1987: 68) წერს იგი. მამული და ენა მის ტრიადაში სარწმუნოებით არის შეერული და დაგვირგვინებული (ჭავჭავაძე 1991: 30).

სეკულარიზაციის კვალი არ ჩანს არც მწერლის საზოგადოებრივ ნამოწყებებში, მათ შორის ორთოგრაფიულ რეფორმაში. თავისუფალი ნება, რომელიც ღმერთმა ადამიანს მიანიჭა, გულისხმობს ყოველ წუთს ალტერნატივის ნინაშე დგომას. ეს დილემა ხშირად რთული გადასაწყვეტია, მაგრამ ორთაგან უფრო მნიშვნელოვანზე არჩევანის გაკეთებაც მაცხოვარმა გვასწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს შაბათი უქმედ განუწესა, მათთვის სასიკეთოდ (მათ განსასწავლად, განსაკურნებლად და სხვ.) ამ შეზღუდვის დარღვევაც თავად დაუშვა, იმიტომ, რომ წესებზე უფრო მნიშვნელოვანი მისთვის ადამიანი იყო. მაცხოვრის თქმით: „ტაძრისა უფრონის არს აქა... უფალ არს ეკაციისა შაბათისაცა“ (მ. 12. 6-8). დაუუფიქრდეთ, ასო-ნიშანთა სისტემაში ცვლილების განხორციელებისას რა უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ილიასათვის.

ხმარებიდან ამოღებულ ასოებს, როგორც გრაფიკულ და არა სემანტიკურ ელემენტებს, არათუ რელიგიასთან, არცერთ კონკრეტულ თემასთან ან შინაარსთანაც არ ჰქონია რამე კავშირი. იმის გამო, რომ მათ არ გააჩნდა სიტყვათგანმასხვავებელი, დისტინქტური ფუნქცია, სალაპარაკო ენამ მათზე თავისთავად თქვა უარი და ილიას დროის ზეპირ მეტყველებაში ისინი აღარ იხმარებოდა. არც ამ ფაქტობრივი ვითარებით და არც ილიას მიერ მათზე უარის თქმის დაკანონებით ჩვენი ენის გამომსახულებლობითი შესაძლებლობები, მათ შორის რელიგიური შინაარსის გამოხატვის უნარი, ოდნავადაც არ დაკინებულა, დადებითი მხარე კი ამ მოვლენას ნამდვილად ჰქონდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში წერა-კითხვა არ იცოდა საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნანილმა და, როგორც იმდორინდელ დოკუმენტურ და მხატვრლ მასალებში, თუნდაც ილიას მოთხრობა „გლახის ნამბობში“ ჩანს, ბევრს მისი სწავლა მიუღწევლადაც კი ერვენებოდა (ჭავჭავაძე 1988: 143-145, 148-152). უფრონი ასოების არსებობა საქმეს ართულებდა, ორთოგრაფიულმა რეფორმამ კი ქართული წერა-კითხვა გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი გახადა ყველა წოდების, ასაკისა და გონებრივი შესაძლებლობის ადამიანისათვის. ეს წამოწყება კონკრეტული, პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარებდა და არავითარი კავშირი არ ჰქონია სეკულარიზაციასთან.

ილია ჭავჭავაძის დაპირისპირება უფროს თაობასთან რელიგიურ ნიადაგზე არ მომხდარა, იგი ლიტერატურის საკითხებზე პაქერობით დაიწყო. მართალია, „მამებს“ თავდაპირველად მოეჩენათ, რომ ახალგაზრდები უფროსების ესთეტიკური პრინციპების სახით სარწმუნოებას ჸაპირისპირდებოდნენ, მაგრამ თავის პასუხში ილიამ გარკვევით განმარტ, რომ მისთვის მიუღებელი ფარისევლობა იყო და არა ქრისტიანობა (ჭავჭავაძე 1987: 142,143). ეს განაცხადი მოვლენათა შემდგომმა განვითარებამაც დაადასტურა. სამოციანებებმა ფორმალობამდე დაყვანილი რწმენა გამოაცილებულ და მამულის დროშასთან ერთად ქრისტეს ჯვარიც ღირსეულად ატარეს. საინტერესო ფაქტია, რომ ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანების ლირიკაში, რელიგიური თემაზე ილია ჭავჭავაძის „მამამ ჩვენოს...“ შემდეგ გაჩნდა. ახალი თაობის გულწრფელობა და სიმართლე მოგვიანებით „მამებმაც“ გააცნობიერეს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ გრიგოლ ორბელიანმა თავისი ახალი ლექსი — „ფსალმუნი“, უდიდესი პატივისცემის გამომხატველ პირად წერილთან ერთად, სწორედ ილიას გაუგზავნა შესაფასებლად და დასაბჭდად.

პიროვნების მრნამსი შესაძლოა არა მხოლოდ თეორიულ ნააზრევში, არამედ ცალკეული პრინციპების, სტრუქტურებისა და ელემენტებისადმი დამოკიდებულებაშიც გამომჟღავნდეს, მაგრამ ეს ყოველივე გარკვეული შინაარსის მატარებელი უნდა იყოს და მათ მონაბეჭას თუ უარყოფას შესაბამისი ახსნა უნდა გააჩნდეს. ამის დემონსტრირება შეგვიძლია ლექსიკისადმი ილიას დამოკიდებულების ჩვენებით. სიტყვიერი მარაგის გასამდიდრებლად მას საუკეთესო გზად სწორედ ბიბლიური წყაროებით სარგებლობა მიაჩნდა. ამას მონაბეჭას მწერლის გამომარტვამი: „უეჭველია, ძრიელ გონივრად იქცევა ისა, ვინც მუდამ უამს კითხულობს საღმრთო წერილს. იმის წამკითხავი ორნაირად არის სარგებლობაში,

**პირველად:** შეისწავებს ღვთის ვედრებასა და რამდენსაც მომატებულად კითხულობს, იმდენად მკაფიოდ დაინიჩერგება იმის გულში სარწმუნოება ქრისტესი; და მეორედ: იქ შეხვდება მრავალ ნამდვილ ქართულ სიტყვასა, რომელიც ამჟამად ბევრნი მათგანი აღარ იხმარებან საერო ლაპარაკში, და მაშინ, როდესაც სალმრთო წერილი გადმოუთარგმნიათ ქართულად ბერძნულიდგან, ხმარებაში ყოფილა. მხილოდ იქიდგან გადმოტანილი სიტყვა უნდა მოიხმაროს ისე, იმ კილოზე, როგორც ამჟამად ლაპარაკობს ხალხი...” (ჭავჭავაძე 1991: 79).

როდესაც ილია ჭავჭავაძემ რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა გადაწყვიტა, სიტყვების შესარჩევად კვლავ წმინდა წერილს მიმართა. მართალია, ჩანაფიქრის განხორციელება არ დაასცალდა, მაგრამ, ამონანერები, რომლებიც მთლიანად ბიბლიური წიგნებიდან არის გაკეთებული, აშკარად მოწმობს მის ამ განზრახვას.

ავთენტური კონტექსტიდან სიტყვას თან მოჰყვება შესაბამისი ასოციაციები და განწყობა. ამიტომ ილიასათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, საიდან ამდიდრებდა მწერალი თავის ლექსიკურ მარაგს. იგი განსაკუთრებით უქებდა გრიგოლ ორბელიანს იმას, რომ მან თავისი ნაწერებიდან „სრულიად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიური სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა.“ (ჭავჭავაძე 1991: 534) ჩვენი მსოფლმხედველობისათვის უცხო — აღმოსავლური და მითოსური ელემენტები არც ილიას შემოქმედებაში გახვდება, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით ქრისტიანულ ლექსიკაზე. პირიქით, მწერალი მას სავსებით გაცნობიერებულად ანიჭებდა უპირატესობას, იმიტომ, რომ ქრისტიანობა მისთვის არა მითოსი, არამედ „გულის ჭემმარიტება“ იყო (ჭავჭავაძე 2007: 279).

მხატვრული ტროპების უმრავლესობა შედარებაზეა აგებულა, შედარება კი რეალურ მსგავსებას ან ასოციაციას ემყარება. ვიდრე რთული მხატვრული სახეების ახსნას შევეცდებით, ვნახოთ, რასთან მიმართებით რა ასოციაცია უწნდებოდა ხოლმე ილია ჭავჭავაძეს. მის ცუბლიცისტიკაში ხშირად გხვდება ადამიანთა ამ თუ იმ ლირსული თუ ულირსი საქციელის შედარება საჭურველთან: ჭორი და ცილისნამება სისუსტის იარაღთანა ასოცირებული, კილვა და ძაგება — უღონობისასთან, ბეზღობა — სამარცხვინო ფარ-ხმალთან, ტყუილუბრალი მუქარა და ქადილი — პირგალეჭილ ხმალთან, ცოდნა — ფაქიზ და წმინდა იარაღთან, სკოლა — ორპირ ხმალთან, რჯული — ეროვნობის ფარ-ხმალთან და სხვ.

საბრძოლო აღჭურვილობის შედარება ადამიანურ თვისებებთან და ქცევასთან არაერთგან გვხვდება წმინდა წერილში. მაგალითად, პავლე მოციქულის ეფესელთა მიმართ ეპისტოლები მოხსენიებულია „ფარი იგი სარწმუნოებისაი“ და „მახვილი იგი სულისაი“, (6,11). წმინდა წერილისული მარტივი შედარებები და მეტაფორები ხშირად იქცევა ხოლმე სიმბოლოებად. დავაკვირდეთ ამ მოვლენას იმავე იარაღის მაგალითზე. როდესაც მაცხოვარი მოციქულებს ასწავლის: „განყიდენ სამოსელი თვისი და იყიდენ მახვილი“ მათ სიტყვებზე: „აპა, ესერა არიან აქა ორ დაანაკ“ (ლუკა 22. 36) კი პასუხობს, რომ საქამარისია, „მახვილი“ და „დაანაკ“ ადამიანური ლირსებების სიმბოლური სახეებია (ერთ-ერთი განმარტებით — ჭემმარიტი რწმენის და სარწმუნოებივი საქმეების).

საგალობლებში, ხატებსა და ფრესკებზე ქრისტეს მხედრების საბრძოლო აღჭურვილობით წარმოჩენაც სიმბოლიკაა. მაგალითად, წმინდა გიორგის შესახებ მის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „შეიმოსა ყოვლად საჭურველი იგი სულიერი... ალიღო ფარი სარწმუნოებისაი ხელთა თვისთა და მახვილი იგი სულისა, რომელ არს სიტყუანი ლმრთისაი...“ (გაბიძაშვილი 1992: 162). როგორც ჩანს, მსგავს ხერხს — მარტივი შედარებიდან სიმბოლოზე გადასვლას მსატვრულ თხზულებებში ილია ჭავჭავაძეც მიმართავს. ოთარაშვილების საჭურველი, რომელიც ამ ოჯახის „უძვირფასესი განძია“, რომელსაც უკავშირდება სულთმობრძავი მამის — თევდორეს ანდერძი, რომელსაც ქვრივი ყოველ კვირას ცრომლით წმინდას, ავტორი კი ამ პარცეს ლოცვას ადარებს; იარაღი, რომლით ბოკლული ჩიტიც კი არ არის ნახსენები და მისი მფლობელები მიანც დიდ „მონადირებად“ ითვლებიან, ნარმიუდგენელია, რომ სამბოლური მნიშვნელობისა არ იყოს, და რას შეიძლება იგი უკავშირდებოდეს, თუ არა იმავე ქრისტიანულ ტრადიციას.

ილია ჭავჭავაძე ქართულ ნარაციაში სეკულარული სიმბოლიკის დამამკვიდრებელი ვერ იქნება, რადგან მისი სიმბოლო-ალეგორიების დიდი წმინდა წერილისა და სასულიერო ლიტერატურისეულ სახეებს არა მხოლოდ ლექსიკური აღმნიშვნელით უკავშირდება, არამედ შინაარსითაც. მხატვრულ თხზულებებში ამბისა და აზრის, გამოგონილისა და რეალურის თანაარსებობის, მათი ოპლანიანობის სათავეებს ილია იგავური მეტყველების წმინდა წერილისეულ ტრადიციებში ხედავდა. 1896 წელს სტატიაში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუუ“ იგი აღნიშნავს, რომ „თითონ სალმრთო წერილის იგავნი... ორკეც თვისებისანი და ლირსებისანი არიან...“ და „მთელი ეგრედ-ნოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხადჰყოს მართალი“.

ილიას თქმით, „...საბა ორპელიანის სიცრუუ და ერთობ სიტყვაკაზმულ ლიტერატურისა... აზრის ამხსნელია, მაუწყებელია, გაგების გზა და ხიდია...“ ორპლანიანობა, წმინდა წერილის იგავების დარად, არა მხოლოდ ეზოპებს, ლაფონტენის, ძმები გრიმების, ანდერსონის, კრილოვის, საბა ორბელიანის იგავ-არაკებში, არამედ მთელ მხატვრულ ლიტერატურაში ავისა და კარგის ერთმანეთისაგან გარჩევას ემსახურება. ფაბულა, გამოგონილი ამბავი მხოლოდ გარეგანი ფორმაა, რომელშიაც გახვეულია მთავარი სათქმელი. მწერლის აზრით, ამგვარი ტექსტების კითხვისას ერთი პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ — სულს უნდა ვადევნოთგულისყური და არა ხორცა, აზრს და არა ამბავს, რადგან, „ამბავი მარტო აზრის გამოსასახავად არის აქ ჩართული და მოგონილი“.

წმინდა წერილისეულ მთესვარის იგავთან აზრობრივ კავშირშია ლვთის სიტყვის თავდაპირველად სიხარულით მიმდები, შემდეგ კი მისი უარმყოფელი გაბრიელის დაკავშირება კლდის სახესთან. შდრ. კეთილ თესლთაგან ერთი დავარდა „კლდოანსა ზედა, სადა არა იყო მიწა ფრიად და მეყსუელად

აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმეი მიწისაი, მზეი აღმოჰხდა და დაცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, და განხმა.“ მაცხოვრის განმარტებით: „რომელი იგი კლდოვნისა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუა იგი (სასუფეველისაი) ისმინის და მეყსეულად სიხარულით გულსა თვისსა მიიღის იგი, ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თვისსა, არამედ საწუთოსა არნ და რაჟამს არნ ჭირი ანუ დევნაი სიტყვისა მისთვის, მეყსეულად დაბრკოლდიან (მათე 13), „რომელთა იგი უამ ერთ ჰერნამნ და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან“ (ლუკა 6).

გაპრიელის პრობლემაც ის არის, რომ ბოლომდე ვერ ხსნის თავის კლდე გულს დათის სიტყვის დასამკეიდრებლად. როცა მღვდელი არწმუნებს, „კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო“, იგი ჯერ ჭოქმანობს: „კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აძევსო“, შემდეგ ჰპირდება: „ვცდი, თუნდა კლდემ ქვეშ მომიტანოსო“. მაგრამ სიკვდილის წინ აღიარებს: „ვაი რომ ბედმა ქვეშ მომიტანა... და აი, ვეღარ ნამოვუდექი, თორემ ვინ იცის? იქნება მეც შემძლებოდა კაიკაცობაო“ კლდესთან შედარება აქ არსებითად იმავე შინაარსის მატარებელია, როგორისაც სახარების დასახელებულ იგავში და მიზანდასახულობაც ისეთივე აქვს — გამოგონილი მაგალითით მოგვცეს სულიერი სწავლება — დაგვანახოს, რომ გაკერპებულ გულში თესლი კეთილი ფესვებს ვერ გაიდგამს. თუ იგი სინაწულით არ მოვარბილეთ, სიხარულით მიღებული მადლი ცხოვრებისეული დაბრკოლებისთანავე დაგვეკარგება.

წმინდა წერილისეულ სახეებს უკავშირდება თათქარიძების ასოცირება ღორებთან და ლუარსაბის სიზმრისეული ლოცვის მიმსგავსება მეზვერისა და ფარისევლის იგავისეულ ფარისევლის ლოცვასთან (ლ. 18. 10); დარეჯანის მიერ „დავითნის“ ცოდნით თავმოწონება, მისი და ლუარსაბის უაზრო საუბრები წმინდა წერილზე, წინაასწარმეტყველებზე, ხე ცნობადისას ალმასისა და იაგუნდის ნაყოფზე და სხვ. მართლაც ძალიან გავს ღორების მიერ მარგალიტების ფეხევეშ თელვას. სიტყვებში: „ნუცა დაუგებთ მარგალიტსა წინაშე ღორთა“ (მათე, 7. 6) იოანე ოქროპირის განმარტებით მაცხოვარი ისეთ ადამიანებს გულისხმობს, „რომელნი მარადის შეგინებულსა და ბილწისა მოქალაქეობასა შინა იქცევიან“ (იოანე ოქროპირი 1996: 77)

სახარების იგავისეული ფარისევლის მსგავსად ლურსაბის ლოცვაც ორი თემისგან შედგება — საკუთარი დამსახურების წარმოჩენისა და სხვისი განკითხვისაგან: „ლმერთო!.. თორმეტ-აბაზიანი ცხვარი დაგიკალ, ორი აბაზის წმინდა სანთელი აგინთე... მარხვა მე არ გამიტებია... აბა ჩვენ მღვდელსა ჰკითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე...“ ამბობს ლუარსაბი. შდრ. „ლმერთო... ვიმარხავ ორ გზის შაბათსა შინა და ათეულსა შეესწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა“ (ლუკა 18. 12) დავითის ლუქმა უნდა გამხადო? რაც იმას ქვეყანაზედ ცდგა ჩაუდენია, ვინ მოსთვლის? აბეზლებს ძმას ლუარსაბი. შდრ. „გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ ვითარცა სხუანი კაცნი მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზუერე...“ ამბობს ფარისევლი (ლუკა 18. 11). ამ სახეებითაც მწერალი იგივეს გვასწავლის, რასაც სახარებისეული იგავი. განსხვავება იმაშია, რომ თანადროული ცხოვრებიდან პირდაპირ, ცოცხლად აღებული სახის ჩვენებით იგი ბიძლიურ სწავლებას კიდევ უფრო ახლობელს და გასაგებს ხდის მკითხველისათვის.

იგავების სიმრავლის მიუხედავად, წმინდა წერილის უმეტესი ნაწილი მაინც რეალურ მოვლენებს ასახავს, ეპიკური მხატვრული თხზულების ფაბულა კი, ფაქტობრივად მთლიანად იგავი, მთლიანად გამონაგონია. ამიტომ ილია მაქსიმალურად იყენებს თავის შემოქმედებით შესაძლებლობებს და ისეთი რეალური პირის მიხედვითაც, როგორიც პეტრე მოციქულია, მოთხოვნის შიშის გამო, უარს ამბობენ იმ მადლზე, რომელიც სხვებისაგან გამოარჩევდა, უერთდებიან ცოდვიან მასას და უხმოდ ესწრებიან მოციქული პეტრე თვით უფლის, მეურმე პეტრე კი დავთის ხატად შექმნილი — „დავთის კერძო“ ადამიანის სასიკედილო განაჩენს. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ მამლის ყივილმა პეტრე მოციქული სინაწულში ჩააგდო. მას ყოველ განთიადზე ახსენდებოდა საკუთარი შეცოდება, განიცდიდა მას და მადლიც დაიბრუნა, პეტრონაჟ პეტრეს კი მამლის ყივილი კიდევ უფრო უღვივებს ამპარტავნებას და მოთხოვნა ისე მთავრდება, რომ შიშისა და თრთოლვის მიუხედავად, თავის დანაშაულს არ აღიარებს. როგორც ვხედავთ, წმინდა წერილთან ალუზიურ კავშირს ილია თანაბარი ოსტატობით იყენებს როგორც მსგავსების, ისე კონტრასტის წარმოსაზრენდ.

პარალელებისათვის მწერალი ხშირად მიმართავს აგიოგრაფიულ ლიტერატურასაც. ამის დასტურია ის არაერთი ალუზია, რომელიც აკავშირებს „ოთარაანთ ქვრივს“ წმინდა გიორგისა და წმინდა თეოდორე ტიორნის ცხოვრებათა ამსახველ თხზულებებთან (წინიძე 2005: 50-65). ურმის თვალზე გაცმისთვის თევდორეს მზაობა („ეჲ, ნეტავი კი ევ დავაჟუაცებული მენახა და!.. მერმე თუნდა ურმის თვალზედ გავცმოდიო...“) და მისი შედარება თონეში გამომცხვარ პურთან („ასეთი პური მარტო იმათ თონეში (ცხვება)“) ამკარად ეხმიანება წმინდა თევდორეს აღსასრულს. იგი ურმის თვლებზე მიკრული შეაგორეს (ცეცხლში და „ცეცხლსა შინა შეიცხო, ვითარცა პური ტკბილი და შეწირულ იქმნა წინაშე სამებისა“ (წიქრიძევილი: )

უფლის მიერ შექმნილ ცხოველებსა და მცენარეებს არსებობის წინდაწინვე განსაზღვრული წესი აქვთ. მათი ესა თუ ის თვისება თვალსაჩინო და იოლი აღსაქმელია: ველის შროშანს ულამაზესად მოსართავად არც კერვა სჭირდება და არც რთვა (ლუკა 12.27), მდოგვის უმცირესი მარცვლიდან უზარმაზარი ხე იზრდება (მარკ. 4.31), ლელვის ფურცლის დარბილება ზაფხულის მოახლოების მაუწყებელია (მ. 24.32) და ა.შ. სხვა არსებებისა და ბუნებრივი მოვლენებისაგან განსხვავებით ადამიანს

აქვს თავისუფალი ნება, მრავალფერი და წინააღმდეგობრივი ბუნება. სულხან-საბას იგავი რომ მოვიშველიოთ, მისი ენა უტებესიც შეიძლება იყოს და უმნარესიც; მან შეიძლება სიყვარულიც თესოს და მტრობაც. ამიტომ განზოგადებულად ადამიანის ვერც სათხოებაზე ვილაპარაკებთ, ვერც ცბიერებაზე და ვერც რომელიმე სხვა თვისებაზე. ადამიანს სხვა არსებათა ბუნებაში გარკვევა უფრო უადვილდება, ვიდრე საკუთარში. ამიტომ ქრისტიანულმა მოძღვრებამ და შემდეგ კულტურამაც ფართოდ გამოიყენა უსულო და ფშვინვიერ სამყაროსთან შედარება იმისათვის, რომ ადამიანს დახმარებოდა საკუთარი რთული ბუნების შემცნებასა და სულიერ სწავლებათა გააზრებაში. ველის შროშანის მაგალითზე მან ისნავლა, რომ თუ ღმერთი მინდვრის ბალახზე ასე ზრუნავს, არც მას დატოვებს უნუგეშოდ, მდოგვის მარცვლის მაგალითზე ისნავლა, რომ ღვთისთვის შეუძლებელი არაფერია და ა.შ.

საჭიროებისდა მიხედვით, წმინდა წერილის სხვადასხვა ადგილას ადამიანი შედარებულია გზასთან, კლდოვან, ეკლიან და კეთილ ნიადაგთან, ორთან, ძალლთან, გველთან, მტრედთან და სხვ. თითოეული ამგარი შემთხვევა გვეხმარება ადამიანური საქციელის ან რომელიმე სულიერი სწავლების აღქმასა და გააზრებაში. ასეთი პარალელები, როგორც მარტივი შედარების, ისე რთული ტროპების სახით ხშირად გვხვდება ილია ჭავჭავაძის ნაწერებში. ძალზე შთამბეჭდავია ამ მხრივ თვალსხვეული, ფრთაშეკრული, ექვანგამობმული მიმინოს და ფრთებჩამოყრილი ფარშევანგის სახეები „გლახის ნამბობში“, თევზისა და ცხენის სიმბოლოები სხვადასხვა ნანარმოებებში და ა.შ.

იმის გამო, რომ წმინდა წერილისული პარალელის საფუძველი რომელიდაც ერთი ასპექტია და არა შესადარებლბს შორის არსობრივი მსგავსება. თვით მაცხოვარიც კი შეიძლება მატლთან ან მპარავთან (ლუკა 12:39) იყოს შედარებული („უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რაჟამს მპარავი მოვალს, იღვიძებდამცა... და თქუნცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰყონებდეთ, ძე კაცისაი მოვიდეს“), გველი კი დადგებით კონტექსტში მოიხსენებოდეს: „იყვენით თქუნ მეცნიერ ვითარცა გუელნი (მ. 10.16). მთავარია, რა ნიშნით კეთდება პარალელი, სხვა რაიმე შეზღუდვა, როგორც ჩანს, არ არსებობს. ამავე პრინციპს ემყარება წმინდა ილია მართალიც, როცა პერსონაჟთა სულიერი პორტრეტების შესაქმნელას და ახდენს ბიბლიაში გამოყენებული სახეების ვარირებას და ახლების შემოტანას. ამის თვალსაჩინო მაგალითა მოთხოვთაში „გლახის ნამბობი“ დათიკოს ირემთან შედარება წმინდა წერილისულ, ღმერთსმონცურებულ ირმის სახესთან კონტრესტის გამოისაკვეთად.

ჩვენ მიერ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან მოხმობილის მსგავსი მაგალითები სხვა კულტურებშიც გვხვდება, მაგრამ იქ მათ სხვა შინაარსი და მიზანდასახულობა აქვს. ამას გარდა, რამდენადაც პუბლიცისტიკაში მნერალი იგავური მეტყველების მისეულ პრინციპს თავად ადარებს საღვთო წერილისას, ვფიქრობთ, რომ სწორედ მას ეყრდნობა და არა რომელიმე სხვა წყაროს.

#### დამოწმებანი:

**გაბიძაშვილი 1992:** წმინდა გიორგი ძეელ ქართულ მწერლობაში, გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა, თბ. 1992.

**იოანე ოქროპირი 1996:** იოანე ოქროპირი, თარგმანებაი მათეს სახარებისაინ. II, გამომც. თსუ, 1996.

**ნინიძე 2005:** ნინიძე მ. მხატვრულ სახეთა სისტემა და რელიგიური დისკურსი „ოთარაათ ქვრივში“, თბ. 2005

**ჭავჭავაძე 1987:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული იც ტომად, ტ. I თბ. გამომც. „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, 1987.

**ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული იც ტომად, ტ. II თბ. გამომც. „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, 1988.

**ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული იც ტომად, ტ. V თბ. გამომც. „მეცნიერება“, 1991.

**ჭავჭავაძე 2007:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული იც ტომად, ტ. XIV თბ. გამომც. „ილიას ფონდი“, 2007

## ილია ჭავჭავაძე საზღვარგარეთის ქვეყნების ახალი ისტორიის საკითხების შესახებ

ქართველმა მეცნიერებმა არაერთი მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია თუ წერილი მიუძღვნეს XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების საკითხებს. ამ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრის მოთავეებად კი ქართველი სამოციანელები, ანუ, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, „თერგდალეულები“ გვევლინებია. მათი აღიარებული ლიდერი ილია ჭავჭავაძე იყო.

შევლევარები, კვლევის ძირითად ობიექტადექცეულ პრობლემებთა ერთად, „სამოციანელთა“ სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებების გარკვევისას, შეეხენ, აგრეთვე, მათ მოსაზრებებს საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ, მაგრამ სპეციალური ნაშრომები ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოხმაურებისა საზღვარგარეთის ქვეყნების ახალი ისტორიის, მათი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემების შესახებ, ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით მოგვეპოვება. ამ საკითხების შესწავლას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის მსოფლმხედველობის გარკვევისას.

ილია ჭავჭავაძისა და, საერთოდ, „თერგდალეულთა“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ისტორიულ კონცეფციებს პირველმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და სპეციალური კვლევის საგნად გახადა პროფ. ვ. დონაძემ. მან მრავალი მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია თუ წერილი მიუძღვნა სამოციანელთა სოციოლოგიურ შეხედულებათა თუ ისტორიული კონცეფციების გარკვევას. ამ ნაშრომთა ჩამოთვლა შორს წაგიყვანდა. ჩვენ აღვინიშნავთ მხოლოდ იმას, რომ პროფ. ვ. დონაძემ მაღალ მეცნიერულ დონეზე გააშექა ქართველ სამოციანელთა მოთავეების ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის და გ. წერეთლის შეხედულებანი ახალდი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე, აჩვენა მათი ისტორიულ-ფილოსოფიური და სოციოლოგიური და ნააზრევის ადრეული წყაროები და შემეცნებითი მნიშვნელობა (თვალივაძე, დონაძე 1992: 22-27).

გამოიდიოდა რა ისტორიული პროცესის ერთიანობის პოსტულატიდან, ი. ჭავჭავაძე, - მშობლიური ქვეყნის ისტორიასთან ერთად, ყურადღების გარეშე არ ტოვებდა მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებსაც. ამ პრობლემებისადმი სერი თზული ყურადღება მრავალი გარემოებით იყო განპირობებული, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ ილია საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ისტორიიდან მაგალითების მოშევლიერი ცდილობდა პასუხი გაეცა იმ საფირბოროტო საკითხებზე, რომლებსაც იმდროინდელი საქართველოს რთული საზღვარებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება აყენებდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენტის წინაშე.

სწორედ ამ მიზნებს ისახავდა ი. ჭავჭავაძე, როცა გაზ. „ივერიის“ საპროგრამო წერილში წერდა: „საზოგადოება საცნო აუცილებელი საჭიროება უცხო ხალხთა ცხოვრების გაცნობისა, დაინახა, რომ თავისი ბედი და უბედობა ბევრად დამოკიდებულია უცხო ხალხთა ბედსა და უბედობაზე; დაინახა, რომ ხალხთა შორის მისვლა-მოსვლა, ურთიერთის გაცნობა დლიერი საშუალება ხალხის წინ ფეხის წადგმისათვის, ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის... როგორც ადამიანისათვის ცალკე, საზღვარებრისათვისაც საერთოდ სხვისი მაგალითი დიდი რამ არის, ცუდი, თუ კარგი ორივე გამოსაყენებელია, ცუდი ავიცდენთ, კარგს ავითვისებთ. აქედან ჰსჩანს, რომ ყოველმა გაზეოთმა, ანუ უურნალმა უნდა შესაფერისი ადგილი მისცეს და ლირსული ყურადღება მიაქციოს უცხო ხალხთა ცხოვრებასა და მდგომარეობას, თუ სურს სხვისი მაგალითით თვით ცნეობა გაუადვილოს საზოგადოებას, ბედნიერების გზა აპოვნინოს, უბედურების მიზეზი მოასპობინოს, იმიტომ, რომ ყოველ ამისათვის მაგალითი და ცნობანი სხვათა ცხოვრებაში აუარებელია...“ (გაზ. ივერია“).

ამ ვრცელი ციტატიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი როლი ეკისრა საზღვარგარეთის ხალხების ისტორიის, მათი საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესწავლას ქართველი ხალხის წინ წადგმისათვის, ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის“. ილიას შეგონება – უცხო ხალხთა ცხოვრებიდან ყველაფერი ბრმად, გაუაზრებლად კი არ უნდა გადმოვილოთ, არამედ ცუდს ავიცდენთ, კარგს ავითვისებთ” – გახსაკუთრებით აქტუალური და გასათვალისწინებელია ახლა, როდესაც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციასთან დაკავშირებულმა პროცესებმა ბევრი თავსატეხი პრობლემა დააყენა ქართველი ხალხის წინაშე.

ილიას მახვილ თვალს არ გამორჩენია იმის აღნიშვნა, რომ ამ ახალი დროის ერთი დირსშესანიშნავი ლირსებაც ისიცაა, რომ „საზოგადოებამ საცნო აუცილებელი საჭიროება უცხო ხალხთა ცხოვრების გაცნობისა“. მაგრამ საზოგადოების მიერ შეცნობილი აუცილებელი საჭიროების დაქმაყოფილება შესაძლებელი გახდა იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-სოციალური ცვლილებების გამო, რასაც ადგილი ჰქონდა XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოში. მართალია, ბატონიშვილის გაუქმებით სრულად ვერ დააკმაყოფილეს გლეხთა მოთხოვნები, მაგრამ მათ პირადი თავისუფლება მაინც მიიღეს, რასაც შედეგად მოპყვა აღებ-მიცემობის გამოცოცხლება, გაიზარდა სამრეწველო სანარმოთა რიცხვი, დაჩქარდა ტექნიკური პროგრესი, რამაც, სხვათა შორის, გამოიწვია მიმოსვლის საშუალებათა გახშირება-გაიაფება და სატელეგრაფო კავშირის განვითარება. ამ ცვლილებებს სხვა შედეგებთან ერთად, უეჭველია, გავლენა ჰქონდა იმდროინდელი ქართული საზღვარებრივ აზრის განვითარებასა და ქართული პერიოდიკის საინფორმაციო წყაროების ზრდაზე.

1860 წელს ფირმა „სიმენსმა“ აგო პირველი ტელეგრაფის ხაზი თბილისი-ქუთაისი-ფოთი ბორჯომისაკენ განშტოებით, 1863 წელს კი თბილისი ტელეგრაფით დაუკავშირდა ვლადიკავკაზია და სტავროპოლს, რამაც საშუალება მისცა საქართველოს დეპეშები გაეცვალა მოსკოვთა და

პეტერბურგთან. 1864 წელს თბილისიდან სამხრეთისაკენ აგებულმა ტელეგრაფის ხაზმა თბილისი ჯერ ერგვანთან, ხოლო შემდეგ ჯულფასთან დააკავშირა. ამს შემდეგ დეპეშები გაცვალეს თეირანშა და თბილისმა. 1868 წ. „სიმენსმა“ ექსპლუატაციაში გადასცა ტელეგრაფის ხაზი თბილისა და ბაქოს შორის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1870 წელს ვ. სიმენსის მიერ აგებულ იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე გრძელი სახმელეთი ტელეგრაფის ხაზს, რომელსაც ინდო-ევროპის ტელეგრაფი უწოდეს. ამ ხაზს დასაწყისი ლონდონში ჰქონდა, გადიოდა ბერლინზე, ვარშავაზე, ოდესაზე, ქურჩის სრუტის გავლით კრასნოდარს აღწევდა, შემდეგ შავი ზღვისაკენ უსვევდა, სოხუმზე, ქუთაისზე და თბილისზე გავლით ინდოეთისაკენ მიერართებოდა (კარბელაშვილი 1974: 43).

ი. ჭავჭავაძე, როდესაც საზღვარგარეთის ქვეყნების ახალი ისტორიის, იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ღრმა შინაარსის, მეცნიერულად არგუმენტირებულ წერილებს ბეჭდავდა, მისი ნააზრევის ძირითადი წყარო ინდოევროპული ტელეგრაფით მიღებული მსოფლიოს ცნობილი საინფორმაციო სააგენტოების მიერ გადმოცემული ცნობები იყო.

„ახალი დროის“ დამსახურება იყო ისიც, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართული პერიოდული პრესა მომრავლდა,\* რამაც საშუალება მისცა ი. ჭავჭავაძეს და სხვა ქართველ მოღვაწეებს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ საზღვარზედ მიმდინარე მოვლენების გაშუქებისათვის. ამასთანავე შეიქმნა გარკვეული სირთულეებიც. თუ აქამდე ქართული პერიოდიკის მესვეურები კორესპონდენტების ნაკლებობას უჩიოდნენ, ახლა სხვა დაბრკოლება გაჩნდა – მკითხველთა დიდი ნაწილი მოუმზადებელი იყო „სერიოზული“ წერილებისათვის. ახალი დროის, ახალი ცხოვრების, ახალი საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები მათვის გაუგებარი, ძნელი მისახვედრი იყო. დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, როცა ი. ჭავჭავაძე პერიოდულ პრესაში საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიის საკითხებს, მათ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას განიხილავს, მეითხველისათვის უფრო გასაგები რომ გახადოს, ხშირად თავის წერილებში იყენებს მოხდენილ აფორიზმებს, კალამბურებს, ანდაზებსა და ა. შ. (ბალუევი 1971: 247).\*\*

ახალი დროის საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხებისა და უცხო ქვეყნების ისტორიის პრობლემატური კითხვებს ქართული პერიოდიკის ფურცლებზე გაშუქება, მათი გაცნობა ქართველი საზოგადოებისათვის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ნინაალმდეგ ბრძოლის ოპტიმალური გზების ძიების საშუალებაც იყო. ამიტომ მეფის რუსეთის ცენზურა ამგვარი შინაარსის წერილების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას და სიმკაცრეს იჩენდა. ამ მხრივ ი. ჭავჭავაძეს და მის მიერ დაარსებულ ივერიას“ დიდი დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდა. მიუხედავად მისა, რომ ს. მესხის წყალობით, ქართული პერიოდიკის ორგანოებმა (ჯერ გაზ. „დროებამ“, შემდეგ სხვგმაც) საცენზურო კომიტეტისაგან გარკვეული შედავათები მიღეს.

ილიას მდიდარი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა დიდ მასალას იძლევა საზღვარგარეთის ქვეყნების არა მხოლოდ ახალი დროის ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შეფასებისათვის, არამედ მსოფლიო ისტორიული პროცესების, ისტორიის ფილოსოფიის ზოგადი პრობლემების შესახებაც.

ილია აღიარებს, რომ ბუნება გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილება, რომ ბუნება განუწყვეტელ მოძრაობაშია, იგი წარმოშობისა და მოსპობის მუდმივ პროცესშია. ამიტომ ადამიანი ბუნებას კი არ უნდა დაუპირისპირდეს, არამედ მან ბუნების კანონების შესაბამისად უნდა იმოქმედოს.

ი. ჭავჭავაძემ მრავალი ნაშრომი მიუძღვნა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ისტორიის განვითარების საკითხებს: საზოგადოების განვითარების ფორმები, გეოგრაფიული გარემოს როლი, პიროვნების როლი ისტორიაში, ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხები... ასეთია იმ პრობლემების არასრული ნუსხა, რომლებიც მისი ინტერესების სფეროს შეადგენდა. იგი თავის ზოგად ფილოსოფიურ კონცეფციებზე დაყრდნობით განიხილავდა მსოფლიოში მიმდინარე ისტორიულ პროექტს, მათ შორის, ახალი ისტორიის საკითხებს.

იმდროინდელი საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ილია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა კოლონიზაციების ნინაალმდეგ აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ევროპის ჩაგრული ხალხების გამანთავისუფლებელი ბრძოლების მიმართ.

\* 1871 წელს, ქართულ ენაზე, ხუთი პერიოდული გამოცემა არსებობდა („დროება“, „შნათობი“, „ცისკარი“, „კრებული“, „სასოფლო გაზეთი“), მაშინ, როცა სულ ცოტა ხნის წინ ერთი ქურნალიც კი სანატრელი იყო.

\*\* ასეთი მდგრმარეობა იყო XIX ს. 60-იანი წლების რუსეთშიც.

\* 1870 წელს ს. მესხმა თხოვნით მიმართა კავკასიაში მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს იმისათვის, რომ გაზ. დროების“ პოლიტიკური განყოფილების გაფართოების უფლება მიეცათ მისთვის და დაერთოთ ხება იმისა, რომ რუსული პერიოდიკიდან თვითონ ამოერჩია პოლიტიკური ცნობები და განემარტა ისინი (აქამდე დროებას“ შეეძლო სამი რუსული გაზეთიდან რუსეთი ინგალიდ“, „სევერნაია პოჩტა“ და „კავკაზიუმის გადმოებეჭდა მხოლოდ პოლიტიკური ცნობები). ს. მესხს მისცეს იმის უფლება, რომ „დროების“ რედაქციისათვის თავის შეხედულებისამებრ რუსული გაზეთებიდან ამოერჩია მასალები და განემარტა ისინი იმ პირობით, თუ ეს განმარტებები ცენზურის მოთხოვნება დააქმაყოფილებდა. იხ. სსცია, ფ. 480, ანაწ. 1, საქ. 172, ფ. 4.

ი. ჭავჭავაძემ პუბლიცისტურ წერილებში სათანადო სისრულითა და ობიექტურობით ასახა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომს მიმდინარეობა და შედეგები. იგი თანაუგრძნებლად ბალკანითის ჩაგრულ ხალხებს მათ სამართლიან ბრძოლაში დესპოტური თურქეთის წინააღმდეგ, ამავე დროს სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ყველა ჯურის მტაცებელ სახელმწიფოებს, „მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მოყვარულთ“, ააშკარავებდა მათ ნამდვილ ზრახვებს და ამით საერთაშორისო ურთიერთობების საშიში პრობლემების სამართლიანად გადაწყვეტის მომხრედ გამოიღოდა (თვალავაძე 1981: 61).

ი. ჭავჭავაძემ არაერთი წერილი მიუძღვნა გაერთიანებულ გერმანიაში ძალით მოქცეული ხალხების პოლონელებისა და ელზას-გორენის მოსახლეობის ბრძოლას ძალით გაგერმანელების წინააღმდეგ (თვალავაძე 1981: 138).

გერმანიის იმპერია რაიხსკანცლერი ბისმარკი მისთვის ჩვეული ცბიერებითა და სიმკაცრით ცდილობდა აღნიშნული მოსახლეობის ძალით გაგერმანელებას. პოლონელებით დასახლებულ მიწებზე, მაღალ თანამდებობებზე გერმანელებს ნიშნავდა, ყოველნაირად ზღუდავდა მშობლიურ ენაზე სწავლებას, ადმინისტრაციულ და სასამართლო წარმოებას და სხვ. ასეთივე მეთოდებს იყენებდა იგი ელზას-გორენის არაგერმანული მოსახლეობის მიმართ.

გაერთიანებულ გერმანიაში მცხოვრები არაგერმანული მოსახლეობა, თავიანთი ეროვნული თვითმპყრობელობის შენარჩუნებისათვის, მედგარ წინააღმდეგობას უწევდა გერმანელ შოვინისტებს. ი. ჭავჭავაძეს ძალიან კარგად ესმოდა, რომ მათ ამ ბრძოლაში დიდი დახმარების განევა შეეძლო მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებას. სწორედ ამიტომ, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მათ მიმართ.

მსოფლიო ისტორიის ღრმა ცოდნა იგრძნობა ი. ჭავჭავაძის იმ წერილებში, რომლებიც მან მიუძღვნა ირლაინდიელი ხალხის ბრძოლას მინისა და თავისუფლებისათვის. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს წერილები დაწერილია ირლანდიელი ხალხის მეგობრის, მისი ინტერესების ერთგული დამცველის პოზიციებიდან (დონაძე 1970: 98). იგივე შეიძლება ითქვას ილიას იმ წერილების მიმართ, რომლებიც ეძღვნება ევროპის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიურ პოლიტიკას აზიასა და აფრიკაში (დონაძე 1970: 127).

არა მარტო ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებლი ბრძოლები და დიდი სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკა იპყრობდა ილიას ყურადღებას, არამედ ევროპაში შექმნილი ისეთი „თავსატეხი პრობლემები“, როგორებიც იყო იტალიელი ხალხის გამანთავისუფლებლი ბრძოლები ჯ. გარიბალდის მეთაურობით, უარიზის კომუნა, საფრანგეთ-გერმანიის 1870-1871 წწ. ომი და მის შემდეგ ევროპაში შექმნილი ვითარება და ა. შ.

1878 წლის ბერლინის კონგრესის შემდეგ, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო „სამთა კავშირის“ შემნა და ანტანტის საფუძვლის ჩაყრა. ამ კავშირების შემნის მიზეზები, ისტორიული ფონი და მოსალოდნელი შედეგები ი. ჭავჭავაძის წერილებში ისეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმოდგენილი, რომ ბევრ გამოჩენილ ისტორიკოსსაც კი შეშურდება. რად ღირს თუნდაც იმის მიხევდა, რომ ამ კავშირების შექმნით პერსპექტივაში მოსალოდნელი მსოფლიო ომი იყო (თვალავაძე 1981: 115).

ილიას იმ პუბლიცისტური წერილების დიდი ნაწილი, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნების ახალი ისტორიის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს ეძღვნება, ხელმოუწერელია, მაგრამ მათი სტილისტური ანალიზი, ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერები, აგრეთვე „ივერიის“ ზოგიერთი თანამშრომლის (ა. ახნაზარი, გ. ლასხიშვილი და სხვ.) მოგონებები ადასტურებენ ზოგიერთი მათგანის ილიასადმი კუთვნილებას. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი არა მარტო ილიას უცნობი წერილების გამომზეურებისათვის, არამედ, საერთოდ, მისი პუბლიცისტური მოვლანეობის შესწავლისათვის.

ილია ავტობიოგრაფიაში, რომელიც ბროკპაუზ-ეფრონის რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონისთვისაა დანერილი, ჩამოთვლის პოემებს, მოთხოვებს, ნათარგმნ მხატვრულ ლიტერატურას და ბოლოს წერს: „ამას გარდა ბევრი წერილი წერილია კიდევ ჩემ მიერ დაწერილი საპოლიტიკო, საპუბლიცისტო, საკრიტიკოსო და საპოლემიკო შინაარსისა, აგრეთვე წერილები საპედაგოგო საგნების შესახებ“. სწორედ ასეთი „წვრილი წერილები“ არის შესული ი. ჭავჭავაძის თხზულებების ახალ აკადემიურ გამოცემაში. დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე ტომია დაბეჭდილი. იმედია, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები ამ საშუალების ბოლომდე მიიყვანენ.

ილიას ზოგიერთი მოსაზრება და დასკვნა, იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, შეიძლება ენინააღმდეგებოდეს მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ჩრდილავს მის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე.

ილია ჭავჭავაძის დაუღალავმა მოღვაწეობამ საზღვარგარეთის ქვეყნების ახალი ისტორიის კვლევის სფეროში თავისი ნაყოფი გამოიღო. ის რაზმავდა ქართველ ხალხს საქართველოში კარიზმის კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ის მოუნოდებდა ხალხს სამშობლოს, მშობლიური ენის, კულტურისა და დამოუკიდებლობის ადასტავად; მანვე შეუქმნა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას ჯანსაღი იდეოლოგია-პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დიადი საკაციობრიო და კაცობრიული პრინციპები ედო.

#### დამოწმებანი:

ბალუევი 1971: Балуев Б. П. Политическая реакция 80-х годов XIX века и русская журналистика. М.: 1971.

**დონაძე 1970:** დონაძე ვ. ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ.: 1970.

**თვალავაძე 1981:** Твалавадзе В. Вопросы новой истории Германии и грузинская публицистика. Тб.: 1981.

**თვალავაძე 1993:** ვ. დონაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ.: 1993.

**ივერია 1877:** გაზ. „ივერია“, 1877, 1.

**კარბელაშვილი 1974:** კარბელაშვილი ფ. გერმანელი გამომგონებელი საქართველოში. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 3, 1974.

## ილია ჭავჭავაძე და ქართული მუსიკის საკითხები

ილია ჭავჭავაძე – დიდი ქართველი მწერალი, ფართო მასშტაბისა და დიაპაზონის მოაზროვნე, საზოგადო მოღვაწე, ჰუმანისტი, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული – ილია მართალი, რომლის ინტერესები და ენციკლოპედიური ცოდნა ვრცელ სპექტრს მოიცავდა, შეუძლებელი იყო არ დაფიქრებულიყო ეროვნული კულტურის ისეთ ფენომენზე, როგორიცაა ქართული მუსიკა, ხალხური მრავალხმიანი სიმღერა. მისი განცდა და აღქმა ქართული ხალხური სიმღერისა, მოსაზრებანი მის შესახებ, დამოკიდებულება მუსიკისადმი როგორც ხელოვნების დარგისადმი, აისახა როგორც მის მხატვრულ შემოქმედებაში, ასევე პუბლიცისტიკაში.

ილია ჭავჭავაძის პოეზიაში გვხვდება ნიმუშები, საიდანაც ჩანს, რომ მუსიკა, სიმღერა მას წარმოუდგენია როგორც ადამიანური ემოციების გამოხატვის ფორმა (მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ლექსები „მეფანდურე“, „მუშა“, ადგილები პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდამ“, მოთხოვნიდან „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვა). მოვიყვან ნაწყვეტს ლექსიდან „მეფანტურე“:

„ეგრეთ დამღერად ბრმა მეფანტურე თვის მარტივ ფანტურს,  
ეგრეთ იგლოვდა სევდით, კვნესითა საყვარელ წარსულს,  
მაგრამ მხოლოდ მთა, ნაღვლით მზირალი, მას ყურს უგდებდა  
და ჩამაფიქრებელ მწუხარე ხმით ბანს გამოსცემდა“ და სხვ.

ეს ლექსი დაწერილია 1860 წლის 12 სექტემბერს, პავლოვსკში. ბრმა „მეფანტურე“ — რაფსოდი წარმოდგენილია როგორც მომსწრე წარსულ დროებათა. ეს ლექსი აღძრავს ასოციაციებს ლელთ ლუნიასთანაც („იგლოვდა სევდით, კვნესითა საყვარელ წარსულს“) და უფრო შორეულთანაც (ბრმა მეფანტურე), მაგრამ ამის ანალიზი ჩემს კომპეტენციას შორდება.

შეგახსენებთ ყველასთვის კარგად წაცნობ სტრიქონებს „კაკო ყაჩალიდან“ (ჭავჭავაძე 1987: 209):

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი [...]  
მხოლოდ კი ერთგან ურემთ მძიმე  
მიქრიალებდა, გზას ალვიძებდა,  
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე,  
მწუხარს სიმღერას დალუდურებდა.  
ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს,  
მწუხარე არის ვით გლოვის ზარი...“ და ა. შ.

აქ გადმოცემულია არაჩვეულებრივი, მომხიბლავი დამის სურათი სოფლად. თითქოს ისმის კიდეც ურმის ჭრიალის ფონზე მეურმის „ურმული“. აქ მუსიკა არის ემოციის გამოხატვის იდეალური ფორმა.

აქვე არ შეიძლება არ გაგვასენდეს ერთი ადგილი „ოთარაანთ ქვრივიდან“, არჩილისა და კესოს დიალოგში ჩატეხილი ხიდის გაცნობიერებას რომ ასახავს: „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებული ვართ, ისინი კი — შექმნილი [...] აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან, ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევა“ (ჭავჭავაძე 1988: 302-303).

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

ილია ჭავჭავაძის დამიკიდებულება სიმღერისადმი კარგად უნდა ყოფილიყო მისი თანამედროვეებისათვის (ცნობილი. შემთხვევითი არ იქნებოდა ის ფაქტი, რომ ილიას დუშეთში ყოფინის დროს მის პატივსაცემად ქალაქიდან (თბილისიდან) დამკვრელები ჰყოლიათ მიწვეული. ამის შესახებ ილია წერდა თავის მეუღლეს (წერილი დათარიღებულია 1873 წლის 4 მაისით): „...დუშეთში პირველი მაისიდან სულ სადილებს გვიმართავენ. საზანდრებიც დაბარეს ქალაქიდან და ვიდრე მე წავალ, იმ დრომდე საზანდრები აქ ეყოლებათ...“ (ჭავჭავაძე 1979: 282). როგორც ჩანს, ილია კძაყოფილი იყო ამით, რაც წერილში ეს ფაქტი აღუნიშნავი არ დატოვა.

ილია ჭავჭავაძის სერიოზული ნაფიქრი ქართული ხალხური მუსიკის ფენომენის, მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში მისი ადგილის, ქართული მრავალხმიანობის თვითმყოფადობის შესახებ აისახა პატარა მოცულობის, მაგრამ თავისი მნიშვნელობით დიდ და ორმაშინარსიან წერილში „ქართული ხალხური მუსიკა“ (ჭავჭავაძე 1991: 275-282). ამ წერილის მნიშვნელობის შესახებ ყურადღება გამახვილებულია ლ. მინაშვილის მონოგრაფიაში (მინაშვილი 1986: 71, 85-86). აღნიშნული პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, 1886 წლის 18 და 19 ნოემბრის ნომრებში (250, 251) მეთაურის სახით. ილია ჭავჭავაძე გამოხმაურა ქართული კულტურის ისტორიაში ისეთი დიდი მნიშვნელობის მოვლენას, როგორიც იყო ლადინაშვილის ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი გუნდის პირველი კონცერტი, 1886 წლის 15 ნოემბერს რომ გაიმართა. (გუნდის ლოტბარი იყო ჩეხი მუსიკოსი იოსებ რატილი.. იგი სპეციალური დიდხანს მოღვაწეობდა, აქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში).

გუნდი ასრულებდა სხვახვადასხვა, მათ შორის ი. რატილის დამუშავებულ სიმღერებს. ამ გუნდის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ პირველად, საჯაროდ, სცენაზე შესრულდა

ქართული ხალხური სიმღერები. ამ ფაქტმა საზოგადოების დიდი მოწონება, ყურადღება და მადლიერება დაიმსახურა.<sup>1</sup>

ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც იყო ქართული ხალხური სიმღერების საჯაროდ, სცენაზე შესრულება, დიდი ილიას ყურადღების მიღმა ვერ და არ დარჩებოდა.

ამ წერილში ილია ჭავჭავაძე ძალიან მოქრძალებულად ლაპარაკობს თავის თავზე. ამბობს, რომ არ არის სპეციალისტი („ჩვენ მუსიკობაში თავს არა ვსდებთ, იმიტომ რომ ამ ხელოვნებისა ჩვენ არა ვიცით რა“), მაგრამ მაგრამ წერილიდანვე ჩანს ავტორის ერუდიცია, განსწავლულობა, მისი, როგორც მსმენელის, მაღალი დონე, დახვენილი გემოვნება, რაშიც ქვემოთ მოყვანილი ციტატებითაც დაგრძნებუნდებით.

აღნიშნული კონცერტი გახდა საპატი იმისათვის, რომ ილიას ხმამაღლა გამოეთქვა თავისი აზრი ქართული მუსიკის, მისი მდგომარეობის, ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის საფუძვლისა და მნიშვნელობის შესახებ.

ილიას წერილი ინტერა ასე: „შაბათს, 15 ნოემბერს, ერთი ფრიად სასიამოვნო ახალი ამბავი მოხდა. ქართულს თეატრში გამართული იყო ქართული კონცერტი. ქართულმა ხორომ იგალობა ჩვენი საერო სიმღერები“. ამის შემდეგ იგი გადადის მუსიკის, როგორც ხელოვნების დარგის არსის გარკვევაზე. იშველიებს ლესინგის ფრაზას — „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია — მეტყველი მუსიკა“ და დასტენს:

„ჩვენ კიდევ იმას ვიტყვით, რომ სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა... ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდან ამოხიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ლვთაებულს სიმებს ადამიანის სულიერებისას“ (ჭავჭავაძე 1991: 276).

ამ სიტყვებიდან ჩანს, რა ღრმად ჰქონდა შეცნობილი ილია ჭავჭავაძეს მუსიკის, როგორც ხელოვნების დარგის არსი.

ილიას მსჯელობით, როგორც ცალკე კაცის გული, ისე ერისა, ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს და ყოველ ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. ლესინგის მუსიკა — უტყვი პოეზია იგივე ენაა, მაგრამ „ხორცესხმული, სიტყვით არგანსაზღვრული, სიტყვით არგამორკვეული... იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვენესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვა, სხვა ერისა — სულ სხვა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვა, სხვა ერისა — სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენა-მეტყველობა. ქართველი როცა ჰკვენესის, სხვაგვარად, სხვა ხმით, სხვა კილოთი ჰკვენესის, ვიდრე ფრანგი ანუ ერმანელი; ჰქართველი როცა ჰხარობს, სულ სხვაგვარად ჰხარობს და სიხარულის გამოთქმაც სულ სხვაგვარია“ (ჭავჭავაძე 1991: 277).

„...ამიტომაც არის ერთის ერის სიმღერა რომ მეორეს მოენონოს, უნდა მისთვის გასაგები იყოს და რომ გასაგები იყოს, ისე უნდა შეაჩვიოს ყური, როგორც ენა — მეტყველებას. შეიყვანეთ ჩვენი გლეხეკაცი, ანუ იმისთანა ვინმე, თუნდაც თავადიც იყოს, რომელსაც ევროპული მუსიკა თავის დღეში არ გაუგონია, შეიყვანეთ და თუნდაც ბახისა, მოცარტისა და ბეთოვენის სიმფონიები მოასმენინეთ, იმას არ მოეწონება, თუმცა კი მთელი ევროპა აღტაცებაში მოდის ხოლმე... იგინივე, რომელნიც მოცარტისა და ბეთოვენის მუსიკით აღტაცებაში მოდიან, იგინივე ცხვირზევით აიცილებენ ხოლმე ჩვენს სამღერასა, ჩვენს მუსიკასა, მაშინ როდესაც ჩვენ აღტაცებაში მოვდივართ ხოლმე. აქ მიზეზი მარტო გაუგებრობაა, არცოდნაა, და არა გრძნობამოკლებულობა, გრძნობადახშულობა“ (ჭავჭავაძე 1991: 277-278).

მოხმობილი ციტატიდან ჩანს აგრეთვე ისიც, რომ ილია ჭავჭავაძე ნაზიარები იყო კლასიკურ მუსიკას. ამავე დროს ის აცნობიერებდა ამას არა მხოლოდ კულტურული მსმენელის დონეზე, არამედ მუსიკისმცოდნის თვალითაც. მისი სიტყვით, ყველა ერს არა აქვს მუსიკა განვითარების თანაბარ დონეზე. მაგალითად, ევროპამ დიდად გაუსწორო აზიანა და ევროპული მუსიკა „დიდად გაბრძყინვებულია... დახელოვნებული და ქვეყნიერობაზედ უპირატესობს“, რომ ევროპულ და აზიურ მუსიკას შორის არსებითი განსხვავებაა, რომ აზიურ მუსიკასაც თავისი განვითარების გზა აქვს გასავლელი.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც თვითონ ამბობს, ბევრი ჰქონდა ნაფიქრი და მოსვენებას არ აძლევდა ერთი კითხვა, რომელზედაც პასუხს ვერ იღებდა სპეციალისტებისაგან: „სითამამედ მიგვაჩინია ნარმოვთქვათ ერთი აზრი, რომელიც დიდი ხანია მოსვენებას არ გვაძლევს და რომელზეც პასუხს ჩვენთვის არავის მოუცია, თუმცა ბევრჯერ და ბევრგან ჩამოგვიგდია ამაზედ ლაპარაკი მუსიკის მცოდნე კაცთა შორის“. ეს იყო კითხვა ქართული ხალხური მუსიკის თვითმყოფადობის, თავისთავადობის საკითხი, კერძოდ, საერო და საეკლესიო მრავალხმიანი სიმღერა, როგორც თავად უწოდებს, „ბანით სათქმელი“, რომლებიც არც ევროპულთან და არც აზიურთან მსგავსებას არ ავლენენ.

„რომ ქართული სიმღერა და გალობა ევროპიულს არა ჰგავს, ეგ აშკარა და ამას არავითარი დამტკიცება არ სჭირია, როგორც გვარმზუნებენ მცოდნე კაცები... ქართული სიმღერა ხომ ევროპიულს სრულებით არა ჰგავს, ჰგავს კი აზიურსა? ჩვენ აქ სახეში გვაქვს ქართული საერო, თუ საეკლესიო, ბანით საგალობელი და არა მარტო სათქმელი. ყოველისთვით უზდა იგულისხმებოდეს, რომ უნდა აზიურსა

<sup>1</sup> თვით ლადო ალიაშვილი მუსიკოსი არ ყოფილა, მისი დიდი დამსახურება ქართული ქულტურის ნინაშვ მხოლოდ ამ გუნდის ჩამოყალიბებით არ შემოიფარგლება. ის იყო პირველი ქართველი, რომელმაც იმოგზაურა ფერეიდნელ ქართველებში, მათი ყოფა აღნერა. მას ეკატერინის პირველი ნაშრომი ფერეიდნელი ქართველების შესახებ იხ. გოცირიძე 1987: 5.

რაშიმე ჰგვანდეს: საქართველო უფრო აზიაა, მისი ისტორია უფრო აზიის კულტურისა და ცივილიზაციის გავლენის ქვეშ იყო უკანასკნელ საუკუნემდე. მისვლა-მოსვლა, ისტორიული დამოკიდებულება, ისტორიული მეზობლობა აზიის ერთა თანა ჰერინია და რა საფიქრებელია, რომ ყოველს ამას არ ემოქმედნა აქაურს სიმღერათა მწყობრობასა და აგებულებაზედ. ვსოდეთ, რომ საეკალესიო გალობაზედ ზემოქმედება იქონია საბერძნების გალობამ მას შემდეგ, რაც ჩვენთან ქრისტიანობა შემოვიდა, რადგანაც ყოველისფერი საეკალესიო იქიდამ მივიღეთ. ეს საერო სიმღერა თვითნაჩენია თავით, თავისითმყოფია, თვითმორული, თუ საერთო რამაა აქვს აზიის სხვა ერთა სიმღერებთანა. მაგალითებრ, საფრანგეთის მუსიკას, გერმანიისას, იტალიისას — ბევრი მგზავსება აქვთ ერთმანეთში, ისეთი მგზავსება, რომ გაუჭირვებლად სრულიად თავისუფლად — ერთის ერის მუსიკა მეორისათვის პირდაპირ გასაგებია ... თუმცა ამასთანავე ყოველის ამა ერის მუსიკას თავისი საკუთარი ფერი აქვს ზედ დაჩნდებული. ეგვევ ითქმის, მაგალითებრ, აქაურს ბანით სათქმელს სიმღერებზედ და სპარსულებზედ? არა გვგონია, სულ სხვადასხვა არის...“ (ჭავჭავაძე 1991: 279).

ამგვარად, ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოს ისტორიულად მეზობლობა და ურთიერთობა ჰერინდა აზიის ქეყენებთან, მაგრამ ქართული მუსიკა არ ჰგავს არც სპარსულს და არც აზიის რომელიმე ხალხის მუსიკას. ამის შემდეგ ილია ავლებს პარალელს ევროპის — საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის მუსიკასთან და აღნიშნავს მათ შორის დიდ მსგავსებასაც და თითოეული მათგანის თავისთავადობასაც, რის მსგავს მოვლენასაც საქართველოსა და სხვა რომელიმე ხალხის მუსიკაში ვერ ხედავს. ილია დასხენს, არამცულ რომელიმე ერის სიმღერას ჰგავს ქართული „ბანით სათქმელი“ (რესპ. მრავალებმიანი) სიმღერა, არამედ არის „საკუთარი, თვითნაჩენი, თვითმყოფი“ და ქართული სიმღერები „სრულად ახალ ამბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეორიისათვის“ (ჭავჭავაძე 1991: 280).

ილია რომ კარგად იყო ჩახედული იმ საკითხებში, რასაც ზემოთ შევეხეთ, ჩანს რამდენიმე შენიშვნაში „ქართული ხოროს“ და ბატონ რატილის მიმართ. შესრულებული თერთმეტი ქართული სიმღერიდან „...ვერ ვიტყვით, რომ ყველა ქართული ხმები კარგად იყო გადაღებული, მაგრამ მაინც კიდევ ჩვენ მიერ ქება და დიდება ეკუთვნით ამ საქმის დამწყებთა“ და განაგრძობს — „იგი ნაკლულევანება, რომელიც ყოველს ახალ საქმეს აუცილებლად მოსდევს ხოლმე, და რომელიც აქ ვახსენეთ, უკეთესის სურვილით მოგვივიდა და არა ნუნის დასადებად. ამისთანა საქმეში თვითონ ნუნიც კი უნდა ჰმიდუმარებდეს, იმიტომ რომ თვითონ საქმე ქველმოქმედებაა თავით თვისით“ (ჭავჭავაძე 1991: 281).

ეს წერილი დაწერილია კონცერტის (ჩატარდა 15 ნოემბერს) მოსმენისთანავე (დათარილებულია 15-18 ნოემბრით, პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 18 ნოემბერს, მეორე — 19 ნოემბერს), ისე რომ ავტორს მის დასაწერად საგანგებოდ მომზადების დრო არც ჰერინია.

წერილიდან ჩანს, რომ ილია ნაზიარები იყო კლასიკურ მუსიკას და იცნობდა მას არა მხოლოდ გემოვნებიანი, კულტურული მსმენელის დონეზე. ილიას აქ დასმული აქვს ქართული ხალხური მუსიკის თვითმყოფადობის, თავისთავადობის საკითხი.

აღნიშული წერილი ავლენს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას საერთოდ მუსიკისადმი როგორც ხელოვნების დარგისადმი, მის განსავლულობასა და ერუდიციას. ამ წერილიდან ჩანს, რომ იგი იყო კლასიკური მუსიკის მსმენელი. ჩანს, რა კარგად აცნობიერებდა იგი ევროპისა და აზიის ხალხთა მუსიკალური ენის თავისებურებებსა და ქართული მრავალხმიანი სიმღერის მათგან პრინციპულად განსხვავებულობას, რაც არის თავისთავადობის საფუძველი, მის განსაკუთრებულად გამორჩეულ ადგილს შეოთვლის ხალხთა მუსიკალურ კულტურაში.

ილია ჭავჭავაძის ეს წერილი არ იყო უბრალო გამოხმაურება თუნდაც ფრიად ლირაშესანიშნავ მოვლენაზე, არამედ ეს იყო ხმამაღალი განაცხადი ქართული მუსიკის ფენომენის, მისი ადგილის შესახებ მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანგურში.

აქვე მინდა ორიოდე სიტყვით აღვნიშნო, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, მისი ცალკეული ნანარმოებები, ლექსები ბევრი კომპოზიტორისთვის იქცა იმპულსად, შთაგონების წყაროდ. მის ტექსტებზე შექმნილია სიმღერები, ოპერები, გუნდები. დავასახელებ რამდენიმეს: ნიკო სულხანიშვილის გუნდი „გუთიური“, სიმღერა „გახსოვს ტურფავ“ (რომელიც ხალხურად ცხადდება ხოლმე), ვანო გოეილის ოპერა „ქართვლის დედა“, აკაე ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩალი“, სულხან ცინცაძის ოპერა „განდეგილი“, იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო პოემების ციკლი ილიას ტექსტებზე, შავლეგ შილაკაძის გუნდი „ჩემი ლოცვა“, ალექსი მაჭავარიანის საფორტეპიანო პოემა „ბაზალეთის ტბა“, გრიგორ ჩხილვაძის სიმღერა „ნანა“, დაბოლოს, ყველასათვის კარგად ცნობილი რევაზ ლალიძის „ჩემო კარგო ქვეყანავ“.

### დამოწმებანი:

**ჭავჭავაძე 1987:** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987; II, 1988; V, 1991.

**ჭავჭავაძე 1988:** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.

**ჭავჭავაძე 1991:** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

**ჭავჭავაძე 1979:** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი X, თბილისი 1979.

**გოცირიძე 1987:** გოცირიძე გ. ქორნიჩება ფერეიდნელ ქართველების, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.

**მინაშვილი 1986:** მინაშვილი, ლ. ილია ჭავჭავაძე. თბილისი: „ნაკადული“, 1986.

## რატომ არ დაიბეჭდა აკაკის „ჟულიკო“?

იშვიათად, მაგრამ მაინც მოხდება ხოლმე, რომ უფლის ნებით ერთსა და იმავე ეპოქაში ერს ორი დიდი მოღვაწე დაებადება. XIX საუკუნის 60-იან წლებში არაერთი შესანიშნავი ადამიანი გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, რათა დაუღალავად ებრძოლა ქვეყნის საკეთილდღეოდ. ერმა თავად გამოარჩია მათ შორის ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ეს ორი ადამიანი ბედისწერამ და ხალხის ნებამ ერთ უღელში შეაბა, რომელიც ოროვემ ერთგულად ზიდა ნახევარი საუკუნის მანიძლზე. ეს ორი დიდი მამულიშვილი, მართალია, ერთმანეთს უაღრესად დიდ პატივს სცემდა, მაგრამ თუ რამე სწორად არ მიაჩნდათ, პირველ რიგში ერთმანეთს უთითებდნენ. ბრძოსთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა გედავა შენთვის საყვარელ და პატივსაცემ პიროვნებასთან, ამიტომაც ათასგვარი ჭორი ვრცელდებოდა ილიასა და აკაკის შესახებ, რაც, ცხადია, მათ ურთიერთობაზე ზეგავლენას ვერ ახდენდა, თუმცა საქმეში ჩაუხედავ ბევრ ადამიანს უბნევდა თავგზას. ილია მისთვის ჩვეული აუღლევებლობით ხედებოდა ამას, აკაკისათვის, როგორც „ფუჟუკიანი იმერლისათვის“, გაცილებით რთული იყო სიმშვიდის შენარჩუნება. განსაკუთრებით გართულდა ვითარება ილიასა და მაჩაბელს შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგ. აკაკიმ, როგორც ჩანს, საგანგებო გამნარტების გამოქვეყნება განიზრახა. ამ წერილში პოეტი შენიშნავდა: „ორმოც წელიწადზე მეტია, რაც მე და ილია ერთმანეთს ვიცნობთ და არაოდეს ერთმანეთთან პირადი უსიამოვნება და უკმაყოფილება არ გვეონია. პირიქით, გარდა სიამ-ტკბილი შეყრა-შეხვედრისა და ზრდილობისან, დარბაისლურ სიტყვა-პასუხისა ერთი-მეორისაგან არა გვინახავს-რა და ან კი რა გვექონდა გასაყოფი, რომ ერთმანეთში უსიამოვნება მოგვსვლოდა? რა მაქვს მისთანა, რომ იმას შეეხარბოს? და ან რა ვეძებ მისთანას, რომ ილიას აქვს და მე მომენტროს? მართალია, ერთსა და იმავე განყენებულ მიზანს საზოგადოს და არა საპირადოს მიყყავართ თავისკენ, მაგრამ გზა სხვადასხვაა და არ მოხერხდება, რომ ერთმანეთს გადაველობოთ და მსვლელობა შევუფერხოთ ერთმა მეორეს! „რომში ყოველი გზით შეიძლება შესვლაონ“, - ხატვამია და თუ ჩვენც, ერთი მიზნის მიმდევარი, ორი სხვადასხვა გზით მივდივართ ცალცალკე – ის აღმოსავლეთის და მე დასავლეთის გზით, ეს არ ნიშნავს უთანებმოებას და მტრობას. და ან კი რა საჭიროა, რომ როცა ილია თავის საკუთარი გზით მიისწავის, მეც მაშინ თან ვახლდე, მისი საგზალი მიმქონდეს და აბუნდა დავუნერდე ხოლმე? ან როცა მე ჩემი გზით მივდივარ, რათ უნდა უეჭველად ჩემ გვერდში იდგეს ილია ჭავჭავაძე?... აკაკი ილიას ყოველგვარ ნანერს ქების ტაშს არ უკრავს და ყოველ მის საზოგადო მოღვაწებას არ ეთანხმება! სჩანს, რომ ემტერება და სძულსო. იგივე ჩემ შესახებაც ილიაზედაც ამას ჰავიქობება... თუ მტერზედაც კარგი ითქმის და მოყვარეზეც ცუდი, ვერ ნარმოუდგენიათ“ (წერეთელი 2001: 102-103). ეს წერილი აკაკის არ დაუბეჭდავს.

სამწუხაროდ, ამ ორი დიდი ადამიანის შესახებ არასწორი აზრის გავრცელებას ზოგჯერ ისეთი პიროვნებებიც უწყობდნენ ხელს, რომელთაც პირველ რიგში ევალებოდათ, სხვისთვის გაექარწყლებინა უმართებულო შეხედულება. ამიტომაც გულისტყივილით აღნიშნავდა აკაკი ზემოხსენებულ წერილში: „რაც სოფლის მითქმა-მოთქმას ეპატივება, ის არ დაეთმობა მნერლობას და ჩვენი მნიგნობრებიც რომ ცოტაოდენ სიფრთხილეს დაიჭრდნენ, არ იქნებოდა ურიგო“ (წერეთელი 2001: 103).

XIX საუკუნის მინურულს, კერძოდ, 1899 წელს გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე გახშირდა ლიტერატურული თავდასხმები აკაკი წერეთელზე. პოეტის აზრით, ამის მიზეზი კვლავ და კვლავ ცნობილი „ბანკობია“ იყო, რომელშიც მას თავისი უახლოესი მეგობრისა და ილია ჭავჭავაძის მონიანაღმდეგის, ივანე მაჩაბლის, მხარე ეჭირა. „კრებულის“ ივნისის ნომერში აკაკიმ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ჩვენი ბანკობია“. „ივერიის“ 20 ივლისის 153-ე ნომერში კი დაიბეჭდა ფელეტონი „ჩვენი მოღვაწეები, ანუ ციხე შიგნიდან გატეხილი“, რომელშიც მგოსანი მეტად უდიერად იყო მოხსენიებული. წერილს ხელს აწერდა „სილოვანი“ (სილოვან ხუნდაძე). აკაკის იგი ლექსადაც მოძღვრავდა, რომელიც ასე მთავრდებოდა:

თუ საქმითა შლი სიტყვით აღბეჭდილს,  
ნიჭით თუნდ ცამდი იყო მაღალი,  
აწმყოსგან პატივს ნურას თხოულობ,  
ნიჭისთვის თაყვანს გცემს მომავალი.

აგვისტოში უურნალმა „მოამბემ“ გამოაქვეყნა კ. აბაშიძის წერილი „თავადი აკაკი წერეთელი და ქუთაისის ბანკი“. მასში ბევრი რამ იყო უსამართლოდ გაშუქებული და პოეტისათვის გულსატკენი. ამ სტატიიდან გარკვეული პრინციპით შერჩეული ადგილები გადმობეჭდა „ივერიამაც“.

აკაკიმ ვრცელი წერილით მიმართა ილია ჭავჭავაძეს (წერეთელი 1899) და სცადა გაერევია, რამდენად შეესაბამებოდა მისდამი რედაქციის დამოკიდებულება რედაქტორისას: „იმდენი იცოცხლეთ, რამდენი თქვენ შესახებ წერილი „კრებულის“ რედაქციას მოსვლოდეს და მოდიოდეს დღესაც, მაგრამ ჩვენ-კი არ გამოგვერნდეს საქვეყნოდ!.. არ ვბეჭდავთ, რადგანაც ზოგი მათგანი უმნიშვნელოა და ზოგიც ისე წვრილმანი, რომ იმათ გამო თქვენისთანა კაცის უზრდელად შეხება და უკადრისად მოხსენება უმართებულობად მიგვაჩნია ... ვერ დავიჯერებ, რომ ეს სტატია, სადაც ამდენი უმართებულობაა, თქვენ ნაკითხული გქონდეთ დაბეჭდვამდე და თქვენის ნებართვით ყოფილიყოს „ივერიაში“ გადაბეჭდილი? ყოველ შემთხვევაში, ვუცდით თქვენს პასუხს, თქვენი ბრწყინვალებაც, ბატონო რედაქტორო.“ ილიამ ეს წერილი უპასუხოდ დატოვა

სულ მალე „ივერიის“ საახალწლო დამატებაში (1900, 1) გამოქვეყნდა ლექსი „ფულიკო“, რომელსაც ხელს ვინჩე „ზ“-ი აწერდა. ლექსი ფაქტობრივად, გახლდათ პარიფია აკაკის „სულიკოს“ თემაზე და მასში პოეტისათვის მეტად შეურაცხმყოფელი აზრები იყო გამოთქმული. ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, ვინ იყო ლექსის ავტორი. აღმოჩნდა, რომ ამ ფსევდონიმით რამდენიმე ადამიანი სარგებლობდა. ესენი არიან: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაშვილი, ეგნატე ნინოშვილი და ალექსანდრე ყიფშიძე. ჩვენ ეჭვი თავდაპირველად ამ უკანასკნელზე მივიტანეთ, თუმცა ვერავითარი ხელჩასაჭიდი საბუთი, გარდა იმისა, რომ იგი ამ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა „ივერიასთან“, ვერ მოვიპოვეთ. მის პუბლიკაციათა შორის ვერც ერთი ლექსი ვერ მოვიძიეთ და, საერთოდ, აღმოჩნდა, რომ იგი თითქმის არ ეხებოდა ლიტერატურულ საკითხებს. ამდენად, ფსევდონიმი ჯერჯერობით გაუხსნელი დარჩა.

„ფულიკოს“ წაკითხვით აღმოჩნდა აკაკიმ შექმნა „ფულიკო“. პოეტმა გამოიყენა 1899 წლის ივნისში მომხდარი ფაქტი, რომელიც მაშინ დიდი მითემა-მოთქმის საბაბი იყო და ერთგვარ ჩრდილს აყენებდა ილია ჭავჭავაძის რეპუტაციას.

საქმე ეხებოდა სათავადაზნაურო ბანკის ბაქოს სააგენტოს, რომლის გამგეც პავლე (პალიკო) ყიფიანი იყო. 1899 წლის იანვარში ილია ჭავჭავაძის მიერ ბაქოში ჩატარებულმა რევიზიაზ მხოლოდ ორი უმნიშვნელო დარღვევა აღმოაჩინა. რაკი ბაქოდან პ. ყიფიანის შესახებ ცუდ ამბები ჩამოდიოდა, იმავე წლის აპრილში ბანკმა მეორე კომისია მიავლინა ნ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით (წევრები: ა. ვახვახიშვილი, გ. უურული, ი. ჭავჭავაძე და ბუხპალტერი ლვამიჩავა). კომისიამ მუშაობა 10 მაისს დაასრულა და უამრავი დანაშაულებრივი ფაქტი აღნუსხა, რომელთა საფუძველზეც პ. ყიფიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იგი გადააყენეს თანამდებობიდან და მის ნაცვლად ი. მანსვეტაშვილი დანიშნეს. პ. ყიფიანმა მოახერხა პარიზში გაქცევა. მან გაიტაცა 26 858 მანეთი. საბოლოო ჯამში გამგეობას თავისი უყურადღებობა 53 933 მანეთი დაუჯდა (თელია 1989: 218-219). ცხადია, ეს შემთხვევა ილიას მოწინააღმდეგებისთვის „მსუყელუება“ აღმოჩნდა.

„კვალში“, რომელიც ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური ორგანო იყო (ამას იმპერიის მასშტაბით იმ დროისათვის ანალოგი არ მოექცებოდა), ეს ფაქტი ასე გაშუქდა: „ორში ერთი: მას (ი. ჭავჭავაძეს — ნ.ფ.) ან არ მოუხდენია რევიზია და მამასადამე ვერც რამეს აღმოაჩინა, ან მოახდინა, მარა იმდენათ ზერელეთ, რომ აშკარა ფაქტები ვერ შეამჩნია“. „კვალის“ მხრიდან თავდასხმა მოულოდნელი არ იქნებოდა ილიასათვის. ეს პერიოდული ორგანო 1898 წლიდან ნ. უორდანიას ხელში იყო და მხოლოდ ერთი წლის მანილზე შეინარჩუნა ერთგვარი ნეიტრალიტეტი. 1900 წლიდან კი „ივერიისა“ და „კვალის“ ფურცლებზე ქართული სათავადაზნაურო ბანკის გამო ილიასა და უორდანიას შორის მწვავე კამათი გარჩადა. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 1897 წელს, როცა ინგლისიდან საქართველოში დაბრუნებულმა ნ. უორდანიამ მოლაპარაკება გამართა „კვალის“ მფლობელებთან ან. თუმანიშვილთან და გ. წერეთელთან და ხალხში სხა დაირჩა, „კვალი“ სოციალ-დემოკრატების ხელში გადადისო, ილიამ დააპირა მოვლენათა განვითარებისათვის დაესწრო და უორდანიას ბანაკში გადმოებირებინა. თავად უორდანიას საინტერესო მოგონების თანახმად, ილიამ მიუგზავნა ალ. ყიფშიძე, თავისთან დაიბარა და „ივერიის“ რედაქტორობა შესთავაზა. უორდანიამ დრო ითხოვა მოსაფიქრებლად, თუმცა წინააღმდების მიღება არც უფიქრია როცა საბოლოოდ უარი განუცხადა შეთავაზებაზე, ილიას უთქვამს: „თქვენ ნებაა. იმედი მაქვს, ერთმანეთს ხელს არ შეუშლით“. უორდანიას თქმით, მან ეს სიტყვები თავდაუსხმელობის პირობად მიიღო და დაიკვა მანამ, სანამ თავად „ივერიამ“ არ დაარღვია იგი.

ილია ჭავჭავაძეს არც ბაქოს მოვლენებთან და არც „კვალის“ პუბლიკაციასთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. არც აკაკის დაუბეჭდავს თავისი „ფულიკო“, თუმცა იგი საზოგადოების გარკეცელებში მაინც გავრცელებულა და „ივერიის“ მხარდამჭერთა იმდენად მძაფრი უკანასკნელება გამოიუწვევია, რომ აკაკის „საპასუხო წერილი“ (წევრეთელი 2001) დაუწერია. მასში პოეტი ორ გარემოებაზე ამახვილებდა ყურადღებას: 1. მის წინააღმდეგ ამხედრებული „ახალმოდის რაინდები“ ორგულსა და მოღალატეს უწოდებდნენ და მთელი საქართველოს სახელით სთხოვდნენ, გარიდებოდა ქვეყანას; 2. ამ ადამიანების აგრესია გაუგებარი იყო, რადგან აკაკი მათ პიროვნულად არასოდეს შეხებია და არც გაუკრიტიკებია; პოეტის განმარტებით, გარკეცელი წერების გაღიზიანება გამოიწვია მისმა იგავებმა. სწორედ იმ იგავებმა, რომლებიც 27 წლის წინ დაინერა და თავის დღოზე დღეს განაწყენებულთა მამების რისხვა დაატეხა თავს. „იგავ-არაკე ცხოვრების საკეება. მესარებს ის კი არა აქვს მიზნად, ესა და ეს მახინჯა გავაჯავროო! არა, ის საზოგადოდ ჰეიქრობს: აი მე ამ სარკეს ვაკეთებ, დეე, ყველამ ჩაიხედოს შიგ, მშვენიერმაც და მახინჯამაც, წმინდამაც და გასვრილმაც. ჩაიხედონ და სასარგებლოდ გამოიყენონ!“ საკვირველია, მაგრამ აკაკის არც ეს წერილი გამოქვეყნებია. საკითხავია, რატომ მოერიდა პოეტი თავისი სამართლიანი გულისწყრომის საქვეყნოდ გამოცხადებას? „საპასუხო წერილი“ დაინერა 1900 წლის 5 მარტს. შესაძლოა, აკაკიმ ანგარიში გაუწია „ივერიაში“ მაისში გამოქვეყნებულ ცნობას, რომ ილია ავადა და სამკურნალოდ გერმანიაში უნდა გაემგზავროს. თუმცა, ჩვენი აზრით, გარდა ილია ჭავჭავაძისათვის გათვალისწინებისა, სხვა მიზეზიც უნდა არსებობდეს. ვფიქრობთ, მას უნდა შეეტყო ისეთი რამ, რაც მოვლენებს სრულიად სხვაგვარ შუქს მოჰყენდა.

აკაკი ბაქრაძე თავის მონოგრაფიაში „ილია ჭავჭავაძე“, სხვათა შორის, ეხება ბაქოს სააგენტოს უცნაურ ინციდენტსაც და გამოთქვამს მეტად საგულისხმო ვარაუდს: ვინაიდან სარწმუნო წყაროების მიხედვით, ემიგრაციაში მყოფი პ. ყიფიანი აქტიურად მონაწილეობდა შვეიცარიაში იარაღის შესყიდვისა და საქართველოში შემოგზავნის საქმეში, ხომ არ მიავლინა იგი თვითონ ილიამ კონსპირაციულად საზღვარგარეთ, რათა მოგმზადებულიყავით მომავალი ბრძოლისათვის? თუ ეს მართლაც ასეა, ცხადია,

ილია სიმართლეს ვერ იტყოდა. ამ შემთხვევაში ყველაზე გონივრული მომხდარის უკომენტაროდ დატოვება იქნებოდა.

მართალია, ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რა მოხდა, მაგრამ გარკვეული ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია. საქმე ისაა, რომ ქართული ემიგრაციის არცთუ ისე მრავალრიცხოვანი წევრები შესანიშნავად იცნობდნენ ერთმანეთს და თუ რომელიმე მათგანის რეპუტაცია შელახული იყო, მნიშვნელოვან საქმეს მასთან არ დაიჭერდნენ. ან განსვენებულმა ბატონმა გურამ შარაძემ საქართველოში ჩამოიტანა პარიზის ემიგრაციის არქივი. მასში პ. ყიფიანის შესახებ ფაქტობრივად ვერაფერი აღმოვაჩინეთ (როგორც ცნობილია, იგი ბრიუსელში ცხოვრობდა, ხოლო იქაური არქივი ჯერაც შეუსწავლელია), თუმცა ჩვენი ყურადღება მიიქცია გაზეთ „თეთრი გიორგის“ 1931 წ. ივნისის 41-ე წლის დასტამბულმა ნეკროლოგმა. გაზეთის რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ „ბრიუსელში (ბელგია) გარდაიცვალა პავლე (პალიკო) ყიფიანი, „დიდი ხნის ემიგრანტი და ცნობილი პატრიოტი“. საადავოდ არ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ თუ პალიკო ყიფიანს ემიგრანტა შორის ხაზინის ქურდის სახელი ექნებოდა, მას არც იარაღის შესყიდვის საქმეში ჩარევდნენ და არც ნეკროლოგში მოიხსენიებდნენ როგორც პატრიოტს. ჩვენი აზრით, ბრიუსელში დაცული ქართველ ემიგრანტთა არქივის შესწავლა თავის დროზე დაადასტურებს აკ. ბაქრაძის ვარაუდს. მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს გარემოება უნდა გამხდარიყო აკაკის დუმილის მიზეზიც. რაღა თქმა უნდა, თუკი აკაკისათვის ცნობილი გახდებოდა, რომ მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის უკან საქვეყნო საქმე იდგა, იგი თავს უფლებას აღარ მისცემდა, პირადი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გამოეყენებოდა შექმნილი ვითარება. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ „ულიკოცა“ და „საპასუხო წერილიც“ გამოუქვეყნებელი დარჩა.

#### დამოწმებანი:

**წერეთელი 1899:** წერეთელი ა. აკაკის კრებული 1899, ოტომბერი, 10.

**წერეთელი 2001:** წერეთელი ა. უცნობი აკაკი, თსუ გამომცემლობა 2001.

**თელია 1989:** თელია ა. ქართული სათავადა ზნაურო ბანეთ და ილია ჭავჭავაძე, თბ., 1989.

## მერაბ ლალანიძე

### ილია ჭავჭავაძის “ოსმალოს საქართველო”: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში (1914) გრიგოლ ყიფშიძე (1856-1921) წერს:

“ლაზისტანის ინტერესი კი მაშინ ამტყდარმა რუს-ოსმალოს ომშა გამოიწვია. ამ ომშა სხვა იმედებიც აღმრა, მაგრამ ბოლოს იმ “იმედისა დიდისა” ძირს დიდი აღარა დარჩა-რა.

საინტერესო იყო უურნალში წიგულისხმება: “[ივერია]” ნერილება თვით ილიასი. ერთს მათ შორის თვითონაც გაიხსენებდა ხოლმე ათასში ერთხელ. იქ გამოთქმულია, სხვათა შორის, ის აზრი, რომელიც შემდეგ, სამი-ოთხი წლის უკან რენანმა განმარტა თავის წიგნაკეში: “[]რა არის ერი?]. ნერილი გულ-თბილად არის დანერილი, გახსენებულია ნარსული, როცა მესხნი და ტაო-კლარჯინი ჩვენთან იყვნენ მხერად ერთს ფერხულში ჩაბმულნი და მესვეურობდნენ, პირველობდნენ კიდეც საქართველოს კულტურის აღორძინებაში” (ყიფშიძე 1987: 69).

ამის მოჰყვება მოზრდილი ამონანერი ხსენებული ნერილიდან, რის შემდეგაც ილიას პირველი ბიოგრაფი განაგრძობს:

“რენანის წიგნაკეში დედა-აზრიც ეს იყო. ერის დამახასიათებელი თვისება არც ერთ ტომობაა, არც ერთ სარწმუნოება, არც ერთ ენანობაა. ერთის ერად ბექმურილი, ერთ ერად გარდამქცევი საერთო ნარსულია, იმ ნარსულში გამოვლილი ჭირი და ლხინიაო” (ყიფშიძე 1987: 70).

როგორც გრიგოლ ყიფშიძის მიერ მოყვანილი ციტატიდან დასტურდება, ავტორი გულისხმობს პუბლიცისტურ ნერილს „ოსმალოს საქართველო”, რომელიც ანონიმურად გამოქვეყნდა 1877 წელს ყოველკვირვეული “ივერიის” 9-ე ნომერში (ცენტურის ნებართვა გაცემულია იმ წლის 28 აპრილს).

პირველ ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, რას უწყებას გვაწვდის ილიას ბიოგრაფი ამ ტექსტის შესახებ?

ა) ატრიბუცია: ანონიმურად გამოქვეყნებული ტექსტის ავტორია ილია ჭავჭავაძე<sup>1</sup>;

ბ) ისტორიული გარემო: ტექსტი განაპირობა რუსეთ-თურქეთის ომშა (1877-1878) და მასთან დაკავშირებულმა იმედებმა ქართველთა შორის, რაც გულისხმობს ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფ ქართულ მინათა დაბრუნებას<sup>2</sup>;

გ) ავტორისმიერი დამოკიდებულება: საკუთარ ტექსტს ილია გამოარჩევდა — “გაიხსენებდა ხოლმე”, ე. ი. მიშვნელოვნად მიაჩნდა და დამონზებდა;

დ) შინაარსი: სამცხისა და ტაო-კლარჯეთის მკვიდრ ქართველთა მონაწილეობა მთლიანი ქართველობის ადრინდელ ისტორიულ, სახელმწიფო პრივატულ ცხოვრებაში, რომლებიც ერთ დროს “პირველობდნენ კიდეც კულტურის აღორძინებაში”;

ე) კონცეფცია: ერის (= ეროვნული მთლიანობის) განმსაზღვრელი ნიშანი არაა არც ტომობრივობა, არც სარწმუნოება და არც ენა, არმედ ისტორიის ერთობა;

ვ) ევროპული ინტელექტუალური კონტექსტი: ტექსტის კონცეფცია ენათესავება ერნესტ რენანის შემდგომდროინდელ კონცეფციას ერის შესახებ.

რა თქმა უნდა, ნერილისა არის გასაგებად ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ჩამონათვალიდან ილიას კონცეფციის ყიფშიძისეული ინტერპრეტაცია (რენანთან მიმართებაში), მაგრამ მის გასაზრებლად და მისი ადეკვატურობის შესაფასებლად, პირველ ყოვლისა, იმ ციტატის წაკითხვაა აუცილებელი, რომელიც ბიოგრაფის მოჰყავს. ეს ციტატა ამგვარია<sup>3</sup>:

“ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის სულის ბერას, თვისი ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვისი ვინაობას, თვისი თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვანლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია” (ყიფშიძე 1987: 70-71, — განსხვავებანი ხაზგასმულია; შდრ. ჭავჭავაძე 1955: 9)

<sup>1</sup> სახელნოდებით “ოსმალოს საქართველო” იმ ხანებში “ივერიაში” ცხრა ტექსტი გამოქვეყნდა, მაგრამ ტექსტოლოგები ილიასეულად მხოლოდ ამ ერთ მათგანს მიიჩნევენ. ტექსტის ატრიბუციის შესახებ იხ. ჭავჭავაძე 1955: 395-397; ჭავჭავაძე 1997: 616-617.

<sup>2</sup> ილიას დამოკიდებულების შესახებ რუსეთ-თურქეთის ომის, მასში ქართველთა მონაწილეობისა და მისი მეშვეობით ქართულ მინათა დაბრუნების მიმართ იხ. ინგოროვა 1957: 128-133.

<sup>3</sup> ტექსტი მოგვყვავს ილიას აკადემიური ოცტომულის მიხედვით, რადგან ყიფშიძისეული დამონშება ორიოდ ადგილას რამდენადმე განსხვავდება მისგან მეტად არსებითი ცნებების მონოდებისას: “ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულმარტინის გულმარტინი, რეზინის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის ღვანლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია” (ყიფშიძე 1987: 70-71, — განსხვავებანი ხაზგასმულია; შდრ. ჭავჭავაძე 1955: 9)

ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია” (ჭავჭავაძე 1997: 56).

ყიფშიძის მიერ ამ მონაკვეთის მოყვანა საესებით ბუნებრივია: ის არა მარტო იწყებს ილიასეულ ნერილს, არამედ მის მთავარ სათქმელსაც გამოხატავს.

მაინც რა არის ეს სათქმელი?

ილიას მიაჩნია, რომ თავისი ისტორია ერს ანიჭებს:

ა) “სულის ღონები”: სულიერ ძალას, გამძლეობას, მოქმედების უნარს;

ბ) “სულის გეგრას”: შინაგან ტონალობას, ცხოვრების შიდასტილს, შინაგან განცდას;

გ) “ზეობითს და გონებითს აღმატებულებას”: მორალური და ინტელექტუალური ზრდის, განვითარების, ამაღლების უნარს;

დ) “ვინაობას”: იდენტურობას, თვითობას, ეროვნულ მეობას, — იმას, რაც მას სხვა ერებისაგან გამოარჩევს;

ე) “თვისებას”: ეროვნულ ხასიათს, თავისებურებებს, ზნეს.

ყველა ამ ნიშნის ჩამოყალიბებას ერის გამოხატულებაში განაპირობებს ისტორია, ხოლო ამ ნიშნების ერთობლიობა ანუ ის საგანძური, საიდანაც ერი თავისი ცხოვრებისეული განვითარებისას საზრდოობს, ისტორიაა. როგორც ილიას მიაჩნია, ერის ერთიანობისათვის საერთო ისტორიის მნიშვნელობას ვერ შეედრება ვერც ენის, ვერც სარწმუნობის, ვერც გვარტომობის (= სისხლისმიერი) ერთობა. ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს — და ერად კრავს! — სწორედ ერთად გავლილი ისტორია თავისი ჭირითა და ლხინით, თავისი დამარცხებებითა და წარმატებებით. ილიას აზრით, ვერაფერი ჩამონაკვთავს ისე ადამიანთა კავშირს ერად, როგორც ისტორია.

და კიდევ: მართალია, ერის დარღვეულ ნაწილთა შორის მაინც ყოველთვის არსებობს მაკავშირებელი ირაციონალური სწრაფვა (“იდუმალი შემსჭვალულება, იდუმალი მიმზიდველობა”), მაგრამ ერთიანობის შესუსტებული გრძნობის გასაღვივებლად ისევ აუცილებელია, “რათა იფეთქოს, იქცქოს დაისწერებულმა ისტორიაში” (56)!

ამგვარი შემთხვევები დროს მოაქვს და ერთ ამგვარ შემთხვევად ილიას ოსმალოს საქართველოს მთლიან საქართველოსთან შეერთების შესაძლებლობა მიაჩნია (რაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1877 წელს გაჩაღებულმა ომმა მოიტანა), ხოლო ამ გარემოებაში კი კიდევ ერთხელ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ ერთობას, თუმცა არც სისხლისმიერი და არც ენისმიერი ერთობაა დაგინებული (“გარდა იმისა, რომ ჩვენ გართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვერბია” — 56). ტექსტში აյ პირველადაა დადასტურებული ერთი ერის ამ ორად გახლებილი ნაწილის სისხლისა და ენის ერთობა, ხოლო რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ნახსენები იქნება სარწმუნოებაც, ოლონდ არა როგორც ერთიანობის ერთ-ერთი საფუძველი (რაც შეუძლებელი იყო, რადგან ოსმალოს საქართველოში მცხოვრები თანამემამულენი, ილიას ცნობით, იმჯერად ერთიანად მუსლიმები იყვნენ, რასაც ტექსტის ბოლო ნაწილში დაეთმობა ყურადღება), არამედ როგორც ადრეული ნიმუში ისტორიული ერთობისა: საზღვარსაქეთა თუ საზღვარსიქითა ქართველები ერთ დროს, სხვა ღირებებულებთან (სწავლა-განათლება, ერთმართველობა) თანაბრად, სარწმუნოებისათვისაც — ქრისტიანული სარწმუნოებისათვის — მხარდამხარ და ერთად იბრძოდნენ: “ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ისტორიულ სახელის ხელშია, მედვრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინდებისათვის” (57).

ქრისტიანობის თემა შემდგომ ისევ ჩნდება ტექსტში, როგორც ქვეყნის საერთო ისტორიაში სამხრეთ საქართველოს პირველობისა და მენინავეობის ნიშანი: “პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ახდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპმსახურება სუფევდა” (57). იმუამინდელი დაპირისპირებაც ქართლსა და სამცხე-კლარჯეთს შორის მხოლოდ სარწმუნოებრივი ყოფილა: კერპთაყვანისმცემელმა მეფე ადერკიმ “საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ ნბინდა ნინოს მოსვლამდე” (57). ამდენად, თუ ქართლში ქრისტიანობის გავრცელება წმიდა ნინოს სახელს უკავშირდება, სამცხესა და კლარჯეთში ახალ სარწმუნოებას — საუკუნეებით ადრე — წმიდა ანდრია მოციქული უდებს სათავეს.

სხვათა შორის, ღირსებანიშნავია, რომ თავის ამ ნერილში ილია საქართველოს წარსულის მიმოხილვას, ფაქტობრივად, ქვეყანაში ქრისტიანობის შემოსვლით იწყებს (ამჯერად ყურადღების მიღმა დავტოვოთ ილიას ამ ისტორიული მიმოხილვის სიზუსტე და წყაროები, რაც იმდროინდელი საისტორიო ცოდნითა განპირობებული, თუმცა აღსანიშნავია, რომ თუნდაც მნერლის ისტორიული კონცეფცია, თუნდაც მის მიერ მონიდებული ფაქტობრივი ცნობები დიდად საკამათოდ არც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს).

ყურადღალებია, აგრეთვე, რომ ეროვნული ერთიანობის წადილის გამოვლინებად და მიღწევად ილია მიიჩნევს 586 წელს ქართველი (და უკვე აღარა ბერძენი) კათალიკოზის აღსაყდრებას და ქართულ მინებზე მისი სამღვდელმთავარო უზენაესობის აღიარებას, თუმცა მნერლის ეს ფაქტი ამგვარი სწრაფვის მაინც პალიატივურ ფორმად მიაჩნია: “ამგვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად” (57). ეროვნული ერთობის გადამწყვეტი გამოვლინებად უფრო მეტად ქართულ მხარეთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებაა მიჩნეული, რაც ნელ-ნელა ხორციელდებოდა კიდეც, განსაკუთრებით, არტანუჯელი

<sup>1</sup> შემდგომ გვერდები მითითებულია წიგნის დაუსახელებლად, — იგულისხმება შემდეგი გამოცემა: ჭავჭავაძე 1997.

ბაგრატიონების მეთავეობით. ერთიანობის იმპულსი ისევ კლარჯეთიდან მოდიოდა! აქ ილია კიდევ ერთხელ იხსენებს ქრისტიანობის დაცვისათვის სამხრელ ქართველთა ლგანწლს: როცა არაბების მიერ ქართულ მიწათა დაცყრობის შემდეგ დამპყრობლები ქართველთა შორის ისლამის გავრცელებას ცდილობდნენ, „ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღწვოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღვრმელობითა“ (58). ამ კონტექსტიდან არ მუდავნდება, ნიშნავს თუ არა ამ შემთხვევაში ქრისტიანობისათვის ბრძოლა ქართველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას (რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის სრულიად ბუნებრივად ჩას!) თუ ამ გაბრძოლებას რელიგიური შინაარსი ჰქონდა, მაშინ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისევ ამგვარი შემოტევა — ამჯერად არა არაბების, არამედ ოსმალოთა მხრივ — იქაურ ქართველთა შორის ქრისტიანობის დამარცხებით დამთავრებულა (რადგან იმ მხარეში სწორედ ისლამმა გაიმარჯვა), ხოლო თუ ეს იყო ბრძოლა ქართველობის შესანარჩუნებლად, მაშინ ოსმალოს ქართველებს, სარწმუნოების დაკარგვის მიუხედავად, ქართველობა მაინც მტკიცედ შეუნარჩუნებიათ, რასაც ილია ამავე ტექსტში — ორიოდ გვერდის შემდეგ — უფრეს ლენია და ადასტურებს.

შემდგომ ილია მიმოიხილავს ამ მხარის ლგანწლს ქართული ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებაში, რაშიც იგი გულისხმობს მის მიერ მოხსენიებულ ქრისტიანული არქიტექტურული ძეგლების აღმშენებლობას, სწავლა-განათლებას, ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნას<sup>1</sup>. ამას გარდა, ლირებულადაა მიჩნეული საგანმანათლებლო ურთიერთობანი საბერძნებთან და ისევ არაა დავინწყებული სამხრელ ქართველთა ლვანლი ქრისტიანობის დასაცავად და გასაძლიერებლად, ოლონდ ამჯერად არა ბრძოლის ველზე, არამედ სულიერ კერათა მეშვეობით: „ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ანესებდგნენ მონასტრებს“, მაგრამ იქვე, საგანგებოდა აღნიშნული ამ მონასტრების საერო-სამოქალაქო დანიშნულებაც: „რომლებშიც უმანგვილებისათვის სასწავლებულოთ მართავდნენ“ (58). ამავე დროს, ნაჩენებია ორი რელიგიის დაპირისპირება ინტელექტუალურ ასპარეზზე („როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში არაბები მაპამდიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების მეშვეობითა...“ — 58) და ამჯერადაც ქართველ ქრისტიანთა სულიერ-ინტელექტუალური საქმიანობის სარბიელი ისევ სამცხე-კლარჯეთია.

ილია, აგრეთვე, ყურადღებას უთმობს სამცხის საერო კულტურას, რის ერთადერთ, მაგრამ მთავარ დასტურადაც იგი მოიხსენიებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, რომელიც, მწერლის თვალსაზრისით (და ტრადიციული შეხედულებით), „იმ მხრის კაცი იყო“ (58), რადგან „რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშებლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია“ (58). ქართული ცნობიერების, ეროვნული ტრადიციისა და კულტურის ცენტრალური ტექსტიც<sup>2</sup> ამ მხარეში წარმოშობილა!

ილიას მიაჩნია, რომ რაც კი ძველ საქართველოში ლირებულად მიჩნეულა ადამიანური მოღვაწეობის მხრივ — „სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული“ (58) — მისი აკვანიც და სამარეც სამხრეთ საქართველოში ყოფილა. ამდენად, კულტურული ერთობა (საკუთარი ქვეყნისადმი ემოციური დამოკიდებულების გვერდით) ეროვნული ერთიანობის ერთი უმთავრესი გამოვლინებაა, — სახელმწიფოებრივ, რელიგიურ, სტრატეგიულ ერთობასთან ერთად, რაც მთლიანობაში ქმნის სწორედ ეროვნული ერთიანობისათვის გადამწყვეტ და განმაპირობებელ ისტორიის ერთობას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დაშლისა და სამხრეთ საქართველოს ცალკე გამოყოფის შემდეგ შესამჩნევი ბზარი გაუჩნდა ამ საუკუნოვან ეროვნულ ერთიანობას, მაგრამ კარგა ხანს მაინც შენარჩუნებული იყო სარწმუნოებრივი ერთობა, რადგან ეს კუთხე ჯერ ისევ ქრისტიანობის მყარ სიმაგრედ რჩებოდა: „1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეჭვრათ ქრისტიანობა“ (59), და ამ შემთხვევაში სარწმუნოების ერთგულება ეროვნული თვითობის ერთგულების თანაბრად წარმოჩინდება: „ოსმალებმა ვერ დააკლეს რა ვერც სარწმუნოებას, ვერც ქართველობის გვარტომობასა“ (59), თუმცა ტექსტის ამ მონაკვეთში სარწმუნოება და ეროვნება მკაფიოდაა გამიჯნული ერთმანეთისაგან.

რაკი სამცხე-საათაბაგოს სახელმწიფოებრივად ცალკე გამოყოფის შემდეგაც იქაური ქართველები, როგორც აღინიშნა, ისევ ინარჩუნებენ ქართველობას, ეს იმას მეტყველებს, რომ სახელმწიფოებრივი ერთობისა დაშლა ვერ შლის ეროვნული ერთიანობის შეგნებას.

მაგრამ მომდევნო ხანში იწყება სარწმუნოებრივი ერთობისა დაშლაც, — იწყება სამცხე-საათაბაგოს თანდათანობითი გამუსლიმების პროცესი: „იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაპამდიანობა, ზოგს ძალატატანებითა, ზოგს მოტყუებითა და მაცდელობითა“ (59). იქაურობის იმჟამინდელი საერთო რელიგიური სურათი კი ილიას მიერ ამგვარადა დახატული: „სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი სამღლო-საერო წიგნები ცეცხლს მისვლენ. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უნინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეღლესიოდ და სასონარკვეთილი, მხარედ დაჩავრული, უნყალოდ დევნული და განადგურებული, ნელ-ნელად მიუცა მაპამდიანობასა“ (59).

თუმცა ილიას ცნობით, ზოგ სამხრელ ქართველს მაინც შეუნარჩუნებია ფარულად ქრისტიანობა, და ხანდახან იმასაც კი ახერხებენ, რომ შვილები მოსანათლავად ქართლში გადმოიყვანონ, ანდა ისევ

<sup>1</sup> სხვათა შორის, ილია აღნიშნავს, რომ „სამცხე-კლარჯეთის ქართველობის სამღლოთ და საერო წიგნებს ქრისტიანობისას პსთარეგმიდნენ“ (58), რაც იმას მეტყველებს, რომ ილია ქრისტიანულ ლიტერატურული ჩართავს როგორც საკრალური შინაარსის ტექსტებს, ისე საერო, ოღონდ ქრისტიანული მიმართულების, ქრისტიანული სულისკვეთების ტექსტებს, მაგრამ მათ, ამავე დროს, ერთმანეთისაგან მჯდავს კიდევ, რაც — ერთიც და მეორეც — მეთოდოლოგიურად გამართლებული და, ალბათ, გაცნობიერებულ მდგომა.

<sup>2</sup> შდრ. „გლაზის ნამბობი“: „ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე“ (ჭავჭავაძე 1988: 160).

იდუმალად ჯვარი დაინერონ (59). (როგორც ჩანს, არც ილიამ და არც ქართველმა საზოგადოებამ იმუმად ჯერ არ იცოდა, რომ მართალია, სამცხეში გაუჩინარდა აღმოსავლურ-ბიზანტიური ეკლესის კვალი, მაგრამ ოსმალეთის შემადგენლობაში აღმოჩენილ სამხრეთ საქართველოს მიწებზე მცხოვრებთა დიდი წილი მტკიცედ ინარჩუნებდა კათოლიკურ სარწმუნოებას და ადგილობრივ, თავის სამკვიდროში, წესისამებრ მისდევდა საეკლესიო ცხოვრებას<sup>1</sup>.)

მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია, რომ აქ ტექსტში გამოჩენდება თემა ისტორიული ხსოვნისა, რაც თაობებს შორის, წინაპრებთან, ტრადიციასთან კავშირს განაპირობებს და რაც მეხსიერების მიერი აქტუალობის სახით ჯერ ისევ არსებობს. ამ ხსოვნას კი უეჭველი ლირებულება აქვს, რადგან ის ეროვნული ერთიანობის არა მარტო წარსული საყრდენია, არამედ მომავალი მთლიანობის შესაძლო საძირკველიც. თუ რეალურ სინამდვილეში სარწმუნოებრივი ტრადიციის წყვეტა თვალზე ილია, ისტორიულ ხსოვნაში — როგორც ხელმისაწვდომი ფაქტი — ის ისევ ცოცხლად არსებობს. ამის შესახებ ილია ასე წერს: “დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, ზოგის მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან” (59).

რავი აღმოჩენდა, რომ, სახელმწიფოებრივი დაშორების გარდა, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი სარწმუნოებრივადაც დასცილდა დანარჩენ საქართველოში მცხოვრებთ, ბუნებრივია, ნამოიქრება საკითხი: შეძლებს თუ არა ერის ეს ორი გაყოფილი ნაწილი — ერთმანეთთან ხელახალი შეერთების შემდეგ — ეროვნული ერთიანობის საფუძვლის მოპოვებას? ამ საკითხს ილია მკაფიოდ უპასუხებს, და ეს პასუხი დადებითია!

ეს დასაყრდენი კი, ილიას თვალსაზრისით, საერთო ისტორიაა, ისტორიული ერთობა, — ეროვნული ცნობიერების ის ხსოვნის მიერი მემკვიდრეობა, რომ საუკუნეების განმავლობაში საზღვარსაქეთა და საზღვარსეიქითა ქართველნიც იყვნენ “ერთად სისხლის მღვრელი, ერთად ღვანლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინები” (60).

რაც შეეხება ერის ორ ნაწილს შორის სარწმუნოებრივ განსხვავებას, არის და იქნება თუ არა ის ხელისშემშელელი დაბრკოლება ეროვნული ერთიანობისათვის? შეძლებს თუ არა ქართველობის ქრისტიანი უმრავლესობა ქართველობის იმ ნაწილის შეთავსებას, რომელიც ისლამს აღიარებს? საკითხი მწვავეა და XIX-XX საუკუნის განმავლობაში ანალოგიურმა მდგომარეობამ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში არათუ ეროვნული ერთიანობა, არამედ მრავალი გადაუქრელი და სისხლიანი კონფლიქტი წარმოშვა (სახელდახელოდ გასახსენებლად ინდოეთ-პაკისტანის დამოკიდებულების მაგალითიც კმარა: მუსლიმი ინდოელები ემიგრანტიან ინდოეთს და ბრძოლით ქმნიან თავიანთ სახელმწიფოს — პაკისტანს, რომელიც ათწლეულების მანძილზე მტრულ ურთიერთობაშია თავის დედასამშობლოსთან; ანდა შეუძლებელია იმის დავიწყება, თუ საქართველოსთვის უფრო ახლოს, ბიზანტიურ სამყაროში, როგორ გაემიჯნენ ბალკანელი მუსლიმი ბოსნიელები ქრისტიან სერბებსა და ხორვატებს).

ილიას მიაჩნია, რომ სარწმუნოებრივი განსხვავება არავითარ საშიროებას არ წარმოადგენს ეროვნული ერთიანობისათვის, და მისი არგუმენტები ისევ ისტორიულია: “სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა<sup>2</sup>, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მავალით, რომ ქართველს სურვებიყოს ღდესმე სხვისა სარწმუნოებს დაჩავრა და დევნა” (60), მაგალითად კი ილია საქართველოში მცხოვრებ განსხვავებული კონფესიის მიმდევრებს — სომხებს, ებრაელებსა და მუსლიმებს იმოწმებს, რომელიც, საუკუნების მანძილზე სწორედ საქართველოში პოულობდნენ, მწერლისეული გამოტქმით, “სინიდისის თავისუფლებასა” (60).

სწორედ ამ “სინიდისის” ხელშეუხებლობას ანუ სრულ კონფესიურ შეუზღუდველობას პირდება ილია ქართველი საზოგადოების სახელით მუსლიმ ძმებს, “ლორნდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი კიძმოთ” (60).

რა დასკვნები შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ ამ მცირე ზომის, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ტექსტიდან, სადაც ილია მკაფიოდ აყალიბებს ეროვნული ერთიანობის საუკარ კონცეფციას? როგორც წათლად ჩანს, ილია ამ ერთიანობის საფუძველს ისტორიულ ერთობაში ხედავს და თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეროვნული მთლიანობა ნაწილებად დაიშალა, ხოლო ეს ნაწილები მოსწყდა ერთმანეთს და მათ შორის აღარ არსებობს აღარც სახელმწიფოებრივი, აღარც ენობრივი, აღარც სარწმუნოებრივი ერთობა, მაშინაც კი ის დუღაბი, რაც ერის თვით ამ გახლებილ ნაწილებსაც აერთებს, არის ისტორიის საერთო გრძობა. ხოლო თუ ამ ერთობლივი ისტორიული მსვლელობის უამს ამ ნაწილებს ერთნაირი, ერთი სარწმუნოება ჰქონიათ, ეს ხელისშემწყობი საფანელია საერთო ისტორიის განცდისათვის, მაგრამ შემდგომი ხანის მიერ მოტანილო სარწმუნოებრივი განსხვავება არამც და არამც არ იქცევა ხელისშემშელელ დაბრკოლებად ეროვნული ერთიანობის შესანარჩუნებლად. ამდენად, სარწმუნოებრივი ერთობის განმსაზღვრელი ძალა დანახულია ისევ ისტორიული და არა რელიგიური თვალსაზრიდან.

ილიას ამგვარი პოზიცია უჩვეულოდ არ ჩანს, თუკი გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, ეპოქისა და გარემოს სეკულარულ დამოკიდებულებას სარწმუნოების მიმართ (სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ისტორიის მოკლე მიმოხილვისას ქრისტიანული საქართველოს ისტორიული მოვლენებიც

<sup>1</sup> ზაქარია ჭიჭინაძის მრავალი ნარკევი ამ თემაზე მხოლოდ 1890-აანი წლებიდან იბეჭდება, ხოლო ფუნდამენტური წყაროები სამხრეთ საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების შესახებ კიდევ უფრო მოგვანებით გამოქვეყნდა (თამარაშვილი 1902: 410 შმდ.; შდრ. ლომსაძე 1979).

<sup>2</sup> შდრ. “აჩრდილი”: “ქართველის სამკვიდროვ, [...] ჯვარცმულის დაზიანებულობის თვით ჯვარცმულობის და ნამებულობის ფავტავაძე 1987: 193).

ილიას მიერ უმთავრესად სეკულარული პოზიციიდან არის მოწოდებული)<sup>1</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლური საქრისტიანოსათვის დამახასიათებელ სარწმუნოებისა და ეროვნების ფაქტობრივ იდენტიფიკაციას, სადაც ეროვნული ლირებულებები ხშირ შემთხვევაში ძნელად თუ იმიჯნება სარწმუნოებრივი ლირებულებებისაგან. ილიას თვალსაზრისით, სარწმუნოებისა და ეროვნების ამგვარი განუყოფლობა შენახული ერის ისტორიულ მეხსიერებაში, ხოლო ისტორიული მეხსიერების სწორედ ეს საგანძური წარმოადგენს ეროვნული ერთიანობის ბალაგარს. ერთმანეთისაგან სახელმწიფოებრივად გახლეჩილი ქართველობის ოდინდელ საერთო ისტორიაში, იმ ისტორიული ერთობის საუნჯეში, რაც, ილიას აზრით, ეროვნული ერთიანობის განმაპირობებელი საფუძველია, სარწმუნოებრივი ერთობაც მოიპოვება, თუმცა ამ კონტექსტში ქრისტიანობა აღქმულია არა როგორც ცოცხალი სინამდვილე, არამედ როგორც ისტორიული მემკვიდრეობის წაუშლელი და გაუუქმებელი შემადგენელი ნაწილი.

ისიც უნდა ითქვას, რომ მართალია, “ოსმალოს საქართველოში” ეროვნული ერთიანობის უპირატეს საფუძვლად ილია ერთმნიშვნელოვნად ისტორიის ერთობას მიიჩნევს და, თუ არ გამორიცხავს, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებ ლირებულებას ანიჭებს ენასაც, სარწმუნოებასაც, სისხლისმიერ ნათესაობასაც (“არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა” — 56), მაგრამ მის სხვა ტექსტებში ძირეული მნიშვნელობა ენიჭება ენას. მაგალითად, 1881 წლის მარტის “შინაურ მიმოხილვაში” იგი წერს: “არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა” (ჭავჭავაძე 1997: 452)<sup>2</sup>.

თუმცა ადსანიშნავია, რომ ამავე მიმოხილვაში ილია ერთმანეთისაგან მიჯნავს ერის ერთიანობის საკითხს მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანობის საკითხისაგან, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას მიაჩნია, რომ არათუ სარწმუნოება, თვით ენაც კი არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ერთიანობის არც დასაყრდენს და არც აუცილებლობას:

“იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთი და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებებ დმეტოსა, ერთობა სახელმწიფოს უერ იხეირებსო და დაირღვევათ. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია [...] მოვა დრო, და გვვონია — დიდი ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რკულის შესახებ ბრძანიცა და თვალხილულიც ამბობენ ერთად” (ჭავჭავაძე 1997: 453).

როგორც ცხადად ჩანს, არც მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანობისათვის, არც ერთი ერის ერთიანობისათვის ილია გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდა სარწმუნოებრივ ერთობას (მრავალეროვანი სახელმწიფოს ახლო მომავლის პერსპექტივით კი — არც ენობრივ ერთობას).

ხომ არ უპირისპირდება ეროვნული ერთიანობის ილიასეული ეს კონცეფცია, — ჩამოყალიბებული თუნდაც 1877 წლის “ოსმალოს საქართველოში”, თუნდაც 1881 წლის “შინაურ მიმოხილვაში”, — ეროვნულ ფასეულობათა დღესდღეობით ფართოდ ცნობილ იმ სამწევრიან ნუსხას, რომელიც მწერალმა თავის ადრეულ კრიტიკულ გამოხმაურებაში შესთავაზა მკითხველს?

1860 წელს თავის პირველ ნაბეჭდ წერილში “ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან “შეშლილის” თარგმანზედა” 23 წლის ილია ჭავჭავაძე წერდა:

“სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათავან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?” (ჭავჭავაძე 1991: 31).

მაგრამ ეს სამეული მას არათუ არ განუხილავს, აღარასოდეს აღარც მიჰპრუნებია მას თავის მრავალრიცხოვან ნაწერებში და, მით უმეტეს, არასოდეს უქცევია ის ან საკუთარ, ან ქვეყნისა და ერის სამოქმედო ლოზუნგად<sup>3</sup>. საყურადღებოა, რომ ამ სამერთიანი ჩამონათვალისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება აზრად არ მოსვლია ილიას არც ერთ თანამედროვეს, არც ერთ მის თანამოაზრეს, არც ერთ მის ბიოგრაფს! ამ უეჭველ სინამდგილეს მკაფიოდ ადასტურებს “ივერიის” რედაქტორის ისეთი ახლო თანამშრომელიც, როგორიც იყო გრიგოლ ყიფშიძე, რომელიც ილიას თავის ვრცელ ბიოგრაფიაში ერთხელაც არსად ახსენებს ამ სამეულს.

<sup>1</sup> შდრ. ზურაბ კიკანაძე: “თავისთავად რწმენა, რასაც ილია სარწმუნოებას უნდოდებდა, როგორც წმინდა რელიგიური განცხადა, შველაზე ნაკლებად იყო მისივის აქტუალური, მის ყოველდღიურ ცხოვრებაში ნაკლებად ჩართული. სარწმუნოება მისთვის იყო ისტორიული კატეგორია, როგორც განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი, მაგრამ არა ეგ ზისტერნციალური მომენტი ადამიანთა და ერის ცხოვრებაში” (კიკანაძე 2006: 50).

<sup>2</sup> იყოც მანსვეტაშელიც თავის მოგონებების ასე გადმოსცემს ილიას სიტყვებს, სადაც განსაკუთრებით აღნიშნება ენის მნიშვნელობა სწორებად ერთიანისათვის დაკვირვებით: “ენა არის დედა ბოძის საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა და თუ ეს დედა ბოძი გამოვაცალეთ, [...] ჩვენი მშობელი ქვეყანა, ჩვენი საქართველო განადგურდება, განისაზღვრება დედა-მინის ზურგ ზეო” (მანსვეტაშეილი 1985: 74).

<sup>3</sup> შდრ. ზურაბ კიკანაძე: “ეს ტრიადა ერთადერთხელ გაახმიანს სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეშ და შემდგომში იყო აღარასოდეს გაუმეორებია. გარდა ამისა, გავიხსენოთ კონტექსტი [...] ავტორი აჯ არ სუურობს არც სამოადოების მოწყობაზე და არც გარევეულ დროზე გათვლილ (ან, მით უმეტეს, ზედორულ, ყველა ეპოქაში გამოსადევ) სამოქმედო პროგრამაზე. ეს არის, უბრალოდ, ქართველობის გამაურთისანებელი ფასეულობების ჩამონათვალი. ასე რომ, [...] არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს იგი ილიასათვის ურყევ პრინციპს ან სამოქმედო გეგმას წარმოადგენდა” (დასკუსია 2006: 17; შდრ. კიკანაძე 2006: 28-52).

<sup>4</sup> იხ. თუნდაც იონა მეუნარგიას სიტყვები ილიას შესახებ: “მას ჩანერგოდა გულში მამულისა და ენის სიყვარული” (მეუნარგია 1987: 490).

ილიას არასოდეს აუხსნია, თუ რას გულისხმობდა, როცა ყმანვილკაცობის დროინდელ წერილში ეროვნულ ღირებულებათა შორის გამიყოფდა „სამ ღვთაებრივ საუნჯეს“: მამულს, ენასა და სარწმუნოებას<sup>1</sup>, — რა შინაარსსა და მნიშვნელობას ანიჭებდა მათ ან ცალ-ცალკე ან ერთად, — მაგრამ მან მოვგიანებით ვრცლად დაასაპუთა თვალსაზრისი, რომ ეროვნული ერთიანობის საძირკველს ისტორიული ერთობა წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება სარწმუნოებრივ განსხვავებას, მან ის ხელისშემძლელ დაბრკოლებად არ მიიჩნია არც ეროვნული და, მით უმეტეს, არც სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის.

როგორც ჩანს, ეროვნული ერთიანობის მეტ-ნაკლებად მსგავს კონცეფციას იზიარებდა იაკობ გოგებაშვილიც: თავის ფუნდამენტურ ტექსტში „ბურჯი ეროვნებისა“ (1890) მას არა იმდენად სარწმუნოება, რამდენადაც ენა და ეროვნება (= ეროვნული თვითშეგნება) მიაჩნდა ეროვნული თვითობის განმსაზღვრელ მახასიათებლად. სხვათა შორის, კონტექსტი, სადაც იგი თავის ამ თვალსაზრისს გამოთქვამს, იგივეა, რაც ილიასეულ „ოსმალოს საქართველოში“, — საკითხი ისევ სამხრელ მუსლიმ ქართველებს შეეხება:

„მართალია, აჭარელებმაც სარწმუნოება შეიცვალეს, მაგრამ ენასა და ეროვნებას არ უდალატეს და თავით ფეხებამდის დარჩენენ ქართველებად“ (გოგებაშვილი 1990: 35).

გოგებაშვილი მკაფიოდ აცხადებს, რომ აჭარლები სრული ქართველები არიან რამე დანაკლისის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმ სარწმუნოებას არ მისდევენ, რომელსაც ქართველობის უმრავლესობა აღიარებს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ იგი მათგან განასხვავებს მავშელებსა და ერუშელებს, რომლებმაც

„ძალა-უნებურად უდალატეს ეროვნებას და დედა-ენას, გასცვალეს იგი ოსმალურს ენაზედ და ჩვეულებაზედ“ (გოგებაშვილი 1990: 34).

ეს გამონათქვამი კონცეპტუალურად დიდად არ განსხვავდება ზემორე მოყვანილი გამონათქვამისაგან (— აჭარელთა შესახებ), მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ეროვნულ თვისებას (და მის დაკარგვას!), გოგებაშვილის აზრით, განსაზღვრავს ენა და ტრადიცია (“ჩვეულება”).

ილია ჭავჭავაძის „ოსმალოს საქართველოს“ დაწერიდან შეიძიო ათეული ხლის შემდეგ, როცა XX საუკუნის შეახანებში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შედეგად გაჩენილი პოლიტიკური კონიუნქტურა წარმოშობს თურქეთის საქართველოს (ზემო ქართლის) ტერიტორიების საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკისათვის შემოერთების იმედებს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე მიმართავს ტაო-კლარჯეთის ქართველ მცხოვრებთ (“საქართველოს საკათალიკოზოს ზემო ქართლის ეპარქიებისათვის“)<sup>2</sup>, მოემზადონ დედასამშობლოსთან შესარჩყმელად, “რათა სისხლითა და ხორცით შეკავშირებულმა ადამიანებმა მოყარონ თავი მშობლიურ მიწა-ნებალზე” (ვარდოსანიძე 2001: 193). საქართველოს საპატრიარქოს მეთაური ქართველობის გახლებილ ნაწილთა ერთიანობის საფუძვლად კულტურულ ერთობას მიიჩნევს და ყურადღებას მიაპყობს, რომ თურქეთის საქართველო „ის მხარეა, სადაც დაირჩნა ქართული კულტურის აკვანი“ და, „თუ რაიმე მოგვაგონებს იმ ქართველობას, ეს დიდებულ ტაძართა ნანგრევებია...“ (იქვე). მიმართვა მთავრდება დაპირებით, რომ საქართველოსთან გაერთიანების შემდეგ არავინ შეეხება მუსლიმ ქართველთა სარწმუნოებას და არავინ აიძულებს მათ, უარყონ ისლამი (იქვე)<sup>3</sup>.

სხვათა შორის, ამ ორი ტექსტის თითო კონკრეტული მონაკვეთის სტილისტური სიახლოვე, — გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი გამოხმაურება, — ამძაფრებს ისტორიულ-ფაქტობრივ კონტრასტს:

„ოსმალოს საქართველო“: [სამხრელ ქართველებს] „მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებითა, ზოგს მოტყუებითა და მაცდურობითა“ (ჭავჭავაძე 1997: 59);

კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა: „ჩვენ აღთქმას ვდებთ: ვაბრიყვებით, მზაკვრობითა და ცდუნებით არცერთი მუსლიმანი არ იქნება გაქრისტიანებული“ (ვარდოსანიძე 2001: 193).

პატრიარქის მიმართვის ტექსტი ადასტურებს არა ოდენ ილიასეული იდეური მექანიზრებითობის შენარჩუნებასა და ერთგულებას თვით კომუნისტური რეჟიმის პირობებში, არამედ კიდევ ერთხელ იმასაც, რომ თავად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის საჭეთმცყრობელიც კი, ილიას ეროვნული ერთიანობის კონცეფციის კალაპოტში, ეროვნული მთლიანობის იდეიდან გამორიცხავს სარწმუნოებრივ ერთობას, ხოლო ეროვნული ერთიანობის — როგორც ჩანს — ერთადერთ საფუძველს იგი კულტურის ერთობაში ხედავს.

<sup>1</sup> შდრ. ივანე აბხაზის სიტყვები, გადმოცემული გრიგოლ ობელიანის ჩანაწერებში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბულამდის“: „თავადინ და აზნაური, რომელთაცა უყვარდათ მამული, სარწმუნოება, მეფე...“ (ორბელანი 1959: 172).

<sup>2</sup> შდრ. პაპუაშვილი 1986: 105.

<sup>3</sup> შდრ. „ოსმალოს საქართველო“: „ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს“ (60).

დაბოლოს: რა აკავშირებს ეროვნული ერთიანობის ილია ჭავჭავაძისეულ კონცეფციას ერნესტ რენანის ერთ გვიაზდელ ნაშრომთან, რომელთანაც “ოსმალოს საქართველოს” არაპირდაპირ გადაძახილს მიაპყრობს ყურს გრიგოლ ყიფშიძე.

ფრანგი პოზიტივისტი ფილოსოფოსისა და რელიგიათა ისტორიკოსის, ერთ დროს მეტად სახელმოხვეჭილი და საყოველთაოდ აღიარებული ერნესტ რენანის (1823-1892) ნაშრომი “რა არის ერი?” (“უ’სტ-ცე ქუ’უნე ნატიონ?”) ფაქტობრივად მისი საჯარო ლექცია, რომელიც მან სორბონის უნივერსიტეტში წაიკითხა 1882 წლის 11 მარტს<sup>1</sup> (სხვათა შორის, რენანს ეკუთვნის XIX საუკუნეში დაუმსახურებლად ფართოდ გავრცელებული ნიგნი “იესოს ცხოვრება”, რომელიც მიმართულია ქრისტიანობის არსის წინააღმდეგ და რომელიც პოზიტივისტური პოზიციიდან აფასებს იესო ქრისტეს პიროვნებას, მისიასა და მოძღვრებას).

რენანს მიაჩნია, რომ “ერის არსია, ინდივიდუუმებს ჰქონდეთ ბევრი საერთო ბევრი რამის დასავინებელად” (92), მაგრამ რას შეიძლება ეფუძნებოდეს ეს ერთიანობა? ისტორიულად ერის ერთიანობა წარმოიშობოდა ან დინასტიის საფუძველზე, ან პროვინციათა უშუალო სურვილით, ან საერთო სულისყველებით, დაემარცხებინათ ფეოდალიზმის ახილებები (93), მაგრამ მაინც, XVIII საუკუნემდე ერების წარმოშობის მთავარი მამოძრავებელ-მაკავშირებელი მუხტი იყო დინასტია.

თანამედროვე ხანაში კი ეროვნული თვითობა შესაძლოა ეყრდნობოდეს:

ა) ან რასას (მაგრამ რენანი არ იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ მყარი და მუდმივი მხოლოდ ადამიანთა რასებია და რომ რასის უფლება პირველადია; მას ამგარი შეხედულება მიულებლადაც მიაჩნია და სახიფათოდაც, რადგან თანამედროვე ერები თავისთვად არც ერთგვაროვანი არიან და თან რასის ცნებას სხვადასხვა შინაარსს აზიჭებენ, ერთი მხრივ, ანთროპოლოგები და ფიზიოლოგები, რომლებიც სისხლისმერ ნათესაობას გულისხმობენ, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიკოსები და ფილოლოგები, რომელთათვისაც ნიშნებულია ენობრივი ნათესაობა, — ასე ნაირგვარად გამიჯნული რასობრივი დაჯგუფებანი კი არ ემთხვევა ერთმანეთს; შესაბამისად, რასა ნელ-ნელა კარგავს თავის მნიშვნელობას);

ბ) ან ენას (თუმცა რენანს მიაჩნია, რომ ადამიანში არის რაღაც, რაც ენაზე მაღლა დგას: თავად ადამიანის სწრაფვა; ხოლო ეროვნული პოლიტიკის დაფუძნება ენაზე ნიშნავს დამოკიდებულებას ფილოლოგიაზე, ისევე როგორც დაფუძნება რასაზე ნიშნავს დამოკიდებულებას ეთნოგრაფიაზე; მისი აზრით, ენასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია კულტურა, რადგან “ადამიანი გონიერი და ზნეობრივი არსება... და იგი საკუთარ თავს ამა თუ იმ კულტურას მიაკუთვნებს” — 98);

გ) ან რელიგიას (მაგრამ, რენანის აზრით, რელიგიას არა აქვს საკმარისი საფუძველი თანამედროვე ეროვნებათა დასაფუძნებლად და ვერ შეკავშირებს ეროვნულ მთლიანობას, რადგან “ჩვენ აღარ გვყავს მასები, რომელთაც ერთნაირად სწამთ, — ყოველს სწამს თავისებურად, როგორც შეუძლია, როგორც უნდა”, რის შედეგადაც “რელიგია გახდა სრულიად ინდივიდუალური” — 99);

დ) ან ინტერესთა ერთობას (რომელიც ფრანგ ფილოსოფოსს ასევე არ მიაჩნია საკმარის პირობად ერის შესაქმნელად);

ე) ან გეოგრაფიას (თუმცა, რენანის სიტყვებით, “ტერიტორია, ისევე როგორც რასა, არ ქმნის ერებს” და “ერი სულიერი საწყისია, ისტორიის ღრმა გარულებათა შედეგი, სულიერი ოჯახი და არა ჯგუფი, რომელიც განპირობებულია ზედაპირის ფორმით” — 100).

ეროვნული ერთიანობის შესახებ ამ თვალსაზრისთა განხილვისა და მიულებლობის შემდეგ რენანი აყალიბებს საკუთარ კონცეფციას. მას მიაჩნია, რომ ერს მთლიანობად წარსული და მომავალი კრავს: “თუ პირველი მათგანი მოგონებათა მდიდარი მემკვიდრეობის ერთობლივი ფლობაა, მეორე არის საერთო შეთანხმება, სურვილი, ერთობლივად იცხოვონ, ერთობლივად გააგრძელონ წილად ხვდომილი დაუნანილებელი მემკვიდრეობით სარგებლობა” (100); “ეროვნებები, როგორც ინდივიდუუმები, შედეგია ხანგრძლივი ძალისხმევისა, მსხვერპლისა და თვითშეზღუდვისა” (100); “ნინაპართა კულტი ყველაზე კანონიერია ყველა კულტს შორის, — ჩვენ ნინაპებმა გაგვხადეს იმგვარი, როგორებიც ამჟამად ვართ” (100); “გმირული ნარსული, დიდი ადამიანები, დიდება (მაგრამ ნამდვილი) — აი, მთავარი კაპიტალი, რომელსაც ეფუძნება ეროვნული იდეა” (100); “საერთო დიდების ქონა ნარსულში, საერთო სწრაფვანი მომავალში დიად ქმედებათა ერთად ჩასადენად, მათი სურვილი მომავალში — აი, მთავარი პირობები ერად ყოფნისათვის” (100); “ამდენად, ერი დიადი სოლიდარობაა, დამყარებული მსხვერპლის გრძნობაზე, რომელიც უკვე გაღებულია და რომლის გაღებასაც აპირებენ მომავალში. ერი გულისხმობს წარსულს, მაგრამ ანბიყობი ის შეჯამდება ხელშესახები ფაქტით: ესაა აშკარად გამოხატული სურვილი, გავრძელდეს ერთობლივი ცხოვრება” (101); “ჩვენ გავაძევეთ პოლიტიკიდან მეტაფიზიკური და თეოლოგიური აბსტრაქციები. რა რჩება ამის შედეგი? რჩება ადამიანი, მისი სწრაფვანი, მისი მოთხოვნილებანი” (101); “დიადი შეჯგუფება ადამიანებისა საღი აზრითა და მგ ზნებარე გულით ქმნის მორალურ ცნობიერებას, რომელსაც ეწოდება ერი” (102).

ადვილად ვერ ვიტყვით, რომ ერის რენანისეული კონცეფცია, რომელიც გამოითქვა (ან, უფრო სწორად, — წარმოითქვა) ილიას ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ, — ერნესტ რენანის “რა არის ერი?” ხუთი წლით ჩამორჩება ილია ჭავჭავაძის “ოსმალოს საქართველოს”, — მთლიანად ემთხვეოდეს ეროვნული ერთიანობის ილიასეულ კონცეფციას, თუმცა მსგავსებანიც შესამჩნევია. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ პოზიციაზე, სადაც სისხლისმიერი ნათესაობაც (ესა იგი გვარტომობა), ენაც და სარწმუნოებაც გამორიცხულია ერის წარმოშობი ნიშანთა წყებიდან. მაგრამ შესამჩნევია, რომ ილია,

<sup>1</sup> ტექსტის გვერდებს წიგნის დაუსახელებლად შემდგომ მივუთითებთ იმ გამოცემის მიხედვით, რომელსაც, სავარადო, იცნობდა და ეყრდნობოდა გრიგოლ ყიფშიძე (იხ. რენანი 1902: 87-101).

რენანისაგან განსხვავებით, ნაკლებ ყურადღებას მიაპყრობს მომავალს როგორც ერის ერთიანობის განმსაზღვრელ ნიშანს. მთავარი მაინც ისაა, რომ იქ, სადაც რენანი მსჯელობს ერისათვის საერთო ისტორიული წარსულის განმაპირობებელი მნიშვნელობის შესახებ, ორივე მოაზროვნის ნათესაობა უფრველია.

ილიას თანამოაზრესა და მის პირველ ბიოგრაფის, გრიგოლ ყიფშიძეს, უთუოდ ჰერონდა საფუძველი, ამგვარ ნათესაობაზე ელაპარაკა, რაც მის დაკვირვებულ და გამჭრიას მზერაზე მეტყველება.

სრულიად ბუნებრივია, რომ ილიას პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან იგი განსაკუთრებით გამოარჩევს „ოსმალოს საქართველოს“; სრულიად ბუნებრივია ამ მცირე მოცულობის წერილის მრეწველების ურთ-ერთ ფუნდამენტურ ტექსტად მიჩნევა, სადაც კონცეფცია ეროვნული ერთიანობის შესახებ ასე მკაფიოდაა ჩამოყალიბებული.

დამოწმებანი:

**გოგებაშვილი 1990:** გოგებაშვილი ი. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თაქ.: განათლება, 1990.

**დისკუსია 2006:** “გამული ენა – სარწმუნოება”: დისკუსია – 17 დეკემბერი, 2002, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბ.: არტეტი, 2006.

ვარდოსანიძე 2001: ვარდოსანიძე ს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბ.: მეცნიერება, 2001.

ინგოროვა 1957: ინგოროვა პ. ილია ჭავჭავაძე: ნარკვევი, თბ.: სახელმწ. გამ-ბა, 1957.

**კიკნაძე 2006:** კიკნაძე ზ. ილიას მამული, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბ.: არეტე, 2006.

**ლომისაძე 1979:** ლომისაძე შ. გვიანი შეუსაკურეების საქართველოს ისტორიდან; ახალცილებრი ქრონიკები, თბ.: მეცნიერება, 1979.

მანაცვეტაშვილი 1985: მანაცვეტაშვილი ი. მოგონებები: ნაცული და გაგონილი, თბ.: საბჭოთა საკართველო, 1985.

**მეურაობის 1987:** მეურაობის ი. /ილია ჭავჭავაძე/, ილია: მოგრძელები გარდასულ დღეთა, თბ.: მერაბი, 1987.

**პაპუაშვილი 1986:** პაპუაშვილი გ. ქ. გ. ცირცეაძის (ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, მრავალ

ფილოლოგიურ-ისტორიული ძებანი, XIII, თბ.: მეცნიერება, 1986.

რენანი 1902: Ренан Э. Собрание сочинений в 12-ти томах. Т.6. Киев, 1902.

**ყიფშიძე 1987:** ყიფშიძე გ. ილია ჭავჭავაძე 1837-1907 (ბოგრაზია), ილია: მოგონებები გარდასულ დღის დღის დღის

ମେରାଣ୍ଗ, 1987.

მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია),  
გიორგი შიხაშვილი, მამუკა შიხაშვილი.

წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) სამეურნეო-მმართველობითი  
მოძღვრება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების  
ეროვნული კონცეფცია

**ბიბლია გვასწავლის:**

„თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3, 10)

„ლირისა მაშვრალი თავისი საზღაურისა“ (ლუკ. 10, 7)

„ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან“ (მათ. 5, 7)

„უძვობესია გასცე, ვიდრე მიიღო“ (საქმე. 20, 34-35)

„მიაგთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათ. 22, 21)

თანამედროვე პირობებში საქართველოს ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია ფუნდამენტური ეროვნული კონცეფციის გარეშე, რომლის შემუშავებისათვის აუცილებელია ადგილობრივ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა იპტიმიზაციური შეთანაწყობა სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის პროცესში.

ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის ზეადმატებული ადგილი ბიბლიას, ქრისტიანულ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათანადო სამურნეო-მმართველობით საქმიანობას უკავია.

საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლიმედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიული შეხამებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება.

სწორედ ასეთ საძირკველ ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, რამაც ისტორიულ ქარტეხილებში ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად, თავის დროზე, მსოფლიოში მონიავე და თვითმყოფადი ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვარინა.

ამის შესახებ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) წერდა: „უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძლოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ლირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოჰყენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“ (ჭავჭავაძე 1955ა: 176),

„...წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ...ეს სამთა უამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონისა ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. ...ალდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა აწმყოს გაება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“ (ჭავჭავაძე 1955ა: 200,204), „ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორციასათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, — გვამი ერისა მკვდარია, ვითარცუ უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰლალადებს სახორციელო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამის იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი“ (ჭავჭავაძე 1955ბ: 342).

ადამიანის ცხოველებელის პროცესში გამორჩეული ადგილი სამეურნეო-მმართველობით საქმიანობას უკავია, იგი საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

კაცობრიობა და საარსებო გარემო, ეკონომიკური პოტენციალის ჩათვლით, ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს შემადგენელი ნაწილებია. საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა პროცესი, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, საღვთო ნების, განმგებლობის, ზრუნვის, განჩინებებისა და დაშვების საფუძველზე მიმდინარეობს.

სარწმუნოებრივ საფუძველზე დამყარებულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობას შეისწავლის და წარმართავს სათანადო სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა — თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი, მიზანი, ამოცანები, პრინციპები, პარადიგმები, მეთოდები და ა.შ.

თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური სასიათის სამეცნიერო დისციპლინაა. იგი შეისწავლის სამეურნეო პროცესები ადამიანის და საზოგადოების მოხოველებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოკუმენტის შექმნის და გამოყენების გონივრულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანის და ერის საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს. თეოლოგიური ეკონომიკა არის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული

რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის ღვთივსულიერ ჰარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

დიდი სჯულის კანონის დებულებებიდან გამომდინარე, ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია – ფასეულობათა (მათ შორის ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (ღვთივდადგენილი ზეობით) მოპოვება და სიკეთები გამოყენება (ღანგრის... 1987: 194, 536).

თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის მეცნიერული კვლევებისათვის მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი წმინდანების ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი საკითხების მესწავლა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეოლოგიურ-მართლმადიდებლური გააზრების საფუძვლები, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური პარადიგმები, კონცეფციები და პრინციპები, შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი, სამეცნიერო-ეკონომიკური კვლევის მეთოდების საკითხები და, მთლიანობაში, წმ. ილია მართლის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება გადმოცემულ-ჩამოყალიბებულია ქართველი ერის ამ სათავანებელი წმინდანის, მეცნიერის და პრაქტიკოსი ეკონომისტის (ბანკირის) მრავალ ნაშრომში, რომელთაგან აღსანიშნავია: „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“, „ერი და ისტორია“, „სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ“, „წინამძღვრიანთ-კარის ქართული სამეურნეო სკოლა“, „ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა შესახებ“, „ოძისის სამეურნეო სკოლის შესახებ“, „სატექნიკო და სახელოსნო სანავლებელთა შესახებ“, „მეცხრამეტე საუკუნე“, „რა გითხრათ? რით გაგასარორთ?“, სხვადასხვა წლების შინაური მიმოხილვები, „ცხოვრება და კანონი“, „ხიზნების საქმე“, „კერძო და სათემო მიზათმფლობელობა“, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიკური მიზეზები“, „პოლემიკა ნოე უორდანისათან“, „ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზოგადოების საზოგადოების შესახებ“, „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა“, „კავკასიის სასაფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ“, „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საქმე“, „ძვირფასი საადებმიცემი ჭირნახულის საქმე“, „მელიორაციის საქმე“, „მეცნიერებებისა და მეცნიერების საქმე“, „მებამბეობის საქმე“, „პურეულის საქმე“, „მესაქონლეობის საქმე“, „ჩვენი მეურნეობა და გზებისა და ბაზრის საკითხი“, „მრეწველობის საქმე“, „ნერილები საქართველოს საბანკო-საკრედიტო და საფინანსო საქმეებზე“, „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“, „ჩვენი გლეხობა და ტყით სარგებლობის საქმე“, „სოფლის მოხელეთა არჩევანი“, „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“, „გაზეთი „მეურნე“ და სხვ.

წმ. ილია მართლის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი საკითხები, რომელებიც აქტუალურად ეხმიანებიან თანამედროვეობას (ვეშაპიძე 1999: 23-24):

- ილიასეული მიდგომები და მეთოდები ეკონომიკური საკითხების შესწავლისას;
- ზოგადსაკაცობრიო მიღწევების გამოყენება, როგორც სისწორის ძირითადი კრიტერიუმი ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტისას;
- ყველა საზოგადოების ეკონომიკური წყობილების საფუძველი საკუთრებრივი ურთიერთობებია;
- პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები და ეროვნული ეკონომიკური მოძღვის შექმნის უმთავრესი ამოცანები;
- საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის თეორია და მისი გამოყენების გზები;
- საშინაო და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ჰარმონიული კავშირი და ეფექტური ანალიზი;
- ეკონომიკური რეფორმის შესწავლა-შეფასების მეთოდოლოგია.

ბიბლიური მოძღვრების საფუძველზე წმ. ილია მართალი მიიჩნევს, რომ „სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც“. ხორციელ ღონეს იგი „საეკონომიკო მოქმედებასაც“ უწოდებს. ყოველი ადამიანის, ერის და ქვეყნის ჭეშმარიტი, ღვთივსულიერი პროგრესი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ეს ორი ძალ-ღონე ჰარმონიულად შეერთდება და „ერთად და განუყრელად“ გვიჩენება. წმინდანი წერს: „მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭეშმარიტი და გონების გაძლიერებას მხარ-და მხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰყავს, და, როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმაღლით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყანა ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყვევარში ეს ორი უღლდადი, ყოველთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად“ (ჭავჭავაძე 1955ბ: 337).

წმინდანი გვასწავლის თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ნარმატებებს ახალ დროში: „...ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქართანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟვაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰელვრიდეს, ვაჟვაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰელვროს. კადევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვანს... ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მინა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ...ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქონდს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომისა და გარჯას, ცოდნისა და ხერხს ვერავინ-და გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ“ (ჭავჭავაძე 1955ბ: 12-13).

წმ. ილია მართლის აზრით, ქართული საზოგადოება საერთო-ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობის ბუნებისა და პოტენციალის მატარებელთან ერთად

დასტურდება იმით, რომ საქართველოში არ ყოფილა მწვავე წოდებრივ-ქონებრივი დაპირისპირება, „ეკონომიური ძალი კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწისმფლობელობიდან წარმოსდგება, და, ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველ გლეხს მამა-ვაპით დაჩიმებული აქვს. თითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ...რაკი ესენი იყო, რაკი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ხელმიწიფეს ჰერინდა და არავის სხვას, — ერთსა რა უნდა შევმურებოდა მეორეში, ერთი იმისთანას რას დაეხარბებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს განხედ გასდგომოდა და ჩაენერგა ის განთვითეულების, განცალკევების გრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლანდელის ევროპის მწვავს ტკივილს შეადგენს. ...ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს; რომ ერთმანეთს არამც თუ ეუცხოებიან, არამედ ერთმანეთისკენ მიიზიდებიან“ (ჭავჭავაძე 1956: 55-56).

იურიდიულ-ეკონომიკური, წოდებრივ-ქონებრივი, ორგანიზაციულ-მმართველობითი და სასოფლო-სამეურნეო საკითხების თეოლოგიურ-ისტორიული ანალიზის საფუძველზე წმ. ილია მართალი მიიჩნევს, რომ „...ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრიფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართობს და არა ხელის შემართვა“ (ჭავჭავაძე 1956: 56).

ასეთი გარემოებების გათვალისწინებით წმინდანი დაასკვნის, რომ საყოველთაო სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწეული მხოლოდ საერთო, შეერთებული ძალისხმევით არის შესაძლებელი.

ყოველგვარი გაჭირვების, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის საშუალებად წმინდანს სწავლა, ცოდნა და მეცნიერება მიაჩნია. საზოგადოების „უმთავრეს სენად“ იგი უმეცრებას, გაუნათლებლობას ასახელებს და აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ სხვას არ შევყურებდეთ ხელში და ჩვენს თავს ჩვენვე ვირჩენდეთ, სწავლა-განათლებაა საჭირო, ამისათვის არაფერი არ უნდა დაგზოგოთ — „დარიბი თუ ვართ, სწავლა-განათლების უქონლობის მიზეზია. სწავლა-განათლება თითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდამ სიმდიდრის წყარო მოვადინოთ“ (ჭავჭავაძე 1955: 357).

წმ. ილია მართლის სოციალურ-ეკონომიკური კვლევა, მისი აზროვნება ეყრდნობა ობიექტური ისტორიზმისა და ისტორიის ლეგიტიმურების კანონზომიერებებსა და პრინციპებს. დღევანდელი მოვლენების ანალიზს იგი იწყებს წარსულის შეფასებით, საიდანაც გამოკვეთს სათანადო პარადიგმას, კონცეპციას, მაგისტრალურ გზას, რომელიც ანმყოს წაიყვანს წინ მიმავლისაკენ. წმინდანი გვისაბუთებს, რომ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველოს სწორი გზებით უვლია, საკუთარი რწმენით და იმედით უცხოვრია. ჩვენი საზოგადოებრივი მოწყობის მრავალი მხარე, მათ შორის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა დიდი ხნის წაცადი და შემოწმებულია. ეს არის ფასდაუდებელი განმინდონებული სულიერ-ხორციელი ფასეულობა, რომელსაც აუცილებლად უნდა ვუწევდეთ ანგარიშს. საჭიროა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვენი არსებობა ყოველმხრივ „გამოვიძიოთ“, „გამოვიკვლიოთ“, „მეცნიერებამდე ავიყვანოთ“, კონცეპტუალურ საფუძვლად დავისახოთ და წინ წავიმდლვაროთ სამომავლო წარმატებების მოსაპოვებლად.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებათა აზრები კვლევის შედეგად წმ. ილია მართალმა გამოკვეთა სოფლის მეურნეობის უპირატესი როლი ქვეყნის ეკონომიკური ალორძინება-გაძლიერებისა და სულიერ-ხორციელი წინსვლის საქმეში: „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით. იმიტომ, რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული. ...ხალხის სიმდიდრეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. აქედამ ადვილად მისახდომია, რომ მთელს ევროპაში ყოველის ხალხის მთავრობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნვა აქვს მიკეცეული თვისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდ ფულსაც ხარჯვენ, რომ მაგ უმთავრესს წყაროს ხალხის სიმდიდრისას ფართო, რიგიანი და შეუფერხებელი დენა ჰერინდეს“ (ჭავჭავაძე 1956: 257-258). საზოგადოების უპირველესი ზრუნვისა და დაცვის აზრები კვლეული წმინდანმა სოფლის მეურნეობა და, კერძოდ, მინათმოქმედება ალიარა, რადგან ხედავდა, რომ „ერთადერთი ღონე ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მონათმოქმედება ჩვენში“. „...თელავის თავად-აზნაურობას ეს საჭიროება უგრძვნია და საგნად შემდგარ ამხანაგობისა დაუდვინა განკარგება და გაძლიერება მინათმოქმედებისა. განკარგება და გაძლიერება სწორედ იმ მხარეს უნდა მიეცეს, რომ მიწათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება აუჩინონ, გაუმრავალგვარონ კულტურა პავისა და მიწის შესაფერად, ყოველივე ახლად შემოსალები საჭირნახულო შეუწონონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძირფასი რამ ჭირნახული დაუდვან საგნად მიწისმოქმედს და იეფის ფასის ჭირნახულზე ხელი ააღინინონ, ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა“ (ჭავჭავაძე 1956: 40,42).

წმინდანი ხაზგასმით აღნიშნავდა: „...ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, — მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელო შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუწავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქის: მე ერი ვარ და მევიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა

ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკვლად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი. ... ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მინაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია. თავდაპირველი შემომქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხენებას და თავგანწირვას ეს ორი ძეირფასი განდი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიკო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ წარმომადგენ ბიჯი ამ ორ საგნის მიმართ, ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს“ (ჭავჭავაძე 1956: 173, 176).

სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში წარმოების (კერძოდ, მინათმოქმედების) და ვაჭრობის სფეროების მნიშვნელობის გააზრება-ანალიზის საფუძველზე წმ. ილია მართალი ასკვნის: „ვაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდამ, საცა მეტია, იქ, — საცა უჭირთ და ამ გზით შევლის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან. ხოლო ვაჭრობა, წესიერადაც განყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიანსა და ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი. ამიტომაც ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუბული, გაფანტული. ... ამისთანა ერს აუცილებელ ბედად ის უნერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს. ამიტომაც საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ღონე-მოკლებულია, ერად ყოფნობისათვის ნიადაგი არა აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ოქროებით ჰქონდეს გატენილი. ამისთანა ერის ეკონომიური ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰქედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იმიტომ — რომ ვაჭრობა არა ჰქმნის სიმდიდრესა; მას მარტო ერთის ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, საცა ნაკლებია, და ამ გადატან-გადმოტანაში თავის გასამრჯელოდ დონიას იღებს იქიდამაც — საიდამაც გადააქვს და იქიდამაც — საცა მიაქვს. ამ სახით, ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმოქმედი მონაწილე, მაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტიკო, ისეც საეკონომიკ საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცერალი, და ნამდვილ განათლებულ ვაჭარს ყოველთვის წინ გამოსახული ისა აქვს, რომ მისი კეთილდღეობა იმ ერის ბედთან არის შეხორცებული, რომელსაც შეჰქიზნებია. ამიტომაც იგი არ ერიდება და თავისად მიაჩნია იმ ერის ჭირიცა და ლხინიცა“ (ჭავჭავაძე 1955: 174-175).

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის სამეურნეო-მმართველობითი ურთიერთობების პარმონიზაციის მიზნით წმინდანი გვირჩევს: „მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით, თავის ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ ჰსცნობდეს, და მეორეს გზით — მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გასწოდება“ (ჭავჭავაძე 1956: 258); ამავე დროს, საჭიროა უშუალო მნარმობლები გავერთიანდეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კოოპერატივებში და „...ვეცადოთ, რომ რაც თვითეულ ცალკე კაცისათვის მიუნდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებორჭილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვოთ, ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომს მივუყენოთ და ამ გზით ბევრი ერთად შევებნეთ უღელში ცხოვრების ავკარგიანობის სანევლად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვანი ჩვენვე გვრჩებოდეს, ჩვენვე გვრგებოდეს“ (ჭავჭავაძე 1956: 13). ასეთი ორგანიზაციების მაგალითად წმინდანს მოჰყავს: „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოება“, „კახეთის სოფლის მეურნეობა კავშირი“, „ხილისა და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება“, ჭირნახულის მომყვანთა ამხანაგობები, საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებები და სხვ.

რიგ წაშრომებში წმ. ილია მართალი განიხილავს ზოგადად მონარქიული მმართველობის ინსტიტუტის და, კონკრეტულად, მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების განხორციელების უდიდეს მნიშვნელობას საქართველოსათვის. მაგალითად, მიწათმფლობელობის სისტემის სამართლიანი და ოპტიმალური მოწყობა-რეგულირების საქმეში საქართველოს მეფეთა როლის შესახებ იგი წერს: „სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა მიაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მევიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დორმდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძლოლია მტერს ასე თუ ისე“ (ჭავჭავაძე 1955: 177).

წმიდანის აღწერით, ჩვენი სახელოვანი მეფეები შემკული იყვნენ ძლიერი ქართული სახელმწიფოს მმართველისათვის აუცილებელი და დამახასიათებელი ისეთი პიროვნული თვისებებით, როგორიცაა: ეკლესიურობა, სულიერება, ზნეობრივი სინმინდე, დიდუნებოვნება, გულით და აზრით გონიერება, განსავლულობა, ლიდერობა, სამართლიანობა, სიმშვიდე, მეურნის ნიჭი, გამრჯეობა, ქველმოქმედება, გაჭირვებულთა და სწორულთა დახმარება, უცხოთშემზენარებლობა.

თანახმად ბაბლიური ზნეობრივი და სოციალურ-ეკონომიკური სწავლებისა, რასაც ეფუძნება წმ. ილია მართლის სამეურნეო-მმართველობითი თეორია და მისი პიროვნული პრაქტიკული მოღვაწობა, ყოველმა ადამიანმა და ცალკეულმა ორგანიზაციამ შემდეგი მოვალეობები და საქმეები უნდა აღასრულოს შეძლებისამებრ:

1. პატივი მიაგოს ღმერთს და სახსარი შესწიროს ეკლესის განვითარებას;
2. დახმაროს სხვა ადამიანებს, განსაკუთრებულებს;

3. მოიხადოს მოვალეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე;
4. იზრუნოს ღმერთის ქმნილების – ბუნების დაცვა-შენარჩუნებისათვის;
5. დაიკავილოს პირადი და საოჯახო მოთხოვნილებები;
6. გამონახოს, შეინარჩუნოს და განავითაროს შემოსავლის წყარო;
7. იზრუნოს მიცვალებულთა სულების საოხად.

ეს ღვთაებრივი სიბრძნე უნდა დაედოს საფუძვლად ყოველი ადამიანის, საზოგადოებისა და ერის საქმიანობას ცხოველებედების ყველა სფეროში, მათ შორის, უპირველესად, სამეურნეო-მმართველობით პრაქტიკაში.

აღნიშნული მოვალეობები უფლისმიერად აკისრია ყველას – ცალკეულ ადამიანს, ოჯახს, სამთავრობო, სამეწარმეო თუ არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციებს, პარლამენტს, სასამართლოს, მასმედიას, მთლიანად სახელმწიფოს, მის ლიდერებს, მეფეებს, პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს და თვით ეკლესიასაც.

ყველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ღვთივსულიერი, პარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის რადიკალური სრულყოფისათვის აუცილებელი და შესაძლებელია მუშაობის გაშლა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით (შიხაშვილი 2003: 270-271):

- ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ღვთივდადგენილი სიბრძნის, წმინდანთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი საკითხების შესწავლა;
- ფუძემდებლური ბიბლიური სწავლების, ქრისტიანული ზნების, სოციალური და სამეურნეო-მმართველობითი პარადიგმების, კონცეფციების და პრინციპების შესამებული გამოყენება;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიული ასპექტების სიღრმისეული გააზრება;
- საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობრიობის გამოცდილების შესწავლა-გამოყენება;
- თანამედროვე მსოფლიოს უახლესი სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციების (თეოლოგიური ეკონომიკა, ნეოეკონომიკა, მეტაეკონომიკა, მდგრადი განვითარება და სხვ.) და პროგრესული სამეურნეო-მმართველობითი პრაქტიკის სათანადო შესწავლა-გამოყენება;
- საქართველოში მთელი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის კომპლექსური თეოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკურ-ეთიკური ანალიზის ჩატარება;
- აღნიშნულის საფუძველზე საზოგადოების პარმონიული ღვთივსულიერი ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის, სტრატეგიის და შესაბამისი სამთავრობო პროგრამის შემუშავება;
- ეროვნული მეურნეობის ყოველი ცალკეული სფეროსათვის სათანადო სამოქმედო ქვეპროგრამების შემუშავება და განხორციელება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნულ კონცეფციას საფუძვლად უნდა დაედოს წმ. ილია მართლისეული, ქრისტიანული მოძღვრებიდან გამომდინარე პარადიგმების ერთიანობა: „მამული, ენა, სარწმუნოება“, „ნარსული, ანბყო, მომავალი“, „სულიერი და ხორციელი პური“, „სულიერი და ხორციელი ღონის ერთიანობა“, „წოდებრივ-ქონებრივი თანასწორობა“, „საერთო-ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობა“, „შრომა, გარჯა, ცოდნა და ხერხი“, „სწავლა, ცოდნა და მეცნიერება“, „ღონე — ღონეს, შრომა — შრომას“, „სოფლის მეურნეობის უპირატესობა“, „მინა და გუთანი“, „ეკონომიკური სიძლიერე — საადგილმატულო მრეწველობა“, „მონარქიის როლი ეკონომიკაში“, „პარმონია: მთავრობა, ხალხი, მეურნეობა“, „ურთიერთსიცვარული“ (შიხაშვილი... 2007: 112).

წმ. ილია მართლის მემკვიდრეობა საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ყოფიერების ყველა სფეროს მოიცავს, რომელთა შორის უმთავრესია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკა. წმინდანმა და მეცნიერმა, პირველმა ქართველ მკვლევარებს შორის, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური საფუძვლების გამორკვევა აღიარა საქმიანობის ძირები საზოგადოებრივი კეთილდღეობის აღმდეგომი სრულყოფისათვის (მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია) 2000: 87).

წმ. ილია მართლის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება დღევანდელი საქართველოს ძირითად საჭიროებებს ესადაგება და გვაძლევს სწორ გეზს ქვეყნის პარმონიული ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, გლობალურ სისტემაში მისი ჭეშმარიტი მისით დადგენისა და ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

#### დამოწმებანი:

**ვეშაპიძე 1999:** ვეშაპიძე შ. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები. თბ., 1999.

**მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია) 2000:** მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია). სოციალურ-ეკონომიკური საკითხები წმ. ილია მართლის შემოქმედებაში. სადიპლომონ ნაშრომი. თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია, 2000.

**ლანგრის კრების კანონები 1987:** ლანგრის კრების კანონები. წიგნი: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1987. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1987.

**შიხაშვილი 2003:** შიხაშვილი გ. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ბილიური გააზრება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე-ეკონომიკის სერია. ტ. 11, 3., 2003.

**შიხაშვილი გ., შიხაშვილი მ. 2007:** შიხაშვილი გ., შიხაშვილი მ. წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) ეკონომიკური მოძღვრება — საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველი. საერთაშორისო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“. თეზისების კრებული. საიუბილეო ღონისძიებათა სამთავრობო კომისია. თბ., 2007.

**ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955ა.

**ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. ერი და ისტორია. თხზ., ტ. 4, თბ., 1955ა.

**ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში. თხზ., ტ. 4, თბ., 1955ა.

**ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?. თხზ., ტ. 5, თბ., 1955ბ.

**ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა. 1882 წელი, ივლის-აგვისტო. თხზ., ტ. 5, თბ., 1955ბ.

**ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა 1892 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955ბ.

**ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა 1895 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955ბ.

**ჭავჭავაძე 1956:** ჭავჭავაძე ი. ცხოვრება და კანონი. თხზ., ტ. 6, თბ., 1956ა.

**ჭავჭავაძე 1956:** ჭავჭავაძე ი. ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა. თხზ., ტ. 7, თბ., 1956ბ.

**ჭავჭავაძე 1956:** ჭავჭავაძე ი. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი. თხზ., ტ. 7, თბ., 1956ბ.

**ჭავჭავაძე 1956:** ჭავჭავაძე ი. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956ბ.

## დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა ილია მართლისა

1987 წლის 20 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სვეტიცხოვლის ტაძარში ბრძანა: „დვინის განვებით მოგვევლინა ილია ჭავჭავაძე, როგორც წინასწარმეტყველი და მქადაგებელი, როგორც „ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა“, სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, რათა ბიბლიურ მოსესავით აელო მონამებრივი ტვირთი ერის წინამდვრობისა. მან იტვირთა ჯვარი სრულიად საქართველოსი და შეუდგა გოლგოთის აღმართს. სწამდა, რომ მისი თანამედროვე საქართველოს გადარჩენა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას შეეძლო. წმინდანად აღმარების შემდეგ ილია არის არა მარტო პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, არამედ გამორჩეული მოძღვარი, მქადაგებელი სიკეთისა და სიმართლისა, რწმენის. წმინდანად აღმარების შემდეგ იგი არის დიდი სულიერი მფარველი ჩვენი კულტურის, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი თაობებისა“. 1997 წელს სასულიერო აკადემიის სტუდენტმა მერაბ გალდავამ (დღეს, დეკანოზმა მიქაელ გალდავამ) შეადგინა წმინდა ილია მართლის დაუჯდომელი საგალობელი.

სასულიერო მწერლობა მჭიდროდ უკავშირდება საეკლესიო ცხოვრებას და ყოველთვის ასახავს თუ ეხმიანება იმ დაკვეთას, რასაც ეკლესია, მრევლი ითხოვს მისგან. ცნობილია, რომ საეკლესიო ლიტერატურამ მრავალი უანრი შესძინა მწერლობას. ზოგი მათგანი დღესაც ვითარდება, ზოგი კი—აღარ. მაგალითისთვის აგიოგრაფიული ლიტერატურა გამოგვადგება, რომელიც, ფაქტობრივად, ჩაანაცვლა ბიოგრაფიამ (თუმცადა, იდეური ასპექტით ბიოგრაფია აგიოგრაფიის დატვირთვას ვერ შეიძენს, რადგან სხვაა მიზანი აგიოგრაფიული თხზულებისა—შექმნას ხატი, გვაჩვენოს გზა იდეალის მსგავსება-წვდომისა და სხვა ბიოგრაფიისა, რომელიც მხოლოდ აღნერს ფაქტებს განურჩევლად დატვირთვისა). ეგზეგეტიკურ თხზულებებს, ძირითადად, შემკრებელობითი ხასიათი აქვთ, ცოცხალია ქადაგება და ა.შ. ქართული მწერლობის ორგანული ნაწილია ჰიმნოგრაფია. სასულიერო საგალობლებში გამოიკვეთა ჩვენი ერის შემოქმედებითი პოტენციალი, დაიხვენა და განვითარდა ქართველ პოეტთა გემოვნება თუ სტილი. ჰიმნოგრაფია არის სასულიერო პოეზია, სადაც პოეტური ტექსტი, ჩვეულებრივ, გალობით სრულდება. მიუთითებენ, რომ „სიმღერის ის გვარი, რომელიც დვთაებისადმი მიმართული ლოცვა იყო, ინოდებოდა ჰიმნად. ჰიმნებით დვთაებას სცემდნენ თაყვანს“.<sup>1</sup> სასულიერო პოეზია დვთისმსახურებას უკავშირდება. ამიტომ ყველა ქრისტიან ერს თავისი ნაციონალური ჰიმნოგრაფია აქვს. ქართული სასულიერო პოეზიის დასაწყისად მეტვიდე საუკუნეს ვარაუდობენ. ორიგინალურმა ჰიმნოგრაფიამ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია მეათე საუკუნეში. XVIII საუკუნიდან კი სასულიერო ჰიმნები, ისე, როგორც სასულიერო მწერლობის სხვა ჟანრის თხზულებები, მნირად იქმნება. თუმცადა, XX საუკუნის ბოლოს ქართულ საეკლესიო მწერლობაში ამ თვალსაზრისით დიდი გამოცოცხლება იგრძნობა. სასულიერო ხასიათის თხზულებები არა მხოლოდ იქმნება ქართულ ენაზე, არამედ ინტენსიურად ითარგმნება. ამ პროცესს ისიც უწყობს ხელს, რომ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის დადგენილებით, ქართულმა ეკლესიამ შეიმატა ახალ წმინდანთა დასი. ამიტომ ბუნებრივად გაჩნდა საჭიროება ტროპარ-კონდაკთა და საგალობელთა შექმნისა (თუმცადა, არის მეორე გზაც, საზოგადო ტროპარ-კონდაკთა და საგალობელთა მოშველიება, რადგან წმინდანის მსახურება განსაზღვრულია მისი რანგით). საგალობელთა შექმნა-თარგმნის პროცესს ცალსახად დადებითად ვერ შევაფასებთ, რადგან დაგროვდა ხელაღებით, სამწუხაროდ, ხშირად უგემოვნობ, არასათანადო ცოდნით, სიფრთხილით, სტილით, ენითა და ლექსიკით შესრულებული მდარე ხარისხის ჰიმნები და საკითხავები. სწორედ ამიტომ საქართველოს საპატრიარქომ საგანგებო კომისიაც შექმნა, რომელსაც ახალთარგმნილ და ახლად შექმნილ თხზულებათა ცენზირება ევალება. ამ თვალსაზრისით, ილია მართლის დაუჯდომელი გამონაკლისია. საგალობელთა ავტორმა მშვენივრად გაართვა თავი იმ პრობლემებს, რომელთა უმეტესობაც, უპირატესად, XVIII-XX საუკუნეებში თავჩენილი სიორთხები არის განპირობებული. მნიშვნელოვანი იყო სამი ძირითადი საკითხის გადაწყვეტა: 1. კომპოზიცია, რადგან დაუჯდომელი საგალობლის სპეციფიკა როტულია, ხოლო იმ წყვეტის ფონზე პრობლემად წარმოჩნდება როგორც ტექნიკური მხარე საგალობლისა, ისე ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხი; 2. ენობრივ-სტილური საკითხები, რადგან საგალობელი სრულიად ახალ ენობრივ-ლიტერატურულ სივრცეში იქმნება, მრევლისთვის, რომელსაც დაუჯდომელმა სათანადო ლოცვითი განწყობა უნდა შეუქმნას, ამიტომ, ერთი მხრივ, ლექსიკური ქსოვილი, ენობრივი საშუალებები არ უნდა იყოს ხელოვნური (რისი ბუნებრივი საშიშროებაც არის), მძიმე და არქაული, მეორე მხრივ, უნდა შეინარჩუნოს განწყობის აღმატებულობა, ზეანეული ინტონაცია და, რაც მთავარია, საეკლესიო სტილი (რაც არაბუნებრივია დღევანდები სალიტერატურო ენისთვის), ე.ი. სათქმელი სტილურად და ფორმობრივად ზუსტად, სათანადო ენითა და ადეკვატური სტილით უნდა გადმოიცეს, ისე, რომ არ დაირღვეს მთავარი—(3), წარმოჩნდეს წმინდანის ხატი, რაც რთულია როგორც ზოგადად, ისე ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან უნდა მოხდეს ყოველი ჩვენგანისთვის ნაცნობი მწერლის, საზოგადო მოღვაწის აღქმა, ტრანსფორმაცია წმინდანად, უნდა შეიქმნას ხატი ილია მართლისა, როგორც წმინდანისა. შეასბამისად, უნდა გამოიკვეთოს წმინდანის სულიერი პორტრეტი, ცხონების გზა, ლვანლის ის სახე, რითაც დაიმკვიდრა სასულიერები.

1. აკათისტო არის საგალობელი, რომელიც სრულდება დაუჯდომელად. მისი ქართული სახელნოდება სწორედ დაუჯდომელია. იგი თავისი სპეციფიკით, სტრუქტურითა და შინაარსით

<sup>1</sup> ბათუმი, ციტატა მოგვაცს ლ. გრიგოლაშვილის ნერილიდან „ქართული ჰიმნოგრაფია“ (ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1983 წ. 1, გვ. 87)

განსხვავდება ჰიმნოგრაფიული კანონისგან, ფორმობრივად კი კონდაკს უახლოვდება. თავდაპირველად აკათისტო ერქვა საღვთისმეტყველო-ქებითი ხასიათის თხზულებას, რომელიც ღვთისმშობელს ეძღვნება. სწორედ ღვთისმშობლის დაუჯდომელმა დაუდო სათავე ამ უანრს ჰიმნოგრაფიაში (დაუჯდომელს იკოსა და ხაირეტიზმს/გიხაროდენსაც უწოდებენ). საუფლო დღესასწაულთა თუ წმინდანთა დაუჯდომლები გვიან—XII საუკუნიდან იქმნება. ქართულ ენაზე ღვთისმშობლის დაუჯდომელი XI საუკუნეში ითარგმნა. XII საუკუნეში ნიკოლოზ გულაბერისიერმ შექმნა სვეტიცხოვლის საკითხავი, რომელსაც ერთვის გიხაროდენის მუხლები. მოგვიანებით ეს მუხლები, ცალკე გამოკრებილი, სვეტიცხოვლის დაუჯდომლად ჩამოყალიბდა. ძირითადი ნაწილი ქართულ ენაზე არსებული აკათისტოებისა ნათარგმნია. აკათისტოს ქართული თარგმანი შესწავლილი არ არის, რაც კიდევ უფრო ართულებს ილია მართლის დაუჯდომლის როგორც მოდელზე, ისე ფორმობრივ-კომპოზიციური სტრუქტურის საკითხებზე საუბარს. აკათისტო, კონდაკის მსგავსად, 24 ნაწილისგან შედგება და იკოს-კონდაკის მონაცემებაზეა აგებული. ეს არის, ფაქტობრივად, 12 დიდი და 12 მცირე სტროფი, იკოსს მოსდევს 12 გიხაროდენი. პირველ კონდაკს მოჰყვება გიხაროდენის მუხლი, რომელიც ყველა იკოსის შემდეგ მეორდება, ხოლო დანარჩენ 11 კონდაკს რეფრენად გასდევს „ალილუია“ (ნ. სულავა, „ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა“). ღვთისმშობლის აკათისტოს წინ უძღვის შესავალი. ბერძნული ენის შინაგანი სტრუქტურიდან და მელოდიურობიდან გამომდინარე, დაუჯდომლის (ღვთისმშობლის აკათისტოს) ყველა იკოსს ერთნაირი რიგმული მოდელი აქვს და ემყარება იზოსილაბიზმს, მახვილიანი და უმახვილო მარცვლების რაოდენობას. გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება მისი მეტრული სტრუქტურაც: გიხაროდენის ექვსი წყვილიდან პირველი ათმარცვლიანია, მეორე ცამეტი, მესამე-თექვსმეტი, მეოთხე—თხუთმეტი, მეხუთე და მეექვსე—თერთმეტი. როგორია ჩვენი საგალობლის კომპოზიციური მხარე? უნდა ითქვას, რომ დაუჯდომლის ავტორი ფორმობრივ მხარეს უფრო თავისუფლად უყრობა. აქ არ გვაქვს აკროსტიქული შესავალი, რომელიც წინ უძღვის ღვთისმშობლის აკათისტოს. საგალობელი შედგება 13 (და არა 12) კონდაკისა და 12 იკოსისგან, I კონდაკს მოსდევს გიხაროდენის მუხლი: „გიხაროდენ, განრღვეულისა მამულისა სულისა განამაცხოველებელო და გონებათა ჩვენთა ზეცად აღმყვანებელო წმიდაო ილია მართალი!“ დაუჯდომელი სრულდება ბოლო ლოცვით. პირველი და მეთორმეტე იკოსის გიხაროდენი 11 მიმართვისგან შედგება, დანარჩენი—12—12. როგორც მოსალოდნელი იყო, აკათისტოს არ ახასიათებს იზოსილაბური მეტრული სტრუქტურა და მარცვალთა კანონზომიერი მონაცემების. შინაგანი რიგმიკა, დინამიზმი მოკლე და ვრცელ ფრაზათა თავისუფალ მონაცემებაზეა დამყარებული. მაგ.: „გიხაროდენ, სამზეოსა ზედა აღმობრწყინებულო მოღვაწეო საკვირველო; გიხაროდენ, იძერისა ვენახისა კეთილმემტილეო“.

2. ენობრივ-სტილური თვალსაზრისით აკათისტო ახლოა ჰიმნილეტიკასთან. საგალობლის სულიერი დატვირთვის მნიშვნელობა იზრდება, თუკი თხზულების ავტორი ზუსტად გრძნობს სათქმელის შინაარსს და არჩევს სათანადო ლექსიკას, საჭირო სტილს. საბოლოოდ, ეს ყოველივე ფორმისა და შინაარსის ურთიერთობამდე დაიყვანება. ცნობილია, რომ სასულიერო ლიტერატურა ფორმობრივ-გამომსახველობითი საშუალებების განვითარების თვალსაზრისით უფრო სტატიკურია, ვიდრე საერო. როგორც წესი, სასულიერო თხზულებათა ავტორი მეტი სიფრთხილით ეპირობიან შინაარსის ლექსიკურ-სტილურ მხარეს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იმატა მდარე ხარისხის თხზულებათა რიცხვმა. ეს კი რამდენიმე მიზეზითა განპირობებული. ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გახლავთ კადინიერი მიდგომა, რადგან სათანადო ცოდნის გარეშე ჰქიდებენ ხელს ნებისმიერი სირთულის მასალას. მეორე ფაქტორია წყვეტა, ე.ი. ტრადიციის დარღვევა, რაც ენობრივ და ლექსიკურ მახასიათებლებზეც ისახება. შეუძლებელია ლოცვითი განხწყობაშეგიმნას ამგვარი შინაარსის ფრაზამ: „თვითმფრინავით ჩამოგაბრძანეს...“ (ღვთისმშობლის ხატის ერთ-ერთი ახლადშექმნილი პარაკვლისიდან). სამწუხაროდ, ასეთი რამ არცთუ იძერითია. აკათისტოს „დახვენილ სტილს განსაზღვრავს ანტიკური რიტორიკისა და პოეტიკის ტროპული მეტყველება: ანტინომიური მეტყველება: ანტინომიური, სინონიმია, ეტიმოლოგიური ფიგურები“ (ნ. სულავა, დასახ. ნაშრ.). როგორია ილია მართლის დაუჯდომელის ენა და სტილი? ცხადია, ენობრივ-სტილურ ანალიზს არ შევუძღვებით და მოკლე შევნიშნავთ, რით აღნევს საგალობლის ავტორი სასულიერ მიზანს. მსაზღვრელ-საზღვრულის სრული ბრუნება (ლრთივკურთხეულისა ცოდნისა სასუმელსა დანაფებულო); პოსტმოზიური წყობა (გულისა ჩვენისა განსატფობელად ამომზევებულო); სავრცობიანი ფორმები (მოწვენულსა ხმოვანებასა...თანამებრე ვეემნეთ); ფუნქციალდეგენილი ნაწევარი (სიხარულითა მით სიმშვიდისაითა); თანდებულთა, ზმინისნითა, წევრ-კავშირთა და კავშირთა არქაული ფორმები (ალმყვანებელო, განმაცხოველებელო, ესრეთ,...); ძველი ქართული სალიტერატურო ენის გაცოცხლებული ლექსიკური ფონდი (მეტრფე, სათნოჩენილი, თანამებრე, მარცვალი ლხინებული, სულიერითა ტვიფიფარითა დაპეტდული...); მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტილისა და ლექსიკის ხარჯზე თვით ბიოგრაფიული ელემენტებიც ძალზე ფაქტიზად შემოდის ქებაში და ტლანე ბიოგრაფიულ აქცენტებად აღარ აღიქმება: „მამულისა შენისათვის მამულისავე დატევება სათნო-იჩინე და პეტერბურგსა შინა სწავლულებისა ბეღელი იგი შენი უვრცელესი მწიგნობრობისა იფქლითა ხვავრიელ-ჰემენ“. ებიანი მრავლობითის პარალელურად დიდია ნარ-თანიანი მრავლობითის წილი, რაც პოეტურ-მანერულ სტილს გამოკვეთს. გვაქვს სახარებისეული პარადიგმები თუ ტიპური ანტინომიერი („ალსასრულითა შენითა ბელიარისა მანქანებისა შემმუსრველო“); ლოცვითი განწყიობის მისაღწევად და ხატის შესაქმნელად დაუჯდომელის ავტორი მიმართავს სემანტიკურ, აზრობრივ სინონიმიასც: „ეკლესიისა საგალობელისა კეთილხმოვანო ძლისპირო, რომელსაცა შეგამობენ მეფსალმუნენი, რომლისათვისცა ენანი ამოდ ძნობენ...“ მიუხედავად ზემოთქმულისა, მნიშვნელოვანია ზომიერება არქაულ ფორმათა თუ ლექსემათა, სინტაქსური წყობისა თუ ტროპთა მოხმობისას, რაც საზეიმო, აღმატებულ განწყობას ყვალასთვის მისაწვდომს ხდის. ეს არის ენა, რომელიც გასაგებია ყველასთვის,

ვისაც წაუკითხავს ლოცვა, ფსალმუნი, დასწრებია ღვთისმსახურებას და არა ზოგიერთი ახალგადმოქართულებული ძეგლივით მძიმე და გაუგებარი.

3. მიუთითებენ, რომ „ჰიმნოგრაფი, რომელიც საგალობელს მიუძლვნის, ვთქვათ, მაცხოვრის შობას, სხვა ამოცანის წინაშე დგას, ხოლო წმინდანის განმადიდებელი რამდენადმე განსხვავებულ სიტუაციაშია, ქრისტიანული დღესასწაულის მნიშვნელობა ყველასთვის ერთნაირად ცხადია. მისი განდიდების ტრადიცია უკვე შექმნილია, ამ თემაზე ახალი საგალობლის დამწერი აგრძელებს ტრადიციას, წმინდანის ღვანლის განზოგადება კი მათი ცხოვრება-მოღვაწეობის პირველ აღმნერთა მიერ ხორციელდება. ტრადიციას ახლა ეყრება საძირკველი. თუმცა ამ ტრადიციისთვის სქემა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულების თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში უკვე მოხაზულია“<sup>1</sup>. საანალიზო საგალობლის სპეციფიკას განსაზღვრავს სწორედ ის, რომ იგი განადიდებს ახალ წმინდანს, რომლის მოღვაწეობისა და ცხოვრების დეტალები მეტ-ნაკლებად ყველაზე იცის. პოზიცია განსაზღვრულია, შეფასებაც კი წმინდანისა—თითქოს უკვე განვლილი ეტაპი. დაუჯდომლის ავტორი ილია მართლის ცხოვრების პირველი შემფასებელი არ არის. მაგრამ ჰიმნოგრაფი ქმნის მოწამის ზედროულ და ზესივრცულ მოდელს, ხატს. უნდა განზოგადდეს მარტვილის სახე და მსმენლის ლოცვითი მიმართება დამყარდეს მასთან. გარდა ამისა, უნდა გვიჩვენოს წმინდანის კონკრეტული ადგილი ზეციურ იერარქიასთან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით, ავტორის წინაშე დგება დროისა და სივრცის პრობლემა (რაც საგალობელში სხვადასხვა კუთხით წარმოჩნდება). ამდენად, საინტერესოა, რა მომენტები გამოიკვეთება ილია ჭავჭავაძის ღვანლში და როგორ ტრანსფორმირდება ილია-საზოგადო მოღვაწე ილია მართლად: ილია უფლის („დაუვალისა მის უქმნელისა მნათობისა“) ქადაგია; იგი „ახოვანი მდვიდარებით ჩვენ, უდებთა და სახუალობელთა წარმნებედელი სულიერი ძილის განმაფრთხოებელია“; „დაუდამებელი ნათლის მეტროეა“; „უფლის (სიკვდილითა სიკვდილისა მძლეველისა) მობაძავია; სულით მღვიძარეა“; „სულინმიდის მაღლით ალბეჭდული მამულის სიყვარულის ყრმობიდანვე შემსაკუთრებელია“; „მარცვალი ლხინებული“ (გაღვივებული); „ჩვენი გოხების მზრდელი“; „სარწმუნოების მეცნიერებით განმამტკიცებელი და მეცნიერების ნაყოფიერისა სარწმუნოებითა განმაცხოველებელია“; „სლვის ქრისტესმიერ წრთველმყოფელია“; „განრღვეული მამულის სულისა განმაცხოველებელია“, „მამულისათვის მუშავია“, „იბერიისა მქმუნვარითა ბედითა დამწუხრებული აღვსებული დაუშრეტელი ლამპარია“, „სულიერი ტრაპეზის ზედაშეა, რომელიც ერის სიმრთელისთვის წყურიელია“, „უმეცრებათა ზედა მგლოვიარეა, რომლის ნამუშაკევსაც ანგელოზი ცათა შინა ხმოვანებენ“. ხაზის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, რადგან თითოეული ფრაზა ახალი პლასტით წარმოიჩნენ ილიას, როგორც წმინდანს. მსმენელის ლოცვითი განწყობა ძალიან კარგად ნაცნობ ასპექტსაც ახალი განწყობით აღიქვამს, რის შედეგადაც „დალამებადი წინამურიდან მარადისი ცისერისაკენ მსრბოლი“ უკვე არა ილია—მწერალი და საზოგადო მოღვაწე, არამედ წმინდა ილია მართალია, რომლის რანგიც განისაზღვრა სიმართლით ღვთის, ერისა და საკუთარი სინდისის წინაშე.

<sup>1</sup>ლ. გრიგოლაშვილი, დროისა და სივრცის პოეტიკისათვის ძვ. ქართულ ჰიმნოდრაფიაში, ივირობი 1000, თბ. 1983, გვ. 107

## ილია ჭავჭავაძე და ქართული ემიგრაცია

„ილია ჭავჭავაძე საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორიაა”, - ამ სიტყვებით დაიწყებს თავის წერილს ცნობილი ქართველი მეცნიერი, რუსთველოლოგი ვიკტორ ნოზაძე პარიზში გამომავალ ჟურნალ „ქართლოსის“ საიუბილეო (მერვე) ნომერში და იქვე: კაცი, „ვინც“ პერიოდის ისტორიას” (ნოზაძე 1937:3). ეს უკვე შეფასებითი კატეგორიიდანაა. ქვეყნის ისტორია – სერიოზული თემა.

ყოველი განზოგადება მეცნიერულ სიფრთხილეს ითხოვს და თავისთავად, რთული საქმეა. მით უფრო იმ შემთხვევაში, როცა განსხვავებულია სამოქმედო და სააზროვნო სივრცე. ისიც ანგარიშგასანევია, რომ ადამიანები ნლების განმავლობაში იცვლიან აზრს, პოზიციას, შეხედულებებს. კვლევის პროცესში საინტერესოა იმის გარკვევა, რამდენად ლოგიკურია (ან გულწრფელი) ეს „ცვლა“.

ილია ჭავჭავაძე – გამორჩეული სახელი XIX და XX საუკუნეების გზასაყრზე. მისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური წერილის თუ ნარკვევის არაერთი ავტორი ერთად აღმოჩნდა უცხოეთის მიწაზე. ისინი სხვადასხვა პარტიული კუთვნილების თუ ინტელექტუალური შესაძლებლობების ადამიანები იყვნენ. „ილიას თემამ“ კიდევ უფრო გაამძარვა მათი პიროვნული ურთიერთობებიც; განსხვავებულმა მსოფლმხედველობებმა მკვეთრად იჩინა თავი. სამშობლოში ეს უფსკრული თითქოს ასე ღრმა არ იყო. ეს პოლემიკა საზღვარგარეთ არ დაწყებულა, იქ გაგრძელდა მხოლოდ. კონტრასტების იმ სიბრტყეზე დაყვანა – დადებითია ეს თუ უარყოფითი, გააუბრალობს ემიგრანტული პუბლიცისტიკის პათოსს.

ლიტერატურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მოღვაწე არაერთი პოლიტიკოსის, მეცნიერის და მწერლის მოსაზრება. სტატიები, ნარკვევები, ლექსები – ეს მრავალფეროვანი მასალა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოშია დასტამბული (გაზ., „თეთრი გიორგი“ 9 1927, 16 1929, 13 1928, 27 1930, 31 1930, 80 1934, 81-82-83 1934, პარიზი შ. „ბრძოლის ხმა“ 39 1934, პარიზი, „ვაკეასონი“ X 1965, პარიზი, რგაბაშვილი „რაც მახსოვს“, მიუნხენი, 1959, ნოე ქორდანია „ჩემი ნარსული“, პარიზი, 1953, ს. ბერეჟიანი „ნანერები“, ბერლინი, 1943, გრ. რობაქიძე „კრებული“, კარლო ინასარიძის გამოცემა, მიუნხენი, 1984, ალ. სულხანიშვილი „რა ხდებოდა მეტების ციხეში ქართველებ შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“, სან ფრანცისკო, 1985 და მრავალი სხვ.).

„ვინც დაკარგა სამშობლო, მან დაკარგა ყველაფერი“, – ესაა სიტყვები პარიზში გამომავალ გაზეთში დაბეჭდილი წერილიდან: „სახელმწიფოებრიობა თუ ინდივიდუალიზმი.“ ავტორი თავის გვარს ბოლოდე არ ამხელს (დ. კ—შვილი). საინტერესო სტატია გამორჩეულ განწყობას ქმნის: „ჩვენ დაკარგეთ სამშობლო და მისი დაკარგვით, რომ ჩვენ ყველაფერი დაკარგეთ ამას განსაკუთრებული

სიმწვავით ვგრძნობთ აქ, ემიგრაციაში მყოფი და იქ, რუსულ კომუნისტურ მონობაში მყოფი ქართველობა“ (კ—შვილი 1929:1).

ეპოქალური ფაქტების შეფასება არცთუ იშვიათად, დროის დისტანციას გულისხმობს, მაგრამ არსებობენ მოვლენები, რომელთაც მაშინვე დაერქმევათ ზუსტი სახელი. გაზ. „თეთრი გიორგი“ ფართოდ აშუქებს ილიას თემას. კ. ემუხვარის წერილი სათაურით: „5 ივლისის კანონი“: „ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის ადდგენის იდეოლოგი! ხომ ფაქტია, რომ ი. ჭავჭავაძის მთელი მუშაობა იყო ამ სახელმწიფოებრიობისათვის ნიადაგის მომზადება!“ (ემუხვარი 1928: 4). კონტრასტი სახეზეა. სტატიაში მეორე გვარი ამოტივგივდება: „ხომ ფაქტია, რომ 6. უორდანია იყო იდეოლოგი ქართველი ერის ნაციონალურ გადაგვარების... 6. უორდანია მთელს მის მოღვაწეობის განმავლობაში ნიადაგს უთხრიდა საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების შესაძლებლობას.“

წერილის ავტორი ამ ხელისუფლებას საყვედურობდა უზარმაზარი ქონების და უდევრად გაფლანგვას და მაგალითად მოჰყავდა ის ისტორიული ფაქტი, როცა 1917 წელს ეროვნულ ყრილობაზე გამოსულ კოტე აფხაზს დიდხანს უსაუბრია სახელმწიფოებრიობის შესახებ, ნაციონალიზმზე და თურმე ურჩევდა დამსწრეთ საქვეყნო საქმეების გადაწყვეტისას არ ეხელმძღვანელათ მხოლოდ პარტიული მოსაზრებებით. აქვე, ილიას მიერ დაარსებული ტფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკის ქონება „30 ოქროს მილიონი მანეთი“ გადაუცია. ეს ილიას საქართველოს მიერ შეემნილი ქონება განადგურდა უორდანიასა და მისი პარტიის მიერ, თვლის ავტორი. ისტორიული სურათის აღსაღენად დავსძენდი, როცა ეს წერილი ინერება კოტე აფხაზი — დიდი ეროვნული მოღვაწე, ილიას დისწული საქართველოში უკვე დახვრეტილია.

საინტერესოა სარედაქციო წერილი „ჩვენი პასუხი „დამოუკიდებელ საქართველოს““ და 30 მარტის კოლონიის გმირებს, „რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „თეთრი გიორგის“ 27 ნომერში (რედაქციისაგან 1930: 3). კატეგორიულობა მარტო ტონით არ ცნაურდება, არამედ ლექსიკონით. რას და როგორ ელაპარაკებიან ისინი ერთმანეთს: „თქვენ... ტყუილების გუდა ხართ. ერთმანეთსაც კი ატყუებთ.“

რაინდი არავის ცილს არა სწამებს. თქვენ კი პროფესიონალური ცილისმნამლები ხართ. გაისაზღვრავთ, რა ცილი დასწამეთ ილია ჭავჭავაძეს... რაინდი ზურგიდან, ქურდულად არავის მოჰყავს, თქვენ კი ტერორისტების მთელი კასტა შეჰქმენით და საუკეთესო ქართველებს ქურდულად ხოცავდით.“ ეს არაა თაობათა შორის ბრძოლა. ასაკობრივი სხვაობა დანახვის სხვადასხვა რაკურსს რომ განსაზღვრავს. ეს ადამიანები, ან უკვე მიუხედავად ლირებულებებთან დამოკიდებულების მკვეთრი განსხვავებისა, ერთად აღმოჩნდენ „სხვა“ მიწაზე. გარემომ გადამწყვეტი გავლენა იქნია. სამშობლოდან გეოგრაფიულად შორს მყოფმა ადამიანებმა სიტყვა „პატრიოტიზმი“ უფრო მტკიცნეულ კონტექსტში გაიაზრეს. „თქვენი პატრიოტიზმი — კლასთა ბრძოლაა, კაენობა... ჩვენ რომ რუსებს

ვლანძლავთ ეს რაინდობა არ არისო და თქვენ რომ იღიას ლანძლავდით, სიცოცხლე მოუწამლეთ, ცილი სწამეთ — ეს კი რაინდობა იყო?"

ზოგადად აღვნიშნავდი, რომ ემიგრაციაში დაბეჭდილი წერილების ძირითადი პათოსი ხაზგასმულად ცხადია; იქნება ეს ცნობილი ფრაზა: „ტყეს ჭრიან, ნაფოტები სცვივა!" რომლის თუ შეიძლება ასე ითქვას, „პერსონირებულ ისტორიას" (ანუ, რა ვითარებაში და ვის „ბრალდებოდა" მისი ავტორობა წლების მონაცვლეობით) შეგვიძლია, გავადევნოთ თვალი (გაზ. „თეთრი გიორგი", 31 პარიზი, 1930 რ. გაბაშვილი „რაც მახსოვეს", მიუნხენი, 1959 გაზ. „ერთობა" 13 (1253) 714 XII 1997 და სხვ.); თუ იღია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებული ცალკეული ფაქტების გაანალიზება და დეტალების გამოკვეთა (კრებ. „კავკასიონი" X პარიზი, 1965 ალ. სულხანიშვილი „რა ხდებოდა მეტების ციხეში ქართველებ შორის 1923 და 1924 წლებში და იღიას მკვლელობის სინამდვილე" სან ფრანცისკო, 1985 ვლასა მგელაძე „მოგონებები" წიგნი II პარიზი, 1972 უურნ. „ომეგა" 9 (47) IX 2003 და სხვ.). თითოეულ ამ თემასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი, ცალკე ნაშრომები დაიდება, აღბათ. ამჯერად, მინდა ნამოვნიო ეს თემები და ერთ სააზროვნო სივრცეში წარმოვადგინო. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ქართული ემიგრაციისთვისაა მნიშვნელოვანი, ესაა პარტიული (სამოქალაქო) დაპირისპირების მტკიცნეული ასპექტი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი გამოცემები: „კავკასიონი" X პარიზი, 1965 გაზ.

„თეთრი გიორგი" 69. 70. 71 X—XII პარიზი, 1933 გაზ. „თეთრი გიორგი" 80 IX პარიზი, 1934 გაზ. „თეთრი გიორგი" 81. 82. 83 X—XII პარიზი, 1934 გაზ. „ბრძოლის ხმა" 29 I პარიზი, 1933 გაზ. „ბრძოლის ხმა" 39 I პარიზი, 1934 საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა, დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, პარიზი, 1937.

რაც შეეხება მწერლობას. ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში ზოგადად, მიძღვნითი ხასიათის ლექსები საკმაოდ უხადაა, მაგრამ „იღიას თემა" მაინც გამორჩეულია. ისინი მომხდარი ტრაგედიიდან მრავალი წლის შემდეგ დაიწერა; ანუ, ეს არ გახლავთ იმწუთიერი აფექტის, დატირების ნიმუშები. გარკვეული ემოციური თუ იდეური ბიძგით შექმნილი პოეტური წანარმოებები საყურადღებოა და ვფიქრობ, მნიშვნელოვანიც.

1932 წელს პარიზში დაიწერა გიორგი ყიფიანის ლექსი სათაურით: „იღიას". აქ იმ ტრაგედიის გახსენებაა, რასაც მარცვალ-მარცვალ ინახავს ხსოვნა.

თავზე დაგვენგრა დიდების დილა,  
ლეგა ღრუბლები აქსოვს არშიას,  
ბაზალეთის ტბას ცრემლებში სძინავს,  
ოქროს აკვანიც ქარიშხალშია. (ყიფიანი 1930—1965: 27)

შეუძლებელია, სამშობლის დაცილებულმა პოეტმა გარკვეული პარალელი არ გაავლოს. მისთვის უბედურებათა სერია ხომ იღია ჭავჭავაძის მკვლელობით დაიწყო და ავადსახსენებელი თებერვლის დღეებით დამთავრდა. თუმცა, ამას დამთავრება კაცმა რომ თქვას, არც კი ჰქვია, როცა ფიქრით, ბიოგრაფიით, ცხოვრების წესით ეს თარიღები განსაზღვრავს არსებობის გრძელ გზას. ეს არა მხოლოდ პოეტური კავშირია:

შეწყდა ბრძოლა და ხმამ დაიძირა,  
თებერვლის ქარი მოთქვამს ქალივით,  
ჯვრებ — გადამტვრეულ საფლავებს სძინავს,  
მკერდ — გარღვეული გორგასლანივით.

ქართველ ემიგრანტ პოეტს ისევ დიდი წინაპრის აჩრდილი რჩება იმედად, უფრო ზუსტი შემდეგი ნათქვამი იქნება, აღბათ, მისი შეურიგებელი ბრძოლა, ის ეროვნული ძარღვმაგარი იდეა, რომლის განადგურება არ შეიძლება. ერთ ისევ მხსნელს ელოდება. „მამის მოლოდინი", როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე:

დღეს საქართველო თავ დახრილია,  
შენზე ნატყვიარ განწირულ ბედით,  
ისევ გეძახის: — დიდო იღია!  
შემუსრულ დროთა შარავანდედი.

მართალია, ხანა ფერშეცვლილია და გაძარცვული, მაგრამ შორეული ნათელი ჯერ კიდევ მერთალად ცრმილებს. სწორედ ეს ეიმედება ლექსის ავტორს.

1958 წელს დაწერს გიორგი გამყრელიძე ლექსს, რომელსაც ასეთ მინაწერს გაუკეთებს: „იღიას დაღუპვის 50 წლის თავზე" (გამყრელიძე 1960: 18).

ეს პოეტური წანარმოებიც დროისმიერი გახსენებით იწყება:

იყო ის ხანა  
კურთხეულთა წელთა რიგების,  
როცა ცხოვრობდი აქ, ჩვენ შორის,  
ჩვენო იღიავ!

ქართველ ემიგრანტს დავიწყებია, რომ „აქ, ჩვენ შორის,” უკვე ის ადგილი არაა, სადაც ახლა თუნდაც თვითონ ცხოვრობს. ახლა ეს „იქ” — აა, საქართველოში. ავტორი აქებს ამ მამულიშვილის ღვაწლსა და დამსახურებას ერის წინაშე; ის არც იმ გარემოს გათვალისწინებას ივიწყებს, რომელიც ილიას და მის თანამოაზრებს დახვდათ; ის წინააღმდეგობები, სიძნელეები. ამგვარი წინაპირობის აღწერაა მისივე ლექსში, სათაურით „ორი მეუღლე“ (დასახ. კრებ.).

ავტორი ცდილობს, პოეტურ ნაწარმოებს საზოგადოებრივი დატვირთვა მისცეს.

ლექსის ფინალი განაზოგადებს ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედიის მასშტაბებს და მნიშვნელობას; აქვეა ხაზგასმით თქმული უმთავრესი სათქმელიც: ეს ერთი კაცისათვის დამიზნებული ტყვია არ იყო:

როცა გესროლეს წინამურში მუხთალი ტყვია,  
განა შენ მოგვალეს? ჩვენც დაგვკოდეს შენთან  
ზიარად;  
ჩვენც გულში მოგვხვდა შენი ტყვია,  
ჩვენო ილიავ,  
და გულში დაგვაქვს შენ სახელთან მწარე იარად.

შენ — ჩვენ!... ამ ორ სხვადასხვა სიტყვას ამჯერად ერთი მნიშვნელობა აქვს; ტყვიის სამიზნეც, ნიშაც და მსხვერპლიც საზიაროდ გაუნანილებიათ. ახსნა მარტივიცა და ბუნებრივიც: მათ ხომ ერთი ქვეყანა, ერთი მინა და ერთი ფესვი აქვთ.

„ვინაობა“ — ეს სიტყვა არც აქ მოასვენებს გადმოხვეწილ ქართველობას. მართალია, ერთიანობა დარღვეულია, მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობის განცდა არ დაკარგულა. დღის ნესრიგიდან არ მოხსნილა ყოველი ერისათვის თუ პიროვნებისთვის მრავლისადამტევი კითხვა: ვინ ვარ? და ეს მხოლოდ საკუთარი თავის ობიექტიზაცია არ არის. ეს უფრო ფართო მასშტაბის პასუხს ითხოვს. ისტორია წარსულს გულისხმობს, უკვე განვლილს, მომხდარს. თითქმის ასწლეულის გადასახედიდან ფაქტები უფრო სხვაგვარად აღიქმება. XX საუკუნის დასაწყისიდან სხვა ხანა დგება. თითოეული მოვლენა თუ შეფასება მძიმე ხასიათს იღებს. მაცდურია „სოციალური წინსვლის“ აზრი. „საამური ქვეყნის“ მშენებლობისთვის მომწოდებელთ სხვა იდეოლოგია ამოძრავებთ და საკითხავია: რეალობის შემმეცნებელი და გასააზრებელია იგი თუ ხელისუფლების დაუფლების ინსტრუმენტი.

და ამ სრულიად განსხვავებული მსოფლიმედველობის ადამიანებს, ბედის ირონიით, საერთო ისტორიული წარსული და სადღეისოდ „საზიარო“ ანგარიში აქვთ. „ილიას საკვდილი ანგელოზმა მიმხილა სიზმარში, მეორე დღეს მამცხო გაზეთმა“, — დანერს გრიგოლ რობაქიძე, ხოლო მოგვიანებით, 1944 წელს ბერლინში იტყვის: „საქართველოს თავს ატყდება დიდი უბედურება: წინამურის ველი ირწყება დიდი ქართველის სისხლით. მკვლელი ქართველთა ნაშიერია, რაიც კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. დიდია გლოვა და ვაება. ხოლო საოცარი და საცნაური: ერის მიერ ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა თანდათან „მსხვერპლის“ სახეს იღებს — მსხვერპლის, რომლის საიდუმლოება სინამდვილის გარდამქმნელი იალა... ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო — იღვიძებს არა წილობით, არამედ მთლად: იღვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით. არც ერთი მექმე ქართველი არ რჩება განზე განაპირებული. ყოველი მათგანის გზა მიღის ამიერიდან ამ მსხვერპლის ნიშნით“ (რობაქიძე 1984: 64).

დამეთანხმებით, მკაცრი განაჩენია და უმძიმესი ხვედრი. „ამ მსხვერპლის ნიშნით“ — თუმცა, მეოცე საუკუნის ურთულეს გზაზე შემდგარი ჯერ კიდევ არ ფიქრობს ასე. მართალია, ემიგრაციის პერიოდს ეს არ ეკუთვნის, იგი საქართველოშია დასტამბული 1913 წლის 12 აპრილს, მაგრამ თვალშისაცემია განსხვავება, მწერალი სხვაგვარად მიიჩნევს: „საქართველო ალარ არის მთელი და როგორც ცოცხალი არის, იგი ქართველში არ არსებობს. სამაგიეროდ, დარჩენილან წანილნი და წანილნი თვითონვე ცდილობებ მთელობას. საქართველო მე ვარ, — ია, ფსიხიური განცდა ქართველისა... შური, მძულვარება, გაუტანლობა და ქუჩის — როგორც სიცოცხლის სიმბოლოს გამეფება... ის, ვინც მთელს თავისის სიცოცხლეში გმირი — შვილის დაბადებას ელიდა, შვილი — ქამის მოვლენას მოესწრო: დიდებული მოხუცის სისხლით მორწყო მშობელი მინა“ (რობაქიძე 1913: 3).

გრიგოლ რობაქიძემ კარგად იცის, რას წინავს ილია ჭავჭავაძის იდეის ერთგულება და მისი საქმის გაგრძელება საქართველოში. როცა არც თვითონ დარჩა „განზე განაპირებული“ და აქტიურად შეუდგა მოღვაწებას, ემიგრანტის მწარე ყოფა იწვინა, თუმცა არც იქ დაუყრია ფარ — ხმალი და თავისი საქმიანობით, დიდი ლიტერატურული მეტკვიდრეობით თავის თანამოაზრებთან ერთად ახლა „იქედან“ ისმოდა მისი მამულიშვილური ყიუინა.

ამ პოეტურ ტექსტებში არაერთგზის განმეორდება „განცდა მოხევის.“

ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში ილია ჭავჭავაძის მონუმენტური ფიგურა არაერთი რაკურსით (ისტორიული მოღვაწე, ლირიკული ლექსის გმირი, ლიტერატურული პერსონაჟი, მიმართვის ობიექტი) დაიხსატება. საზღვარგარეთ ავტორებისათვის არ არსებობს სახელმწიფო (იდეოლოგიური) ცენზურა. ყოველი მათგანი ახლა უკვე იმას წერს, როგორც თვლის სწორად. ამ ტექსტების გაანალიზება და კვლევა საინტერესოა და მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისით, არამედ ქვეყნის ისტორიის გააზრების თვალთახედვითაც.

#### დამოწმებანი:

გამყრელიძე 1960: გამყრელიძე გ. „გვიანი რთველი“. სანტიაგო დე ჩილე: 1960.

**ემუხვარი 1928:** ემუხვარი ვ. „5 ივლისის კანონი”. გაზ. „თეთრი გიორგი”, 13. X. პარიზი: 1928.

**ქ.—შვილი 1929:** ქ.—შვილი დ. „სახელმწიფო ბრიობა თუ ინდივიდუალიზმი”. გაზ. „თეთრი გიორგი”, 16. II. 1929.

**ნოზაძე 1937:** ნოზაძე ვიკ. ქ. „ქართლოსი”, 8, პარიზი: 1937.

**რედაქციისაგან 1930:** „ჩვენი პასუხი „დამოუკიდებელი საქართველოს” და 30 მარტის კოლონიის გმირებს. გაზ. „თეთრი გიორგი”, 27, პარიზი: 26.V.1930.

**რობაქიძე 1913:** რობაქიძე გრ. გაზ. „სახალხო გაზეთი”, თბილისი: 12. IV. 1913.

**რობაქიძე 1984:** რობაქიძე გრ. კრებული. ქ. ინასარიძის გამოცემა, მიუნხენი: 1984.

**ყიფიანი 1930-1965:** ყიფიანი გ. „ლექსები”. პარიზი: 1930-1965.

## ქართული მწერლობის ილიასეული შეფასების ტიპოლოგიისათვის

ლიტერატურათმცოდნეობის ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბება XIX საუკუნიდან იწყება, თანდათან გამოიკვეთა შესწავლის საგანი, შეიქმნა ლიტერატურის ერთიანი თეორია (ერთიანდება “პოეტიკა” და “რიტორიკა”), დამუშავდა მხატვრული შემოქმედების ძირითადი კანონები, ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებები და სხვა. დიდი ყურადღება დაეთმო მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთკავშირს.

შე-XIX საუკუნის კრიტიკას ახასიათებს ყურადღების მკვეთრი გაძლიერება თანადროული ლიტერატურული მოვლებების მიმართ. ჯერ კიდევ ლესინგი, დიდრო, შილერი, გორეთე, ფრანგი სოციალუტოპისტები, ჰერდერი, რომანტიკოსები, ჰანე, “ახალგაზრდა გერმანული” კრიტიკა, შემდგომ კი სენტბერი, ჰიუგო, ბალზაკი, ბესტუშევი, კიუხელბეკერი, კირევსკი, ნადეჟდინი და მრავალი სხვა, ცდილობდნენ გაეცნობიერებინათ მიმდინარე ლიტერატურული მოვლენები, მათი სპეციფიკა, პროგრესული საწყისები და ფორმები. ყოველ მათგანს თავისებურად ესმოდა ლიტერატურისა და ცხოვრების ურთიერთკავშირი, ყველა აღიარებდა ცხოვრების ამა თუ იმ მხარის ზეგავლენას მწერალზე, მის შემოქმედებაზე, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურული პროცესის სისტემატიზაციის პრინციპები, როგორც დასრულებული კონცეფცია, არცერთ მათგანს არ ძეუმუშავებია.

შეიქმნა “ლიტერატურის ისტორიები”. მეცნიერული აზრი ნეო-ნეოლა დასცილდა სინკრეტიზმს, მაგრამ იმ პერიოდის კრიტიკოსები ლიტერატურული მოვლენების სისტემატიზაციისას ერთ-ერთი რომელიმე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: ბიოგრაფიულით, ისტორიულით, ესთეტიკურით, კრიტიკულ-ესსეისტურს და ა.შ. ისეთი ზოგადი ხასიათის ნაშრომებშიც კი, როგორიც არის ვილმენის “ფრანგული ლიტერატურის კურსი”, სენტ-ბერის სისტემატური მეცნიერული შრომები, ჰეტნერის “XVIII საუკუნის ლიტერატურის ისტორია”, შელის “პოეზიის დაცვა” და სხვა. კვლევა მხოლოდ XVIII საუკუნით შემოიფარგლა\*. თუმცა, თითქმის ყოველი მათგანი, განსაკუთრებით კი სენტ-ბევი და ვილმენი, ხშირად განიხილავდნენ თანამედროვე ლიტერატურული პროცესის მოვლენებსა და პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან დასავლურ კრიტიკაში გაძლიერდა სოციალურ-ისტორიული ტენდენცია, თანამედროვე საზოგადოებრივი პროცესებისა და ლიტერატურის ურთიერთშეფარდება მაინც ეპიზოდურ სახეს ატარებდა. მას ლოკალური (და არა სისტემატური) ხასიათი ჰქონდა. თავის ერთ-ერთ წერილში ისეთმა გამოჩენილმა მოაზროვნემაც კი, როგორიც იყო სენტ-ბიოვი, აღიარებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის კავშირის დამყარების მცდელობა მხოლოდ მცდელობად, “დაუსრულებელ ხიდად” დარჩა (სენტ-ბევი 1970:99).

XIX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობაში ბესარიონ ბელინსკიმ, ერთ-ერთმა პირველმა, შექმნა მეთოდოლოგიური კონცეფცია, რომლის საფუძველზეც შემდგომ განახორციელა რუსული ლიტერატურის პერიოდიზაცია-შესწავლა. ბელინსკი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მისი თანამედროვული ლიტერატურის შესწავლის მეთოდოლოგიურ სისტემას ამუშავებდა, რომელიც დაეფუძნა ესთეტიკურ, ისტორიულ და კრიტიკულ-პუბლიცისტურ პრინციპებს. თანამედროვე ლიტერატურის, როგორც ერთიანი საგნის, სისტემურ-მეცნიერული შესწავლა (ანუ უახლესი ლიტერატურის ისტორიის შესწავლის მეცნიერული კონცეფციის შექმნა) სრულიად ახალ მიმართულებას წარმოადგენდა იმდროინდელ ესთეტიკურ-კრიტიკულ აზროვნებაში. კრიტიკის ძირითად პრინციპად პ. ბელინსკიმ “მონიზმი” (ისტორიული და ესთეტიკური მეთოდების გაერთიანება) გამოაცხადა. გ. პლეხანოვი თვლიდა, რომ ის ამუშავებდა ისეთ “საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამომდინარე სისტემას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრებითვე აიხსნებოდა და, თავის მხრივ, ამ ცხოვრებას განმართავდა და მასზე ფართო და ნაყოფიერი ზეგავლენის საშუალებასაც კი იძლეოდა” (პლეხანოვი 1975: 213).

XIX-ს ქართული კრიტიკის კვლევის ძირითადი საგანი თანადროული ქართული მწერლობის წინაშე მდგომი პრობლემებისა და ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებების გააზრება იყო. ცნობილი ქართველი მოღაწეების (ს.დოდაშვილის, ალ. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილის, კ.აბაშიძის და სხვ.) წერილებში გამოიკვეთა თუ რა გზებით ვითარდებოდა მშობლიური ლიტერატურის ისტორიის სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპების დამუშავების პროცესი.

**სოლომონ დოდაშვილმა**, პირველმა მოგვცა ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატიზაცია ნაშრომში - “მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა” (იხ. დოდაშვილი 1832). ქართველი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ს. დოდაშვილმა პირველმა მიმოიხილა და ფართო საზოგადოებას გააცნო ქართული მწერლობისა და აზროვნების ისტორიის მთავარი საკითხები, რომ მისი მიზანი იყო ქართული სულტური კულტურის რუსეთისა და ევროპისათვის გაცნობის აუცილებლობა. დოდაშვილი მიმოიხილავს ქართულ მწერლობას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით და გამოყოფს მისი განვითარების შემდეგ პერიოდებს:

\* მაგალითად, შელის “პოეზიის დაცვას” პირველი ნაწილი შეიცავს ანტიკური და ალორძინების ხანის მწერლობის პოეზიის ზოგადი პრინციპების მიმოხილვას, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც უნდა დათმობოდა თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის დახასიათებას პოეტს არ შეუქმნია.

1. ძველი საეკლესიო მწერლობა;
2. ოქროს ეპოქა, (თამარ მეფი ხანა), რომელსაც ს.დოდაშვილი უწოდებს „ტებილმოვან“ მწერლობას, იგი ოქროს ეპოქის განვითარების უმაღლეს საფეხურად “ვეფხისტყაოსანს” მიიჩნევს.
3. ქართული მწერლობის დაცემის ხანა ანუ დეკადენის პერიოდი.
4. XVIII ს. ქართული მწერლობა.

**ალექსანდრე ცაგარელი** კი თავის პერიოდიზაციის სისტემის საფუძვლად იყენებს ისტორიული (IV-XVIII სს. მწერლობა) და მხატვრულ-ესთეტიკური (XIX ს. ლიტერატურა) პრინციპების თავისებურ სინთეზს. წერილში „ჩვენი უბედური მწერლობა ამ საუკუნეში“ (იხ. **ცაგარელი 1870**). იგი გამოყოფს ოთხ პერიოდს:

1. IV-XI საუკუნეები – “უძველესი ხანა”;
2. XII-XIV სს. – “ძველი,” ანუ კლასიკური ხანა, რომელიც მოიცავს „საქართველოს პოლიტიკური და ლიტერატურული ძლიერების“ საუკუნეებს;
3. XVII-XIII სს.- “ახალი”, ანუ “ქართული მწერლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინების ხანა”;
4. XIX ს. – “უახლოესი”.

XIX ს. ლიტერატურას ალ. ცაგარელი თავისი ხასიათითა და მიმართულებით 3 პერიოდად ყოფს. პირველი პერიოდის წარმომადგენლები არიან: ალ. ჭავჭავაძე და ბეს. გაბაშვილი, რომლებიც: „გამოხატავენ თავიანთი პოეზიით იმგვარ ხასიათს ანუ მიმართულებას, რომელსაც ანაკრეონტული ანუ პეროტიკული ჰქვიან“.

მეორე პერიოდს განეკუთვნებიან: გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი და სხვა. ცაგარელი მიიჩნევდა, რომ გ. ერისთავმა: „დაინტუ ჩვენ ენაზე კომედიებისა და დრამების წერა, იმან დაჲქნა ეს მშვენიერი ქართული საალიტერატურო ენა“. ალ. ცაგარელის აზრით, გიორგი ერისთავმა შექმნა ნამდვილი ეროვნული კომედია. და ამის გამო მეორე პერიოდს აქვს „კომიკური მიმართულება“.

მესამე პერიოდს განეკუთვნებიან: ილია და აკაკი, რომელთა შემოქმედებას მკვლევარი ხაზგასმით გამოყოფს და „განუსაზღვრელ მნიშვნელობას“ ანიჭებს. ალ. ცაგარელისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილი „განცალკავებულად დგას“ და სრულიად გამორჩეული და განსხვავებული მოვლენაა ქართულ მწერლობაში, რომელმაც საკუთარი პერიოდი შეადგინა ლიტერატურაში და მას მეცნიერი „დრამატიკულს“ უწოდებს: „ნ. ბარათაშვილს საკუთარი პერიოდი შეადგინა ჩვენ ახალ ლიტერატურაში, უნდა ყოფილიყო დრამატიკული, როგორც სჩანს იმის დიდ ხელოვნურ და პაზროვან ნიშუმთაგან, ბედი ქართლისა“ (ცაგარელი 1870: 4).

XIX საუკუნის დამლევს შეიქმნა არაერთი შემაჯამებელი ხასიათის შრომა, რომელშიც კრიტიკოსებმა იმ საუკუნის ლიტერატურული პროცესის დახასიათება ქართული მწერლობის განვითარების ფართო კონტექსტში სცადეს. დავასახელებთ ამ ტიპს მხოლოდ ერთ, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან შრომას. ეს გახდავთ **ალ. ხახანაშვილის „ნარკვევები“** (იხ. ხახანაშვილი 1887; 1901; 1907), რომელიც არის - ერთერთი პირველი ცდა ქართული მწერლობის შემაჯამებელი ერთიანი სურათის გადმოსაცემად. ჩვენ ვიზიარებთ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულ აზრს, რომ ქართული მწერლობის პერიოდიზაციისათვის ალ. ხახანაშვილი საფუძვლად იღებდა ნაანარმობთა ქრონილოგიურ-ჟანრობრივ პრინციპებს. ის თვითონვე აღნიშნავდა, რომ განსახილველ ძეგლებს უდგებოდა „ხან მრავალმხრივი ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, ხან კი მარტო შინაარსის გადმოცემითა და გარეგნული აღწერით“ (ხახანაშვილი 1901) ამ პრინციპებზე დაყრდნობით მკვლევარმა მიიღო შემდეგნაირი სურათი („ნაკვეთების“ პირველი ტომი ქართულ ხალხურ ეპოსის შესწავლას ეძღვნება):

II ტ. - “ძველი ქართული მწერლობა” (IV-XII სს.);

ა. ხახანაშვილი ამ პერიოდის ძეგლებს ჰყოფდა ოთხ ძირითად ჯგუფად:

1. ჰაგიოგრაფიული,
2. ისტორიული,
3. საკუთრივ ლიტერატურული,
4. სამეცნიერო, ლითოსმეტყველური და იურიდიული.

III ტ. - “XIII-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა”.

ამ ეპოქას მკვლევარი კულტურული და პოლიტიკური დაცემის ხანად მიიჩნევს. მისი აზრით, XIII-XVIII საუკუნის ქართული მწერლობის ძეგლები არ გამოირჩევონენ ორიგინალურობითა და მხატვრული ლირსებით. ის უმეტასწილად დიდაქტიკური და ჟღაპრული შინაარსის შემცველია. ალ. ხახანაშვილი სწორედ ამ პერიოდს მიიჩნევს ეროვნული მოტივის აღორძინების ეპოქად. ქართულმა მწერლობამ კი ალ. ხახანაშვილის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ დიდებას XVIII-ე საუკუნეში მიაღწია და ამ პერიოდს მეცნიერი „ვერცხლის ეპოქას“ უწოდებს.

IV ტ. - XIX ს. ლიტერატურას ეძღვნება, რომელშიც მკვლევარი სამ საფეხურს გამოყოფს:

1. - სამოციან წლებამდე,
2. - სამოციანი წლებიდან ოთხმოაცდაათიან წლებამდე,
3. - ოთხმოაცდაათიანი წლებიდან იწყება.

**კიტა აბაშიძის** თხზულებებმა, რომელიც 90-იან წლებში გამოქვეყნდა ფუძემდებლური როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციის საქმეში. მან პირველმა შექმნა მე-19ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური კურსი, რომელიც თითქმის უცვლელად დამკვიდრდა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. მისი მიზანი იყო მე-19ს. ქართული ლიტერატურის ევოლუციის საერთო სურათის ჩვენება, რათა ლიტერატურული პროცესი დახსასიათებულიყო მთლიანად მის განვითარებაში (იხ. აბაშიძე კ. 1962).

კიტა აბაშიძის კონცეფციას საფუძვლად დაედო მხატვრულ-ესთეტიკური და ქრონოლოგიურ-ისტორიული პრინციპების შერწყმა. მის ნაწერებში მე-19ს. ქართული მწერლობის შესანავლა ქრონოლოგიური პრინციპითაა შედგენილი და ისტორიულ - შედარებითი მეთოდითაა განხითარების ევოლუციური ხასიათის შესახებ. იგი ლიტერატურული პროცესის ევოლუციის შემდეგ საფეხურებს გამოყოფს.

1) ინცეპა რომანტიზმით - „რომლის მეთაურია ალექსანდრეჭავჭავაძე, განმავითარებელი გრიგოლ ორბელიანი, უმაღლეს წერტილამდე ამყვანი ნიკოლოზ ბარათაშვილი, მისი დაცემის, დეკადენსის გამომხატველი კი ვახტანგ ორბელიანი“ (აბაშიძე კ. 1962: 85).

2) რომანტიზმი გადადის რეალიზმის დამწყებია გიორგი ერისთავი, ამ მიმართულების უდიდესი წარმატების გამომხატველი ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ხოლო რეალიზმის დაცემა, უფერული ნატურალიზმი გიორგი წერეთლის შემოქმედებაშია ასახული“ (აბაშიძე კ. 1962: 100).

3) კრიტიკოსი მიიჩნევდა, რომ ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა ჩვენს მწერლობაში წეორომანტიზმს ამკვიდრებდენ, რომელიც რეალიზმისა და რომანტიზმის საუკეთესო თვისებების შერწყმად ესახებოდა ავტორს. ვაჟა-ფშაველას კი კიტა აბაშიძე სიბმბლიზმის მეთაურად მიიჩნევდა.

რაც შექება წეორომანტიზმსა და სიბმბლიზმს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიტა აბაშიძე ცდილობდა ეჩვენებინა, დაემტკიცებონა და ეპოვნა ევროპული ლიტერატურის ყოველი მიმდინარეობის გამოძახილი და შესატყვისი ჩვენს მწერლობაში. თუმცა კრიტიკოსის აზრით, ეს არ იყო ევროპული ლიტერატურის განვითარების ეტაპების მქანიკური გადმომდება.

ჩვენ ვეთანხმებით მკვლევარ გიორგი აბაშიძეს (აბაშიძე გ. 1962) რომ ეტიუდებში ვერ შეხვდებით ბიოგრაფიულ ცნობებს, რადგან კრიტიკოსი მიიჩნევდა, რომ ბიოგრაფია ბევრ არაფერს ეუბნებოდა ლიტერატურის მკვლევართ.

**XIX საუკუნეში** ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისა და ისტორიის კურსის პრინციპების დამუშავების თეორიული საფუძვლების შესანავლამ ცხადყო, რომ ეს პროცესი (როგორც ქრონოლოგიურად, ისევე არსობრივად) ზოგადევროპული კრიტიკული აზროვნების ფარგლებში ვითარდებოდა, ხოლო ამ ძიებათა საერთო კონტექსტში ნათლად გამოიკვეთა ილიასეული მიდგომის სპეციფიკა.

ლიტერატურული პროცესის პერიოდებად დაყოფა (პერიოდიზაცია) არა მხოლოდ მისი სისტემატიზაციის, არამედ შეფასების ძირითადი კრიტერიუმების დადგენაც გახსენავთ. ლიტერატურულ პროცესს ილია მთლიანობაში იხილავს და განსაზღვრავს, როგორც „მატებასა და წინსვლას“ („წერილები ქართულ ლიტერატურაზე“). იგი მას რამდენიმე „ხანად“ ყოფს (ძირითადია მათ შორის - „პირველი“, „მეორე“ და „ახალი“), რომლებიც არა მხოლოდ ქრონოლოგიური, არამედ ფართო მნიშვნელობის საზოგადოებრივ-ისტორიული ცნებებიცაა. ფაქტიურად „წერილებში“ შეჯამებულია ილიას შეხედულებები **XIX საუკუნის** მწერლობის ძირითად მიმართულებებზე და მათი შეფასებისას არაერთხელ ვევდებითტერმინებს „პირვალი ხანა“, „მეორე ხანა“, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ „ახალ ხანას“.

ილია ძირითად ყურადღებას მაინც „ახალ ხანას“ უთმობს. ეს ცნება თვით ილიას ეკუთვნის და იმ პერიოდის არც ერთ კრიტიკოსს თავიანთ თხზულებებში არ უხმარიათ. ცნობილია, რომ ნებისმიერი ახალი ცნების შექმნა ყოველთვის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კრიტიკოსს არ აკმაყოფილებს არსებული ტერმინოლოგია და ახალი აზრების „გასაფორმებლად“ შესაბამისად ახალ ტერმინებს ეძიებს. ცნება „ახალი ხანის“ მეშვეობით ილია მიმოიხილავს **XIX საუკუნის** 60-ანი წლების მწერლობას. მასში ნათლად გამოსჭვივის ლიტერატურული პროცესების ილიასეული შეფასება, მიდგომა და მეთოდოლოგია. იმდროინდელ კრიტიკაში გამოიყენებოდა ცნებები „მამები და შეიღები“ ან „ახალი და ძველი თაობა“. ილია ჭავჭავაძეს არ აკმაყოფილებდა ამგვარი მიდგომა და მიაჩნდა, რომ ეს ტერმინოლოგია არ იყო საკმარისად მყაფიო, გარკვეული, ზუსტი, და აქედან გამომდინარე თანამედროვე ლიტერატურული პროცესების ამგვარი გააზრება მიუღებლად მიაჩნდა. „წერილებში“ ილია თავიდანვე კატეგორიულად აყალიბებს თავის შეხედულებებს ამ საკითხების გარშემო. იგი წერს: „არა ერთხელ ატეხილა ფეხმოკლე ლიტერატურაში საუბარი ახალ და ძველ თაობაზე. ზოგი მწერალი საყვედურს აძლევს ახალ თაობას, - რატომ არას აკეთებო, ზოგი ძველს თაობას, - რატომ არა გააკეთერა. იქნება ერთიც მართალი იყოს და მეორეც, ხოლო დღემდე კი არავის გამოუკვევია - რა არის და ვინ არის და ვინ არ არის ან ახალი ან ძველი თაობა; და არავინ იცის - ვისზე ლაპარაკობენ, როცა ან აერთს, ან მეორეს ახსენებენ“ (ჭავჭავაძე 1986:177) და კიდევ: „დროა თავი დავანებოთ ამ გაცვეთილს სახელებს და მოვიკითხოთ მარტო ის, გუშინ რას ვსდევდით ძველნიცა და ახალნიცა და დღეს რასა ვსდევთ, რას ითხოვდა ნინა-დღე და რა პასუხი მისცა დღევანდელმა“ (ჭავჭავაძე 1986:180). ზემომოყვანილი სიტყვები ცხადყობს, რომ ილიას მეთოდოლოგიური მიდგომა მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენებისადმი და ესთეტიკურ-კრიტიკული შეფასების მისეული

\* ნაწილობრივ გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე: პირველი ნაწილი - 1892წ. №39, ხოლო მეოთხე - 1892წ. №77.

კრიტერიუმები სრულიად ახლებურია, რაც მის ლექსიკაშიც კი აისახა ახალი ტერმინის შემოტანის სახით.

“ახალი ხანა”, ცნება, რომელიც მოიცავს პრიბლემების გაცილებით უფრო ფართო სპექტრს და სჭირდება კრიტიკოს არა “თაობებისა” და მათი მხატვრული მისწრაფებების დასაპირისპირებლად, არამედ XIX საუკუნის პერიოდიზაციისათვის. ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელიბას ანიჭებდა ილია საზოგადოებისა და ლიტერატურის ურთიერთზემოქმედებას. გაზეთ “ივერიის” ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში “ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა” (1886, №6) იგი წერდა: “ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოებას. და იქვე ასაბუთებს ლიტერატურის განვითარების აუცილობლობას საზოგადოებისათვის და იმედოვნებს, „რომ ქართული ლიტერატურა გავრცელდება ჩვენში და მაშინ ჩვენი ეგრეთ-წნოდებული მაღალი წნოდების ხალხი, თუნდა სრულიად დაეთხოვოს კიდეც ჩვენს ლიტერატურას, დიდი არაფრისაა. საქმე ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს, გონების გახსნის გზაზე იმოდენად ნარიმართოს, რომ როგორც პურის საჭიროებას ჰგრძნობს ხორცისათვის, ისეც ლიტერატურა მიიჩნიოს სულისა და გულისათვის... უეჭველია გამრავლდება როგორც მუშაკი ლიტერატურისა, ისეც მუშტარი და მაშინ ლიტერატურა და საზოგადოება უკეთ მოეწყობა, უკეთ მორიგდება და მოთავსდება ერთმანეთში” (ჭავჭავაძე 1986:77).

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ილია მნერლობას ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაში და ყოველ ლიტერატურულ მოვლენასა თუ ცალკეულ მნერლის შემოქმედებას მიიჩნევდა “საყოველთაო საქმედ” (ჭავჭავაძე 1986:185). ამიტომ XIX საუკუნის ლიტერატურული პროცესის შეფასებას იგი უდაბება არა მხოლოდ ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით, არამედ დიდ ყურადღებას აქცევს ლიტერატურაში ეროვნულ-პატრიოტული თემის განვითარებას (მოდებაძე 1998:251-259).

ამგვარი მსოფლმხედველობა საფუძვლად დაედო მის მიერ დამუშავებულ მეთოდოლოგიას.

ასეთ რთულ მოთხოვნებს ტერმინი “ახალი და ძველი თაობა”, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა, და ყოველივე ამან განაპირობა ახალი ცნების შემოტანის აუცილებლობა.

ამას ეფუძვნება XIX საუკუნის ლიტერატურული პროცესის ილიასეული რამდენიმე “ხანად” დაყოფა:

“პირველი ხანა” გრძელდება “მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების თითქმის მეორე ნახევრამდე” (ჭავჭავაძე 1986:184) და ხასიათდება იმით, რომ ამ პერიოდში “მოსწყდა ორკეცი დენა ცხოვრებისა და დაცარიელდა საზოგადო მოქმედთა სარტყელიცა, რაკი ნარსულსა და მაშინდელ ანმყოს შუა დედამიწა გაირღვა, ნარსულ ანდერძებთან ერთად ყველაფერი დავკარგეთ” (ჭავჭავაძე 1986:183). “ორკეც დენაში” ილია გულისხმობს ცხოვრების ორ მხარეს, როგორც თვითონ ამბობს, “ორ დიდ ტოტს”, - ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა (идеяная жизнь), მეორე - მოსაქმე (практическая)” (ჭავჭავაძე 1986:183). ამ ხანას იგი აფასებს, როგორც “თესლად დარჩენილისას, რომელიც როცა ამინდი დაუდგებოდა, ხელახლად უნდა გაღუებულიყო აღმოსაცენად, თუ ცხოვრებას ჰსურდა თავისი მახლობელი სათავე არ დაჰკარგოდა სამუდამიდ, ხოლო რაცა ვთქვით, - აგრძელებს მნერლი, - ისიც საემაოა გვაცოდიზოს, რომ ამ თესზლზე გასწყდა ჯაჭვი ცხოვრების ზედ-მიყოლებისა, ანმყოსა და ნარსულს შუა ჩასტყდა ხიდი, შემდეგს სათავე და დასაბამი მოუწყდა” (ჭავჭავაძე 1986:183).

“მეორე ხანა” - 30-40-ანი წლების ლიტერატურაა. მისი ცალკე პერიოდად გამოყოფა-განხილვა იმავე მიღვომითაა განპირობებული. ოცდაათიანი წლების მნერლობას ილია “ხელახლად ფეხადგმულ მნერლობად” (ჭავჭავაძე 1986:185) მიიჩნევს. მისი აზრით, “მეორე ხანა” არა მხოლოდ ლიტერატურული პერიოდია, არამედ “მეორე ხანაა ჩვენის ცხოვრებისა”. “ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეიფარა თავი და ამიტომაც მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ”, ამტკიცებს იგი და მის ძირითად ყველაზე დამახასიათებელ “ნიშნად” ასახელებს “ენას”. ამ პერიოდში “უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: “ვინა ვართ და რანი ვართ” – ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე. პირველი ასეთი ნიშანი ერის ვინაობისა – ენაა და, აი, სწორედ პირველმან ამან აიდგა ფეხი ჩვენში, შემდეგ კარგა ხნის დუმილისა” (ჭავჭავაძე 1986:184-185).

“ახალი ხანა” - ილიას სიტყვებით, „დაწყებულ იქნა 60-ან წლებში”, მისი ყველაზე მკაფიოდ დამახასიათებელი ნიშანია, “რომ სამოციან წლებში ყველაზე უნინარეს გამობრნებინდა დავიწყებული სიტყვა “მამული”, მთელი თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა” (ჭავჭავაძე 1986:201). შემდგომ მნერლი განაგრძობს ამ პერიოდის დახასიათებას და “რეალური მიმართულების” განვითარებასთან მას აკავშირებს: ”პროზით თუ ლექსით, ყველა ჰლადადებდა ადამიანობის დარღვეულ უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა. ამ ეგრეთ-წნოდებულ “რეალურმა მიმართულებამ” ჩვენის აზრიანობისამ, ჩვენი გონება დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავ-კარგიანობას და სამოციან წლებიდან დღევანდლამდე ამ ოცდაათი წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვანლი დასდო, ძევრი ნაყოფიერი თესლი დაჭყარა სამერმისოდ” (ჭავჭავაძე 1986:202).

ამრიგად, ნათელია, რომ 60-იანი წლების ლიტერატურის თავისებურებად ილია ჭავჭავაძე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და სოციალური (“რეალური”) თემების გაერთიანებას მიიჩნევდა. XIX საუკუნის ქართული მნერლობის ისტორიის დაყოფა ეტაპებად აქ არ შემოიფარგლება მხოლოდ ქრონოლოგიური პრინციპით, არამედ მოიცავს გაცილებით რთული ცნებების კომპლექსს.

ილია ჭავჭავაძის ესთეტიკურ კონცეფციამი ცნება “ახალი ხანა” ნათლად გამოირჩევა მისსავე სხვა სახის ქრონოლოგიური ტერმინებისაგან (“ხანა”, “ხანები”, “დრონი” და ა.შ.). “ახალი”-ს გაგება გაიგივებულია პროგრესულთან. “ახალი ხანა” არის ახალი ეტაპი, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისევე ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ის არა მარტი ეროვნული და მხატვრული ცნობიერების განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპია, არამედ სრულიად ახალი ეტაპი ეროვნულ თვითშეგნებაში.

იგი თანამედროვე ლიტერატურის პერიოდიზაციის საძირკვალია და მოიცავს საკითხთა ფართო წრეს: “რეალური მიმართულების” ჩამოყალიბებას, “მამულის” თემის აღმოჩინებასა და მრავალ სხვას.

უფრო ადრეული ლიტერატურული პროცესები ილიას დაყოფილი აქვს ეტაპებად, ხოლო 60-ანი წლებიდან 90-იან წლებამდე კი, მისი აზრით, მიმდინარეობდა უწყვეტი განვითარება, როდესაც იქმნებოდა რეალისტური ტენდენციები (“რეალური მიმართულება”) და ყალიბდებოდა ეროვნულ-ჰატრიოტული მიმართულება, რომლის დამკვიდრების პროცესი მას დასრულებულად არ მიაჩნდა. “... იძულებული ვართ ეს სამოცან წლების მდიდარი ხანა, და არა ნაკლებ ნაყოფიერნი მის შემდეგნი დრონი, მარტო ზოგადის ნიშნებით ზეპირად აღვინიშნოთ, ესე იგი ისე, როგორც ჩაგვსახია გულში, რადგანაც მას აქეთ აქამომდე ჩვენ ჩვენის აზრის მოძრაობისათვის, როგორც დროთა მონამეს, გვიდევნებია თვალი იმოდენად, რამოდენადაც თვითონ თვალი გვიჭრიდა” (ჭავჭავაძე 1986:202).

“წერილებში” სწორედ ამგვარმა მიდგომამ განაპირობა XIX საუკუნის ლიტერატურული პროცესის, როგორც განუყოფელი მთლიანობის ალექსა. მწერალი არ იზიარებს იმდროინდელ ესთეტიკურ კონცეფციებში საკმაოდ გავრცელებულ აზრს ლიტერატურული პროცესის განვითარების შესახებ, რომლის მიხედვითაც ამ პროცესის პერიოდიზაცია-დაყოფა გულისხმობს ახალი და ძველი ტენდენციების კონფლიქტს. ის მიზნევს, რომ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მიმართ ასეთი მიდგომა მიუღებელია: ”მთელი ეს მეცხრამეტი საუკუნე ისე დაგველია, რომ ამ საკმაოდ დიდი მანძილზე არც ერთი ხანა ჩვენის ცხოვრებისა თითქმის არ ყოფილა იმისთანა, რომ ორი სახსენებელად ლირი აზრი, ორი მიმართულება, ორი საქმე, ერთმანეთის მოპირისპირ, ერთმანეთს დასჯახებოდეს ცხოვრების მოედანზე ადგილის დასაჭრად, თუ სხვა რისთვისმე. ვერ ვიტყვით, რომ ამ გრძელ დროის განმავლობაში არ ყოფილიყოს ხანა და ხანა, რომელიც განირჩევან თვისთა აზრთა წყობით, მიმართულებით, თუ საქმოანობით, ხოლო ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ ვერ ვიპოვით ერთსა და იმავე ხანაში იმისთანა სხვადასხვაობას აზრთა წყობისას და მიმართულებისას, რომ ცალ-ვალკე ბაზარებად გასვლა-გამოსვლას საზოგადო მოღვაწეობისას რაიმე საჭიროება წინ გასძლოლოდა” (ჭავჭავაძე 1986:180).

ამგვარი შეფასება ააშეკარავებს, რომ ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივ-სოციალური და ეროვნულ-პატრიოტული იდეებისადმი უპირატესობის მინიჭება წებისმიერ სხვა კრიტიკულებთან შედარებით. სწორედ მაბულისადმი გულრნფელი სიყვარული აერთიანებს ილიას თვალში სხვადასხვა თაობებისა და მიმართულებების ნარმომადგენლებს: “ამ მრავალგვარ საგნებში, რომელიც მაშულმა, მამულის სიყვარულმა და მამულის-შვილისამ თვალწინ გამოგვიფინა, თვითეულმა მათგანმა (“ძველ მწერალთა” - ი.მ.) თავისი სხივისანი შუქი შეიტანა იმისდა მიხედვით, ვის რა უფრო ეხერხებოდა და სადამდე თვალი უწვდებოდა” (ჭავჭავაძე 1986:203). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის მემკვიდრეობის თეზისი, რომელიც ფორმულირებულია ილიას მიერ, როგორც “მატება და წინსვლა”, არ გამოირიცავს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ან რომელიმე ლიტერატურული მოვლენის კრიტიკულ შეფასებას, რაზეც მეტყველებს მწერლის წებისმიერი კრიტიკული ხასიათის წერილი.

ხოლო თვით ილიასეული ცნება “ახალი ხანის” შედარება მხოლოდ ბ. ბელინსკისუელ “Bek”-თან (“საუკუნესთანა” ) შესაძლებელი. მართალია, ბ. ბელინსკიც იზიარებდა დასავლეთევროპული კრიტიკის სოციალურ-ისტორიულ მიმართულებას, მაგრამ თავის ესთეტიკურ ნააზრები თანამედროვეობის პრინციპს ნარმოაჩენდა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების პერიოდისას მას შემოაქვს ცნება «Bek» (იხ. მოდებაძე, 1999: 39-40).

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი ბელინსკის ესთეტიკურ-კრიტიკული კონცეფციის მიმართ კარგადაა შესწავლილი. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მისი ზოგიერთი დებულება და განსაკუთვრებით მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ილიასეული აღქმა ბელინსკის კონცეფციის ძირითად დებულებებს უახლოვდება. მიუხედავად ამისა ცნებები “ახალი ხანა” და “Bek” არაიდენტურია. მაგრამ მათ შორის გარკვეული იდეულ-შინაარსობრივი მსგავსება უეჭველია. ორივე მოაზროვნე განავრცობს ამ სიტყვების მნიშვნელობას და გულისხმობს პრობლემათა რთულ კომპლექსს. ამავე დროს აკონკრეტებს მათ და სწორედ ამ პრობლემათა კომპლექსის აღსანიშნავად იყენებს. ბელინსკის “Bek” ისევე როგორც ილიას “ახალი ხან” არა მხოლოდ ქრონოლოგიური, არამედ ისტორიულ-საზოგადოებრივი კატეგორიაა, რომელიც თანამედროვე ლიტერატურის სისტემატიზაციის საფუძველს წარმოადგენს და პირველ რიგში, გულისხმობს განვითარების თვისობრივ სიახლეს. მაგრამ ამ ორ ცნაბას შორის შეიმჩნევა არსებითი განსხვავებაც, რომელიც უმთავრესად ქრონოლოგიამი ვლინდება.

“Bek” მთლიანად მოიცავს XIX საუკუნეს. ბ. ბელინსკისთან ხაზგასმით გამიჯვნულია XIX და XVIII საუკუნეების ლიტერატურულ პროცესები, ხშირად ისინი ერთმანეთს უპირისპირდება. ბელინსკი ილია ჭავჭავაძისაგან განსხვავებით სიახლის დამკვიდრებას არსებულ ტრადიციებთან ბრძოლად აღიქვამს. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ილიასეული “ახალი ხანა” 60-ან წლებში იწყება და არ უპირისპირდება განვლილ ეტაპს ვინაიდან ილიასეული “ახალი ხანა” შეიცავს ეროვნული თვითშეგნების ცნებასაც, რომელიც სიტყვა “მამულით” გამოიხატება.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მეთოდოლოგია, რომელითაც იგი სარგებლობს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის სისტემატიზაციის დროს, განპირობებულია ეროვნულ-პატრიოტული, სოციალურ-ისტორიული და ესთეტიკური შეფასებების ერთიანობით. ხოლო მწერლის კონცეფციაში ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად წინ “მამულის” ცნების წამოწევა, უმთავრესი განმასხვავებელი წიშანია ილიასა და ცველა მის თანამედროვე კრიტიკოსებს შორის.

#### ლიტერატურა:

- აბაშიძე 1962:** აბაშიძე გიორგი. კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1962.
- აბაშიძე 1962:** აბაშიძე კიტა. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიდან. თბილისი: გამომცემლობა „თსუ”, 1962.
- დოდაშვილი 1832:** დოდაშვილი სოლომონ. „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა”. გაზ.: „სალიტერატურო ნანილნი თფილისის უწყებათანი”, 1,2, 1832
- მოდებაძე, 1998:** მოდებაძე ირინა. ოლია ჭავჭავაძის ერითიქული ნააზრევის იდეურ-ესთეტიკური კონცეფციის საკითხისადმი. კრებ. „ლიტერატურული ძიებანი”, XIX. თბილისი: 1998.
- მოდებაძე, 1999:** მოდებაძე ირინა. *O некоторых особенностях критико-публицистической лексики И. Чавчавадзе – Доклады и материалы международной научной конференции «Актуальные вопросы филологических наук».* ТГУ, 1999.
- პლეხანოვი 1975:** Плеханов Г.В. Сочинения, т. X. – წიგნი: Возникновение русской науки о литературе. М., «Наука», 1975.
- სენტ-ბევი 1970:** Сент-Бев. *Литературные портреты. Критические очерки.* М., 1970.
- ხახანშვილი 1887, 1901; 1907:** ხახანშვილი ალ. ნარკვევები, ტომი II. თბილისი, 1887.; ტომი III. თბილისი: 1901; ტომი IV, თბილისი, 1907.
- ხახანშვილი 1901:** ხახანშვილი ალ. ნარკვევები, ტ. II, თბილისი: 1901.
- ცაგარელი, 1870:** ცაგარელი ალექსანდრე. ჩვენი უბედური მწერლობა ამ საუკუნეში. გაზ. დროება, 2,3,4,6,7, 1870.
- ჭავჭავაძე 1986:** ჭავჭავაძე ილია. რჩეული ნანარმოებები ხუთ ტომად. ტ. III, თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1986.

## ილიას ფაქტორი სიმბოლისტური მითთამთხველობის ხანაში

ილიას შემდეგ, სიტყვებით: “ეპოქა გათავდა დიდი” გალაკტიონმა ახალი მწერლობის ქრონოლოგიური ზღვარი, “ლოგოსის” ძების ახალი მოსახვევი აღნიშნა, თორემ პრობლემა, ტკივილი და აზრი კვლავ ერთი რჩებოდა.

XIX საუკუნის ქართული ლექსის ისტორია ათიანი წლებიდან იწყება, შემოქმედებით ძიებათა გზა, მაშინ კვლავ ილიას, აკაკის, ვაჟას პოეტურ გაკვეთილებზე გადიოდა და იმ ხანებში ქართველ პოეტებს ვერც წარმოედგინათ და არც უნდოდათ სხვა არჩევანი, თვინიერ ილიასა და აკაკის პოეტური სახეებისა. იყო მეორე მიმართულებაც, ე.წ. თბილისური პოეზია, რაც თბილისური ცხოვრების გარითმულ სახეს წარმოადგენდა. ხელოსანთა, ვაჭართა, ყარაჩოლელთა, ჩარჩოთა, კინტორთა, საზანდართა, აშულთა, დახლთა, ბაზართა თბილისში მაშინ ძირითადად სომხები და რუსები ცხოვრობდნენ; აშულური ბაიათები, მუხაბაზები, რობაიები, ზურნა-დუდუკის ხმაზე შექმნილი სიმღერები და იაფფასიანი საფლირტო-სალონური მიმართვები მაშინ ძალიან პოკულარული იყო და წიგნებადაც იბეჭდებოდა. მესამე, კი იყო დასელთა პოეტური ექსპერიმენტები, არალეგალური პირები, რუსი ნაროდნიკების და ინტერნაციონალისტების კვალში ჩამდგარი ქართველი რევოლუციონერები მოცალეობის უამს (ციხეში ჯდომისას ძირითადად) „პოეტური ხელოვნებისთვის იძნვიდნენ“ და პოლიტიკური პროკლამაციების მსგავს ლექსებში ლუბპენ – პოლეტარიატის და პოლიტიკური ტუსალების ყოფას აღნერდნენ და ყველას ბრძოლისაკენ მოუწოდებოდნენ.

პოეზია კი სულ სხვებმა გადაარჩინეს – ესენი ქუთაისელი სემინარელები და გიმნაზიელები იყვნენ, მძიმე ფიზიკურ და სულიერ ატმოსფეროში მოუხდათ მოსვლა ქართველ პოეტებს, თითქოს მათ არც ელოდნენ და კიდევ გაუკეირდათ მათი გამოჩენა. გაკვირვების მიზეზი პირველყოვლისა მათი პოზია იყო – ახალი სიტყვით, სახით და მიმართულებით მოაზროვნე პოეტებისადმი არასაერთაზროვანი რეაქცია ჰქონდა საზოგადოებას, მაშინ ისინი ცოტას მოსწონდა, ბევრს-არა.

სწორედ აქედან დააწყო დიდი ლაშქრობა პოეზიის მწვერვალებისაკენ...  
ილიას შემდეგ შემოქმედებით ციტადელს ერთმანეთის მიყოლებით გაეცალნენ XIX საუკუნის ლიტერატურის კლასიკოსები და იმ დროის შემოქმედებითი ვაკუუმის შევსება “თავზეხელალებულმა ბიქებმა” – ქართველმა სიმბოლისტებმა იკისრეს. თამამი და ხმამაღალი გამოსვლები თვითდამეციდრებისათვის არა მხოლოდ მხატვრულ პროდუცირებაში ვლინდებოდა, არამედ პოზიციურ ანტაგონიზმიც ცხადდებოდა. — იგულისხმება ქართველ სიმბოლისტთა ცნობილი დამოკიდებულება “თერგდალეულთა” მიმართ, რითაც ლიტერატურულ კრიტიკაში გახმაურებული განცხადებით “მათ ის ტოტი მოიქრეს, რომელზეც ისხდნენ”.

თავდაპირველად „ცისფერი ოპიუმით მთვრალი“ თავიანთ მეტოხელებს პოეტურ — მხატვრული ინსტალირების განსხვავებულ გზებზე და მათთან შესახვედრად მკითხველის განსაკუთრებული მზაობის საჭიროებაზე მიუთითებდნენ, ისინი აცხადებდნენ, რომ ძველი ჰანგების მოტრფიალე თუ ყურსმიჩვეული მკითხველისათვის საკმაოდ რთული იქნებოდა მათი გაგება, და თანამზრაზველებად ე.წ. „ელიტარულ მეტოხელეს“ უხმობდნენ.

„...ეს შემდეგ: აპლოდისმენტები, ხმაურობა, აღტაცებული ან მრისხანე სახეები, მაგრამ პოეტი შემოქმედების დროს ყოველთვის მარტოა... ლირიკა იძლევა ნირვანის გრძნობას და არცერთ ხელოვნებას არ გადაჰყავს სული ნირვანაში ასე, როგორც ლირიკას, მოსალოდნელია, რომ მუნჯები ყველაზე უკეთ გაიგებენ და დააფასებენ ლირიკას, რადგანაც ლირიკა ყოველთვის არის პრელუდია დამშვიდებისა და სიჩუმის...“

... როგორც დეკემბრის ვეფეხი მოვარდნილი სპარსეთიდან საქართველოში ლირიკა ხშირად გაიცხრილება ტყვიერით, მაგრამ მის განსასვენებლად ვერ გამოდგება ურემი, საჭიროა შავი ბალდახინი, ედგარის ცხენებით. საჭიროა როგორც პარტერი – დიდი ზღვა – დაისების ლოჟებით და უკანასკნელი ფარდით.

თვითონ ლირიკა არავისთვის სავალდებულო არ არის, ის არისტოკრატიულია ზედმინევნით...“ – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი 1916 წელს („ლირიკის ელიზიუმი“).

ამ დამოკიდებულებიდან სულ ერთი ნაბიჯი იყო პოეტურ ლირსებათა წარმოჩენის მიზნით „ცისფერყანელთა“ მიერ განხორციელებულ ყბადალებულ ლიტერატურულ განხორციელებულებებიდან სედეგიც ქართული პოეტური აზროვნებისა და განსახოვნების ისტორია ამგვარი მაგისტრალური ხაზით წარმოჩენას გულისხმობდა: რუსთაველი > ბესიკი და გურამიშვილი > ბარათაშვილი (თუმცა არც მისი შეფასებისას იყვნენ ერთსულოვანნი) და > ვაჟა-ფშაველა (ვაჟას ლიტერატურული მემკვიდრეობა პოეტური ნიჭის, ოსტატობის და მხატვრული აღქმის ძალმოსილების უნივერსალურ კონცენტრაციად აღიარეს).

ამ სიაში ვერ მოხვდნენ თერგდალეული პოეტები. აკაკის უგულველყოფა პოეტური სიტყვის ფორმაციის ისტორიიდან ქართველმა სიმბოლისტებმა სიტყვის მხატვრული სრულყოფის დაბალი ხარისხით ახსნეს, ხოლო რაც შეეხება ილიას, ფაქტია, მისი პოეტური მემკვიდრეობის აშკარა დაუფასებლობის მიუხედავად, მისი სახელისადმი სიფრთხილესა და მორიდებას მაინც იჩენდნენ მაშინაც, როცა ამ შეფასებათა ყველაზე ხაზგასმული ხანა — მათი შემოქმედებითი აქტივობის პირველი პერიოდი იდგა.

ასე რომ, ქართველ სიმბოლისტები, რომელთა ადრეული შემოქმედებითი ნაბიჯები გავლენებისა და მანერულობისაგან ბოლომდე დაზღვეული არ იყო, მხატვრული გამოსახვის ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიებაში ხმამაღალ განცხადებებთან ერთად, ქართული კლასიკური მწერლობის მათვის მისაღები მხატვრულ — ფორმალური ნიშნით სელექციას თუ სისტემატიზაციას ცდილობდნენ. ფაქტია, სწორედ ამ დროს მათ ვერც მაქსიმალიზმისაგან დაზღვიერ თავი და ტაქტმაც უღალატათ. ისიც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მწერლობის ტრადიციებთან დამოკიდებულების საკითხი „ცისფერყანნელებმა“ ამს შემდეგ დააყენეს, რაც უურნალ „ცისფერი ყანნების“ გამოსვლისთანავე კოსმოპოლიტებად და ნიჰილისტებად მონათლეს.

ყოველ იჭვნეულ პოზიციას თერგდალეულთა ან კონკრეტულად ილიას პოეტური ძალმოსილების შესაძლებლობებზე თანვე მოსდევდა ე.ნ. განმარტება, რომ მათი პრეტენზია არამცდაარამც არ ეხებოდა ილიას დავანლს ეროვნულ — საზოგადოებრივი შემეცნების ან ზოგადად მწერლობის გენვითარების საქმეში.

თუმცა ამგვარმა პოზიციამ და „მოსაჭრელ ტოტზე ჯდომამ“ ისედაც „დენთით სავსე კასრსდამსგავსებულ“, ასაფეთქებლად დაყურსულ, „ცისფერყანნეული აზრებით“ გალიზიანებულ საზოგადოებაში ნეგატიური რეზონანსი დიდხანს არ დაახანა. „ცისფერყანნელთა“ წინააღმდეგ გამართული უმოწყალო სასამართლოს თუ საზოგადოებრივი ანათემის ძირითადი მიზეზიც სწორედ მათ მიერ ილიასა და აკავის სახელების არამხატვრულ ანტურაუში მოქცევის მცდელობა გახდა.

„მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა უთუოდ არის ყველაზე დიდი ლიტერატურა ამავე ეპოქის ახლო აღმოსავლეთის მაშტაბით... მაგრამ ეს ლიტერატურა მაინც ვერ იდგა ევროპული ხელოვნების მთელ სიმაღლეზე და ვერ შეეფერება საქართველოს ბრწყინვალე ტრადიციებს. ჩვენ ვიცით ეპოქები, როცა ქართული მწერლობა ნარმოადგენდა უაღრესად მისმაგნიტულოვან მოვლენას მსოფლიო ხელოვნების საზომით, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა, მსოფლიო, ამ შემთხვევაში ევროპული რადიუსით არის პრონინციული ლიტერატურა: თავისი ვაწრო შემოფარგლით პრონინციული ინტერესებით და ესთეტიკური გაუმართაობით“ (ს. ცირეკიძე „რუბიკონი“ 1.1923)

„სარულიად შემთხვევითი არ არის ის ფაქტი რომ სამოცანი წლების თაობათა ომი პოეზიის გარშემო ატყდა, აქ არა მარტო თაობათა ბრძოლა არამედ კულტურათა ბრძოლაა ძველი ქართულის და ახალი რუსეთის იდეოლოგების. ქართული პოეზიის ყვავილს დაუწყეს შეცვალა „რუსულ ხორბლად...“ ილია ჭავჭავაძე შეიარაღებული რუსეთის „ესთეტიკის დამრღვევთა“ არგუმენტებით გამოდის ბრძოლის დამწყებად. ერთი ხმა არ ყოფილა შემდეგ მოდგმაში დამარცხებულთა დასაცავად. სამუდამოდ გადაწყვეტილად ცნება საკითხი. გრიგორ ირქელიანის აღლვება აქ ყველაზე უფრო გასაცემია მასში აიმღვრა კონსერვატორი ქართველი და ქართველი პოეტი. ილია ჭავჭავაძის მოკამათე ქალი ენ. ბარბარე ჯორჯაძე ვერ იდგა იმ სიმაღლეზე, რომ დაეცვა თავისი პოზიცია... იყო გამარჯვება სრული „თერგდალეულთა“, მაგრამ ეს იყო დამარცხება მთელი შემდგომი ხელოვნებისა... ამ „ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ძალად და პოეზია გაზეთად — წერდა ტიციან ტაბიძე („ცისფერი ყანნები“ № 2). თუმცა ავტორი აქვე ამატებს: „აკავის და ილიას ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდისხან ნახულობდნენ ნამდვილ პოეზიას, შემდეგ მათმა სკოლამ მიიღო კარიკატურული სახე... და დღეს უიმედოდ გაპევის მოქალაქეობრივი არღანი კაკაფონიას“.

„პოეტური გვირგვინები დაადგეს ისეთ მგოსნებს, რომელთაც არავითარი კავშირი პოეზიასთან არ ჰქონიათ იმის გარდა, რომ ბეჭდავდნენ თავიანთ ლექსებს“ — ნერდა ვალერიან გაფრინდაშვილი (რუბიკონი 8.1923).

„მიუხედავად ილიას დიდი ქართული სახელისა, თანამედროვე პოეზია ვერ მიიღებს ილიას ლექსებს, სადაც პოეტი ყოველ წუთას უხერხულია, ყოველ სტრიქონზე წამოიჩინებს... მაგრამ ილიას პოეზიას მაინც აქვს კულტურა ბაირონის, გიორგის, პუშკინის, როცა აკავი ნერეთელი მოკლებულია ლიტერატურასაც კი...“ (გიორგი ლეონიძე, ბათუმი 10.1923).

აქმდე (იგულისხმება XVIII ს — ის მინურული, რომანტიზმადე) ქართული პოეზია კიდევ გრძნობს კავშირს ძველ პოეზიასთან. მათი შემართებელი სწორი ხაზი იღუნება, მრუდდება, მაგრამ გამოსავალი ისევ ძველში აქვს, ასე ვუახლოვდებით მესამოცე წლებს, სადაც ეს კავშირი სამუდამოდ წყდება და იქმნება ახალი იდეოლოგია... (ტიციან ტაბიძე „ცისფერი ყანნები“ № 2).

საბოლოოდ კი ბრალდებებმა ამგვარი სახე მიიღო: „ქართველმა სამოცანელებმა თავიანთი გაადვილებული ორთოგრაფიით დამარხეს ქართული ლექსი...“

... და პაოლო იაშვილის რიტორიკული შეკითხა: „ქართული ლექსი ან პოეტი მიაღწევს XX საუკუნის ნახევრამდის? ბარათაშვილის მერანი უკვე დაიღალა ჭერებით, ახლა ის ბებერია ტყავგამხარი... „ქართლის დედის“ ძუძუები დაშრა, საიდუმლო ბარათს კი ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს“ („პოეტები საქართველოში“, ბათუმი 1922).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლისტთა ამგვარი პოზიცია იმთავითვე უარყვეს გალაკტიონშა და კონსტანტინე გამსახურდიამ.

„მათ [იგულისხმება ქართველი სიმბოლისტები] „მანიფესტებით“ და „პერნამენტული კონფერენციებით“ მთელ ქართველ საზოგადოებას და „ძველ პოეზიას“ ომი გამოუცხადეს „შექსპირის უარით...“ ჩვეულებრივ ტრადიციას არ ღალატობენ... ილიას, აკავის, ბარათაშვილის ლანძღვა მონოპოლიად გამოიაცხადეს, ცოტა ფრთხილად უნდა იყვნენ ეს პოეზიის რეპორტიორები... („ილიონი 1.1922“).

„მიცვალებული განაგებენ აწმყოს ვიდრე ცოცხალი — ამბობს დებონი, და ილია სწორედ ის მიცვალებულია, რომელიც დღეს ანათებს ქართველის სულს... ნახევარი საუკუნე უდგა იგი დარაჯად

თავის ერს. ეს დევი ჩვენი ლიტერატურისა... „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ სთქვა მან. მთელმა საქართველომ გაიგონა და შეიყვარა კიდევაც ეს ლოზუნგი. დღეს, ჩვენ ვინც ვდგევართ ქართული კულტურისა და თვისებრიობის სადარაჯოზედ – გვამხნევებს იღიას სიმამაცე და გვიტაცებს მისი ბრძოლის სტიქია. მისი აჩრდილი დაგვტრიალებს თავს და მუდამ გვთხოვს ანგარიშს „რა ვაკეთეთ, რას ვშვებოდით“ საქართველოსთვის, მისი წარსულისა და განვითარებისათვის... ვიყოთ ისევ მედგარნი, როგორც იღია, ვიყოთ ისევ სასტიკინი ჩვენი კულტურის დაცვაში“ - წერდა კონსტანტინე გამსახურდია. („ილიონი 1. 1922“).

ხოლო რაც შეეხება გალაკტიონს, სავარაუდოა, რომ მისი 1916 წლის ცნობილი განდგომა „ცისფერყანნელებისაგან“ და ე.წ. „საუკუნის ჩხები“, სწორედ ქართული ლიტერატურული ტრადიციებისადმი მათი დამოკიდებულებრივი და დეკლარირებული პოზიციებისაგან აბსოლუტური განსხვავებით იყო განპირობებული. გალაკტიონმა, რომელიც საკუთარ თავს (მით უმეტეს იმ დროს) „აკაკის ქარის“ პოეტთა რიგში მოიაზრებდა, ვერ გაიზიარა „ცისფერყანნელთა“ თავდაჯერებული და პრეტენზიული განცხადებანი სიტყვაკაზმული მწერლობის მათ მიერ დაწყებული ახალი წელთაღრიცხვის თაობაზე, მათი დამოკიდებულება ქართული მწერლობის ტრადიციებისა და განსაკუთრებით იღიასა და აკაკის მისამართით, ელიტარულობისა და კლანურობის ხმამაღლა გაცხადებული თეზისები. „მე არ ვნანობ“ — წერდა ის ოლია ოუჯავას და ამ ნაბიჯის ერთგვარ არგუმენტაციად თუ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს 1919 წლს გამოქვეყნებული ესეს: „ძვირფასი საფლავები“, სადაც გალაკტიონმა ნიკოლოზ ბარათაშვილის, მამია გურიელის, ვაჟას, ყაზბეგის, და განსაკუთრებული ხაზგასმით იღიასა და აკაკის ღვანლი შეაფასა, კიდევ ერთხელ გაუსვა რა ხაზი მათ ფასა და მნიშვნელობას არა მხოლოდ თავად მისთვის, როგორც პოეტისათვის არამედ საზოგადოდ ქართული მწერლობისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროიდან გალაკტიონი თითქოს ცალსახად უნდა გამიჯვნოდა „სიმბოლისტურ ხილვებს“, ყოველ შემთხვევაში „ცისფერყანნელთა“ იდეებისაგან ხაზგასმულად განსხვავებული მოსაზრებანი არაერთხელ გამოთქვა: „მე არ ვიცი რა არის „ცისფერყანნელების“ მიმდინარეობა მე ვიცი უფრო მშობლიური ტრადიციაო“ - აცხადებდა. თუმცა, ეს გამიჯვნა როგორც ჩანს, იყო ოდენ პიროვნული და პოზიციური და არცერთ შემთხვევაში მსოფლმხედველობრივი, რადგან ამ დროიდან გალაკტიონი კიდევ უფრო დაუახლოვდა სიმბოლისტური მსოფლალების „კანონიკას“.

შექმნილი უხერხული, კონფლიქტური თუ არაერთაზროვანი გარემოებით ყველაზე მეტად შექმნილი ითქვას, სათავისოდ“ III ძალამ ისარგებლა. ქართველი სიმბოლისტების ამგვარი ტენდენცია თუ „ესთეტიკური პოზა“ და კონფლიქტი ამის გამო ქართული მწერლობის ღირსასაცნობი ნაწილის ორივე მხარეს შორის, ბევრად უფრო მზაკვრული და შორსმიმავალი ჩანაფიქრის ნაწილად იქცა, წარმატებით იქნა რა გამოყენებული საბჭოთა იდეოლოგებისა და წითელი სალიტერატურო კრიტიკის მიერ, როდესაც ქართველი სიბილისტებისაგან „ხალხის მტრის ხატის“ შესაქმნელად მათი ე.წ. „საყმანვილო სენი“ – იღიას ფაქტორი განსაკუთრებული ხაზგასმითა და კატეგორიულობით იქნა რაკურსირებული.

იმ უმძიმეს ბრალდებებს შორის, რომლებიც მოგვიანებით ქართველ სიმბოლისტებს წაუყენეს, ერთი ისიც იყო, რომ მათ ხელადებით უარყვეს ქართული მწერლობის ტრადიციები და ბრძოლა გამოუცხადეს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს - იღიასა და აკაკის, და რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ეს ბრალდებანი ჯერ კიდევ საქართველო მწერალთა I ყრილობაზე (-1926 წლიდან) გაისმა: ჯერ ცნობილი პარტმუშაკების, რაპპელ-ნაპოსტოველთა მხარდამჭერების, იღიასამოძღვეთა – ფ. მახარაძისა და ვ.ბახტაძის გამოსვლებში და შემდგომ ლ. ბერიას სადამსჯელო პარატის მიერ შეთითხოლ ბრალდებებშიც გახმიანდა.

თუმცა „ცისფერყანნელთა“ მხატვრულ - პუბლიცისტური მემკვიდრეობის თუნდაც გადახედვისას იმთავითვე ცნაურდება ის ფაქტი, რომ აღნიშნული პოზიცია მათი არა მხოლოდ ე.წ. „საყმანვილო სენი“ იყო, არამედ ამ ლიტერატურული ჯგუფის ცნობილი არტისტული ინდივიდუალიზმის და მითოსმეიკერობის ერთგვარი გამოვლინებაც (ამ შემთხვევაში არცთუ წარმატებული), რადგან ცალკე იღია ჭავჭავაძის სახელი, დვანლი და ავტორიტეტი და ზედდართული თავიანთივე „მეტაცირებული“ განცხადებანი შემდგომში ნიადაგ ანვალებდა „ცისფერყანნელებს“. აქედან გამომდინარე იღიასადმი განსაკუთრებულ პატივისცემას და მის მნიშვნელობას ქართული საზოგადოებრივი თუ შემოქმედებითი საზრისისათვის მუდმივად აცხადებდნენ: „იღია ცნობილია ქართულ მწერლობაში როგორც მამამთავარი რეალიზმისა და ფუძემდებელი ახალი სალიტერატურო ენისა... ცნობილია იღიას ენამზება, ის შესანიშნავი ორატორი იყო, მაგრამ ის იყო აგრეთვე შესანიშნავი მცოდნე ქართული ენისა... ის არის ხალხური პოეტი ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით. იღიას ხალხურობის გარდა ამშვენებსისადაცე - იგი პაპულარულია თავისი ფორმით და მისაწვდომია უბრალო მკითხველისათვისაც. იღია დიდი ოსტატი და ხელოვანი იყო. მისი ნანარმოები ყოველთვის გაუქნევენ მეტოქეობას მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო შედევრებს... არც ერთ ქართველ პოეტს არ შეუქმნია ისეთი მძლავრი პატრიოტული ლირიკა, როგორიც შექმნა იღიამ. იღიამ გვასნავლა, ჩვენ სიყვარული სამშობლოსადმი მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნა გმინავდა მონარქიული რეჟიმის ქუსლის ქვეშ. მე დაწვერე 15 წლის წინათ და ახლაც გავიმეორებ, რომ იღიას პატარა ლექსში „ტყებ მოისხა ფოთოლი“ ისმის გასაოცარი სიმფონია. იღიამ თავისი შემოქმედებით დაიდგა ხელთუქმნელი ძეგლი მადლიერი შთამომავლობის გულში. არ დარჩენილა არცერთი პოეტი, რომ არ ეძღვნას ლექსი იღიასათვის, ჩვენთვის, ქართველი მწერლობისათვის იღია გახდა ნამდვილი თანამედროვე. იღიამ შეასრულა თავის ეპოქის სოციალური დაკვეთა, შექმნა რა უდიდესი მხატვრული ნანარმოებები, გამსჭვალული ფართე სოციალური პრობლემებით, ამით იგი გასცილდა თავის ეპოქას და თავის კლასს. მისი სიტყვები თქმული გენიალური გულწრფელობით გაუძლებენ საუკუნეებს და სანამ კი ფეთქს ჩვენი გული, იღიას

სახელი აღბეჭდილი იქნება ამ გულის ფიცარზე, როგორც უწმინდესი და უმშვენიერესი სახელი ჩვენი ერისა —ეს შეფასებაზე ვალერიან გაფრინდაშვილს („შენიშვნები ილიაზე“) ეკუთნის და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1937- შია დაწერილი, როცა ეროვნულ ღირებულებებს ჩალის ფასი დაედო და მისი დამცველნიც — ვალერიანის უმრჩმესი ძმები: პაოლო და ტიციანი პოლიტიკურ- რეპრესიული წესების მსხვერპლად იქცნება.

ამ თვალსაზრისით ვფიქრობთ აღნიშვნის ღირსია გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამომავალი სიმბოლისტური გაზეთი „ბახტრიონი“, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართველ სიმბოლისტთა მსოფლმედველობრივი თუ ისტორიული იმიჯის შესაქმნელად, რამეთუ საქართველოში მოდერნისტული სკოლების და მათში მიმდინარე პროცესების აქტიურ პროპაგანდასთან ერთად იგი ხაზგასმული სიფრთხილითა და ტაქტით ეპყრობოდა ეროვნულ ღირებულებებსა და სახელებს, თუმცა ხსენებული მაქსიმალისტური ტენდენციები აქაც გაედერდა.

გაზეთის 1923 წლის მე-10 ნომერი მიეძღვნა ილიას მკვლელობის 15 წლისთავს, სწორედ აქ გახმიანდა განსაკუთრებით ყურადსალები პოზიცია, რომ თერგდალეულთა შორის ილიას ერთმნიშვნელოვნად ეკუთნოდა „ცისფერყანელთა“ პატივი. „ილია ჭავჭავაძე არის ბარაქა და ჯიში ქართული მწერლობის და აი ბედმა არგუნა ილიას თავისი განიერი მხარებეჭით კოლოსივით ჩამდგარიყო ქართულ სინამდვილეში და გამხდარიყო მორგვი ქართული მწერლობისა... ილია ჭავჭავაძემ ამოავსო XIX საუკუნის ცარიელი საქართველო, თავის გახეთქილ შუბლით აზრი მისცა ქართული მწერლობას და საქართველოს სვინდისს“ -ნერდა გიორგი ლეონიძე.

...და ბოლოს ტიციან ტაბიძის განაცხადი:

„გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნე საქართველოში ილიამ კიდეც მოიგონა, კიდეც შექმნა, და კიდეც თავის სისხლით დაჲ კირა. ჩვენ შეიძლება ამ საუკუნის შესწავლის დროს ბევრი დეფექტებიც აღმოვაჩინოთ, განსაკუთრებით პოეზიაში, მაგრამ ერთი კი მაინც უცილობელია, ამ დიდი ეპოქეის მთავარი მბრძანებელი იყო მხოლოდ ილია ჭავჭავაძე.“

ჩვენ ექვსი წლის წინ განვაცხადეთ, რომ ილია როგორც პოეტი მიუხედავად იმისა, რომ ემორჩილებიდა თავის საუკუნეს აცდა ნამდვილი პოეზიის რეალს, შეუძლებელიც იქნებოდა ილია ყოფილიყო მარტო პოეტი მაშინ, როცა ერს არ ჰქონდა არცერთი ატრიბუტი მწერლობისა და კულტურის, რომელიც მის დროს განცვეტილი იყო (ჩვენ არ ვეხებით ნარსულს).

ილიას პოეზიიდან მარტო წინამური რომ დარჩენილიყო, მაინც სამუდამოდ აატირებდა ქართველს და სამუდამოდ დარჩებიდა თემა პოეზიისათვის. ამით ილიამ დაამტკიცა რომ მწერლობა არის წამება, რომ საქართველოში თვითმკვლელობა და მკვლელობა ორივე ბუნებრივი ხვედრია პოეტებისთვის“

ცხადია, ამგვარი „აღიარებებით“ ქართველი სიმბოლისტები არა ამოლოდ „საყმანვილო სენისაგან“ განიკურნენ და საკუთარ შეხედულებათა რევიზია განახორციელეს, არამედ ისიც გააცხადეს, რომ რაც არ უნდა დეკლარირებული ყოფილიყო მათი განზიდვა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსთაგან, განსაკუთრებით კი ილიას სახელისაგან სიმბოლისტური მითთამთხზველობის ხანაში, ეს მაინც ხელოვნური პოზა თუ ერთგვარი მანერა იყო, ეს დამოკიდებულებანი ქართველ სიმბოლისტთა არა მხოლოდ პუბლიცისტურ დისკურსებში გაცხადდა, არამედ მხატვრულ ქმნილებებშიც აისახა. ამდენად, „სისხლით ნაწერი ლექსები“, „მწერლობასთან სხვანაირი მისვლა“ და ილიას გზით სიარული უცხო ოდესმე არც ქართველი სიმბოლისტებისთვის ყოფილა.

#### დამოწმებანი:

ტაბიძე 1975: ტაბიძე გ. თხზულებანი 12 ტომად, თბ.: 1975.

ტაბიძე 1973: ტაბიძე ტ. რჩეული ნაწერები. თბ.: 1973.

გაფრინდაშვილი 1990: გაფრინდაშვილი ვ. პოეზია, პროზა, ნერილები, ესსები. თბ.: 1990.

ცისფერი ყნნები 1916: „ცისფერი ყნნები“. № 2, 1916.

რუბიკონი 1923: „რუბიკონი“. 1. 1923.

რუბიკონი 1923: „რუბიკონი“ 8. 1923.

ბახტრიონი 1922: „ბახტრიონი“. 1. 1922.

ბახტრიონი 1923: „ბახტრიონი“. 10. 1922.

ილიონი 1922: „ილიონი“. 1. 1922.

## POLITICAL CORRECTNESS AND THE LANGUAGE OF AVOIDANCE

Key words: political correctness, avoidance language, taboo, communicative code, EU accession and Eastern Europe, globalization, consumer capitalism, ex-nomination, mind control, accommodation, otherisation, trust

### Abstract

In this paper I aim to discuss political correctness as a communicative and behavioural code. Firstly, I intend to outline its interrelationship with the language of avoidance in general, and more specifically its specific place as its subgroup. Secondly, I'll dwell on the rationale of pc in the context of R.Barthes' theory of ex-nomination, H.Giles' CAT theory and the philosophy of trust. Last but no least, I will attempt to analyse the gradual emergence of pc in post-communist space - the adoption of new rules and the intercultural perspective of pc in the wake of Bulgarian accession to the EU as well as some of its peculiarities.

Political correctness (pc) is one of the most important phenomena of the 20th century and one of the present-day buzz words. Googling pc produces millions of entries referring to its history, philosophy and description. Sometimes political correctness is traced back to the totalitarian regimes of Nazi Germany with its ruthless euphemisms such as the final solution for the annihilation of the Jews, or communist Russia with its double sets of terms for what was good "for us" and "for them". It is such a common term that it means everything and nothing: in one of the on-line entries Bob Dylan was described as no longer pc – meaning not popular.

Short of being described as taboo, some "objects" are now also prohibitive in their use. This is why Prince Charles is staging a campaign for healthier, more politically correct snacks in school vending machines – fruits and nuts, rather than candy and chips – and describes Brussels sprouts and leeks, as pc vegetables.

However it must be emphasized that although avoidance language is a hyponym of political correctness, the latter inhabits a separate niche, with its specificity and its own areas of use. The first point I would like to make is that the use of avoidance language is universal, and like any speech behaviour it is governed by social norms and by social contexts. Significantly, there are culture-specific rules relating to taboo subjects. Thus, death, sex, even foods, may or may not be taboo in certain cultures, yet these taboos are not the same in every single cultural community and will reflect on a diversity of manifestations – from everyday rhetoric to advertising. For example, condom advertising, which is widespread in most parts of Europe, is taboo in Vietnam and other parts of Asia. Certain nationalities or minorities may be unmentionable, and thus made invisible. The best known example is probably the untouchables in India, shunned at a certain time in history. Hutus and Tutsis in Rwanda avoided using each others' names, especially after the genocide, and were referred to as "short people" and "tall people". Soviet Jews described themselves as "invalids of the 5th group" (the 5th item in Soviet passports was nationality). In socialist Bulgaria gypsies were often referred to simply as "a minority".

To throw some light on different examples of avoidance language let us, for example compare these 3 statements:

*"People have just been freed. A little untidiness is not important." (Donald Rumsfeld about looting in Iraq.)*

*"Where's the restroom? I'd like to powder my nose." (Asked by a guest at a restaurant)*

*"We carry medium, large and extra-large eggs." (An announcement at a Bulgarian supermarket)*

No doubt, all of these phrases are euphemisms and their meaning is implied, rather than explicit. The pragmatic and semantic assumptions we make are based on something tangible – our knowledge of the world and the shared codes with the interlocutor. These codes make it unnecessary or socially unacceptable to spell out everything. Implicature, the term propounded by H.P.Grice more than 40 years ago is a very important concept for pragmatics, discourse analysis and the ethnography of communication. It is closely related to the meta-message which can only be interpreted correctly if one has the same "background knowledge" as one's interlocutors. Charles Fillmore recounts two anecdotes concerning the fixed phrase "I thought you'd never ask" illustrating different meta-messages for speakers of British English and American English: "While in American English it is a fairly innocent teasing expression it could be taken as insulting by people who did not know its status as a routine formula. In one case a European man asked an American woman to join him in the dance, and she, being playful said "I thought you'd never ask". Her potential dancing partner withdrew his invitation in irritation. In another case a European hostess offered an American guest something to drink when he ... said "I thought you'd never ask. He was asked to leave the party for having insulted his host." (Fillmore, 1984)

According to Grice, for a full identification of what the speaker has said, one would need to know not only the conventional meaning of the words used together with the identity of any references that may be involved but a) the identity of the speaker b) the time of utterance, c) the meaning, or the particular occasion of utterance (Grice, 1999:77). Lexical euphemisms abound in many spheres – especially business and social life. Common business avoidance clichés are, amongst others, *He is in a meeting* which means "He doesn't want to answer"; *business is business*, as an excuse for something bad done in the course of transactions, or a formula used when one does not want to accept that one has done something unethical. It is socially unacceptable for a waiter to say: "Give me my tip now because somebody else will take over", but the meaning is implied in the sentence: "I am leaving now". (Findlay, 1998)

The use of euphemisms is a psychological must. In ostensibly deviating from certain conversational maxims (see Grice, Ibid) the implicated statements become indirect and thus in many cases are related to politeness-related

avoidance. Thus, the 2nd example -*Where can I powder my nose?* implies “where is the toilet?. The psychological euphemisms, such as *restroom, part with the baby, harvest wildlife*; in Bulgarian: *водни пъдпъдъци* (literally: “water grouse,” i.e. frogs as food), *бели бъбреци* (“white kidneys” – i.e. testicles), have to do with avoiding unpleasant or indecent subjects, or are used for the sake of what is perceived as politeness. Furthermore, some euphemisms give an insight into the nature and practice of different political systems, as well as people’s mentality and cultural characteristics. Consequently, when President Bush says *there will be serious consequences* it means “war”; when Donald Rumsfeld mentions *a little untidiness*, its meaning is transparent: “loot and plunder.”

This type of mind control by means of lexical mis/use has always been a social fact: cf. *the final solution* for “annihilation of the Jews by the Nazis,” *collateral damage* for “civilian casualties,” *friendly fire* for “bombs or bullets which accidentally kill people on the side which has fired the weapons” (LDELС); *wildlife management, harvesting, depopulation* for “large-scale killing of animals or trees.” (Pei, 1973) Cf. also some other examples culled from CNN: “efforts are under way to get the population to settle down” (stop looting), “a major disaster” (murder, death), “respect ceasefire” (do not shoot).

As Noam Chomsky noted in a BBC interview about his famous book *Rogue States*: When the Americans say “we are doing it to protect NATO’s credibility,” any don will tell you it means “do as we say, or else.” For this very reason the UN language is an interesting study in euphemisms: *unlawful use of force against ... or illegal war in...* means “aggression”; when Kofi Annan would say: “I have qualms about this decision,” what he really meant was that he was against it.

In these cases, the avoidance language serves either to justify inaction – if it is aggression or slaughter of the civilians, the international organizations should put their foot down and act;<sup>1</sup> or as a means to brainwash the public, to hide the meaning of what is happening, to neutralize the importance of an event by verbal means. Not coming to the point is part of the political culture in many countries. The desire to justify and control accounts for the following statement made by Lidia Shouleva, the one-time Bulgarian Minister of Economy, who was proud to point out in a TV interview (purportedly as a sign of progress): “Вече не говорим за намаляване на безработицата, а за увеличаване на заетостта“: (We no longer talk about decreasing unemployment but about increasing employment.)<sup>2</sup>

Indeed, language or even silence as a means of control, may be traced back to totalitarianism: e.g. in the culture of secrecy of totalitarian Bulgaria, demography was taboo (no statistics could be divulged about the population breakdown into ethnic groups, the altitude of unmapped mountain tourist shelters, the depth of the Black Sea in certain areas, etc.), while in the Soviet Union there was no sex or diseases. The Russian writer Sergei Dovlatov describes an interview given to a group of American congressmen by the then Party Secretary of Leningrad. When the party official was asked about the mortality rate in Leningrad the answer was that in Leningrad there was no mortality rate. This situation still rings some bells. In the 2003 film *Spinning Boris* directed by Roger Spottiswoode, which features Boris Yeltsin’s re-election campaign conducted using American expertise, the American consultant played by Jeff Goldblum says, -“Don’t say Yeltsin is having the flu, because in Russia everybody would think he is on his deathbed!”

The use of another group of euphemisms is due to advertising and marketing reasons. Thus, in Bulgarian supermarkets there are no small eggs any more - only medium, large or extra-large, while in the USA they are described as medium, large, extra-large and jumbo. The euphemisms which you have “to see through” (like *medium eggs* with the meaning of “small”) cater for the market situation and aim to attract more customers. Another manifestation of avoidance is in hyper-inflation of English. According to Neil Tweedie, to make an impact now you have to be a superhero, vegetables must be *dew-fresh, market-fresh* or *seasonal*. ”Uptitling“ is an offence in which employees are given elevated titles to keep them happy. Thus managers become executive managers, associate managers or managers at large (see also vice president of a company – IP) Post room workers are now dispatch services facilitators. “As part of the ‘bigging-up’ or ‘supersizing’ trend the prefixes “ova, uber or mega prefixes are used to beef up words.”

(Tweedie, 2005)

In all the above examples, the most common reasons for implicating, instead of saying directly or overtly, is avoidance of what is regarded as taboo or unpleasant, as socially unacceptable or impolite or for manipulative purposes – to play down or to play up the importance of the event or object. What is being referred to is being implicated, not explicitly stated, and can only be interpreted correctly given the existence of shared codes which may range from a dialogue between two interlocutors to a cultural community at large. I would also like to postulate that the degree of indirectness differs in different cultures, amongst other things depending on the cultural dimension of high and low context propounded by E.T.Hall (Hall, 1981). In fact, different communication styles of British English and American English have been noted by researchers: thus, Dunkerley and Robinson point out that the British communication style is characterized by the opaqueness of the relationship between semantics and pragmatics. “To interpret successfully requires an understanding of the particular Gricean implicatures of particular comments in which the overt context may bear a variety of relationships to the intended meaning. For example, to expect an outsider to interpret “not bad at all” as meaning “very good indeed” is to expect too much ...just as the interpretation of “It might be an idea, if you were to do x” as an urgent imperative requires long acculturation to decode” (Dunkerley et al, 2002).

<sup>1</sup> Cf. “calling a spade a spade would have mattered, because if it was genocide, how could you not act, however difficult it was?” Barnaby Mason, “The Language of Diplomacy” *From Our Own Correspondents*:May 2004,  
<http://newsvote.bbc.co.uk/mpapps/pagetools/print/news.bbc.co.uk/1/hi/programmes/>

<sup>2</sup> There are numerous interesting examples as well as the rationale of “language demagogic” in Стефана Димитрова, 1999, pp.29-31.

Different avoidance strategies are not only peculiar to different ethnic groups but are gender specific. Discourse styles differ – pausing or avoiding pauses, using “I” or “we” is different for men and women, as was shown by Robin Lakoff and D.Tannen. For example, women are more likely than men to say “we”, rather than “I.” Other characteristics of women’s conversation include avoiding direct requests: “It’s cold in here with the window left open,” instead of “please close the window,” which represents syntactical avoidance. Moreover, women use more euphemisms – i.e. they favour lexical avoidance. These differences in avoidance patterns are, of course, not confined to gender only but apply to different cultural communities of the same ethnic background.

In many cases avoidance is also a sign of differentiation between “your own” and “alien,” “you” and “the other.” It would seem that the difference between speech codes is a sign of distancing from somebody who is not part of “my group.” Consequently, even though the phenomenon of avoidance is universal, the objects of avoidance (and the degrees of avoidance) may differ in different languages and in different cultures.

Unlike avoidance language in general, which is universal although governed by culture-specific social norms and contexts, pc is undoubtedly a product of globalization and, in my opinion, it should be viewed as its communicative code. The area of pc which embraces not only language but also the entire attitude of equality is new in post-communist discourse, while what is described as socialist pc was often the language of inequality, rather than equality. In the present-day context it is quite apparent that avoidance is relative and depends on one’s social and linguistic community and identification.

Due to such core values of globalization as a denial of hierarchy, an emphasis on a culturally pluralistic and interconnected global society lacking any single dominant center of political power, communication, or intellectual production, pc has turned into new behaviour codification, and has taken on the function of a new commodified language which, at least on the surface, aims to discontinue any form of Otherisation. It fits the following definition: “[...] correct according to a set of liberal opinions, e.g. that black people and women should have equal chances to get jobs, education, etc.” (LDELc) According to the rules of PC we are all supposed to be treated as equal. The urge to endorse equality has permeated all spheres of life. Even some forms of address are suspect: *dear* and *darling*, for example, are banned in the National Opera in London because they may be classified as sexual harassment. In many cases overzealousness in the pursuit of what is regarded as political correctness is likely to hurt the feelings of a majority group. Thus, according to online sources, one store in Sydney was once banned from displaying a traditional Christmas nativity scene because “it would be wrong to push any one religious belief.” Fortunately sanity prevailed after a public outcry. “We tried to be politically correct and that was overzealous,” said the store chief executive.

Most pc language has to do with race, rank, ethnic background, gender, age, or appearance. The ab/users of un/pc terms are accused of sexism, chauvinism, rankism, and ageism. The pc trademark is real or perceived equality. The epitome of PC is the term *affirmative action* which is “the practice or principle, when choosing people for a job or an education course, of favouring people who are often treated unfairly especially because of their sex or race; positive discrimination.” (LDELc) By definition any kind of hierarchy is to be avoided as not pc. For this reason certain low-status jobs have been made to sound grand to avoid *rankism*. Thus in American English “garbage collector” was replaced by “garbologist,” “bootblack” - by “bootblack maintenance engineer,” and “dogcatcher” by “animal welfare officer.” (Pei, Ibid: 142). According to some scholars, *elitism* is probably the dirtiest word in present-day American parlance. (Berman 2001), Its UK use is also marked as derogatory in contemporary dictionaries. Political correctness as defined in this way was unknown as recently as early and mid-20th century. To argue the case one only needs to look at the titles of the books written by anthropologists in early and mid- 20th century, e.g. *The Savage Mind* (1962/1966) by Claude Levi Strauss or *The Sexual Life of Savages* (1929) by Bronislaw Malinowski. These volumes abound with such terms as *primitive tribes*, *natives* etc. which are currently most emphatically considered un-pc.

Another illustration of the equality principle is forms of address in different countries. In a North American school a common Bulgarian greeting, “Hello, boys and girls!” would be taboo. The preferred alternative is likely to use no name at all, or address students by their first names. Even “darling” and “dear” were regarded as suspect and banned in the London opera as instigating sexual harassment. Many people of Britain were flabbergasted by George Bush’s use of the title “Mr.” when he was talking about the dictator Saddam Hussein during his November 2003 visit in London. However, in the American culture of equality this form of address applies across the board - from condemned criminals to the Presidents.

### Race PC

According to Mario Pei, at a certain stage there was a whole list of “UN-condemned words,” which have to do with race, including “backward, pagan, native, primitive, underdeveloped race, savage, colored (Pei, 1975: 145). “Colored” used to be the American euphemism for “black” when one didn’t want to say “Negro.” It is used differently in South Africa, to refer to groups that are neither white, nor black, like the numerous East Indians. The accepted term now seems to be “a person of color” or “African American”. Race pc language is so wide-spread that the famous novel by Agatha Christie *Ten Little Niggers*, known also as *Ten Little Indians* was published in Germany as *And Then There Were None*. Even the expressions like “a Dutch treat,” “a French letter” or “WASPs” are sometimes included on the “proscribed” list. Racial taboo words in North American society are contrasted with other words that have lost at least part of their taboo content. Thus “First Nations” is now officially used in Canada instead of “native Americans”.

### Gender PC

Gender PC is characterized by the absence of any emphasis of gender – making it seem irrelevant: “they,” “he or she”, or a neutral expression is to be preferred: e.g. “chair person.” Gender inequality crops up in language making it necessary to overstate the affirmative action approach at the expense of the sense of humor.

A case in point is the following item in *The New York Times Sunday* column “Metropolitan Diary”:

“Dear Diary,

Visiting an editor at Random House, I stepped into a crowded elevator and found myself pressed close to the control panel.

“Has everybody got their floors?” I asked.

After a moment’s silence, a young female voice from the rear said, “His or her.” “I beg your pardon?”, I said,

“His or her. It’s ‘Has everybody got his or her floors?’ Your pronouns don’t agree.”

“And shouldn’t it be ‘his or her floor,’ not ‘floors,’ a young man piped up. “Each of us gets off at only one floor.”

“And wouldn’t it be better to say “Does everybody have?” rather than “Has everybody got?” a third voice chimed in.

I stood corrected – and red faced. But I was glad to know that good grammar is alive and well”(quoted by Lakoff, 2001:78)

While “affirmative action” is no doubt the epitome of PC, it should be noted that the concept is definitely a one-way street: if a “women only” meeting, for example, would be viewed as okay, a “men only” meeting would not be acceptable.

#### *Age, disability, appearance PC*

The pc term for those who used to be “old people” is “senior citizens.” “Differently-abled” or “challenged” are commonly used instead of “physically and mentally disabled,” - e.g. “visually challenged” for “blind,” “vertically challenged” – for “shorter or taller than average”, horizontally challenged” or differently-sized for “fat,” “follicularly challenged” for “bald,” and even “morally challenged” for “corrupt,” “special needs children” for “handicapped children.” (OPCDH) Along these lines, note also this announcement at the KLM airline counter: “Will passengers needing assistance please come to the counter first.”

#### *Education PC*

Another peculiarity of pc words involves positive feed-back – no implied criticism is permitted. This is especially important in academia, and it gives rise to many euphemisms. It has been noted by critics of the American educational system that for many reasons, more specifically because tuition in the US is mostly funded by students or their parents, certain terms are avoided and a new type of so-called school pc has emerged: e.g. “co-learners” instead of “students,” temporally challenged” for “chronically late,” and “alternatively schooled” for “uneducated.” (Berman, 2000: 124-125) “As brought out by the author of *Up the Down Staircase*, Bel Kaufman, ‘Let it be a challenge to you’ means ‘You’re stuck with it’; ‘It has come to my attention’ means ‘You are in trouble’; ‘interpersonal relationships’ is translated as a ‘fight between kids’; and ‘ancillary civic agencies for supportive discipline’ is, in effect, ‘Call the cops!’” (Pei, 1973: 64) Note also this example from a reader’s letter:

“Have you noticed how teachers never disparage children any more? My son had a note on his report that he was “very adept in the creative use of visual aids for learning.” I telephoned his teacher and asked: “What does that mean – the creative use of visual aids for learning?” She answered, “He copies from the child in the next seat” (Reader’s Digest, June, 1982) See more examples of similar euphemisms in Perianova (2002).

The importance of PC cannot be overstated: it has become a practical matter – crucial for the success at work and as such an integral part of many textbooks. The following list is indicative of the tendency: (Outhart et al, 2000:340)

Don’t say	Say instead
A cripple	disabled person
Invalid	disabled person
Handicapped	disabled
Mentally retarded/handicapped	person with learning difficulties
Deaf aid	hearing aid
The disabled	people with impaired mobility/a disability
Spastic	person with cerebral palsy
Confined to a wheelchair	wheelchair user
wheelchair bound	
Deaf and dumb	profoundly deaf
Disabled toilet	accessible toilet

In all probability, pc euphemisms originated in the US. In present-day anthropology, sociology, intercultural communication, organizational behaviour and cross-cultural management different cultures are viewed and assessed in terms of so-called cultural dimensions. According to one of the topmost gurus of the new approach, Geert Hofstede,

the US has a very low power distance index<sup>1</sup> and therefore the main features of North American culture are equality and positive feed-back. According to many scholars equality “should be considered an assumption of American culture, social conventions tend to be more informal and social reciprocities are much less clearly defined (.Stewart et al., 1998). Hierarchy, inequality in power and influence, are seen as man-made (Storti, 2001).

Significantly, the emergence of pc in the post-communist world matches B.Fay’s non-essentialist view of cultures as open systems: i.e. “cultures are ideational entities, as such they are permeable, susceptible to influence from other cultures” (Fay, 1996). Grotesque, rude and inconsiderate Sacha Barron Cohen’s film *Borat* may arguably be, but it does mirror a certain innocence apparent in the official approach to all kinds of minorities during the communist regime. *Retarded, invalids, cripples* – all these words were used in Russia, Bulgaria and other socialist countries indiscriminately, without fear that they may cause offence. Thus there is a lot to be said for new political correctness.

At the same time in post-communist countries such as Bulgaria pc doesn’t embrace all the subjects referred to above in the same degree, i.e. fewer objects and concepts are un-pc. A case in point: the global reality is post-modern and anti-elitist. As opposed to North America, in Bulgarian parlance *elite* is a very positive word and not only schools are described as elite but such unlikely products as doors and window frames. It should also be stressed that the otherisation of some signally unequal groups is still prominent. The objects of in/equality may coincide or differ. Thus in Bulgaria some race pc is prominent: *цигани* (gypsies) is a new taboo, still alien to many people. In a radio interview the author of a nostalgic new novel called *When Romas Were Gypsies* claims not to be anti-gypsy (or anti-roma); however he insists on the old label and voices his dislike of the new one. At the same time, a Bulgarian gypsy ranger who claims to be assimilated says: “I do not mind being called a gypsy, but I’d rather be referred to by a more international term.” (i.e. “roma” – IP).<sup>2</sup> Significantly, there is quite a range of derogatory expressions for gypsies in Bulgarian: *циганин – ром – мангал – мангасар* and even the borrowing *джисини*. The expression *како бъл човек* (as a white man/person) is still very common and it implies the kind of praise which would be considered racist in US or Europe. The language reflects some kind of national inferiority complex as evidenced by the expression – “хубава работа, ама българска” (a nice thing/job, etc. but the way it happens in Bulgaria, i.e. it is bad or faulty).

Conversely, the category which has made a lot of progress in Bulgaria is gender pc, as evidenced by a change in addresses and a greater awareness of the likelihood of an offence and in advertising strategies: for instance, the macho beer advertising of Zagorka beer: – *What does a man need – a good house, a good car, a good woman ... good beer* - is now safely relegated to the past because of a successful court case won by a businesswoman from Stara Zagora, the seat of the brewery.

While rankism and the resulting pc are common in Bulgaria, ageism pc is currently not very prominent. There are, however, many examples of rankism pc in Bulgaria: *инспекторка* (“female inspector”) instead of *секретарка* (“secretary”), *хигиенистка* (“hygiene worker”) instead of *чистачка* (“cleaning woman.”) The only typically Bulgarian pc example may be traced back to the time of socialism when Sofia – the capital – was opposed to other towns and villages, the “provinces,” and was viewed as “more equal” than other places. There is a still perceived inequality between Sofia universities and “provincial” universities. This is why a professor from the University of Veliko Tarnovo in Central Bulgaria urged colleagues from the University of Sofia at a meeting to be politically correct and not to talk about Sofia University and other universities. Note that nothing similar exists e.g. in the UK where the opposition “urban-rural” is not based on the principle of equality, and even “urban-suburban” (in the meaning of “narrow-minded”, “boring”) is not a pc area.

By and large, PC stops at home, which cannot but testify to its use as some kind of behavioural regulator. Hence, on BBC World Service news one can hear the following comment: “They (the Belgian rightist party declared racist - IP) are popular because they are not afraid not to be politically correct and say what ordinary people think.” Moreover, one cannot help but note that “there are a lot more places where you can say “spic” and “bitch” with impunity than places where you can smoke a cigarette.”<sup>3</sup> My own survey also shows that political correctness is only used in the public space – for example at home hardly anybody uses the phrase *хора с увреждания* (“handicapped,” “challenged”). Out of 55 Bulgarians polled only two said they used the word *рома* (“romani”) at home.

And now to discuss the rationale of political correctness I would bring up Roland Barthes and his concept of ex-nomination. If one is a member of the dominant group that group’s attributes are invisible, as one’s role in making things the way they are is not noticeable. This process is called ex-nomination. Roland Barthes discusses the bourgeoisie as an ex-nominated group: “As an ideological fact the bourgeoisie completely disappears: the bourgeoisie has obliterated its name in passing from reality to representation.” Ex-nominated groups, says Barthes, become “normalized,” they become apolitical and non-ideological. They just are. Their rules become “the rules.” (Barthes, 1957) The same claims may be made of white middle-class males in contemporary America. In fact, “whites sometimes feel as if they have been ex-nominated into oblivion.” (Lakoff, 2001:55) The process may be described as a kind of default value. As a consequence, there are attempts at what may be called re-nomination, e.g. the formation of white studies departments at some American universities. Another example: young black males in the US may call themselves “nigger” which is a taboo word for white Americans (personal communication). As the culture of the West is a victorious culture in our part of Europe, we are using their pc as a means of control and accommodation to the

<sup>1</sup> Geert Hofstede outlines several sets of cultural dimensions: power distance, individualism/collectivism, uncertainty avoidance, masculinity /femininity, etc. See, for example, Hofstede, 1997. On the other hand, Fons Trompenaars and Charles Hampden Turner outline their own sets of cultural dimensions, some of them commensurate with Hofstede’s. ( Trompenaars and Hampden Turner, 1998).

<sup>2</sup> Cf. LDEL: most gypsies prefer to be called romanies.

<sup>3</sup> This was noted by the British journalist Catharine Whitehorn: 30.5.2004 <http://members.aol.com.williwfank/pc-essay.htm>

patterns of the perceived winner, in line with the Communication Accommodation Theory (CAT) developed by Howard Giles (see for example, Giles and Smith, 1979). This theory represents a broad set of linguistic and extra-linguistic signals which enable us to adapt our communicative acts to those of our partners, shifting them along a convergent or divergent direction in the sequence of exchange.

However, there is a logical objection to the use of PC: some men do not approve of the fact that “men only” meetings, unlike “women only” meetings, are taboo. Hence, using PC language is a Catch-22 situation – if you do it, it means that you are painfully aware of the differences between you and the pc-ed concept and either disapprove or pretend to disapprove. And if you don’t, you are a racist, a rankist, or a male chauvinist. At the same time, it is always a moot point, whether you say what you think, pretend to do so, or are keen to pretend nothing is wrong. Semantic bleaching often dilutes political correctness statements, thus conjuring up the well-known words by Baudrillard that the meaning is eroded via its excess.

In his seminal book *Modernity and Self-Identity* Anthony Giddens refers to consumer capitalism and its efforts to standardize consumption and to shape tastes through advertising and to new ‘paternalism’ in which experts of all types minister to the needs of the lay population (Giddens, 1994). Consequently, in conclusion I’d like to state that the political correctness is a way of shaping attitudes within the context of this new ‘paternalism’ which can only be achieved provided a degree of trust is generated in the ‘lay population’ by the western experts. As recipients and developers of the new code we in Eastern Europe are supposed to trust the new shared discourse which reflects standardized and globalized language. The world of the market is full of the “language of lies” and to get to the meaning behind this language of lies we need a new grammar of communication. Pc is an essential part of it. Since expertise and transaction are the determinants of the modern world which is increasingly becoming professional (Moscovici), and expert-oriented (Giddens) – the new code makes the minds easier to control.

Pc is a strategy used to preserve personal images mutually, achieve a symmetry within relationships by hiding (revealingly) any real or perceived inequality. It is an essential part of a new grammar of communication with its underlying structure of wishful thinking; a new post-modernist discourse, poly-semic in the Bakhtinian sense – it both reveals and hides one’s ideology simultaneously, i.e. it is the Mouth Wide Shut phenomenon.

#### Bibliography:

- Barthes 1957:** Barthes, R. “Mythologies”, Editions du Seul, 1957
- Berman 2001:** Berman, M. “The Twilight of American Culture”, NY, 2001, 29
- Chomsky 2000:** Chomsky, N. “Rogue States, the Rule of Force in World Affairs”. South End Press, Cambridge, 2000
- Dunkerley et al, 2002:** Dunkerley, K. et al. “Similarities and Differences in Perceptions and Evaluations of the Communication Styles of American and British Managers”, Journal of Language and Social Psychology. Vol.21, No.4, 2002, p. 407
- Fay 1996:** Fay, B. Contemporary Philosophy of Social Science: A Multicultural Approach, Oxford: Blackwell, 1996, p.59
- Fillmore 1984:** Fillmore, C. “Remarks on Contrastive Pragmatics” in J.Fisiak (ed.) Contrastive Linguistics: Prospects and Problem. Berlin: Mouton, 1984, p. 129-130
- Findlay 1998:** Findlay, M. “Language and Communication”. ABC CLIO, Santa Barbara, 1998, p.50
- Giddens 1994:** Giddens, A. “Modernity and Self-Identity. Self and Society in the Late Modern Age”, Cambridge: Polity Press, 1994, p. 172-174
- Giles and Smith 1979:** Giles, H. and P.M.Smith. “Accommodation Theory: Optimal Levels of Convergence” in Giles, H. and R..St.Clair (eds). Language and Social Psychology. Oxford: Basil Blackwell, 1979
- Grice 1999:** Grice, H.P. ”Logic and Conversation”, in Adam Jaworski and Nikolas Coupland (eds.) The Discourse Reader. London: Routledge, 1999, 76-88
- Hall 1981:** Hall, E.T. The Silent Language. New York: Anchor, 1981
- Hofstede 1997:** Hofstede Geert “Cultures and Organisations. Software of the Mind. New York: McGraw-Hill, 1997
- Lakoff 1975:** Lakoff, R. “Language and Woman’s Place”. New York: Harper and Row, 1975
- Lakoff R 2001:** Lakoff R. “The Language War”, University of California Press, Berkeley and LA, 2001
- Levi Strauss 1962:** Levi Strauss, C.” La Pensée sauvage”, Paris 1962
- LDECL:** Longman Dictionary of English Language and Culture (Addison Wesley Longman, 1998
- OPCDH:** The Official Politically Correct Dictionary and Handbook (OPCDH ) by Henry Beard and Christopher Cerf . London: Grafton, 1992
- Outhart et al 2000:** Outhart, I et al. Travel and Tourism. Marvell Collins, 2000
- Pei 1973:** Pei, M. Doublespeak in America. Hawthorn Books, 1973
- Perianova 2002:** Perianova, I.”Discourse and the Language of Avoidance”, Foreign Language Teaching, No.4, 2002, Sofia
- Storti, 2001:** Storti, C. “Old World, New World”, Yarmouth: Intercultural Press, 2001
- Stewart et al., 1998:** Stewart E., J.Danielian and R.Foster. “Cultural Assumptions and Values”. In Basic Concepts of Intercultural Communication. Intercultural Press, Boston –London 1998, 161
- Trompenaars and Hampden-Turner,1997:** Fons Trompenaars, F. and Ch. Hampden-Turner “Riding the Waves of Culture: Understanding Diversity in Global Business” New York: McGraw-Hill 1998
- Tannen 1990:** Tannen D. “You Just don’t Understand. Men and Women in Conversation”, New York: W.Morrow and Company, 1990
- Tweedie, 2005:** Tweedie, N. ”Hype-inflation of English”.  
[Http://portal.telegraph.co.uk/core/content/displayPrintable.jhtml?xml=/global/2005/](http://portal.telegraph.co.uk/core/content/displayPrintable.jhtml?xml=/global/2005/)
- Димитрова,1999:** Димитрова Ст. “Езикова демагогия”, София: Наука и изкуство, 1999.

## ნაირა ბეჭიევი

### გაზეთი „ივერია“ და ოსთა საკითხი

„საქუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება,“ — წერდა დიდი ილია გაზეთ „ივერიას“ ფურცლებზე 1886 წელს („ივერია“ 1886: 16. 10).

გაზეთ „ივერიას“ იმთავითვე მიზნად ჰქონდა დასახული აესახა არა მარტო ქართველთა, არამედ საერთოდ, კავკასიელ ხალხთა ცხოვრება, იყო ყურს უგდებდა მეზობელი ერის სუნთქვას, მის მაჯისცემს. სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე ისახებოდა კავკასიელ ერთა კულტურის, განათლების, ყოფის ამსახველი მასალები, რითიც ხელს უწყობდა ქართველი ხალხისა და კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხთა თვითგამორკვევას, თვითმყოფადობას, ურთიერთობის განმტკიცებას, მათ შორის მეგობრული, ძმური ურთიერთობის გამყარებას. ილია ნატყრა ხომ მის სიტყვებშიც ნათლად მუდავნდება: „მთელი კავკასი... ერთისა აზრით, ერთის გრძნობით“ გამსჭალული ეხილა.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი მასალა ქვეყნდებოდა გაზეთ „ივერიაში“ ოსთა ყოფა-ცხოვრების, მათი კულტურის, განათლებისა თუ რელიგიის საკითხებთან დაკავშირებით.

გაზეთი „ივერია“ აქვეყნებდა მასალებს არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები, არამედ კავკავში მცხოვრები ოსების შესახებ. იმვიათი იყო ნომერი, რომელშიც არ იქნებოდა მასალა კავკავიდან. გაზეთი ამყარებდა საინფორმაციო კავშირს ჩრდილოეთ კავკასიასთან, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთთან, ებმაურებოდა ყოველ საინტერესო სიახლეს, აშენებდა თითოეულ მნიშვნელოვან მოვლენას და მხარს უჭერდა ყოველ სასიკეთო ნამოწყებას. გაზეთი ნერგავდა და ზრდიდა ამ ხალხის მიმართ თანადგომას, პატივისცემას, სიყვარულს.

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ისახებოდა ყოველი მოძრაობა, კულტურული წინსვლა ოსი ერისა, გაზეთი თვალს ადევნებდა ოსთა ცხოვრებას, ცდილობდა შეუმჩნეველი არ დარჩენოდა მათი ცხოვრების ამსახველი დეტალები, ყოველ მოვლენას აუცილებლად ებმაურებოდა და თავისებური წვლილი შექვენდა ამ ერის წინსვლასა და განვითარებაში.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გაზეთმა „ივერიამ“ პირველმა მიაქცია საგანგებო ყურადღება ოსთა სწავლა-განათლების საკითხებს. ამ გაზეთს შეუმჩნეველი არ რჩება სულ პატარა ნარმატებაც კი „განათლების გზაზედ“ დამდგარი ამ ერისა: „ერთი სასიამოვნო მოძრაობა აღინიშნა ჩვენს მოსაზღვრე ხალხში, რომელთანაც საქართველოს უცხოვრია მრავალი საუკუნე და ეს მოძრაობა გულისხმიერია ჩვენთვისაც. მე მოგახსენებთ ოსების განათლების შესახებ“, — წერდა დიდი ქართველი მამულიშვილი ალ. ხახანაშვილი გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე („ივერია“ 1899: 136).

ცნობილია, თუ რა დიდია საკუთარ, მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელობის არსებობის მნიშვნელობა. „ივერია“ წუხილით აღინიშნავდა, რომ ოსების სწავლა-განათლებას ხელს დიდად უშლიდა ის გარემოება, რომ არ არსებობდა მშობლიურ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელობი. ეს მტკიცებული საკითხი აქვს წინ წამოწეული თავის სტატიაში ალ.ხახანაშვილს: „თუმცა სკოლები საკამარისია, მაინც ამ უკანასკნელ დრომდის განათლებამ ვერ მოიკიდა ფეხი ოსეთში, მიზეზი ის იყო, რომ არ არსებობდა ოსურს ენაზედ საკითხავი წიგნი საღმრთო წერილის გარდა და სკოლიდან გამოსული ბავშვი ადგილად ივიწყებდა იმასაც, რაც შეიძინა სასწავლებელში რუსულს ენაზე შედგენილი სახელმძღვანელობის შემწეობით“ („ივერია“ 1899: 136).

საქუთარი ენის ღრმად დაუფლების გარეშე, სხვათა ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოებით მეცნიერების შესწავლა ურთულესი საქმეა. ამიტომაც პროფ. ალ ხახანაშვილი მიუთითებდა იმ აუცილებლობაზე, რომ საჭირო იყო მშობლიურ, ოსურ ენაზე ყოფილიყო შედგენილი სხვადასხვა სახის სახელმძღვანელო. რაც დღემდე განუხორციელებელი რჩებოდა: „საჭიროა შედგენილ იქმნას ოსურს ენაზედ გეოგრაფიული, ისტორიული, სამეურნეო და სხვა საკითხავი წიგნები, რადგანც სასწავლებელში რუსულს იმდენად ვერს სწავლობენ, რომ ამ ენაზედ შეითვიონ საჭირო ცნობანი. ერთის სიტყვით, საჭიროა სამშობლო ენაზედ მწერლობის შექმნა“ („ივერია“ 1899: 136) (ხაზგასმ ჩემია, ნ. ბ.)

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, უპირველესად მშობლიური, ოსური ენის სწავლების აუცილებლობაზე მიუთითებდა გაზეთი, მაგრამ აქვე სხვა ენების შესწავლის საჭიროებასაც არ ივიწყებდა. იმისათვის, რომ ოს ბავშვებს მშობლიურთან ერთად რუსულიც შეეთვისებინათ, სტატიის ავტორს საჭიროდ მიაჩნდა ბილინგვური სხავლების შემოღება და ამისათვის დიდ უპირატესობას ანიჭებდა ორენოვან გამოცემებს: „ოსების საუკეთესო ნარმომადგენელნი (ამათი მოთავე არის იურისტი დაპპო ბაევი) ზრუნავენ ამ უამად ისეთ სასწავლო წიგნების შედგენას, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ასწავლიდეს რუსულსა და ოსურს ენებს. ამისათვის საჭიროა გვერდიგვერდ მოყვანილი იყოს რუსული და ოსური ტექსტები, ანუ მოთხოვა.“ („ივერია“ 1899: 136).

ოსი ხალხის ყოველ წინსვლას, ყოველ ნაბიჯს განათლებისა და კულტურის გზაზე „ივერია“ თავისებურად ეხმიანებოდა. სწორედ გაზეთი „ივერია“ იყო პირველი, რომელმაც აღინიშნა კოსტა ხეთაგუროვის „ირონ ფანდირის“ გამოსვლის დიდი მნიშვნელობა. სწორედ დიდი ილიას დაკავეთა იყო, რომ გამოჩენილი ოსი მწერლის, ოსი ხალხის სულიერი მეგზურის კოსტა ხეთაგუროვის ლექსთა კრებულის გამოცემის მნიშვნელობა საგანგებოდ აღინიშნულიყო. ალ. ხახანაშვილი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ ოსურ ენაზე გამოიცა საერო შინაარსის წიგნები, რაც ერთგვარ მოვლენად მიიჩნია ოსთა განათლებისა და საერთოდ წინსვლის საქმეში. იგი განსაკუთრებული სიხარულით აღინიშნავს კოსტა ხეთაგუროვის წიგნის „ირონ ფანდირის“ გამოსვლის მნიშვნელობას: „ახლა პირველად იბეჭდება ოსურს ენაზედ საეკლესიო

წიგნების გარდა, საერო ნაწერებიც. ამ გვარი წიგნი ჯერჯერობით ორი გამოსულა 1897 წ. ღაპპო ბაევის საფასით “ტექერდე ხესანე” ალ. კუბალტის ნაწერი და ამ წელს კ. ხეთაგუროვის ლექსთა კრებული „Ирон фეндип“ (ოსების ფანდირი). შინაარსი ამ კრებულისა მრავალფეროვანია. იგი შეიცავს ლექსებს, ანდაზებს და სხვ.” („ივერია“ 1899: 136).

ალ. ხახანაშვილი საგანგებოდ ჩერდება და დაწვრილებით საუბრობს ამ კრებულზე, საკუთარ შთაბეჭდილებას გვიზიარებს მასზე: “პირველ ნაწილში ბ-ნ ხეთაგუროვს მოჰყავს ლექსები, რომელიც ელეგიური კილოთი და მამულიშვილური გრძნობით არის გამსჭვალული. კარგია ლექსი “Mégyuipy ვ ვერდე” (ლარიბის გული), “A-lou-læt” (“იავნანა”) და ლექსი მ. ზ. ყიფიანის სახსოვრად, რომელმაც აღუძრა ოსებს სიყვარული ერისა. მეორე ნაწილი უქირავს ეპიკურ ნაწერებს....” („ივერია“ 1899: 136).

რაც მთავარია, ეს წერილი გამსჭვალულია ოსი ხალხის მიმართ უაღრესი სითბოთი და სიყვარულით, მათი სიკეთისა და წინსვლის გულწრფელი სურვილით.

ამ წერილის პათოსს ააშეარავებს და აღრმავებს წერილის ბოლო ფრაზა: „ვუსურვოთ ოსებს წარმატება ამ პატიოსანს გზაზედ და ვინატროთ იმათის საერო მნერლობის გაფურჩქვნა.“

ასე დაულოცა გზა გაზეთმა “ივერიამ” კოსტა ხეთაგუროვს, რომელიც იყო არა მარტო მნერალი და საზოგადო მოღვაწე, არამედ ოსი ხალხის სულიერი მეგზური. ალბათ ნიშანდობლივია, რომ “ივერიამ” ოსთა “საერო მნერლობის გაფურჩქვნა” სწორედ კოსტას ქნარს დაუკავშირა, რაც მან ბრწყინვალედ შეასრულა კიდეც.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ კრებული გამოვიდა 1899 წელს. აღნიშნული წერილიც იმავე წელს, 29 ივნისს დაიბეჭდა “ივერიაში”, ალინიშნა მისი დიდი მნიშვნელობა ოსური ლიტერატურის ისტორიისათვის. ეს მაშინ, როცა სულ სხვაგვარად მიიღეს ზოგან ეს კრებული. ყველგან ასე აღტაცებით როდი შევდნენ ამ მართლაც დიდებული კრებულის გამოსვლას: თერგის ლექსის უფროსამდე მიულწევია ცნობებს, რომ კრებული შეიცავს მთავრობის სანინააღმდეგო და აღმაშეოთბელ-უზნეო შინაარსის ლექსებს, რომ ლექსები სათაურით “ჯარისკაცი” და “შინელი” მიმართულია სამხედრო ბეგარის ნინააღმდეგ. მაშინვე კახანოვის განკარგულებით წიგნისთვის ყადაღა დაუდვიათ და გაუგზავნიათ საცენზურო კომიტეტში. მალე კახანოვს შეატყობინეს, რომ აღნიშნული ლექსები კრებულში არ არისო და მხოლოდ შემდეგ გაუთავისუფლებით “ირონ ფანდირი” ყადაღისაგან.

გაზეთი “ივერია” არც შემდეგ წლებში ტოვებს უყურადღებოდ კოსტას ნაწერებს. ცნობილია, თუ რა დიდი მეგობრობა აყავშირებდათ ქართველ მოღვაწეს მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვს. მიხეილ ყიფიანის ცხედართან, 1891 წლის 4 მარტს კოსტამ ლექსი წარმოთქვა. გაზეთი “ივერია” წერდა:

“დიდის გრძნობით წარმოთქვა ლექსი ჯერ ისურად და შემდეგ მეორე ლექსი რუსულად კოსტა ხეთაგუროვმა. შინაარსი ოსური ლექსისა მოკლედ ასეთი იყო: “გზა მშვიდობისა ქვეყნად გვრჩება შენი სახელი. შენი მომდურავი ერთიც არ არის ჩევნში. სახელი შენი საუკუნო იყო. მარტო შენ შესძელ და ერს შესწირე კეთილდღეობა შენი... ანთებული ლამპარი გეჭირა და გვინათებდი ბენელ გზას. საცა საჭირო იყო იბრძოდი, მაგრამ უფრო ხშირად ალერსი გეხერხებოდა. დედასავით გიყვარდა სამშობლო. კეთილი მწყემსი იყავ ლარიბთათვის. რით გადაგიხადოთ სიკეთის სამაგირო? საუკუნოდ იყოს სხენება შენი: უბედურნი ვართ ჩვენ. ასჯერ უბედურია ის, ვინც უშენოდ სტირის აქა.” დამსწრე ისნი ამ ლექსის წარმოთქმის დროს სმენად გადაიქცნენ, ცდილობდნენ გაეგონათ თითოეული სიტყვა ლექსისა, რომელმაც ისე ძლიერ იმოქმედა, რომ მათ შორის თვით გულმაგრებმაც კი ვერ შეიკავეს ცრემლი,” — ასე დაწვრილებით გადმოგვცემს გაზეთი კოსტასა და ოსი ხალხის გლოვას მიხეილ ყიფიანის გარდაცვალების გამო (“ივერია”, 1891: 53).

საინტერესოა, რომ კოსტას რუსულ ენაზე დაწერილი ხუთსტროფიანი ლექსი (მ. ყიფიანისადმი მიძღვნილი) მთლიანად დაუბეჭდავს გაზეთ “ივერიას.”

როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე იცნობდა კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებას, აფასებდა, გრძნობდა მის დიდ როლსა და მნიშვნელობას ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში და ამიტომაც იბეჭდებოდა ამ გაზეთის ფურცლებზე მისი ნაწარმოებების შესახებ. კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებას ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, ალ. ყაზბეგი და სხვები მიხეილ ყიფიანის საშუალებით უნდა გაცნობდნენ (აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ კოსტას ახლოს იცნობდა დიმ. არაყიძეილიც, რომელმაც მის ლექსზე “მთიელი ქალის სიკვდილი” პირველი მუსიკალური ნაწარმოები შექმნა. “ფატიმას” ნაწვეტებზე დაწერილ მის ორ რომანსს კი — “ჩავიდა მზე” და “მწყემსის სიმღერა” ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი).

ასევე საფიქრებელია, რომ ილია კოსტას იცნობდა პეტერბურგში მცხოვრები სონა ელასის ასულ თარხნიშვილისაგან. სონა (ეროვნებით ოსი) იყო ქართველი გენერლის თარხნიშვილის მეუღლე და ის ილია ჭავჭავაძესთან ერთად აქტიურ მონაცილებას ღებულობდა სათავადაზნაურო ბანკის მუშაობაში. ამავე დროს სონა იყო ჟეტერბურგში მცხოვრები კავკასიელი სტუდენტების მფარველი და თანამგრძნობი. სწორედ მან იხსნა კოსტა შორეულ ციმბირში გადასახლებისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი “ივერია” იყო ის პირველი გაზეთი, რომელიც ოსთა სწავლა-განათლების, მათი ყოფის, კულტურისა და სხვა საკითხებით იყო დაინტერესებული და ეს განპირობებული იყო იმითი, რომ ილია ჭავჭავაძე თავად ამქვიდრებდა სხვა ერის სიყვარულს, კაცთმოყვარებას, ჰუმანიზმს და ამას ემსახურებოდა მისი გაზეთი “ივერიაც”:

“ყოველი ადამიანი, რა წინდებათ კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია და ვითარცა ადამიანი, — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყარებელი და გულშესატვივარი” (ჭავჭავაძე 1927: 6).

ოსთა სასულიერო სწავლა-განათლებაში თავისებური წვლილი შეპქონდათ ქართველ მოღვაწეებს, პედაგოგებს, მისიონერებს. ცხობილია, რომ მე-XVIII საუკუნეში ჩრდ. ოსეთში მოღვაწეობდნენ ივერიის ეკლესიის წმინდა მამები — ოსებ სამებელი, ოთანე მანგნელი. ხოლო მოგვიანებით ეს გზა გააგრძელა იმერეთის ეპისკოპოსმა, დიდმა საეკლესიო განმანათლებელმა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანიზმის აღმდგენელი“ საზოგადოების მისიონერმა ლეონიდმა. სწორედ მისი ინიციატივით

ჩამოყალიბდა ოსური სკოლები ოსეთის სოფლებში — როგასა და ედისაში. ამ ფაქტის შესახებ გაზეთი “ივერია” წერს:

“ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩრდილოეთ ოსეთში სულ ათი-თხუთმეტი სკოლა მოიპოვებოდა და ისიც “კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების” ხარჯით აშენებული. მაშინდელი ოსები დიდი ხალისით კი არ გზავნიდნენ თავიანთ შვილებს სკოლებში, არამედ, თითქმის საყვედურით. მაგრამ ჩრდილოეთის მხარის ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მაღლე შეიგნეს, მომტებულად მას დღეს აქეთ, რაც ჩრდილოეთ ისების ინსპექტორად დაინიშნა პატივცემული ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი, ყოვლად სამდვდელო ლეონიდი, მაშინ ისევ მღვდელ-მონაზონი. მათი მეუფება მობრძანდებოდა თუ არა აქაურს სკოლებში, მაშინვე სოფლის ყრილობას ახდენდა, და მცხოვრებით ტკბილის მოძღვრებით ესაუბრებოდა, თუ სწავლა-განათლებას რა მნიშვნელობა აქვს. ასე ექცეოდა მათი მეუფება ლეონიდი ოსებს ყოველს წელს, როცა კი სკოლების სარევიზიოდ მობრძანდებოდა ხოლმე. კეთილმა თესლმა ნაყოფი კეთილი გამოიღო და ეს რჩევა-დარიგება უნაყოფოდ არ დარჩა... დღეს კი აქ სკოლაში ბავშვებს კენჭის ყრით იღებენ. დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ყველა სამრევლოში არსებობს სკოლა” (ივერია 1901).

უნდა აღინიშნოს, რომ გაზ. “ივერიას” მრავალი საინტერესო ცნობა შემოუნახავს მეუფებული ლეონიდზე, როგორც ოსთა შორის სწავლა-განათლების ერთ-ერთ თავდადებულ ინიციატორზე:

“ორი სკოლის გამართვისათვის ტფილისიდგან გვეწვია კომისია, რომელშიც სამი წევრი იყო. ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდ, დეკანოზი მამა კალისტოვი და პოლკოვნიკი ბ-ნი კამარივი. სკოლების გასამართვად კამისიამ აირჩია ორი სოფელი: ერთი თერგს გაღმა სოფელი ჩირისტონიაუ და მეორე თერგს გამოლმა, სოფელი სუმელაგა... მამა ლეონიდმა, როგორც კვლავ, ისე ახლაც, ხალხს დაუწყო ტკბილი საუბარი. განუმარტა სკოლის მნიშვნელობა და სარგებლობა... შესაბამისი განაჩენიც შესდგა და საქმე დამთავრდა.” საინტერესოა ის ენთუზიაზმი, რაც მაშინ არსებობდა ქართველთა და ოსთა შორის. გაზეთი წერს: “სადილზე წარმოთქვეს სადღეგრძელები საქართველოს ეგზარხოსისა, ახალის დედათა სკოლისა და სხვ. ყველა სადღეგრძელოს ზედ მოსდევდა “მრავალუამიერ” და “ბირა ხორზახთა”. (ივერია 1891)

სხვა დროსაც ბევრჯერ სწვევია მამა ლეონიდი ოსურ სკოლებს და, როგორც ჩანს, იქაურების განსაკუთრებული სიყვარულიც დაუმსახურებია: 11 იანვარს სოფელ ბესლანს მიბრძანდა კავკავის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო პეტრე, ახალის სკოლის დასათვალიერებლად. თან ახლდა მამა ლეონიდი და ბლადოჩინი მამა სუხიევი. გაემგზავრნენ სკოლისაკენ, საცა მიეგებნენ ბესლანში მცხოვრები ოსები პურმარილით... შეგირდების გამოცდის შემდეგ მათმა მეუფებამ დაუწყო ხალხს ლაპარაკი ქრისტიანულ-საგნების შესახებ. ამ დროს ქრისტიანების გარდა მაჰმადიანი ოსებიც ბევრი უგდებდნენ ყურს მათი მეუფების საუბარს.

საინტერესოა, რომ თბილისიდან მივლინებული მისიონერი, მამა ლეონიდი ხშირად ცდიდა შეგირდებს, მათი წახალისების მიზნით ურიგებდა მათ ჯვრებს, წიგნებს და ამავე დროს სოფლებში სკოლების გახსნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

“მამა ლეონიდმა დაათვალიერა ვაჟების სკოლა და გამოსცადა შეგირდები. როგორც სხვა დროს, ისე ეხლაც მამა ლეონიდს ეგებებოდნენ ყველა სკოლაში დიდის სიხარულით. მამა ლეონიდი, ჩვეულებისამებრ ტკბილად და მამაშვილურად სცდიდა შეგირდებს. აძლევდა დარიგებას ქრისტიანული წესრიგის შესახებ. ყოველივე ეს არის მიზეზი, რომ ეს სკოლები დიდს წარმატებაში.” (ივერია 1891: 23)

გაზეთი შემდეგაც აღნიშნავს:

“ეს სკოლები დიდს წარმატებაშია. ვისაც უნახავს ამ სამი წლის წინად ბარის ოსებში სკოლები, სწორედ გაჰკვირდება ეხლა რომ ჰაბარის, ისე დიდა განსხვავება. წინანდებულზე ეხლა ერთი-ორად და სამად უკეთ მიდის ბარის ოსების სკოლების საქმე.” (ივერია 1893)

გაზეთი “ივერია” საგანგებო ყურადღებას აქცევდა ოსური სკოლების გახსნის საკითხს საქართველოში. მღვდელმონაზონი ლეონიდი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ საკითხს. მან უსაყვედურა ედისისა და ვანათის მამასახლისებას, რომელთაც “გაზაფხულზედვე უნდა გაეკეთებინათ ედისელების სკოლის შენობა და ვანათელების სკოლის გალავანი. ამიტომ მამა ლეონიდი ორ-ორი დღე დარჩა იქ და სანამ თავის თვალნინ არ დაასრულებინა ედისში სკოლის სახლი და ვანათში გალავანი, ფეხიც არ მოუცვლია იქიდან. სასიამოვნო იყო, — წერს “ივერია”, — როდესაც ოთხი სოფლის საზოგადოება ვანათის სკოლას გალავანს არტყამდა, რიგი ქვას ეზიდებოდა იქვე ლიახვის პირიდან, რიგი მარგილებს, რიგი ჯალჯას და რიგი კიდევ ტკბილი სიმღერით გალავანს ავლებდა.” (ივერია 1891: 297).

“ივერიაში” ხშირად იბეჭდებოდა მასალები ოსთა სწავლა-განათლების შემაფერხებელ მიზეზებზეც: ვანათის სკოლა ოსურ სკოლად ითვლებოდა, მაგრამ მასში მხოლოდ 11 ოსი ბავშვი სწავლობდა. “ივერია” აღნიშნავდა:

“ოსები შორს ცხოვრობენ სკოლაზედ და ბავშვებს არ შეუძლიათ სიარული სკოლაში. მეორედ, რომ ოსები სიღარიბის გამო ვერ უშერენ თავის შვილებს ცალკე სახლსა. თავშესაფარი რომ გაკეთდეს, ორივე დამაბრკოლებელი მიზეზი მოისპობა და ოსებს ადვილად შეეძლებათ თავიანთი შვილები შეკოლაში გამოზარდონ ხოლმე.” (ივერია 1891: 214).

ასევე აღფრთოვანებით მიესალმა “ივერია” ოს ქალთა სკოლის გახსნას: 1890-91 წლებში არსებობდა ჯავის, როკისა და ედისის სკოლები. ამას მაღლე მიემატა კოშკის ქალთა სასწავლებელი, რომლის მასაზარდებლად მიავლინეს თბილისის საეპარქიო სასწავლებლის კურსდამთავრებული ქალი ა. სანაკომვილი. გაზეთი “ივერია” წერდა:

“საქალაქო სასწავლებლის დაარსება ოსეთში საყურადღებო და სასიამოვნო საქმედ უნდა ჩაითვალოს, რადგან დღეს ამ ქვეყანაში ქალი მეტად დუხტირის მდგომარეობაში იმყოფება” (ივერია 1891: 227).

როგორც ჩანს, ოსთა სწავლა-განათლებას საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ თბილისიდან ჩასული მისიონერები. ისინი ოს მოსახლეობას წარმატებას სიხარულით აღნიშნავდნენ.

გაზეთმა საგანგებო სტატია უძლვნა ვლადიკავკაზის სკოლებში გალოპის შემოღებას:

„ივერია“ პერიოდულად აქვეყნებდა ოსურ ლეგენდებს, გადმოცემებს, ფოლკლორულ ჩანაწერებს, ეთნოგრაფიული სახის მასალებს. გაზეთში საგანგებოდ, დაწერილებით არის აღწერილი ერთ-ერთ ოსურ სოფელში ღვთისმშობლის სასახლთმოქმედი ხატის მოსვენების ცერემონია. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ეს ხატი

ოსეთის ცალკეულ სოფლებზე გაზეთი საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას გვთავაზობს და გარკვეულ წარმოდგენას გვიმნის იქ მაცხოვრებელთა ყოფისა თუ სწავლა-განათლების საკითხებზე.

„ამ სოფელს ორი მღვდელი და ორი მედავითნე ჰყავს, — აგრძელებს წერილის ავტორი, ეკელესია კი ერთი. მეორე ეკალესის აგებისთვისაც განაჩენი დაადგინეს და აშენებას აპირებენ. ამ სოფლის შვილს ბევრსა აქვს მიღებული სწავლა, რომელნიც სხვადასხვა ალაგას არიან. ისინი საზაფხულოდ დღესასწაულებზე ჩამოდიან და წარმოდგენებს, საღამოებს მართავენ. იანვრის სამს გამართეს წარმოდგენა რუსულს ენაზე აქაური სკოლის სასარგებლოდ. მოქმედების შესრულების დროს საერო სიმღერებსაც მღეროდნენ ლოტბარ ბერდიევის ხელმძღვანელობით. ხალხი არდონიდანაც ჩამოვიდა“ (ივერია 1899: 43. 15 02.).

ამ სოფლის ეკელესიაში, როგორც სხვა სტატიაში ვკითხულობთ, გალოპა ოსურ და რუსულ ენებზე სრულდებოდა. ეკელესიას ჰყავდა ქალთა და მამაკაცთა გუნდი. ამავე დროს სოფელს ჰყოლია ოსი და ქართველი მღვდელი (ა. ცაგოლოვი და ნ. ბაკურაძე).

საინტერესო სტატია მიუძლვნა „ივერიაში“ ოსთა დღესასწაულს „სანებობას“, სადაც ქრისტიანები და მაპმადიანები ერთად ლოცულობენ და ეს მისაბაძ, სანიმუშო მაგალითად არის მიჩნეული.

გაზეთ „ივერიაში“ საინტერესო ცნობებია მონვდილი ოსებში ქრისტიანობის განმტკიცებასთან და კავშირებით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაზეთი „ივერია“ ხშირად აქვეყნებს ოსთა ყოფა-ცხოვბრებისათვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებებს. იქნებოდა ეს ქალის გათხოვების, მისი გამზითვებისა თუ ურვადის გადახდის შემთხვევები. ამ გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა ოსური ლეგენდები, თქმულებები.

გაზეთი საგანგებო სტატიებს გვთავაზობს იმ პირველ სასცენო წარმოდგენებზე, რომლებიც ოსურ ენაზე იღვმებოდა. გვაცნობს იმ დროინდელ მოღვაწეთა ვინაობას.

როგორც აღვინიშნეთ, გაზეთი ხშირად აქვეყნებდა ოსურ ანდაზებს, ლეგენდებს, სხვადასხვა თქმულებებს:

„სამღლოცველოს ქვევით (საუბარია „რექომზე“) პრტყელ ჭაჭებ (თხელი ვების) შუა დევს ერთი საქვაბე-საკადელი“, მართლაც მშვენიერის ძველებულ ხელოვნებისა. აი ამ საქვაბეზედ რა ლეგენდა მიამბეს თსებმა: ერთხელ ერთი ოსი, გვარად ესენოვი თივის მოსატანად წავიდა სათიბში. პატარა თივის ძირი დაუდო კია ესენოვმა ხარებს, მაგრამ ხარებმა ვერ გასწიეს. გადმოილო ამხანაგების დახმარებით თივა და შიგ თივაში ნახა, რომ საქვაბე-საკიდი იყო. სოფელს უამბო. სოფელმა ეს აიტანა სამების სამღლოცველოსთან, სადაც დღესაც ინახება. ხალხს დღესაც სწავას, როცა დიდი გვალვა იქნება, ქვაბს დიდი ლოცვით ჩამოხსნიან, წყალოში ჩადებენ, რომელსაც „ხატის წყაროს“ ეძნიან, საკლავს დაკლავენ, დაილოცებიან და გაავდრდებაო. კიდევ ერთი ლეგენდა: ერთ მღვდელს წაულია ეს ქვაბი არყის გამოსახდელად და უცბად იფეთქა ამ საკიდმა და ქვაბი ჭერში მიარტყო. მღვდელმა უამბო სოფელს, რომ ასე მოვიქეცი და ღმერთმა არ მიყაბულაო და დღესაც არავინ ახლებს ხელს, მხოლოდ გვალვის დღოსო. (1899: 181).

გაზეთი „ივერია“ ემსახურებოდა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ინტერესების დაცვას, მათი ყოველდღიური ცხოვნების საჭირბოროტო საკითხებს. ამ მხრივ საინტერესოა ის სტატიები, რომლებშიც ოსთა საყოფაცხოვრებო საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება.

ცხობილია, თუ როგორი ახლო ურთიერთობა არსებობდა ცნობილ ოს პოეტსა და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვასა და ქართველ მოღვაწეთა შორის.

„ივერიაში“ იბეჭდებოდა ქართველი და ოსი ხალხების ძმობისა და ერთობის ამსახველი მრავალი მასალა.

ილია ჭავჭავაძე აყენებდა არა მარტო ქართველთა, არამედ ყველა თავისუფლებისმოყვარე ერთა ეროვნული თვითგამორკვევის საკითხს. ეს კი საგუბერნიო უანდარმერის საიდუმლო მოხსენებებში ხშირად იხილებოდა:

„დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთავარი ხელმძღვანელი მიმართულებისა, რომელსაც მიზნად დაუსახავს ეროვნული მოძრაობის გაღრმავება, არის კნიაზი ილია ჭავჭავაძე ...რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო ქართველთა, არამედ თავისუფლადმოაზროვნეთა შორის“ (ჭავჭავაძე 1951: XXXVII).

ეროვნული თვითგამორკვევისათვის კი აუცილებელი იყო ერთი ნიჭის, უნარის, მისი მონაპოვარის ასპარეზზე გამოტანა. ამიტომაც იყო, რომ ოსთა ყველა წამოწყება, იქნებოდა ეს სკოლის გახსნა, წარმოდგენების გამართვა თუ ეროვნულ ენაზე წიგნის გამოსვლა, „ივერია“ აქტიურად აშუქებდა.

გაზეთ „ივერიას“ „წმინდა ცნებად“ შეუგნია „სიყვარული და სათნოება.“ ამ საზომით უდგებოდა ეს გაზეთი მეზობელი ხალხების წინსვლასა და წარმატებას.

„კაცობრიობის ცხოვრებას ერთი მაღალი აზრი აწარმოებს. ეს აზრი განყენებულია, იდეალია და მის განხორციელება შეადგენს საგანს განათლებისას. ამ აზრის დედა-ძარღვეს გამოჰქატავს რომ სიტყვა „სიყვარული და სათნოება“ კაცთა შორის. ვისაც ეს წმინდა ცნება შეუგნია, იმისთვის მეზობლის და თანამოძმის ბედნიერება სასიხარულოა და მისი მწუხარება სავალალო“ (ივერია 1899: 136) — ასე წერდა ა. ხახანაშვილი ოსთა შესახებ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გაზეთ „ივერიაში“.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის „ივერია“ სწორედ ის გაზეთი იყო, რომელიც სწავლობდა და ეცნობოდა ოსთა ყოფას, მათ კულტურულ ტრადიციებსა და ლირებულებებს, ამ გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა ოსური თქმულებები, ლეგენდები, ოსთა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა. გაზეთი თვალ-ყურს ადევნებდა ოსი

ხალხების განვითარებას, სწავლობდა მათს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, მიაჩნდა, რომ ოსი გლეხი შპრომელი, მუყაითი, მცდელი მეურნე იყო და იკვლევდა მათი დუხჭირი ცხოვრების ძირითად მიზეზებს. განსაკუთრებული ყურადღებით კი გაზეთი აშუქებდა ოსთა სწავლა-განათლების საკითხებს, ოსური სკოლების გახსნას, ოსური წიგნების, სახელმძღვანელოების გამოცემას, განათლების დონის გაღრმავებას, რასაც ოსი ერისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი პირველი იყო, რომელმაც აღნიშნა ოსური საერთო ლიტერატურის დასაწყისის მნიშვნელობა იყო მნიშვნელოვანი სალხის ისტორიაში. გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებში იყითხებოდა უმთავრესი აზრი: ყველა სტატია, რაც კი ამ გაზეთში ქვეყნდებოდა გამთბარი იყო ოსისა და ქართველი ხალხების საუკუნოვანი ძმობის სითბოთი.

ილია ჭავჭავაძის ურთიერთობა ოსეთთან სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა. ჩვენი ნაშრომი ვერ იქნება ამ მხრივ ამომწურავი და ყოვლისმომცველი, მაგრამ, ვთიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ როგორი ყურადღებით ეკიდებოდა ილია ჭავჭავაძე ისთა სწავლა-განათლების, მათი ყოფა-ცხოვრების, ისტორიისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. როგორ ზრუნავდა აემალლებინა მათი ცოდნისა და განათლების დონე, შთაენერგა მათვის ეროვნული თვითგამორკვევის, ეროვნული თვითშეგნების განცდა და ხელი შეეწყო მათვის.

ამ მხრივ ილია ჭავჭავაძე და მისი „ივერია“ დღემდე რჩება მეზობელ ოს ხალხზე ზრუნვის, მათი სწავლა-განათლებისა და კეთილდღეობისათვის ხელისშეწყობის, ქართველი და ოსი ხალხების მეგობრული ურეთიერთობის განმტკიცების მაგალითად.

#### დამოწმებანი:

ივერია 1886: გაზ. „ივერია“, 1886 წ. 16 ოქტომბერი.

ივერია 1899: გაზ. „ივერია“, 1899 წ. 136.

ივერია: 1899: გაზ. „ივერია“, 1899 43. 15 თებერვალი.

ივერია 1891: გაზ. „ივერია“ 1891 წ. 4 მარტი.

ივერია 1891: გაზ. „ივერია“ 1891 წ. 23.

ივერია 1891: გაზ. „ივერია“, 1891 წ. 10 მარტი, 53.

ივერია 1891: გაზ. „ივერია“, 1891 წ. 214.

ივერია 1891: გაზ. „ივერია“, 1891 წ. 227.

ივერია 1891: გაზ. „ივერია“, 1891 წ. 297.

ივერია 1893: გაზ. „ივერია“, 1893 წ.

ივერია 1901: გაზ. „ივერია“, 1901 წ.

ჭავჭავაძე 1927: ჭავჭავაძე ი. ტ. VI, თბ., 1927 წ.

ჭავჭავაძე 1951: ჭავჭავაძე ი. ტ. 1, 1951 წ. გვ. XXXVII.

## ნათელა ჩიტაური

### პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში (ფსიქოლოგიურ-თეოლოგიური ასპექტი)

1. პიროვნებას აყალიბებს, ერთი მხრივ, სოციალ-პოლიტიური გარემო; მეორე მხრივ კი, პიროვნება – ესაა ინდივიდი, ინდივიდუალური ცნობიერება თავისი ბიოლოგიური, გენეტიკური კოდით. ყოველივე ამის საფუძველზე პიროვნება ამყარებს ურთიერთობას საზოგადოებასთან. პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი კავშირია. სხვათა შორის, დღეს საზოგადოებრივი მეცნიერებები ბევრს მსჯელობენ ამ „ორმხრივი კავშირის“ შესახებ; მის აღსანიშნავად ტერმინიცაა მიღებული — „ფსიქოციალური იდენტობა“ (პავლოვა 2002).

პიროვნებისა და საზოგადოების ორმხრივი კავშირი შესანიშნავად აისახა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. მისი ნაწარმოებების პერსონაჟები, მართალია, კონკრეტული სოციალ-პოლიტიკური გარემოს პირმონი არიან, მაგრამ ილიას შემოქმედების არც ერთი საკითხი არ ჩიტება მხოლოდ სოციალ-პოლიტიკური პრობლემების ფარგლებში; პერსონაჟების ხასიათი ზოგადფსიქოლოგიურია, რთულია და საინტერესო. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემათა ილიასული გააზრება ადამიანური ცნობიერების, სულიერებისა და ზნეობრიობის ღრმა და ურთულეს შრეებს მოიძიებს. ილიას ნაწარმოებებიდან გამომდინარე, პიროვნების საზოგადოებასთან მიმართებას აუცილებლად განსაზღვრავს ადამიანის „მრავალფერი ბუნება“, როგორც შედეგი სხვადასხვა ზნეობისა და მორალისა. ერთ წერილში ილია ამბობს: „ვითა მამა ზეცისა, იყავნ შენც სრული – აი, თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია ... ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავი სიარულისათვის“ (ჭავჭავაძე 1959: 342).

„მრავალფერი ბუნებათაგან“ სხვადასხვაა თათქარიძე, დათიკო, გაბრიელი, ოთარაანთ ქვრივი, არჩილი, კესო, პეტრე, ლელთ ღუნია. ამიტომაც სხვადასხვაა მათი პოზიციები, ურთიერთობა ადამიანებთან. ისინი არა მხოლოდ ტიპები, არამედ ხასიათები, ინდივიდუალური ფსიქოლოგიური პორტრეტები არიან. ზოგიერთის სულიერი სამყარო და მორალი პირადი ცხოვრების მოწყობასა და გადარჩენაზეა ორიენტირებული (ლუარსაბ თათქარიძე მებატონება, სუტ-კნეინა არაა ბატონი, ორივეს საზრუნავი მხოლოდ საკუთარი თავია); ზოგიერთი კი ზნეობრივი სისრულის გზაზე წინ წამდგარა, საზოგადოებასთან დამოკიდებულება მისი მორალით, ზნეობრივი კრიტერიუმებითა განსაზღვრული. ეს ზნეობრივი ნორმები „ჭკუით კი არ არის ახილებული, არამედ „გულით გამოკვებილა“. ილიასათვის „ჭკუით ახილებული“ არ არის ხასიათი. „მრავალფერი ბუნების“ საფუძველი სწორედ „გულით გამოკვებილი“ ხასიათია; ნამუსია, რომელიც „მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია“ (ჭავჭავაძე 1988: 282). ამიტომაც ლუარსაბისეული, მისი მოურავისეული „შენ რა“-ს, „ჩუმად მოხდენი“-ს და სხვა პრიციპები შეცვლილია სულ სხვა მორალით (გიორგი, ოთარაანთ ქვრივი, ლელთ ღუნია, „გლახის ნამპობის“ მღვდელი და ა. შ.). ადამიანებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობაც იმ „დიდ ნამუსზეა“ დამყარებული, რომელიც „სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას“.

ადამიანთა ინდივიდუალური ცნობიერებიდან გამომდინარე, ილიას არასოდეს დაუყვია ასე: უზნეო ბატონი და ზნეობრივი გლეხი. ამის დასტურად ილიას შემოქმედებიდან მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. თუნდაც გავიხსენოთ არჩილისა და კესო დიალოგი „ოთარაანთ ქვრივიდან“. ან კიდევ: თავადი ლუარსაბი „ცრუმოსაქმეა“, მაგრამ ასევე თავადი არჩილი, რომელ სოციალურ-პოლიტიკურ გარემომიც არ უნდა ცხოვრობდეს (ბატონწყმობამდე თუ ბატონწყმობის გადავარდნის შემდეგ), არასოდეს იქნება „ცრუმოსაქმე“ (ცნობილია, რომ ილია მომხრე იყო ყმების განთავისუფლებისა, მაგრამ არა სხვა ადამიანების, სხვა წოდების – თავადაზნაურობის და — ჩაგვრის ხარჯზე).

ილიამ, როგორც რეალისტმა მწერალმა და შესანიშნავმა ფსიქოლოგმა, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის კონტექსტში მოიძია არა მხოლოდ ადამიანთა „მრავალფერი ბუნება“, არამედ ეროვნული ფსიქოლოგიაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქაცის საზოგადოებასთან მიმართების ზოგიერთი მკეთრად გამომულავნებული, გარკვეულნილად დამახასიათებელი ფორმა.

„ეტყობა, რომ ქართველია“, — ეს ფრაზა ხშირად გვხვდება „პაცია-ადამიანში“. აკავი ბაქტაძის სიტყვით რომ ვთქვათ, თათქარიძეობა ილიამ „ზოგადქართულ მოვლენად მიიჩნია“ (ბაქრაძე 1984). ამ ზოგადქართულობიდან კი განსაკუთრებით გამოყო თვითკამყოფილების თვისება, რაც ილიამ გულგრილობის, ქართველი კაცის საზოგადოებასთან ინდიფერენტული დამოკიდებულების საფუძვლად აღიარა.

ამ შემთხვევაში საინტერესო შემდეგიცა: ილია მიგვანიშნებს, რომ კმაყოფილი და, აქედან გამომდინარე, პასიური, უმოქმედო, გულგრილი თათქარიძე უცებ არ გაჩენილა, ანდა ქართველ ერს ფორმულირება „ბედნიერი ერი“ ირონიულ კონტექსტში უცებ არ მიუღია. გავიხსენოთ „კაცია-ადამიანის“ ის ადგილი, სადაც მწერალი კმაყოფილებაზე საუბრობს და ედავება „დარბაისელ ძეელ ქართველს“, რომელიც კმაყოფილებას ბედნიერებად აღიქვამდა: „კმაყოფილება ბედნიერება არისო, — ბევრჯერ უთქვამთ მოხუცებს, თანაც დარბაისელ მოხუცებს ჩემთვის, — ამბობს ილია, — ახალ თაობას იმითი მაინც ვჯობივართ, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილები ვართო“. დარბაისელი ქართველი ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მართალიც იყოს და მას ისტორიული ჭირვარამი ალაპარაკებდეს, ფაქტია:

ქართველ კაცს მუდამ ენატრებოდა სიმშვიდეს ის, ალბათ, ზოგჯერ სიმშვიდის პირობადაც მიიჩნევდა, შემდეგ კი ბედნიერებად მოიაზრებდა, აღარ უნდოდა ბრძოლა, ვაივაგლახი. ეს, ალბათ, არც ილიას გამორჩებოდა მხედველობიდან. ამიტომაც დააფიქსირა ქართველი დარბაისელი მოხუცის აზრი ემაყოფილებაზე ანუ ისტორიულ ჭრილში, წარსულ დრო-სივრცესთან მიმართებაში განიხილა ქართული ხასიათის თავისებურება, ქართველი კაცის რეალობასთან დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესი.

მაგრამ ილია შეედავა მოხუც ქართველს, რადგან ემაყოფილება სიმშვიდის, ბედნიერების პირობად არ დარჩა, ნელ-ნელა თათქარიძეობის სახე მიიღო; ქართველებს, მათ შორის დარბაისელთაც, ბრძოლის, აქტიურობის სურვილი და უნარი ჩაუხმო. ილია ამაზე თვალს ვერ დასუჭავდა. ამოტომაც მას „მომაკვდინებელი სენი“ უწოდა, ბრძოლა გამოუცხადა; მოხუცი დარბაისელი ქართველის ემაყოფილებამ და მასზე დამყარებულმა ბედნიერებამ ირონიული შეფერილობა მიიღო და ილიამ ამას „უმადლობა“, ხოლო ადამიანებს „უმადლობი“ უწოდა.

ამ შემთხვევაში ძალიან საინტერესოდ გვიქვეყნება ვიქტორ ნოზაძის დაკავირვებანი ქართულ ხასიათზე. დიდი რუსთველოლოგის უცნობ გამოუქვეყნებელ ნაშრომში („ქართული მოდგმა და ხასიათი. ქართველი კაცი“) მშვენივრადაა ახსნილი ქართული ბუნების ამ თავისებურების — ემაყოფილების, შემგუებლობის ჩამოყალიბების მიზეზები. ამის წარმოსახენად მოხმობილია ტერმინი „ესთეტიკური უპასუხისმგებლობა“. განმარტებულია შინაარსი: ქართველი ხალხი ხშირად ყოფილა სხვადასხვა სახის პოლიტიკურ ბატონობაში. მას ხშირად იპყრობდა მტერი. ისინი ბატონობეს ემორჩილებიან, მაგრამ მას არასოდეს სერიოზულად არ უყურებენ, ხდებიან შემგუებლები, თითქოს უდარდელნიც. ეს გარკვეულნილად მათი უპასუხისმგებლობაა. როდესაც ამ ბატონობას ბოლო ეღება, ეს ხალხი თავისი ხასიათით ისეთივე რჩება, როგორც უნინ იყო. შესაძლოა, უფრო ძლიერიც კი („რაც ვერ მძლევს, მხდის უფრო ძლიერს“) ესაა მათი ესთეტიზმი. ქართველობის ამ „ესთეტიკურ უპასუხისმგებლობაში“ იმაღება საიდუმლოება, ერთი მხრივ, მათი გადარჩენისა, მეორე მხრივ, მათი მიზიდველობისა, როგორც ხალხისა (ნოზაძე 1954: 17). მესამე მხრივ კი, როგორც ილიამ შენიშნა, იმალება საიდუმლოება ქართული ხასიათი, ქართველი კაცის საზოგადოებასთან ამგვარი მიმართების ჩამოყალიბებისა.

## 2. ადამიანის „მრავალფერ ბუნებათაგან“ ერთ-ერთი ილიას პოემა „განდეგილის“ პერსონაჟია.

საერთოდ კი, ზემოაღნიშნული პრობლემების ფსიქოლოგიურ-თეოროლოგიური საფუძვლების მოძიებას აუცილებლად მივყავართ მნერლის სარწმუნოებრივი მრნამსის გათვალისწინებამდე.

არაერთხელ აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „ქრისტიანული მორალი უდევს საფუძვლად ილიას ნაწარმოებებში ასახულ ყველა მოტივს“ (ნინიძე 1997: 10). იგივე აზრი გვხვდება ბევრ სხვა ნაშრომშიც (ბაქრაძე 1984; კალანდარიშვილი 2006 და სხვ.).

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემათა თეოლოგიური ასპექტები წარმოჩნდილია უმტკესად „განდეგილს“ და „გლახის ნამბიბში“.

„განდეგილის“ თემატიკა გვაიძულებს მასში მოვიძიოთ არა რამე ალეგორიული სქემა, დაკავშირებული თუნდაც საქართველოს (ცხოვრებასთან, კონკრეტულ ეპოქასთან, არამედ ზოგადი პრობლემა – პიროვნების საზოგადოებასთან დამოკიდებულების საკითხი. პოემაში ისევე, როგორც მსოფლიო ლიტერატურაში ასებულ რამდენიმე ნაწარმოებში, წარმოდგენილია კონკრეტული ადამიანის, ამ შემთხვევაში ბერის ფსიქოლოგიური პორტრეტი. „განდეგილის“ ზოგადფისიქოლოგიურ პრობლემზე, შესაძლოა, უფრო გაძედულად ვიმსჯელოთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს ნაწარმოები, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ პოემის ლიტერატურულ პირველწყაროდ. ეს არის ილიასვე თარგმნილი ცნობილი გერმანული ეგვიპტოლოგისა და რომანისტის გეორგ ებერსის რომანი „რამეთუ კაცი ვარ“. ილიამ რომანი თარგმა 1878-1879 წლებში. მართალია, ქ-ნი გულნარა კალანდარიშვილი დასახელებულ მეტად საწყიქრესო წიგნში უარყოფს ჩვენ მიერ ადრევე გამოთქმულ მოსაზრებას ამის შესახებ (კალანდარიშვილი 2006: 108), მაგრამ ამ უარყოფას ვერ გავიზიარებთ, რადგან ნაწარმოებთა შედარება სულ სხვას ლაპარაკობს.

და მაინც როგორია განდეგილის ფსიქოლოგიური პორტრეტით, ან მისი მიმართება საზოგადოებასთან? მრავალჯერ აღნიშნულა განდეგილი ბერის ნებისყოფის სისუსტე (ბაქრაძე 1984: 108), გაუნიანასწორებელი, დისპარმონიული ხასიათი, მაგრამ რატომაა უნებისყოფო “რატომ იქცა ტრაგიკულ პიროვნებად“ ნუთუ ის, რომ ბოლომდე დარჩე მტკიცე ასკეტად, მათი ხევდრია, რომელთაც ხორცის გვემა მიზნად დაისახეს“ განდეგილის ნებისყოფის სისუსტე, მისი ტრაგედია – ესაა კონკრეტული პიროვნების ტრაგედია, რომელმაც არასწორი პოზიცია დაიკავა გარესამყაროსთან; რაც მთავარია, არარეალურად, არაჯანსალად შეაფასა საზოგადოება, რომელშიც ის ცხოვრობდა. ქრესტომათიულ დონეზეც კი ყველასთვის ცნობილია, რომ პოემის გმირმა ქვეყანა „ბოროტების სამფლობელოდ“ მიიჩნია. იმდენად მუქ ფერებში წარმოგვიდგინა ილიამ განდეგილის თვალით დანახული წუთისოფელი, რომ იქ ადგილი აღარ რჩება არანაირი მადლინისათვის. არადა, ეს ქვეყანა ხომ მარტო „ცოდვის სადგური“ არ არის „სიტურთე და სათნოება“ ხომ ყოველთვის არ არის „ეშმაკის მახე და ცდუნება“. განდეგილმა წუთისოფელი, საზოგადოება დატოვა, როგორც პესიმისტმა. ბერის, განდეგილობა ამ შემთხვევაში აღმოჩნდა მხოლოდ სამუალება წუთისოფელში არსებულ ბოროტებათაგან გაქცევისა, იოლი ხერხი, რომ ამქვეყნიური ბოროტებანი დაევინებინა. არადა, საღად უნდა შეეფასებინა ყოველივე: ის, რომ ბოროტების გვერდით სიკეთეც არსებობს, რომ მშვენიერება სიკეთეა. ასე ვთქვათ, „ძალით დავიწყებულმა“ ფაქტებმა თავი შეახსენა.

პოემის ტექსტიდან აშკარაა, რომ განდეგილის სულის ფორიაქი არ არის მუდმივი სიფხიზლე, ყოველწუთიერი მღვიმისარება. ნაწარმოების ბევრი ეკიზოდი და ნიუანსი ნაწარმოაჩენს გმირის დისპარმონიულ, გაუნიანასწორებელ, ეჭვიან უნებისყოფო ბუნებას და ხასიათს. ეს ყველაფერი და

ბოლოს ტრაგედია შედეგია ბერის გარესამყაროსთან ქრისტიანულად არასწორი დამოკიდებულებისა. არავის, მით უმეტეს, სულიერ მამას, არ შეეფერება ღვთის შექმნილი ქვეყნის ბოროტებად გამოცხადება (მწყემსი ქალი: „განა სწყინს, რომ კაცი შეპხარის ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა“).

ილიას იმის თქმა უნდა, რომ ადამიანი, რომელიც არასწორად შეაფასებს მოვლენებს, საღად ვერ იაზროვნებს, ვერ გაარკვევს, რა არის მისი მიზანი, რატომ ამრჩია ამგვარი ცხოვრება, მტკიცე ვერ იქნება, ყოველთვის დაეჭვდება საკუთარ შესაძლებლობებში, არჩეული გზის სისხორეში, თავს იგრძნობს უბედურად, ტრაგიულად.

საღი აზრი ერსაც სჭირდება და ბერსაც. საღი აზროვნება, რეალური ცნობიერება ემყარება გონებას და არა გრძნობებს, იმპულსებს.

განდეგილი ბერი ერთ-ერთია ადამიანთა „მრავალფერ ბუნებათაგან“. ილია ბევრჯერ აღნიშნავს ამქვეყნად განსხვავებულ, თანდაყოლილ ხასიათთა არსებობის კანონზომიერებას. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების და ამასთან დაკავშირებით სვიმეონ მესვეტის ცხოვრების ილიასეული შეფასებაც: „სვიმეონ მესვეტის ამბავსაც კი სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იფარავს ადამიანის მრავალფერ ბუნებაში... ეს ფარული მიზეზი შორს არიან უბრალო ... თვალთათვის, მათი პოვნა და მიგნება ხვედრია ... რჩეულთა“ (ჭავჭავაძე 1991: 372).

ილიას სათქმელი ისიცაა, რომ პესიმიზმი პიროვნებას უბიძგებს გაექცეს რეალობას, საზოგადოებას. პესიმიზმი მოაქვს ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი, ამბიციურობა, თვითკმაყოფილება, სულიერი უკონტაქტობა, რაც მიზეზია განდეგილის მსგავსი „გულმშრალობისა“. ოპტიმიზმი თავისთავად უბიძგებს ადამიანს ადამიანებზე ზრუნვისაკენ, ბოროტებასთან ბრძოლისაკენ. ოპტიმისტი სჯერა ბრძოლის აუცილებლობისა და შედეგისა. ამას კი მოსდევს საზოგადოებრივი აქტივობა, სულიერი კონტაქტების სურვილი, საბოლოოდ კი – თანაზიარობა. თანაზიარობა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკუეთესო ფორმა. ილიას ნაწარმოებებიდან ჩანს, რომ პიროვნებას სჭირდება თანაზიარობა. თანაზიარობა, თავის მხრივ, საზოგადოების თანამდევია. ამ ფაქტის მშვენიერი ფორმულირებაა „ოთარაანთ ქვრივში“: „მადლი მარტო ორს შეუა ჰსაქმობს“.

თანაზიარობაში ილია, უპირველეს ყორვლისა, განათლების, ჭურის, გონების გაცემის მოიაზრებს. მთავარი კი ისაა, რომ მნერალი სწორედ სულიერ მამას, მღვდელს დიდ მისიას აკისრებს და სხვებზე მეტად ავალდებულებს: მისი გონება ხომ მეტს მისწვდა, მან მეტი შეიმეცნა. ეს ცოდნა კი არ უნდა დამალოს, ჩაკეტოს ინდივიდუალურ „მე“-ში, გონების, რწმენის აღმატებით გამოწვეულ ამპარტავნებაში, ადამიანებამდე უნდა მიიტანოს. რწმენით გაძლიერებულს უფრო ევალება ზრუნვა სხვებზე.

ილიასათვის მისაღებია ოთარაანთ ქვრივის, გიორგის, ლელთ ღუნიას, რაც მთავარია, „გლახის ნაამბობის“ მღვდლის საზოგადოებასთან ურთიერთობა. „მღვდელი თითქოს ციდამ იყო ჩამოსული, რომ კაცს ქვეყანაზედ აჩვენოს კაცობა“. პიროვნებისაგან საზოგადოებისათვის გაცემული სულიერი საზრდო ილიასათვის მეტად მნიშვნელოვანია. „კაცი ის არის, რომელიც თავისი გონების ნამუშევარს ხიდად გასდებს“, – ესეც მღვდლის ანუ ილიას სიტყვებია.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის თეოლოგიურ საფუძვლად ილიას ქრისტიანული ფასეულობანი მიაჩნია, რომელთაგან მთავარია: განთავისუფლება ეგოიზმისაგან, გაუმართლებელი პესიმიზმისა და თვითკმაყოფილებისაგან, სულიერი უკონტაქტობისაგან. ეს ეხება ერსაც და ბერსაც. ილია სწორედ ქრისტიანობის საფუძველზე უპირისპირდება უკიდურეს ინდივიდუალიზმს (არავინ აღანთის სანთელი და შედგას იგი ქუეშე ხემირსა, არამედ ზედ სასანთლესა გადგიან, რამთა ჰანათობდეს ყოველთა“. მათე 5,15).

3. საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის კონტექსტში იკვეთება ცოდნისა და რწმენის საკითხები.

როგორც ითქვა, პიროვნებამ საღად უნდა შეაფასოს მოვლენები, საჭიროა რეალური ცოდნა სამყაროს, სოციუმის შესახებ. რეალური ცოდნა არა მხოლოდ „ქუუით ახილებულია“, არამედ „გულითაც გამოკვებილია“; ესაა ცნობიერება, რომელიც ემყარება გონებრივ, ინტელექტუალურ, პრაქტიკულ შესაძლებლობებს. ამგვარი ცოდნა აძლიერებს როგორც საკუთარი თავის, ასევე ღვთის რწმენასაც (აქვე საინტერესოა გავიხსენოთ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზების“ თეიმურაზი, მისი სიტყვებია: „ცოდნამ მოწყვიტა უფლისადმი ასაფრენი ფრთები... ცოდნა და რწმენა ვერ მოვარიგე ერთმანეთს“. თეიმურაზის ცოდნა არარეალური, არაჯანსაღი, ჰაერში გამოკიდებული იყო, ამიტომაც განდევნა როგორც ღვთის, ისე საკუთარი თავის რწმენა. როგორც ითქვა, იგივე დაემართა განდევნილსაც).

რწმენას და რეალური ცოდნის, საღი აზრის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ცნობიერებას მორიგება არ სჭირდება.

„გლახის ნაამბობის“ მღვდელმა, ოთარაანთ ქვრივმა, ლელთ ღუნიამ იციან, ვინ ვინ არის, მათთვის ყველაფერი გარკვეულია. ამიტომაც სწავლა საკუთარი თავისა, ღვთის რწმენა ნებისყოფის გამოცდას არ საჭიროებს. ისინ ადვილად არ თმობენ პოზიციებს, საკუთარ ღირებულებებს, არ არიან დაეჭვებულნი და გაუნონასწორებელნი, მისინაფიან თვითდამკვიდრებისაკენ; შესაბამისია მათი ურთიერთობა საზოგადოებასთან.

ოთარაანთ ქვრივმა იცის, რომ ამქვეყნად ვირთაგვებიც არიან. „დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ მნარე სიმართლე სცოდნიათო“, მაგრამ ეზმარება მათ. განა ქვრივმა არ იცის, რომ წუთისოფელი მკაცრი და ბოროტების სადგურიცაა“ რომ „თუ წუთისოფელს ერთი ბერი ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლექი ნაბადსა“, მაგრამ ადამიანების ტევილი მაინც სტკივა. ამიტომაცაა ქერივის დამოკიდებულება ადამიანებთან მადლი, მაგრამ იმ რეალური ცოდნის გამო, რომელიც საზოგადოების დაუნდობლობას ამხელს, პილპილმოყრილი.

ანდა გიორგი რატომ მიმართავს ზოგჯერ ფიზიკურ ანგარიშსწორებას. მისი ცოდნაც რეალურია. იცის, ლაპარაკი ამარ იქნება, ტებილი სიტყვით ვერ უშველის გარშემოყოფა გულგრილობას.

რეალურია „გლახის ნაამბობის“ მღვდლის ცოდნა საზოგადოების შესახებ. განდეგილისაგან განსხვავებით, მან იცის, რომ ამქვეყნად ბოროტებაც არსებობს და სიკეთეც. ის არ გაურბის ბოროტებას, ებრძვის მას. ხვდება, რომ ადამიანებს სულიერი საზრდო სჭირდებაც. განდეგილს კი აღარ უფიქრია მისგან უარყოფილ ადამიანებზე. „გლახის ნაამბობის“ მღვდლის მიერ დანახული სამყარო სულ სხვაა. ის გონიერად, თვითშემეცნების საფუძველზე აღქმული რეალობაა. „ყველას ღვთის სული გვიდგა. ყველას გულში, ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენ, ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია... ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ. ის ცეცხლი ხანდახან იმისთანა საქმეს გაქნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს“.

პიროვნებისა და საზოგადოების ჯანსაღი, ილიასათვის მისაღები ურთიერთობა ემყარება სამყაროს, ადამიანების შესახებ რეალურ ცოდნას და მასზე დამყარებულ გონებით მიმწვდარ მორნმუნეობას ანუ „გამეცნიერებულ სარნმუნობას და გასარნმუნობას მეცნიერებას“.

4. ილიას ნანარმოებები საკმაოდ საინტერესოდ და ღრმააზროვნად აისახა პიროვნული თავისუფლებისა და გაუცხოვების საკითხი.

„გლახის ნაამბობის“ დათიკო პიროვნული ამბიციებისა და ცხოველური ინსტიქტების მონაა. დაახლოებით ასეთივე თათქარიძეობა. თათქარიძებისათვის ღმერთს ნიჭი, განათლება არ მიუცია, არც რეალური ცნობიერება გააჩნიათ, თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლა უაზრო ფუსტუსით, უაზრო ტრაბახით, თავმომზონეობით, ცრუმორნმუნეობითა და შურით უხდებათ. გაქრობის გაუცნობიერებელი შიში აქვთ, რადგან არ გააჩნიათ რეალობის შეგრძნება, საღი აზროვნება, მოვლენების ჯანსაღად შეფასების უნარი. ყოველივე ამის გამო პიროვნულად თავისუფალნი არ არან. მართალია, სოციალური გარემოც მხედველობაშია მისაღები, მაგრამ ისინი თავად თრგუნავენ თავიანთ პიროვნულ თავისუფლებას, მათი მორალი ძირშივე სპონს პიროვნული „მე“-ს შეგრძნების უნარს. საზოგადოება ნაკლებადაა დამნაშავე მათი პიროვნული თავისუფლების შეზღუდვაში.

განდეგილის ტრაგედიას თუ გავიაზრებთ, არც ის არაა პიროვნულად თავისუფალი.

პიროვნულად თავისუფალია ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, თუნდაც არჩილი. ქარიგეს სიკვდილის შიშიც არა აქვს. ზნესრულობა, მოვლენების სწორად აღქმისა და შეფასების უნარი, საკუთარი ღირსების შეგრძნება, თუნდაც ამ ღირსებას საზოგადოება არ ან ვერ ხედავდეს, ადამიანს ხდის უფრო თავისუფალს, დამოუკიდებელს.

თათქარიძეები ნამდაუწუმ ღმერთს უხმობენ საშველად, მფარველად. ქვრივის პიროვნული თავისუფლება პიროვნულ ღლიერებამდე მაღლდება: „მე ჩემთვის არ ვლოცულობ, ღმერთი არ შევანუხომეთქი“, — ეუბნება კესოს. „ღმერთმა ადამიანი გააჩნია, უბძანა: ნადი, შენს თავს შენვე მოუარეო ... აქ, ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო“, — ეუბნება გიორგის.

თათქარიძეები საზოგადოებისათვის საფრთხეს არ წარმოადგენენ. ლუარსაბს თავად ეშინია საზოგადოებისა. დათიკოსაც ეშინია მომავლისა, რადგან სინდისმა შეაწესოს.

მეორე მხრივ, საზოგადოებას ეშინია ოთარაანთ ქვრივისა. „ბავშვებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით ამინებდნენ“. გავიხსენოთ, როგორ მარტივად განმარტავს ქვრივი თავისი პიროვნული თავისუფლებისა და ამის გამო საზოგადოებს რეაქციის მიზეზს: „ჩემი რად უნდა ეშინოდეთ“ რა ბაყბაყდევი მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილუბრალოდ არავის დაცენაგვრინები“.

ამ შემთხვევაში კი, პირიქით, საზოგადოება ცდილობს დათრგუნოს გიორგისა და ქვრივის პიროვნული თავისუფლება. ყოველ შემთხვევაში, ისინი გარიყულნი რჩებიან საზოგადოებისაგან.

აქედან გამომდინარე, ილიას შემოქმედებაში იკვეთება გაუცხოვების საკითხი. მის ნანრმოებებში უფრო შესამჩნევია ნიღებრივი გაუცხოვება (გიორგი, ქვრივი — არჩილი, კესო; დათიკო — გაბრიელი), შეუმჩნეველია ღრმა ფესვები ანუ ადამიანის ფსიქოლოგია, სულის უდრმესი ფენები (სოსია მენისქვილე — ქვრივი; დედა — შვილი). ამ კონტექსტში იკვეთება „საზოგადოებრივი ფსიქოლოგიაც“, მისი ღირებულებები; თვალსაჩინოა, ვინ ან რატომ შესაძლოა უცხო გახდეს საზოგადოებისათვის.

თათქარიძეები, დათიკოები, მეჯინიბები, მენისქვილეები (მეჯინიბები, მენისქვილე — „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟები) და ა. შ. უცხონი არ არიან საზოგადოებისათვის. ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, მღვდელი, ლელთ ლუნია უცხონი არიან; საზოგადოებას მათი არ ესმის: „ეს კაცი ან გიუა, ან ღვთისაგან მოგზავნილი“, — ამბობს ხალხი გიორგიზე. „ბევრი რამ არის, ჩემი პორაციო, ამ ქვეყნიერობაში ... საიდუმლო“, — არჩილი ჰამლეტის სიტყვებს იშველიერს გიორგის პიროვნებაზე მსჯელობისას, თითქოს მასაც ვერ გაუგია, გლეხი ასეთი როგორ „დიანა“. საზოგადოება უცხონის გიორგის, ქვრივის ზნესრულობას, რადგან ეს მისთვის დეფიციტია. ქვრივი, გიორგი თავადაც გაურბიან საზოგადოებას, რომელიც მის ღირებულებებს, ზნეობრივ ნორმებს ვერ ან აფასებს.

საზოგადოებას ამავე მიზეზით არ ესმის არჩილისა და კესოსი. ამ „მოუსმინარი“ საზოგადოების წევრები მებატონეებიც არიან და გლეხებიც. „კაცი მოიდნეს და ამით უბმენ ქვეყანას თვალსაო“, — ასეთია სოფლის შეხედულება. საზოგადოებისაგან გაუცხოვებული შესაძლოა იყოს მებატონეც და გლეხიც. სწორედაც რომ გლეხობას არ ესმის გიორგისა. მას არჩილი უფრო უგებს. „ახალი ცოცხი კარგად ჰგვისო“, — ასე შეაფასეს გლეხებმა გიორგის საქციელი არჩილის ცხენთან დაკავშირებით. „მაგისი ნამუსი გულითაა გამოკვებილი... მთელი აგებულების წყურვილია“, — ეს არჩილის აზრია გიორგის ზნესრულობაზე.

ამდენად, გაუცხოვება ილიას ნანარმოებები მოიაზრება როგორც შედეგი არა მხოლოდ წოდებრივი უთანასწორობისა, არამედ ასევე როგორც შედეგი ადამიანთა „მრავალფერი ბუნებისა“,

როგორც შედეგი ადამიანთა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში სხვადასხვა ზნეობრივ ლირებულებათა არსებობს.

სხვათა შორის, ბოლოდროინდელ ლიტერატურულ კრიტიკაში გაცხოვების საკითხი მართებულად მოიაზრება პერსონაჟის ინდივიდუალურ ქრონოტოპთან ერთად ანუ გაუცხოვების მომქნეტი დაკავშირებულია მხატვრულ-პროგნოზირებად დრო-სივრცესთან, როგორც ყოველი სოციალური გარემოს მახასიათებელი (რატიანი 2006: 109).

5. ილიას, როგორც მრვალმხრივ საზოგადო მოღვაწეს და როგორც მწერალს, ჰქონდა რეალური მიზნები. ამდენად, მის ნაწარმოებებში წამოჭრილი ნებისმიერი პრობლემა სამომავლო პერსპექტივებს აუცილებლად მოიაზრება.

სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური ძვრები იწვევს მორალურ-ზნეობრივი ფასეულების ცვლას, ზოგჯერ კი ამ ფასეულობათა კრიზისაც. ილიას შემოქმედებაში პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პერსპექტივა ორმხრივია; ეფუძნება, ასე ვთქვათ, ფსიქოსოციალურ ფაქტორს ანუ, ერთი მხრივ, გულისხმობს სოციალ-პოლიტიკური გარემოს მოწესრიგებას, სამართლიანი პრინციპების არსებობას; მეორე მხრივ, შესაბამისად სწორად უნდა წარიმართოს ადამიანთა ფსიქოლოგიაც. საზოგადოებრივ ქაოსთან ბრძოლის ძირითადი იარაღი სწორედ ზნეობრივ-მორალურ ფასეულობათა შენარჩუნებაა.

თავისთავად: მოწესრიგებული, სამართლიანი გარემო პიროვნებას არ აიძულებს გაექცეს საზოგადოებას, ასეთი სოციუმისათვის უცხო არ იქნება თუნდაც ზნესრულობა ანუ ნაკლებად იქნება გაუცხოვების მომენტი, მაგრამ, ვფიქრობთ, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაში ილია დიდ როლს პიროვნების ფსიქოლოგიას, მის სულიერ სამყაროს აკისრებს, ამ ურთიერთობათა მოწესრიგების პერსერვაციის მანც პიროვნების ცნობიერებაზეა ორიენტირებული. ილიას „სულის წვრთნა“, ფსიქოლოგიური მზაობა უფრო მყარ საყრდენად მიაჩნია (გავიხსენოთ ერთი ამგვარი „სულის წვრთნა“ — არჩილისა და კესოს დიალოგი). შემოქმედს კი რეალობის ფონზე „სულის საწვრთნელად“ ადამიანის სულიერი სამყაროს ულრმესი ფენების მოძიება ევალება.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ზოგადადამიანური და კონკრეტულ-ფსიქოლოგიურ საფუძველთაგან ილია, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად მიიჩნევს თვითშემეცნებას. რეალობის აღქმა, მოვლენების ცნობიერად შეფასების უნარი, საღი აზროვნება უბიძგებს ადამიანს თვითშემეცნებისაკენ. პიროვნებას საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის სჭირდება, რა თქმა უნდა, იმის გარკვევა, სად ცხოვრობს, როგორია მისი გარემო (სოციალ-პოლიტიკური, კულტურული); არაანაკლებ მნიშვნელოვანია იმის შემეცნებაც, თვითონ რა უნდა, როგორია მისი ფუნქცია ამქვეყნად, რომელია მისი მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმები. გავიხსენოთ დავით გურამიშვილი: „ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისისადათ: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“. თავად ილიაც ამზობს: „ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას და მცნების ნათლით ზეაღმიდულ, ამალებული, ჭკვით არ განჭვრიტავს საზოადო ცხოვრების დენს, იმ დრომდე იგი უმდო, შეწუხებული...“ ის, ვინც „ჭკვით განჭვრეტს საზოგადო ცხოვრების დენს“ (ცდილობს გაარკვიოს საზოგადოების რაობა (ვინ ვინ არის), საკუთარი ადგილი (თვითონ ვინ არის), მიისწოდათვის თვითშემეცნებისაკენ. ასეთი თვით ახდენენ გარემოს მოდიფიცირებას, ზოგჯერ, განსაკუთრებულ შემთხვევები, მის ხელახალ ფორმირებას, თავად კარნახობენ საზოგადოებას ურთიერთობის ფორმებს (თვითონ ქმნიან თავიანთ დროსა და სივრცეს).

თვითშემეცნებადნი არიან ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, არჩილი, ლელთ ლუნია, „გლახის ნაამბობის“ მღვდელი...

თათქარიძება თვითშეუმეცნებადია. ამ შემთხვევაში არ არსებობს რეალური ცოდნა, შესაბამისად, არაა საღი აზრი. ამგვარ ადამიანებს აკლიათ პიროვნული ინდივიდუალობა, თვითინიციატივა. ისინი თავად თრგუნვავნ თავიანთ პიროვნულ თავისუფლებას, არ შეუძლიათ საკუთარი „მე“-ს პოვნა. თვითშემეცნების უნარის არქონა იგივე პასიურობაა; არადა ქმედებაა საჭირო, თუნდაც ნაბიჯები თვითშემეცნებისაკენ; შესაძლოა, ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ნერვევაც გახდეს საჭირო (კვლავ გავიხსენოთ თავიანთ დროსა და კესოს დიალოგი).

ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაბამისია პიროვნებათა ურთიერთობა საზოგადოებასთან (კვლავ გავიხსენოთ ოთარაანთ ქვრივის, გიორგის, მღვდლის, თათქარიძების, განდეგილის ურთიერთობა გარესამყაროსთან, საზოგადოებასთან).

ერთიც: ილიას შემოქმედებიდან და ზემოთქმულიდან გამომდინარე, თვითშემეცნება არ არის მხოლოდ ინდივიდუალურ ცნობიერებაზე ორიენტირებული. პიროვნების თვითშემეცნების მიზანი გარკვეულილია და საზოგადოებრივი პოზიტივური ცნობიერების შეთანხმება უნდა იყოს. ადამიანმა ხომ არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ თავისი სოციალური როლის მოპოვებაზეც უნდა იზრუნოს. ვფიქრობთ, ესეც მშვენივრად ჩანს ილიას ნაწარმოებებში.

პიროვნებისა და საზოგადოების საკითხები ილიას შემოქმედებაში არის არა აბსტრაქტული მოდელები, არამედ ნებისმიერი მკითხველისათვის ყოველდღური პრობლემებია. მკითხველი მწერალთან ერთად ფიქრობს, მასთან ერთად მოიაზრებს ამ საინტერესო ურთიერთობების არსებულ თუ მოსალოდნელ ფორმათა ფსიქოლოგიურ-თეოლოგიურ ასპექტებს, სახავს ამ ფორმათა განვითარების, სრულყოფის შესაძლო პერსპექტივებსაც. ამდენად, აღნიშვნული საკითხების ილიასეული გააზრება იფარგლება არა მხოლოდ მის ნაწარმოებებში რეალურად წარმოდგენილი დროითა და სივრცით, არამედ ძალდაუტანებლად მოიცავს ესთეტიკურად და იდეურად ფასეულ მხატვრულ, წარმოსახულ, მომავალ დროსა და სივრცესაც.

**დამოწმებანი:**

- ბაქრაძე 1984:** ბაქრაძე ა. ილია ჭავჭავაძე. თბ.: 1984.
- ბოგანი 2002:** Бокан Б. *Социальные конструирование реальности*. Москва: 2002.
- კალანდარიშვილი 2006:** კალანდარიშვილი გ. ტრადიცია და თანამედროვეობა ახალ ქართულ ლიტერატურაში. თბ.: 2006.
- ნინიძე 1997:** ნინიძე მ. გადლის წყარო. თბ.: 1997.
- ნოზაძე 1954:** ნოზაძე ვ. უცნობი ნანერები. ავტოგრაფი. ქართული ემიგრაციის მუზეუმი. 1954.
- პავლოვა 2001:** Павлова О. *Идентичность: история формирования взглядов и её структурные особенности*. Москва: 2001.
- რატიანი 2006:** რატიანი ი. ქრონოტობი ილია ჭავჭავაძის პრობაში. თბ.: 2006.
- ჭავჭავაძე 1959:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა კრებული ათ ტომად. ტ. V, თბ.: 1959.
- ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა კრებული ხუთ ტომად. თბ.: 1988.
- ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა კრებული ხუთ ტომად. თბ.: 1991.

## რამაზ ჭილაია

### “ ომო სომატის” ილიასეული გააზრებით

თანამედროვე სამყარო სწრაფად იცვლება; იმავდროულად, ეს პროცესი სულაც არ არის ყოვლისმომცველი. ცვლილებები ნაკლებად შეეხება საბაზისო იკონურ (ხატისმიერ) სისტემებს. სიახლეთა გააზრებისას ნათელი ხდება, რომ „ნოვაციები“ სილრმისეული, მდგრადი და ჩამოყალიბებული სახეობრივი სისტემების რეპრეზენტაცია უფრო. ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის თანამედროვე საშუალებებიც კი არა თუ ვერ ჯაბნიან, არამედ ყოველ ჯერზე ადასტურებენ უკვე არსებული სახე-ხატების არქეტიპურობის განმეორებითობას. სიახლე ახლებური რეპრეზენტაციის დახვენაშია მხოლოდ. რას ნარმოადგენს ხსენებული „საბაზისო ხატი“? ეს არც საგანია, არც რაიმე მოცემულობა, ეს არც კოდია. სავარაუდოდ, ეს ეპოქისმიერი ისტორიის ფარგლებში, გარკვეულ დროს მიმდინარე მოვლენაა, რომელიც შეიძლება სასრული იყოს ან არც დასრულდეს. საბაზისო ხატი მოვლენის დროში არსებობის ხერხი თუ საშუალებაა. მისი რეპრეზენტირება მრავალგვარია და არ დაიყვანება დასრულებულ ერთიანობამდე, ერთ გეშტალტამდე [1,67]. მკვლევართა უპირველეს, თითქმის დაუძლეველ სირთულეს სწორედ შესასწავლი მოვლენის ისტორიულობა წარმოადგენს.

„Homo somatis“ ანუ „ჰომო სხეულებრივის“ შესახებ აზრის განვითარება ისევე მრავალფეროვანია, როგორც ადამიანური ყოფის სხვა განზომილებათა შესახებ იდეათა განვითარების ისტორია. ამის დასტურია ის, რომ „სომატური იდეოლოგია“ სხვადასხვაგვარ კონტექსტშია ჩართული. იქნება ეს ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი, სოციალურ-ინსტიტუციონალური თუ კულტურულ-ნორმატიული კონტექსტები. როგორც მატერიალური სუბსტატი, სხეული ინტერესს იწვევს ადამიანის ცხოვრების კვლევის მხრით. კერძოდ, ესაა ფსიქოსომატიკა და ფსიქოფიზიოლოგია.

სადღეისოდ, სოციალურ პრაქტიკაში, სულ უფრო აქტუალური ხდება ისტორიულად ჩამოყალიბებული რაციონალისტური ტრადიცია, „სხეულებრივს მიმსწრაფი ადამიანის“ და „სულისმიერი ადამიანის“ დაპირისპირებისა.

სულისმიერი მოვლენების ადამიანის სხეულისმიერ მოქმედებაზე ასახვის მექანიზმების ჩამოყალიბების კვლევა, თანამედროვე ფსიქოლოგის აქტუალური პრობლემაა. მიუთითებენ, რომ ადამიანში წარმოქმნილი აზრი, ცხოვრებაში არეკლილი ხატისა და კუნთოვანი სისტემის დაძაბვის მთლიანობაა, რომელიც სხეულისა და ხატის ურთიერთშედარებით პროეცირდება. ხატი (იერსახე) და სხეულისმიერი დაძაბულობა გაუთიშავია ერთურთისაგანა.: სხეულებრივი ციბრაციების გამოსახვა ცნობიერებაში უცილობლად ბადებს ხატებსა და იერსახებს [1,624].

მ. მამარდაშვილი წერს, რომ ადამიანი, ვითარცა ადამიანი, არსებობს ან არ არსებობს სინდისიერებისა და აზრის გაგების ველში. ეს მისგან დამოუკიდებლად არსებული ველია, რომელშიც იგი იბადება და იგებს, რომ სული გააჩნია. ანუ მას სტკივა, უმიზეზოდ სტკივა. ის, რაც უმიზეზოდ გტკივა სულია. რაც არ უნდა ვუნიდოთ ამ ველს, სწორედ მასში იბადება ან მეორედ იბადება ადამიანი, ამის შემდგომ არის შესაძლებელი მხოლოდ სულისმიერზე საუპარო. არაერთი მოაზროვნე მიუთითებდა ადამიანის მეორე, ჭეშმარიტ დაბადებას. დანტე ალნიშნავდა, რომ მხოლოდ მეორე დაბადებისას ისახება სული. მამარდაშვილს დიდად არ ანუხებს სულის ადგილსამყოფელი, თუმც კი სწორედ მასში ეგულება სინდისი. მისეული თვალთახედვით, სულის აღმოცენებასა თუ გახსნას უცილობლად ესაჭიროება გარკვეული ველი, ველი რომელიც სინდისითა და აზრის გაგებით იქნება სახელდებული; ველი კულტურისმიერი, სულისმიერი ატმოსფერო ანუ პრევმატოსფერო. აქვე ვიტყვით, რომ ამგვარ ველს მეცნიერი ადამიანისეული ისტორიის კოლექტიურ „სხეულსაც“ უნდებდა. უმთავრესი კი მაინც ისაა, რომ ამ ველში გარკვეული აქტები უნდა ხორციელდებოდეს. ასეთად გვესახება ქართულ სააზროვნო სივრცეში არც თუ იშვიათი „სულის უშურველობა“. ამავეს გულისხმობას სწორედ ლუკა მახარობლის სიტყვებიც: „ვისაც სურს სულის სხსნა, დაკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისთვის დაკარგავს სულს, ის პპოვებს მას.“ (ლუკა 9.24).

ცოდნის სხვადასხვა სფეროების მიღწევებს, მოდიფიცირებული სახით, აქტიურად იყენებს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა. ამ მხრით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის პოზიცია, ერთ პოლემიკურ წერილში გამოთქმული: „ყოველივე ახლად აღმოჩენილი სიკეთენი, რა თქმა უნდა, მომზადებულ ნიადაგზედ იბადებიან და ჩნდებიან. ხოლო რაკი ერთხელ გაჩნდნენ ერთს რომელსამე ნიადაგზედ, სხვა ნიადაგზედაც სახეირონი არიან, სხვა ნიადაგსაც არ ეუცხოებიან. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არსება, ბუნება ახლად შემოსალებისა, რომელიც თუნდ სხვა ნიადაგზედ იყოს ნაცადი და აღმოცენილი, თავისითავად სარგო და ხეირიანი იყოს.“ [3,373]

ისტორია ცხადყოფს, რომ ნაწარმოები საუკუნეებით ინახავს ხოლმე მასში ასახულ ისეთ ვითარებებს, რომელთა დამაჯერებლობა და სიცხადე იმდენად ძალმოსილია, რომ ვადის ტექსტიდან და დამოუკიდებელ არსებობას იწყებს. ამას განაპირობებს როგორც ნაწარმოებისეულად, ისე საზოგადოებრივად ღირებული ვითარების ასახვა. ყოველი ამგვარი მოვლენა დატვირთულია ზუსტი ფსიქოლოგიური მოტივით, რომელიც კრავს ნათხოვობას. მარჯვედ ნაპოვნი მოტივი სამუდამოდ იმკიოდნებს ადგილს ისტორიულ მეხსიერებაში. მკიობველთა ახალი თაობა ახლებურად, ახალ ესთეტიკურ ნორმათა შესატყვისად აღიქვამს ნაწარმოებს; მაგრამ ვიდრე ახლებური წაკითხვა მაინც ერთგზის მორგებულ სიტუაციურ-სტილისტურ მომენტს უტრიალებს, ტექსტი არათუ ინარჩუნებს, არამედ კიდევ უფრო იმყარებს პირვანდელ სახეს.

მწერალი და მისი ნაწარმოები, რომელსაც დამოძლვრით იწყებს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს უკანაო.“ ნათხრობში სინამდვილე იმდენად გაზვიადებულია, რომ ხელთა გვაქვს ნასკვი რეალურისა და ფანტასტიკურის, ტრაგიკულისა და კომიკურის. ეს ყოველივე მიმართულია ქართველთა, ზოგადად ადამიანთა, კაცთა გამოსაფხიზლებლად, დასაფიქრებლად — რანი ვიქენებით ხვალ, თუ ჩვენს ყოფას ფუქე-ბალავრად მხოლოდ „სომატურ იდეოლოგიას“ დავუდებთ.

სამართლიანად აღნიშნავენ, რომ „კაცია-ადამიანი?“ არ გამოირჩევა მძაფრი სიუჟეტური სკლებით. მოთხრობაში მოცემულია „მარტივი“ ყოფითი სურათები. თავად ავტორიც აღნიშნავს ამას ტექსტისმიერად („აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცისკვლა...“). ამდენად, უნდა გამოიძებნოს ისეთი საშუალება, რომელიც დააინტერესებს მკითხველს, დააკმაყოფილებს მის მოთხოვნას. ი. ჭავჭავაძეს მთელი ყურადღება გადააქვს პერსონაჟებზე, ახდენს მათი სამყაროს დეტალიზაციას. დეტალებისადმი გამახვილებული ყურადღება გაპირობებულია რეალური ყოფით, ამ ნიშნით აინტერესებს იგი ავტორს. ხშირად, არამყირალა შტრიხი დიდ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს. ტ.ს. ელიოტი ნაშრომში „რელიგია და ლიტერატურა“ [4,97] წერდა, რომ ტექსტის ლიტერატურულობის ხარისხი მხოლოდ ესთეტიკური კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს, ხოლო ლიტერატურული ტექსტის მნიშვნელობა არაესტეტიკური კრიტერიუმით; იგულისხმება — ეთიკური, ფილოსოფიური, რელიგიური და სხვა ნორმები. მკითხველის ტექსტში საბოლოო ჩართვისათვის საჭიროა მყარი საძირკველი, რომელსაც დაეფუძნება მთელი ნაწარმოები. კონკრეტულ შემთხვევაში, ესაა ტიპიზაციის ერთ-ერთი სახე — გროტესკი (გროტესკი გულისხმობს კარიკატურულ გაზვიადებას, ავტორისეული ფანტაზიით დეფორმირებულ სინამდვილეს); მოთხრობაში მახინჯია ყოველივე, ფიზიკურიც და სულდგმულიც. მახინჯია თავად თათქარიძის სახლ-კარი, მისი პატრონი, დიასახლისი; საერთო სურათს ავსებენ — ლამაზისეული, სამოვრის მეთვალყურე პატარა ბიჭი, დავით თათქარიძე ღვიძლ ძმას ათ თუმნად ჰყიდის, მისი მეუღლე კი სიხარულს ვერ ფარავს მაზლს მახინჯი ქალი რომ შეაჩერეს. ყოვლად უსიამოა მოხუცი მაჭანკალი სუტკნეინა, რომელიც დისწულსაც კი აგირავებს, ოლონდ ფული იშივოს.

ეს დეფორმირებული საარსებო თუ სააზროვნო გარემო, ცალსახად ერთიანი მაინც არ არის. ყოველივეს გარკვეული „ინდივიდუალიზის“ ბეჭედი აზის. „ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი ლამაზისეულს ეძახის, იმდენად გადაგვარებულია, რომ ვერ ახერხებს საკუთარი ნათხრობის დროის უმცირეს მონაკვეთში (იგულისხმება მანილი ცნობილი „ჭიის-კარიდამ“ ლუარსაბის სამყოფელამდე) გონებაში შეკვებას. გაქნილი მეტოხავი, წუთის წინ მოსმენილს, უკანვე „უბრუნებს“ ლამაზისეულს, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე. მესამოვრე ბიჭი ძალურ ყოფას შენატრისა.“

ტანსრულობა და ჭარბი წონა სრულად არ მოასწავებს ადამიანის დეგრადირებას. კაცის, ზოგადად პიროვნების, ილიასეული გააზრებაც არ გულისხმობს ამას. ხორცასაცხეობა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) აქ მეორე რიგის მოვლენაა, პიროვნული თვისებების მოსაკლისება, პიროვნული დეფორმაცია ყოველივეს თავი და თავი. თათქარიძეების ცხოვრება სომატური ზეიმია და ამ ზეიმის აპოთეოზია სხეულებრივი მეტაფორიზმით გამოხატული ასევე სომატური ეპიფანია: „ურაა! — დაიყვრა ლუარსაბმა და, რადგანაც გულდალმა იწვა, თავისებურად, ტახტზედ, ერთი ფეხიც აიშვირა მაღლა და მანამ ურა არ გაათავა, ფეხი არ ჩამოულია.“

თათქარიძობის კრიტიკა „სომატურ იდეოლოგიის“ კრიტიკაა. ყოველი მსგავსი მსგავსსა შობს — ომო სომატის ანუ ჰომო სხეულებრივი შობს მხოლოდ ომო ოტიოსუს-ს, ანუ ჰომო უსაქმოს (ცხადია, ლუარსაბმა მიამრთებაში არ იგულისხმება ე.წ. არისტოროგრატიული ოტიუზ-ი); ამიტომაც არ აძლევს ილია შვილს ლუარსაბმა.

და, მაინც, „ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა. ერთს რომ ხორციათვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე — გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსთვის მაინცა.“ [5,342]

#### დამოწმებანი:

**Подорога 2005**, В. А. Подорога, Политики тела. Сборник: Психология телесности, М. 2005, стр. 67

**Подорога 2005**, В. А. Подорога, იქვე გვ. 624

ჭავჭავაძე, ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ. ათ ტომად, ტ. VII, გვ. 373

Eliot 1975, T.S. Eliot, Religion and Literature (1935), Selected Prose, 1975, p.97.

ჭავჭავაძე, ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ. ათ ტომად, ტ. V, გვ. 342

## დარეჯან მენაბდე

### გაბრიელ რატიშვილის „მცირედი მოთხობიდან“ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებამდე“

1863 წელს, „საქართველოს მოამბის“ XI-XII ნომრებში, ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა გაბრიელ რატიშვილის სამოგზაურო-მემუარული უანრის თხზულება „მცირედი რამ მოთხობა როსიისა“. გ. რატიშვილი (1771-დაახლ. 1825) ქართული ლიტერატურის ე. ნ. გარდამავალი ხანის საინტერესო პოეტი, პროზაიკოსი და მემუარისტია. მისიმისი ბიოგრაფია ნაკლებადაა ცნობილი და არც მის შემოქმედებაზე გვაქვს სრული წარმოდგენა.

გ. რატიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ცნობილია ერთი მოზრდილი კრებულით (S № 2910), რომელიც ავტოგრაფულ ხელნაწერადაა მიჩნეული (რუხაძე 1966; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1965). მისი შედგენილობა ასეთია:

1. მცირედი რამე მოთხობა როსიისა (1r-92v).
2. [კალენდარული ცნობები] (92v-104v).
3. [გაბრიელ რატიშვილის ლექსი] (105r-119r).
4. [სვიმონ რატიშვილის ლექსი] (119r).

5. [ბარათები]: „მეგობართან მისაწერი ბარათი“, „სამდვდელოთა თანა მისაწერი“, „ბატონთან და ბატონის შვილთან მისაწერი ბარათი“, „დასთან მისაწერი ბარათი არს ესე“, „სამძიმრის ბარათი არს ესე“, „ქალთან მისაწერი ბარათი არს ესე“ (120v-133v) (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1965).

„საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა ამ თხზულების პირველი (არასრული) პუბლიკაცია, რომელსაც ილიამ ასეთი შენიშვნა დაუროთ: „ეს წერილი ეკუთვნის თ. გაბ. რატიშვილს, რომელიც ჩვენ მეფის შვილებს თანა ხლებია, როცა ისინი გადაუსახლებიათ რუსეთში. რაც უნახავს ტფილისიდამ პეტერბურგამდე, რაც გადახდენია, ყველაფერს გვიამბობს, — და ის ნამბობი უინტერესო არ არი“ („საქართველოს მოამბე“ 1863). ი. ჭავჭავაძემ თხზულების ბეჭდვა კი დაინყო, მაგრამ უურნალის დახურვის გამო ვეღარ დაასრულა. იგი მხოლოდ 1962 წელს გამოაქვეყნა ვ. შადურმა კრებულში „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“ (შადური 1962: 156-301). გამომცემელმა „მცირედი მოთხობა“ მცირეოდენი შემოკლებით დაბეჭდა — გამოტოვებულია ლექსანდრე პირველის მანიფესტი და პლატონ მოსკოველის სიტყვა (შადური 1962: 254; 260). „მცირედი მოთხობა“ ძირითადად პროზაული ტექსტია, რომელშიც ჩართულია რამდენიმე ათეული ლექსი. თხზულება 1801-1802 წლებში უნდა იყოს დაწერილი.

გ. რატიშვილი ფართო საზოგადოებისათვის არცოთ კარგად ნაცნობი ავტორია, ამიტომ, შევეცდებით ავხსნათ, თუ რატომ უნდა დაიხტერესებულიყო ი. ჭავჭავაძე ამ თხზულებით.

გ. რატიშვილი XIX ს. დამდეგს იოანე ბატონიშვილს ადიუტანტად ახლდა რუსეთში, იყო პეტერბურგსა და მოსკოვში, დაესწრო იმპერატორ ალექსანდრე I-ის უკრთხევას და ახალი იმპერატორის მიერ 1801 წლის 12 სექტემბრის ცნობილი მანიფესტის გამოცხადებას. მისი მარწრუტი იყო: თბილისი, მცხეთა, ლარსი, მოზღვი, მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი და უკან: მოსკოვი, ცარიცინი, ასტრახანი, მოზღვი, ვლადიგიავეკაზი, ლარსი, სტეფანწმინდა... მის თხზულებაში თხრობა იწყება თბილისიდან გამგზავრებით (7.III.1801), მთავრდება გ. რატიშვილის სამშობლოში, საკუთარ მამულში (ზოგი ცნობით, სოფ. ქსოვრისი) დაპრუნებით. თხზულების ფაქტობრივი მასალა უთუოდ დროის ამ მონაკვეთში დაიწერა, მისი ლიტერატურული გაფორმება, დამთავრება და საბოლოო რედაქტირება კი ავტორის დაბრუნებისთანავე, ცოცხალი შთაბეჭდილებით მოხდა. საფიქრებელია, გ. რატიშვილი მოგზაურობისას წერდა დღიური, რომელშიც შეპქონდა შთაბეჭდილებები და დაკვირვებები. სხვაგვარად წარმოუდგენლია ისეთი დეტალი ზაცია, ისეთი დაწრილებითი ალნერილობა ფაქტებისა და მოვლენებისა, როგორიც „მცირედი მოთხობობის“ თითქმის ყოველ გვერდზე გვხვდება. მიუხედავად მოკრძალებული სათაურისა, ის სრულებითაც არაა „მცირედი მოთხობა“, პირიქით, ეს არის ვრცელი, ლექსიჩართული აღწერილობა ქართველი მწერლის რუსეთში მოგზაურობისა, ვრცელი თხრობა რუსეთზე, ძვირფასი საისტორიო წყარო, რომელშიც უხვადაა ცნობები რუსეთის იმდროინდელ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე და სხვ.

გ. რატიშვილის სახით ჩვენ წინაშეა ძევლი ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი და ეროვნულ სატკივარზე ღრმად დაფიქრებული მემუარისტი, რომელიც გვაცნობს თავისი მოგზაურობის მიზეზებს, გვიხსნის, თუ რამ აიძულა ბატონიშვილები, XIX საუკუნის დამდეგს დაეტოვებინათ საქართველო, როგორ მოხვდა რუსეთში და როგორ განიცადა უცხოეთში ყოფნა, რამ გადააწყვეტინა მემუარების წერა და სხვ.

„მცირედი რამე მოთხობა როსიისა“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი თხზულებაა. თავის წინამორბედ მემუარისტთაგან (გ. გელოვანი, ვ. ორბელიანი და სხვ.) განსხვავებით, გ. რატიშვილს პოლიტიკური ალლოც ჰქონდა გამახვილებული. მან იგრძნო რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე, ტრაგიზმი არსებული ვითარებისა და ეს ყოველივე შთაბეჭდავად გადმოსცა კიდეც თავის თხზულებაში.

გ. რატიშვილი იმითაცა მნიშვნელოვანი, რომ ეს არის ერთადერთი ავტორი, უშუალოდ მომსწრე და მონაწილე ალექსანდრე I-ის მანიფესტის გამოცხადებისა. მწერალი, რომელმაც მთელი სიცხადით დაინახა მოსალოდნელი ისტორიული მოვლენები.

მიუხედავად იმისა, რომ „მცირე მოთხრობაში“ დაწვრილებითაა აღნერილი რუსეთის ქალაქები და სოფლები, ხალხი, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და ღირსშესანიშნაობანი, მთელ თხზულებას გასდევს ავტორის უკიდურესად სევდიანი და სასოწარკვეთილი განწყობა. გ.რატიშვილი გვაცნობს მოგზაურობის მიზეზებს, თუ რამ აიძულა ბატონიშვილები დაეტოვებინათ საქართველო, როგორ მოხვდა თვითონ ავტორი რუსეთში და როგორ განიცადა უცხოეთში ყოფნა, რამ გადააწყვეტინა მემუარების წერა და სხვ. მოგზაურობის აღნერა მისთვის იყო „მიზეზი... მხიარულ ჰყოფისა“ და „განმდევნელი სევდისა“, ამასთანავე, გამიზნული იყო „განსაღვიძებლად გონებისა“.

ნოსტალგიური განწყობა საერთოდ ახლავს „მცირედ მოთხრობას“. გ. რატიშვილის სიტყვით: „დავაგდეთ ჩვენი არენი, გვხვდა დღენი გასამნარენი“, „დადგა დღე მწუხარებისა“, რომ იგი „ცრუმან სოფელმან უწყალოდ დასაჯა“, „ხელნი მაგრად შეუკრა“, „უცხოს თემსა“ გადაკარგა, ანდა — „გისდამი მოგვიყანა ჩვენ მწუხარებისა სახლად და სევდისა სადგურად“. აქედან გამომდინარე, გ. რატიშვილი სვამს კითხვას: „ვით იქმნების და ვით მოხდების საქმე ჩვენინი ბედნიერად და ანუ უბედურად“ — ეს იყო მისი საფიქრალი და საწუხარი. ხოლო როდესაც მოსკოვში, ალექსანდრე პირველის მეფედ კურთხევის ცერემონიალზე ჩასულ ბატონიშვილებსა და მათი ამალის წევრებს 12 სექტემბრის მანიფესტი გააცნეს, გ. რატიშვილი მწუხარებით წერდა: „დაიბეჭდა მანიფესტი და გამოხდა ბრძანება ესე, ვითა არღა იქმნების მეფობა საქართველოსა მემკვიდრეთა მეფეთა მიერ, არამედ იქმნებიან ბრძანებასა ქვეშე როსიისასა და დაპყრობილ კანონითა მათთავბრ, რომელ აწ ყოველივე თითოეულად სცნათ წარკითხვითა ამით, ხოლო ჩვენ არამცირედი მწუხარება მიყილეთ მომლოდინეთა სიხარულისა წილ და უკანასკნელ განაგოს ღმერთმან, ვითა იქმნების“ (შადური 1962:259) და იქვე: „მეფობისა წილ საქართველოსა მივიღეთ ლენტი ესე წითელი ანნასი და არა უნიტ ჩვენ და ვართ განკვირვებულ, რამეთუ რაი ვყავით წაცვლად ამისა მეფობისა დამკარგავთა და ოჯახისა გამაუბედურებელთა“ (შადური 1962: 263-264).

ასე მიიღეს, — გ. რატიშვილის თქმით, — ქართველმა ბატონიშვილებმა „მეფობისა წილ საქართველოსა... ლენტი წითელი ანნასი“ და სხვა და სხვა... აი, ამ სულისკვეთებითაა დაწერილი გ. რატიშვილის „მცირედი მოთხრობა“, ასე ჭვრეტდა თვითმხილველი მწერალი თავისი სამშობლოს მომავალს.

ვფქრობთ, ი. ჭავჭავაძის დაინტერესება გ. რატიშვილის „მცირედი მოთხრობით“ შემთხვევითი არ უნდა იყოს. „ის ნაამბობი უინტერესო არ არი“ — წერდა ილია მრავალმნიშვნელოვნად, რადგან გ. რატიშვილის მიერ საუკუნის დასაწყისში გამოთქმული მოსაზრებები თუ გარაუდები გაცილებით უფრო მწვავედ აღიმებოდა XIX ს. 60-იანი წლების საქართველოში. საგულისხმოა, რომ თვითონ ილიამაც იგივე გზა — „ვლაადიკავეასიდამ ტფილისამდე“ — აირჩია იმისათვის, რათა ქართველი საზოგადოებისათვის თავისი სამოქმედო პროგრამა გაეცნო.

პეტერბურგიდან დაბრუნებული 24 წლის ილია ჭავჭავაძე იმავე გზით ბრუნდება სამშობლოში, რომელიც თავის დროზე გაიარა გ. რატიშვილმა – ვლადიკავკაზი, ლარსი, სტეფანწმინდა, ფასანაური... მოდის და ფერობს თავისი სამშობლოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ფიქრობს: „... როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე“, აქვს სრულიდ კონკრეტული მიზანი: „...შევიძლებ კი, რომ მსა ღვიძლი სიტყვა ვუთხრ... იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრები; და ის თითოეული ნაპერნალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა უოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად“ (ჭავჭავაძე 1980: 14).

გზას, რომელიც მწერალმა უნდა გაიაროს, რასაკვირველია, თავისი დატვირთვა აქვს (რატიანი 2006: 64-67; 74; 82-88; 121-123; 154-156). ამ გზაზე უნდა ნახოს მან „იამშჩიკი“ და მოხევე ლელთ ლუნია, თვალი შეავლოს თერგსა და მყინვარს, ინატროს თავისი ქვეყნის წიაღში „ადამიანი, რომელსაც ძილიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულ-აღტყინებულსა“ და შეწუხდეს იმის ფიქრით, რომ „წარხდა, მოისრა ქვეყანაი...“

ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს“ გ. რატიშვილის „მცირე მოთხრობისგან“ სამოცი წელი აშორებს. თუ მოვლენების განვითარებით დაბრუნებული გ. რატიშვილი თავის თხზულებაში შიშითა და ეჭვით კითხულობს: „რა მოხდება და ანუ ამისა შემდგომად ვითა იქნების...“, იმავე პეტერბურგიდან მომავალი 24 წლის ი. ჭავჭავაძე, აცნობიერებს რა სახელმწიფოებრიობადაკარგულ საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, კითხვას პირდაპირ სვამს: „როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მინა-წყალო, მომეც ამის პასუხი“. და კიდევ ერთი:

როგორც ზემოთ უკვე აღვინიშნეთ, გ. რატიშვილის თხზულებაში ჩართულია ალექსანდრე პირველის მანიფესტის ტექსტი, რომელიც, როგორც მინანერიდან ჩანს, დედიდან უთარგმნია ვასილ მათეს ძე ჩილავეს (ჭილაძეს). ეს ის ვასილ ჩილავევია, რომელიც მიამაგრეს რუსეთში ჩასულ ქართველებს თარჯიმნად („პრეონიკად“). იგი ბატონიშვილებთან ერთად ესწრებოდა ალექსანდრე I-ის მეფედ კურთხევას, მანიფესტის გამოცხადებას და შემდეგაც არაერთხელ ჩანს თხზულებაში. ეს არის ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის პირველი თარგმანი, რომელიც ვ. ჩილავეს შეუსრულებია რუსეთში მყოფი ბატონიშვილებისათვის დოკუმენტის გაცნობის მიზნით. აქ არის ერთი საინტერესო დეტალი: „მანიფესტი ალექსანდრე I-ისა საქართველოს რუსეთან შეერთების შესახებ“ რუსულ ენაზე ორჯერ გამოიცა, რუსულ-ქართული პარალელური ტექსტი პირველად დაიბეჭდა მოსკოვში, 1801 წელს, საიდანაც იგი გადმოღებული აქვს პლატონ იოსელიანს. ვასილ მათეს ძე ჩილავევისული თარგმანი კი აქამდე ამ ბოლო დრომდე არ გამოქვეყნებულა. იგი ზემოხსენებული ოფიციალური თარგმანისაგან განსხვავდება ფრაზეოლოგიურ-ლექსიური წყობითა და

თავისებურებებით, ამას გარდა, მთარგმნელისა თუ „მცირედი მოთხობის“ ავტორის მიერ ჩამატებულია რამდენიმე საინტერესო დეტალი. ილიას „საქართველოს მოამბეში“ გ. რატიშვილის „მცირედი მოთხობის“ მხოლოდ პირველი ნაწილია დაბეჭდილი (მოგზაურობა თბილისიდან მოსკოვამდე), ამიტომ მანიფესტი მასში ვერ მოხვდა. მანიფესტის ტექსტი გამოტოვებულია „მცირედი მოთხობის“ ვ. შადურისეულ გამოცემაშიც, რაც, ვფიქრობთ, იმდროინდელი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონიუნქტურით უნდა იყოს გამოწვეული (მენაბდე 2005: 200-207).

ირკვევა, რომ აღნიშნული მანიფესტი საქართველოში ქართულ ენაზე დაბეჭდა მხოლოდ 1867 წელს (ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა... 1867: 287-294), ე. ი. მას შედეგ, რაც ილიამ „საქართველოს მოამბეში“ „მცირედი მოთხობის“ ბეჭდვა დაინყო (1863 წ.), მანამდე კი აღნიშნული მანიფესტი ქართველი მკითხველისათვის ჯერ კიდევ არ იყო ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი. ვფიქრობთ, ეს გარემოებაც შეიძლებოდაა გამხდარიყო ი. ჭავჭავაძის ამ თხზულებით დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი, თუმცა, სამნუხაროდ, „მცირედი მოთხობის“ ეს მონაკვეთი მაშინ ველარ გამოქვეყნდა.

თავისთავად ის ფაქტი, რომ „მცირედი მოთხობის“ ბეჭდვა ი. ჭავჭავაძემ წამოიწყო და „საქართველოს მოამბემ“ მას თავისი ფურცლები დაუთმო, უკვე მოწმობს გ. რატიშვილის თხზულების მაღალ შეფასებასა და აღიარებას. ალსანიშნავია ისიც, რომ, როდესაც ა. ცაგარელმა შეადგინა ქართველი პოეტების თხზულებათა ხელნაწერი კრებული, მასში ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის ლექსებთან ერთად შეიტანა ერთი „შაირი“ („ლერთო, რომელსა გაქებერ...“) „მცირედი მოთხობიდან“ (კონკრეტულად, ი. ჭავჭავაძის პუბლიკაციიდან — A 1753, 27 r) (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის... 1955: 223).

როგორც დავინახეთ, ორივე თხზულებას საფუძვლად უდევს მოგზაურობა რუსეთსა და საქართველოს შორის. მაგრამ მთავარი და არსებითი, რაც მათ აერთიანებს, არის ავტორთა დამოკიდებულება „ქართლის ბედისადმი“. ამ ორ ტექსტზე დაკვირვება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვითარდებოდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება და, შესაბამისად, როგორ ვითარდებოდა საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის საქართველოში, ექვსი ათეული წლის განმავლობაში.

#### დამოწმებანი:

**მენაბდე 2005:** მენაბდე დ. გაბრიელ რატიშვილი — საქართველოს ტრაგედიის მემატიანე. ლიტერატურული ძიებანი, XXVI, თბ.: 2005.

**რატიანი 2006:** რატიანი ი. ქრონიკული ილია ჭავჭავაძის პროზაში. თბ.: „უნივერსალი“, 2006.

**რატიშვილი 1863:** რატიშვილი გ. მცირედი რამ მოთხობა როსიისა, „საქართველოს მოამბე“, 11, 12, 1863.

**რუხაძე 1966:** რუხაძე ტ. გაბრიელ რატიშვილი. ნიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია (ექვს ტომად), II, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის...** 1955: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), V (ტომი შეადგინა ლ. ქუთათელაძემ), ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., „მეცნიერება“, 1955.

**ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1965:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (ნ) კოლექცია. IV, შედგენილია და დასახელდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, ლ. კინაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქაჯაიას, მ. შანიძის, ქ. შარაშიძის, ც. ჭანკიევის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით. თბ.: „მეცნიერება“, 1965.

**შადური 1962:** შადური ვ. ქართველი მწერლები რუსთის შესახებ. შემდგენლი ვ. შადური. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1962.

**ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა... 1867:** (ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა, აღნერილი პლატონ იოსელიანისაგან. თფილისა, ჩყიზ [1867].

**ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. II, თბ.: „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, 1988.

## ნესტან კუტივაძე

### XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკა და ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება

ქართულ საზოგადოებრივ და კულტურულ ყოფაში ილია ჭავჭავაძის დვანლის განსაკუთრებულობას, ბევრ სხვა ფაქტთან ერთად, ცხადყოფს ქართული სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულება „ჩემო კალამოს“ ავტორის მიმართ. პოეტის ერთ-ერთ პირველ ლექსს მაშინვე მოჰყვა XIX საუკუნის 50-იანი წლების ცნობილი კრიტიკოსის ნიკოლოზ ბერძნიშვილის დადებითი გამოხმაურება. XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს კი ამ პერიოდის, ასევე, ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსი გიორგი თუმანიშვილი წერდა, რომ 10-15 წინათ ილია ჭავჭავაძე ახდენდა ყველაზე დიდ გავლენას ქართულ ლიტერატურაზე, თუმცა ამ დროისათვის მას გაუჩნდა განცდა, რომ ქართული მწერლობა „შესდგა „პაცია-ადამიანსა“ და „მგზავრის წერილებზე“. ილიას თანამედროვე კრიტიკა არაერთგვაროვანი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი და ზოგჯერ სუბიექტურიც იყო მისი ცალკეული ნაწარმოების შეფასებაში, თუმცა არასდროს გულგრილი.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ მემკვიდრეობაზე თანამედროვეთა მიერ შექმნილია ძალზე საყურადღებო, დღევანდები გადასახედიდანაც კი შთამბეჭდავი წერილები, რომლებიც ნაწილობრივ მანიც აღადგენს ილიას მშფოთვარე ეპოქას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა: ა. წერეთლის, ა. ფურცელაძის, ნ. ნიკოლაძის, ალ. ცაგარელის, დ. ჯანაშვილის, ალ. სარაჯიშვილის, გრ. ვოლსკისა და სხვათა წერილები.

1877 წელს გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა ნ. ბერძნიშვილის წერილი: „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავდა უურნალ „ცისკრის“ პირველ წიგნს. როგორც ცნობილია, მასში დაბეჭდა ილიამ თავისი ერთ-ერთი პირველი ლექსი „ჩიტი“. ცნობილმა კრიტიკოსმა დამტყვები ავტორის პუბლიკაციას მაშინვე მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ „უკანასკნელი ლექსი მოგვენონა, განსაკუთრებით, ბუნების უმნიკვლო სიწმინდის აღწერით, სამსუბუქისა და გამოთქმის ხმოვანების გამორ“ (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1955: 67). მაგრამ ამ მოსაზრების გამოქვეყნებიდან სულ ორიოდე წლის შემდეგ, სწორედ ილიას პოეზია გახდა განსაკუთრებული თავდასხმის საგანი. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ეს გაპირობებული იყო უფრო მეტად 60-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე თაობათა შორის დაპირისპირებით და იმ შეხედულებათა ხშირად რადიკალური სხვაობითაც, რომლითაც მამებისა და შვილების ბანაკები გამოირჩეოდნენ, ვიდრე ილიას მხატვრული შემოქმედების, კერძოდ კი პოეზიის ღირსებანაკლოვანებებით. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ილიას ლექსების „უგარმონიობა, უნდილობა და სიმძიმე“ სწორედ აკაკის, რომელიც ასევე ილიას თანამოაზრე იყო, პოეზიის „სიმარდესთან“ შედარებით საბუთდებოდა (გ. ბარათაშვილი) ან ის, რაც მიეტევებოდა გიორგი ერისთავს, რომლის „გალობაც, —ანტონ ფურცელაძის აზრით, გათავებული იყო“, არ ეპატიებოდა ილია ჭავჭავაძეს, რადგან „ის თითონაც ახალს ხალხსა და საზოგადოებაშია გაზრდილი და ახალს ელემენტები გამოსული“ (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1955: 358). ის ფაქტი კი, რომ ილიას ლექსები სხვებისას სჯობდა, პოეტის თანამედროვე კრიტიკის შეღავათის საგანს არ ნარმოადგენდა. ამგვარად განისჯებოდა ილიას: „პოეტი“, „მას აქეთ, რაკი“, „ციურა ხმები“, „მძინარე ქალი“, „უსულდგმულ ცხოვრება“, „გუთინი დედა“, „მუშა“, „ლოცვა“. ამ ლექსებს, კრიტიკოსის თქმით, ეტყობოდა მცდელობა იმისა, რომ „ძალათი სული ჩაუდგას და აშკარათა ჟედავთ, რომ აქ ნიჭი კი არ მუშაობს, ხელოვნება მუშაობს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ესეც ღირსება არ იყვეს, ესეც თავის მხრივ ღირსებაა ავტორისა, —მაგრამ პოეტურ ნიჭი და ამაში დიდი გარჩევაა“, -წერდა ანტონ ფურცელაძე (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1955: 359).

სწორედ ანტონ ფურცელაძესა და მის თანამოაზრებს პასუხობდა მეორე დიდი „თერგდალეული“ აკაკი წერეთელი თავის ცნობილ წერილში „რამდენიმე სიტყვა ჩანგურის შესახებ“, როდესაც აღნიშნავდა: „თუ ჭავჭავაძის ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაკეცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება, მაგრამ ჩვენ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ“ (ზერეთელი 1990: 23). აკაკის ეს წერილი საყურდებოა წმინდა ხელოვნებისა და ხელოვნების საზოგადოებრივი ღირებულების მნიშვნელობის შესახებ საკითხის დასმით (ეს პრობლემა საერთოდ აქტუალურია XIX საუკუნის ქართველ მწერალთა პუბლიცისტიკაშიც და მხატვრულ შემოქმედებაშიც). პოეტი „ბულბულობას“ და „კაცობას“ უპირისპირებს ერთმანეთს და ქვეყნისათვის, თავისი დროისათვის განეული სამსახურის გამო მისთვის უმთავრესი მხატვრულად ასახული სოფლის სახრუნავია. ამ თვალსაზრისით, ილიას პოეზიას გამორჩეულად თვლის: „ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული“, -წერს აკაკი (წერეთელი 1990: 21). უფრო მოვიანებით ამგვარი შეხედულება გამოთქვა ანტონ ფურცელაძემაც. ისიც აღნიშნავდა, რომ ილიას შემოქმედების პასაუებს აქვთ თანხვედრა გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიასთან, მაგრამ საკითხის ამგვარ ჭრილში გადატანა უპირველესად აკაკი წერეთლის სახელთანაა დაკავშირებული.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ალექსანდრე ცაგარელის წერილზე: „ჩვენი უბედური მწიგნობრიბა ამ საუკუნეში“, რომელიც 1870 წელს დაიბეჭდა „დროების“ ხეთ ნომერში. ალ. ცაგარელი თვლიდა, რომ 70-იანი წლების დასაწყისში უმთავრესი ვნებები უკვე დამცხრალი იყო, განსხვავებით იმ პერიოდისა, როდესაც ასპარეზზე ახლადგამოსული ილიას არც ქება და არც ძაგება არ იყო

გააზრებული. მისი აზრით, როცა „თვითონ ჭავჭავაძეც კი თვალს მოეფარა“ შესაძლებელია მისი შემოქმედების ობიექტური გაანალიზება, ამისათვის კი საჭიროა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე „თვალის გადაღება მაინც“.

მიუხედავად იმისა, რომ ალ. ცაგარელის ამ მიმოხილვაში ბევრი საკამათო და მიუღებელი შეხედულება გამოთქმული, წერილი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ, როგორც ავტორი აღნიშვნავს, მასში ლესინგისა და ტენის ესთეტიკურ თეორიებზე დაყრდნობით, მოცემულია XIX საუკუნის I ნახევრის ქართული ლიტერატურის ანალიზი.

ცაგარელმა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა სამ პერიოდად დაყო. პირველ პერიოდს მან ალ. ჭავჭავაძის სამიჯნურო მიმართულების პერიოდი უწოდა. ცალკე მდგომად მიიჩნიან ნ. ბარათაშვილი, რომელიც „არ საჭიროებდა სხვის მიბაძვას და იმას კი ვერავინ მიჰპაძა“ (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1956: 73). მეორე პერიოდს გ. ერისთავის, კომიკური მიმართულების პერიოდი უწოდა, მესამედ კი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედება მიიჩნია, თან იქვე აღნიშნა: „ეხლა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ილია ჭავჭავაძეს მართლა ტოლი, ულლის გამწევი არა ჰყავს ჩვენ ლიტერატურაში“ (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1956: 3,85).

ბუნებრივია, რომ ცაგარელმა ილიას შემოქმედებას ამ წერილში დიდი ადგილი დაუთმო და ისაუბრა როგორც ლირსებებზე, ისე ნაკლოვანებებზე.

კრიტიკოსის თქმით, ჭავჭავაძის პოეზია აჩვენებს ავტორის „ღრმა პოეტურ ბუნებას, ამას ვერსად ვერ იპოვნის და ვერ შეიძენს კაცი, თუ ბუნებით არ არის დაჯილდოებული, თუნდ კაცმა თავის დღენი იმის ძებნაში დაადამოს; მართალია ბევერობით და ცდით კაცი ბევრს შეიმატებს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძები მარტო იპადებან...“ (წერეთელი 1990: 86). ცაგარელის აზრით, „უდიდესი ლირსება იმის პოეზიისა არის სიტყვა—გამოთქმათ საშინელი და შეუმაგრებელი ძალა, გულწრფელობა და გულლიაობა,—აქედან ნარმონდება იმის პოეზიის ღრმა გრძნობა და ყოვლის შემძვრელი ზედ მოქმედება“ (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1956: 88). ამ ლირსებებთან ერთად ილიას პოეზიას გააჩნდა ნაკლოვანებაც, რომელზედაც ამახვილებას ყურადღებას ცაგარელი და რომელიც, ნინამორბედთა შეხედულებების მსგავსად, ილიას ლექსის ფორმის გარშემო ფოკუსირდებოდა. „უმეტესი ნახილი ნაკლოლოვანობა აქვს ილ. ჭავჭავაძის პოეზიასა გარეგანი ფორმის, ხელოვნების, ენისა და ლექსთ-წყობის შეუმუშავებლობა, აგრეთვე შინაგანი თვისების შეუფარდებლობა (ცოტა გრძნობის ქონა ზოგ ლექსში და ბევრი მსჯელობის ჩარჩა...“),—აღნიშნავდა კრიტიკოსი (წერეთელი 1990: 89), რაც, მისი აზრით, პოეზიას „ფილოსოფიურ განსჯად“ აქცევდა, პოეტს კი „მსჯელად“.

ცაგარელს ილიას „სამოქალაქო სიმამაცის“ ნიმუშად მიაჩნდა მისი „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა“, მაგრამ, ამასთანავე, ქალის ტექსტად თვლიდა ფრაზას: „დაე, თუნდ გვძრახონ“. პოეტი პირველი ქრისტიანების მსგავსად, უნდა წერდეს, „გვდევნონ“ (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1956: 95).

ამ და სხვა შენიშვნების მიუხედავად, ცაგარელი მართებულად ხედავდა ილიას გამორჩეულობას, ლვანილის მნიშვნელობასაც და სწორედ ამიტომ უსურვებდა მას დაწყებული საქმეების ბოლომდე ნარმატებით გასრულებას, რომ მისი „უკუნირვა ულვთო არ ყოფილიყო“.

ამვე პერიოდში ილიას პოეზია კიდევ არაერთხელ გამხდარა (ცხარე მსჯელობის საგანი. მაკრამ ამჯერად გვინდა შევეხეოთ იმ პოლემიკას, რომელიც 1870-იანი წლების ბოლოს ილიას პოემის „შეფე დიმიტრი თავდადებულის“ გამოქვეყნებას მოჰყვა.

გიორგი თუმანიშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე კვლავ „მოქმედობს ქართული ლიტერატურის ასპარეზზე“ და ვერავინ იტყვის, რომ მისი პოეტური ხიჭი დასუსტდა, რისი დასტურიც „დიმიტრი თავდადებულია“ უფრო მსუბუქია მისი ლექსი და უფრო ხალხურია ენა, ვიდრე თუნდაც „მუშისა“ ან „პოეტისა“, მაინც მაშინდელი საზოგადოებისათვის ილიასა და აკაკის პოეზიას ნინანდელი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან წინათ „ისინი უპასუხებდნენ იმ კითხვებზე, რომელიც დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენ განათლებულობას. ჩვენ ვპოულობთ ამ ლექსებში ახალ გრძნობას, ახალ აზრებს“,— წერდა თუმანიშვილი (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1956: 311).

მისი თქმით, „დიმიტრი თავდადებულში“ ახალი აზრი აღარ იდო. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი მეფის გმირობას ასხამდა ხოტბას, ამ გამორჩეულ გმირობაშიც კი ახალი აღარაფერი იყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კრიტიკოსის აზრით, უმჯობესი იყო ავტორს გლეხთა ცხოვრებაზე გაემახვილებინა ყურადღება, ნათელი იქნება სოციალ—დემოკრატიული იდეების გავლენა რა ძალუმად იკიდებდა ფრეს XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

გიორგი თუმანიშვილის ამ წერილს გამოეხმაურა ალექსანდრე ჭყონია, რომელიც თვლიდა, რომ კრიტიკოსი ვერ განსჯიდა, რა უნდა ექადაგა პოეტს და რა არა.

საგნგებოდ ეხება პოემას ალ. სარაჯიშვილიც. 1879 წლის „ივერიის“ პირველი ნომრის მიმოხილვაში ის აღნიშნავს, რომ „უცნაური გმირია დიმიტრი თავდადებული“. მას თავში მხოლოდ მამულის დახსნის აზრი უტრიალებს, გულში კი სიცოცხლის სიყვარულ. მისი აზრით, მეფე გმირი კი არ არის, მამულის მსხვერპლია, რომელიც ვერ ხვდება, რომ ამ მსხვერპლების წინარივით მამულს ვერ უშველის, მას მხოლოდ უმეფოდ დატოვებს და ამით უფრო დაღუპავს. მაგრამ, კრიტიკოსის აზრით, პოემის უმთავრესი ნაკლი ამბის ბრმა შეფანდურის პოზიციიდან თხრობაა, რადგან სწორედ იგი ვერ ჩასწვდა მეფის გმირულ სულს, სამაგიეროდ კრიტიკოსმა ლექსთწყობის მხრივ პოემა რუსთველის „ვეფხისტყაოსანსაც“ კი შეადარა (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1956: 320-321).

ალ. სარაჯიშვილის ამ რეცენზიას შეეხო და თავისი მოსაზრებები გამოითქვა გრ. ვოლსკიმ, რომელიც არ ეთანხმებოდა რეცენზენტს და მიაჩნდა, რომ პოემა რიგიან ანალიზს მოითხოვდა, რის

საშუალებასაც მას „დროების“ (რომელშიც გამოქვეყნდა ეს წერილი) ფორმატი არ აძლევდა, თუმცა მან მაინც საკმაოდ დეტალურად იმსჯელა დიმიტრი თავდადებულის გმირობასა და პოემის ღირსებებზე.

ლიტერატურამცოდნებმა „მეფე დიმიტრი თავდადებულს“ ჯეროვანი ყურადღება დაუთმეს ილიას პოეზიის თემების, მხატვრული თავისებურებებისა თუ სხვა დამახსიათებელი ტენდენციების შესწავლისას. თავისთვად ცხადია, რომ ლიტერატურულ კრიტიკას შემდგომში სამსჯელოდ არ გაუხდია, იყო თუ არა პოემაში აღნერილი ამბავი გმირობა, თუმცა ეს საკამათოდ არც ილიას თანამედროვე ბევრ კრიტიკოსს მიაჩნდა.

დღეს ამ შეხედულებათა უმრავლესობა ძალზე გულუბრყვილოა და მხოლოდ იმის დასტურად თუ გამოგვადება, რაოდენ მგრძნობიარე იყო ილიას ეპოქა თავისი საუკეთესო შვილის შემოქმედებისადმი.

ცალკე უნდა შევეხოთ 60-70-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკის დამოკიდებულებას ილიას პროზის მიმართ. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში დაიბეჭდა ილიას „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?“ და „მგზავრის წერილები“, რომელსაც იმთავითვე მიაციეს ყურადღება და, პოეზიისაგან განსხვავებით, საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებებადაც შეაფასეს.

ნიკო ნიკოლაძე თვლიდა, რომ ანტონ ფურცელაძეს 60-იან წლებში ილიასთან დაპირისპირების გამო ედო იმგვარი ცოდვა, რომელსაც იგი ვერაფრით ვერ გამოისყიდდა და სამარქში ჩაიტანდა. ცხადია, ასეთი მძიმე ბრალდება უპასუხოდ არ დატოვა ადრესატმა და შეახსენა ნიკოლაძეს, რომ მას მოსწონდა როგორც ილიას „გლახის ნაამბობი“, ისე მისი შემოქმედების სხვა მხარები, თუმცა ალიარებდა იმასაც, რომ არასდროს აჰყავდა სხვებივით ცაში და ხედავდა მისი შემოქმედების ნაკლაც, რომლის აღნიშვნაც აუცილებლად მიაჩნდა, რადგან ყოველთვის უდავოდ იცოდა, რომ „ავტორიტეტი ი. ჭავჭავაძისა ისე მოქმედებს, რომ მწერლები ბრმად ბაძვენ მასა თავის ნაკლულოვანებითა“ (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1956: 193).

სწორედ ანტონ ფურცელაძემ მიუძღვნა პირველი ვრცელი წერილი ილიას „კაცია—ადამიანს?“ სათაურით „კაცია, ადამიანი“-მოთხოვნა მ. ჯიმშერიძისა“. ამ სტატიიდან ვგებულობთ, რომ „გლახის ნაამბობთან ერთად ამ თხზულებასაც თანამედროვეთა არაჩეულებრივი გამოხმაურება მოჰყოლია და ბევრს იგი მსოფლიო მნიშვნელიბის ნაწარმოებადაც მიუჩნევია. კრიტიკოსმა ვრცლად ისაუბრა „კაცია-ადამიანის?“ მთავარი გმირების შესახებ. აღნიშნა, რომ მოთხოვნაში ზოგადი სურათი იყო აღნერილი და თათქარიძები მრავლად იყვნენ მის თანამედროვე საზოგადოებაში, ასევე, გამოიყენა ტერმინები: „თათქარიძეობა“, „თათქარიძევშჩინა“, რომელსაც, მისივე თქმით, მრავალი მხარე ჰქონდა, მაგრამ არ გაიზიარა ავტორის შეხედულება „თათქარიძევშჩინი“ ქართულ მოვლენად ნაწარმოსახვასთან დაკავშირებით და დაუწუნა მას ძლიერი სულიერი ვნებების გადმოცემის უნარი. ჩვენი აზრით, ა. ფურცელაძის ეს შეხედულება ნინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, იგი აღიარებს, რომ „თათქარიძეობას“ საერთო ხასიათი აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, არ თვლის მას ზოგად ქართულ პრობლემად. ამ მოვლენას შემდგომი პერიოდის კვლევებით უფრო ლრმა გააზრება მიეცა, სწორედ, როგორც საზოგადო მოვლენას, რასაც დღეს საკამათოდ აღარავინ ხდის.

თუ ილიას ლექსებთან შედარებით ა. ფურცელაძე უპირატესობას აკავის პოეზიას ანიჭებდა, პროზაულ თხზულებებში იგი პირველობას ჯიმშერიძეს აკუთვნებდა. თავის ცნობილ „რამდენიმე სიტყვაში“ აკავიც ამჯობინებდა ილიას პროზად ეთქეა სათქმელი და დარბასისლურად ემუსაიფა, ამასთან მიაჩნდა, რომ „კაცია-ადამიანი?“ და „გლახის ნაამბობი“ იმ პერიოდს ქართული მწერლობის ობილ მარგალიტებს ნაწარმოადგენდნენ (წერეთელი 1990: 23). ასევე ფიქრობდა დიმიტრი ჯანაშვილიც. იგი ილიას „საქართველოს მომბის“ დახურვის გამო საყვედურობდა, თან აღნიშნავდა, რომ „კაცია-ადამიანი?“ და „გლახის ნაამბობი“ ცალკე წიგნებად უხდა დაესტამპათ, რომ ამ ნაწარმოებებს ის სარგებლობა მოეტანათ, რომელზეც თავად ილია წერდა „პოეტში“.

აღ. ცაგარელი კი „კაცია-ადამიანის“ მსგავსებას პოულობდა „მიცვალებულ სულებთან“ და სწორედ ის მიაჩნდა „ყველაზე დიდ და შესანიშნავ“ ნაწარმოებად, რაც ილიას დაუწურია. თუმცა იქვე აღნიშნავდა, რომ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია და მნერალმა ქართლის ცხოვრების შიგ გულში ჩაიხედა. მისი აზრით, „კაცია-ადამიანი?“ არის პატარ-პატარა დიდი ხელოვნებით აღწერილი სცენები და სურათები ერთად შეკრებილი. მაგრამ, რომ ავცდეთ თათქარიძეობას, მწერალმა უმჯობესია ისტორიას მიმართოს, რადგან დიდი აზრის გამოსახატავად დიდი საგანია საჭირო (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1956: 103).

„სურათების ოსტატური შეზავება“ მიიჩნია ნიკო ნიკოლაძემაც „კაცია-ადამიანი?“ ერთ-ერთ უმთავრეს ლირსებად. „კაცია, ადამიანში“ გამორჩეული საგანი სწორედ ისეა აღწერილი, როგორც ნამდებილ ცხოვრებაში არსებობს და დაფასებულია პირდაპირ სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით“, - ნერს ნიკო ნიკოლაძე (ქართული მწერლობა 1997: 82), „გლახის ნაამბობზე“ საგანგებოდ გამოქვეყნებულ წერილში. ამ ნაწარმოებში, როგორც აღნიშნავს კრიტიკოსი, „გამოურჩეველი მწერალი დგას“. მისი აზრით, „გლახის ნაამბობი“ უფრო პუბლიცისტური ხასიათისაა, ხოლო „კაცია-ადამიან?“ მხატვრული. მიუხედავად ამისა, მიაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში „გლახის ნაამბობი“ საუკეთესო ნაწარმოებად დარჩებოდა, რომ მას „კაცია აადმიანი?“ არ დაეწერა.

უნდა აღვინიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართება XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურასთან არ ყოფილა მხოლოდ 60-70-იანი წლების ქართული ლიტერატურული კრიტიკის ინტერესის საგანი. ილია კარგად იცნობდა რუსულ კულტურას, რაზეც თავადაც მიაჩნიშებდა. ეს საკითხი უყურადღებოდ არც მომდევნო საუკუნის მევლევრებს დაუტოვებით, თუმცა ამ თვალსაზრისით ბევრი რამ ჯერ კიდევ შესასწავლია.

მოწონება და აღიარება ხვდა წილად ილიას „მგაზავრის წერილებსაც”. ნიკო ყიფიანმა თანამედროვეთა ყურადღება განსაკუთრებით „ოთხი წელიწადის” ეპიზოდზე გაამახვილა და სევდიანად აღნიშნა, რომ „ქართველებში ნაკლებადაა ცხოვრებისათვის საჭირო სწავლა-მიღებული ადამიანები” (ქართ. ლიტ. კრიტ. ისტორიიდან 1956: 123). აღბათ, ამის გამოც იყო, რომ პეტრე უმიკაშვილს ილიას „ორიოდე სიტყვიდან” სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ უკვირდა კიდეც, რატომ გაცხარდნენ მაშინ ასეთი „მშვიდობიანი გულით ნაწერზე”.

შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ლიტერატურულმა კრიტიკამ შეძლო ძირითადად მართებულად დაენახა და შეეფასებინა თავისი გამორჩეული თანამედროვის ღვანლი და ის ვნებათაღელვაც, არცთუ იძვაიათად რომ ახლდა მის შემოქმედებას, სწორედ ამგვარი დამოკიდებულებით იყო გაპირობებული.

1877 წელს „დროების” ფურცლებიდან ნიკო ნიკოლაძე „თავს უფლებას აძლევდა ერთი რჩევა მიეცა უფ. ჭავჭავაძისათვის”: „ნუ დაივიწყებდა, რომ ხანგრძლივია მარტო შინაგანი ძალა, მარტო დედააზრი”. სხვა საკითხია, რამდენად საჭიროებდა ილია ამის შესსენებას, მაგრამ ერთი რამ უდავოა: სწორედ თავისი ნაწარმოებების შინაგანი ძალისა და დედააზრის გამო იქცა ილია ჭავჭავაძე საქართველოს უკვდავ თანამდევ სულად, რაშიც იმ პერიოდის სალიტერატურო კრიტიკამაც შეიტანა წვლილი.

#### დამოწმებანი:

**ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან 1955:** ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან, ქრესტომათა, ტ. I, თბ., 1955.

**ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან 1956:** ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან, ქრესტომათა, ტ. II, თბ., 1956.

**ქართული მწერლობა 1997:** ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. XIV, თბ., 1997.

**წერეთელი 1990:** აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ.IV, თბ., 1990.

## ჯული გაბოძე

### ილიას უცნობი წერილები თბილისელ სომეხთა შესახებ

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ XIX საუკუნის 90—იან წლებში ილია ჭავჭავაძემ დიდი კამათი გამართა იმ სომებს ვა მეცნიერებთან, რომლებიც ურცხვად, ათასი ხრიკებით ცდილობდნენ საქართველოს ისტორიის გაყალბებას და ჩვენი ეროვნული სიმაყის დაჩემებას. ილია ძალიან პრინციპულად გამოეხმაურა მათ ამ მცდელობას და უძღვნა წერილების მთელი (ციკლი სათაურით: **სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა დაღადი“**), (ჭავჭავაძე, ივერია 1899 64—76) ესარის ასგვერდიანი ნაშრომი, რომელიც იმავე წელს (ცალკე ბროშურადაც დაიხეჭდა ( ივერია 1899). და შემდგომ წლებშიც არა ერთგზის გამოქვეყნდა. ეს ნაშრომი ამჯერად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის XIV ტომში დაიხეჭდა. ( ჭავჭავაძე 2007 ბ: 177) თუმცა, როგორც ირკვევა, ილიას კიდევ უფრო ადრე დაუწყია ერის ლირსების დაცვა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თბილისელმა სომხებშა ქალაქის თვითმმართველობაში მოიყარეს თავი და გამოაცხადეს: “თბილისი ჩვენიაო!”

ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, როგორ დაიცავდა ილია ქართველთა ამ სიწმინდეს, აღნიშნული პოლემიკა 1897 წლის გაზაფხულზე დაიწყო და “ივერიაში” გაჩნდა ილიას მორიგი ხელმოუწერელი და უსათაურო წერილები. ჩვენი კვლევის ინტერესს სწორედ ეს მეთაურები წარმოადგენს, რომლებიც პირველად ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის XIII ტომში. (ტომი შეადგინეს და კომენტარები დაურთეს ეთერ შარაშენიძემ და ჯულიეტა გაბოძემ). დადგენილია, რომ “ივერიის” ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ილიას კალამს ეკუთვნის. დღემდე არსებულ ყველა ბიბლიოგრაფიაზე დაყრდნობით მეცნიერმა ლევან ჭრელაშვილმა შეისწავლა “ივერიის” ხელმოუწერელი მეთაურების ატრიბუციის საკითხი, რის შედეგადაც ილიას თხზულებანი რამდენიმე ათეული ტომით გამდიდრდა. ( ჭრელაშვილი :43 ). თბილისელი სომხებისადმი მიძღვნილი წერილები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა XIII ტომში იქცევდება. ( ჭავჭავაძე 2007 ა: 300—356) სომეხთა საკითხს ილიამ 12 წერილი მიუძღვნა. ისინი ერთმანეთის მიყოლებით იქცევდებოდა და ბევრ მათგანს თავად ავტორი იმოწმებს მოძღვნონ წერილებში. ამ მეთაურების ატრიბუციის საკითხს ჩვენ საგანგებოდ განვიხილავთ. ამჯერად, გვინდა შევნიშნოთ ილიას პოლემიკის ის საოცარი მანერა, რაც ალბათ, ბევრ მეცნიერსა და პოლიტიკოსს დამტვრებდა. პატრიოტიზმი და პუმანიზმი, დიდ ცოდნა და უფრო დიდი განსჯისა და ანალიზის უნარი. მოურიდებლობა მოწინააღმდეგესთან და იმავდროულად საოცარი ტაქტი და თავშეკავება. ილია ერთსა და იმავე დროს არის ბრალმდებელიცა და დამცველიც, ჭირისუფალიცა და კარგი მეზობელიც. იგი დიდი ოსტატობით ახერხებს ყველა საკითხის სიღრმისეულ ანალიზს და მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებს სათანადო დასკვნებს პრობლემის შესახებ.

“გვეტყვიან, რომ აქ მთელს სომხობაზე არის ლაპარაკი და არა ცალკე კაცზე, მართალია, სომხობაზე არის, მაგრამ არა მთელს სომხობაზე. სხვა სომეხთან, რომელიც ვინ იცის სად არ არიან დასახლებულნი, ჩვენ რა ხელი გვაქვს! ღმერთმა იმათს კაცურკაცობას და ადამიანურს სულთა სწრაფვას ხელი მოუმართოს ყველგან. ჩვენ პირველი გულითადის სიხარულით მივეგებებით ამ მართლა-და სასიხარულო ამბავს. აქაურ სომხობაზე თუ ვილაპარაკებთ ან სხვანი ჰლაპარაკობენ, ეგ სულ სხვა საქმეა. აქ მთელს ერთან საქმე არავის არა აქვს რა. ყველამ კარგად იცის, რომ არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელ შორისაც კარგიც არ იყოს და ავიც. უეჭველია, სომხებსაც ეყოლებათ იმისთანა კაცნი, რომლის წინაშე ჩვენც შეუდს მოვიხდით პატივისცემის ნიშნად. აქ ჩვენ ვლაპარაკობთ მარტო ჩვენს სომხობაზე, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, რაღაც ცალკე რაზმად დაეწყო და იმისთანა მოძღვრებას ადგია, რომ თვით გონიერად გახსნილ სომეხსაც კი უნდა ეთაკილებოდეს, არ მოსწონდეს.” ( ჭავჭავაძე. 2007: 304).

პირველი წერილის პირობითი სათაური ასეთია: “**თბილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის მართველობა**” (იგივე) ილიას საწუხარი სწორედ ისაა, რომ თბილისის თვითმმართველობა მხოლოდ სომხებით დაკომპლექტდა და ხმოსნებს იმ ნიშნით კი არ ირჩევდნენ, ვინ რისი გამკეთებელი იყო, არამედ იმით, სომეხია თუ არა. ილია იმასაც აღნიშნავს, რომ თბილისის მოსახლეობის 53% არაქართულია “გაგვიძატონდნენ ტფილისის თვითმმართველობაში, ქალაქი ხელთ იგდეს და თითქო სიცილით გვეუბნებიან: თუ ცხონებაა, ჩვენ, სომხებიც კარგად გაცხონებთო.” ( იქვე).

ილია თანმიმდევრულად ცდილობს ამ საკითხის ანალიზს. ის მშვენივრად ხვდება, რომ სომხების ასე დაჯგუფება და მმართველობაში გამოკეტვა სულაც არაა განპირობებული ქალაქის უკეთესად მოვლის მიზნით. მათ პროგრამაც არ გააჩნიათ, ერთადერთი სურვილი აქვთ: “ ქალაქი ჩვენიაო.. ტფილისი რომელი სომხეთია ან საზღვარმდებარეობით ან ხელმწიფებით რომ ასე კადნიერად ჩემულობენ სომხები, — ჩვენია? საიდამ სადა? სად სომეხი და სომხეთი და სად ტფილისის ქალაქი? საიდამ სად ინვიან ხელსა! კიდევ ვიტყვით, აქ მარტო სახლებია სომხებისა, ისიც, ვინ იცის, რამდენად, და არა ქალაქი, რომელიც საქართველოს მინა-წყალზეა და საქართველოსთან ერთად ეკუთვნის რუსეთსა. აქ სომებს, როგორც ეროვნებას სომხობისას, კრინტიც არ შეუძლიან დასძრას, სომხის სახელით აქ დროშას ვერ გაშლის და სომხობით ვერ იბატონებს. აქ სომხისა არა არის რა, აქ ყველანი ტფილისის თანასწორი მკვიდრი არიან, განურჩევლად ქართველისა, სომებისა, რუსისა და სხვისა. აქ ლაპარაკი ქალაქის მკვიდრის სახელით არის მარტო შესაწყნარებელი და არა სომეხისით, და ნამეტანვად სომეხისით, რომელიც აქ ხიზანიდა და სხვა არარა.”

ილიას ეს წერილიც 1897 წელს დაიხეჭდა ხელმოუწერელად და დასათაურებულია ილიას ფრაზითვე; “**სად სომხეთი და სად თბილის ქალაქი?**” ( ჭავჭავაძე 2007: 309) ეს წერილიც იმის დასტურია თუ, როგორ წუხს ილია ქვეყნის ბედზე, თუმცა როგორც ჩანს, მეზობელ ერთან ამგვარი საუბარი არც

თუ ისე დიდ სიამოვნებას ანიჭებს: ” ვწუხვართ, რომ სომხების დაუჭერელმა საუბარმა იძულებული გაგეხად ყოველივე ეს გვეთქვა და არა გვგონია, რომ ყოველი გონიერი განებაზის სომხეთიც ამასვე არ სწუხდეს.”

”**მოვიდა სომები და მოიტანა სხვა მეხიო”** (ჭავჭავაძე 2007ა: 316) წერს ილია ერთ-ერთი ხელმოუწერელ მეთაურში.” როგორც ილია ამბობს, სომხებმა ესეც არ იკავარეს და ქართველებს სიზარმაცე და უქნარობა დასწამეს. თურმე მათი თემით “ეხლანდელ დროში „ჰუმანიტარია”, კაცომოვარეობა და სხვა ამისთანა ტკბილ-ტკბილი და ადამიანის სასახლო მადლი ზღაპარია და ტყუილ-უბრალო ლაქლაქი მოცლილ და უსაქმო კაცისაო. ესეც არ იკავარეს და იქამდე თავს გავიდნენ, რომ გვეუბნებიან: კულტურის წარმომადგენელი კავკასიაში ჩვენა ვართო და ჩვენი მადლობელი იყავით, რომ კულტურა ჩვენ შემოგვაქვს საქართველოშით.”

ილია აღმფოთებულია მეზობელი ხალხის ამგვარი განცხადებებით. უფრო კი ის უკვირს, რატომ არ ეხმანებიან ამ უგუნურ განცხადებას ჭკვიანი სომხები, რატომ უყრუებენ: ”თუ კულტურა მართლა იმაშია, რომ კაცომოვარეობა სულელობაა და განდევნილ უნდა იყოს კაცთა საცხოვრებელიდამ, ღმერთმა ის კულტურაც შეარცხვინოს და მისი მომგონიცა. რამდენი სიკეთე წარმოსდგება ამისთანა კულტურულ მოძღვრებისაგან, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ და ჩვენ, ქართველებს კი სხვა არა დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ვთქვათ: მოვიდა სომები და მოიტანა სხვა მეხიო. თუ ამისი თქმა არ უნდოდათ, თვითონ სომხობას უნდა გამოედვა აქ თავი და უარეყო ესეთი კულტურული მოძღვრება და ქადაგება იმავ გზით, რა გზითაც გამოქვეყნდა.”

როგორც აღნიშნება, ილია მონინავებას უსათაუროდ ბეჭდავდა, და ეს კიდევ ერთი ნიშანია მათი ატრიბუციის საკითხის დასადგენად. ყველა იმ მონინავეს, რომელიც ილიას კალამს არ ეკუთვნის ახლავს ხელმოწერა. მაგ „ა. ფ-ლი“ ( ალექსანდრე ფრონელი), „კიტა“ ( კიტა ააბშიძე), ფარნაოზი . არსებობს არტემ ახნაზაროვის მოგონებაც, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ „ივერიის“ გაზეთად გადაკეთების პირველ ორ-სამ წელინადს ილია თითქმის ყოველდღე მეთაურ წერილებსა წერდა გაზეთისათვის და ეს წერილები ხელმოუწერლად იძექდებოდა. თუ სხვა ვინმე დაწერდა მეთაურს, მხოლოდ მაშინ აღინიშნებოდა წერილის ბოლოში დამწერის ვინაობა, ფსევდონიმი ან სახელისა და გვარის ინიციალები.”(ჭრელაშვილი 1981: 43).

ილიამ რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ამგვარი რუბრიკით ”პატარა საუბარი“ ( ჭავჭავაძე 2007ა: 321). ამჯერად ჩვენი უყრადღება მიიცია ორმა ასეთმა წერილმა. ერთში მოთხრობილია იმ სამოსნავლო გეგმის შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველოს საექსარხოსში ქართულ სამრევლო სკოლებში სლავიანური ენის მაგიერ ქართული საეკლესიო ენა უნდა ასწავლონ და რადგან საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოები არა პქონიათ, თხოვნით მიუმართავთ სინოდის სამოსნავლო კომიტეტისათვის: ქართული სახარება და ფსალმუნები გამოგვიგზავნეთო. 1892 უწმინდეს სინოდს გამოუგზავნია რამდენიმე ასეული სახარება, ოლონდ სომხეური.

მეორე პატარა საუბარი (ჭავჭავაძე 2007ა: 334). ასევე სომებ-ქართველთა ურთიერთობას ეხება და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აქ მოთხრობილ ამბავს ფრანგული გაზეთ „ თემპს “ კორესპონდენციის კუტულის საქართველოში მოუზაურობისა და სომხეთა მიერ მისი მასპინძლობის შესახებ (როგორც ილია წერს, ბევრი რამთ მოუხიბლავთ სტუმარი, თუმცა იგი სოფ. შინდისში ქორნილში ქალების გრძელ ცხვირებს გაუზოცებია, რაზედაც მასპინძლებს უთქვამთ, ეგენი ქართველი ქალები არიან). ილია თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს „ქვათა ღალადში“, რაც უტყუარი არგუმენტია ამ წერილების ატრიბუციის დასადგენად (ჭავჭავაძე2007 ბ: 177).

”**ქართველებისა და სომხების განსხვავებული ხასიათი და ინტერესი**“ (ჭავჭავაძე 2007 ა:321) ეს ხელმოუწერელი უსათაურო წერილი ილიამ 1897 რლის 5 აპრილს დაბეჭდა. წერილი მეტად საინტერესო დაკვირვებებს შეიცავს და იგი ობიექტური, ცივილური კამათის ნიმუშია. ეს არის ანალიტიკური მსჯელობით გაჯერებული წერილი. როცა ადამიანს არ ავინყდება საკუთარ თვალში დირეს შემჩრევა, სხვისი ღირსებისა და დამსახურების აღიარება. ილია ღრმა ანალიზის შედეგად ხსნის იმ სხვაობებსა და მათ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რაც ამ ორ ერს გამოარჩევს ერთმანეთისაგან. რაც განაპირობებს ამ ორი ერის ხასიათის სხვადასხვაობას. ილია ეხმაურება სომებთა განცხადებებს, რომ კავკასიაში კულტურის შემომტანი ერი ვართ და ბევრი განათლებული ადამიანი გყავსო. “ ქება და დიდება სომხებს, რომ თავისს შვილებს უსწავლელად არა სტრონებენ. ამისათვის, სწორედ უნდა ვთქვათ, სომები დედ-მამა არაფერსა ჰზოგავს შვილისათვის და წელებზე ფეხს იდგამს, შვილს ცოდნა რისამე მისცეს, სასწავლებელში ფეხი შეადგმენიოს. ყველაფერში ხელმოჭრილი და ყაირათიანი სომები აქ თავისის შეილის სიკეთისათვის ხელგაშლილია და მეტი არ იქნება ვთქვათ, რომ თითქმის გულუხვიცა. თვითონ იქნება ხმელი პურიც იქმაროს და ერთი დღეც სიხარულისა და სიამოვნებისა არ გამოიაროს და შვილის სწავლისათვის არაფერი ჰპურს: გროშს გროშზე აკონინებს, მარცვალს მარცვალზე სდებს, რომ შვილს სწავლისა და ცოდნის შეძენის გზა მისცეს. სასახლოდ სომებისა ესეც უნდა ითქვას, რომ არც შვილები ჰყავთ უმაღურნი. ესენიც თავისს მხრით დედ-მამას სამაგიეროს იმით უხდიან, რომ რაც შეიძლება ბეჯითობენ, თავგამოდებით ბოლომდე გულგაუტეხელად და გულაუცრუებლად ებრძვიან სიძნელეს სხავლა-ცოდნისას, დაწყებული ბოლომდე გააქვთ.”(იქვე, 324).

ილიამ მშვენივრად იცის, რომ ბავშვი პირველ ყოვლისა, ოჯახიდან იღებს ყოველგვარ ზენ-ჩვეულებას, ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორ გარემოში იზრდება ის. ილია ამ მხრივ, სომებს მშობლებსა და მათ გულმოდგინებას განსაკუთრებით აფასებს: “ ღმერთმა ნურავის ნუ მოუშალოს ასეთი ოჯახობა, ასეთი საოჯახო ანდერძი, ასეთი წურთვა შვილისა სახლშივე და

ასეთი გულმოდგინე დედ-მამა, — ეს პირველდამწყები და უებრო მწურთვნელი, რომლის მაგიერობას ძხელად თუ გაუწევს ვინმე შემდეგში, რაც გინდ კარგ სასწავლებელში იყოს მიბარებული.”

ილია ჭავჭავაძე პირუთვნელი შემფასებელია საკუთარი ერის მდგომარეობისა. იგი უარყოფით ეპითეტებსაც არ იშურებს თავისი ხალხის მანკიერების წარმოსაჩენად: “ქართველებს ეს უნარი არა გვაქვს. ჩვენი ოჯახი ამ დარგზე არ არის დაყენებული, ჩვენდა საუბედუროდ. ქართველი დედ-მამა ჯერ ყველაზე უწინარეს ბედოვლათია”

თუმცა ილია აქაც არ დაღატობს თავისი მსჯელობის ჩვეულ სტილს და იგი გამოწვლილვით, სიღრმისეულად ეძებს ამა თუ იმ პრობლემის მიზეზებს. ამ შემთხვევაში ილია ცდილობს აუხსნას მკითხველს, რა არის ქართველთა ბედოვლათობის მიზეზები: “იქნება აქ ჩვენი ისტორიაც იყოს მიზეზი. ისტორიულმა ბედმა ასეთს მდგომარეობაში დააყენა ქართველი, რომ დღეს არ იცოდა, ხვალე მისი იქნება თუ არა. იგერიებდა ყოველდღე მტერს, ყოველ წუთს მოელოდა, რომ აი ან ეხლა ამიკელებს მტერი ან ეხლაო, სარჩო-ქონებას გადამიბუგავს, ნამგლეჯს, ნაიღებს და ეხლა რომ ცოცხალი ვარ, არ ვიცი, წუთის შემდეგაც ვიქენებილა ცოცხალი თუ არაო. საკვირველიც არ არის, რომ დღითი დღიდამ, წლითი-წლობით და საუკუნიდამ საუკუნემდე ამისთანა ყოფამ ხვალის უიმედობისამ ვერ შეუჩვია ფიქრი — დღევანდელი დღე იგულვოს ხვალისათვის, დღევანდელი დაჳზოგოს მერმე გამოყენებისათვის, რადგანაც იგი „მერმე“, არ იცოდა, მის ხელთ იქნება თუ არა. ამიტომაც რაც დღეს ჰქონდა, დღესვე თავის თავს ახმარებდა, სჯობია ჩემი მევე ვირცო, ვიდრე ჩემს მტერს დარჩესო. ერს, რომელიც იმისთანა ყოფაშია, რომ ყოველ დღე და ყოველს წუთს მოელის განსაცდელი ან გაძარცულ იქმნას მტრისაგან, ან სულამოხდილი და სადმე მოკლული, და რომელსაც ეს ლოდინი განსაცდელისა მთელი საუკუნოები გამოუკლებლივ გულს უცრუებდა ყველაფერზე, საკვირველი არ არის, რომ დასჩემდა ხასიათი დღევანდელის დაუზოგველობისა, დღევანდელის დაკლებით და ხელმოჭერით ცხოვრებისა. ვისთვის და რისთვის? ჩემით გავამდიდრო ჩემი მტერიო? მე დღეს დავიკლო, დავზოგო იმისათვის, რომ ხვალ გამარჯვებულმა მტერმა დაავლოს ხელი და სულ გახვეტოსო.” (იქვე, 325).

“ჩვენებური სომხებიც ხომ ამ დღეში იყვნენ და რატომ იმათზე კი არ იმოქმედა ამისთანა ისტორიულმა გარემოებამაო? იკითხავნ. რაც სომხის სახელმწიფო დაცა, სომხები ხმლით ალარავის დასდგომია წინ, სასიკვდილოდ თავი აღარ გამოუმტრინა, ასაკლებად აღარავინ მისევია. ისინი ზოგი სად შეიხიზნებ და ზოგი სად და ყველგან იმისთანა ხელობას მოჰკიდეს ხელი, რომელიც ოდესადაც სათაკილოდ მიაჩნდათ მეომართ ერთა და როგორც უკადრისას, დაბალს, მაშინდელის აზრით, ხელობას არავინ შეეცილნენ. ეხლაა ვაჭრობა, აღებმიცემობა დიდს ბატივში, თორქე მაშინ რა იყო და ვინ შეეცილებოდა. საცა ცილობა არ არის, იქ არც შიშია, არც ლოდინი თავდასხმისა, მოსევისა და სისხლის ლვრისა. გარდა ამისა, თვით იგი ხელობა, რომელსაც ვაჭრობას, აღებმიცემობას ეძახიან, იმისთანა ბუნებისაა, იმისთანა თვისებისა, რომ დაუზოგველად ერთს დღესაც ვერ იჭაჭანებს ქვეყანაზე. ხელობა, რომელიც იმაზეა მარტო დამყარებული, რომ დღეს იყიდე ხვალე გასასყიდად, ხვალეზეა დამოკიდებული და ამიტომ დღეისას ზოგვა უნდა, რომ ხვალე საგზალი ჰქონდეს. აქ ხვალის იმედი რომ არ იყოს, არც დღეისი იქნება, აქ ხვალე გვირვევინა დღეისა, ვითარცა დასაწყისი დასასრულისა, ” ეს ვრცელი ამონანერი საგანგებოდ მოვიტანეთ, რათა ამგვარი თანმიმდევრული შედარებითი ანალიზით ვაჩვენოთ მკითხველს ილიას უკომპრომისობა. ეს მონინავე წერილი იმითაცა მწიწვნელოვანი, რომ ილია აქვე მსჯელობს ქართველისა და სომხის ხასიათსა და სხვა თვისებებზე “სომხის ერთი დიდი თვისება ის არის, რომ იგი ბატონი და მბძანებელია გულთა-თქმისა, თვალინი გამორკვეული საგანი აქვს ცხოვრებისა. უნდა გავმდირდეო, იძახს და ამის მისაღწევად არაფერს ერიდება, ყოველს დაბრკოლებას ებრძვის, ყოველისფერს ითმენს: შიმშილს, წყურვილს, წვიმას, თოვლს, სიცხეს, სიცივეს, ყბადალებას, დაცინებას, ოღონდ ნათქვამი კი შეისრულოს. რაკი ერთხელ დასდო, დღეში ერთი გროში ხვალისათვის გადასდოს, დღეს მშიერი დარჩება, თუ გაუჭირდა, და მაინც გადასდებს. ესეთის მტკიცე და დადგრომილის ხასიათის კაცია და ვიღაცამა სთქვა, ისტორიას მარტო ხასიათი ჰქონისა. იგია ბატონი თავისის ნადილებისა და სურვილებისა. განა იმან კი არ იცის სიტკბოება ლხინისა, სიამოვნებისა, შექცევისა, მაგრამ მინამ ყოველს ამას მიეცემა, გაეტაცინება, ვალად ჰრაცხს ჯერ საჭირო იქონის, ჯერ მამასახლისობა გაუზიოს იჯვახს, ცოლ-შვილს, ჯერ სახლი, ოჯახი კარგად დააბინავოს, შვილებს გზა მისცეს და ლხინი და სიამოვნება არსად ნაუკა. ქართველი კი ჯერ ყველაზე უწინარესს ბედოვლათობას ემსახურება. იგი ქეიფისათვის, შექცევისა და ლხინისათვის, ერთის მხოლოდ ბარაქალობისათვის საჭიროსაც ანაცვალებს ხოლმე და ზედ წაკლავს. წადილი, სურვილი, გულთათქმანი არიან მისი ბატონები და ბძანებელი და თვითონ ყმაა ყურმოჭრილი. ქართველს იმოდენა ხასიათი არა აქვს, რომ ლხინისა და შექცევის მაცდურობას არ დაეძლევინოს. ვაჟკაცი თავის გულთათქმას ხელში მჩვრად უხდება და ეთელვინება. ტაბლა გარედ გააქვს მაშინ, როდესაც შინ ცოლ-შვილინი უტირიან.” (იქვე: 325). ილია სომხების სიძუნწესაც ეხება და თვლის, რომ ეს საძრახისი თვისება სულაც არაა. ისინი ძუნწები არიან ტყუილ-უბრალოდ ფლანგვისათვის. ილია იმ მდიდარი სომხების შესახებაც მსჯელობს, რომლებიც უანგაროდ ეხმარებიან თავისიანებს? “აბა ახლა ჰნახეთ, რაკი სომხები ქონს მოიცხობს, გამდიდრდება, რამოდენად გულუხვია თავისის ერისათვის, თავისის ერის სწავლა-განათლებისათვის. ისე არ მოკვდება, რომ კარგა ზორბად ფული ან ქონება რამე არ შესწიროს თავისის ერის საზოგადო საჭიროებისათვის, სომეხთა შვილთა სწავლა-ცოდნისათვის საერთოდ. აქ არამც თუ მზრუნველობა და ნაღველი სჩანს თავისის საკუთარის შვილისათვის, სჩანს სხვათა შვილთათვისაც ფიქრი და ნაღველი გულიდამ, ცოცხალია თუ მკვდარი, მომორცული არა ჰქონია, სხვა სომხის შვილისათვისაც ის წყურვილი ჰქონია, რაც თავისის საკუთარისათვის და თავისის ნაჭირნახულევის ნამეტანობისაგან ხელს უმართავს. რას იტყვით? განა ცოდვაა, რომ კაცმა ამისთანა მადლისათვის იძუნოს, თვითონ იკლოს და თავისის ერისათვის ასე სასახელოდ იმეტოს.”

ილიას აზრით სომხებს ისიც ეხმარებათ შვილების სწავლა-განათლებაში, რომ თბილისში ბინის ხარჯი არ აქვთ. განსხვავებით სოფლელისაგან( როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობა დღევანდელივით მხოლოდ თბილისში არ იყო თავმოყრილი ჯ.გ.).

სწავლა-განათლებისა და “დაპლომიანი ცოდნის” მნიშვნელობას ილიამ რამდენიმე წერილი უძღვნა. მისი დაკვირვებით სომხები ძირითადად სამ სპეციალობას ეტანებიან, ესენია: ადვოკატის, ინჟინრისა და ექიმის. ეს კი იმიტომ, რომ სამივე ფულიანი პროფესია, თუმცა ილია იქვე და შემდეგ მონინავეებშიც ასევე დაწვრილებით განიხილავს ამ საკითხს და მკითხველს აჩვენებს რანდენად ადგებიან ქვეყანას ეს “დაპლომიანი” ექიმები, ვექილები და ინჟინრები. “ყოველივე ის სიკეთე და სიდიადე ცოდნისა გვნამს და ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ გულგაუნათლებელი, მარტო სახვეჭავად მიმართული ცოდნა უფრო მოსარიდებელია, ვიდრე სანატრელი, თუ თავში გაინია, პირიდამ ლაგამი ნამუსისა ნამოიყარა და განათლებულმა გულმა სადავე არ აუკრიბა. ცოდნა დაუფასებელი მადლია მხოლოდ მართლა განათლებულ კაცის ხელში. მართალია, განათლება უცოდნელად ძნელად საგულვებელია, მაგრამ მარტო ცოდნა განათლება არ არის. ცოდნა მარტო ჭუუა-გონების თვალის ახილებაა და განათლება კი მასთან ერთად გულისაც, რომელიც სათნოების სადგურია. ცოდნა თუ ცხოვრების გზას გვინათებს, სათნოება გვითბობს. განათლება ჰერავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბოს და ისე არ ათბოს, რომ არ ანათოს.

აბა ამ საწყაოთი მივიწყოთ აქაური ინჟინერობა, მკურნალობა და ადვოკატობა — ქართველისა იქნება თუ სომხებისა და მაშინ გამოჩენდება, რა დიდი ხვავი დადგება. “ მაშინ, როცა თბილისი ჩაბნელებულია, ინჟინერი განათების საკეთებლად უცხოეთიდან მოგვყავს, როცა გზაა დასაგები, თუ კანალიზაცია გასაყავინი, ისევ უცხოელ სპეციალისტებს მივმართავთ,— წუხს ილია. მკურნალის ფუნქცია დაავადების მეცნიერული კვლევაც უნდა იყოს. ” ჩვენში დიპლომია ნიშანი მკურნალის ცოდნისა და არა თვით ცოდნა“ (ჭავჭავაძე 2007 ა:352), “სწავლა-ცოდნა, როგორც მხოლოდ ფულის ხვეჭის საგანი“ (ჭავჭავაძე 2007 ა: 338) ასე დასათაურდა ილიას 19 აპრილის მოწინავე. “უსიცოცხლო ცოდნა ხვედრია უნიფორმისა ” ( იქვე :343) აცხადებს ილია 25 აპრილის მოწინავეში. ამრიგად, ილია ჭავჭავაძე პირუთველად, მოურიდებლად აკრიტიკებს საზოგადოების ყველა მანიერ თვისებებს, განურჩევლად იმისა, რომელი ერისთვისაა დამახასიათებელი იგი. ამის შესახებ საყვედურობდნენ კიდეც: აქაურ „კულტურის“ მოძღვანი, „ივერიას“ ცოდვად უთვლიან, ქართველებს წუნი დაუნახესო. ამასაც „აბრუნდი“ დაარქვეს. ნამუსი მნერლობისა რას თხოვდა, რაკი ამაზე ლაპარაკი საჭიროდ დანახული იქმნა? მართლა დაუნახეს წუნი თუ მოიგონეს? აი საკითხი და საძიებელი რა იყო. ამის მაგიერ რას გვეუბნებიან? ავზნეობაამ ქართველის მიერ ქართველს წუნი რამ შეამჩნიოსო. ეს, რასაც კვირველია, ქართველის სიყვარულით კი არ მოსდით, არამედ შემჩნეველის შესაჩვენებლად. გამოდის, რომ ქართველმა ქართველს ყველაფერი უნდა უქოს. აბა, ამაში აზრია რამე გაუთლელ სიბრივების მეტი?! სომეხმა რომ სომეხს ყველაფერი უქოს, ჩვენ რა დავა გვაქეს: ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია. ჩვენ ქართველებს კი დაგვეხსნან და მოწყალება მოიღონ, თუ მაგისთანა „კულტურულ“ ანდერძებს არ შევიცერებთ და არც მივიღებთ” (იქვე).

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ გაზ. „,ივერიის“ 1894-1897 წლებში დაბეჭდილი მეთაური წერილები. კვლევისას დადგინდა: „,ივერიაში“ იბეჭდებოდა მეთაურები ხელმოწერებით: კიტა, ფარნაზი, ალ. ფრონელი. ხშირად ქვეყნიდებოდა მეთაურები ხელმოუწერლად. ასევე ხელმოუწერლად დაიბეჭდა რამდენიმე პატარა საუბარი, ფელეტონი და ნარკვევი (ჯურნალ-გაზეთებიდან). კვლევამ ცხადყო რომ ყველა ხელმოუწერელი მეთაური ილიას კალამს ეკუთვნის. ყველა ეს წერილი, ორიოდე გამონაცლისას გარდა (მაგ. პატარა საუბარი და ფელეტონი) უსათაუროდაა დაბეჭდილი და დასათაურდა ჩვენ მიერ ავტორის ფრაზებითვე.

ამ წერილებს სხვებისაგან აშკარად გამოარჩევს რამდენიმე ნიშანი. ესენია: შინაარსობრივ-სტრუქტურული — ილიას ინტერესთა სპექტრი ძალიან ფართოა, მისი წერილები ეხება პოლიტიკას, ეკონომიკას, სოფლის მეურნეობას, განათლებას, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ყოფას, მეზობელ ერებთან ურთიერთობას, თბილისის კომუნალურსა და ფინანსურ საკითხებს და მრავალ სხვას.

ყველა ეს წერილი დაწერილია ამგვარი თანმიმდევრობით: საკითხის ზოგადი მიმოხილვა, არსებული ვითარების ანალიზი, პრობლემის დასმა და გამოსავლის მიება. ილიას პუბლიცისტიკისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე ზოგადის მიმართება კონკრეტულისაკენ.

ტექსტოლოგიური კვლევა ცხადყოფს, რომ ტომში ნარმოდებენილი მეთაურების მთელი ციკლი ეძღვნება იმ დროისათვის რამდენიმე აქტუალურ და პრობლემურ საკითხს; მაგ: წერილების სერია „შაუმოვის სელდებისა და არუთინოვის ტრიხინანი ლორებისა და ლორების საკითხი“ (ჭავჭავაძე 2007 ა:357). გარდა იმისა, რომ თ. სახოკიას მოგონებით დგინდება ამ წერილთა ილიასეულობა, ყოველი წერილის დასაწყისში ავტორი უთიერებს (ჭავჭავაძე 2007 ა: 534-535) ნინა წერილის შესახებ.

წერილების სერია თბილისელ სომეხთა შესახებ, რომ ილიას კალამს ეკუთვნის ამის შესახებ იხილეთ ვრცლად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის XIII ტომისს შენიშვნები “ტექსტისათვის“ (ჭავჭავაძე2007 ა:534). ხშირად წერილის ატრიბუციისათვის უტყუარი წყაროა ოპონენტის წერილის შინაარსი. ამ შემთხვევაში უ. „კვალში“ დაბეჭდილი გ. წერეთლის წერილით ირკვევა, რომ სომეხთა საკითხის შესახებ დაწერილი ყველა ხელმოუწერელი მოწინავე ილიასია.

ენობრივ-სტილისტური ფორმები არის ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო არგუმენტი ატრიბუციის საკითხის დადგენისათვის. ილიას ენა ძალიან მდიდარია, მისი ნაწერები გაჯერებულია ხალხური გამონათქვევებითა და ფრაზეოლოგიზმებით. მაგ: „ოზმა-ოზმად უწყვიათ“, „ზაჰლა ნაიღო“, „აბრუნდის ეძახიანო“, „მტრედული უგუნებობა“, „დაფოლება“, „თაბაუთი“, ბაშვი, „სამეურნოება“, „

„ერთბამად“, „უფროს-ერთი“, „კაზუისტობა“, „ორჭობად ლაპარაკი“, ‘დალაბრებული ბეჯითობა’ სართადაუდებლად, ფეხმოკლე ოსტატობა, ურგენიათ, „აბერჩხარდება ვენახი“, „ნაპოლიონი“, და მრავალი სხვა. ვფიქრობთ, ილიას პუბლიცისტური ნაწერები შესანიშნავი წყარო იქნება მისი ენის შემდგომი კვლევისათვის.

დასასრულ, გვინდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ დღეისათვის, ილიას საიუბილეოდ, გამოცემულია ილია ჭავჭავაძის 15 ტომი, გამოქვეყნდა საზოგადოებისათვის უცნობი ასობით წერილი, დადგინდა გაზ. “დროებისა” და “ივერიის” მეთაური წერილების ავტორობის საკითხი, გამოქვეყნდა დღემდე ტაბუდადებული და ბევრი კონიუნქტურული წერილი, რაც სამუალებას მისცემს ჩვენს მეცნიერებსა და საზოგადოებას, რომ თვალი გაუსწორონ სინამდვილეს და უკეთ შეისწავლონ ისტორია.

#### დამოწმებანი:

**ჭავჭავაძე 2007 ა:** ჭავჭავაძე ი.თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად ტ.XIII თბ. 2007.

**ჭავჭავაძე 2007 ბ:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.XIV.

**ჭრელაშვილი მაცნე:** ჭრელაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები ჟ. მაცნე ელს 1981 2-3.

**ივერია 1999:** გაზ. “ივერია” 1999 64-76.

**ჭავჭავაძე 1899:** ჭავჭავაძე ი. სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი” ივერია 1899.

## „ბედნიერი ერი“: სტრუქტურა და საზრისი

ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ სტრუქტურა არასოდეს გამხდარა სპეციალური დაკვირვების საგანი. ამის მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ თვალის ერთი შევლებით, ფორმა ლექსისა, თუნდაც ვერსიფიკაციის დონეზე, არაფრით იქცევს ყურადღებას: კლასიკური და რომანტიკული ტრადიციის ფონზე, რვამარცვლიანი მაღალი შაირი (4/4) შიდარითმებით და მოდერნიზებული გრაფიკით რამე სიახლეს არ ამჟღავნებას. რამდენადმე მოულოდნელი — ილიას ევროპეიზმზე ორიენტირებული ესთეტიკის კონტექსტში — მხოლოდ შიდარითმის აქტუალიზება ჩანს.

„ბედნიერი ერის“ ტექსტი ერთმანეთისაგან გამიჯნული ოთხი მონაკვეთისაგან შედგება. პირველი სამი, ფორმის მხრივ, ურთიერთიდენტურია: თითოეული შეიცავს 14 ტაქს, მეტრულად იგივეობრივია და იმეორებს გარითმვის სპეციფიკურ სისტემას. ბოლო, მეოთხე მონაკვეთი ორსტრიქონიანია, ვრცელი მონაკვეთებისაგან გრაფიკულად გამოყოფილი და დამოუკიდებელი:

ჩვენისთანა ბედნიერ  
კიდევ არის სადმე ერი?!

სივრცობრივად არათანადი ორტაეპედის ხაზგასმული ავტონომიურობა ლია სიგნალია სპეციფიკური სტრუქტურული ორგანიზაციისა, რაც ტექსტის დაკვირვებული წაკითხვის დროსაც აღმადი და თვალსაჩინოა: ეს ორტაეპედი, გამეორებული სამივე ვრცელი მონაკვეთის დასაწყისში, ყველა პარამეტრის მიხედვით, რეფრენს წარმოადგენს.

მართლაც, ლექსში ითხვზის დაფიქსირებული კითხვითი წინადადება, როგორც ეს ტიპიურ რეფრენს მოეთხოვება, თემატურად გამოკვეთილია, მეტრულად გაფორმებული და სინტაქსურად დასრულებული. ამგვარ კვალიფიკაციას ხელს ვერ შეუშლის გავრცელებული წარმოდგენა, თითქოს რეფრენი მხოლოდ მოსდევს, აბოლობებს ძირითად სტროფებს, მაშინ, როცა „ბედნიერ ერში“ იგი ყველგან საზყის პოზიციაში დგას. როგორც ფოლკლორული, ისე ლიტერატურული ფაქტები მოწმობს, რომ რეფრენს არა აქვს მკაცრად მონიშნული ადგილი: იგი ხშირადაა ბოლოში, მაგრამ შესაძლოა გარემონცავდეს ძირითად სტროფს ან წინ უძლოდეს მას. კონკრეტულად, ილიას წინარე და თანადროულ პოეზიაში რეფრენი სტროფის დასაწყისში იშვიათობას არ წარმოადგენდა (გურამიშვილი, ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, აკაკი).

რეფრენის თავისებურება „ბედნიერ ერში“ ისიცაა, რომ იგი თემატურ-შინაარსობრივად მჭიდროდაა დაკავშირებული ძირითად ტექსტთან, მეტრულად არ განსხვავდება მისგან და ვრცელ მონაკვეთებში არც გრაფიკულადაა გამოცალევებული. ალბათ, ეს გარემოებანი იყო მიზეზი იმისა, რომ განმეორებადი ფრაზა, არცთუ უსაფუძვლოდ, 14-ტაქსიანი კომპოზიციური მონაკვეთების ორგანულ ნაწილად აღიქმებოდა და არა — რეფრენად.

რეფრენს, როგორც თემატური, მეტრული და სინტაქსური ერთობის, განმსაზღვრელი ნიშანი მაინც ის არის, რომ იგი არ მოიაზრება იმ ძირითადი კომპოზიციური სიდიდის (სტროფის) შემადგენელ ნაწილად, რომლის რეფრენსაც წარმოადგენს (ვ. ურმუნსკი). რეფრენული სტრუქტურის ტექსტში არსებობს, ერთი მხრივ, ძირითადი სალექსო ფორმა და, მეორე მხრივ, მისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი, განკერძოებული ერთეული — რეფრენი.

თუ „ბედნიერ ერს“ ამ კუთხიდან შეგხედავთ ანუ ერთმანეთს დავაშორებთ რეფრენს და ძირითად ტექსტს, გზას გავიკვლევთ ნაწილობების საწყისი, ამოსავალი სალექსო ფორმისაკენ. საანალიზო ლექსის 14-ტაქსიან, იდენტურ კომპოზიციურ მონაკვეთებში, რეფრენის გარეშე, ინაკვთება ძველი ქართული პოეზიის ერთ-ერთი სახეობა, რომლის ამოსაცნობად ტექსტს თავდაპირველი გრაფიკული ფორმით წარმოვადგენთ:

მძიმე ყალნით, ლამაზ ფალნით მორთული და მშვენიერი;  
უწყინარი, უჩინარი, ქედდრეკილი, მადლიერი;  
უშფოთელი, ქვემდრომელი, რიგიანი, ნესიერი;  
ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი, ნახედნი და ლონიერი.

ვინც ქართული კლასიკური ლექსის სახეებს იცნობს, მას აქ არ გაუჭირდება ძველი, ამოსავალი ფორმის დანახვა — ესაა თექვსმეტმარცვლოვანი მაღალი შაირი წინაცეზურული რითმებით, რომლის ერთადერთი ზუსტი ვერსიფიკაციული ანალოგი ჩახრუხაძის „თამარიანში“ დასტურდება. მართალია, ეს სახითბო პოემა, თითქმის თავით ბოლომდე (სამი სტროფის გამოკლებით), ოცმარცვლედით (55/55) არის დაწერილი, მაგრამ მაღალი შაირით გამართული ეს უნიკალური სტროფი ოდითგანვე ერთგვარი ესთეტიკური პაროლია ჩახრუხაძის პოეზიისა:

თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,  
მზე-მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი.  
მისთვის ქნარი რა არს? — ქნარი არსით მთქნარი, უჩინარი.  
ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი, ღანვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი.

დამონმებული სტროფი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ აქ არამარტო სავალდებულო წინაცეზურული რითმებია რეალიზებული, არამედ უჩვეულო სიჭარბეა რითმებისა: ყოველი მუხლი — ოთხმარცვლიანი სეგმენტი — ევფონიურად ერთმანეთთანაა შეწყობილი. ამის გამო, „თამარიანის“ ეს ფრაგმენტი — მესამე ოდა — ძველი დროიდან ჰარმონიულობისა და მიუწვდომელი პოეტური ხელოვნების მისაბაძ ნიმუშად მიჩნეოდა.

ამრიგად, „ბედნიერ ერში“ საყრდენ სალექსო ფორმად შერჩეულია „თამარიანის“ უნიკალური სტროფი — ე.ნ. შაირი-ჩახრუხაული. მართალია, ილიას ლექსში მხოლოდ სავალდებულო წინაცეზურული რითმებია, ყველა მუხლი ერთმანეთთან გარითმული არაა, მაგრამ აშკარაა ანალოგია სტილის დონეზე — ორივე ტექსტში განსაზღვრება-ეპითეტების („ზედშესრულების“) გაბმული მნერივია. ილია ამოდის სახოტბო ოდის ფორმიდან, როგორც ვერსიფიკაციულ-სტილური ერთობიდან, ოლონდ ლექსს გრაფიკულად მოდერნიზებულ სახეს აძლევს.

ტრადიციული ფორმის აღდგენა-გამოყენებაში თავისთავად უჩვეულო არაფერია, რომ არა ერთი განსაკუთრებული გარემოება — ილიას მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჩახრუხაძისა და „თამარიანისადმი“, ჩახრუხაულის სალექსო ფორმისა და სტილისადმი, რაც მან ჩვეული პირდაპირობით გამოთქვა სტატიაში „ორიოდე სიტყვა“. გამოდის, რომ პოეტმა მხატვრულ პრაქტიკაში, „ბედნიერი ერის“ შექმნისას, იმ პოეტიკას მიმართა, რომელსაც, როგორც თეორეტიკოსი, პრინციპულად გაემიჯნა. ეს უცნაური ფაქტი ახსნას მოითხოვს.

\* \* \*

„ორიოდე სიტყვა“, რომელშიც მოცემულია ჩახრუხაძისა და მისი პოემის ნეგატიური შეფასება, 1861 წელს, „ბედნიერი ერის“ დაწერამდე ათი წლით ადრე გამოქვეყნდა და საქართველოში კრიტიკული რეალიზმის მანიფესტს წარმოადგენს. ამ ისტორიულ სტატიაში ილიამ განაჩენი გამოუტანა უძრაობის იდეოლოგიას („ჩინეთის ფილოსოფიას“), რომელიც არსებობის ერთადერთ წესს აღიარებდა: „რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათ“. ძველი, კონსერვატიული მსოფლმხედველობის თაობა ვერ ამჩნევდა, ან არ სურდა დაენახა ცვლილებანი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის — მნერლობაშიც და ახალ, თვისებრივად განსხვავებულ ეპოქაში გარდასული ხანის ესთეტიკისა და პოეტიკის ერთგულებას ქადაგებდა. ანტონ კათალიკოსის მიმდევრებმა, მისივე ავტორიტეტის ზეგავლენით, ჩახრუხაძე და მისი პოეზია გამოაცხადეს იდეალად და ნორმად და როგორც შეუვალ ჭეშმარიტებას, ისე იმოწმებდნენ ანტონის ცნობილ იამბიკოს:

ჩახრუხაის ძე — უცხო პიიტიკოსი;  
თამარ დიდისა მეკობი შაირებითა;  
შოთას შაირთა, თუ სოქუა, უკეთესთაცა  
მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის-მოყუარე,  
ყოვლად საქები, რიტორთ-მესტიხთ გუირგუინი.

ილია თვლიდა, რომ ის, რაც წარსულში წიმუშად იყო მიჩნეული, მით უფრო, „წარსულ დროთა სიცრუე და ცოტომილება“, ახალ მნერლობას არ გამოადგებოდა. არც ძველთა კერპთა განუსჯელი თავყვანისცემა იყო მისთვის მისაღები მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოების აღიარება ჰქონდა, მით უფრო, იმ საზოგადოებისა, რომელიც არ იყო „ესტეტიკურად გახსნილი და განვითარებული“.

სწორედ ამ კონტექსტში იკითხება „ორიოდე სიტყვაში“ ჩახრუხაძის შეფასება: „თამარის ქება მთელ მოთხოვნის ოდენაა, ზედშესრულით დაინყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოც-მარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!.. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა!“

„თამარიანს“ ილია ჭავჭავაძე ახალი ესთეტიკის — კრიტიკული რეალიზმის პოზიციიდან აფასებდა, ამიტომ მისთვის მიუღებელი ალმოწნდა სახოტბო ჟანრის პათოსი, რიტორიკა და პოეტიკა, მოკლებული ცოცხალი პოეზიის არსებით ნიშნებს — აზრს, გრძნობას, სურათოვნებას, მშვენიერებას. ილიას დამოკიდებულება ჩახრუხაულისადმი უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მან „თავიდანვე სასტიკად დასცინა „მწყობრ ხმოვან ბრახაბრუხს რითმებისა“, „უბრალო სიტყვებისა და რითმების რახარუხს“, — ასეთ პოეტებს მან „ახალი რითმების მორახუნებლები“ უწოდა და აღმფოთებით შეუტია ყოველგვარ „მაშრიყ-მალრიბული ენის კონსტრუქციას“ და „უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეს“ (გრიგოლ კიკანაძე). გამოთქმა „ახალი რითმების მორახუნებლები“ გულისხმობდა, რომ არსებობდნენ მათი წინამორბედნი — ძველი რითმების მორახუნებლები, რომლებიც რითმის, ზოგადად ფორმის „ტრაფიალებისა გამო“, გულგრილი იყვნენ აზრის, შინაარსის მიმართ.

„თამარიანის“ უქაცრესი შეფასება („არაფრისთანა არაფერი“) ეკუთვნოდა ახალი ფორმაციის პოეტ-მოქალაქეს, ვისთვისაც პოეზია ცხოვრების სარკეა, ხალხის ცხოვრების გამომთქმელია, ამიტომ იგი, ცხადია, ვერ იგუებდა ისეთ ნაწარმოებს, რომელიც მეფის სახოტბოდ და განსადიდებლად („თამარ ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა“) რითმების ყორეს აგებდა.

კლასიკური ხანის პოემის შეფასებას ახალი ესთეტიკური თეორიის თვალთახედვით, ზოგი მკლევარი ისტორიზმის პრინციპის დარღვევად თვლის, რაც, ერთი შეხედვით, თითქოს ასეცაა. მაგრამ დასავანებელი არაა, რომ ილიას მიზანი არ იყო ჩახრუხაძის ადგილის განსაზღვრა ქართული პოეზიის ისტორიაში. „ორიოდე სიტყვა“, როგორც ლიტერატურული მანიფესტი, ააშკარავებდა ძველი ესთეტიკური წარმოდგენების შეუთავსებლობას თანამედროვეობასთან, ასაბუთებდა, რომ ანტონში

წარსულის კანონებით ცხოვრება არ შეიძლება, „თამარიანი“, როგორც ლიტერატურული ფაქტი, წარსულს ეკუთვნის...

ისტორიზმი განუყოფელი ნიშანია ილია ჭავჭავაძის აზროვნებისა. სტატიაში „პასუხი“ იგი ანტონ კათალიკოსის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ წერს: „ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა“... მაგრამ ეს როდი ნიშავდა, რომ ახალ დროშიც მისი შეხედულებანი შეუვალ დოგმებად უნდა დარჩენილიყო! ილია განაგრძობს: „ეხლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვინდომოთ, ძალიან შევცდებით. მაშინ სხვა-რიგად ესმოდათ, ეხლა სხვა-რიგად.“

უცხველია, ილიას ჩახრუხაძის ისტორიული როლის განსაზღვრა რომ განეზრახა, არ დაუკარგავდა ლვანლს „მისი დროის საქართველოს“ მნიშვნელობაში, მაგრამ რეალიზმის მედროშის წინაშე სულ სხვა ამოცანა იდგა. ილია ჭავჭავაძემ ხმა ალიმალა არა ისტორიული ჩახრუხაძის, არამედ „იმ დროის კანონების“ — მოძველებული ესთეტიკური შეხედულებების წინააღმდეგ, რომელსაც კონსერვატორები ჩახრუხაძის სახელით თავს ახვევდნენ ახალ მნიშვნელობას. ეს იყო თანამედროვეობის ინტერესების დაცვა წარსულის პრეტენზიებისაგან, თორემ ძნელია ანტიისტორიზმი უსაყვედურო იმ პიროვნებას, ვისაც ასე ლრმად ესმოდა, რომ „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თუთ დროების შვილიცა“.

და მაინც, ილიას რადიკალიზმის ასახსნელად, პოლემიკის სპეციფიკასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „თამარიანი“ იმ დროისათვის მეცნიერულად არ იყო შესწავლილი, არ იყო ამოკითხული ურთულეს პოეტურ ფორმაში მოქცეული იდეოლოგიური კონცეფცია, რაც ჩახრუხაძის პოემას „ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიისა და ფრთაშესხმული პატრიოტიზმის უდიდეს ძეგლად“ წარმოაჩენს (კორნელი კეკელძე).

ამრიგად, „თამარიანის“ შეფასება ილიას მიერ არ იყო სუბიექტური, ანტიისტორიული მიდგომის შედეგი. იგი გამოთქვამდა ახალი, რეალისტური ესთეტიკის ვერდიქტს, გამოტანილს ე.წ. კლასიცისტური ესთეტიკისადმი. კონცეპტუალური დაპირისპირების სიმაღლიდან უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კითხვა, რატომ მიმართა ილია ჭავჭავაძემ ჩახრუხაულის სალექსო ფორმასა და სტილისტიკას.

\* \* \*

„შედნიერ ერში“ დომინანტურია ახალი ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი — კრიტიკიზმი. უკვე „ორიოდე სიტყვაში“ წერდა ახალგაზრდა ილია:

„მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის-მოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივთი ასახელებს საქართველოს. ბოროტების ლვიარება ნახევარი გასწორება“.

ჰეგელის დიალექტიკას ნაზიარები ილია ჭავჭავაძე სინამდვილეს, ცხოვრებას აღიქვამდა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობას და ჭიდილს, სადაც სახალე ძველის უარყოფით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიინებს მყობადისაკენ. მნიშვნელობის სარკეში „სიცუდეც“ უნდა აისახოს, ხოლო ვისაც საკუთარი ერის წინსვლა სურს, მან ჭეშმარიტი სიყვარულის სახელით უნდა ამხილოს ის, რაც ჩვენში „ცუდია და საზიზლარი“. მარტო „უმეცარ სიყვარულს“ მიაჩინა სიქველედ „ჩვენი ცხოვრების სიბოროტის დამალვა“, მამულიშვილისთვის კი მხოლოდ პირში ძრახვის, მართლის თქმის ზნეობრივი კანონი მოქმედებს:

ვაჟკაც იგია, ვინც მართალს  
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო.

ცდომილებათა უარყოფა, ნაკლის მხილება, როგორც გზა გამოსწორებისა, კრიტიკა, როგორც პოზიტიური ძალა ილიას ლიტერატურული მრანამსის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია.

„ბედნიერი ერი“ მთელს ქართულ პოეზიაში უნიკალური ნიმუშია „მცდომი ქვეყნისათვის“ სიმართლის თქმისა. აქ კრიტიკული განსჯის მიმიტია არა პიროვნება, არამედ მთელი ერი. ილიამ თავდაპირველი სათაური — „ბედნიერი ხალხი“ შეცვალა, რადგან წარსულ ეპოქებში „ხალხი“ მხოლოდ არისტოკრატიას გულისხმობდა და არა ერს, როგორც ეთნიკურ ერთობას. შეცვლილი სათაური მთლიანად მოიცავდა მხილების მიმიტია — არა მხოლოდ ელიტას, თავადაზნაურობას, არამედ უკლებლივ ყველას — სრულიად ქართველობას.

ერის, როგორც პოეტური განსჯის მიმიტია, შერჩევა ლოგიკური შედეგი იყო ახალი ისტორიული საზრისის დამკვიდრებისა, რასაც, დიმიტრი ყიფიანთან და დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად, ილია ჭავჭავაძემაც დიდად შეუწყო ხელი.

პოემა „აჩრდილის“ ისტორიულ ნაწილზე მუშაობისას, ილიამ ქართული ისტორიული ქრონიკების ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას მიაქცია ყურადღება. ჯერ დავით ერისთავისადმი გაგზავნილ პირად წერილში (1872), რამდენადმე მოგვიანებით (1880) კი ერთ-ერთ პუბლიცისტურ სტატიაში მან „ქართლის ცხოვრების“ ძირითად ტენდენციაზე მიანიშნა:

„ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაო კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“.

ძნელი სათქმელია, იცნობდა თუ არა ილია ვოლტერის ანალოგიურ აზრს — „თითქმის ყველგან მხოლოდ მეფების ისტორიას ვხედავ, მე კი ადამიანების ისტორიის დაწერა მსურსო“, მაგრამ სადღეისოდ ერთი რამ გარკვეულია — „ქართლის ცხოვრებისა“ და მისი ისტორიული საზრისის კრიტიკა ახალი, ევროპული პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის პოზიციიდან წარმოებდა (შოთა ბადრიძე).

ილიას ისტორიულმა კონცეფციამ ზეგავლენა მოახდინა მის მხატვრულ შემოქმედებაზე. კერძოდ, პოეტმა მნიშვნელოვნად შეკვეცა და შეცვალა ისტორიული ნაწილი „აჩრდილის“ ადრინდელი ვარიანტისა, სადაც დიდი ადგილი ეთმობოდა ფარნაგაზის, დავით ალმაშენებლის, თამარის, დემეტრე თავდადებულის და სხვა ისტორიულ პირთა გახსენებას (XXII-XXVIII თავები). დადგენილია, რომ „აჩრდილის“ საბოლოო რედაქციაში, „გადამუშავებული სახით, მხოლოდ ის ადგილებია დატოვებული, რომლებიც ზოგადად მიანიშნებდნენ ჩვენი ხალხის ქველობაზე, მის სიმამაცესა და მამულისთვის თავგანწირულებაზე. ამ ვარიანტში უკვე აღარ გვხვდება სახელოვან ქართველ მეფეთადმი მიმართული აღტაცების სტრიქონები“ (ლადო მინაშვილი).

ილიამ პოემა „აჩრდილის“ ისტორიული ნაწილი იმ თვალსაზრისის შესაბამისად შეასწორა, რაც დ. ერისთავისადმი გაგზავნილ ბარათში გამოოქვა: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფების და ომების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდროტვინავ და განკითხვა არსათ არი“. ამ ვარიანტში უკვე აღარ გვხვდება სახელოვან ქართველ მეფეთადმი მიმართული აღტაცების სტრიქონები“ (ლადო მინაშვილი).

„ბედნიერი ერი“ თითქმის იმავე ხანებში შეიქმნა, როდესაც ეს ბარათი დაიწერა, ამიტომ დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ლექსის თვემის — განსჯის ობიექტის შერჩევა ილას ახალი ისტორიული საზრისიდან გამომდინარე გადაწყვეტილება იყო: არა მეფეთა ისტორია, არამედ „ხალხი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა“!

ისტორია ილიასათვის ერის საგანძი იყო, „სადაც ერი პოულობს თავისის სულის ღონეს“, მაგრამ მისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო „ნინაპართა ცდომილებანი“, ისტორიის გაკეთილები. „ისტორიის საძირკველში, მაგართან ერთად, ბევრი უვარგისი და ფხვიერი ქვაა ჩადებული“, ამიტომ ვისაც მყოლბადზე პრეტენზია აქვს, მას უნდა შეეძლოს ნარსულის მისხლობით აწონვა და გოჯით გაზომვა — ისტორიისადმი კრიტიკული მიდგომა, ფხიზელი განსჯა.

„ბედნიერ ერში“ გაერთიანებულია ორი უმნიშვნელოვანები რამ — ისტორიული პროცესის ახლებური ხედვა და კრიტიციზმი. იგი ყურადღების არეალში მოაქცევს ისტორიის ახალ სუბიექტს — ერს და მის სულიერ წყობას, როგორც ისტორიული პროცესის ლოგიკურ შედეგს. რას წარმოადგენს, რა მდგომარეობაშია ქართველი ერი, როგორც საკუთარი ისტორიის შემოქმედი? — პასუხი ამ კითხვაზე ისტორიის სიღრმეებშია განვითარებით, დასკვნა კი, რომელიც ილიამ გამოიტანა, თავზარდამცემი აღმოჩნდა, დიამეტრულად განსხვავებული რომანტიკული ხედისაგან.

ნარსულისადმი მონიშნების მიუქედავად, ილია შორის იდგა ერის ისტორიის იდეალიზაციისგან. ერი და მისი ისტორია რეალისტი მწერლისთვის არასოდეს გამხდარა ჭვრეტისა და ოდენ აღტაცების მისადმი ისტორიისადმი ისტორიის იდეალიზაციისგან. ერი და მისი ისტორია რეალისტი მწერლისთვის არასოდეს გამხდარა ჭვრეტისა და ოდენ აღტაცების მისადმი ისტორიისადმი ისტორიის იდეალიზაციისგან.

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხი ქვეყნისა?  
ერი — გულად, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?  
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,  
იგივ მხენე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა..

„ბედნიერი ერი“ ერთგვარი მხატვრული ანტითეზაა „სადღეგრძელოს“ მგზნებარე პათოსისა — რომანტიკულ აღტყინებას და ხოტბას, იდილიურ ჭვრეტას, ილიას სატირაში, ერის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის რეალური დახასიათება ცვლის, კრიტიკის მიზანი კი შემგუებლობისა და ინერტულობის დაძლევა, მოქმედებისაკენ ნაქეზება. ისტორია, როგორც მყარი საფუძველი მომავლისა, მაგარი ქვებით, „უვარგისი და ფხვიერი ქვების“ განვითარებით უნდა ამოშენდეს. ეს მიზანი აქვს ირონიას, კრიტიციზმს, ე.წ. სიძულვილს, რომელიც მამული შეცვლილი უანგარო სიყვარულის ნაყოფია.

„ბედნიერ ერში“, სატირული უანრის ნანარმოებსათვის, ილიამ საგანგებოდ შეარჩია და გამოიყენა მის მიერ უარყოფილი სახოტბო უანრის სალექსო ფორმა და სტილი, რაც იმის ნიშანია, რომ პოეტმა-რეალისტმა შექმნა ანტი-„თამარიანი“ — პაროდია ჩახრუხაძის „თამარიანზე“! ძველ, პანგირიკულ ტრადიციასთან დაკავშირებულ ფორმაში მან ახალი შინაარსი — ახალი ესთეტიკურ-ისტორიული საზრისი შეიტანა, განახორციელა პაროდიული ჩანაცვლება სტრუქტურული იერარქიის ყველა დონეზე: ოდურ უანრს ცვლის სატირა, ოდის ობიექტს (მეფე) — ერის კონცეპტი, ხოტბას — ირონია, მაიდეალიზებელ სტილისტიკას — პაროდიული შეფერილობის ზედშესრულ-ეპითეტები.

ილია რომ ჩახრუხაძის სახოტბო ოდის პაროდირებას მიმართავს, ამას მხარს უჭერს ერთი საგულისხმო დეტალიც. შავთელურს და ჩახრუხაულს, როგორც კლასიკური ქართული პოეზიის სალექსო ფორმებს, მხოლოდ ერთი რამ განასხვავებს: შავთელურში გარერითმა ერთი სტროფით შემოიფარგლება, ერთ სტროფზე ვრცელდება, ჩახრუხაული კი — მთელი ოდა! — ერთ გარერითმაზეა აგებული ანუ მონორომულია (პავლე ინგოროვება). ილიას „ბედნიერი ერში“ მონორომული ანტი-ოდაა, რომელიც თავით ბოლომდე ერთ რითმაზეა აგებული: ბედნიერი — ერი — მშვენიერი — მადლიერი — წესიერი — ღონიერი და ა.შ. გარერითმაში გატანილი „ერი“ უწყვეტად ხმიანობს და მკითხველს გამუდმებით ახსენებს კონცეპტუალურად უმნიშვნელოვანეს ცნებას, რომელსაც მიემართება სატირულ-ირონიული ნაკადი.

„ბედნიერი ერის“ დასაწერად, შემოქმედებითი იმპულსი ილიას, ჩემი ვარაუდით, მეფე-პოეტის — არჩილის ერთმა უცნაურმა სტროფმა მისცა, რომელიც, თამარიანის „ცნობილი სტროფის

(„თამარ წყნარი, შესაწყნარი“) მიპაძვას წარმოადგენს. არჩილი, ვინც შემოგვინახა ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები ჩახრუხაძის შესახებ, მას რუსთველის ბადალ პოეტად სახავდა და მისი პოეტიკის გავლენასაც განიცდიდა.

ილია ჭავჭავაძე დიდ პატივს მიაგებდა არჩილის „ღირსშესანიშნავ გონებრივ ღვაწლს“, არცთუ იშვიათად იმოწმებდა მის სტრიქონებს თავის სტატიის გვიჯნაზე, როდესაც ილია ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს ისტორიის წყაროებზე, იგი „არჩილიანსაც“ გადახედავდა და, გასაგებ მიზეზთა გამო, შეუძლებელია, ყურადღება არ მიექცია ისეთი თხზულებისათვის, როგორიცაა „მეფეთა საქებელი და სამხილებელი“. ტიპიური ოცმარცვლიანი ჩახრუხაულით დაწერილ ამ ხოტბათა ნაკრებში მხილებული მხოლოდ შაჲ აბასია, სხვა მეფები კი — მათ შორის, თამარი — განდიდებული არიან. სწორედ ამ თხზულებაშია უცნაური სტროფი, რომლის პირველი სამი ტაქცი შაირი-ჩახრუხაულის ფორმითაა წარმოდგენილი, ბოლო ტაქცი კი ოცმარცვლედია. სტროფი შინაარსობრივად რუსეთის იმპერატორის — პეტრე დიდის ქებას ეძღვნება და ასე იკითხება:

გონიერი, მეცნიერი, ბედნიერი, კადნიერი,  
შვენიერი, ნივთიერი, არმცბიერი, სახნიერი,  
მქონიერი, ცნობიერი, მძნობიერი, მგრძნობიერი!  
ამდონი ერი ამქვეყნიერი მონებრი არი, გამგონიერი.

პეტრეს განმადიდებელ ამ სტროფში, „თამარიანის“ მსგავსად მიჯრით გარითმული ეპითეტების ამ წყებაში, არამარტო „ბედნიერი ერის“ მთავარი სიტყვა-კონცეპტი „ერი“ ხმიანობს, არამედ ზოგი ეპითეტი (ბედნიერი, მქვენიერი) ილიასთან — ირონიული ინტონაციით — მეორდება კიდეც.

არჩილი პეტრეს განსაკუთრებულ სიქველედ უთვლის, რომ მან მრავალი ერი დაიმონა, „გამგონიერი“ ქმნა. ილია თავის სატირაში, ფაქტიურად, იმ ისტორიულ შედეგებს გვიჩვენებს, რაც ქართველ ერს „გამგონიერობამ“ მოუტანა ანუ რამაც გახადა იგი „ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი“. პაროდიორება აქ უკვე ევფონიურ დონეზეც ვრცელდება, შინაარსობრივად კა ნაჩვენებია სადამდე დასცა „გონიერი, მეცნიერი, სახნიერი და მგრძნობიერი“ იმპერატორების „ზრუნვამ“ საქართველო.

პაროდიორება საკმაოდ დამახასიათებელი მოვლენაა ილიას ლირიკული მემკვიდრეობისა. „ბედნიერ ერში“ იგი განხორციელებულია ახალი ესთეტიკურ-ისტორიული საზრისის შეტანით „კლასიკისტური მეხსიერების“ მქონე სალექსო ფორმაში (ჩახრუხაძე, არჩილი), რაც ამჯერად უკვე პოეტურ პრაქტიკაში — „ვერსიფიკაციული ირონიით“ ცხადყოფს ძველი ესთეტიკის ანაქრონიზმს, მისი ტრანსფორმირების აუცილებლობას.

\* \* \*

პაროდიორება „ბედნიერ ერში“ სუბსტრუქტურის დონეზე შეინიშნება, ლექსის 14-ტაეპიანი მთლიანი მონაკვეთები კი, რომლებშიც რეფრენი და შაირი-ჩახრუხაული დავაფიქსირეთ, სხვა პრინციპითავა აგებული. თითოეული მათგანი ინტენსიური შეკითხვით, რომელიც თემატური ლაიტმოტივია ნანარმოებისა. ლიად დასმულ შეკითხვას (რიტორიკულ კითხვას) მოსდევს ტექსტი-განმარტება, ხოლო მათი შინაარსობრივი კონტრასტი — ერთი მხრივ, ეპითეტი „ბედნიერი“ და, მეორე მხრივ, ოპიეტის დეტალური ნეგატიური დახასიათება — ქმნის ლექსის ირონიულ-სატირულ ტონალობას.

„ბედნიერი ერის“ შინაარსობრივ-თემატურად და ინტონაციურად დაკავშირებული ვრცელი მონაკვეთები კომპოზიციური მთლიანობებია, რომლებიც ლექსის ახალ ფორმას ქმნიან. ეს ფორმა, ვფიქრობ, ზუსტად შეესაბამება ილიას ახალ ისტორიულ საზრისს პიროვნებისა და ხალხის შესახებ.

ისტორიას ხალხი ქმნის, მაგრამ მხოლოდ რჩეული პიროვნება, გენიოსი „შემოიბერტყავს დროების მტვერსა“, მხოლოდ მას ძალუძს „შორსმხედველობა და დროებაზედ უფლება“, — ფიქრობდა ილია. გენიოსი მისთვის ის კი არ არის, ვინც „ღრუბლის ცურვას და ცაში ბოლოთის ცემას ასდევნებია“, არამედ ცხოვრების, ხალხის შვილი, ვინც დროის კარნახით აცნობიერებს, „რაც თვითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარებაში“.

„ბედნიერი ერი“, ტრადიციულად, გაიაზრება, როგორც პოეტის მონოლოგი — პოეტი, ვითარცა მოსე ებრაელებს, წინ მიუძღვის ხალხს, ღრმად სხვდება მის გულისთქმას და, საჭიროებისას, ამხელს, აფხიზლებს კიდეც მას. ილიას სატირულ ლექსში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ სუბიექტი არ მიჯნავს თავს კრიტიკის ობიექტისაგან, იგი არ არის ბრბოსთან დაპირისპირებული „მე“ რომანტიზმისა. პოეტის „მე“ განუყოფელი შემადგენელი ნანილია განუსაზღვრელი მრავლობითობისა („ჩვენ“) ანუ ხალხისა, ერისა. სიტყვა „ჩვენისთანა“, რითაც ინტენსიულ და მეორდება ყოველი კომპოზიციური მონაკვეთის დასაწყისში, მუდმივად გვაგრძნობინებს, რომ განზემდგომი მკაცრი ბრალმდებელი კი არ გვესაუბრება, არამედ „ერის მოძმე“ და პასუხისმგებლობის მოზიარე. პოეტი მხოლოდ პრობლემას არ სვამს — მოსალოდნელ კატასტროფაზე არ მიანიშნებს, იგი ხალხთან ერთად მონაწილეობს თვითმხილების კათარზისულ პროცესში.

„ბედნიერ ერში“ ახალი შინაარსობრივი საზრისისათვის ილია, ჩემი აზრით, ახალ ფორმას გვთავაზობს. ისე, როგორც ხალხურ საგუნდო სიმღერაში კორიფე ინდივიდუალური ხმა გადადის გუნდის კოლექტიურ ხმაში, ილიას სატირაშიც პოეტის კრიტიკულ-ირონიული შეკითხვა-რეფრენი ბუნებრივად გადაიზრდება ხალხის თვითშეფასებაში, თვითმხილებაში. დაალექტიკურად გაგებული უარყოფა, უარყოფა, როგორც პროგრესის მამოძრავებელი, ეროვნული ოპტიმიზმის, იმედის წყარო.

ხალხური საგუნდო სიმღერის ფორმას, რომლის ლიტერატურული სათავე ანტიკური დითირამბია, ქმნის რეფრენისა და ძირითადი ტექსტის ერთიანობა. დიალოგური შიმართება კორიფესა და გუნდს შორის, კითხვა-პასუხის ანტიფონური სტრუქტურა ხალხური პოეზიის ერთ-ერთ უძველეს ფორმად არის მიჩნეული (ა. ვესელოვსკი). ილიამ, თავისი ესთეტიკურ-ისტორიული საზრისის შესაბამისად, დიდოსტატურად გამოყენა საგუნდო სიმღერის ფორმა — ერის, ხალხის თემას ხალხურ შემოქმედებაში მოუძებნა საჭირო სტრუქტურული წყობა.

ხალხურ ფორმას უნდა უკავშირდებოდეს ჩახრუხაულის ძირითადი მეტრის — ოცმარცვლედის ჩანაცვლება შაირით. მართალია, ამის საშუალებას „თამარიანის“ უნიკალური სტროფი იძლეოდა, მაგრამ გადამწყვეტი, ალბათ, ახალი ფორმის მოთხოვნა იყო: ხალხური კილოსათვის არაბუნებრივი და ხელოვნური იქნებოდა აშკარად სამწერლობო ტრადიციის საზომი.

„ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, (...) მისჩანჩალებს სამარისაკენ“, — წერდა ილია. ამიტომაც არ ეპუებოდა „პატრიოტთა“ რისხვას, შეუპოვრად მიუყვებოდა არჩეულ გზას, რადგან სწამდა: „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობელად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი ნადილი გასწორებისა“.

„პედნიერ ერში“ სწორედაც რომ სამშობლოს გასწორება-ალდგინების სურვილით ანთებული გულის სიმხურვალე იგრძნობა, გვესმის დიდი ერისკაცის ხმა — ერის ხმაში გარდასახული.

„პედნიერი ერი“ ნიმუშია იმისა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „უტილიტარისტი“, „შინაარსის პოეტი“ ილია ჭავჭავაძე მხატვრულ ფორმას, ფორმა-შინაარსის ერთიანობის პრინციპს.

## თამარ ბარბაქაძე

### ილიას დრამატული პოემების („ქართვლის დედა“ და „ირაკლი“) პოეტიკა და „ქართვლის დედის“ მეტაფორა

ილია ჭავჭავაძის ორივე დრამატული პოემა: „დედა და შვილი“ („ქართვლის დედის“ I ვარიანტი) და „ირაკლი“ („მამა და შვილი“) ერთი და იმავე საზომით (5/4/5) არის შესრულებული 1860 წელს. ამავე მეტრით, 1859 წელს, ილიამ დაწერა პოემა „აჩრდილის“ ავტოგრაფის „ძღვნა“.

პოეტმა ამ ეპიურ თხზულებებში გამოკვეთა თავისი შემოქმედების ძირითადი კონცეფცია: მშობლის მიერ შვილისათვის მსხვერპლშენირვის იდეის შთაგონება, თვითშენირვისათვის მზადყოფნა და „სამრთო ძღვნის“ (პოეზიის) შენირვა პოეტის მიერ საზოგადოებისათვის; სემანტიკის (დრამატიზმის) და მეტრიკის (5/4/5) ურთიერთგაპირობებულობა განსაზღვრავს ილიას დრამატული პოემების პოეტიკას.

მსხვერპლშენირვისა და დრამის თეორიის უცხოელი და ქართველი მკვლევარები (რ. უირარი, პ. რასელი, გ. ლომიძე, ი. რატანი, რ. ცანავა და სხვ.) აღნიშნავენ, ერთი მხრივ, სიკვდილ-სიცოცხლის შეუქცევადობას თავგანწირვის რიტუალის ფუნქციონირებისას და, მეორე მხრივ, ილიას როლს დრამის უანრის თეორიის განვითარებაში; თუმცა ილიას თეორიული ნააზრევი თვითშენირვის იდეის რეცეფციის თაობაზე მისავა დრამებში დღემდე სათანადოდ არ გაანალიზებულა.

ილია ჭავჭავაძის პოეტიკის კვლევისას განსაკუთრებით საყურადღებოდ მივიჩნიეთ მისი თხზულებების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ ფონზე. კერძოდ, ილიას პოეზია 1858-1860 წლებში შთაგონებული და განპირობებულია რომანტიკოსი პოეტის პოემის სათაურითა და პერსონაჟებით (სოფიო, ირაკლი).

როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილიას პოეტიკური ძებანი, ძირითადად, ერთიანია. ვიზიარებთ თეორიულაზ დოიაშვილის თვალსაზრისს: „ილიას ლირიკა პრინციპული სიახლის მატარებელი იყო, ამიტომ მისი მოაზრება შეიძლებოდა არა მოქმედი პოეტური კანონის ფარგლებში, არამედ ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებთან შეპირისპირებისას. პოეტის თანამედროვე მკითხველმა ვერ იგუა ინტელექტუალურ პრინციპზე დაფუძნებული ახალი სააზროვნო სისტემა, რომლის საფუძვლის დამდები ჩვენში ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, მაგრამ მისი დამკვიდრებისათვის მთელი სიმძიმე, ცნობილი მიზეზების გამო, ილია ჭავჭავაძემ იტვირთა“ (დოიაშვილი 1999: 346).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური გზის შემკვიდრებული და განვითარებული ილია ჭავჭავაძე პირველად აკაკი წერეთელმა მიიჩნია, როდესაც მას „ბარათაშვილის კვალში ჩამდგარი პოეტი“ უწოდა.

ბარათაშვილმა, როგორც ვიცით, ქართულ პოეტურ სიტყვას „სიბრძნის ერთი დარგის“ თვისება დაუბრუნა. იგი, ერთდროულად, არქასისტიც იყო და ნოვატორიც: მან რუსთველის ეპიკური პოემის საბრძნე, აფორისტულობა ახალი, ევროპული ლირიკული პოეზიის ფორმატს შეუხამა და ახალ, რომანტიკულ პოემასთან ერთად, ლირიკულ შედევრებსაც მიანიჭა უფლება სიბრძნის გამოხატვისა. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ სიბრძნედ გარდაქმნილი მისი თანამედროვე ცხოვრების სურათები ლირიკულ პოემასა და ფილოსოფიურ ლირიკაში ეზიარა უკვდავებას. დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირს“, ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ და ილიას „აჩრდილს“ ერთი ტრილოგიის ნაწილებად მოიხსენიებენ ჩვენში, მაგრამ ამჯერად სხვა რამ გვინდა აღვინიშნოთ: ტრადიციულად, ეპიკისათვის დასაშვები და შესაძლებელი განზოგადების ძალა და სიღრმე იტვირთა ბარათაშვილის ლირიკამ. გადაკიონადე ნიკ. ბარათაშვილი იქცა ქართული პოეზიის „ახალ რუსთაველად“. სწორედ ეს შეიცნო ილიამ, როდესაც 1858 წელს ჭაბუქამ პოეტმა თავისი სულიერი ძმა აღმოაჩინა: ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისამ ნასკითხად მისცა ნიკოლოზ ბარათაშვილის საკუთარი ხელით ნაწერი: „ბედი ქართლისა“ და „მერანი“. კოხტა აფხაზის მოგონების მეოხებით, დღეს ყველა ქართველმა იცის, რა გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ თხზულებებმა სამშობლოსაგან შორს მყოფ ილიაზე: „თითქმის ერთი კვირა ყმანვილი პოდდავდა ბარათაშვილით“. ისიც ნარმოუდგენელია, რომ ილიას მანამდე არ ნაეკითხა ურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი ბარათაშვილის 4 ლექსი (1852 წელს), და შემდევ, ისევ „ცისკარში“, 1858 წელს გამოქვეყნებული პოეტის კიდევ ორი ლექსი. ცხადია, რომ დამწყებ პოეტზე ყველაზე მეტად იმოქმედა სწორედ პოემამ „ბედი ქართლისა“ და „მერანმა“.

ჩვენი აზრით, პოემის სათაური „ბედი ქართლისა“ განსაკუთრებული დრამატიზმით იხსნება თხზულების ბოლოს, ავტორის პოზიციის გამოკვეთისას, თანამედროვე ქართველი დედების შეფასებისას. სოფიოს სულისკვეთება ტრაგიკულად აღიქმება XIX ს. 30-იანი წლების ბოლოს, 32 წლის შექმულების მარცხის შემდევ, როდესაც ნელ-ნელა იკარგება „შვილის“, „მამულის“, „ქართველობის“ ტრადიციული ცნებები.

„ბედი ქართლისას“ აღნიშნული თორმეტაჟებდი („ჰომ, დედანო, მარად ნეტარნო... მითომ რას გვანებს უცხო ტომობა!“), პოემის ლირიკული ჩანართი, ეთანხმება ილიას პატრიოტული ლირიკის შედევრის „ქართვლის დედის“ სტრუქტურასა და სულისკვეთებას: „ქართვლის დედის“ ტექსტი, პირობითად, 3 ნანილად იყოფა: I — 12 ტაეპედი, II — 6 ტაეპედი, III — 14 ტაეპედი. პირველ ნანილში ნარმოდგენილი ქართველი დედისა და გმირის როლი ნარსულში; მეორე ნანილი პოეტის მოწოდებაა, ხოლო III — მთლიანად ქართვლის დედის „საღმრთო ვალის“ ნათელყოფაა.

ბარათაშვილის მსგავსად, ილიაც ხშირად პოეტური მიმართვით იწყებს ლექსებს („სამშობლო მთები! თქვენი შვილი განებებთ თავსა...“, „ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“, „ქართვლის დედაო! ძუძუ ქართლისას“). ბარათაშვილის პოეზიაში ტაეპების დასაწყისში შორისდებულების სიჭარბეს

აკ. განერელია ს. დოდაშვილის გრამატიკული სისტემის დიდი ზეგავლენით ხსნის (განერელია 1978: 168). ს. დოდაშვილის აზრით, შორისძებული არის „სულის გრძნობელობის ანუ მოძრაობას“ გამომხატველი „ნაწილი სიტყვისა“. ჩვენი აზრით კი, ბარათაშვილის პოეზიაში უფრო ჰიმნოგრაფების ენისა და მეტყველების ანარეკლი უნდა იყოს ეს შორისძებულები და პოეტური მიმართვები.

„ქართვლის დედა“ ილიას პოეზიაში, ხთონური „დიდი დედის“ ანალოგიურად, სიცოცხლის მომნიჭებელიც არის და სიკვდილის უფალიც, როგორც ბერძნულ მითოლოგიასა და ლიტერატურაში ჰერას სახეში მოიაზრებოდა (ცანავა 2005: 96).

გმირი წმინდა მსხვერპლია, ხოლო „ქართვლის დედა“ — ამ მსხვერპლის აღმზრდელი — ეს არის ჩვენი ერის უწმინდესი ტრადიცია და ვალი, რომელსაც უკვე დიდი ხანია მითის მნიშვნელობა მიენიჭა. სულიერი კავშირი კი ენასა და მითს შორის სწორედ მეტაფორით იქმნება. მეტაფორის სათავეს კი ხან ენაში, ხან კი მითოლოგის ფანტაზიაში ეძიებენ, ამიტომაც აღიარებდნენ მეტაფორის შექმნის ორ გზას: ლოგიკურ-დისკურსულსა და ლინგვო-მითოლოგიურს (კასირერი 1990: 8). „ქართვლის დედის“ მეტაფორის შექმნის შემთხვევაში ორივე გზა იგულისხმება: ლოგიკურ-სიტყვიერი, სემანტიკური შემთხვევაში კური შინაარსი „დედისა“ გაუტოლდა მის უძველეს, მითოლოგიურ, „დიდი დედის“ მნიშვნელობას, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის გამაერთიანებელს, გმირის მშობელს.

80-იან წლებში ილია, ქართულ თეატრზე საუბრისას, საგანგებოდ აღნიშნავდა: „გმირობა, რა სახისაც უნდა იყოს, სულის ღონეა და არა ხორცისა და ამიტომ გმირის სიყვარული მარტო სულითვე ღონიერს შეუძლიან. აქ ხორციელს თვალს ვერ გააჭრევინებთ, სულიერი თვალი უნდა“ („ქართული თეატრი“, 1886). „პოეზის მიხედვა არის სულის საქმე“, — წერდა ილია, რომელიც „ქართლის დედის“ მეტაფორას უკავშირებდა სოფიოს, ქართველ დედებს და ამით ბარათაშვილის პოეტური სულის თანაზიარი ხდებოდა.

1858 წლის 15 დეკემბრით არის დათარიღებული ილიას ლექსი „ქართვლის დედას“, ხოლო იმავე დღოთ ლექსი „ს...ს“ პირველი ვარიანტი: „ლექსი „ს...ს“ დანერიდან მაღლე, 30 დეკემბერს, იმავე სათაურით დაწერა მან თითქმის ახალი ლექსი, რომელიც ილიას აკადემიურ გამოცემაში პოეტის მიერ დაწუნებულ ლექსებშია შეტანილი. ამ ლექსის („ს...ს“) ქარაგმის გახსნა და ადრესატის ძიება კარგა ხანია, საგონებელში აგდებს ილიას ლირიკის მკვლევართ: ზოგი მას პოეტის იმდროინდელი სატრაფოს ალექსანდრა (საშა) ჩაიკვესააიასადმი (საშენსაკასადმი) მიძღვნილად მიიჩნევს, მაია ნინიძე კი ასე არ ფიქრობს, რასაც საგსებით სამართლიანად, დამაჯერებლად ასაბუთებს. მისი აზრით, ეს ლექსი „სამშობლოს“, „საქართველოს“ ეძღვნება და არა სატრაფოს, ქარაგმითაც ამ ორი სიტყვიდან ერთ-ერთი უნდა იყოს დაქარაგმებული (ნინიძე 1997: 131).

მოგვიანებით მწერალმა ამ ლექსის ავტოგრაფი გადახაზა და მიაწერა: „რიტორიკა“. ამგვარივე მინანერით: „რიტორიკა“ გადახაზულია 1858 წელს დაწერილი: „პავლოვსკის პარკისათვის“; ასევე უარყოფითი კონტექსტით მოიხსენიებს სიტყვა „რიტორიკას“ ილია 1864 წელს კირილე ლორთქითანიდისადმი მინერილ ბარათში პოემა „ქართვლის დედის“ ადრეული რედაქციის შეფასებისას. „ქაცია-ადამიანშიც?!“ ახსენებს ილია „რიტორიკას“ და თავის სადებიუტო კრიტიკულ წერილშიც, 1861 წლის „ცისკრის“ აპრილის ნომერში. ვფიქრობთ, 1858-1861 წლებში ილია ინტენსიურად ფიქრობს ქართველ მკითხველთან სალაპარაკო, სათქმელი მასალის არა მარტო შინაარსზე („რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას?“), არამედ — ფორმაზე. ამ ფორმის ძიებისას „ბედი ქართლისას“ სადა მეტყველება, სასუბრო ინტონაცია, დიალოგურობა, გადაჭარბებული რიტორობისაგან სრულიად თავისუფალი, კრიტიკული, მიუკერძოებული განსჯა. 1858 წლის შემდეგ, ნიკ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ ტექსტის შთაგონებასა და ზემოქმედებას ილიას სულზე გვიდასტურებს „აჩრდილის“ ავტოგრაფი, რომელიც 1859 წლის 26 იანვრით არის დათარიღებული.

„აჩრდილის“ ცნობილი, საბოლოო, II ვარიანტის ავტოგრაფისაგან განსხვავებით, B ავტოგრაფს ახლავს „ძღვნა“ და ბოლოსიტყვა: „ქართველთადმი“, რომელიც თავისებურად ეხმიანება „ბედი ქართლისას“ მიძღვნას: „ქახთა მიმართ“. ვერსიფიკაციული თანხვედრაც თვალსაჩინოა ორივე ტექსტისა: მირითადი ტექსტი ორივე პოემისა 5/4-5-ით არის შესრულებული: მიძღვნა „აჩრდილში“ 5/4-5-ით, „ბედი ქართლისაში“ კი — 5/5-5-ით.

აქვე გვინდა შევნიშნოთ საზომის 5/4-5-ის თაობაზე: ილიას მიერ ბარათაშვილისათვის ამ ერთ-ერთი საყვარელი საზომის, დრამატული შინაარსით დატვირთვის თაობაზე საგანგებოდ მიუთითებდნენ: აკ. განერელია, აკ. ხინთიძე, თ. დოლაშვილი. 5/4/5 – ე. წ. „ბესიური“ სულ სხვა შინაარსის გადმოსაცემად იყო მომარჯვებული ბესარიონ გაბაშვილის ლირიკაში, ბარათაშვილმა კი მას სხვა დატვირთვა მიანიჭა, მაგრამ იქნებ ისიც ვიფიქროთ, რომ ეს საზომი ბესიკის პოეზიაშიც სასულიერო მწერლობიდან აღმოჩნდა: ე. წ. „აბუკურასა“ და „ნინოს საგალობლის“ სტრიქონების მეშვეობით:

„და აბუკურა / ახალნერგი / საბანმიდისაა“.

ან: „რომელსა შინა / მგალობელნი / განმაძლიერენ“.

ან იქნებ: ბარათაშვილმა, ქართული პიმნოგრაფისა და სასულიერო მწერლობის საუკეთესო მცოდნემ, თვითონ მიაგნო ამ საზომს ბესიკისაგან დამოუკიდებლად“?

„აჩრდილის“ B ავტოგრაფში რამდენიმეგზის მეორდება სტრიქონები, რომელიც „ბედი ქართლისას“ ცნობილი ტაეპის „ნარვიდნენ წელნი მოსვენებისა“ პერიფრაზი უნდა იყოს:

„ნუ შიშობ, ველო! შენს მშვენიერ ხალხს

წარუვლენ წელი ძილის ჟამისა“.  
(თ. XXX)

„წარუვლენ ეს წელი ძილის ჟამისა“.  
(თ. XXXI)

ბარათაშვილის „წელი მოსვერებისა“ და ილიას „წელი ძილის ჟამისა“ იდენტური ცნებებია, რაც ქართველ ერს, სამწუხაროდ, დროდადრო, ხანგრძლივად ეუფლება ხოლმე.

განსაკუთრებით საყურადღებოა „აჩრდილის“ ამ ავტოგრაფის XXVI და XXVIII თავები, რომლებიც თამარ მეფეს ეძღვნება (როგორც ცნობილია, „აჩრდილის“ საბოლოო ვარიანტში ეს თავები და თამარ მეფე აღარ მოიხსენიება). „დიდი თამარი“ „აჩრდილის“ ამ ტექსტში „ქართვლის დედად“ იგულისხმება:

„გარნა თამარის ძლიერ სახელმა  
განპფანტა მტვერი საუკუნების...“

ქართველი დედის სახესთან ერთად, „აჩრდილის“ ამ ავტოგრაფის ნათესაობას „ბედი ქართლისას“ ტექსტთან ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ 1859 წელს უურნალ „ცისქარში“ (№ 10) გამოქვეყნდა პოემის მხოლოდ VI თავი („ჩვენო არაგვო...“), სათაურით „არაგვი“ (საკუთარი პოემიდან „აჩრდილი“). ილიას სტრიქონები:

„რას ვეძებდი მე?..ჩემ ქვეყნის წარსულს,  
შენ წინ დაღუპულ ჩემ ძველსა მამულს...“

ირაკლისა და სოლომონის დროინდელი არაგვისპირის აღდგენის ცდაა. საქართველოს, როგორც სატრფოს, ისე შეჰერების აჩრდილი B ავტოგრაფის მიხედვით (თ. VII):

სულ საქართველო მოჩანდა შორსა...  
და ის მოხუცი, როგორც სატრფოსა,  
თვალითა სჭამდა, თრთოლით უმზერდა  
და უფრო, უფრო გული უძგერდა...

ეს ტრფიალი, როგორც მ. ნინიძეც მიუთითებს, სამშობლოს ეკუთვნის, ხოლო ლექსში „ს...ს“, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, კონკრეტულ ქათველ ქალს, — სოფიო ლეონიძეს ეძღვნება.

სოფიო, მეტაფორულად, ქართვლის დედა, მისი კონკრეტული სახე. სხვა საქმეა, რომ ეს მეტაფორა შემდგომ, XIX ს. II ნახევარსა და XX ს-ში ქართველმა ერმა ერთგვარ სიმბოლოდ აქცია, მას საკუთარი ეროვნული თვითშეგნების გამოხატვის ფუნქცია მიანიჭა.

ქართველთა დიდი დედის – თამარის – დროინდელი ისტორიული სურათი ცოცხლდება ილიას დრამატულ პოემაში „ქართვლის დედა“, რომლის I ვარიანტს „დედა და შეილი“ უწოდა პოეტმა. „ქართვლის დედის“ საბოლოო ვარიანტში (1871) შეცვლილია ამ დრამის ეპიგრაფიც: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ ნაცვლად, არის: „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ...“ ალბათ, იმიტომ, რომ ხალხის ხმა, ჯარის სიმღერით პოემაში გამოხატული, განსაკუთრებით მოსწონდა ილიას. ავტორს სურდა, ხალხის ხმა გაეძლიერებინა და მეტად და სასტიკი ბედისწერისათვის სიკვდილის არად ჩამგდები ხალხი დაეპირისპირებინა. არა მხოლოდ ზოგადად იდეალია ფასეული და საოცნებო ავტორისათვის, არამედ, კონკრეტულად, ამ იდეალის განმახორციელებელი ქართველი.

ილიას დრამატული პოემა „ქართვლის დედა“ კლასიცისტური დრამატურგიის პრინციპებს ეყრდნობა და მისი გმირებიც: დედა და კიაზო სახე-იდეები არიან, მსჯელობა-შეფასებაზე დამყარებული. ამჟამად ჩვენ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ მსხვერპლშენირვის ობიექტის თავისებურებაზე, ერთი მხრივ, პოემა „ქართვლის დედისა“ და, მეორე მხრივ, „აჩრდილის“ ავტოგრაფის „ძღვის“ მიხედვით. თუ პოემის გმირი დედის მიერ შვილის მსხვერპლად შენირვის მოტივაცია ემთხვევა კიაზოს მიერ თვითშენირვის მოტივაციას – პატრიოტიზმს, მამულს დაცვას, მომავლის გადარჩენას, „აჩრდილში“ პოეტი შესწირავს მკითხველს თავის თხზულებას. პოეტურ სიტყვას, რომელსაც ავტორი თავის „პირმშოს“, „ძეს“ უწოდებს. „აჩრდილი“ მართლაც პირმშო, პირველი პოემა პოეტისა: პირველი ეპიური თხზულება, რომელიც, ჩვენი აზრით, „ბედი ქართლისას“ სულიერი განწყობილების გაგრძელებაა. „აჩრდილის“ B ავტოგრაფში ვკითხულობთ:

ძღვის  
მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, პირმშო ძე ჩემი  
ახლად შობილი, ნუგშის და იმედთ მომცემი!..  
იგი მოგითხობთ ჩემსა ტანჯვას და ჩემსა ფიქრსა,  
რა მამის ცრემლი ზედ ატყვია ლოყებზედ შვილსა.

უეჭველია, რომ „მამა“ პოეტია, ხოლო — „შვილი“ — თხზულება. თოთხმეტმერცვლედის 5/4/5 მისადაგება დრამატული შინაარსისათვის ილიამ პირველად „აჩრდილის“ „ძღვისაში“ 1859 წელს სცადა, ხოლო შემდეგ ამ მეტრით დაწერა პოემა „ქართვლის დედა“, სადაც ეს საზომი არის „შინაგანად მოტივირებული და მასალის სპეციფიკით განპირობებული“ (დოიაშვილი 1999: 354). ამავე საზომით არის

შესრულებული 1860 წელს ილიას დაუმთავრებელი პოემა, რომელსაც, პირობითად [\*\* „ირაკლი“] ჰქვია, შესაძლოა, მას „მამა და შვილი“ ვუწოდოთ, რადგან ფრაგმენტში მხოლოდ ეს ორი პერსონაჟი მონაწილეობს. საგულისხმოა რომ **ზაბა**, ქართვლის დედის მსგავსად, ორგვარ სიყვარულს შორის ეძიებს არჩევანს:

„სუ! ვეღარ შევძელ ორ სიყვარულთ ერთად ტარება:  
ერთი ღვთისადმი და მეორე თვით ჩემ ძისადმი“.

უკვდავებას ირაკლი იმ ნიგნში ეძებს, „რომლისაც ასო ვარსკვლავებია“. ვარსკვლავთა, მთიებთა შორის საკუთარი ადგილის ძიება რომანტიკოსთა იდეალებისაკებ გვიჩიძებს. საფიქრებელია, რომ ბედისწერისა და განგების ურთიერთდაპირისპირების პრობლემამ უბიძგა ილიას 1860 წელს, ეთარგმნა ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ ნაწყვეტები, 1859-60 წლებში კი — ლერმონტოვის „მწირი“ და სხვა რომანტიკული ლექსები. რომანტიკულ და ანტიკლასიცისტურ დრამაში, ანტიკური ტრაგედიების მსგავსად, აქტუალურია მამებისა და შვილების დამოკიდებულება, იდეალებისადმი ერთგულება. ილიას 1859-1860 წლების შემოქმედებაში ერთმანეთს გაუთანაბრდა ერის სულიერი თვალის ასახელად პოეტის მიერ საკუთარი ქმნილების მსხვერპლად შენირვის აუცილებლობა და დედის მიერ შვილის მამულისათვის მსხვერპლშენირვის გარდაუგალობა: „სიტყვისა“ და „ძის“ გათანაბრება „აჩრდილის“ ავტოგრაფსა და დრამატულ პოემებში მკითხველის სულის განწყობილების გამოწვევას ემსახურება.

ილიას ნაკლებად ცნობილი წერილი „(კარგად ნაკითხვა ნასაკითხისა)“ გვიჩვენებს, რომ მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ტექსტის მსმენელამდე მიტანის ხელოვნებას: „ხმა-შეწყობილად გამოთქმა სიტყვისა, თუ მთლად მუსიკა არ არის, მისი ერთი დარგი მაინც, რადგან მის კანონს ცოტად თუ ბევრად ექვემდებარება“. საღმრთო წერილის ეკლესიაში კითხვის ხელოვნებაზე ყურადღება გამახვილებული. ილიამ ნაკითხვის ხელოვნება თავის დრამატულ პოემაშიც „ქართვლის დედა“ გამოიკვეთა, როდესაც იგი „სამ ხმას“ დაუქვემდებარა: დედის, შვილისა და ჯარის ხმებს. „ირაკლი“ კი მამისა და შვილის ხმებს ეყრდნობა მხოლოდ, იგი დაუსრულებელი პოემაა, თარგმანსა და ორიგინალურ თხზულებას შორის ზღვარგადაულახავი. „ირაკლის“ ტექსტი ერთგვარი საფეხურია პოემა „ქართვლის დედის“ საბოლოო ვარიანტისათვის.

როგორც ცნობილია, ხელოვნების ქმნილება ჩართულია აღმქმელი სუბიექტის ცნობიერებაში. ამავე დროს, ის მონანილეობს ისტორიის ობიექტურ მსვლელობაშიც. მხატვრული თხზულება უკუკავშირშია თავის ადრესატთან და ამ ფაქტს, ჩანს, უკავშირდება მისი გამძლეობა დროში და ამა თუ იმ ეპოქისათვის (აგრეთვე — ერთი და იმავე ეპოქის ადამიანებისათვის) განსხვავებული ინფორმაციის მიზოდება.

ჩვენთვის, **XXI** საუკუნის მკითხველისათვის პოემა „ქართვლის დედის“ დასასრული მსხვერპლშენირვის, თვითშენირვის დაუსრულებელ მოლოდინად ქცეულა, რომელიც ჩვენი ერის მარადიული არსებობის აუცილებლობას განაპირობებს.

#### დამოწმებანი:

**დოიაშვილი 1999:** დოიაშვილი თ. ილიას ლექსთხულია. „ლიტერატურული ძიებანი“. **XX**, თბ.: 1999.

**განერელია 1978:** განერელია აკ. რჩეული ხანერები. ტ. II, თბ.: „მერანი“, 1978.

**ცანავა 2005:** ცანავა რ. მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მნერლობაში და ქართულ ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელური. თბ.: „ლოგოსი“, 2005.

**Кассирер 1990:** Кассирер Э. Сила метафоры. В кн.: Теория метафоры. М.: "Прогресс", 1990.  
**ნინიძე 1997:** ნინიძე გ. მადლის ხყარო. თბ.: 1997.

## ილიას ბედისწერა

ოცდაოთხი წლის ილია ჭავჭავაძე 1861 წლის ოქტომბერში წერს უსათაურო ლექს-შედევრს „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“ (დაიბეჭდა 1863 წელს, „საქართველოს მოამბის“ 1-ში), რომელშიც თემატიზებულია მისი დამოკიდებულება იმ ფაქტთან, რომ მშობელი ხალხის ერთ ნაწილს იგი სამშობლოს მოძულედ შეურაცხავს:

„ჩემზედ ამბობენ: ის სიავეს ქართვლისას ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“  
(ჭავჭავაძე 1951: 75).

რამ გამოიწვია ასეთი რისხვა ახალგაზრდა პოეტის მიმართ? ჯერ ხომ არც „კაცია-ადამიანი?!“ – ადანერილი, არც „ბედნიერი ერი“, არც „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, რომლებშიც მშობელი ხალხის ნაკლოვანებათა კრიტიკამ მწვერვალს მიაღწია. ჯერჯერობით (ამ ლექსის დაწერის დროისთვის) ილიას ხელიდან გამოსულ იმ მრავალ „ალმაშფუოთებელ“ ტექსტთაგან, რომელთაც შეძრეს ქართველობის გული და გონება, საზოგადოებისთვის მხოლოდ კრიტიკული სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შემლილი“ – ს თარგმნაზედა“ არის ცნობილი; იგი „ჩემო კალამოს...“ დაწერამდე რამდენიმე თვით ადრე გამოქვეყნდა.

„ორიოდე სიტყვაში“ უკვე მკაფიოდ იგრძნობა, რომ მისი ავტორი არამარტო ქართული ანბანის, არამედ ცხოვრების მოდერნიზაციის მოსურნეა, მოდერნის მომხრეა, რაც ყველგან და ყოველთვის წინააღმდეგობას აწყდება კონსერვატორთა მხრიდან.

ციტატა „ორიოდე სიტყვიდან“:

„რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, — ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინებსავით შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ვეღარ წავსდგამთ“ (ჭავჭავაძე 1953: 12).

სამი წლის შემდეგ „კაცია-ადამიანშიც“ ამასვე იმეორებს:

„მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი, და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შეიძლი სჯობდეს მამასა“, თორემ „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო“ — ეს ჩინეთიდამ შემოგვეპარა და რასაც ჩინეთის ფერი ადევს, ის, რასაკვირველია, დაირღვევა...“ (ჭავჭავაძე 1950: 220).

სიტყვა „მოდერნს“ ილია ჭავჭავაძე არ ხმარობს. გიორგი კანკავას დაკვირვებით, იმუამად ქართულ ენაში მოდერნის შესატყვიისი გამოთქმა ყოფილა „გამოცვლილი დრო“; მას იყენებენ „ძველებიც“ და „ახლებიც“, ოღონდ მათი დამოკიდებულება ამ მოვლენის მიმართ, ბუნებრივია, ერთმანეთისგან განსხვავებულია (გიორგი კანკავას სიტყვით, „უთუოა, რომ „ძველებმა“ სათანადოდ, მთელი სიღრმით ვერ შეაფასეს „გამოცვლილი დროის“ რაობა და მნიშვნელობა ქართველობის არსებობის თუ წარმატების საქმეში“. — კანკავა 2001: 30). მკვლევარის შეტყობით, „გამოცვლილი დროის“ ცნება მთავარია ილიას სააზროვნო სისტემაში“ (იქვე).

ყველაზე აღმაშფობოთებული ილიას ოპონენტებით ილიას ოპონენტთათვის ალპათ დევიზის — „რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათ“ — „ჩინეთის ფილოსოფიად“ (ანუ უმართებულო მოწოდებად) გამოცხადება უნდა ყოფილიყო, თუმცა ამაზე ისინი თავიანთ საპასუხო წერილებში სიტყვას არ ძრავენ, დუმილით უვლიან მას გვერდს.

(მხოლოდ ერთგან, ბარბარე ჯორჯაძის პასუხში, იგრძნობა ფარული დაპირისპირება ამ თვალსაზრისთან. მხედველობაში გვაქვს ეს ადგილი ილიას ოპონენტის სტატიის პირველივე წინადადებიდან: „...ჩვენ მოვმდინარეობთ მამაპაპათ ჩვეულებაზედ და უმაღლეს პოეზიას, გინა ფილასოფიას ვპოვებთ უმეტესად საღმრთო წიგნები...“. — ჯორჯაძე 1988: 127. ხაზგასმა ჩვენია. — ლ. ბ.).

ამ პრიციპულ საკითხზე ჭაბუკ პოეტთან მოპაექრეთა დუმილის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ „ორიოდე სიტყვის“ ბოლოს ილია ჭავჭავაძე მკაფიოდ აცხადებს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება, თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქენებით, რა პასუხს გაესცემთ შთამომავლობას?“ (ჭავჭავაძე 1953: 26-27).

ოპონენტებს შეძლოთ ეკითხათ, თუკი მამა-პაპის გზა დავაგდეთ, მამა-პაპათაგან დატოვებულ საუნჯეს როგორლა ვუპატრონოთ? რაზედაც ილიას მოუნევდა განემარტა მათთვის შინაგანი წინააღმდეგობის, ვითარცა მამოძრავებლის, მნიშვნელობა პროგრესისათვის საზოგადოდ, ხოლო, ამ შემთხვევში წინაპართაგან დატოვებული საუნჯის სათანადოდ, დროის შესაფერისად მოსავლელად და საპატრონებლად.

ყველაზე საგულისხმო ლექსში „ჩემო კალამო...“ მშობელი ხალხისა და მშობელი ქვეყნისადმი ილიას ამბივალენტური დამოკიდებულებაა. იგი არ უარყოფს, რომ მას რაღაც სძულს მის თანამედროვე სამშობლოში, ძაგრამ იქვე დასძებს, კარგი გული მაშინვე გრძნობს „ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულიან“ (ჭავჭავაძე 1951: 75). ხოლო რა სძულს და რა უყვარს მას სამშობლოში, მკაფიოდ გამოთქვა პოეტმა ამ ლექსის ავტოგრაფის მინაწერში:

„ეხლანდელი ქართველი რომ ძალიანა მძულს, ამით ვამტკიცებ, რომ საქართველო ძალიან მიყვარს“ (ჭავჭავაძე 1951: 455).

საერთოდ, ილიას უყვარს და ეხერხება ამბივალენტური, წინააღმდეგობრივი განცდების გადმოცემა, რომლებიც ახტონიმებით გამოიხატებიან და პარადოქსის ფორმა აქვთ (გავიხსენოთ „გულში რაღაც მზიანი ჩრდილი იყო“ — „გლახის ნაამბობიდან“ [ჭავჭავაძე 1950: 80], შდრ. „...და იმის მზიან ჩრდილებში...“ — „ბაზალეთის ტბიდან“ [ჭავჭავაძე 1951: 104]; ან კიდევ: „მაგრამ თუ ნაღველს მოპერს დაჩაგრულს, უუუ-ჰყრის კიდეც, ვით ღრუბელს ქარი“ — „კაკო ყაჩალიდან“ [ჭავჭავაძე 1951: 159]).

„ჩემო კალამოში“ თემატიზებული ეს სიძულვილ-სიყვარული გასდევს ბოლომდე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასაც და შემოქმედებასაც — ეს მისი ბედისწერაა. ამის გამო ამ ლექსის მნიშვნელობა განსაკუთრებულია როგორც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, ისე მთელი ქართული პოეზიისთვისაც.

მოდერნის ეპოქის („გამოცვლილი დროის“) უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მოძრაობა, ის თვისება, რითაც მოდერნი თვალსაჩინოდ განსხვავდება უძრაობისკენ, სტაგნაციისკენ მიღწეული პრემოდერნისაგან. „ორიოდე სიტყვაში“ ვკითხულობთ:

„ბაზარის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან და ჩივიან, რათა წუგეში სცეს ვინჩე, (...) ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ“ (ჭავჭავაძე 1953: 10. ხაზგასმა ჩვენია. — ლ. ბ.), ხოლო იმავე ხანებში დაწერილ, თუმცა მოგვიანებით გამოქვეყნებულ, „მგზავრის წერილებში“ იგი ამ აზრს, ანუ მოძრაობის მნიშვნელობას, ასე განმარტავს ბუნების მოვლენათა სიმბოლიკის მოშველიებით:

„დიდებულია [მყინვარი], მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ (...) არ მალელვებს, მაციებს და არ მათბობს. (...) ქვეყნის ყავანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოვებს. (...) განზედ გამდგარა, მიუკარებელია. (...) მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“ (ჭავჭავაძე 1950: 20-21).

ამრიგად, შეიძლება დაგასაკვნათ, რომ „მამების“ ბრძოლა ილიას წინააღმდეგ, არსებითად, მოდერნის წინააღმდეგ ბრძოლაა.

ოპონენტებისთვის აშკარა იყო მეორე მხარეც ილიას მსოფლმხედველობისა — მისი ლიბერალიზმი („ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი...“, დაწერს მის შესახებ მოგვიანებით გრიგოლ ორბელიანი. — ორბელიანი 1959: 151), რის გამოც ილია მიუღებელი იყო არა მარტო კონსერვატორი „მამების“, არამედ სოციალ-დემოკრატი „შეილებისთვისაც“.

იმავე, „მგზავრის წერილებში“ ვკითხულობთ:

„სიტყვაზ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩერილი, რომ მშვიდობიანობა მოაქს. ლვინო ჯერ უნდა ადულდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“ (ჭავჭავაძე 1950: 11).

მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს ის რევოლუცია არ იყო, რასაც ისინი ესწრაფოდნენ. ილიას ლიბერალიზმი, ყოველად მიუღებელი რამ იმდროინდელ სოციალ-დემოკრატათვის, მკაფიოდ ჩანს მის ამ სიტყვებში:

„...კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქავაკუთხედად უდევს არამციუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებულ წერილის რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე. (...) კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარტყელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“ (ჭავჭავაძე 1957: 279-280).

ისტორიამ საცესებით დაადასტური ილია ჭავჭავაძის ამ თვალსაზრისის მართებულობა. ამ სტრიქონების დაწერიდან თითქმის ასი წლის შემდეგ ჩვენ თვალწინ კრახით დამთავრდა კერძო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული გრანიტული ექსპრესიონიზმი, იდეოლოგიურად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მაქსიმალურად უზრუნველყოფილი საბჭოთა კავშირსა და „სოციალისტური ბანაკის“ სხვა ქვეყნებში.

\* \* \*

ბერნში გუვერნიორად მუშაობისას ახალგაზრდა ჰეგელს შვეიცარიის ალპებში უმოგზაურია და თავისი შთაბეჭდილებები დღიურში ჩაუწერია. ამ ჩანაწერებზე დაყრდნობით არსენი გულიგა წერს: „მუდმივი თოვლით დაფარულმა გოლიათმა მთებმა ჰეგელი გულვრილი დატოვა... ფილოსოფონს, რომლის აზრებიც მთლიანად დაეპყრო საუკუნის მჩქეფარე პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებას, ალპების ლანდშაფტის უძრავი დიდებულება არ იტაცებს, ის არც სიწყნარეს ექებს და არც მოსვენებას, და მთელი გულით ხარის, როცა ბუნებაში ისეთ რაღაცას აღმოაჩენს, რაც მისი აზრების დაუცხრომელ მდინარებას შესატყვისებს. ასე გახარა მან რაიხებახის ჩანჩქერის ხილვისას. აქ ყოველივე მოძრაობს, და, თუმცა გვეჩვენება, თითქმის ჩვენ თვალწინ სულ ერთი და იგივე სურათია, სინამდვილეში იგი განუწყვეტლივ იცვლება“ (გულიგა 1970: 26).

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებშიც“ ბუნების მოვლენებისადმი ასეთივე დამოკიდებულებაა გამულავნებული — ყველას კარგად გვახსოვს ქრესტომათიული „მყინვარისა და თერგის დაპირისპირება“ (ზემოთ ნანილობრივ ციტირებული).

26 წლის ჰეგელისა და 24 წლის ილია ჭავჭავაძის მსგავსმა სულიერმა განწყობამ, ბუნების მოვლენებისადმი მათ მსგავს დამოკიდებულებაშიც იჩინა თავი. ორივე ერთნაირად „კითხულობს“

ლანდშაფტს, ორივე სიმბოლოების ერთი და იმავე ლექსიკონით სარგებლობს, ორივე ბობოქარი ცხოვრებისთვის არის დაბადებული...

#### დამოწმებანი:

გულიგა 1970: გულიგა A. გეგელი. M., 1970.

კანკავა 2001: კანკავა გ. ილიას ეროვნული ცნობიერების თავისებურების გამო. ჟურნ. „საგურამო“, 2001, 1.

ორბელიანი 1959: ორბელიანი გ., თხზულებათა სრული კრებული. თბ., 1959.

ჭავჭავაძე 1951: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 1. თბ., 1951.

ჭავჭავაძე 1950: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 2. თბ., 1950.

ჭავჭავაძე 1953: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 3. თბ., 1953.

ჭავჭავაძე 1957: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 9. თბ., 1957.

ჯორჯაძე 1988: ჯორჯაძე ბ. რჩეული თხზულებანი. თბ., 1988.

## ვენერა კავთიაშვილი

### ილია ჭავჭავაძისა და გოთპოლდ ეფრაიმ ლესინგის ესთეტიკური ნაზრევის ტიპოლოგიისათვის

როდესაც ორი სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედის ესთეტიკური ნაზრევის ტიპოლოგიურობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ გარემოზე, რომელშიც მათ უხდებათ მოღვაწეობა, რადგან გარემო პირობების მსგავსება პრობლემათა და აზროვნების მსგავსებასაც იწვევს და შემდეგ – იმ კომუნიკაციებზე, რომლებიც ამ ქვეყნებსა და პიროვნებებს შორის არსებობს, თუ, რასაკვირველია, ასეთსაც აქვს ადგილი. ის, რომ გერმანია იმთავითვე საქმის კურსში იყო, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა საქართველოში, ამას მოწმობს ის ოთხი წიგნი, რომელიც მე-18 საუკუნეში საქართველოს შესახებ გერმანიაში გამოიცა. აქედან ორი წევნ მოვიპოვეთ გერმანიის ბიბლიოთეკებში. ესენია: „Geschichte des Unruhen in Persen und Georgien“ (სპარსელებსა და საქართველოს შორის შფოთის ისტორია), რომელიც 1755 წელს ფრანკფურტში გამოიცა და „Kurze Geschichte des Prinzen Heraklius und des gegenwärtigen Zustandes von Georgien“ (პრინც ერეკლესა და თანამედროვე საქართველოს ვითარების მოკლე ისტორია), გამოცემული ლაპციგში 1793 წელს და კიდევ: თავად ლესინგის ცნობილი დრამა „მინა ფონ ბარნჰელმი“, სადაც მეტად საინტერესო მიზიშნებებია საქართველოზე. კერძოდ, პიესის მთავარი მოქმედი გმირის, მაიორ ტელპაიმის მსახურ იუსტს ვახმისტრი ვერნერი ეკითხება: „Hast du von Prinzen Heraklius gehört?“ (გსმენია რამე პრინც ერეკლეზე?), ხოლო იუსტის პასუხზე – არაფერი, მეტად მნიშვნელოვანია ვახმისტრის რეპლიკა: „etnsch, ich glaube, du liesest ebensowenig die Zeitungen als die Bibel“ (ადამიანო, ვფიქრობ, ისევე იშვიათად კითხულობ გაზეთებს, როგორც ბიბლიას) (ლესინგი 1954: 52). აქედან ჩანს, რომ ლესინგისდროინდელ გერმანულ პრესაში ხშირად იძექდებოდა ცნობები საქართველოს შესახებ. ამას ადასტურებს ვერნერისავე მომდევნო მსჯელობა, იგი მეფე ერეკლეს მოიხსენიებს, როგორც „გროჩენ ელდენ“-ს – დიდ გმირს, რომელმაც „დაამორჩილა სპარსელები“ („den Persen weggenommen“) და „ამ დღეებში ოტომანთა პორტას კარიბჭესაც შელენავს („nächsten Tage die ottomanische Pforte einsprengen wird“). მას გადაუწყეტია აღმოსავლეთში წავლა, „მისი მეფური უდიდებულესობის“ (Seiner Königeleichen Hoheit) (ლესინგი 1954: 52) არმიაში ჩარიცხვა და ოტომანთა წინააღმდეგ ბრძოლა. ვერნერის მთელი ამ მსჯელობიდან ნათლად იკვეთება დასავლეთში შექმნილი სწორი აზრი ქართველთა განმათავისუფლებელ ბრძოლებზე აღმოსავლეთის ძლიერი დამპყრობლური ქვეყნების წინააღმდეგ. ამ აზრს ახმიანებს სწორედ ლესინგი და ეს არის ამ შემთხვევაში ჩვენთვის უმთავრესი.

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, იგი ზედმინევნით კარგად იცნობდა ძველი და თავისი თანამედროვე ევროპული ლიტერატურის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის და სხვა სფეროს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმომადგენლების ნაღვანს, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანს ერმანული კლასიკური ლიტერატურა წარმოადგენდა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. კერძოდ, მე-19 საუკუნეში გერმანიის კლასიკური ფილოსოფია და ლიტერატურა მთელი ევროპისა და რუსეთის მონინავე მოაზროვნეთა ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული და განსაზღვრავდა კიდევ ახალ მიმართულებებს. ბუნებრივია, ეს პროცესი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა პეტერბურგში განათლებამილებული ილიასათვის, მაგრამ ამ ინტერესს ბუნებრივად და შესაძლებელია, ქვეცნობიერადაც განსაზღვრავდა უცხოელ დამპრყორბთა მუდმივი შემოსევებითა და რუსეთის იმპერიის ძლიერი წესის ქვეშ მოქცეული საქართველოსა და ოცდაათწლიანი ომებით გაპარტახებული გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული დაკინიებით ნასაზრდოები ზნეობრივი სიმდაბლე, რამაც ამ ერების შინაგანი დაშლა-დაჭუცმაცება გამოიწვია. სწორედ ანალოგიური ისტორიული კონტექსტით გამოწვეული საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ტიპოლოგიური შესაბამისობით უნდა აიხსნას პოლდერლინისა და ილია ჭავჭავაძის მიერ საკუთარი ქვეყნების მდგომარეობის შეფასების მსგავსება. პოლდერლინის ჰიპერიონი სწერს ბელარმინს: „მნარე სიტყვაა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რადგან ჭეშმარიტებაა: მე ვერ წარმომიდგენია სხვა ხალხი, რომელიც უფრო დაფლეთილი (zerrifner) იყოს, ვიდრე გერმანელებია. ხელოსანს ხედავ აქ, მაგრამ არა ადამიანებს, მოაზროვნებს, მაგრამ არა ადამიანებს, მოძღვრებს, მაგრამ არა ადამიანებს, ბატონებს, ახალგაზრდებს და მოხუცებს, მაგრამ არა ადამიანებს. განა ეს არ ჰგავს ბრძოლის ველს, სადაც სხეულის ყველა წაკვეთი წაკუნებად ერთმანეთზე ჰყრია, მაშინ, როცა მაცოცხლებელი სისხლი მიწაში უნდა ის“ (პოლდერლინი 1966: 635). აკი ილიაც მოთქამდა, რომ საქართველოში „არაიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან და ქართველი კი არსად არის... ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გამრა...“ (ჭავჭავაძე 1991: 163, 165). ასეთ ვითარებაში ილიას შეხედულებზე არ შეიძლება ღრმა კვალი არ დაეჩნია გერმანულ ლიტერატურას, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნევი სწორედ ეროვნული მთლიანობა იყო. ამიტომაც აქტიურად იყენებდა იგი გერმანელი კორიფეების ნააზრევს და მხატვრული პრაქტიკის გამოცდილებებს. მათ შორის კი, უნინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი მიმართება გერმანული განმანათლებლობის უთვალსაჩინოებს წარმომადგენელთან – ლესინგთან. ლესინგს, როგორც „გონების საუკუნის“ შეისახავს, ადამიანობის უმთავრეს განმასაზღვრელად აზროვნება მიაჩნდა და წერდა: „დიდხანს იცოცხლო, არ ნიმნავს, რომ მრავალი წელი იცხოვრო, ხოლო დიდხანს თუ გიაზროვნია, დიდხანსაც გიცოცხლია“ (რიტცელი 1966: 320. ამას უნდა დაემატოს ბრძოლის ის უშრეტი ვნება, რამაც ჰაინრიხ ვარდენია: „იგი (ლესინგი ვ.კ.) თავისი დროის ცოცხალი კრიტიკა იყო და მთელი მისი ცხოვრება

პოლემიკას წარმოადგენდა“ (პაინე 1962: 86). ცხადია, ეს სიტყვები მთლიანად ესადაგება ილია ჭავჭავაძის პიროვნულ ხატს და ასეთი სულიერი თანაზიარობაც, გარემო პირობებთან ერთად, განსაზღვრავდა მათი აზროვნების ტიპოლოგიურობას.

ლესინგმა უკვე 24 წლის ასაკში განსაზღვრა თავისი სოციალურ-პოლიტიკური და შემოქმედებითი მიზანი, რაც მოკლედ შემდეგი სიტყვებით გამოხატა „Die edelste Beschäftigung des Menschen ist der Mensch“ (ადამიანის უკეთილშობილესი საქმე ადამიანია). ილიამაც თავისი სამოლვანეო მიზანი ადამიანებს დაუკავშირა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამომჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სულვილია“ (ჭავჭავაძე 1991: 129). ამ „გამომჯობინებისათვის“ მათი ბრძოლა თუ მეამბოხური სულისკვეთებით დაიწყო (გავიხსენოთ ილიას „მგზავრის წერილები“ და ლესინგის „სამუელ ჰერცი“ და „სპარტავი“, რომელიც ალარ დაუმთავრებია, რადგან შეიცვალა აზრი და ცხოვრების ჰუმანისტურ-დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობისათვის ადამიანთა მორალურ-ინტელექტუალური სრულქმა მიიჩნია, რამაც თავისი ასახვა პოვა კიდეც თხზულებაში „ადამიანური მოდგმის აღზრდა“. ასევე ევოლუციური გარდაქმნებისაკენ გადაიხარა მოგვიანებით ილიაც. იგი საფუძვლიანად რომ იცნობდა ლესინგის შემოქმედებას, ეს კარგად ჩანს თავის წერილებში მისი ნააზრევის ციტაციით, ხოლო სტატიაში „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ იგი წერს: „ჩვენი სწავლული, განათლებული დარვინის თეორიას ზედმინევნით გაცოდინებენ, ჰერელის ესთეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას ხელისგულივით გადაგიშლიან... ერთს პანაზინა ლექსს კი ჩვენის რომელიმე პოეტისას ვერ გაუძლვებიან, როგორც რიგია“ (ჭავჭავაძე 1991: 344) (ეს სენი ხშირ შემთხვევაში დღესაც განუკურნებელია).

ლესინგის ესთეტიკური ნააზრევის მწვერვალს წარმოადგენს მისი ორი შრომა: „ლაოკონი, ანუ ფერწერისა და პოეზის საზღვრებისათვის“ და „ჰამბურგის დრამატურგია“. „ლაოკონში“ იგი აკრიტიკებდა ბუალოსა და რასინს, მათ კვალად კი გერმანიაში ფრანგული კლასიციზმის ეპიგონ გოგშედს, როგორც საკარო კლასიციზმის თეორეტიკოსებს, რომელებსაც თავიანთი ესთეტიკის ამოსავლად აურჩევიათ პორაციუსის გამოთქმა — „upictura poesis“ (პოეზია მხატვრობის მსგავსია). ეს, უნდა ითქვას, რომ მათ მხოლოდ აპსტრაქტულ-რაციონალისტურად ესმოდათ, რაც გარეგანი ფორმის მშენებელებასა და საგნის ცალკეულ ნაწილთა პარმონიულობაში გამოიხატებოდა. ამას ლესინგმა დაუპირისპირა შინაარსის, გრძნობის, განცდის მომენტი და ამის საფუძველზე გაავლო პარალელები პოეზიასა და ფერწერას შორის. მან, მიუხედავად ასასახად გამოყენებული მასალის და საშუალებების სხვადასხვაობისა, ხელოვნებისა და ლიტერატურის ყოველი დარგის საერთო მოცანად „იდეის სახეში“ (sinliches Bild) გადმოცემა მიიჩნია, ხოლო პოეზიას უპირატესობა მიანიჭა, როგორც დინამიურს, მოძრავს, დროში განვითარებად ფერწერის სტატიკურობასთან შედარებით.

თუ გავიხსენებთ ილიას „პასუხს“ და სტატიას — „წერილები ლიტერატურის შესახებ“, იგი მთლიანად იზიარებს ლესინგის აღნიშნულ მოსაზრებებს და თავის შეხედულებებს „ლაოკონში“ განვითარებული აზრის შესაბამისად აყალიბებს. კერძოდ, „პასუხში“ წერს: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა. მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავისი იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალას ხმარობენ — მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვებსა“ (ჭავჭავაძე 1991: 34).

ლესინგი, ბუალოს თეორიის საპირისპიროდ, რომელიც საკარო ცხოვრების შესწავლას და მის ასახვას სახავდა ხელოვნების მიზნად, იღწვოდა ცხოვრებისეული მოვლენების ღრმად შესწავლისა და მისი ასახვისათვის. ამიტომაც გერმანული ლიტერატურისათვის ინგლისური და კერძოდ, შექსპირის დრამებს მიიჩნევდა უფრო სასარგნებლოდ, ვიდრე ფრანგი კლასიცისტებისათვის მიბაძვას. ილიაც ებრძოდა რა სენტიმენტალურ მიმართულებას, როგორც უვარების და არაფრის მომცემს ჩვენი ლიტერატურისათვის, მოითხოვდა ცხოვრების მორევში შექრას, მისი ავ-კარგის გამოწვილვით შესწავლას და მხოლოდ მის ასახვას ლიტერატურაში. იგი გადაჭრით ამბობდა: „თვალი ზე ზეცისა და ქვეყნის საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურ ხმათა მსმენელად, ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყვებრად და ენა ყოვლისა ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად“ (ჭავჭავაძე 1991: 31).

მხატვრობასთან შედუარებით პოეზიას იმიტომაც ანიჭებდა უპირატესობას, რომ მხატვროვბას მხოლოდ ხილულის ასახვა შეუძლია, პოეზიას კი ხილულისაც და უხილავისაც და როცა იგი კლოდ კელიუსს ეკამათება მილტონის „დაკარგული სამოთხის“ გამო, წერს: „....თუ ჩემი ხორციელი თვალის (das leibliche Auge) ხილვის სფერო იქნებოდა ჩემი შინაგანი თვალის (das innerliche Auge) ხილვის სფეროს განმსაზღვრელი, ჩემს ლირსებად ჩავთვლიდი პირველის დაპარგებს, იღონდაც ამ შეზღუდულობისაგან გავთავისუფლებულიყვანი“ (ლესინგი 1954: 246). აკი ილიაც ორ თვალს განასხვავებდა — გარეგანსა და შინაგანს, სულიერსა და ხორციელს. ამისი ბრნებინვალე მაგალითია ოთარაანთ ქვრივის უსიტყვო მწერარება, რაზეც ილია წერს: „...ამას მარტო თვალი გულისაღა თუ ხედავდა და ყური გულისა თუ ისმენდა... ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისი უღლონა“ (ჭავჭავაძე 1988: 294). იგივე აზრს არაერთგზის ავითარებს „წერილებში თეატრზე“ („გავიყარებით“, „ვეფხისტყაოსნის გმირებთან ნინოს შედარება), სადაც დაასკვნის: „ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისაო“ (ჭავჭავაძე 1991: 327).

რაკი ორივე შემოქმედისათვის მთავარი ცხოვრების ღრმა შესწავლა იყო თავისი ავ-კარგით და შემდეგ მისი მაღალმხატვრული აღწერა, ამ მოთხოვნას ისინი ბუნებრივად მიჰყავდა ტიპისა და ტიპურზე მსჯელობასთან, რადგან კონკრეტულის განზოგადების საფუძველზე ინდივიდუალურ სახეებში შეიჯლება ზოგადეკაციონიულის გამოხატვა, რაც საბოლოოდ განაპირობებს კიდეც ასეთი ნაწარმოების ადგილს მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამ აზრის დასასაბუთებლად ლესინგი მსჯელობს კორნელის

„როდიგუნაში“ კლეოპატრას სახეზე, ახასიათებს მეტისმეტად უარყოფითად და ამბობს, რომ ეს არ არის ტიპური სახე და მაღლობა ღმერთს, რომ ასეთი ქალები ათას წელიწადში ერთი თუ დაიბადებით. იგი კლეოპატრას „ცოომილ ქმნილებას“ (Mißgeschoßte) უწოდებს. ილიაც იმ აზრს ავითარება, რომ მწერალმა „რაც არ უნდა ზედმინევნით და მშვენვრად დაგვიხატოს ერთი რომელიმე ცალკე აღებული კაცი – ივანე თუ ჰეტრე. ყოველთვის უპირატესობა უნდა დაეთმოს იმას, ვინც ზოგადის გამოხატვის შემძლებელიაო. ტიპზე განსაკუთრებით საინტერესოა ილიას მსჯელობა, როცა იგი აკაცის წერილს — „ვეზხისტყაოსანი“ აანალიზებს. იგი სწორედ იმას უწუნებს პოეტს, რომ მან „ვეზხისტყაოსანის გმირები ეთნოგრაფიულ გმირებად წარმოგვიდგინაო და ასკვნის, რომ პომეროსი, რუსთაველი, შექსპირი, ბაირონი და ბარათაშვილი იმიტომ არიან „მსოფლიო გენიოსები, რომ ისინი „კაცად-კაცობის ვრცელ მიზნობრს“ სწვდებოდნენ და გამოხატავდნენ „ზოგად ტიპებს, რომლებიც „ეროვნული სამკაულით“ ინდივიდუალიზებული „ზოგადკაცობორიულ ტაქტებს“ წარმოადგენენ. ეს მოსაზრება მან ბრწყინვალედ განახორციელა საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკითაც. მან ისეთი ცოცხალი და მეტყველი ტაქტები შექმნა გარკვეული თვისებების და ხასიათების მატარებელი ადამიანებისა, რომ მკითხველის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიძეჭდნენ ლუარსაბ თათქარიძე, როგორც უქნარობის, უკიცობის, სიბნელის, უძრაობის; ოთარაანთ ქვრივის, როგორც გარჯის, აზრიანობის, პატიოსნების, სამართლაანობის; გლახა ჭრიაშვილი, როგორც გონებაშეზღუდულობის, უაზრო, თავმოუბმელი მეტყველების, ცხოვრებისაგან ფეხქვემგათელილი ადამიანის სიმბოლური სახეები.

ლესინგისა და ილიას შეხედულებათა მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა მათ ნაწერებში თეატრზე. როგორც ცნობილია, ლესინგი 1767-69 წლებში მუშაობდა ჰამბურგის თეატრში და სისტემატურად აქვეყნებდა რეცენზიებს წარმოადგენილ სპექტაკლებზე, რომლებიც ერთად შეკრებილი ცნობილია „ჰამბურგის დრამატურგიის“ სახელით. მსგავსად ლესინგისა, ილიაც 1886-92 წლებში ქართული დრამატული საზოგადოების მიერ წარმოადგენილი სპექტაკლების შესახებ აქვეყნებდა რეცენზიებს, რომლებიც ცნობილია ციკლური სახელით „ნერილები ქართულ თეატრზე“ (სულ ოცი წერილია ასეთი), რომლებიც შექებიან რეპერტუარს, მსახიობთა თამაშს და ხალხის სულიერ თუ პირვენულ დახვეწაში თეატრის როლს. ლესინგი წერდა, რომ „თეატრი მორალური აღზრდის კერა უნდა იყოს“ და ამავე დროს მშობლიური ენის სინმინდის დაცვასა და განვითარებას უნდა ემსახურებოდეს. ამ აზრს თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს ილია თავის „შინაურ მიმოხილვაში“: „სცენა იგივე შეკლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭყაფას“ (ჭავჭავაძე 1897: 275) და შემდეგ: „წერნ ჩვენს სცენას ორ ლვანლსა ვსთხოვთ. პირველი – რომ მართლა განმნიშვნელი იყოს ჩვენის ცხოველებისა, ჩვენის ჭყუის და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი და მეორე – იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავისი მშვენებითა და სიმდიდრითა“ (ჭავჭავაძე 1897: 276). თეატრის მიერ ამ როლის შესრულება კი მთლიანად დამატებულია რეპერტუარზე, რისთვისაც ორივე მოღვანის მთავარ საზრუნავს ეროვნული რეპერტუარის შექმნა შეადგენდა და როგორც ლესინგი გერმანიაში, ისე ილია საქართველოში მიიჩნევდა, რომ ვიდრე ეროვნული დრამატურგი ფეხს აიდგამდა, ისეთი ნაწარმოებები უნდა ეთარგმნათ, რომლებიც ერის ისტერესებს შეესატყვისებოდნენ და მაყურებლის ზნეობრივ სრულყოფას ხელს შეუწყობდნენ. ასევე ურთიერთს თანხვდება მათი მსჯელობა დრამატულ ხანარმოებებში ისტორიული ფაქტების გამოყენებისა და პერსონაჟების ხასიათების ძერნვის შესახებაც. ლესინგის აზრით, ტრაგედია არ არის დიალოგის ფორმით გადმოცემული ისტორია. ისტორიული მისთვის მხოლოდ სახელების ნუსხაა (Reportorium von Namen), რომელშიც თუკი შემოქმედი თავისი სიუჟეტისათვის შესატყვის სიტუაციებს და ინდივიდუალიზებისათვის ტიპაჟებს იპოვის, ... შეუძლია გამოიყენოს იგი“. ილიაც შესაბამისად წერდა: „დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვინეროს... ხოლო თუ სურს ისტორიული ლირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ... სული ეპოქისა... უნდა გადაგვიხისნას“ (ჭავჭავაძე 1991: 498). მათი აზრით, რაკი თეატრმა ცხოვრება უნდა ასახოს თავისი ავ-კარგით, ხოლო ცხოვრებაში ტრაგიკული მომენტებიც გვხვდება და კომიკურიც, ამიტომ კომედიაც ისეთსავე როლს ასრულებს ადამიანის სულის განწმენდაზე, როგორსაც ტრაგედია და ამიტომ ორივეს ერთნაირი უფლება უნდა ჰქონდეს სცენაზე, ოლონდ ეს არის, რომ კომედია „ფარსად არ უნდა იქცეს“ — ამბობდა ლესინგი. იგივე აზრს ავითარებს ილია, როცა წერს: „ყველა სიცილი“ ვერ იქნება „საგანი ხელოვნებისა“. ქვეყნად ბევრი რამ არის სასაცილო, მაგრამ ესთეტიკური გრძნობა ყველა სიცილს ვერ შეინყნარებს, თავის შევილად ვერ გაიხდისო“ (ჭავჭავაძე 1991: 314) და მკაცრად გმობს „ლაზლანდარობად გარდაქმნილ“ სიცილს.

დრამატული ნაწარმოების სრულყოფილად აღქმის საკითხში ლესინგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მსახიობს. იგი წერდა: „მსახიობი ყოველთვის ავტორთან ერთად უნდა აზროვნებდეს და ვალდებულია, სადაც ავტორი სუბიექტური მოსაზრებით შეცდომას უშვებს, მის მაგივრად იფიქროს (ლესინგი 1954: 273). ილია ლ. მესხიშვილს სწორედ იმას უქებს, რომ „შეშლილში“ გმირის როლში „შეავსო, განვითარა“ ავტოლრის ჩანაფიქრით. კერძოდ, ექიმის წინაშე, როცა ცოლი ქმარზე „ერთი სიტყვითაც არ მიანიშნებს, ეს კაცი შეშლილია, მესხიშვილმა ისეთი სცენა გაითამაშა, რომ „შესძრა მაყურებელიო“ (ჭავჭავაძე 1991: 285). რაც შექება უსტიკულაციას, რომელზეც ლესინგი ძალიან ფრთხილ და ზომიერ მიდგომას მოითხოვს, „ტარბი უსტიკულაცია აფუჭებს საქმესო“ — ამბობს იგი, ილიაც, თუმცა კ. ყიფანს უაღრესად ნიჭიერ და დახელოვნებულ მსახიობად მიიჩნევს, სწორედ იმას უნუნებს, რომ „მეტად ხშირად და უადგილო ადგილას იცის ხელების და თითების მოძრაობა“ (ჭავჭავაძე 1991: 269).

და ბოლოს გვინდა ხაზგასმით ალვინშნოთ, რომ, როგორც ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად დაძაბუნებულ გერმანიას მოევლინა ლესინგი, რომელმაც ისე გადმონერგა თავისი

ეპოქის მონინავე, უპირველესად ინგლისელ და ფრანგ განმანათლებელთა იდეები და სულისკვეთებანი, რომ მათ ახალი შინაარსი შესძინა მშობლიურ ნიადაგზე, ასევე იღლიამაც, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ დარგში, ესთეტიკის საკითხებშიც მექანიკურად კი არ გადმოჰქონდა ევროპელ მოაზროვნეთა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლესინგის ნააზრევი, არამედ შემოქმედებითად იყენებდა და ქართული სულის შესატყვისად, ახალ შინაარსს სძენდა მათ, რის გამოც სრულიად ორიგინალურ ნააზრევად გვევლინებიან ისინი.

#### დამოწმებანი:

- ლესინგი 1954:** Gotthold Ephraim Lessing. *Ausgewählte Werke*. Verlag für Fremdsprachige Literatur. Moskau: 1954.
- რიტცელი 1966:** Ritzel. *G. E. Lessing*. Stuttgart: 1966.
- ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. V, თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.
- ჭავჭავაძე 1997:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. VI, თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1997.
- ჰეინე 1962:** Heinrich Heines. *Werke in fünf Bänden*. Bnd 5., Volks Verlag Weimar: 1962.
- ჰოლდერლინი 1962:** Johann Chr. H. Hölderlin. *Sämtliche Werke, herausgegeben von Friedrich Beisner*. Stuttgart: 1966.

## ილია ჭავჭავაძე გერმანოფილური საგანმანათლებლო პოლიტიკის იდეოლოგი საქართველოში

XIX-XX საუკუნეებში ორმა ურთიერთსაპირისპირო პროცესმა — ერთი მხრივ დიდი იმპერიების მიერ მცირერიცხვან ხალხთა სახელმწიფოების დაპირისპირების ხარჯზე საზღვრების გაფართოებამ და მეორეს მხრივ პრიქით, დიდი იმპერიების კოლონიალური უღლიდან თავის დახსნამ, ბუნებრივად დააყენა ორივე ამ პროცესში მონაწილე ხალხებისათვის ეროვნული (დედაენოვანი) სკოლის პრობლემა. პირველთათვის ეს აუცილებელი იყო თავის დასაცავად კულტურულად მძლავრი ან მზარდი და მილიტარისტულად აღმატებული იმპერიის მასაიმილირებელი მექანიზმისაგან, მეორეთათვის კი გარდაუვალი — ახალშექმნილი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს კულტურული თვითმყოფადობისა და აღმავლობისათვის.

პირველთა რიგში მოხვდა საქართველო, რომელიც თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში (1801 წლიდან — 1875 წლის ჩათვლით) ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით ოკუპაციისა და ანექსიის გზით ხდებოდა რუსეთის იმპერიის ნაწილი.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის დროისათვის საქართველოში სულ ორი სემინარია არსებობდა: თბილისისა (1755) და თელავის (1782). ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801) ორივე ეს ქართული სემინარია დაიხურა და განათლების ენად 1918 წლამდე საქართველოში ფაქტობრივად რუსული იქცა.

რუსეთის იმპერიის კავკასიაში გაბატონება საქართველოს კულტურული და საგანმანათლებლო ინსტიტუტების აბსოლუტური არაეროკურენტუნაიანობის პერიოდს დაემთხვა. კულტურულად წელა, მაგრამ მაინც მზარდი იმპერიის ზენოლას საქართველო ვერ გაუძლებდა, მით უმეტეს, რომ ქართული განათლებისა და კულტურის ისეთი ტრადიციული ბურჯი, როგორიც ავტოკეფალური ეკლესია იყო, რუსულმა მართლმადიდებლობამ დაიქცევიდებარა და იქიდან ქართული, როგორც ლვთისმსახურების ენა, გამოაქვა.

სამაგიეროდ, რუსეთმა სცადა ქართველი ერის შემადგენელ ნაწილებად დაშლა და საანბანო წიგნები შეგრულად და სვანურადაც გამოსცა (მოგვიანებით ამას რუსეთის საბჭოთა იმპერიაც გამოერებს და საანბანო წიგნებისა და გაზეთების გამოცემას წამოიწყებს მეგრულად და ლაზურად), თუმცა ძ. წ. 284 წლიდან მოყოლებული ქართული ენა ქართული სახელმწიფოს და ყველა ქართველური ტომის ერთადერთი სამწერლო ენა იყო.

აგრესიულმა და უკომპრომისო რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ კავკასიაში ქართული ინტელექტუალური ელიტის დღის წესრიგში დააყენა ისეთი პრეცენდენტის პოვნის აუცილებლობა ევროპულ იმპერიათა საგანმანათლებლო სივრცეში, რომლის დაპირისპირება გახდებოდა შესაძლებელი რუსულისათვის, როგორც ეთნიკური და ლინგვისტური ტოლერანტობის, ასევე საკუთრივ პედაგოგიური თვალსაზრისით. და ასეთი პრეცენდენტი იქნა კიდეც ნაპოვნი განათლების გერმანული (რესპ. პრუსიული) იმპერიული სისტემის სახით.

როგორც უცნაურადაც არ უნდა უღერდეს, საქართველოში გერმანული სკოლისა და პედაგოგიური აზრისადმი ინტერესის გაცხოველება ოტო ედუარდ ლეოპოლდ ბისამარკის (1815-1898) სახელს უკავშირდება და არა იმდენად მის სამხედრო და პოლიტიკურ წარმატებებს, რამდენადაც კეთილშობილურ უსტის, რომლითაც მან თავისი ეპოქალური გამარჯვების დაფნის გვირგვინი უყოყმანოდ გაუყო გერმანული სკოლის მასწავლებელს.

ილია ჭავჭავაძე ამასთან დაკავშირებით წერდა: “1870 წელსა, როცა გერმანიამ თავს-ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთა და საცა შეხვდა, ბრე გადინა, სთვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთა და დაამარცხა. ამითი იმის თქმა უნდათ, რომ უხვად მოთენილმა და კარგად მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა-განათლებამ გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და ხორციელი ძალ-ლონე, რომელმაც შემუსრა საფრანგეთით. მას აქეთ გერმანიამ ახლა სხვა გზაზე იჩინა თავისი ძლევამოსილება და წინსვლა იმავე ღონისძიებით. აქაც, როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევამოსილობისა იგივ სკოლის მასწავლებელია, იგივ სწავლა და განათლება” (ჭავჭავაძე 1997: 375-376).

1889 წელს ილია ჭავჭავაძე ასე ახასიათებს გერმანელთა მიდრეკილებას სწავლა-განათლებისადმი, და თანაც არა აბსტრაქტულ გერმანელთა, არამედ საქართველოს გერმანული კოლონისტებისას:

“გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად-კი თავის მონაგარს გროშს გადასდებს, შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაპიროვას და ყველაფერს გაიმეტებს. გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა, მაძლრად ყოფნა და უტკიფრად რჩენა სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული.” (ჭავჭავაძე 1938: 351)

ის ამასვე მოითხოვს თავისი თანამემამულეებისგან, მისი მიზანი ამ “გერმანული” თვისების გამომუშავების მიღწევაა ქართველ ადამიანში. იგი გერმანელებს ქართველთა მისაბაძ მაგალითად სახავს, რადგან თბილისში მცხოვრებ ქართველთა მხოლოდ მესამედმა იცის წერა-კითხვა, ხოლო თბილისში მცხოვრებ ხალხთაგან: “წერა-კითხვის ცოდნის კვალობაზედ ყველაზე წინ არიან გერმანელი, რომელთა შორის მცოდინარი ოთხში სამია.” (ჭავჭავაძე 1938: 351)

გერმანელებს ის უწონებს შვილთა განათლებისათვის ზრუნვას:

“რაკი გერმანელისათვის ცოდნა, სწავლა-განათლება აუცილებელი საჭიროებაა, მის საეკონომიკ ანგარიშში, მის საღვანოსა და საამაგოშ შვილის გასაზრდელად სახარჯოს მოპვებას თითქმის უპირველესი ადგილი უჭირავს. ჯაფას, გარჯას იორკეცებს და, თუ ამით ვერას გამხდარა, სხვაგან იკლებს და ამ სახარჯოს კი ჰმატებს.” (ჭავჭავაძე 1938: 351-352)

ქართველებზე კი გულისტყივილით ამბობს:

“ჩვენ ყოველს ამაზედ ძალიან შორსა ვართ. ჩვენს საეკონომიკ ანგარიშში, ჩვენის ცხოვრების “ჩოტეში” შვილის გასაზრდელს სახარჯოს არავითარი ადგილი არ უჭირავს.” (ჭავჭავაძე 1938: 352)

ილია ურჩევს ქართველებს გერმანელებივით მიუდგნენ შვილთა სწავლა-განათლების საქმეს:

“ტანთ მოიკალ, ფეხთ მოიკალ, მშერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩადგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ენეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან.” (ჭავჭავაძე 1938: 353)

ილია გერმანელებს იდეალად უსახავს თავის თანამემამულებს სწორედ ამ თვისების, განათლებისადმი სწავლისა და საგანმანათლებლო საქმის ორგანიზაციის უნარის გამო, და ასეთ პროგნოზს აკეთებს გერმანელთა და გერმანიის მომავალთან დაკავშირებით:

“გერმანელი ახოვანი და ძლიერი არიან სულითა და ხორცით. ამათი მერმისი დიდია და თვალთვაზენვდენელი. მე მონია, რომ კაცობრიობა პირველობას ამათ დაუთმობს ქვეყნიერებაზე თავის დღროზე. დიდი ჯანიანი ერია, როგორც ვთქვი, სულითა და ხორცით. დიდი მერმისი მოელით.” (ჭავჭავაძე 1997: 146)

თავისთავად ცხადია, რომ საქართველო, რომელიც დაქუცმაცებული სამეფო-სამთავროებად ნანილ-ნანილ იყო ოკუპირებული და ანექსირებული რუსეთის იმპერიის მიერ, გრძნობდა რა თავისი მრავალსაუნივერსიტეტის სასულეურო საგანმანათლებლო ტრადიციასთან განუწყვეტელი კავშირის აღდგენის შეუძლებლობას, ეძებდა ახალ ორიენტირებს განათლების სფეროში. უმძიმესი პირობები, რომელშიც იმპერიის რუსიფიცირებულმა პოლიტიკამ ჩააგდო საქართველო (ქართული ეკლესის ავტოკეფალიის გაუქმება და ქართულ ენაზე ლიტურგიის აკრძალვა, ქართული სასულიერო სემინარების დახურვა, სახელმწიფო სკოლებში და გიმნაზიებში ქართული ენის ფაქტობრივი აკრძალვა და ა.შ.), როგორც ვთქვით, აიძულებდნენ ქართველ ინტელექტუალებს, ევროპისკენ მიეპყროთ მზერა და ახალი ეროვნული განათლების სისტემისათვის შესაფერისი მოდელი შეერჩიათ.

საერო განათლების სისტემის ორგანიზაციის თვალსაზრისით კი ევროპაში ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი გერმანიასა და მევეიცარიაში მიმდინარე პროცესები ჩანდა და ქართული პრესაც მაქსიმალურად ცდილობდა ამ პროცესების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მიენოდებინა ქართველი საზოგადოებისთვის.

აი რამდენიმე ნიმუში XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ყველაზე პოპულარული ქართული ქურნალ-გაზეთებიდან:

გადაღმელი (ამ ფსევდონიმის უკან იდგა ანთიმოზ ჯულელი)

“უცხო ცხოვრებიდან” — სტატია ეხებოდა ბერლინში “სასკოლო საზოგადოების დაარსებას”, გერმანელთა შორის განათლების გავრცელების მიზნით. გაზ. “დროება” 1883. XII. 13. 251. გვ. 1-2.

განსაკუთრებით აქტიურობდა ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული გაზეთი “ივერია”:

1890. 17. 06. 127:3 “გერმანიას დედათა პეტიცია” — მედიცინის შესანავლის წებართვის შესახებ: 1890. 27. 11. 252:3 „გერმანია“ — საშუალო და უმაღლესი განათლების შესახებ; 1891. 4. 04. 73:3 “გერმანია” — განათლების საქმისათვის ბერლინის მმართველობის მიერ გადადებული თანხების განაწილების შესახებ; 1892. 12. 02. 33:3-4 “გერმანია” — ქალთა განათლების საქმის შესახებ; 1893. 7. 04. 69:3 “გერმანია” — ისტორიკოსთა კრება მიუნიცენში საშუალო სასწავლებლებში ისტორიის სწავლების საკითხების შესახებ; 1893. 8. 09. 192:4 “საერო სკოლები გერმანიაში”; 1898. 31. 05. 113:1-2 “სასწავლებელი მერმისისა” — ახალი ტიპის სასწავლებლების დაარსების საკითხი ევროპაში. ასეთი სკოლები ინგლისსა და გერმანიაში; 1900. 1. 01. 1:3 “ქართველი მოსახლე ახალგაზრდობის საყურადღებოდ” — უმაღლესი საკომერციო სასწავლებლის დაარსების შესახებ ლაპიციგში; 1901. 14. 09 199:1-3; 26. 09. 209:1-4 (ფილიპე გოგიჩაიშვილი) „კერძო ინიციატივა სახალხო სწავლა-განათლების საქმეში გერმანელთა შორის”; 1902. 1. 09. 185:2-3 “საერო სკოლა პრესიაში”; 1903. 13. 04. 80:2-3 “სახალხო სასწავლებელი გერმანიაში”; 1904. 25. 04. 98:2-3 “საერო მასწავლებელთა კურსები შეეიცარიაში”. და ა.შ.

გაზეთი “ცნობის ფურცელი”:

1898. 24. 01. 436:3 შ. ფრონელი “სავალდებულო სწავლა გერმანიაში”; 1899. 11. 11. 676:3-4 ივ. კავთელი (ჯავანაშვილი) “სამაგალითო ობლების სკოლა გერმანიაში”; 1898. 19. 11. 684:4, 20. 11. 685:4 ივ. კავთელი “ვესტალოცი-ფრებელის ინსტიტუტი ბერლინში”; 1901. 28. 08. 1566:1-3; 29. 08. 1567:1-3; 1. 09. 1569:1-3; 6. 09. 1574: 1-3 პ. პატერორია “პედაგოგიური დაკვირვებანი შევიცარიაში”; 1902. 12. 04. 1779:3-4 “გერმანიის პოლიტექნიკუმების გამო”; 1902. 23-25. 1817: 3 “საზღვარგარეთელი პოლიტექნიკუმები” — გერმანიის პოლიტექნიკუმების მიღების შესახებ. და ა.შ.

1873 წელს ჯურნალ კრებულში 8: 141-166, 16: 49-94 გამოქვეყნდა ივანე მესხის გამოკვლევა “ყმაწვილების აღზრდა შევიცარიაში”.

ჩვენ საგანგებოდ შევარჩიეთ თემატურად განსხვავებული სტატიები, რათა გვეჩვენებინა, თუ როგორი ფართო იყო ქართული საზოგადოების ინტერესის სპექტრი გერმანული (და გერმანულებოვანი შეეიცარიის) საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურების ეფექტურობისა და სიახლეებისადმი.

ყოველივე ეს იბეჭდება იმ მიზნით, რომ ქართულ საზოგადოებას მიებაძა გერმანულისათვის განათლების სფეროში და აეთვისებინა მისი გამოცდილება — ეს ასე ხდებოდა კიდეც, მით უმეტეს, რომ

გერმანულ (პრუსიულ) სკოლას სანიმუშოდ სახავდნენ იმდროინდელი საქართველოს ინტელექტუალური ლიდერები, უპირველეს ყოვლისა თავად ილია ჭავჭავაძე და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ახალი ქართული სკოლისა და მეცნიერეული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი (1840-1912).

ილია გერმანულ საერო სკოლას, ისევე როგორც თავად გერმანელებს, ქართველთათვის სამაგალითოდ მიიჩნევს. მას არ აკმაყოფილებს საქართველოს საერო სკოლებში დაკანონებული სწავლების სამწლიანი კურსი და 1881 წელს მისი გაზრდის მოთხოვნისას ისევ გერმანის პრეცენდენტს იშველიებს:

“გერმანია, და ნამეტნავად პრუსია, არის ის ქვეყანა, საცა საერო სკოლის განსაკუთრებული თვისება მისხლობით გამოკვლეული აქვთ გამოჩენილთა მეცნიერთა შემწეობით, მისი თავი და ბოლო, სიგრძე და სიგანე დიდის ცოდნით და სიფრთხილით გაზომილი აქვთ; იქ საერო სკოლის განსაკუთრებული საქმე იმდენად ძნელად და სამძიმოდ აქვთ აღიარებული და ცნობილი, რომ მისი კურსი ხუთისა და ექვსის, ზოგან რვა წლის მიზანით არის ხოლმე. თუ იქ, საცა, რაც უნდა ვსთქვათ, ერის გონიერივი და ქონებრივი ყოფა-ცხოვრება გაცილებით ჩვენზედ მეტია და უკეთესი, საცა, ერი უფრო მიხვედრილია და გონება-გახსნილი, საცა დახელოვნებული და კარგად მომზადებული ოსტატები მრავალია და მაშასადამე, საცა, ყოველ ამ მიზეზით, სკოლის საქმე უფრო გაადვილებულია, ხუთს წელიწადზედ არანაკლებ ახმარენ საერო სკოლის პირდაპირ დანიშნულებას, — ნუთუ ეს ჩვენში ეს სამი წელიწადი, ეს მოკლე ხანი, იმისთვისაც საკმარისია, რომ საერო სკოლამ თავისი პირდაპირი დანიშნულებაც აასრულოს და რუსული ენაც იმოდენად აცოდინოს ბავშვს, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შესძლოს?” (ჭავჭავაძე 1938: 225).

ილია ჭავჭავაძის მიერ განათლების სფეროში აღებულ გერმანოფილურ კურსს, როგორც იმ დროისათვის ერთადერთ სწორ ორიენტირს, ისეთი ავტორუტეტული მომხრე და მიმდევარი გამოუჩნდა, როგორიც იყო იაკობ გოგებაშვილი. იაკობმა ილიასეულ არგუმენტებს რუსულთან შედარებით გერმანული საგანმანათლებლო სისტემის უპირატესობის დამადასტურებელი ახალი, და რაც მთავარია, არანაკლებ მნიშვნელოვანი არგუმენტები მოიყვანა.

უპირისპირდებიდა რა რუსეთის აგრესიულ და უკომპრომისო რუსიფიკატორულ პოლიტიკას კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში, იაკობ გოგებაშვილი რუსეთის ასეთ შევინისტურ პოზიციას განათლების სფეროში ადარებდა და ამსგავსებდა ავსტრიელთა გამოცდილებას და სანიმუშოდ ისიც გერმანულ (რესპ. პრუსიულ) სკოლას მიიჩნევდა:

“ავსტრია და პრუსია ორს სხვა-და-სხვა გვარს წესს მისდევდნენ უცხო-თემელების განათლებაში. ავსტრია ხმირად წინააღმდეგობას უწევდა პირველ-დაწყებითს სკოლებში დედა-ენის სწავლებას და ცდილობდა, რაც შეიძლება ადრე დაეწყოთ ნემცურს ენაზედ სწავლება. პრუსია კი დედა-ენას ყოველ-გვარს უფლებას აძლევდა და ითხოვდა კიდეც რომ სწავლა ყოველს სახალხო სკოლაში ბავშვების დედა-ენაზედ ყოფილიყო. და რა მოხდა? ავსტრიამ ამ გვარის მოქმედებით არამც თუ თავის წადილი ვერ შეასრულა და თავის ქვეშევრდომი უცხო ხალხები ვერ გაანემცა, არამედ უფრო აუყარა გული ნემცობაზედ. პრუსიამ კი მჭიდროდ დააკავშირა ქვეშევრდომი უცხო-თემელები.” (გოგებაშვილი 1955: 243)

სწორედ ამ თვალსაზრისით, ე. ი. საერო სკოლებში დედა-ენაზე სწავლების აუცილებლობის დასასაბუთებლად, არა მარტო ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი, არამედ მთელი ქართული პედაგოგიური აზრი მიმართავს პრუსიას და გერმანულებოვანი შვეიცარიის გამოცდილებას. საქართველოში ენევიან ჰერნის პესტალოცის, ფრიდრიხ ფრებელის, ფრიდრიხ ადოლფ დისტერვეგის, კარლ რიხტერის და სხვათა პედაგოგიური წაზრევის პოპულარიზაციასა და გათავისებას.

საერო სკოლებისთვის, პირველ რიგში დაწყებითი კლასებისთვის ქართული სახელმძღვანელოების შედგენისას იაკობ გოგებაშვილი ითვალისწინებს სინქრონიაში არსებულ საუკეთესო გერმანული სახელმძღვანელოების ავტორების, კერძოდ კლაუველისა და შინდლერის გამოცდილებას.

1896 წელს თბილისში ქართულად გამოდის პესტალოცის მთავარი პედაგოგიური თხზულება, რომანი “ლინგარდი და ჰერტრუდა”, თარგმნილი პედაგოგი ივ. როსტომაშვილის (1852-1924) მიერ. იმავე წელს გამოდის ერნსტ ბერნეს “აღზრდა შეილისა, პედაგოგიური ნერილები დედასთან ერნსტ ბერნეს” და სხვ.

ინერება საგანგებო გამოკვლევები: “ჰერნის პესტალოცი, როგორც კაცი და პედაგოგი” (ვ. ალგანდაშვილი, ჟ. “მოგზაური” 1903, 5-6: 347-355), “ფრიდრიხ ფრებელი” (ალ. ნათაძე ჟ. “პედაგოგიური ფურცელი”, 1905, 6: 12-18) და სხვ.

ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ ილია ჭავჭავაძის პოზიცია საქართველოს გერმანული კოლონისტებისა და კერძოდ მათი დამოკიდებულების მიმართ სწავლა-განათლებისადმი. გერმანელი კოლონისტები საქართველოში XIX საუკუნეში, 1817-1819 წლებში იქნენ გადმოსახლებულნი და მათ აქ რვა კოლონიას ჩაუყარეს საფუძველი. გერმანელი კოლონისტები ძირითადათ ლუთერანები იყვნენ, მაგრამ მათ შორის სექტების (“სეპარატისტები”) იგივე “ჰილიასტები” ანგარიშგასანევი რაოდენობაც იყო, ეს უკანასკნელები საქართველოსკენ (რესპ. კავკასიისკენ) მისისწრაფოდნენ, როგორც აღთქმული მინისკენ “ქვეყნიერების დასასრულისგან” თავდასასწრელად, მათი რელიგიური ლიდერის იუნგ-შტილინგის (1740-1818) წინასწარმეტყველების თანახმად. (მანჯგალაძე 1968: 155)

რაც შეეხება ლუთერანებს, მათი მისიონერების პირველი გამოჩენას საქართველოში XVI ს. მეორე ნახევარში ჰქონდა ადგილი (მარტინ კრუსიუსი, სტეფანე გერლაზი, იაკობ ანდრეა და სხვ.) და თავიდან მათ, როგორც ჩანს, საკმაო წარმატებითაც უმოღვანიათ.

ამ წარმატების მიზეზი ისევ ქართველთათვის ესოდენ მტკივნეულ პრობლემას, დედა-ენაზე სწავლებას უკავშირდება — საქართველოს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთში, რომელიც იმ დროს თურქების მიერ იყო ოკუპირებული, ოფიციალურად იკრძალებოდა ქართულენოვანი მღვდელმსახურება (ქართველ მართლმადიდებლებს მხოლოდ ბერძნულად უნდა ეწარმოებინათ ლიტურგია, ქართველ კათოლიკებს მხოლოდ სომხურად), ლუთერანებზე ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა, გარდა ამისა, ლუთერანობა პრინციპული მომხრე იყო ლიტურგიის ეროვნულ ენაზე ჩატარებისა, რაც მას ქართული ენისა და ეთნიკური თვითმყოფადობის მხსნელის ფუნქციას ანიჭებდა ხსენებულ რეგიონში (ჯავახია 2005: 146). პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებამ ლუთერანობის გავრცელებას აღარ შეუწყო ხელი.

საქართველოში ლუთერანობის გადმოსახლების შემდეგ ქართველთა ინტერესი ლუთერანობისადმი უფრო პედაგოგიური ნიშნით არის აღეჭვდილი, ვიდრე თეოლოგიურით ან რელიგიურით.

1884 წელს უურნალ “ივერია”-ში ქვეყნდება გადაღმელის (ანთიმოზ ჯულელი) სტატია “ლიუტერი, როგორც პედაგოგი” (“ივერია” 5-6: 127-150)

1820 წელს თბილისში დაარსდა ლუთერანული სკოლა, რომელმაც 1919 წლის ივნისში თავისი 100 წლისთავი იზეიმა (კუტალია 1993: 217; კუტალია 2004: 33). ლუთერანული სკოლები საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის მიერ მისი ოკუპაციისა და ანექსიის (1921 წ.) შემდეგ დაიხურა.

ლუთერანულ სკოლებს თბილისის გუბერნიაში პასტორები უწევდონ კურატორობას, როგორც ეს საერთოდ იყო მიღებული. თავდაპირველად პასტორებად ბაზელის სამისიონერო ინსტიტუტეს კურსდამთავრებულებს ნიშავდნენ (კოლონისტების წრიდან), XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნით კოლონისტები უკვე დერპტში აგზავნიდნენ თავის ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მისაღებად და პასტორად მოსამზადებლად. (კუტალია 1993: 214; კუტალია 2004: 31).

ორკლასიანი სამრევლო ტიპის გერმანულენოვანი სკოლის (სასწავლებლის) დამთავრების შემდეგ გერმანულ კოლონისტთა ბავშვები, ისევე როგორც მათი ქართველი თანატოლები რუსულენოვან სკოლებსა და გომზაზიებში აგრძელებენ სწავლას და ისინი ერთნაირად გამოცდიდნენ ხილმე საკუთარ თავზე განსხვავებას რუსულ და გერმანულ (რესპ. პრუსიულ) სასკოლო განათლების სისტემებსა და პრინციპებს შორის.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გერმანული სასკოლო და საუნივერსტეტო განათლების სისტემებისადმი განსაკუთრებული სიმპათია ქართულ ინტელექტუალურ წრეებში, სწრაფვა ახალგაზრდობა სასწავლებლად სწორედ გერმანულ უნივერსიტეტებში გაეგზავნათ სწავლის მისაღებად და ქართველ მეცნიერთა, მათ შორის 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებელთა უმრავლესობის ორიენტაცია გერმანულ სამეცნიერო სკოლებზე, შეიძლება დახასიათდეს, როგორც ინტელექტუალური გერმანოფილობა, რამაც XX საუკუნის დასახურისათვის რუსეთის იმპერიის უდლისაგან საქართველოს დახსნისათვის მოღვაწე ეროვნულ ძალებში პოლიტიკური გერმანოფილობის შეუქცევადი სახე მიიღო. თუმცა, ეს უკვე სხვა გამოკვლევის საგანია.

#### დამოწმებანი:

**გოგებაშვილი 1955:** გოგებაშვილი ი. თხზულებანი 10 ტომად, ტომი პირველი, თბილისი: “ინსტიტუტის გამომცემლობა”, 1955.

**კუტალია 1993:** კუტალია გ. მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1993.

**კუტალია 2004:** კუტალია გ. ნარკვევები და მოგონებები, თბილისი: “მერიდიანი”, 2004.

**მანჯგალაძე 1968:** მანჯგალაძე გურამ, სექტანტური მოძრაობა ამიერკავკასიის გერმანულ კოლონისტებში, კრებული “რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში”, თბილისი, 1968.

**ჭავჭავაძე 1938:** ჭავჭავაძე ი. პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი: “სახელმწიფო გამომცემლობა”, 1938.

**ჭავჭავაძე 1997:** ჭავჭავაძე ი. ამას ვამბობ და ვლალადებ, ქუთაისი: “ს.ს. სტამბა”, 1997.

**ჯავახია 2005:** ჯავახია შ. საქართველოში ლუთერანობის გავრცელების მცდელობის ისტორიიდან, უურნალი: “კრიტერიუმი”, 2005.

**ილია ჭავჭავაძე და მისი თანადროული  
გერმანული პოეზიის თარგმანები**

ილია ჭავჭავაძე სტუდენტობის პერიოდიდან იყო დაინტერესებული და თარგმნიდა გერმენულ პოეზიას. ილია იყო ფრიდრიხ შილერის, ჰაინრიხ ჰაინეს, იოპან გოეთეს ლექსების პირველი ქართველი მთარგმნელი.

ილიას ეკუთვნის ცნობილი გერმანელი რომანტიკოსი პოეტის, ფრიდრიხ რიუკერტის (1788-1866) ლექსების პირველი ქართული თარგმანები. ილიას 1859 წლის 18 იანვარს პეტერბურგში უთარგმნია ლექსი უსათაუროდ “ჩრდილნი მაღალ მთებისა”. ლექსის ხელნაწერი ავტოგრაფი შენახულია 108 (); 17 501 (C). სათაურის ქეშ ილიას მიუწერია “რიუკერტით”, თარილიც თვითონ დაუსვამს: “1859-სა წელსა, 19-სა იანვარს, ს. პეტერბურლი”. (ჭავჭავაძე 1988: 669-670) ლექსი გამოქვეყნდა “ივერიაში”, ხოლო 1892 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებების პირველ ტომში (ჭავჭავაძე 1892: 48).

ლექსი, რომელსაც ილიამ თარგმანში “ჩრდილნი მაღალ მთებისა” უწოდდა პირველი სტრიქონის ანალოგით, გერმანიაში პირველად 1835 წელს გამოქვეყნდა ქ. შტუტგარტში, ხოლო 1838 წელს შევიდა რიუკერტის რჩეული თხზულებების მეხუთე ტომში. ლექსს ჰქვია “საღამოს მგზავრული” **“Abendlied des Wanderers”**, მეორე ვარიანტით: **„Wanderers Abendlied.“**

**Abendlied des Wanderers**

Wie sich Schatten dehnen  
Vom Gebirg zum See,  
Fühlt das Herz ein Sehen  
Und ein süßes Weh.

Wie die Möven fliegen  
Fluter uferwärts,  
Möchte ich nun mich schmiegen  
An ein treues Herz.

Froh im Morgenschimmer  
Zieht ein Wanderer aus,  
Aber abends immer  
Möchte er sein zuhause (რიუკერტი: 1835: 124).

ამ ლექსის ილიასეული თარგმანი თავისებურ თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს.

\*\*\*

**(რიუკერტისა)**

ჩრდილნი მაღალ მთებისა  
აგერ წყალზე გადმოვლენ  
და გუნდი ბატებისა  
თეთრად შორსა აღმოჩნდნენ.  
სიჩუმეა... დალლილად  
მკერდში სუსტად გული ჰსცემს...  
ან მეგობარს რარიგად  
მაგრად მივაპყრობდი მკერდს!  
გზაზედა სიხარულით  
გამოდის მგზავრი დილით,  
მაგრამ კი საღამოჟამს  
შინ ნატრობს განსვენებას. (ჭავჭავაზე 1988: 24)

როგორც ვხედავთ, ლექსის სათაური არ არის თარგმნილი. თავისთავად ცხადია, რომ ილიას ლექსის თარგმანისას სათაურის თარგმნა არ გაუჭირდებოდა. ვფიქრობთ, მან საჭიროდ არ ჩათვალა ლექსის სათაურის თარგმნა, რადგან ეს ლექსი იდეურად უფრო ფართო შინაარსის მომცველია, ვიდრე მგზავრის სიმღერა. ცნობილია, რომ ილია თარგმანის დროს გარკვეული თავისუფლების მომხრე იყო. 1858 წელს ილიას უთარგმნია ფრიდრიხ შილერის ბალადა “Des Mädchens Klage” ბალადის სათაური ილიას არ უთარგმნია და მისთვის დაურქმევია “ცრემლთა შინა ნუგეში,” რაც შილერის ბალადის ფინალის ბოლო სტრიქონების ანალოგითაა გადმოღებული.

“ბალადის როგორც სათაური ასევე, ფინალური ორი სტრიქონი ილიას მხატვრული მიგნების გენიალურ უნარზე მეტყველებს და ორიგინალში ღრმა წვდომის გარეშე ბალადის ძირითადი არსის

ასეთი ლაკონური და ბრძნული გააზრება ალბათ შეუძლებელი იქნებოდა”, — მიიჩნევს მკვლევარი ჯ. გაგნიძე (გაგნიძე 1979: 76.).

თარგმანი მიჰყება ორიგინალს. რიუკერტისეული ლექსი ჯვარედინი რითმით არის დაწერილი. ჯვარედინი რითმა არის შენარჩუნებული ილიას თარგმანშიც. ლექსი დაწერილია ექვსმარცვლიანი საზომით, ილიას თარგმანში საზომი შვიდმარცვლიანია, როგორც ჩანს, თარგმანი მაქსიმალურად დაახლოებულია დედნისეულ საზომს. ლექსი სამ სტროფიანია, სტროფების რაოდენობა თარგმანშიც ზუსტად არის დაცული, თუმცა სტრიქონები ილიასეულ თარგმანში ხშირად არის ადგილშეცვლილი.

პირველი ორი სტრიქონის შინაარსი ასეთია:

“როგორ იწელება ჩრდილი მთიდან ტბაზე.”

ილიას უთარგმნია:

“ჩრდილი მაღალ მთებისა  
აგერ წყალზე გადმოწვნენ.”

ილიას ზუსტად და პოეტურად უთარგმნია გერმანული “dehnen” — განელვა, ჩრდილის განელვის მაგიერ მან „გადმოწვნენ“ უფრო შესაფერისად მიიჩნია, თუმცა გერმანული „დერ შეე (zum See)“ — ქართულად ტბა ილიას რატომდაც უთარგმნია როგორც „წყალზე“, თუმცა თარგმანში მარცვალი არ დააკლდებოდა და არც უდერადობას შეუშლიდა ხელს ნაცვლად „წყალზე“, ტბაზე რომ ყოფილიყო.

რიუკერტის ლექსის შემდეგი ორი სტრიქონი:

“Fühlt das Herz ein Sehen  
Und ein süßes Weh“.

“გულს ავსებს ნაღვლითა და ტკბილი ტკივილით” ილიასეულ თარგმანში გამოტოვებული ან გადაადგილებული ჩანს, ხოლო მის ადგილს იკავებს მეორე სტროფის პირველი ორი სტრიქონი:

“როგორ დაფრინავენ თოლიები, ფარფატებენ ნაპირზე”  
ილიას უთარგმნია:

“და გუნდი ბატებისა  
თეთრად შორსა ალმოჩნდნენ”.

აქ საქმე გვაქვს თავისუფალ თარგმანთან. გერმანული „ჯვენ“, თოლიები ილიას უთარგმნია „გუნდი ბატებისა“, ხოლო სტრიქონი „ლუტერ უფერნლტს“ ფარფატებენ, ფრენენ ნაპირზე ილიას უთარგმნია არა პირდაპირ შინაარსობლივად, არამედ თავისებური პოეტური ინტერარეტაციით, მაგრამ შინაარსთან ახლოს.

ვფიქრობთ, ილიას მეორე სტროფის პირველი და მეორე სტრიქონები

“სიჩუმეა... დალლილად  
მკერდში სუსტად გული ჰსცემს...”

რიუკერტისეული პირველი სტროფის მესამე და მეოთხე სტრიქონების

“Fühlt das Herz ein Sehen  
Und ein süßes Weh“.

“გულს ავსებს ნაღვლითა და ტკბილი ტკივილით” თავისებური და თავისუფალი ინტერპრეტაციაა, სადაც მხოლოდ გულის ნაღვლიანი განცდებია რიუკერტის დედანთან ახლო კავშირში, ხოლო სიჩუმე და დაღლა ილიას თავისუფალი თარგმანის შედეგია.

ორიგინალის მეორე სტროფის მესამე-მეოთხე სტრიქონების შინაარსი ასეთია:

“მინდა ერთგულ გულს მივეკრა”,

ილიას უთარგმნია:

“ან მეგობარს რარიგად  
მაგრად მივაპყრობდი მკერდს”.

გერმანული სიტყვა “schmiegen” — ქართულად — მიკვრა, მოხუტება ილიას პოეტურად სავსებით გამართლებულად და შესაბამისად უთარგმნია „მივაპყრო“, თუმცა რიუკერტისეული „treues Herz“ — ერთგული გული ილიას უთარგმნია, როგორც მეგობრის მკერდი.

მესამე სტროფის თარგმანი ყველაზე ახლოს არის ორიგინალთან. რიუკერტთან ვკითხულობთ:

“გარიურაჟზე (დილის სუსტ შუქზე) გამოდის გახარებული მგზავრი, მაგრამ საღამოს მუდამ სურს შინ ყოფნა”.

ილიას უთარგმნია:

“გზაზედა სიხარულით  
გამოდის მგზავრი დილით,  
მაგრამ კი საღამოჟამს  
შინ ნატრობს განსვენებას”.

როგორც აღვნიშნეთ, ლექსის თარგმანი არ არის ორიგინალისაგან ძალზე დაშორებული, თუმცა გარევეული თავისუფლება თარგმანის დროს აშკარაა. კერძოდ, “Morgenschimmer” – გარიურაჟი, დილის სუსტი შუქი, ილიას გადმოუტანია, როგორც დილა, დანარჩენი მთლიანად მიჰყება დედანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრიდრიხ რიუკერტის ამ ლექსის ილიასეული თარგმანის შესახებ დღემდე არ ყოფილა საგანგებო მსჯელობა ქართულ მეცნიერებაში. უფრო მეტიც, ილია ჭავჭავაძის ოცტომეულის მესამე ტომში, სადაც ილიას აღნიშნული თარგმანია გამოქვეყნებული, შენიშვნებში (გვ. 670) არასწორედ არის მითითებული, რომ თითქოს ფრიდრიხ რიუკერტის ნამდვილი გვარი ფრამუნდ რაიმარი იყოს. სინამდვილეში, როგორც აღვნიშნეთ, ფრიდრიხ რიუკერტი ფრამუნდ რაიმერის ფსევდონიმით აქვეყნებდა ნანარმოებებს ნაპოლეონის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე დიდი ნოვატორი და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. ეს ითქმის არა მხოლოდ ორიგინალური ნანარმოებების შექმნის ნიჭის, არამედ იმ ნიჭზეც, რომ ილიას ძალზე ადვილად შეეძლო სხვისი ნიჭის, განსაკუთრებულობის, გამორჩეულობის შეცნობა. ცნობილია, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ სათაურის პირველი იდეურ-ფილოსოფიური გააზრება, ილია ჭავჭავაძემ განიხილა პირველმა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, ხოლო ლექსში „ვაჲ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“ ილიამ დაინახა ეკლესიასტესეული „ამაღება ამაოთა“, რითაც ეს ლექსი სოციალურ უთანასწორობაზე უფრო მაღალ იდეას დაუქვემდებარა. სწორედ ილიამ ამოიცნო ბარათაშვილის გენია, გზა დაულოცა ვაჲა-ფშაველას და სხვა. რაც შეეხება გერმანულენოვან ავტორებს, როგორც უკვე აღვნისნეთ, ქართულ ენაზე პირველად ილიამ აამეტყველა ჰაინრიხ ჰაინრიხს, გოეთეს, შილერისა და სხვა ცნობილი პოეტების შემოქმედება.

უდავოდ საინტერესოა თავადის, რომ გერმანული პოეტი ფრიდრიხი რიუკერტი მის სიცოცხლეშივე ითარგმნა ქართულად და ისიც, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის რიუკერტის პირველი თარგმანები. ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის ილიასეული თარგმანის მნიშვნელობას.

იმის გასარკვევად, გერმანული ენიდან თუ არა ილიამ ეს ლექსი, პირველ რიგში, საინტერესოა, იცოდა თუ არა მან გერმანული ენა. მეცნიერთა შორის ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთგვაროვანი აზრი. მკვლევართა ნანილი ფიქრობს, რომ ილიამ არ იცოდა გერმანული ენა, ხოლო ნანილის აზრით, „ილია გერმანულ ენას იმდენად ფლობდა, რომ შეეძლო ნანარმოებები უშუალოდ გერმანულიდან ეთარგმნა“ (კალანდაძე 1965: 337).

თბილისში სწავლის დროს 1848-1851 წლებში ილია სწავლობდა გერმანელი მასწავლებლის, ჰაკეს ანსიონში, 1852 წელს ილია სასწავლებლად გადავიდა გიმნაზიაში, მაგრამ კვლავაც ჰაკეს სახლში ცხოვრობდა. გარდა ამისა, არსებობს ილიას მინაწერები სხვადასხვა წიგნის გერმანულენოვან ციტატებზე, ილია გერმანულ ენაზე იღებდა ცნობილი ქართველოლოგის, ავსტრიელი მკვლევრის ჰუგო შუხარტის ნერილებს. ეს და სხვა ცნობები ილიას გერმანულ ენასთან კავშირზე მიუთითებს. საკითხს იცოდა თუ არა გერმანული ენა ილიამ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დოქტორმა ვ. კავთაშვილმა. იგი ფიქრობს: “ილიას შეეძლო ყველა სახის ლიტერატურის კითხვა გერმანულ ენაზე. ამას უთურდ გვაფიქრებინებს ისიც, რომ ილიას თარგმნილი ჰაინრიხ სორიგინალიდან შესრულებული ჩანს. ყოველ შემთხვევაში, მთარგმნელს საკონტროლო შედარება მაინც უნდა მოეხდინა დედანთან”. (კავთაშვილი 1978: 33).

ფრიდრიხ შილერის ბალადის “ცრემლთა შინა ნუგეში” ილიასეული თარგმანის გერმანულ დედანთან სიახლოვეზე და მანამდე არსებულ ერთადერთ რუსულ უუკოვსკისეულ თარგმანთან ორიგინალისა და ილიას თარგმანის შეპირისპირებით მკვლევარი ჯ. გაგნიძე ასკვნის, რომ ილიას არ უსარგებლია შილერის ბალადის იმ დროისათვის არსებული ერთადერთი რუსული თარგმანით.

“შილერის ბალადის ქართული და რუსული ციტირებული ტექსტების ურთიერთშეჯვრება, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ილიას სხენებული რუსული თარგმანით არ უსარგებლია... თარგმანი უშუალოდ გერმანული ორიგინალიდან მომზადდა” (გაგნიძე 1979: 75).

თარგმანი შემოქმედებითი პროცესია, ამიტომ იგი ხშირად განსხვავდება ორიგინალისგან. ილიას მიერ თარგმნილი რიუკერტის ლექსი “საღამოს მგზავრული” არ არის არც შინაარსობლივად, არც იდეურად და არც ფორმის მხრივ ორიგინალისაგან დაშორებული. ლექსში სათანადოდაა გადმოტანილი პოეტის სულიერი მდგომარეობა, შინ, სახლში ყოფნის სურვილი, რაც, როგორც ჩანს, რიუკერტს საკმაოდ ხშირად უჩნდებოდა, რადგან ბევრს მოგზაურობდა და სხვადასხვა ქალაქში უწევდა ცხოვრება. ეს განცდა კი, როგორც ჩანს, სრულიად შეეფერებოდა პეტერბურგში მყოფი ილიას განწყობას (ეს ლექსი ილიამ პეტერბურგში თარგმნა).

1859 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა რიუკერტის კიდევ ერთი ლექსი “კარებთან”

### “Vor den Thüren“

Ich habe geklopft an des Reichtums Haus!  
Man Reicht es mir einen Pfenning zum Fenster heraus.

Ich habe geklopft an der Liebe Thür!  
Da standen schon funfzehn andere dafür.

Ich klopfte leise an der Ehre Schloss;  
„Hier thut man nur auf dem Ritter zu Ross“.

Ich habe gesucht der Arbeit Dach;  
Da hörte ich drinnen nur Weh und Ach!

Ich suchte das Haus der Zufriedenheit;  
Es kannte es niemand weit und breit.

Nun weis ich noch ein Häuslein still,  
wo ich zuletzt anklopfen will.

Zwar wohnt darin schon mancher Gast,  
Doch ist für viele im Grab noch Rast.

(რიუკერტი 1837: 221)

უნდა ალინიშნოს, რომ ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა 1816 წელს. აღნიშნული ლექსი შესულია რიუკერტის რჩეულ თხზულებებში (ტომი მეხუთე, 1838 წ).

“კარებთან”, ასეთი სათაურით უთარგმნია გიორგი ერისთავს რიუკერტის ლექსი ქართულ ენაზე 1859 წლის 7 იანვარს სოფელ გიორგიანში ყოფნის დროს და იგივე ლექსი 26 ივლისს უთარგმნია ილია ჭავჭავაძეს თბილისში.

### გიორგი ერისთავისეული თარგმანი

#### “კარებთან”

(რიუკერტით)

“იმ დიდრის კართან მივედი, აგებ საუნჯე მოეცა,  
დიდხანსა ვრეკდი კარებსა, ფანჯარით ფეხთ გროში დამეცა.

სიყვარულისა კარებსა თუმც შესავალად ვიწიე,  
მაგრამ მეტისა ხალხისგან შიგნით კი ვერ შევაწიე.

მიველ სასახლეს, სადაცა დიდება განისვენებდა,  
მაგრამ საბრალოს, მითხარით, მე იქ ვიღა შემიშვებდა.

შრომისა სახლსა რა მიველ, ჭმუნვითა იყო მოცული,  
თავი რა შევყავ, მეც შევკრით, დავბრუნდი შეშინებული.

ბენიერების სასახლე, ბევრჯელ მე სიზმრად მეჩვენა,  
თუმცა ვეძებდი ფხიზელი, მაგრამ გზა არვიზ მაჩვენა.

ერთი-ლა დამრჩა კარები, ჯერ ის არა მაქვს დაცდილი:  
საფლავს თუმც ბევრნი სტუმრობენ, მაგრამ აქვს ჩემთვის ადგილი”.  
(ერისთავი 1936: 52).

### ილასული თარგმანი

#### “კართა თანა”

(რიუკერტისა)

“სიმღიდორის კარი ვარაკუნე დიდხანსა მეცა,  
ფინჯრიდამ გროში ტრიალით ჩემ ფეხ წინ დაეცა.  
სიყვარულის სახლს ვერ მიუველ მე კარამდისა,  
ისე ჭედით გუგუნებდა იქ გროვა ხალხისა.

დავკარ ციხის კარს, სადაც კაცის დიდება სცხოვრობს:  
“ქვეითი ხარო, არ გაგიღებთ, იქ მითხრეს, კარებს”.  
შრომის სახლიდამ კვნესის ხმანი მე მომესმოდა  
და მე იქ შესვლა საშიშრადა მეჩვენებოდა.

ბედნიერების სახლის ქვეყნად დავიწყე ძებნა,  
და ვერცვნა იმისკენ გზა მე ვერ მოჩვენა.  
ერთი სახლიღა დამრჩენია ეხლა საწყალსა,  
აქაც გამოვცდი, ჩამოვრეკავ კარისა ზარსა;  
იქ კი უთუოდ, — თუმც სტუმარი ბევრი ჰქავს საფლავს, —  
ვპოვებ საწყალი ჩამთვისაცა მცირედსა ალაგს". (ჭავჭავაძე 1988: 44)

ძალზე საინტერესოა თავად ის ფაქტი, რომ ცნობილი გერმანელი პოეტის ლექსი მის სიცოცხლეშივე ითარგმნა ქართულად და ისიც, რომ ქართულ ენაზე ერთი ლექსის ორი თარგმანი ერთსა და იმავე წელს არის შესრულებული. სანამ თარგმნებს განვითლავდეთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრიდრიხ რიუკერტის ლექსზე "კარებთან" ორმა სხვადასხვა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა. ფრიდრიხ ჰაინრიხ ტრიოოფმა (1838-1919) ამ ლექსზე შექმნა საგუნდო ნანარმობი, ხოლო რიხარდ შტრაუსმა (1864-1949) ამავე ლექსზე დაწერა მუსიკა მამაკაცთა ტრიოსათვის.

ფრიდრიხ რიუკერტის ლექსის "კარებთან" გიორგი ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის თარგმანები ამჟღავნებენ ორიგინალთან სიახლოვეს, გარკვეულწილად, ჰგვანან კიდეც ერთმანეთს, თუმცა მათ შორის განსხვავება უფრო დიდია.

ჩვენ საგანგებოთ შევჩერდებით რიუკერტის ამ ლექსის ორივე თარგმანზე.

რიუკერტის ლექსი გარითმულია პარალელური რითმით, რაც როგორც გიორგი ერისთავის, ისე ილია ჭავჭავაძის თარგმანებში დაცულია და ორივეგან პარალელური რითმა გვხვდება. ლექსი დაწერილია თორმეტმარცვლიანი საზომით. გიორგი ერისთავს იგი უთარგმნია თექვსმეტმარცვლოვანი საზომით, ხოლო ილიას — თოთხმეტმარცვლოვანი საზომით. როგორც ჩანს, ილიას მიერ არჩეული საზომი უფრო ახლოსაა ორიგინალთან. გარდა ამისა, რიუკერტის ლექსი შედგება თოთხმეტი სტრიქონისაგან, გიორგი ერისთავისათვის თარგმანი სულ თორმეტ სტრიქონს შეიცავს, ილიასეული კი იმეორებს ლექსის ორიგინალურ შემცველობას და თოთხმეტი სტრიქონისაგან შედგება.

ბუნებრივია, საინტერესოა, რა კავშირშია ორიგინალთან და ერთმანეთან გიორგი ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის თარგმანები. ამიტომაც, ორივე თარგმანს ორიგინალთან და ერთმანეთან მიმართებაში განვიხილავთ. თავდაპირველადვე უნდა ითქვას, რომ ილიასეული თარგმანი გარდა იმისა, რომ ახლოა ორიგინალთან, გაცილებით უფრო პოეტურია. ამაზე თვით ლექსის სათაურის თარგმანიც მეტყველებს. რიუკერტისეული სათაური: "კარებთან" გიორგი ერისთავს უთარგმნია: "კარებთან", ხოლო ილიას — "კართა თანა".

მივყვეთ ლექსის თარგმანებს:

პორველი სტრიქონი, რიუკერტი:

"დავაკაკუნე სიმდიდრის სახლის კარზე".

გიორგი ერისთავი:

"იმ დიდრის კართან მივედი, აგებ საუნჯე მოეცა".

ილია:

"სიმდიდრის კარი ვარაკუნე დიდხანსა მეცა".

როგორც ჩანს, რიუკერტისეული "ჰაბე გეკლოპფტ" — დავაკაკუნე მხოლოდ ილიას გადმოუტანია. მეორე სტრიქონი, ორიგინალი:

"ფანჯრიდან მხოლოდ ერთი პფენინგი მაკმარეს".

გიორგი ერისთავი:

"დიდხანსა ვრეკდი კარებსა, ფანჯრით ფეხთ გროში დამეცა".

ილია:

"ფანჯრიდან გროში ტრიალით ჩემ ფეხ წინ დაეცა".

გერმანული პფენინგი (ხურდა ფული) გიორგი ერისთავსაც და ილიასაც უთარგმნიათ, როგორც გროში. ასევე, ორივე თარგმანში საერთოა ის, რომ ორივეგენ ნახსენებია ფეხ(ებ)თან თუმცა ორიგინალში ასე არაა.

მესამე სტრიქონი, რიუკერტი:

"მე დავაკაკუნე სიყვარულის კარზე".

გიორგი ერისთავი:

“სიყვარულისა კარებსა თუმც შესავალად ვიწიე”.

ილია:

“სიყვარულის სახლს ვერ მიუველ მე კარამდისა”.

ამ სტრიქონის თარგმნისას არცერთი მთარგმნელი მონურად არ მიჰყება გერმანულ ორიგინალს, თუმცა ილია თარგმანის დროს კიდევ უფრო მეტ თავისუფლებას იჩენს. რიუკერტი წერს, “დავაკაუნე სიყვარულის კარზე”, ხოლო ილია თარგმნის: “სიყვარულის სახლს ვერ მიუველ მე კარამდისა”.  
**მეოთხე სტრიქონი, რიუკერტი:**

“ამისათვის იქ უკვე იდგა თხუთმეტი სხვა”.

გიორგი ერისთავი:

“მაგრამ მეტისა ხალხისაგან შიგნით კი ვერ შევაწიე”.

ილია:

“ისე ჭედით იქ გუგუნებდა გროვა ხალხისა”.

ამ სტრიქონში გიორგი ერისთავიცა და ილიაც ძირითად აზრს თარგმნიან. საინტერესოა, რომ რიუკერტთან არ არის სიტყვა ხალხი, რაც ორივე მთარგმნელთან გვხვდება.  
**მეხუთე სტრიქონი, რიუკერტი:**

“ჩუმად დავაკაუნე დიდების სასახლეზე”.

გიორგი ერისთავი:

“მიველ სასახლეს, სადაცა დიდება განისვენებდა”.

ილია:

“დავკარ ციხის კარს, სადაც კაცის დიდება სცხოვრობს”.

საინტერესოა, რომ ეს სტრიქონი ძალზე ახლოა დედანთან ორივე თარგმანში. საინტერესოა, რომ გერმანული “შცკლოს” ქართულად ნიშნავს სასახლესაც და ციხე-სიმაგრესაც. ასე რომ, ეს ერთი სიტყვა გიორგი ერისთავს უთარგმნია “სასახლე”, ხოლო ილიას — “ციხე”. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, რომ გიორგი ერისთავმა და ილია ჭავჭავაძემ ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად თარგმნეს ეს ლექსი და თუ რომელიმე ან ორივე მათგანი სარგებლობდა რუსული თარგმანით, მაშინ ან მთარგმნელები ამონმებდნენ თარგმანს გერმანულ ორიგინალშიც, ან სარგებლობდნენ რიუკერტის ამ ლექსის სხვადასხვა რუსული თარგმანით.

**მეექესე სტრიქონი, რიუკერტი:**

“აქ მხოლოდ ცხენზე შემჯდარ მხედრებს უშვებენ”.

გიორგი ერისთავი:

“მაგრამ საპრალოს, მითხარით, მე იქ ვიღა შემიშვებდა”.

ილია:

“ქვეითი ხარო, არ გაგიღებთ, იქ მითხრეს, კარებს”.

ამ სტრიქონის ილიასული თარგმანი უფრო ახლოა დედანთან, ვიდრე გიორგი ერისთავისული. ჯერ ერთი, რიუკერტს ეს სტრიქონი, როგორც ირბი ნათქვამი, ბრჭყალებში ჩაუსვამს. ბრჭყალებშია ჩასმული ეს სტრიქონი ილიას თარგმანშიც. გარდა ამისა, რიუკერტისული სიტყვები: “იერ ტჟუტ მანურ აუფ დემ ლიტტერ ზუ ლოსს” ქართულად — “აქ მხოლოდ ცხენზე შემჯდარ მხედრებს უშვებენ”-ილიას უთარგმნია ალეგორიულად “ქვეითი ხარო...”

**მეშვიდე სტრიქონი, რიუკერტი:**

“მე ვეძებდი შრომის ჭერს (სახლს)”.

გიორგი ერისთავი:

“შრომისა სახლსა რა მივეღ, ჭმუნვითა იყო მოცული”.

ილია:

“შრომის სახლიდამ კვნესის ხმანი მე მომესმოდა”.

საინტერესოა, რომ ამ სტრიქონს ორივე მთარგმნელი რიუკერტისეული მერვე სტრიქონის “აჰერტე იცვ დრინნენ ნურ ჭეპ უნდ ცვ!”, „იქიდან მესმოდა მხოლოდ წუხილი და ოხვრა“ შინაარსით ავსებენ. ასევე, დედნისეული „ჰაბე გესუცვეტ“ — ვეძებდი და „აცვ“ ჭერი არცერთ თარგმანში არ არის გადმოტანილი. საინტერესოა, რომ ორივე თარგმახში გვხვდება სიტყვა „სახლი“, რომელიც ორიგინალში არ არის.

**მერვე სტრიქონი, რიუკერტი:**

“იქიდან მესმოდა მხოლოდ წუხილი და ოხვრა”.

გიორგი ერისთავი:

“თავი რა შევყავ, მეც შევკრთი, დავბრუნდი შეშინებული”

ილია:

“და მე იქ შესვლა საშიშრადა მეჩვენებოდა”.

როგორც უკვე ალვნიშნეთ, რიუკერტისეული მერვე სტრიქონი ორივე მთარგმნელმა მეშვიდე სტრიქონთან ერთად თარგმნა და, შესაბამისად, ორივეგან მერვე სტრიქონის თავისუფალი თარგმანია. **მეცხრე სტრიქონი, რიუკერტი:**

“მე ვეძებდი ბედნიერების სახლს”.

გიორგი ერისთავი:

“ბედნიერების სასახლე, ბევრჯელ მე სიზმრად მეჩვენა”.

ილია:

“ბედნიერების სასახლის ქვეყნად დავიწყე ძებნა”.

ეს სტრიქონი ილიასთან უფრო ზუსტად არის თარგმნილი. რიუკერტისეული “Iცვ სუცპტე” ვეძებდი ილიასთან შესაბამისად არის გადმოტანილი „დავიწყე ძებნა“, თუმცა გერმანული სიტყვა „დას აუს“ — სახლი ორივე მთარგმნელს ნათარგმნი აქვს, როგორც „სასახლე“.

**მეთე სტრიქონი, რიუკერტი:**

“არავინ იცნობდა მთელ სიგრძე-სიგანეზე”.

გიორგი ერისთავი:

“თუმცა ვეძებდი ფხიზელი, მაგრამ გზა არვინ მიჩვენა”.

ილია:

“და ვერავინა იმისკენ გზა მე ვერ მიჩვენა”.

გერმანული “წეიტ უნდ ბრეიტ” — სიგრძე-სიგანით არცერთ ავტორს არ უთარგმნია სიტყვა-სიტყვით. უცნაურია ის, რომ ორივეგან ამის შესატყვისად ერთი და იგივე ფორმულირება გვხვდება — გიორგი ერისთავი: „გზა არვინ მიჩვენა“, ილია: „გზა მე ვერ მიჩვენა“.

**მეთერთმეტე სტრიქონი, რიუკერტი:**

“ახლა კი ვიცი ერთი მყუდრო ქოხი (სახლაკი)”.

გიორგი ერისთავი:

“ერთიღა დამრჩა კარები, ჯერ ის არა მაქვს დაცდილი”.

ილია:

“ერთი სახლიდა დამრჩენია ახლა საწყალსა”.

ამ სტრიქონის თარგმანი ილიასთან უფრო ზუსტია. რიუკერტისეული “ლუსლეინ” — პატარა სახლი გიორგი ერისთავს არ უთარგმნია ზუსტად და დაუწერია „პარები“, ხოლო ილიას უთარგმნია, როგორც „სახლი“.

**მეთორმეტე სტრიქონი, რიუკერტი:**

“სადაც სულ ბოლოს მინდა დავაკუნო”.

გიორგი ერისთავს ეს სტრიქონი ცალკე არ აქვს თარგმნილი, მაგრამ გიორგი ერისთავის თარგმნილი მეთერთმეტე სტრიქონის „ჯერ ის არა მაქვს დაცდილი,“ თარგმანია რიუკერტის ამ სტრიქონისა.

ილია:

“იქაც გამოვცდი, ჩამოვრეკავ კარისა ზარსა”.

ჩანს, რომ გიორგი ერისთავის თარგმნილი, „ჯერ ის არა მაქვს დაცდილი,“ უფრო ახლოა ორიგინალის შინაარსთან, თუმც არც ილიას თარგმანია ძალზე დაშორებული.

**მეცამეტე სტრიქონი, რიუკერტი:**

“თუმცა იქ უკვე ცხოვრობს ზოგი სტუმარი”.

გიორგი ერისთავი:

“საფლავს თუმც ბევრი სტუმრობენ, მაგრამ აქვს ჩემთვის ადგილი”.

ილია:

“იქ კი უთუოდ, — თუმც სტუმარი ბევრი ჰყავს საფლავს”.

რიუკერტისეული „dńař“ — „თუმცა“ გიორგი ერისთავსაც და ილიასაც ზუსტად აქვს გადმოტანილი. ორივე თარგმანი ახლოს არის დედანთან., თუმცა გერმანული „მანცჟერ“ — „ზოგი“ ორივე თარგმანში გადმოტანილია, როგორც ბევრი.

**მეთოთხმეტე სტრიქონი, რიუკერტი:**

“მაგრამ ბევრისთვის არის საფლავში განსასვენებელი”.

გიორგი ერისთავს ეს სტრიქონი ცალკე არ უთარგმნია, თუმცა მისი თარგმანის მეთორმეტე სტრიქონში ეს აზრი ჩაუტევია: “მაგრამ აქვს ჩემთვის ადგილი”.

ილია:

“ვპოვებ საწყალი ჩამთვისაცა მცირედსა ალაგს”.

რიუკერტისეული “Doch ist für viele im Grab noch Rast”, „ბევრისთვის არის ადგილი“ ორივე მთარგმნელს გადმოუტანია პიერველ პირში.

რიუკერტის ლექსის გიორგი ერისთავისეული თარგმანი პირველად დაიბეჭდა გ. ერისთავის თხზულებათა 1867 წლის გამოცემის პირველ ნაწილში.

გიორგი ერისთავის „თხზულებანში“, „ფედერაცია“, ტფილისი, 1936, შ. რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციის, შენიშვნებში მითითებულია: „ეს ლექსი გერმანულიდან თარგმნა ვ. ა. შუკოვსკომ, ხოლო გ. ერისთავმა მისგან გადმოიღო“ (ერისთავი 1936: 394).

ილიასეული თარგმანი „კართა თანა“ ხელნაწერი 217 პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“, 1859 წელს 12. 1892 წელს შევიდა ილია ჭავჭავაძის „თხზულებანში“, „თბილისის ამხანაგობის გამომცემლობა“, ტფილისი, ტ. I, გვ. 46. იმავე 1882 წელს ეს ლექსი კიდევ გამოიცა. ილიასეულ ავტოგრაფში ლექსს აქვს ხელმოწერა და თარიღი, ასევე, სათაურის ქვეშ მითითება, რომ ლექსი რიუკერტისაა.

ფრიდრიხ რიუკერტის „კარებთან“ სავსეა ფილოსოფიური განცდებით. პოეტი აგვინერს, რომ მრავალ კართან დააკაკუნა, ენვია სიმდიდრის, სიყვარულის, დიდების, შრომის, ბედნიერების კარებს, მაგრამ არსად შეუშვეს, მას მხოლოდ ერთი კარიღა ეგულება, რომელსაც გაუღებენ და ეს არის სიკვდილის სახლის კარი. ლექსის მთელი ფილოსოფიურ-იდეური გააზრება გადმოტანილია როგორც გიორგი ერისთავის, ასევე ილია ჭავჭავაძის თარგმანებში. ლექსის მთავარი სათქმელი, რომელიც არ არის რელიგიურ ასპექტში გადატანილი და მეტად რეალისტურია, სევდიანი და ცხოვრებისეული, ორივე მთარგმნელმა შეძლო გადმოეტანა. ეს არის ჩივილი ადამიანისა, რომელსაც ყველაზე კარი გამოუხურეს, არსად მიღეს, რომელსაც თითქოს აღარაფერი დარჩენია სიკვდილის გარდა. ამ იდეას ორივე თარგმანი თანაბრად უზიარებს ქართველ მეთხველს, თუმცა, როგორც ვნახეთ, თარგმანები გარკვეულ თავისებურებასაც ამჟღავნებენ.

რიუკერტის ლექსის „კარებთან“ გიორგი ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისეული თარგმანები, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. გიორგი ერისთავი ლექსს თარგმნის შინაარსის სრული დაცვით, მაგრამ მისი ენა უფრო ხელოვნურია, გაცილებით არქაული და მძიმე. ილიას თარგმანი მიჰყვება რიუკერტისეულ ორიგინალს, თუმცა უფრო პოეტური და დახვეწილია, ენაც უფრო თანამედროვე. მეორე მხრივ, ორივე თარგმანი ამჟღვნებს გარკვეულ სიახლოეს, რაც, პირველ რიგში, თარგმანების ლექსიკაში ვლინდება. კერძოდ, ლექსის მეორე, მეოთხე, მეშვიდე, მეცხრე, მეათე, მეცამეტე და მეთოთხმეტე სტრიქონებში თარგმანებში ვხვდებით სიტყვების დამთხვევას, რაც, შესაძლოა, არ იყოს შემთხვევით სახის.

თარგმნეს თუ არა გიორგი ერისთავმა და ილია ჭავჭავაძემ რიუკერტის „კარებთან“ ორიგინალიდან, თუ ორივე მთარგმნები, ან ერთ-ერთი მათგანი რუსულ თარგმანს იყენებდა, ძნელია დადგინდეს, რადგან ჩვენ ამჟამად ხელთ არ გვაქვს რიუკერტის ლექსის რუსულენოვანი თარგმანები. თუმცა აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რიუკერტის თხზულებების რამდენიმე გამოცემას, როგორც ჩანს, პოეტის სიცოცხლეშივე მოულნევია საქართველომდე. არსებობს რიუკერტის თხზულებათა ოცტომეული, შვიდტომეული, ორტომეული გამოცემები, რომლებიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ არის შემონახული და ამჟამად დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკში. შესაძლებელია, ეს გამოცემები სწორედ ილია ჭავჭავაძის ან გიორგი ერისთავის ჩამოტანილია. მით უფრო, რომ, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძეცა და გიორგი ერისთავიც იმყოფებოდნენ გერმანიაში, კერძოდ, მიუნხენში, სადაც რიუკერტიც მოღვაწეობდა და სადაც ფრიდრიხ რიუკერტი და მისი შემოქმედება ძალზე ცნობილი იყო.

სანტერესოა ის ფაქტი, რომ დღემდე არანაირი სამეცნიერო კვლევა-ძიება ფრიდრიხ რიუკერტის ლექსების ილიასეულ თარგმანებთან და რიუკერტის ერთი ლექსის ორ თარგმანთან დაკავშირებით არ ყოფილა. არავინ დაინტერესებულა იმით, თუ რა მიმართებაშია თარგმანები ირიგინალთან და ერთმანეთთან.

ფრიდრიხ რიუკერტის ავტორის სიცოცხლეშივე ქართული თარგმანების არსებობა დღემდე უცნობი იყო გერმანული საზოგადოებისათვისაც. რიუკერტის საზოგადოებამ, რომელიც მუდმივად ზრუნავს ფრიდრიხ რიუკერტის შემოქმედების პოპულარიზაციაზე, ანუ მას შეხვედრებს, კონფერენციებსა და სემინარებს, აქვეყნებს ყოველთვიურ ბიულეტენს, რიუკერტის ბიბლიოგრაფიასა და ანთოლოგიებს, მათ შორის, თარგმანებსაც უწევს პოპულარიზაციას, ასევე ქალაქ შვანიზურტის განათლებისა და კულტურის ადმინისტრაციულმა განყოფილებამ, სადაც ყოველწლიურად გარკვეული ლონისძიებები ენყობა რიუკერტთან დაკავშირებით, ასევე რიუკერტის მუზეუმმა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებამ, აგრეთვე რამდენიმე დოქტორმა და დოცენტმა, რომლებიც რიუკერტის შემოქმედებას იკვლევენ, არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ ფრიდრიხ რიუკერტი მის სიცოცხლეშივე ითარგმნა ქართულ ენაზე და რომ რიუკერტის პირველი ქართველი მთარგმნელი ილია ჭავჭავაძე იყო.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წელს გოეთეს ინსტიტუტმა გამოსცა „გერმანულენოვანი მხატვრული ლიტერატურის ქართული თარგმანების ბიბლიოგრაფია“, სადაც შესულია გერმანულენოვანი ლიტერატურის ქართული თარგმანები 2002 წლიდან 2002 წლამდე როგორც ცალკეულ წიგნებად გამოცემული, აგრეთვე კრებულები და რჩეული თხზულებები, ისე ანთოლოგიები, ასევე უურნალ-გაზეთები გამოვეყნებული გერმანულენოვანი მხატვრული ლიტერატურის თარგმანები ქართულ ენაზე, მაგრამ მასში არ არის შეტანილი რიუკერტის ლექსების ილიასეული თარგმანი და არც გიორგი ერისთავის მიერ თარგმნილი რიუკერტის „კარებთან“.

გარდა ამ მეტად საინტერესო თარგმანებისა, ქართულ ენაზე არსებობს ფრიდრიხ რიუკერტის სხვა თარგმანები, რომლებიც მეოცე საუკუნის ბოლოს არის შესრულებული. ის, რომ დღემდე არ დაუკარგავს ინტერესი ფრიდრიხ რიუკერტის შემოქმედებას ქართველი მთარგმნელებისა და მეითხველებისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ, ბუნებრივია, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს რიუკერტის ადრეული ქართული თარგმანები.

#### დამოწმებანი:

**გაგნიძე... 1979:** გაგნიძე ჯ., კენჭოშვილი ი... ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.

**გოეთეს...** გოეთეს ინსტიტუტი, ქეცბაზუნდაქ ლ., გერმანულენოვანი მხატვრული ლიტერატურის ქართული თარგმანების ბიბლიოგრაფია. თბილისი: გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

**ერისთავი 1936:** ერისთავი გ. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „ფედერაცია“, ტფ. 1936.

**კავთაბეგილი 1987:** კავთაბეგილი ვ. ჰაინრიხ ქართულ ლიტერატურაში, თბილისი: გამომცამლობა „მეცნიერება“, 1978.

**კალანდაძე 1965:** კალანდაძე ალ., ქართული უურნალისტიერის ისტორია, თბილისი: 1965.

**რიუკერტი 1816:** Rückert F. Für müssige Studien. Erste Bändchen, Hildburghausen, im Comptoir für Literatur 1816.

**რიუკერტი 1835:** Friedrich Rückerts Werke in sechs Bänden, Herausgeber: Ludwig Laistner, J.G.Cotta'sche Buchhandlung Nachfolger, Stuttgart und Berlin, o.J. 1835 Dritter Band.

**რიუკერტი 1837:** Rückert F. Gesammelte Werke von Friedrich Rückert, Dritter Band, Erlangen: Carl Heyder 1837.

**ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“ საბჭოთა საქართველო 1988.

**ჭავჭავაძე, 1892:** ჭავჭავაძე ი. თხზულებები, ტ. I, თბ., 1892.

## კანდელაკი დალი რაისნერი ეკატერინე

### ილია და მისი გერმანელი მეგობრები

“პირველი, ვინაც გერმანული სისტემით და იშვიათი გამძლეობით სიბერემდე მიიტანა საქართველოს მწერლობისა და ისტორიის სიყვარული, ეს არის მხოლოდ არტურ ლაისტი.. ამ ორმოცი წლის განმავლობაში პ-ნი არტურ ლაისტი შეუცვლელი ელჩია გერმანიის ერისა საქართველოში. მან ბევრი დათესა თავისი ერის სიყვარულისათვის ჩვენს მხარეში 40 წლის განმავლობაში. არტურ ლაისტი იყო განუყრელი მეგობარი ილია ჭავჭავაძისა, ის იცნობდა და მეგობრობდა აგრეთვე ბევრ გამოჩენილ მაშინდელ ქართველთან და ყველგან აქვს დამსახურებული იშვიათი ერთგულების გრძნობა – საჭირო იყო არტურ ლაისტის კეთილშობილება და გამძლეობა, რომ თავისი მეგობრობა ილია ჭავჭავაძისადმი დაემტკიცებინა მისი სიკეთილის შემდეგაც, როცა ილიას ოჯახი ჩავარდა უბედურებაში და ილიას მეულლე ავადმყოფი შიმშილობდა კიდეც და ამ ცამეტი წლის განმავლობაში არტურ ლაისტს და მის ოჯახს ცამეტი დღეც არ გამოუტოვებია, რომ არ ენუგებებინოს ბედისაგან ასე დატანჯული ილიას ოჯახი,” (ტაბიძე 1966: 259-260) – ასეთი სიყვარულით იხსენებდა ტიციან ტაბიძე ქართველი ერის უცხოელ მეგობარს.

რას წერდნენ არტურ ლაისტის შესახებ XX საუკუნის მინურულში მისი თანამემამულეები?

1987 წელს გერმანიაში გამოცემულ წიგნში “მოგზაურობები კავკასიაში” თავმოყრილია მე-19 საუკუნის გერმანელ მოგზაურთა და მოლვანეთა ჩანაწერები კავკასიის შესახებ. არტურ ლაისტისადმი მიძღვნილ სტატიაში მცდარადა წარმოდგენილი მისი ბიოგრაფიული ცნობები: “1906 წელს მან თბილისში დაარსა პირველი გერმანულებინოვანი გაზეთი კავკასიაში “კაუკაზიშე პოსტ”. შემდეგ რამდენიმეჯერ იმოგზაურა იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში. მისი ცხოვრების შემდგომი წლები უცნობია” (Breuste J., Malich. 1987: 175) სტატიაში მოყვანილი ზოგიერთი ცნობა უზუსტობას შეიცავს, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ გერმანელი მკითხველისათვის დამატებითი ცნობები მიგვეწოდებინა არტურ ლაისტის შესახებ. უცრნალში “გეორგიკა” გამოვაქვეყნეთ სტატია, სადაც აღვნიშნეთ, რომ “1892 წლიდან არტურ ლაისტი საქართველოში დამკვიდრდა. ის აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1918 წლიდან იგი თბილისის უნივერსიტეტში მოიწვიეს გერმანული ენის ლექტორად. 1922 წელს ქართულმა საზოგადოებამ მას საქართველოში მოლვანეობის 40 წლის იუბილე გადაუხადა. 1923 და 1927 წლებში გამოიცა არტურ ლაისტის თხზულებათა კრებული “საქართველოს გული” ორ წიგნად. არტურ ლაისტი 1927 წლის 22 მარტს გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში, საზოგადო მოლვანეთა დიდუბის პანთეონში.” (Kandeklaki 1990-1991: 103-106)

არტურ ლაისტის ცხოვრებისა და მოლვანეობის შესახებ ქართულ ენაზე არაერთი გამოკვლევაა გამოქვეყნებული. ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს თავის გერმანელ მეგობარს, რომელსაც ჯერ კიდევ უცხოების მოლვანეს, ილია ჭავჭავაძემ “შორეული თვისიანი” უწოდა.

არტურ ლაისტმა გააცნო ილიას თვალსაჩინო გერმანელი მეცნიერი, ასირიოლოგი და ურარტოლოგი - კარლ ლემან-ჰაუპტი. მისი სახელი ხშირად იხსენიება იმ ქართველ ისტორიკოსთა შრომებში, ვინც ძველი წელთაღრიცხვის პერიოდის ჩვენ წინაპართა ცხოვრებას იყვლევს.

საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები და შეხვედრები ილია ჭავჭავაძესთან კარლ ლემან-ჰაუპტმა აღნერა ნარკვევში “საქართველოდან”, რომელიც ოთხი წერილად გამოაქვეყნა 1901 წელს უცრნალში “იე ძეიტ”. ეს ნარკვევი ქართულ ენაზე პირველად ითარგმნება.

1967 წელს უცრნალში “დროშა” გამოქვეყნდა რ.ნიუარაძის სტატია “ილია ჭავჭავაძე და კარლ ლემან-ჰაუპტი” (ნიუარაძე 1967: 9). ავტორს თარგმნილი აქვს გერმანულენოვან უცრნალში “Die ollenfuge”-ში 1910 წელს დაბეჭდილი ლემან-ჰაუპტის ნარკვევი, რომელიც “იე ძეიტ”-ში გამოქვეყნებული სტატიის საკმაოდ შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს.

პირველ წერილში გერმანელი მეცნიერი საქართველოში სამი წლის წინ გატარებულ დროს და თბილისში ილიას სახლში შეხვედრის დეტალებს იხსენებს: “თითქმის სამი წელია, რაც კავკასიასა და სომხეთში წელიწადნახევრიანი ვიზიტის შემდეგ ისევ სამშობლოში დავბრუნდი. ნახახისა და განცდილის, წვალებისა და წარმატებების, ბედნიერი აღმოჩენების საათებისა და დღეების, კვირების განმავლობაში უშედეგო კვლევების მოგონებები სულ უფრო და უფრო ილექტა მეხსიერებაში და წარსულის ბურუსით იმოსება. დროდადრო სიზმარივით ამომიტოვტივდება ხოლმე ცალკეული ეპიზოდები და შემთხვევები. ასევე სიზმარივით მომეჩენა ამას წინ ბერლინში დალანდული ქალი, რომელიც ქართულ სამოსში გამოწყობილი მეგონა. უფრო ახლოს მისვლისას აღმოვაჩინე, რომ მართალი ვიყავი: თავზე ვიწრო, დიადემისმაგვარი ხავერდის ლენტი, საიდანაც ნაზი თეთრი ვუალი კეფისაკენ ეძვებოდა, მხრებზე კულულებად დაფენილი მუქი თმა და აპრეშუმის მოსახვევი ნამდვილად ქართულ სამოსზე მიანიშნებდა. თბილისასა და მის მიდამოებში მცხოვრები სომეხი ქალებიც ქართულ სამოსში გამოწყობილი უფრო დადიან, ვიდრე სხვა ტანსაცმელში, თუმცა ხანდახან ევროპულადაც იმოსებიან და თანაც გამომწვევად უსვამენ ხაზს თავიანთი სხეულის სიმდიდრეს. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ამ შემთხვევებაში, სამოსი ნამდვილად შეესაბამებოდა ნაციონალობას. კიდევ უფრო გამაოცა ერთ დღეს ქართველი თავადის ილია ჭავჭავაძის სტუმრობამ. 1899 წლის სექტემბერში მასთან თბილისში და დედაქალაქთან ახლოს მდებარე მის მამულში გატარებული ორი დღე, ჩემი სომხურ-კავკასიური მოგზაურობისა და თბილისში ბოლო, წვალებითა და წინააღმდეგობებით სავსე, ნაწილობრივ იძულებითი სტუმრობის ნათელი დასასრულია. თავადის გაცნობას თბილისში მცხოვრებ ჩვენს

თანამემამულეს ბატონ ლაისტს უნდა ვუმადლოდე, რომელიც ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი მცოდნეა და საუკეთესოდ შესრულებული გერმანული თარგმანებით გაგვაცნო ქართული პოეზიის უძვირთასესი ნიმუშები, მათ შორის ქართული ნაციონალური ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“. სულ ახლახანს გამოვიდა ბატონ ლაისტის თარგმანების ახალი კრებული.“ (Lehman-Haupt 1901: I, 466)

გერმანები მეცნიერი საკმაოდ დადგებითად ახასიათებს ილიას და ამბობს: “ბატონმა ლაისტმა თბილისში თავადთან სტუმრობამდე ბევრი რამ მიამბო ჭავჭავაძის შესახებ, რომელსაც, როგორც ჩანს, სავსებით სამართლიანად მოიხსენიებდა ქართველების ნინამძღოლად. ასეთი დასკვნა მხოლოდ წოდებიდან „თავადი“ არ მოდის. ასეთი წოდებით აქ მრავალნი არიან. ოდესლაც დამოუკიდებელი ქართველები (რუსულად-გრუზინები; ორივე ფორმა ძველი სახელიდან „იბერები“ მოდის) რუსეთის ქვემევრდომები რომ გახდნენ, ქართველმა თავად-აზნაურმა თავადის რუსული სახელი „კნიაზ“-ი მიიღო. თავადი ჭავჭავაძე ერთდროულად პოეტი, პოლიტიკოსი და ფინანსისტია; ხელმძღვანელობს ბანკს, უშვებს მონინავე ქართულ უურნალ „ივერიას“ და სოფლის მეურნეობასაც მისდევს თავის დიდ მამულში. თავადი ჭავჭავაძე ნარმობობით კავკასიური საუკეთესო ლვინის სამშობლოდან – კახეთიდან, კერძოდ კი ნითელი ლვინით განთქმულ სოფელ ყვარელიდანაა.“ (Lehman-Haupt 1901: I, 466)

კარლ ლემან-ჰაუპტი ილიას თბილისის სახლს და ზოგადად დედაქალაქის სახლების არქიტექტურაზეც საუბრობს: “თავადის სახლი, რომელშიც მან თბილისში მიმიღო, გარედან არაფრით გამოირჩება, მაგრამ შეისულ სტუმარს, ქართული არქიტექტურის თვითმყოფადობა გადაექცება თვალნინ. სოფლებსა და თბილისის ქართულ უბნებში სახლების მთელ სიგანეზე მინიმუმ ერთ, ხანდახან კი რამდენიმე სართულზე მიშენებული ლოჯიების მსგავსი აივნები და ვერანდები მოგხვდებათ თვალში, მაგრამ აქ ცალკეული დანაყოფები ქვით ნაშენები სვეტებით კი არა, უბრალო ხის პოძებითაა გამოყოფილი ერთმანეთისაგან და პორიზონტალური გადახურვის საყრდენს ნარმოადგენს. ამგვარ აივნებს ხანდახან შევიცარიულ სახლებზეც ნახავთ, მაგრამ ქართულისაგან განსხვავებით იქ არ არის მწვანე და თეთრი მოხატულობა და აივნებიც იშვიათად თუა ასე ორგანულად შერწყმული შენობის ფასადთან. აქ, ქალაქის ახალი უბნის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, აივანი ბალის მხარესაა მიშენებული და ორივე მხრივ გასდევს სახლს. ჩაფიცენილმა, ძლიერი ალაგობისა და ერთობ სასიამოვნო გარეგნობის თავადმა გულითადად მიმიღო, რომ ეს არაჩვეულებრივი ლოჯია ზამთრობით იმინება და დახურულ ვერანდად გადაკეთდება. კედლებზე გამოფენილ ნახატებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ქართველი მხატვრის გაბაშვილის ერთ ტილოზე შემაჩერებინენს. მასზე ხალხი საზამთროს შეეცევა. ამგვარი სურათი არაერთხელ მინახავს და თავადაც ხმირად გავრულვარ ამ ხალხში, რადგან მტკვრისა და არაგვის დაბლობებისათვის დამახასიათებელ სიცხეში მნიურვალე ადამიანისათვის საზამთრო შეუდარებელი და შეუცვლელი სიამოვნება.“ (Lehman-Haupt 1901: I, 467)

გერმანები სტუმარი ილიასა და მისი ოჯახის წევრების ჩაცმულობაზე საუბრობს: “თავად ჭავჭავაძეს ევროპული სამოსი ეცვა და არა ქართველებში პოპულარული „ჩერქეზე“. ევროპულადვე იყო ჩაცმული მისი სანდომიანი მეუდღე; თავადის და კი, რომელიც გენერლის ქვრივი გახლდათ, ეროვნულ სამოსში იყო გამოწყობილი. ორივე ქალბატონს მოგვიანებით კვლავ შევხვდი ბერლინში.“ (Lehman-Haupt 1901: I, 467)

ლემან-ჰაუპტი ილიას ოჯახის სტუმართმოყვარეობაზე, ქართულ სუფრასა და ტრადიციებზე დიდი სიყვარულით საუბრობს: “მალე ჩემს საპატივცემულოდ შეძლებისდაგვარად ქართულად განკუბილ სუფრას მიყუსხედით და საუბარიც გაიძა. რუსეთში მიღებული ნესისამებრ აქაც პირველად „ზაკუსკა“ და „ვოდკა“ მოიტანეს. დავაგემოვნეთ ქართული, თუმცა ალბათ უფრო კავკასიური კერძი „ჩიხიორთმა“ – ზაფრანით, ძმრით, მწვანილითა და სხვა ინგრედიენტებით შემაჩული ქათმის ხორცის მომჟავო წვნიანი. ამას მოსდევდა „ბოიანი“, განსაკუთრებულად მომზადებული ბოსტნეული ნაღებითა და დარიჩინით. უფრო ინტერნაციონალური კერძებიც ვიგემეთ - შემწვარი ხორცი მჟავე კომბოსტორი, და კავკასიულებში, თურქებში, თათრებში, სომხებსა და სპარსელებში გავრცელებული ბრინჯის ფლავი, რომელსაც შოთხვი და შინდი განსაკუთრებულ არომატს აძლევდა. თავადი და ჩვენი თანამემამულე ბატონი ლაისტი სუფრასთან ენეოდნენ, მაგრამ ჩემმა მასპინძელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არ გახლდათ ქართული ტრადიცია. აქვე იყო თიხის ფორებიან ჭურჭელში ცივად შენახული წყალი, მაგრამ ქართული ტრადიციისამებრ ჩენ ადგილობრივ, მიმიე ზითელსა და ქარვისფერ ლვინოს უფრო ვეტანებოდით. ამასთანავე არც ქეიფის მოყვარულ ქართველებში გავრცელებული და გერმანელებისათვის უცხო სადღეგრძელობი და ქართული მელოდიური სიმღერები იყო დავინწყებული. ბატონი ლაისტი აქვე შევიპირე თავადის მამულში სტუმრობაზე და ერთ ნაშეადღევს მას თბილისის სადგურში შევხვდი. ათი წუთის შემდეგ მატარებელმა მტკვრის მარცხენა სანაპიროთი ავჭალაში ჩაგვიყვანა, სადაც ჩვენი მასპინძლის ეტლი გველოდებოდა. ყველა შემხვედრი დიდი მოწინებით ესალმებოდა თავად ჭავჭავაძეს.“ (Lehman-Haupt 1901: I, 467)

მეორე წერილში ავტორი ილიასთან საგურამოში სტუმრობასა და მის თვალნინ გადაშლილ ხედებს აღწერს: “მთის ფერდობზე ზურგით ტყისაკენ მდგარი ქართულ სტილში აგებული თავადის სოფლის სახლი უკვე შორიდან მოჩანს. სახლის აივნიდან საუცხოო ხედი იშლება: ნაცრისფრად მოლივლივე არაგვი, რომლის კალაპოტში ქვიშის ბორცვები ჩანს; იქვე კი საქართველოს სამხედრო გზის რუს-თეთრი სილუეტი; მარჯვნივ, გზის გაყილებაზე აღმართული კლდეები შედარებით უკეთ მოჩანს, თუმცა მაინც იბურება შემოდგომის ჩამაგალი მზის შუქზე. ეს ისეთი უჩვეულო, თითქმის შემაშფოთებელი სინათლეა, რომ გზად გავლილი შემოდგომის დაბურული ტყე მასთან შედარებით სიმშვიდის სავანედ მეჩვენება. სუფრა სახლის უკან, ბალში, ჭის მახლობლად იყო გაშლილი. მობინადრეები მუდამ ერთაშირი ტემპერატურის გამო (+11 გრადუსი) ჭას განსაკუთრებით აფასებენ.

აქვეა კაკლის ხეც, რომლის ტოტებიდან, ჩემდა გასაკვირად, ბაყაყების ყიყინი ისმოდა და დროდადრო მუსიკასავით უღერდა სუფრასთან.” (Lehman-Haupt 1901:II, 503)

გერმანელი მეცნიერი მესამე წერილში ქართველთა უკვდავ პოემაზე “ვეფხისტყაოსანი” და ილიას “განდეგილზე” საუბრობს და სათანადო შეფასებებსაც აძლევს: “მოგვიანებით სახლის აივნიდან სასიამოვნოდ განათებულ ოთახებში გადავინაცვლეთ. ვიდრე ვახშმისთვის ჩაის, კალათებში ჩანყობილ საუცხოო ხილს, შავ, თეთრ და მოყვითალო-მოყავისფრო ყურძენსა და საუკეთესო ატმებს მოგვართმევდნენ, თავადის ნიგნებმა ქართულ მწერლობაზე გადაგვატანინა ყურადღება. უკვე ნახსენები „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილი ხალხური ეპოსია, მას ყანის ლენვის დროსაც ამბობენ. ქართველებმა ამ პოემის მთლიანი სტროფები იციან ზეპირად. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა პოემის ციტირებისას მთემელს რამდენჯერმე შეუწყვეტია ლექსი სიტყვებით: „კი, ნამდვილად ასეა, მე იქ ვიყავ!“. ბავშვობიდან ნასწარული ეპოსის შინაარსი ისე აქვთ გამჯდარი სისხლსა და ხორცში, რომ პოემაში ასახული განცდილად მიაჩნიათ და ამ განცდილის ახლებურ წარმოსახვას პოულობენ ლექსში. მაშინ ვინანე, რომ ქართული მხოლოდ ანბანი ვიცოდი და არ შემეძლო, ძველი ნანარმოებებსა თუ ჭავჭავაძისეული თხზულებების ორიგინალში შეფასება. გამაცნეს თავადის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნანარმოების „განდეგილის“ ინგლისური თარგმანი, რომელსაც შესავალში პოეტის ბიოგრაფიული ცნობები ერთვის. პოემის მთარგმნელი ქალი ძმასთან ერთად კავკასიაში ცხოვრობს და პირადად იცნობს თავადსა და მის ოჯახს.

პოემა ყაზბეგის ერთ-ერთ გამოქვაბულში მცხოვრები, ყველასაგან პატივცემული განდეგილის ცდუნების ამბავს გვამცნობს. ნანარმოების ფინქოლოგიური ქარგა, სიდიადითა და სილაბაზით აღსილი ბუნების გრანდიოზული წარმოსახვა, ენის მოქნილობა და ძალა, თარგმანიდანაც რომ გამოსჭვივის, მშობელ ხალხში ფესვების საკუთარი აზრის თამამად გამომხატველ და ერის განმანათლებელ ჭეშმარიტ პოეტს წარმოაჩნია. (Lehman-Haupt 1901: III, 531)

მეოთხე წერილში მოთხოვნილია არაგვის პირას გამართულ პიკნიკსა და ქართული ერთი ძეველი წეს-ჩვეულების შესახებ: „მეორე დილით ჩრდილოეთიდან თეთრად გაბრწყინებული კავკასიონის მთავარი მთა, საქართველოს სამხედრო გზის გუშაგი - ყაზბეგი გვესამება და არაგვზე დაგეგმილი თევზაობისთვის კარგ დღეს გვიქადის. დაახლოებით ნახევარი საათი დაგვჭირდა ცხენებით მდინარეზე ჩასასვლელად. სანოვაგე და ფარდაგები დაიტვირთა ურემზე, აქაურ ტვირთის გადამზიდზე, რომელიც ჩვენსას ჩამოჰვავს და ხშირად ტილოს წაჭრითა გადაფარებული. მალე გაირკვა, რომ თევზაობა მხოლოდ საბაძი იყო არაგვის პირას, ბუჩქებთან ხავიან მოლზე გაშლილი პიკნიკისათვის.

ვიდრე მასპინძლები ნადიმისათვის ემზადებიან და ქართველი მეთევზებს თავიანთი ბადეები წესრიგში მოჰყავთ, სტუმრები არემარს ვათვალიერებთ. ჩვენი ნივთები იქვე შეგვიძლია დავტოვოთ, რადგან თავად ჭავჭავაძის თქმით ქართულ სოფლში ქურდობა არ არსებობს. მართლაც, ქართველი კაცი საუკეთესო თვისებებით - გულწრფელობითა და გულლიაბით გამოირჩევა. თავადმა ჭავჭავაძემ რამდენიმე ძველი, მაგრამ დღემდე შემორჩენილი ქართული წეს-ჩვეულების შესახებ მიამბო, მათ შორის ერთ უცნაურ შემთხვევაზეც: საქართველოს სამხედრო გზის ყაზბეგის სადგურთან მდებარე სოფელ გერგეტში ერთხელ პატარა სახნავი მინის გამო დავა წამოჭრილა. მფლობელისათვის მინის ჩამორთმევა გადაწყვეტილი იყო, როცა გამოჩნდა თორმეტი წლის ყმანვილი და განაცხადა: მე ვარ იმის მოწმე, რომ სადაო მინა მის ახლანდელ მფლობელს ყველა წესის დაცვით აქვს შესყიდული და ნამდვილად მისი საკუთრება არისო!

- ეს ამბავი შენი ცხოვრებისას მოხდა?

- არა!

- მაშ სადაური მოწმე ხარ, ალბათ მოწმებისაგან გაქვს ეს ამბავი მოსმენილი!

- არა, მე პირადად ვარ ამის მოწმე!

- შეუძლებელია! რამდენი ხნის წინ მოხდა ეს ამბავი?

- ზუსტად არ ვიცი, ალბათ რამდენიმე საუკუნის წინ.

- კი მაგრამ, მაშინ როგორ ხარ თვითმებილველი ამ ამბის, ეს ხომ სავსებით შეუძლებელია!

ბიჭი კი თავისას ამტკიცებდა: უშუალო მოწმე ვარ საუკუნების წინ მომხდარი ამ ამბისო.

უკვე ყველა იმ აზრს დაადგა, რომ ეს ყმანვილი არანორმალური იყო, როცა მან აჩვენა ხელი მოკვეთილი თითოს წინა სახსრით.

შემდეგ კი ასეთი რამ გაირკვა: დამოწმების ეს ნიშანი თაობიდან თაობაზე უფროს შვილზე გადაიოდა და ამისათვის ისინი თითოს ისახიჩრებდნენ. ასე მოექცა თავის დროზე პირველი ნამდვილი მოწმე თავის შვილს; ამ ბიჭუნასაც მამამ სიკვდილის წინ დამოწმების ეს ნიშანი დაუტოვა. ხალხმა სცნო ეს დამოწმება და რუს მოსამართლესაც სხვა აღარაფერი დარჩენდა.

გასაგებია, რომ თავადის პირიდან და იმ სიტუაციაში მოსმენილმა ამ ამბავმა განსაკუთრებით დამაინტერესა და ბერლინში ჩვენი შეხვედრისას ჩემი წინამურში სტუმრობა გამახსენა. (Lehman-Haupt 1901: IV, 562-564)

ჩვენ მადლიერების გრძნობით გვსურდა კიდევ ერთხელ მოგვეგონებინა ილია ჭავჭავაძის გერმანელი მეგობრები, დიდი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები – არტურ ლაისტი და კარლ ლემან-ჰაუპტი, რომლებმაც დიდი სიყვარულითა და სითბოთი აღნერეს ჩვენი ქვეყანა, მისი ადამიანები და ბუნება. მათი თხზულებები წარმოადგენდა იმ წყაროს, რომლითაც ევროპელები საქართველოს ისტორიას, კულტურასა და ლიტერატურას ეცნობოდნენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**Breuste...1987:** BJ., Breuste J., Malich B., Reisen im Kaukasus. Leipzig, 1987.

**Kandelaki 1990-1991:** Kandelaki D., Einige ungemeinigkeiten in der neueren deutschen Fachliteratur . “Georgica”, 1990-1991, N 13-14.

**Lehman-Haupt 1901:** Lehman-Haupt C., Aus Georgien. “Die Zeit”, 1901.

**ნიუარაძე 1967:** ნიუარაძე რ., ილია ჭავჭავაძე და კარლ ლემან-ჰაუპტი. უკრნალი “დროშა”, 1967. 10.

**ჭაბიძე 1966:** ჭაბიძე ტ., თხზულებანი სამ ტომად, ტ. II, თბილისი, 1966.